ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი

შრომები
სპეციალური გამოშვება

შოთა მესხია – 100

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Humanities

Institute of Georgian History

Proceedings
Special Issue

Shota Meskhia – 100

თბილისი
Tbilisi
2016

უაკ(UDC)94(479.22)
ს–323

რედაქტორები:
თედო დუნდუა
ალექსანდრე ბოშიშვილი
ზურაბ პაპასქირი
მანანა მესხია

სარედაქციო კოლეგია:
მარიამ ლორთქიფანიძე
გიული ალასანია
თეიმურაზ პაპასქირი
აპოლონ თაბუაშვილი
ქეთევან გოჩიტაშვილი
ლერი თავაძე
შალვა გლოველი
აკაკი ჩიქობავა
ემილ ავდალიანი
ეკა კვირკველია
ჰიროტაკე მაედა (იაპონია)
ფარჰად ჯაბაროვი (აზერბაიჯანი)
მიხაილ ჩორეფი (რუსეთი)
ალირეზა სოლეიმანზადე (ირანი)
გუნტის ზემიტისი (ლატვია)
რიმვიდას პეტრაუსკასი (ლიტვა)
ანჯეი პუქშტო (ლიტვა)
ჟაიმე დე ფერა ი ჟიზბერტი (ესპანეთი)
რობერტო მარტინ არანდა (ესპანეთი)

Editors:
Tedo Dundua
Alexander Boshishvili
Zurab Papaskiri
Manana Meskhia

Editorial Board:
Mariam Lordkipanidze
Giuli Alasania
Teimuraz Papaskiri
Apolon Tabuashvili
Ketevan Gochitashvili
Leri Tavadze
Shalva Gloveli
Akaki Chikobava
Emil Avdaliani
Eka Kvirkvelia
Hirotake Maeda (Japan)
Farhad Jabbarov (Azerbaijan)
Mikhail Choref (Russia)
Alireza Soleymanzadeh (Iran)
Guntis Zemītis (Latvia)
Rimvydas Petrauskas (Lithuania)
Andžej Pukšto (Lithuania)
Jaime de Ferrá y Gisbert (Spain)
Roberto Martín Aranda (Spain)

http://geohistory.humanities.tsu.ge
E-mail: geohistory@tsu.ge

შემდგენლები: თ. დუნდუა, ა. ბოშიშვილი, ზ. პაპასქირი, მ. მესხია
ავტორთა სტილი დაცულია

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2016

ISSN 1987–9970

შინაარსი
CONTENTS

მემორიალი

როინ მეტრეველი, ზურაბ პაპასკირი
ცხოვრება და ღვაწლი სახელოვანი მეცნიერისა – *შოთა მესხია* 11
Roin Metreveli, Zurab Papaskiri
Life and Activities of the Famous Scholar: *Shota Meskhia* (Summary) 51

შოთა მესხიას სამეცნიერო პუბლიკაციები 52

† გიორგი ჩიტაია
დიდი დანაკლისი 61

† მუხრან მაჭავარიანი
იშვიათი პიროვნება..... 63

† რევაზ ჯაფარიძე
პატიოსანი სანთელი..... 63

† ზუტა ბერულავა
სახელი მისი და საქმე მისი..... 64

† თამარ გამსახურდია, † ნოდარ ასათიანი,
† შოთა ბადრიძე, † გიორგი ნადირაძე
მასწავლებელი..... 67

† გიორგი მელიქიშვილი
შესანიშნავი მეცნიერი და მოქალაქე.
შოთა მესხიას დაბადებიდან 80 წლისთავის გამო 70

† გივი ფორდანია
მცირე მოგონება დიდ მამულიშვილზე და ერის გუშაგზე 74

† ოთარ ლორთქიფანიძე
რამდენიმე სიტყვა პროფესორ შოთა მესხიაზე 82

† ნოდარ ლომოური
მშობელი ერის მეისტორიე, *შოთა მესხიას დაბადების 70 წლისთავი* 84

† ლევან სანიკიძე
ისტორიკოს-არისტოლოგოსი 89

† ნოდარ ასათიანი
გახსენება 91

† გიორგი ნადირაძე
ერის ღონე მოამაგე შვილი 95

† ილია ანთელავა
ეს იყო კაცი... 98

† გულიევერ იობაშვილი
ისტორიის მადლით ამაღლებული, *შოთა მესხია – 80* 102

პორტრეტი მოგონებებით – *პროფესორ შოთა მესხიას დაბადებიდან 70 წლისთავი* 106

მარიამ ლორთქიფანიძე
რამდენიმე შტრიხი შოთა მესხიას ბიოგრაფიისთვის 110

ნოდარ შენგელია
მცირე მოგონება შოთა მესხიაზე 113

გურამ ყორანაშვილი
მოძღვრის გახსენება 117

ოთარ მიმინოშვილი
თეთრი ტაძრის მუდმივი ბინადარი *მასწავლებლის გახსენება* 123

ზაალ ქორთუა
შოთა მესხია და ზუგდიდი 126

თეონა ბუფენია
შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი 130

შოთა მესხიას არქივიდან

შოთა მესხია
„საცნობლად თავისადაო“ 134

შოთა მესხია
გამოხმაურება წერილზე: *„ქართლის ცხოვრება“ და ჩვენი სკოლა“* 146

ჩვენი მარადი თანამგზავრი 150

შტუდიები

ნესტან სულავა

სახისმეტყველებითი ასპექტები „წმ. კონსტანტი კახის წამებაში“ 155

Nestan Sulava

Some Symbolic Aspects in the “Martyrdom of Saint Konkstanti Kakhi” (Summary) 177

ნინო სილაგაძე

„გროტესკის“ სტილის დეკორი: ანტიკური მემკვიდრეობა 178

Nino Silagadze

Grotesque: The Heritage of Antiquity (Summary) 206

მიხეილ ბახტაძე

ქართული და ბიზანტიური ტიტულატურის ურთიერთმიმართება ბაგრატიონთა საგვარეულოში IX-X საუკუნეებში 208

Mikheil Bakhtadze

Georgian and Byzantine Titles and Their Interrelation in Bagrationi Dynasty in 9th-10th Centuries (Summary) 225

გიორგი სოსიაშვილი

შიდა ქართლის ლაპიდარული წარწერები და ტბელთა ფეოდალური საგვარეულო 227

Giorgi Sosiashvili

Shida Kartli Lapidaric Inscriptions and Feudal Family of the Tbelis (Summary) 249

ჯაბა სამუშია

წეფთის ციხე 250

Jaba Samushia

Tsepta Fortress (Summary) 272

იოსებ ალიმბარაშვილი

კიდევ ერთხელ მეტეხის ოთხთავისა და მისი ანდერძ-მინაწერების შესახებ 273

Ioseb Alimbarashvili

Once Again About Metekhi Gospel and its Testaments and Colophons (Summary) 284

მამუკა წურწუმია
შუა საუკუნეების არმიების ლოგისტიკა 285
Mamuka Tsurtsumia
The Logistics of Medieval Armies (Summary) 302

ელდარ მამისთვალიშვილი
საქართველო-რომის ურთიერთობა XIII საუკუნის მეორე ნახევარში 303
Eldar Mamistvalishvili
Georgia and the Holy See in the Second Half of the 13th Century (Summary) 315

კახა კვაშილავა
გიორგი XI სპარსეთში (1700-1709). ბრძოლა საქართველოსათვის 316
Kakha Kvashilava
Giorgi XI in Persia (1700-1709): Fight for Georgia (Summary) 351

ევგენი ჭანიშვილი
ნადირ შაჰის ახალი საფასე 352
Evgeni Chanishvili
Nadir Shah's New Coin (Summary) 357

ელენე გოგიაშვილი
ჰერმან ჰენრიხსის „მოკლე ამბავი პრინც ჰერაკლიუსისა და საქართველოს თანამედროვე მდგომარეობისა" და მისი პირველწყარო 358
Elene Gogiashvili
The Primary Source of "The Short Chronicle on the Prince Heraclius and Contemporary State of Georgia" by Hermann Henrichs (Summary) 366

Михаил Чореф
Бисти Гиоргия XII из юго-западного Крыма 367
Mikhail Choref
Bisti of Giorgi XII From South-Western Crimea (Summary) 373

ნოდარ შენგელია
რამდენიმე დოკუმენტი შავშეთის, იმერხევისა და მაჭახლის ლივების შესახებ 374
Nodar Shengelia
Several Documents about Shavsheti, Imerkhevi and Machakhela Livas (Summary) 391

როლანდ თოფჩიშვილი
საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების
სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები 392
Roland Topchishvili
Economic Ties of Georgia's Historical-Ethnographic Regions (Summary) ... 421

როზეტა გუჯეჯიანი
დადეშქელიანთა სამთავრო რეზიდენცია ეცერში – ისტორია და
კულტურულ-სოციალური ასპექტები 422
Rozeta Gujejiani
Dadeshkeliani Principality Residence in Etseri – History and Cultural-Social
Aspects (Summary) 440

Иа Джичонаия, Бежан Хорава
Завоевание Россией Западного Кавказа и Абхазия 444
Ia Jichonaia, Bezhan Khorava
Conquest of the Western Caucasus by the Russians and Abkhazia
(Summary) 462

დიმიტრი შველიძე
მიხაკო წერეთელი – ქართველი ერის წარმოშობის შესახებ 463
Dimitri Shvelidze
Mikhako Tsereteli About Origin of Georgian Nation (Summary) 477

ჯემალ გამახარია
წმინდა მღვდელმოწამე კირიონ III (II) (საძაგლიშვილი) 1908-1910
წლების გადასახლების პერიოდში 478
Jemal Gamakharia
Saint Martyr Kirion III (II) (Sadzaglishvili) During the Period of Exile in the
Years 1908-1910 (Summary) 504

Фархад Джаббаров
Фактор Азербайджанской нефти в политике России по утверждению
советской власти в Грузии (1920-1922) 506
Farhad Jabbarov
Factor of Azerbaijan Oil in the Policy of Russia while Establishing the Soviet
Power in Georgia (1920-1922) (Summary) 515

იგორ კეკელია
შოთა მესხიას ეტიმოლოგიური ძიებანი 516
Igor Kekelia
Etimological Researches of Shota Meskhia (Summary) 529

ზურაბ პაპასქირი
„დამოუკიდებელი“ აფხაზეთის ქომაგთა ახალი ანტიქართული ინსინუაციების შესახებ *ანდრეი ეპიფანცევის სტატიის: „საქართველოს ეკლესია. ანუ სავლე როგორ იქცა პავლედ. საეკლესიო საკითხი“ («Грузинская церковь. Павл, становящийся Савлом. Церковный вопрос») გამო* 530
Zurab Papaskiri
On New Anti-Georgian Insinuations of the Supporters of "Independent" Abkhazia In connection with A. Epifantsev's article, "The Georgian Church, Paul Turned into Saul. The Question of the Church" (Summary) 563

საერთაშორისო პრეზენტაცია
International Conferences

Tedo Dundua, Emil Avdaliani
Coins of Muslim Rulers Struck at Tbilisi Mint (General Overview) 564

Николай Джавахишвили
Из истории тбилисского периода жизни латышского художника Романа Суты 572

Bondo Kupatadze
"Guys from the Airplane" (The Soviet Myth and Reality) 599

რეცენზია

Гурам Мархулия, Бежан Хорава
Ценная книга о грузино-балтийских взаимоотношениях 609

გურამ ყორანაშვილი
მოსაზრებანი აფხაზი ფილოსოფოსის ოლეგ დამენიას წიგნის: *„აფხაზეთი საუკუნეების მიჯნაზე“ («Абхазия на рубеже веков»)* თაობაზე 619

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება.
შოთა მესხია – 100
თბილისი. 2016

მემორიალი

როინ მეტრეველი, ზურაბ პაპასქირი

ცხოვრება და ღვაწლი სახელოვანი მეცნიერისა *შოთა მესხია*

100 წელი შესრულდა გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, სასიქადულო მამულიშვილის, თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის მამამთავრის – დიდი ივანე ჯავახიშვილისა და მისი სახელოვანი მოწაფეების, სიმონ ჯანაშიას და ნიკო ბერძენიშვილის ღირსეული მემკვიდრის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, წლების მანძილზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგისა და ისტორიის ფაკულტეტის დეკანის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ შოთა მესხიას დაბადებიდან.

მიუხედავად ხანმოკლე ცხოვრებისა (ის ძალზე ადრე – 56 წლის ასაკში – გარდაიცვალა), შოთა მესხიამ ბევრი მოასწრო. ის არ იყო უბრალოდ წარმატებული მეცნიერი-ისტორიკოსი – თავისი დროის (XX ს. 40-70-იანი წლების დამდეგი) ქართული საისტორიო სკოლის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული წარმომადგენელი და ლიდერი, რომლის ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობა ფასდაუდებელი შენაძენია არა მხოლოდ საკუთრივ საისტორიო მეცნიერებისათვის, არამედ მას ზოგადეროვნული კულტურული ფასეულობაც გააჩნია. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ შოთა მესხია თავისი მაღალი ინტელექტითა და ერუდიციით, გარეგნული და შინაგანი არისტოკრატიზმით, კეთილშობილებით, მშობლიური ქვეყნისადმი უსაზღვრო სიყვარულითა და მისი ისტორიული მონაპოვრების დაცვისთვის თავგადადებული ზრუნვით, დიდი ზნეობრივი მაგალითი იყო თანამედროვეთათვის.

შოთა მესხიამ უაღრესად საინტერესო და შინაარსიანი ცხოვრების გზა განვლო. იგი დაიბადა 1916 წ. 27 აპრილს სამეგრელოს ულამაზეს სოფელ ობუჯში (წალენჯიხის მუნიციპალიტეტი) შეძლებული გლეხის ამბაკო მესხი-

ასა და აზნაურ ბიჭვა შენგელაიას ასულის – ლიდა შენგელაიას – ოჯახში. აღსანიშნავია, რომ ობუჯში – სამესხიოს უბანში – მესხიების ნაეზოვარს დღესაც „ამბაკოშ ნოხორის“ („ამბაკოს ნასახლარი“) სახელით მოხსენიებენ.

ობუჯი არაერთი სახელოვანი ქართველი მოღვაწის ოდაბადეა. ამ სოფლის მკვიდრნი იყვნენ ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ლეო ქიაჩელი (შენგელაია) და ქართული კინემატოგრაფიის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი ნიკოლოზ შენგელაია. სწორედ ლეო ქიაჩელის ახლო ნათესავი იყო შოთას დედა – ქალბატონი ლიდა.

ამბაკო მესხია მთელს ოდიშსა და სამურზაყანოში საკმაოდ წარმატებული მეწარმე ყოფილა – მას თავისი ხის დამამუშავებელი საწარმო ჰქონია. დღესაც შემორჩენილია ჩანაწერები საბანკო ჩეკების წიგნიდან, რომლებშიც დაფიქსირებულია ა. მესხიას მიერ განხორციელებული ათეულობით ათასი მანეთის ოდენობის საბანკო ოპერაციები, მათ შორის, საქველმოქმედო მიზნით გაწეული ხარჯები. შოთას დაბადებიდან ერთი წლის შემდეგ მესხიების ოჯახი ობუჯიდან სოფ. გაგიდაში (თანამედროვე გალის რაიონში) გადასულა და იქ რამდენიმე წელი უცხოვრიათ, რის შემდეგ (1920-21 წწ.) უკვე ზუგდიდში დაფუძნებულან.

ამ დროიდან ზუგდიდი იქცა შ. მესხიას მეორე ადგილის დედად – მშობლიურ ქალაქად, სადაც მან გაატარა ბავშვობის, ყრმობისა და ჭაბუკობის წლები – აქ სწავლობდა ის არასრულ საშუალო სკოლაში (1923-1930 წწ.) და ზუგდიდის სატყეო ტექნიკუმში. ზუგდიდი გახდა მისი მშობლების საძვალე – ისინი აქ განისვენებენ ე.წ. „რკინიგზის სასაფლაოზე“, მესხიების სანათესაოს სხვა წარმომადგენლების გარემოცვაში. თავის მხრივ, ზუგდიდლებსაც შოთა მესხია ყოველთვის თანაქალაქელად მიაჩნდათ და ეამაყებოდათ იგი. ამიტომაც მიაგეს ღირსეული პატივი გამოჩენილი მეცნიერის ხსოვნას, რაც იმაში გამოიხატა, რომ ქალაქის ერთ-ერთი ქუჩა (იმ უბანში, სადაც ამბაკო მესხიას ოჯახი ცხოვრობდა) და, რაც მთავარია, ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი – მთელი რეგიონის უმაღლესი განათლების უმთავრესი კერა – შოთა მესხიას სახელს ატარებს.

შ. მესხია მოსწავლეობის პერიოდიდან გამოირჩეოდა სიბეჯითითა და მუყაითობით. ის ბევრს კითხულობდა, განსაკუთრებით გატაცებული იყო პოლიტიკური ლიტერატურით. სატყეო ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ 1933 წელს შოთა მესხია ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. იგი ისმენს გამოჩენილი ქართველი მეცნიერებისა და საზოგა-

დო მოღვაწეების – ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას, შალვა ნუცუბიძისა და სხვათა ლექციებს, მთელი სიღრმით შეიგრძნობს თავისი ქვეყნის დიდ სიყვარულს, პატივისცემის აუცილებლობას წარსულისადმი და მომავლის დიდ პერსპექტივას. სტუდენტობის წლებში ეყრება საფუძველი შ. მესხიას, როგორც საქართველოს ისტორიის მკვლევრის ფორმირებას. ივანე ჯავახიშვილი და სიმონ ჯანაშია ღრმა გავლენას ახდენენ ახალგაზრდა ისტორიკოსზე.

როგორც უკვე აღინიშნა, ბატონ შოთას დედის მხრიდან ენათესავებოდა ლეო ქიაჩელი, რომელმაც ზოგადად დიდი კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა მომავალი მეცნიერის ცხოვრებაზე. ლეო ქიაჩელი ხშირად ჩადიოდა თურმე ნათესავების მოსანახულებლად ზუგდიდში და მშობლიურ ობუჯში. მისი ყოველი გამოჩენა დიდი სიხარული იყო ყველასათვის, განსაკუთრებით ბავშვებისათვის. მწერალი ყოველთვის რაღაცით ასაჩუქრებდა ახალგაზრდებს. ერთხელ მას პატარა შოთასათვის საჩუქრად ჩაუტანია თავისი საბავშვო მოთხრობების კრებული: *„ზღვა, მზე და ოთარიკო“*. შესანიშნავად ილუსტრირებულ და კარგად გამოცემულ წიგნს შოთაზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოუხდენია.

სტუდენტობის წლები შოთა მესხიამ ლეო ქიაჩელის ოჯახში გაატარა, სადაც მას ცხოვრებისა და სწავლის კარგი პირობები შეექმნა. იგი მწერლის შვილებთან – ნათელასა და ოთართან ერთად იზრდებოდა. რაიონიდან ჩამოსული ახალგაზრდისათვის დიდი მწერლის ოჯახში ცხოვრება მეორე უნივერსიტეტი იყო და პიროვნების ჩამოყალიბებისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანი. მწერლის გულისხმიერება, კეთილი თვისებები, იშვიათი ტაქტი, დამოკიდებულება ოჯახის წევრებთან თუ მეგობრებთან, მისაბაძი მაგალითი იყო მოზარდებისათვის. *„რომ ლეო ქიაჩელი და მისი ოჯახი არა,* – იგონებდა შემდგომ შ. მესხია, – *ალბათ ვერ შევძლებდი სწავლის გაგრძელებას, ვერ ვეღირსებოდი სტუდენტობას, რომელიც ასე სანატრელი იყო ჩემთვის, ისე როგორც ყველა ახალგაზრდისათვის საერთოდ“*.

შოთა მესხიას ცხოვრებაში სრულიად განსაკუთრებული ადგილი უკავია გამოჩენილ ქართველ ისტორიკოსს სიმონ ჯანაშიას, რომელმაც, როგორც სტუდენტობისას, ისე შემდგომ პერიოდში თავისი მადლი დაატყო მომავალი მეცნიერის გზას. შოთა მესხიამ 1937 წელს წარჩინებით დაამთავრა უნივერსიტეტი და იმავე წლის 1 სექტემბრიდან დაინიშნა ზუგდიდის რაიონის სოფ. კახათის საშუალო სკოლის დირექტორად, სადაც იმუშავა 1938 წ. 2 ოქტომბრამდე. პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად იგი ემზადებოდა სამეცნიერო მოღვაწეობისათვის.

1938 წელს შოთა მესხია შედის სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის (ენიმკის) ასპირანტურაში. აქ ახალგაზრდა მეცნიერი წრთობას გადის აკად. სიმონ ჯანაშიას ხელმძღვანელობით და იწყებს ფეოდალური საქართველოს ისტორიის მეტად მნიშვნელოვანი პრობლემის – ხელოსნური წარმოების ისტორიის შესწავლას. ასპირანტურა შოთა მესხიამ 1941 წელს დაასრულა. საკანდიდატო დისერტაციაც დამთავრების სტადიაში იყო. საჭირო იყო მოძიებული უხვი მასალის სისტემატიზება და ყველა დაკვირვება-დასკვნის ქაღალდზე გადატანა.

მაგრამ კარგად დაწყებული საქმის დაგვირგვინება ამჯერად ვერ მოხერხდა. დაიწყო ომი. შოთა მესხიამ თავისი მეცნიერული გეგმები გვერდზე გადადო, დატოვა ახლად შერთული მეუღლე, ხელში შაშხანა აიღო და ფრონტის ხაზს მიაშურა. ჯერ საწვრთნელი სწავლება გაიარა, შემდეგ კი, როგორც ოფიცერი, მამაცურად იბრძოდა ჩრდილო კავკასიის ფრონტებზე. შოთა მესხიას ოცეულს სხვადასხვა საბრძოლო დავალების შესრულება უხდება ჩრდილოეთ კავკასიაში, მონაწილეობს ანაპის ბრძოლებში. გამოჩენილი ვაჟკაცობისათვის იგი დაჯილდოვდა სამამულო ომის II ხარისხის ორდენით და მედლით *„კავკასიის დაცვისათვის“*: 1942 წ. 13 მარტს ერთ-ერთ ბრძოლაში (ქერჩის მახლობლად) შოთა მესხია დაიჭრა და ბრძოლის ველის დატოვება მოუხდა. იგი ჯერ კისლოვოდსკის ჰოსპიტალში მკურნალობდა, შემდეგ საქართველოში ჩამოვიდა და თავის საქმეს – მეცნიერულ კვლევას დაუბრუნდა.

შოთა მესხიამ მუშაობა დაიწყო ენიმკის უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად, შეუდგა სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო გაფორმებას და ოთხი თვის დაძაბული, ინტენსიური მუშაობის შემდეგ დაასრულა იგი. ჯერ პროფ. ნიკო ბერძენიშვილი გაეცნო ამ გამოკვლევას და მოიწონა, შემდეგ აკადემიკოს სიმონ ჯანაშიასაგან იქნა ხელდასხმული. 1942 წ. 15 დეკემბერს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში შ. მესხიამ დაიცვა დისერტაცია თემაზე – *„ხელოსნობა ძველ საქართველოში V-XII სს“* (ოფიციალური ოპონენტები: სიმონ ყაუხჩიშვილი და ვარლამ დონდუა) და სამეცნიერო საბჭომ ერთხმად მიანიჭა მას ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

სამეცნიერო ხარისხის მოპოვების შემდეგ შ. მესხია ინიშნება ისტორიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომლად. ნიჭიერი მკვლევრის ცოდნა და დიდი ენერგია პედაგოგიური მუშაობის სარბიელზეც იყო საჭირო. 1943 წლიდან შოთა მესხია მიიწვიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სა-

ქართველოს ისტორიის კათედრაზე უფროს მასწავლებლად. 1945 წლიდან იგი საქართველოს ისტორიის კათედრის დოცენტია და დაუღალავად გადასცემს ახალგაზრდობას თავის ცოდნას, უკითხავს საქართველოს ისტორიას, დიდი გატაცებით ასწავლის სტუდენტებს საქართველოს წარსულს. ამ პერიოდში მეცნიერი ფართო კვლევით მუშაობას ეწევა. იგი დაინტერესებულია წყაროთმცოდნეობის ცალკეული საკითხებით, განსაკუთრებით კი ყურადღებას ამახვილებს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის პრობლემებზე.

შოთა მესხიას სამეცნიერო კვლევის სფეროში ექცევა ფეოდალური საქართველოს ქალაქები და საქალაქო წყობილება. ეს პრობლემა ფაქტობრივად შეუსწავლელი იყო ქართულ ისტორიოგრაფიაში. გარდა საკითხის შესახებ არსებული ქართული და უცხოური წყაროების შესწავლისა, საჭირო იყო რუსული და დასავლური ისტორიოგრაფიის მიღწევების საფუძვლიანი გაცნობა. ამ მხრივ მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შოთა მესხიას მივლინებას მოსკოვში 1951 წელს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის დოქტორანტურაში. აქ იგი გამოჩენილი რუსი ისტორიკოსის, XX საუკუნის ისტორიული რუსისტიკის თვალსაჩინო წარმომადგენლის, აკადემიკოს მიხეილ ტიხომიროვის მეთვალყურეობითა და ხელმძღვანელობით აწარმოებს ინტენსიურ კვლევა-ძიებას. 1953 წ. დეკემბერში შოთა მესხიამ დაასრულა დოქტორანტურის სრული კურსი და თბილისს დაუბრუნდა. 1955 წ. 24 იანვარს, მოსკოვში, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე მან წარმატებით დაიცვა დისერტაცია თემაზე: *„ფეოდალური საქართველოს ქალაქები და საქალაქო წყობილება“*, რისთვისაც მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

1954 წლიდან შოთა მესხია მუშაობას იწყებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომლად და ასრულებს ფეოდალური პერიოდის საქართველოს ისტორიის განყოფილების გამგის მოვალეობას. 1956 წელს შოთა მესხია ხდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე – იმ კათედრისა, რომელსაც სხვადასხვა დროს განაგებდნენ შოთა მესხიას მასწავლებლები და უფროსი კოლეგები, აკადემიკოსები: ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი. ამ თანამდებობაზე მან სწორედ ეს უკანასკნელი შეცვალა.

ამიერიდან ჯერ კიდევ ახალგაზრდა მკვლევარს სხვა მოვალეობებთან ერთად მეცნიერების ორგანიზებაც ეკისრებოდა, რადგან კათედრა, რომელსაც

ჩაუდგა იგი სათავეში, საქართველოს ისტორიის კვლევის მნიშვნელოვანი ცენტრი იყო. სწორედ ამ კათედრაზე, თავის კოლეგებთან ერთად მოღვაწეობდა შოთა მესხია. მისი თაოსნობითა და რედაქტორობით მოეწყო არაერთი სამეცნიერო სესია, გამოიცა სამეცნიერო შრომების არაერთი კრებული. იგი დიდ დახმარებას უწევს უმცროს კოლეგებს, ასპირანტებს. თვითონ ზედმიწევნით ბეჯითი, შრომისმოყვარე და კეთილსინდისიერი მკვლევარი, სამაგალითო იყო ყველასათვის. 1957 წელს შ. მესხიას პროფესორის წოდება მიანიჭეს. 1961 წლიდან კი ის თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანიცაა.

ისტორიის ფაკულტეტის ხელმძღვანელობა არანაკლებ საპატიო და საპასუხისმგებლო იყო. ამ პერიოდის (გასული საუკუნის 60-იანი წლები) ისტორიის ფაკულტეტი მეტად ავტორიტეტული იყო თავისი შემადგენლობით. აქ მოღვაწეობდნენ ქართული საისტორიო მეცნიერების, ზოგადად, ქართველოლოგიის კორიფეები: გიორგი ჩიტაია, გიორგი მელიქიშვილი, შალვა ამირანაშვილი, ვახტანგ ბერიძე, მათე ალექსიშვილი, გივი ჯორდანია, დავით გვრიტიშვილი, ოთარ ჯაფარიძე, მარიამ ლორთქიფანიძე, იასე ცინცაძე, აკაკი სურგულაძე, აბელ კიკვიძე; შედარებით ახალგაზრდები: ნოდარ ნაკაშიძე, ვალერიან მაჭარაძე, ნოდარ ასათიანი და სხვები. ეს იყო ერთი იდეის ქვეშ გაერთიანებული შეკრული კოლექტივი, რომელსაც გამორჩეული, განსაკუთრებული მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა სტუდენტებთან. სწორედ ამ განსაკუთრებულობამ ისინი საყვარელ პედაგოგებად აქცია და დიდი სახელი მოუტანა მათ. ისტორიის ფაკულტეტის დეკანის, ისე როგორც საქართველოს ისტორიის კათედრის გამგის თანამდებობაზე, შოთა მესხია გარდაცვალებამდე მუშაობდა.

1966 წელს ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის შ. მესხია დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით, 1967 წელს კი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მას მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება. იმავე 1967 წელს შ. მესხია აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

შ. მესხიას მომავალი მუშაობის საინტერესო და ფართო გეგმები ჰქონდა დასახული, მაგრამ მოულოდნელმა, მძიმე, განუკურნებელმა სენმა ნაადრევად შეწყვიტა მისი სიცოცხლე. იგი გარდაიცვალა 56 წლის ასაკში 1972 წ. 15 მაისს. შოთა მესხია დაკრძალულია ქართველ მოღვაწეთა დიდების პანთეონში.

შოთა მესხიამ სოლიდური და მრავალფეროვანი მეცნიერული მემკვიდრეობა დატოვა. იგი ავტორია ასამდე გამოქვეყნებული გამოკვლევისა. მას ფუნდა-

მენტურად აქვს დამუშავებული ძველი ქართული ხელოსნობის ისტორია, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება, შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის პრობლემები. ძალზე ნაყოფიერი იყო მეცნიერის მუშაობა წყაროთმცოდნეობისა და ისტორიოგრაფიის სფეროში და ა.შ.

პირველივე სერიოზულმა გამოკვლევამ – *„ხელოსნობა ძველ საქართველოში (V-XII სს.)“*, რომლისთვისაც შ. მესხიას, როგორც უკვე აღინიშნა, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა, ახალგაზრდა მკვლევარს ფართო აღიარება მოუტანა. აღნიშნული ნაშრომი V-XII საუკუნეების საქართველოს ხელოსნური წარმოების ისტორიის სიღრმისეული და ამომწურავი მონოგრაფიული შესწავლის პირველი და უდავოდ წარმატებული ცდაა, რომელიც დღემდე რჩება საეტაპოდ ქართულ ისტორიოგრაფიაში. მანამდე კავკასიისა და საქართველოს ხელოსნობის ისტორიით დაკავებული სპეციალისტები ძირითადად XVIII-XIX საუკუნეებით (ისიც უპირატესად ამქრობის ისტორიის შესწავლით) ინტერესდებოდნენ და ძველი საქართველოს ხელოსნობის შესწავლა მათი მეცნიერული კვლევის არეალს მიღმა რჩებოდა.

ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, ერთადერთი გამონაკლისი იყო თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის ფუძემდებელი ივანე ჯავახიშვილი, რომელმაც გაამახვილა ყურადღება ადრინდელი პერიოდის ხელოსნობის ისტორიის ცალკეულ საკითხებზე და საკმაოდ საინტერესო (ამავე დროს სახელმძღვანელო) დებულებები წარმოადგინა, თუმცა ვრცელი მონოგრაფიული გამოკვლევის შექმნა ამ სფეროში მეცნიერს არ დასცალდა. სწორედ შოთა მესხიას ხვდა წილად თავისი დიდი მასწავლებლის ჩანაფიქრის ხორცშესხმა.

პირველი, რაც თვალშისაცემია აღნიშნულ ნაშრომში, არის ავტორის (ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მკვლევრის) მხრიდან ძველი ქართული წერილობითი მემკვიდრეობის სიღრმისეული ცოდნა და მოძიებული მასალის კრიტიკული ანალიზის სკრუპულოზურობა. ამ კუთხით შ. მესხიას მონოგრაფია არის ერთგვარი ნიმუში იმისა, თუ როგორ უნდა მოიძიო მისხალ-მისხალ მრავალფეროვან წერილობით (როგორც ორიგინალურ, ისე – ნათარგმნ) ძეგლებში მიმოფანტული მასალები, დააწყო, სისტემაში მოიყვანო, ყველას თავისი ადგილი მიუჩინო, ამით წარმოაჩინო სრული პალიტრა და შექმნა მეცნიერულად გამართული სურათი ხელოსნობის განვითარებისა ძველ საქართველოში.

ნაშრომში გამოწვლილვითაა შესწავლილი ხელოსნობის ყველა ის დარგი, რომელიც ცნობილი იყო V-XII საუკუნეების საქართველოში, დადგენილია ხელობისა და ხელოსნობის აღმნიშვნელი ტერმინები. შ. მესხიას განმარტებით,

„ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში ხელოსანი თავდაპირველად „ხუროდ“ იწოდებოდა, შემდეგ „ხელოვნად“ და „ხელოსნად“, რასაც უფრო გვიან ზოგჯერ ირანული წარმოშობის „ოსტატიც“ ცვლის“.[1] სწორედ სიტყვა *„ხურო“*-დან იყო ნაწარმოები სხვადასხვა დარგის ხელოსნების აღმნიშვნელი ტერმინები: *„ქვერით ხურო“*, ანუ *„ხურო რვალისა და რკინისა“*, *„ქვით ხურო“*, ანუ *„კირით ხურო“*, *„ძელით ხურო“*, ანუ *„ხით ხურო“* და ა.შ. სხვადასხვა სახის მასალაზე (წერილობითი წყაროები, მატერიალური კულტურის ძეგლები) დაყრდნობით შ. მესხიამ დაასაბუთა, რომ ძველ საქართველოში ხელოსნური წარმოება საკმაოდ განვითარებული იყო და რომ აქ გვხვდება შუა საუკუნეების მსოფლიოსათვის ცნობილი თითქმის ყველა სახეობა.

ხელოსნობის ისტორიის შესწავლამ, როგორც ჩანს, მკვლევარი მიიყვანა შუა საუკუნეების საქართველოს ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების პრობლემატიკასთან. ეს თემა ქართულ ისტორიოგრაფიაში იმჟამად, ასევე, პრაქტიკულად დაუმუშავებელი იყო. პირველი დაკვირვებები მოცემული მიმართულებით შ. მესხიამ წარმოადგინა ჯერ კიდევ XX ს. 50-იანი წლების დამდეგს გამოქვეყნებულ ნაშრომებში.[2] უფრო საფუძვლიანად და მასშტაბურად აღნიშნული პრობლემის შეწავლას მეცნიერი შეუდგა თავის სადოქტორო დისერტაციაში, რომელსაც ის, როგორც უკვე აღინიშნა, აკადემიკოს მიხეილ ტიხომიროვის ხელმძღვანელობით ამუშავებდა.[3]

---

[1] შ. მესხია. ხელოსნობა ძველ საქართველოში (V-XII სს.). საისტორიო ძიებანი. ტ. I. თბ. 1982, გვ. 22-23.

[2] შ. მესხია. საქართველოს ქალაქების სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქალაქი და ფეოდალური არისტოკრატია XI-XIII სს.). მიმომხილველი. ტ. II. თბ. 1951, გვ. 83-107; დ. გვრიტიშვილი, შ. მესხია. თბილისის ისტორია. თბ. 1952.

[3] ის, რომ (სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის დოქტორანტურაში) შოთა მესხიას სამეცნიერო ხელმძღვანელ-კონსულტანტად მაინც და მაინც აკად. მ. ტიხომიროვი შეირჩა, არ იყო შემთხვევითი. იმ პერიოდში სწორედ იგი ითვლებოდა ქალაქების ისტორიის წამყვან სპეციალისტად რუსეთში, რომლის კალამს ეკუთვნოდა არაერთი ნაშრომი ძველ რუსულ ქალაქებზე, მათ შორის ფუნდამენტური მონოგრაფია (М. Н. Тихомиров. Древнерусские города. Ученые записки МГУ. Вып. 99. Издательство МГУ. М. 1946. ამ მონოგრაფიის მეორე შევსებული გამოცემა გამოვიდა 1956 წელს. იხ.: М. Н. Тихомиров. Древнерусские города. Изд. 2. М. 1956. აკად. მ. ტიხომიროვის სამეცნიერო მემკვიდრეობის შესახებ რუსული ქალაქების შესწავლის სფეროში იხ.: С. В. Алексеева. М. Н. Тихомиров как историк древнерусского города. წგნ.: М. Н. Тихомиров. Древнерусские города. СПб. 2008, გვ. 5-20. ზოგადად, მ. ტიხომიროვის შემოქმედებაზე: В. В. Ковеля. М. Н. Тихомиров и его научное наследие: развитие научных концепций и влияние политико-идеологического фактора. Диссертация на соискание ученой степени кандидата исторических наук. Брянск. 2016, იქვე შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურა).

შ. მესხიამ წარმატებით გაართვა თავი დასახულ ამოცანას და შექმნა კაპიტალური გამოკვლევა – *„ქალაქები და საქალაქო წყობილება ფეოდალურ საქართველოში (XVII-XVIII სს.)“*, რომელიც დღემდე რჩება არა უბრალოდ საეტაპო ნაშრომად ქალაქების ისტორიაში, არამედ, საყოველთაო აღიარებით, შ. მესხიას აღნიშნული მონოგრაფია პრობლემის აქტუალობით, გამოკვლევის მასშტაბურობითა და სიღრმით, მიღებული შედეგებით ქართული ისტორიოგრაფიის დიდ შენაძენს წარმოადგენს. ნაშრომი, ცალკეული შემოკლებებით (მაგალითად, წიგნში ვერ მოხვდა პრობლემის ირგვლივ არსებული წყაროთმცოდნეობითი ბაზისა და ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობის სანიმუშოდ შესრულებული მიმოხილვა),[4] პირველად გამოიცა რუსულ ენაზე,[5] სრული ქართული ვერსია კი დაიბეჭდა 1983 წელს მეცნიერის შრომების II ტომში.[6]

შ. მესხიას მონოგრაფიაში ფუნდამენტურადაა გამოკვლეული ფეოდალური საქართველოს ქალაქების ისტორია, გარკვეულია მათი ადგილი და როლი ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში; შესწავლილია ფეოდალური საქართველოს ქალაქების აღმოცენების პროცესი, განსაზღვრულია მათი განვითარების ცალკეული ეტაპები, ქალაქების ეკონომიკური მდგომარეობა, სასაქონლო წარმოებისა და ვაჭრობის განვითარება, სოციალური ურთიერთობანი. ამასთან, მკვლევარმა წარმოაჩინა ქალაქების დამოკიდებულება სამეფო ხელისუფლებასთან, საქალაქო მმართველობის ხასიათი, ფეოდალურ ურთიერთობათა გავლენა საქალაქო წყობილებაზე; დეტალურად განიხილა ხელოსნური და სავაჭრო ორგანიზაციების აღმოცენების პირობები, მათი როლი საქალაქო ცხოვრების განვითარების ცალკეულ ეტაპებზე, დაადგინა ქართული ქალაქების ძირითადი ტიპები და გარეგნული სახე.

შ. მესხიამ ფართოდ გააშუქა XVII-XVIII საუკუნეების საქართველოს ქალაქების ვაჭრობა-ხელოსნობის სპეციფიკური მხარეები, შეეცადა განესაზღვ-

---

[4] აღსანიშნავია, რომ ამის გამო წუხდნენ ცნობილი რუსი მეცნიერები, კერძოდ, კიევში მოღვაწე ისტორიკოსი, კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე, პროფ. ანდრეი ედენსკი, რომელიც თავის წერილში შოთა მესხიასადმი საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ მისთვის, როგორც ქართული ენის არმცოდნისთვის მეტად „საჭირო და სასარგებლო“ იქნებოდა ეს „გამოტოვებული თავი“, რადგან „უკრაინაში და რუსეთშიც ცუდად“ იციან „ქართული ისტორიული მეცნიერების“ განვითარება («Для меня плохо знающего грузинскую литературу и источники – эта пропущенная глава была бы неоценимо нужна и полезна. Мы на Украине, да и в РСФСР плохо знаем движение грузинской исторической науки…». იხ.: რ. მეტრეველი. შოთა მესხია. წგნ.: შოთა მესხია – 90. საიუბილეო კრებული მიძღვნილი შოთა მესხიას დაბადების 90 წლისთავისადმი. თბ. 2006, გვ. 37).

[5] Ш. А. Месхиа. Города и городской строй феодальной Грузии (XVII-XVIII вв.). Тб. 1959.

[6] შ. მესხია. საისტორიო ძიებანი. ტ. II. თბ. 1983.

რა ქალაქების მოსახლეობის რაოდენობა, სოციალური სტრუქტურა. მეცნიერის დასაბუთებული დასკვნით, „მოქალაქის“ წოდება“, როგორც მოსახლეობის ერთი ნაწილის პრივილეგია, XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე წარმოიშვა. შ. მესხიამ გაარკვია XVII-XVIII საუკუნეების ფეოდალური ქალაქების მმართველობა (მოურავი, მამასახლისი, მელიქი, ქალაქის ნაცვალი, მოურავის თანაშემწე და სხვა თანამდებობები, ქალაქის „ქეთხუდები“); შეეხო რა ხელოსნურ და სავაჭრო ორგანიზაციებს, მოგვცა ამქრის შინაგანი სტრუქტურა, წარმოადგინა „შეგირდისა“ და „ქარგლის“ ინსტიტუტები, ამქრის როლი საქალაქო ცხოვრებაში.

მიუხედავად იმისა, რომ შ. მესხიას ამ მონოგრაფიის ცენტრალური თემა გვიანი შუა საუკუნეების (XVII-XVIII სს.) საქართველოს ქალაქების ისტორია იყო, მასში არანაკლებ ფასეულია ის ნაწილი, რომელიც ეძღვნება ქართული ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების საკითხებს ანტიკურსა და ადრინდელი ფეოდალიზმის ეპოქაში, აგრეთვე, ერთიანი ქართული სახელმწიფოს არსებობის პერიოდში. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ მეცნიერის მიერ წარმოდგენილი ეს ნარკვევი, რომელიც, ერთი შეხედვით, თითქოს ძირითადი საკვლევი პრობლემის შესავალს წარმოადგენს, მასში დასმული საკითხების აქტუალობით, მოხმობილი მასალების მრავალფეროვნებით, მათი ანალიზის სიღრმითა და, რაც, მთავარია, მიღებული დასკვნებით, ბევრად სცილდებოდა ზოგადი მიმოხილვის ფარგლებს და, თავისთავად, ახალი სიტყვა იყო ქართულ ისტორიოგრაფიაში.

შოთა მესხიას არც სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ შეუწყვეტია საქართველოს ქალაქების კვლევა. მისი ყურადღების ცენტრში ამ დროიდან მოექცა თბილისი – იბერია-ქართლისა და მოგვიანებით კი ერთიანი ქართული სახელმწიფოს დედაქალაქი. მართალია, თბილისის ისტორიით მეცნიერი ჯერ კიდევ 50-იანი წლების დამდეგს დაინტერესდა, როდესაც დავით გვრიტიშვილთან ერთად გამოსცა *„თბილისის ისტორია“*;[7] მაგრამ ამ მიმართულებით მეცნიერის მუშაობა უფრო მასშტაბური გახდა 50-იანი წლების მიწურულიდან. მან თავის კოლეგებთან ერთად მოამზადა *„თბილისის ისტორიის“* ვრცელი ვერსია.[8] ნაშრომში განზოგადებულია მეცნიერის მიერ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე წარმოებული კვლევა-ძიების შედეგები. ავტორთა კოლექტივის მიერ შექმნილი *„თბილისის ისტორიის“* გამოცემა მნიშვნელოვანი მოვ-

[7] დ. გვრიტიშვილი, შ. მესხია. თბილისის ისტორია. თბ. 1952.

[8] შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი, მ. დუმბაძე, ა. სურგულაძე. თბილისის ისტორია. თბ. 1958.

ლენა იყო საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში და შ. მესხიას ღვაწლი, როგორც ამ წიგნის მნიშვნელოვანი მონაკვეთების ავტორისა და რედაქტორისა, დიდად დასაფასებელია. შოთა მესხია უყოყმანოდ შეიძლება მივიჩნიოთ საქართველოს დედაქალაქის ერთ-ერთ მემატიანედ.[9]

„თბილისის ისტორიის“ შევსებულ გამოცემაში შ. მესხიას მიერ დაწერილ თავებსა და პარაგრაფებში[10] მოკლედ, მაგრამ საკმაოდ ამომწურავადაა გაშუქებული ქალაქის დაარსების წინაისტორია, ხაზგასმულია, რომ თანამედროვე თბილისის ტერიტორია, არქეოლოგიური მონაცემების თანახმად, ჯერ კიდევ 5-6 ათასი წლის წინათ უკვე იყო დასახლებული, რომ თბილისის შემოგარენში IV ათასწლეულიდან მოყოლებული მოსახლეობა განუწყვეტლივ ყოფილა. მეცნიერი ცალკე გამოყოფს თბილისის იბერია-ქართლის დედაქალაქად გადაქცევის საკითხს; საგანგებოდ ჩერდება ქალაქის როლზე მთლიანად ქვეყნის ცხოვრებაში ადრე ფეოდალურ ხანაში (VI-X სს.), არკვევს თბილისის იერსახეს არაბობის პერიოდში.

საინტერესოდაა გადმოცემული ერთიანი ქართული სახელმწიფოს ბრძოლა თბილისის შემოსამტკიცებლად და გაერთიანებული საქართველოს სამეფო ტახტის თბილისში გადმოტანის პერიპეტიები. ფრიად მნიშვნელოვანია წიგნის ის თავები, რომლებშიც განზოგადებულია შ. მესხიას მიერ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ჩატარებული კვლევა-ძიება თბილისის ეკონომიკური ვითარების შესახებ XVIII საუკუნეში; განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: ხელოსნობა, მსხვილი სარეწები (მანუფაქტურები), ვაჭრობა, ქალაქის მოსახლეობა.

უაღრესად საყურადღებოა მეცნიერის დაკვირვებები XVIII საუკუნის თბილისის სოციალურ იერსახეზეც. მას გაანალიზებული აქვს მონაცემები

---

[9] ნიშანდობლივია, რომ შ. მესხიას სადოქტორო დისერტაციის მეცნიერ-ხელმძღვანელი აკად. მიხეილ ტიხომიროვი ასევე ითვლება რუსეთის დედაქალაქის – მოსკოვის მემატიანედ. იხ.: М. Н. Тихомиров. Древняя Москва. М. 1947; М. Н. Тихомиров. Средневековая Москва. XIV-XV вв. М. 1957 და სხვ. სრულად იხ.: М. Н. Тихомиров. Труды по истории Москвы. Под ред. С. О. Шмидта. М. 2003.

[10] აღნიშნულ გამოცემაში შ. მესხიას მიერაა დაწერილი პირველი („უძველესი თბილისი“), მეორე („თბილისი ადრეფეოდალურ ხანაში – VI-X საუკუნეებში“), მეშვიდე („თბილისის ეკონომიური ვითარება XVIII საუკუნეში“), მერვე („სოციალური ურთიერთობანი XVIII საუკუნის თბილისში“), მეცხრე („თბილისის მმართველობა და საქალაქო წესწყობილება XVIII საუკუნეში“), მეთერთმეტე („თბილისის ტერიტორია და გარეგანი სახე XVIII საუკუნეში“) თავები და მესამე თავის („თბილისი განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში – XI-XII საუკუნეებში“) 1-7 პარაგრაფები, მეოთხე თავის („თბილისი XIII-XV საუკუნეებში“) მე-7 პარაგრაფი, მეხუთე თავის („XVI-XVII საუკუნეებში“) მე-3-მე-5 პარაგრაფები.

თბილისის მოსახლეობის ზედა ფენაზე – „მოქალაქეებზე“, ყმა-ხელოსნებზე, ვაჭრებზე, ფეოდალურ არისტოკრატიაზე; განხილულია ქალაქის მოსახლეობის სამეფო და საბატონო ვალდებულებანი, თბილისის საქალაქო მმართველობა და წესწყობილება (თბილისის მოურავის, მამასახლისის, მელიქის, ქალაქის ნაცვლის, მოურავის ნაცვლისა და სხვა სამოხელეო ინსტიტუტები; „ქალაქის სამართალი“, „საკუთრების ქალაქური წესი“, ხელოსანთა და ვაჭართა ორგანიზაციები, ამქრული ორგანიზაციები და საქალაქო ცხოვრება).

და მაინც, თბილისისადმი მიძღვნილი ნაშრომებიდან გამორჩეული და მეცნიერული თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანია 1962 წელს გამოცემული მონოგრაფია თბილისის საქალაქო მმართველობაზე XI-XII საუკუნეებში.[11] იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ნაშრომი არ არის მხოლოდ ერთი კონკრეტული საკითხის – დაახლოებით XI ს. II ნახევრიდან თბილისში ევროპული კომუნის მსგავსი საქალაქო თვითმართველობის ინსტიტუტის ფუნქციონირების – წამოჭრისა და მისი არგუმენტირებული დასაბუთების უბრალო მცდელობა. შოთა მესხიას ამ მონოგრაფიაში დასმულია და ორიგინალურადაა გაშუქებული საქართველოს ოქროს ხანის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის უმნიშვნელოვანესი პრობლემები.

სათანადო წყაროებზე დაყრდნობით, მეცნიერი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ *„X-XI საუკუნეთა თბილისის ამირები, ხალიფას ადრინდელი მოხელეები, იოანე საბანისძის დროინდელი „მსაჯული ამირები“ კი არ იყვნენ, არამედ თბილისისა და მისი მიდამოების, ე.წ. „თბილისის საამიროს“ ფეოდალი მფლობელები“*:[12] მართლაც, „ამირა“ ამ პერიოდიდან არაბ მოხელეს კი არ ეწოდებოდა, არამედ თბილისისა და მისი მიდამოების მამულთა მფლობელს. უაღრესად საყურადღებოა შ. მესხიას *მიერ „ტფილელი ბერების“ („ქალაქის ბერნი“)* როლისა და ადგილის დადგენა საქალაქო მმართველობის სტრუქტურაში. მისი აზრით, „ტფილელნი ბერნი“, ანუ „ქალაქის ბერნი“ ქალაქის „ყოველი ერის“ მხოლოდ პრივილეგირებული წარმომადგენელნი შეიძლებოდა ყოფილიყვნენ;[13]

[11] შ. მესხია. საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში. თბ. 1962. იგივე პუბლიკაცია იხ.: წგნ.: შ. მესხია. საისტორიო ძიებანი. I. თბ. 1982, გვ. 199-323. აღნიშნულ ნაშრომში განვითარებული ძირითადი დებულებები წარმოდგენილია ავტორის რუსულენოვან პუბლიკაციაში. იხ.: Ш. А. Месхия. К вопросу о характере социальной борьбы и городского строя средневекового Тбилиси. Проблемы общественно-политической истории России и славянских стран. Сборник статей к 70-летию М. Н. Тихомирова. М. 1963, გვ. 72-78.

[12] შ. მესხია. საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, გვ. 25-26.

[13] შ. მესხია. საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, გვ. 29-30.

„ტფილელნი ბერნი“ თუ „ქალაქის ბერნი“ არა მარტო შეესატყვისებოდა „ტფილელ უხუცესთ“ თუ „ქალაქის უხუცესთ“, არამედ ამ ტერმინებით ამავე დროს განვითარებული ხანის საქართველოს (ამ შემთხვევაში თბილისის) საქალაქო თვითმართველობისათვის დამახასიათებელი ინსტიტუტი აღინიშნებოდა“.[14]

შ. მესხიას დაკვირვებით, XI ს. 40-იანი წლებისათვის საქალაქო თვითმმართველობას თბილისში ჩამოყალიბებული სახე ჰქონდა. იმავე საუკუნის 80-იანი წლებიდან კი ქალაქის თვითმმართველობა დამოუკიდებლობაში გადაიზარდა და თბილისი არსებითად ქალაქ-კომუნად იქცა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ *„ქალაქის გამგებლობა ამიერიდან მთლიანად „ქალაქის ბერების“, ანუ „უხუცესთა საქალაქო კრებულის“, ანუ უცხო წყაროებით, „თბილისის კეთილშობილი ჯგუფის“, „თბილისის ხალხის“ ხელში გადავიდა“.*[15] მკვლევარი ვარაუდობდა, რომ ქალაქის მმართველი საბჭო 12 წევრისაგან უნდა ყოფილიყო შემდგარი და თითოეული მათგანი წლის განმავლობაში მორიგეობით თითო თვე განაგებდა ქალაქს: *„ქალაქის გამგეების (მერის) თანამდებობა თბილისში დამოუკიდებელი კი არ იყო, არამედ ქალაქის საბჭოს წევრებს თითო თვით ეძლეოდათ“.*[16] ქალაქის უხუცესთა საბჭოსაგან გამოყოფილ გამგებელს XI-XII სს. მიჯნაზე „ქალაქის თავადი“ ან „ქალაქის მთავარი“ უნდა რქმეოდა.[17]

თბილისის გადაქცევა ქალაქ-კომუნად ნიშნავდა ფეოდალური ქვეყნის უმსხვილეს ეკონომიკურ ცენტრში ფეოდალიზმის საწინააღმდეგო ძალების გამარჯვებას. თვითმმართველობის დამყარება იმდროინდელ თბილისში დაწინაურებული სოციალური ცხოვრების, თავისუფალ მწარმოებელთა ფენის გაძლიერების, განვითარებული ვაჭრულ-ხელოსნური ორგანიზაციების არსებობის, ე. ი. ანტიფეოდალური სოციალური ძალების განმტკიცების მაუწყებელი იყო.[18] პოლიტიკური თვალსაზრისით ეს იყო გაერთიანების გზაზე შემდგარი ფეოდალური მონარქიის შიგნით დამოუკიდებელი ერთეულების წარმოქმნა.

სამეფო ხელისუფლება საქალაქო თვითმმართველობას კონკრეტულ სიტუაციაში თავის სასარგებლოდ იყენებდა დაპირისპირებული ფეოდალების წინააღმდეგ ბრძოლაში. ქალაქელებიც მხარს უჭერდნენ ცენტრალურ ხელისუფლებას. შოთა მესხია მართებულად მიიჩნევს, რომ დავით აღმაშენებელმა

[14] შ. მესხია. საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, გვ. 33.
[15] შ. მესხია. საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, გვ. 66.
[16] შ. მესხია. საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, გვ. 67.
[17] შ. მესხია. საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, გვ. 68.
[18] შ. მესხია. საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, გვ. 81.

ოპოზიციურ ფეოდალურ ძალებზე გამარჯვებისათვის სწორედ ქალაქებთან კავშირი გამოიყენა. ამასთან, ხელისუფლების შემდგომი ცენტრალიზაციის პირობებში დავით აღმაშენებლის ძლიერი მონარქია ვერ შეურიგდა თავის მიწაზე დამოუკიდებელი ერთეულების არსებობას და ზედიზედ დაიმორჩილა (შემოიერთა) სამშვილდე (1110 წ.), რუსთავი (1115 წ.), გიში (1117 წ.), ლორე (1118 წ.) და სხვ. მას შემდეგ, რაც დავით IV აღმაშენებელმა თბილისი შემოიერთა, დასრულდა მისი თვითმმართველობის ისტორიაც.

როგორც უკვე აღინიშნა, წარმოდგენილ ნაშრომში XII საუკუნეში თბილისის ირგვლივ განვითარებული სოციალურ-პოლიტიკური ქარტეხილების ფონზე გაანალიზებულია ზოგადად ქვეყანაში მიმდინარე საშინაო პოლიტიკური პროცესები, განსაკუთრებით თამარის ეპოქაში და მოცემულია მათი შეფასება. ამ მხრივ, პირველ რიგში, საყურადღებოა ხედვა ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასის გამოსვლის შ. მესხიასეული ხედვა. მეცნიერის სავსებით მართებული შენიშვნით, *„არ შეიძლება შემთხვევითად მივიჩნიოთ, რომ ამ მოძრაობას სათავეში უდგას მეჭურჭლეთუხუცესი ყუთლუ-არსლანი, რომელიც საქალაქო წრეებთან დაკავშირებული იყო არა მარტო თანამდებობით, არამედ წარმოშობითაც“*.[19] ამ კუთხით ის ანგარიშგასაწევ გარემოებად მიიჩნევს შევსებული *„ქართლის ცხოვრების“* მკაფიო ცნობას – *„გვარითა უაზნოთა აღამაღლებს სიმდიდრე“*; ეს შეეხება როგორც მოძრაობის ლიდერს, ასევე, მისი დასის წევრებსაც.

„სიმდიდრით ალაღებულთა“ და „ამაღლებულთა“ შორის, პირველ ყოვლისა, ქალაქის მოსახლეობის ზედა ფენა იგულისხმებოდა. ამასთან მეცნიერი მიუთითებდა: *„ყუთლუ-არსლანის და მისი დასის გამოსვლა თავისი ფართო გეგმით, არ შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ მოქალაქეთა ზედა ფენის აჯანყებად, ისეთ გამოსვლად, რომელსაც არავითარი კავშირი არ ჰქონდა სხვა სოციალურ წრეებთან და მათ ინტერესებთან, თვით ყუთლუ-არსლანის პროგრამა სამეფო ხელისუფლების შეზღუდვისა და ახალი, საკანონმდებლო უფლებით აღჭურვილი დარბაზის (სპჭოს) დაარსების შესახებ არ შეიძლებოდა არ დამთხვეოდა ავრეთვე დიდგვარიანთა მისწრაფებებს, მათ ინტერესებს“*.[20]

მეცნიერმა ყურადღება გაამახვილა XIII ს. ქალაქების სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარ დიდ გარდატეხაზე, რასაც დასაბამი მის-

[19] შ. მესხია. საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, გვ. 106.
[20] შ. მესხია. საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, გვ. 107.

ცა მონღოლთა გაბატონებამ. ზოგმა ქალაქმა სავსებით დაკარგა თავისი მნიშვნელობა და დაეცა, ზოგი კი უმნიშვნელო დასახლებულ პუნქტად იქცა.

ასეთია ზოგადად საქართველოს ქალაქებსა და საქალაქო წყობაზე შ. მესხიას მიერ ჩატარებული კვლევის ძირითადი მიმართულებები და შედეგები. მეცნიერის დებულებები ძირითადად გაზიარებულია და დღემდე სახელმძღვანელოდ რჩება ქართულ ისტორიოგრაფიაში. მეტიც, შოთა მესხიას კონცეპტუალურმა მიდგომამ და მისმა დასკვნებმა შემდგომი განვითარება ჰპოვეს ბატონი შოთას მოწაფეების (თამარ გამსახურდია, გიორგი აფრასიძე, გულივერ იობაშვილი, მარინე მესხია და სხვ.) შრომებში,[21] თუმცა მისი ყველა დებულება (განსაკუთრებით საქალაქო კომუნასთან დაკავშირებული) როდია ბოლომდე გაზიარებული ისტორიოგრაფიაში.[22]

შოთა მესხიას კვლევის თვალსაწიერში შემოდიოდა შუა საუკუნეების საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ისტორიის საკითხებიც. მართალია, აღნიშნული მიმართულება ნამდვილად არ ყოფილა პრიორიტეტული მეცნიერის შემოქმედებაში და მას საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობები, საგანგებოდ არ უკვლევია,[23] მაგრამ მის ცალკეულ ნაშრომებში ჩვეული სკრუპულოზურობითაა გაანალიზებული საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ისტორიის მთელი რიგი საკვანძო საკითხები და გამოთქმულია უაღრესად საყურადღებო მოსაზრებები ქართული პოლიტიკური სამყაროს როლსა და ადგილზე საერთაშორისო არენაზე. ყველაზე სრულად და საგნობრივად ეს პრობლემატიკა განხილულია დიდგორის ბრძოლისადმი მიძღვნილ ვრცელ სამეცნიერო-პოპუ-

---

[21] თ. გამსახურდია. IV-VI საუკუნეების ქართლის ქალაქების ისტორიიდან. საკანდიდატო დისერტაცია. თბ. 1966; გ. აფრასიძე. ფეოდალური ქალაქის წარმოშობა საქართველოში. „ახალქალაქობის“ ხანა IX-X სს.. საკანდიდატო დისერტაცია. თბ. 1973; გ. აფრასიძე. საქართველოს შუა საუკუნეების ქალაქები (XI-XIII სს.). თბ. 1984; გ. აფრასიძე. საქართველოს შუა საუკუნეების ქალაქები (XI-XIII ს. პირველი მეოთხედი). სადოქტორო დისერტაცია. თბ. 1985; გ. იობაშვილი. დასავლეთ საქართველოს ქალაქები XIX საუკუნის რეფორმამდელ პერიოდში: სოციალურ-ეკონომიკური განვითარება. თბ. 1983; მ. მესხია. თბილისი XVI-XVII სს. საკანდიდატო დისერტაცია. თბ. 1985 და სხვ.

[22] პ. რატიანი. თბილელი ბერები. თბ. 1989; ილ. ანთელავა. ქართული ფეოდალური ქალაქის თავისებურებათა შესახებ. წგნ.: ილ. ანთელავა. XI-XV საუკუნეების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საკითხები. თბ. 1980, გვ. 85-111 და სხვ.

[23] ამ მხრივ ერთგვარ გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს იასე ცინცაძესთან თანაავტორობით, რუსულ ენაზე გამოცემული განმაზოგადებელი ნაშრომი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე (Ш. А. Месхия, И. З. Цинцадзе. Из истории русско-грузинских взаимоотношений. Тб. 1958), აგრეთვე პოლემიკური ხასიათის სტატია საქართველო-კიევის რუსეთის ურთიერთობებზე (შ. მესხია. შენიშვნები ძველი რუსეთისა და საქართველოს ისტორიიდან (პროფ. იასე ცინცაძის წერილის გამო). მნათობი. №1. 1970).

ლარულ ნარკვევსა[24] და XII საუკუნის საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკური ვითარების ამსახველ განმაზოგადებელ წერილში.[25]

ამ მხრივ მთავარი მაინც *„ძლევაჲ საკვირველია“*. შოთა მესხიას ეს ნაშრომი, რომელიც, თამამად შეიძლება ითქვას, წარმოადგენს ქართველთა ყველაზე დიდი გამარჯვების – დიდგორის სახელოვანი ეპოპეის – ჭეშმარიტად პირუთვნელ მატიანეს, როგორც ცნობილია, პირველად ამ ნახევარი საუკუნის წინ (1965 წელს) გამოიცა და უმალვე იქცა სამაგიდო წიგნად არა მხოლოდ სპეციალისტი ისტორიკოსებისათვის. საზოგადოების ინტერესი იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ ავტორმა გადაწყვიტა მისი ახალი გამოცემის მომზადება. *„დიდგორის ბრძოლის“* (სწორედ ასე ერქვა 1965 წელს გამოცემულ წიგნს) ახალი რედაქცია, რომელიც უკვე *„ძლევაჲ საკვირველის“* სახელწოდებით 1972 წელს გამოვიდა,[26] არ იყო ადრინდელის უბრალო გამეორება. შოთა მესხიამ ამჯერად მკითხველს შესთავაზა სერიოზულად გადამუშავებული და შევსებული ნაშრომი, რომელიც, არსებითად, დასრულებულ მონოგრაფიულ გამოკვლევას წარმოადგენდა.

შოთა მესხიას *„ძლევაჲ საკვირველის“* გამოსვლა იმთავითვე გასცდა საკუთრივ ისტორიული მეცნიერების აკადემიურ ჩარჩოებში მოქცეული მოვლენის (თუნდაც საეტაპო) ფარგლებს და ზოგადეროვნული მნიშვნელობის ფაქტად იქცა.[27] ამ მნიშვნელობას წიგნს სძენდა ის, რომ მასში ყველასთვის გასაგები, პოპულარული ენით განხილული ურთულესი ისტორიოგრაფიული პრობლემების ფონზე შესაშური პატრიოტული (თუმცა არა გადამეტებული) პათოსით ნაჩვენები იყო დიდგორზე მოპოვებული ისტორიული გამარჯვების მთელი სიდიადე, დავით აღმაშენებლის საქართველოს წამყვანი როლი და ადგილი კავკასიასა და წინა აზიაში.

---

[24] შ. მესხია. ძლევაჲ საკვირველი. თბ., 1972.

[25] შ. მესხია. შოთა რუსთაველის ეპოქა. საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკური ვითარება რუსთაველის ეპოქაში. თბილისის უნივერსიტეტი შოთა რუსთველს. საიუბილეო კრებული. თბ. 1966.

[26] 1986 წელს აღნიშნული ნაშრომი შევიდა შ. მესხიას თხზულებების III ტომში (შ. მესხია. საისტორიო ძიებანი. ტ. III. თბ. 1986, გვ. 5-139). სულ ახლახან, მეცნიერის დაბადებიდან 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა კიდევ ერთხელ გამოსცა შ. მესხიას ეს ნაშრომი (შ. მესხია. ძლევაჲ საკვირველი. დიდგორის ბრძოლა და თბილისის შემოერთება. წიგნი გამოსაცემად მოამზადეს მ. მესხიამ და ზ. პაპასქირმა. თბ., 2016, http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/175869/1/Dzlevai–Sakvirveli.pdf).

[27] ამ ნაშრომისათვის 1974 წელს, გარდაცვალების შემდეგ, შოთა მესხიას სიმონ ჯანაშიას პრემია მიენიჭა.

მთავარი, რაც გამოარჩევს შოთა მესხიას ამ ნაშრომს, არის მასში ასახული მოვლენისა და მთლიანად დავით აღმაშენებლის ეპოქის მასშტაბურობა. დიდი მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ დიდგორის ომში გამარჯვებამ და ამ გამარჯვების უშუალო შედეგმა – თბილისის შემოერთებამ, არა მხოლოდ დააგვირგვინა თითქმის საუკუნენახევრიანი ბრძოლა ერთიანი ქართული სახელმწიფოს შესაქმნელად, არამედ ეს გახდა ერთგვარი ათვლის წერტილი ქართული პოლიტიკური სამყაროს შემდგომი (მანამდე სრულიად უპრეცედენტო) გაძლიერების გზაზე, რომელმაც ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გადაჭიმული საქართველოს სამეფო აქცია კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის წამყვან სახელმწიფოდ, რომლის ლიდერები საქვეყნოდ აცხადებდნენ თავიანთ ამბიციებს მთლიანად საქრისტიანოს მესვეურობაზე.

შ. მესხია საქართველოს საგარეო პოლიტიკურ მდგომარეობაზე მსჯელობას იწყებს X-XI საუკუნეების მიჯნაზე ერთიანი ქართული სახელმწიფოს ფორმირების დროიდან. ავტორი სავსებით სწორად აღნიშნავს, რომ მას შემდეგ, რაც ბაგრატ III-მ თავისი ხელისუფლების ქვეშ მოაქცია ძირითადი ქართული რეგიონები და იმერ-ამერი (ბიზანტიის მიერ მიტაცებული იმიერტაოსა და თბილისის საამიროს ტერიტორიის გამოკლებით) ერთიან სახელმწიფოდ შეკრა, სამეფო კარს ბიზანტიასთან ურთიერთობის გადასინჯვისათვის უნდა ეზრუნა – იმპერიას *„უნდა ეგრძნო საქართველოს სიძლიერე, ერთხელ და სამუდამოდ ელიარებინა მისი სუვერენობა და თანასწორობა“*.[28]

ასევე, სწორ შეფასებას აძლევს მეცნიერი გიორგი I-ის – ბაგრატ მესამის *„მგზნებარე, მაგრამ წარუმატებელი მემკვიდრის“* ნაბიჯებს ამ მიმართულებით და მიუხედავად განცდილი მარცხისა, სულაც არ თვლის მის ქმედებებს გაუმართლებელ ავანტიურად. შ. მესხიას დასკვნით, გიორგი I-ის თავგანწირვას ამაოდ არ ჩაუვლია, *„იმპერიამ ნათლად დაინახა, რომ საქართველოს სახით მის მეზობლად იზრდებოდა ძლიერი, არა მარტო თანატოლობისათვის, არამედ პირველობისათვის მებრძოლი სახელმწიფო“*.[29]

ამიტომაც იყო, რომ კონსტანტინოპოლმა კიდევ უფრო მკვეთრი ნაბიჯები გადადგა მზარდი ქართული სახელმწიფოს შემდგომი გაძლიერების შესაჩერებლად და იმპერიის კონტროლიდან გამოსული ბაგრატ IV-ის მორჩილებაში მოსაყვანად. მაგრამ ბიზანტიის ხელისუფლების თითქმის 20-წლიანმა

[28] შ. მესხია. ძლევაც საკვირველი. თბ. 2016, გვ. 59.
[29] შ. მესხია. ძლევაც საკვირველი. თბ. 2016, გვ. 59.

პერმანენტულმა მცდელობებმა, მაქსიმალურად შეეზღუდა ერთიანი ქართული სახელმწიფოს სუვერენიტეტი და ქუთაისის ტახტი მთლიანად იმპერიული პოლიტიკის ფარვატერში მოექცია, იმპერიას სასურველი შედეგი ვერ მოუტანა. ეს ბრძოლა, პრინციპში, ბაგრატ IV-ის წარმატებით დამთავრდა. საიმპერატორო კარი იძულებული გახდა სევასტოსის პატივში აყვანილი საქართველოს მეფე ფაქტობრივად თანასწორ პარტნიორად და მოკავშირედ ელიარებინა, რაც დინასტიური ქორწინებითაც იქნა განმტკიცებული.

„ძლევად საკერველსა“ და რუსთაველის ეპოქის საქართველოსადმი მიძღვნილ ზემოთ დასახელებულ წერილში სკრუპულოზურადაა მიმოხილული ქვეყნის საგარეოპოლიტიკური მდგომარეობა XI-XII საუკუნეებში და მკაფიოდაა ნაჩვენები ერთიანი ქართული სახელმწიფოს საგარეოპოლიტიკური აქტიურობის მასშტაბები, მისი როლი და ადგილი საერთაშორისო პოლიტიკაში. ამ კუთხით, პირველ რიგში, უნდა გამოვყოთ საქართველო-ჯვაროსნების ურთიერთობების ანალიზი. შ. მესხიამ სავსებით დამაჯერებლად აჩვენა, რომ საქართველოს სახელმწიფო ევროპელი ჯვაროსნების თვალში განიხილებოდა როგორც მთავარი მოკავშირე თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ „საღვთო ომში“.

მეცნიერის მიერ ამ დასკვნის შესამაგრებლად მოტანილი მასალები მკაფიოდ ადასტურებენ, რომ საქართველო და მისი სწორუპოვარი ლიდერი ჯვაროსნული კამპანიის აქტიურ სუბიექტებს წარმოადგენდნენ და რომ სელჩუკების წინააღმდეგ დავით აღმაშენებლის სამხედრო-პოლიტიკურ მასშტაბურ აქციებს მნიშვნელოვანი კორექტივები შეჰქონდა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის გლობალურ დაპირისპირებაში, რომელსაც ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა დაუდეს სათავე.[30] ჩვენ ამას საგანგებოდ ვუსვამთ ხაზს იმის გამოც, რომ ბოლო დროს ადგილი აქვს სრულიად გაუგებარ და, ჩვენი აზრით, აბსოლუ-

[30] აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს როლსა და ადგილზე ჯვაროსანთა და თურქ-სელჩუკთა დაპირისპირებაში მანამდე ყურადღება გაამახვილეს ზურაბ ავალიშვილმა, რომლის ნაშრომი (ზ. ავალიშვილი. ჯვაროსანთა დროიდან. ოთხი ისტორიული ნარკვევი. პარიზი. 1929, გვ. 13-73) ერთგვარად საეტაპო იყო ამ მიმართულებით და აკად. სიმონ ჯანაშიამ (შესაბამისი მასალა წარმოდგენილია ს. ჯანაშიას მიერ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოსათვის დაწერილ პარაგრაფში: „ქართული ფეოდალური მონარქია XII საუკუნეში“. იხ.: ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორია. ნაწ. I. უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე. სახელმძღვანელო საშუალო სკოლის უფროსი კლასებისათვის. მეორე, შესწორებულ-შევსებული გამოცემა. თბ. 1946, გვ. 224-225; ს. ჯანაშია. შრომები. ტ. V. თბ., 1987, გვ. 162-164). შ. მესხიამ განავითარა, შეავსო და დასრულებული სახე მისცა მის წინამორბედთა შეხედულებებს.

ტურად დაუსაბუთელ მცდელობას, გადაისინჯოს შ. მესხიას ეს დასკვნა,[31] რომელიც საყოველთაოდ გაზიარებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში.[32]

შოთა მესხიას ეს ნაშრომი მნიშვნელოვანი და სამაგალითოა იმითაც, რომ მასში მეცნიერი უპასუხოდ არ ტოვებს ცალკეულ უცხოელ მკვლევართა მხრიდან საქართველოს სახელმწიფოს საერთაშორისო როლის დამცრობის მცდელობებს. ამ კუთხით განსაკუთრებით აღსანიშნავია ცნობილი რუსი ნუმიზმატის ევგენი პახომოვიდან მომდინარე თვალსაზრისის (რომლის მიხედვითაც დემეტრე I-ის მონეტაზე ხალიფასა და სულთნის სახელების მოხსენიების საფუძველზე XII საუკუნეში საქართველოს სახელმწიფო მუსლიმური სამყაროს ვასალად ცხადდებოდა)[33] რეანიმაციის ფაქტებზე (ვლადიმირ მინორსკისა და განსაკუთრებით ოლეგ ვილჩევსკის მხრიდან)[34] ყურადღების გამახვილება და ამ შეხედულების ამომწურავი კრიტიკა.[35]

ამ კუთხით აღსანიშნავია აგრეთვე შ. მესხიას რეპლიკა[36] აზერბაიჯანელი ისტორიკოსის, აკად. აბდულქერიმ ალიზადეს მცდელობაზე, უარყოს სა-

---

[31] კერძოდ, ამგვარი მცდელობა მოცემულია ს. მარგიშვილის საკმაოდ ამბიციურ მონოგრაფიაში დიდგორის ომსა და ზოგადად დავით აღმაშენებლის სამხედრო-პოლიტიკურ მოღვაწეობაზე. იხ.: ს. მარგიშვილი. მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ. ომი ხელჯუკთა სამყაროს წინააღმდეგ. თბ. 2006. ს. მარგიშვილის ამ და ზოგიერთი სხვა მცდარი თვალსაზრისის კრიტიკა იხ.: ჯ. სამუშია. რამდენიმე მოსაზრება სოსო მარგიშვილის ნაშრომის შესახებ (რეცენზია). მესხეთი. საისტორიო კრებული. თბილისი-ახალციხე. 2008, გვ. 157-166; ზ. პაპასქირი. დიდგორის ეპოპეის პირუთვნელი მატიანე. შოთა მესხიას „ძლევაჲ საკვირველი. წგნ.: შ. მესხია. ძლევაჲ საკვირველი. დიდგორის ბრძოლა და თბილისის შემოერთება. წიგნი გამოსაცემად მოამზადეს მ. მესხიამ და ზ. პაპასქირმა. თბ. 2016, გვ. 27-31.

[32] ე. კოპალიანი. საქართველოს ურთიერთობა ჯვაროსნებთან და ბიზანტიასთან XI-XII სს. მიჯნაზე. XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები, თსუ შრომები. ტ. 125. თბ. 1968, გვ. 83-121; მ. ლორთქიფანიძე. საქართველო XI ს. ბოლოს და XII ს. პირველ მეოთხედში. დავით IV აღმაშენებელი. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III. თბ. 1979, გვ. 248-249; შ. ბაღრიძე. საქართველო და ჯვაროსნები. თბ. 1973, გვ. 12-21; რ. მეტრეველი. ჯვაროსნული ომები და საქართველოს სამეფო. სამეცნიერო პარადიგმები. თბ. 2010, გვ. 388-416; R. Metreveli. Les relations de la Georgie avec la Byzance et les croises au XII-ieme siecle. Caucasica. The Journal of Caucasian Studies, Vol. 3. თბ. 1998 და სხვ.

[33] Е. А. Пахомов. Монеты Грузии. Ч. I. Домонгольский период. СПб. 1910. ამ ნაშრომის ხელახალი გამოცემა იხ.: Е. А. Пахомов. Монеты Грузии. Тб. 1970, გვ. 32. ე. პახომოვის ამ თვალსაზრისის კრიტიკა იხ.: И. А. Джавахишвили. Е. А. Пахомов. Монеты Грузии. Христианский Восток. т. I. вып. I. СПб. 1912. გვ. 104-117.

[34] V. Minorsky. Caucasica in the History of Mayyafariqin. Bulletin of the School of Oriental (and African) Studies (BSOAS). 1953, გვ. 31 (http://www.jstor.org/stable/609061); О. Л. Вильчевский. Ода Хакани грузинскому царю Димитрию I. Исследования по истории культуры народов Востока. Сборник в честь академика И. А. Орбели. М.-Л. 1960, გვ. 60.

[35] შ. მესხია. ძლევაჲ საკვირველი. თბ. 2016, გვ. 197-201.

[36] შ. მესხია. ძლევაჲ საკვირველი. თბ. 2016, გვ. 191.

ქართველოს სიუზერენიტეტი შირვანშაჰთა სახელმწიფოზე XII საუკუნეში.[37] შ. მესხიას არგუმენტაცია და დასკვნები ამ საკითხებზე აქტუალობას ინარჩუნებს დღესაც, რადგან ბოლო დროს ზოგიერთი აზერბაიჯანელი მკვლევარი ყოველნაირად ცდილობს დაამტკიცოს, რომ საქართველო XII საუკუნეში დამოკიდებული იყო მუსლიმურ სამყაროზე (მათ შორის აზერბაიჯანზე) პოლიტიკურად და ეკონომიკურად *(«Грузия зависела от мусульманского мира, в том числе от Азербайджана, не только политически, но и экономически»)*.[38]

შუა საუკუნეების საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობების მასშტაბების შ. მესხიასეულ ხედვაზე მსჯელობისას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ, მეცნიერის ერთ მეტად საინტერესო და საკმაოდ მახვილგონივრულ ჰიპოთეზას. მხედველობაში გვაქვს XVII ს. ცნობილი საეკლესიო მოღვაწის, პავლე ალეპოელის ცნობის (რომლის მიხედვითაც, თითქოს დავით აღმაშენებლისთვის სამხედრო ძალა გამოუგზავნიათ კიევის რუსეთიდან და საქართველოს მეფეს ამ ძალის დახმარებით განუდევნია თავისი ქვეყნიდან სარკინოზები[39]) ინტერპრეტაცია. ამ ცნობაზე დაყრდნობით მკვლევარი დასაშვებად მიიჩნევდა საქარ-

---

[37] А. А. Али-заде. От ответственного редактора. წგნ.: В. Ф. Минорский. История Ширвана и Дербента X-XI веков. М. 1963, გვ. 8-12; А. А. Али-заде. Социально-экономическая и политическая история Азербайджана XIII-XIV вв. Баку. 1966, გვ. 357. მიუხედავად იმისა, რომ ა. ალიზადეს ამ თეზისის უსაფუძვლობა მკაფიოდ აჩვენეს როგორც ქართველმა (ნ. ასათიანი. საქართველო-შარვანის პოლიტიკური ურთიერთობა XII საუკუნეში. წერილი I. XII საუკუნის პირველი ნახევარი. XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები. თსუ შრომები. ტ. 125. თბ. 1968, გვ. 8-16, ისე თვით აზერბაიჯანელმა (З. М. Буниятов. Некоторые сведения Садр ад-Дина ал-Хусайни о Грузии. „მაცნე". ისტორიის... სერია. №1. 1971) მეცნიერებმა, ა. ალიზადემ მოგვიანებით მაინც განაგრძო თავისი თვალსაზრისის ტირაჟირება (А. А. Али-заде. К вопросу об освещении ширвано-грузинских отношений в XI-XII веках. Статья первая. Известия АН Азербайджанской ССР. Серия истории, философии и права. №4. 1977, გვ. 73-85).

[38] იხ.: Р. А. Гусейн-заде. Кавказ и сельджуки. Баку. 2010, გვ. 120 (ხაზგასმა ჩვენია – რ.მ. ზ.ჯ.). ამ ნაშრომში განვითარებული ტენდენციური მიდგომების შესახებ დაწვრილ. იხ.: ზ. პაპასქირი. XII საუკუნის საქართველოს სახელმწიფოს როლისა და ადგილის იგნორირების ერთი მცდელობის შესახებ. ზოგიერთი შენიშვნა რაუფ ჰუსეინ ზადეს მონოგრაფიაზე: „კავკასია და სელჩუკები". საქართველო და თურქეთი: კულტურულ ურთიერთობათა ისტორია, დღევანდელობა და პერესპექტივები. აბჰედ ოზქან მელაშვილის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის (თბილისი. 21-24 ივნისი. 2012) მასალები. თბ. 2012, გვ. 161-170; З. Папаскири. Об одной попытке игнорирования роли и места грузинского государства на международной арене в XII веке. Некоторые замечания на книгу Рауфа А. Гусейн-Заде: «Кавказ и Сельджуки». Кавказ и мир. Международный научный журнал. №14. Тб. 2012, გვ. 60-83 (https://www.academia.edu/29465163/).

[39] ნ. ასათიანი. მასალები XVII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის. „საქართველოს აღწერილობა" შედგენილი პავლე ალეპოელის მიერ. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ნ. ასათიანმა. თბ. 1973, გვ. 73.

თველოს სამეფო კარის გარკვეულ დიპლომატიურ კონსულტაციებს (ყივჩაყეთში წარგზავნილი „კაცნი სარწმუნონის“ მეშვეობით) კიევის დიდ მთავარ ვლადიმირ მონომახთან.

მიუხედავად იმისა, რომ შოთა მესხიას ამ თვალსაზრისს[40] კრიტიკული გამოხმაურება მოჰყვა ცალკეული მკვლევრების (ი. ცინცაძე,[41] ნ. ნაკაშიძე[42]) მხრიდან, ისტორიოგრაფიაში მას მხარდამჭერებიც არ მოჰკლებია.[43] ოფიციალურ ქუთაისსა და კიევს შორის ამგვარი დიპლომატიური კონტაქტების შესაძლო არსებობის ერთ-ერთ მთავარ არგუმენტად (რომელზეც საგანგებოდ მიუთითებდა შ. მესხიაც), მიჩნეულია ის ფაქტი, რომ ძველ რუსეთში საკმაოდ კარგად იყვნენ ინფორმირებულნი, თუ რომელ ქვეყანას შეაფარეს თავი ვლადიმირ მონომახის მიერ დევნილმა ყივჩაყებმა. ამის ნათელი დადასტურებაა ვოლინელი მემატიანის ცნობა ვლადიმირ მონომახის მიერ ყივჩაყთა ერთ-ერთი ურდოს მეთაურის ოტროკის (იგივე დავით აღმაშენებლის ისტორიკოსისეული ათრაქა შარაღანის ძე) განდევნის შესახებ საქართველოში *(«...во Обезы, за Желъзныя врата»)*.[44]

---

[40] აღსანიშნავია, რომ ეს თემა პირველად ნ. ასათიანმა წამოსწია. იხ.: ნ. ასათიანი. ახალი ცნობები რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობების ისტორიიდან. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული უმაღლესი და საშუალო განათლების სახელმწიფო კომიტეტის სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს ისტორიის სექციის სამეცნიერო სესიის თეზისები. თბ. 1965.

[41] ი. ცინცაძე. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიისათვის. „მაცნე“. №5. თბ. 1968, გვ. 211-214. ი. ცინცაძის კრიტიკას შ. მესხიამ უპასუხა სპეციალური წერილით, რომელშიც მან მოიყვანა ახალი არგუმენტები თავისი ჰიპოთეზის გასამყარებლად (იხ.: შ. მესხია. შენიშვნები ძველი რუსეთისა და საქართველოს ისტორიიდან, გვ. 143-149).

[42] Н. Т. Накашидзе. Грузино-русские политические отношения в первой половине XVII века. Тб. 1968, გვ. 206.

[43] Н. Ш. Асатиани. Страницы истории русско-грузинских взаимоотношений. «Литературная Грузия». №8. 1975, გვ. 78; რ. მეტრეველი. საქართველოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობები XI საუკუნის მიწურულსა და XII საუკუნის I მეოთხედში. დავით აღმაშენებლის დიპლომატია. ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები. ტ. I. თბ. 1998, გვ. 265-267; Р. В. Метревели. Внешняя политика Грузии в средние века XII век. Некоторые вопросы внешней политики Грузии в средние века. Тб. 1995, გვ. 6-7; R. Metreveli. Foreign Policy of Georgia in the Middle Ages. 12th Century. Tb. 1997, გვ. 6; З. В. Папаскири. У истоков грузино-русских политических взаимоотношений. Тб. 1982, გვ. 103-105.

[44] გალიჩ-ვოლინის მატიანე – XIII ს. ძველი რუსული საისტორიო თხზულება, რომელშიც გადმოცემულია ამ სამთავროს ისტორია XIII საუკუნეში, შესულია იპატის ნუსხის სახელით ცნობილ მატიანეში (Полное собрание русских летописей (ПСРЛ). т. 2. Ипатьевская летопись. Издание второе. СПб. 1908). ამჟამად ჩვენ ვსარგებლობთ ამ მატიანის უახლესი გამოცემით (იხ.: Галицко-Волынская летопись. Подготовка текста, перевод и комментарий О. П. Лихачевой. Памятники литературы Древней Руси: XIII век. М. 1981, გვ. 236).

მიუხედავად იმისა, რომ *„ძლევაც საკვირველში“* საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობა საქართველოს საგარეოპოლიტიკური ურთიერთობების ანალიზს, აღნიშნული ნაშრომის ცენტრალური თემა მაინც საკუთრივ დიდგორის ბრძოლაა. შ. მესხია სათანადო პირველწყაროებზე დაყრდნობით მეტად საინტერესოდ შლის ამ თემას. აანალიზებს მის მიზეზებს, აზუსტებს სელჩუკთა კოალიციური ლაშქრის რაოდენობას, შემადგენლობასა და მეთაურთა ვინაობას, ასევე, ქართული ჯარის რიცხოვნობასა და შემადგენლობას. მკვლევარს სავსებით მართებულად შეაქვს ეჭვი სელჩუკთა ლაშქრის რაოდენობის მათეოს ურჰაეციესეულ (560 000) და კანცლერ გოტიეს (600 000) მონაცემებში და ამ ციფრებს გაზვიადებულად მიიჩნევს. მისი აზრით, *„ნახევარმილიონიანი თუ ექვსასათასიანი ლაშქარი თრიალეთ-მანგლის-დიდგორის სანახებში არათუ ვერ გაიშლებოდა საბრძოლველად, ვერც კი დაეტეოდა“*.[45] ამასთან, მეცნიერი სავსებით ლოგიკურად ასკვნის, რომ *„მოწინააღმდეგის ლაშქარი ბევრად, რამდენიმეჯერ ალემატებოდა საქართველოს სამეფო ხელისუფლების მიერ ამ ბრძოლაში გამოყვანილ ლაშქარს“*.[46]

ასე რომ, შ. მესხია (და ზოგადად, ქართული ისტორიოგრაფია) ნამდვილად არაა „მითებს“ აყოლილი და სულაც არ ენდობა ბრმად მათეოს ურჰაეცისა და გოტიეს „გაბერილ“ ციფრებს, რაშიც მას უსამართლოდ ადანაშაულებს ს. მარგიშვილი.[47] რაც შეეხება, თვით ს. მარგიშვილის ტენდენციას, მაქსიმალურად „ჩამოწიოს“ დაბლა მოწინააღმდეგეთა ლაშქრის რიცხოვნობა (ფაქტობრივად, ამით ის ერთგვარად აკნინებს დიდგორის ეპოპეის მნიშვნელობას), ეს, სულ ცოტა, მეტ არგუმენტაციას მოითხოვს. განსაკუთრებით ეს ითქმის საქართველოს ლაშქრის რაოდენობაზე, რომლის ციფრობრივ მონაცემებში ვერაფერს დაუჯერებელს ვერ ვხედავთ.

უაღრესად საინტერესოა მსჯელობა სელჩუკთა ლაშქრის მარშრუტსა და თვით ბრძოლის ველის ადგილმდებარეობაზე; კვალიფიციურადაა გაანალიზებული საბრძოლო მოქმედებები სამხედრო-ტაქტიკური კუთხით. ამ მხრივ, მკვლევარი განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას წყაროების მიერ დაფიქსირებულ მოულოდნელობის ეფექტზე, რომელიც გამოუყენებია დავით აღმაშენებელს დიდგორის ბრძოლაში. მხედველებაში გვაქვს ორასკაციანი მეწინავე რაზმის (იბნ ალ-ასირის მიხედვით, ყივჩაყებისაგან, ხოლო გოტიეს ცნობით, „ფრანგებისაგან“ შემდგარი) შეგზავნა მოწინააღმდეგის ბანაკში, რომელთა უეცარმა თავდასხმამ

[45] შ. მესხია. ძლევაც საკვირველი. თბ. 2016, გვ. 148-149.
[46] შ. მესხია. ძლევაც საკვირველი. თბ. 2016, გვ. 149.
[47] ს. მარგიშვილი. მითები და რეალობა, გვ. 79, 243.

სელჩუკთა ლაშქრის სრული დაბნეულობა გამოიწვია. შ. მესხიას სავსებით დასაშვებად მიაჩნია დავით აღმაშენებლის მიერ ამ ტაქტიკური ხერხის გამოყენება, თუმცა მას ეეჭვება, რომ საქართველოს მეფეს ასეთი *„დიდძნიშვნელოვანი ოპერაცია, რომელიც ქვეყნის და მეფისათვის თავგანწირვას მოითხოვდა, ყიჩაყებისათვის და, მით უფრო „ფრანგებისათვის“ (ჯვაროსნებისათვის) მიენდო“*.[48]

ამ თემაზე მსჯელობისას არ შეიძლება არ აღინიშნოს შ. მესხიას კრიტიკული შენიშვნა ზოგიერთი მეცნიერის (სარგის კაკაბაძე) თვალსაზრისზე დიდგორის ომში „ფრანგების“ (ჯვაროსნების) გადამწყვეტი როლის შესახებ.[49] მკვლევარი სწორად აღნიშნავს, რომ არა *„ორასმა მძიმედ შეიარაღებულმა ფრანგმა“*, არამედ ***„საქართველოს ლაშქრის თავგანწირვამ, მოლაშქრეთა მარჯვედ მოჭრილმა ხმალმა.., მამაცი ლაშქრის გონიერმა ხელმძღვანელობამ უზრუნველყო დიდი გამარჯვება დიდგორის გადამწყვეტ ბრძოლაში“***.[50]

კიდევ ბევრი რამ შეიძლება ითქვას შ. მესხიას *„ძლევაზე საკვირველის“* ღირსებებზე, მაგრამ, ვფიქრობთ, ზემოაღნიშნულიც სავსებით საკმარისია, რომ ის მივიჩნიოთ სრულიად გამორჩეულ ნაშრომად, რომელიც თავისი მეცნიერული ღირებულებით (არაფერს ვამბობთ ფართო მკითხველისათვის გასაგებ, პოპულარულ ენაზე მასალის მიწოდების მაღალ კულტურაზე, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია) დღესაც – დიდგორის ომზე 1972 წლის შემდეგ გამოსულ პუბლიკაციათა ფონზეც – უპირობოდ რჩება საეტაპო კვლევად ქართულ ისტორიოგრაფიაში.

შოთა მესხიას შემოქმედებაში, როგორც უკვე აღინიშნა, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული ხასიათის კვლევებს. მის სახელს უკავშირდება ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანის, ე.წ. *„ძეგლი ერისთავთას“* მეცნიერულად გამოკვლეული ტექსტის გამოცემა.[51] მეცნიერმა ლენინგრადში მივლინებით ყოფნისას (1949 წ.) ყურადღება გაამახ-

[48] შ. მესხია. ძლევაი საკვირველი. თბ. 2016, გვ. 159-160.

[49] ს. კაკაბაძე. დავით აღმაშენებლის ორი დიდი ომი. ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები. IV. თბ. 1942, გვ. 217. აღსანიშნავია, რომ ს. კაკაბაძე გამოეხმაურა შ. მესხიას ამ კრიტიკას (ის მას იცნობდა „დიდგორის ბრძოლის“ პირველი – 1965 წლის გამოცემიდან) და განმარტა, რომ მძიმედ შეარაღებულ რაინდებში, რომელმაც, მისი აზრით, გადაწყვიტა დიდგორის ბრძოლის ბედი, მან იგულისხმა არა მხოლოდ გოტიეს მოხსენიებული „ორასი ფრანკი“, არამედ მათთან ერთად საკუთრივ ქართველი მძიმედ შეარაღებული 1000-2000 მეომარი (იხ.: ს. კაკაბაძე. დიდგორის ომი. თბ. 1982, გვ. 11-14).

[50] შ. მესხია. ძლევაი საკვირველი. თბ. 2016, გვ. 167, ხაზგასმა ავტორისაა.

[51] ძეგლი ერისთავთა (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე). ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო შოთა მესხიამ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის (მსკი). ნაკ. 30. თბ. 1954, გვ. 305-374.

ვილა აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში, მარი ბროსეს ყოფილ არქივში, ამ უკანასკნელის მიერ აკინძულ მასალებზე, რომელსაც საერთო წარწერა ჰქონდა: *«Voyages de M. Dimitri de Gori, 1848-1850»*. აქ აღმოჩნდა მოთავსებული დიმიტრი მელვინეთუხუცესიშვილის *„ვორში მოგზაურობის“* გარდა, *„მოგზაურობა და მიმოხილვა იმერეთისა“*, *„მოგზაურობანი ტფილისის ღუბერნიასა შინა“*, *„ცხოვრება და მეფობა ირაკლი მეორისა“*, *„ინდიკტიონი ღირსსახსოვარ შემთხვეულებათა“*, *„მოგონება, ანუ ლაშქრობა პირისპირ იმამი შამილისა 1854 წელსა“* და სხვ.

შოთა მესხიამ გაარკვია, რომ *„ძეგლი ერისთავთა“* დაწერილია ქსნის ერისთავთ-ერისთავის ვირშელ III-ის სიცოცხლეში (1348-1400 წწ.), იმდროინდელი ცნობილი ლარგველი მოღვაწის, მწიგნობრისა და მხატვრის ავგაროზ ბანდაისძის მიერ. XIV საუკუნე ქსნის საერისთავოს ჩამოყალიბების პერიოდია. ამ დროს უკვე არსებობს ქსნის ერისთავთა „დარბაზოვანი“ და „თავადი ციხე“ ქვენიფნევს, საგვარეულო მონასტერი კი – ლარგვისს. ამდენად, *„ძეგლი ერისთავთას“* შექმნა XIV საუკუნის დასასრულისათვის სავსებით კანონზომიერი იყო და რეალურად შეესაბამებოდა არსებულ პოლიტიკურ ვითარებას.

შ. მესხიას დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს *„ძეგლი ერისთავთას“* ტექსტის კრიტიკული შესწავლა. მიუხედავად იმისა, რომ მიკვლეული ხელნაწერი დედანს წარმოადგენდა, მისი უცვლელად კოპირება მკვლევარმა გამართლებულად არ მიიჩნია და ზოგიერთი შესწორება შეიტანა. მან გაასწორა არაერთი ტექსტოლოგიური ხარვეზი – შეცდომით დაწერილი სიტყვები, თუ სხვა სახის გადაცდომა; მოაწესრიგა ორთოგრაფიული სხვაობანი; ტექსტი დაყო აბზაცებად, რომლებიც ავტორის მიერ ასომთავრულითა და სამი წერტილით გამოყოფილ სტრიქონებს ემთხვევა; ჩასვა სასვენი ნიშნები; დედანში დაქარაგმებული ყველა სიტყვა გამოცემაში გახსნილად შეიტანა; გამოიკვლია ტექსტის ფონეტიკური და მორფოლოგიური თავისებურებანი. მეცნიერმა ტექსტს დაურთო ლექსიკონი და საკუთარ სახელთა საძიებლები (პირთა, გეოგრაფიული და ტომობრივი) და ა.შ.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ შოთა მესხიას მიერ გამოკვლეული და გამოცემული *„ძეგლი ერისთავთა“* არის წყაროთმცოდნეობის უმაღლეს მოთხოვნათა დონეზე შესრულებული პუბლიკაცია – წყაროს გამოცემის ერთგვარი კლასიკა, რომელიც დღემდე რჩება სამაგალითოდ. წყაროების გამოწვლილვითი კრიტიკული ანალიზის მაღალი კულტურა ჩანს შ. მესხიას სხვა პუბლიკაციებისადმი დართულ წყაროთმცოდნეობით მიმოხილვებში. ამ მხრივ განსაკუთრე-

ბით გამოსაყოფია მისი მონოგრაფია ქალაქებსა და საქალაქო წყობაზე,[52] საკარგავის მნიშვნელობისადმი მიძღვნილი სტატია[53] და, რაც მთავარია, მეცნიერის უკანასკნელი მონოგრაფია საქართველოს საშინაო პოლიტიკურ ვითარებასა და სამოხელეო წყობაზე XII საუკუნეში.[54]

არანაკლებ მნიშვნელოვანია შოთა მესხიას სამეცნიერო მემკვიდრეობა ისტორიოგრაფიის სფეროში. ამ მხრივ, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს თეიმურაზ ბაგრატიონისადმი მიძღვნილი ნაშრომი,[55] რომელშიც მკვლევარმა *„კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტებისა“* და მარი ბროსესადმი გაგზავნილი წერილების მონაცემების საფუძველზე, მიმოიხილა სწავლული უფლისწულის, პარიზის *„აზიური საზოგადოებისა“* და სანქტ-პეტერბურგის საიმპერატორო აკადემიის საპატიო წევრის ცხოვრება და სამეცნიერო მოღვაწეობა, განსაზღვრა მისი ადგილი ქართული საისტორიო აზრის განვითარებაში.

სპეციალური სტატია მიუძღვნა შ. მესხიამ დიდი ქართველი ისტორიკოსის ვახუშტი ბაგრატიონის შემოქმედებასაც, რომელშიც არაერთი საინტერესო დებულება შემოგვთავაზა. მაგ., მეცნიერმა ერთგვარი კორექტივი შეიტანა ისტორიოგრაფიაში საყოველთაოდ მიღებულ თვალსაზრისში იმის შესახებ, რომ ვახუშტი ბატონიშვილი, ძირითადად, XVIII ს. რედაქტირებულ ნუსხებს ემყარებოდა და არ გამორიცხა უფლისწული ისტორიკოსის მიერ XVIII საუკუნემდელი ნუსხების გამოყენება. უფრო მეტიც, მისი აზრით, შესაძლებელია, ვახუშტის უშუალო მონაწილეობა მიეღო *„ქართლის ცხოვრების“* ტექსტის დადგენაში.[56]

შ. მესხიას ისტორიოგრაფიული კვლევის სფეროში მეტ-ნაკლები სისრულით მოექცა აგრეთვე ლეონტი მროველის,[57] ნიკო დადიანის,[58] ივანე ჯა-

---

[52] შ. მესხია. საისტორიო ძიებანი. ტ. II, გვ. 27-44.

[53] შ. მესხია. XI-XIII სს. საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილების ისტორიიდან. საკარგავის მნიშვნელობისათვის. XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. ტ. 125. თბ. 1968, გვ. 171-210. იგივე პუბლიკაცია იხ. წგნ.: შ. მესხია. საისტორიო ძიებანი. ტ. I. თბ. 1982, გვ. 324-374.

[54] შ. მესხია. საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში. თბ. 1979, გვ. 159-169 და სხვ.

[55] შ. მესხია. თეიმურაზ ბატონიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის (მსკი). ნაკვ. I. თბ. 1939. იხ. აგრეთვე: შ. მესხია. თეიმურაზ ბატონიშვილი. თბ. 1982.

[56] შ. მესხია. ვახუშტი და ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. ანალები. I. თბ. 1947, გვ. 13-51.

[57] შ. მესხია. ლეონტი მროველი საქართველოს ისტორიის ორი პერიოდის შესახებ. კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები. თბ. 1966, გვ. 119-130.

[58] შ. მესხია. ისტორიკოსი ნიკო დადიანი. გაზ.: „მებრძოლი“. №27. 02.02.1941

ვახიშვილის,[59] ნიკოლოზ ბერძენიშვილისა[60] და სხვა გამოჩენილ ისტორიკოსთა ღვაწლი. მაგრამ ამ კუთხით სრულიად გამორჩეულია მონოგრაფია თავისი დიდი მასწავლებლისა და მოძღვრის აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ,[61] რომელშიც, მადლიერმა მოწაფემ ღრმა მეცნიერულ კვლევასთან ერთად უდიდესი სითბო და სიყვარული ჩააქსოვა.

როგორც უკვე აღინიშნა, შოთა მესხია საფუძვლიანად იკვლევდა საქართველოს ისტორიის ოქროს ხანის – დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ეპოქის – სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საკითხებს. ამ მიმართულებით განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო მეცნიერის ცხოვრების ბოლო წლები, როდესაც ის შეუდგა ძლიერების ზენიტში მყოფი გაერთიანებული ქართული სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკური ისტორიის პრობლემური საკითხების კაპიტალურ დამუშავებას. მართალია, მძიმე ავადმყოფობამ და ნაადრევმა გარდაცვალებამ მკვლევარს ხელი შეუშალა ჩანაფიქრის სრულად განხორციელებაში, მაგრამ ის, რისი გაკეთებაც მან მოასწრო – ფუნდამენტური მონოგრაფია XII საუკუნის საქართველოს საშინაო პოლიტიკური ისტორიის ცალკეულ საკითხებსა და სამოხელეო სისტემაზე – ნამდვილი გარღვევა იყო ქართულ ისტორიოგრაფიაში. შოთა მესხიას ეს გამოკვლევა, რომელიც მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ გამოიცა,[62] საუსებით სამართლიანად ითვლება ქართული საისტორიო მეცნიერების უმნიშვნელოვანეს შენაძენად.[63]

---

[59] შ. მესხია. ივანე ჯავახიშვილი. გაზ.: „საბჭოთა მასწავლებელი“. 22.11.1945; შ. მესხია, დ. გურიტიშვილი. დიდი მეცნიერი და მოქალაქე (ივ. ჯავახიშვილის დაბადების 85 წლისთავი). გაზ.: „კომუნისტი“. 27.14.1961.

[60] შ. მესხია. ა. აფაქიძე. აკადემიკოსი ნიკოლოზ ბერძენიშვილი. „სკოლა და ცხოვრება“. №8. 1965, გვ. 80-84; შ. მესხია. ა. აფაქიძე. ერის ღვაწლმოსილი მემატიანე (ნ. ბერძენიშვილის დაბადების 70 წლისთავის გამო). გაზ.: „კომუნისტი“. 12.06. 1965; შ. მესხია, ნ. ასათიანი, შ. ბადრიძე. სახელოვანი ცხოვრების გზა (ნ. ბერძენიშვილის დაბადების 70 წლისთავის გამო). გაზ.: „თბილისის უნივერსიტეტი“. №21. 11.06.1965.

[61] არსებობს ამ ნაშრომის ორი გამოცემა (შ. მესხია. სიმონ ჯანაშია. თბ. 1950; შ. მესხია. საქართველოს ისტორიის გამოჩენილი მკვლევარი. სიმონ ჯანაშია. თბ. 1960). გარდა ამისა, ს. ჯანაშიასადმია მიძღვნილი შ. მესხიას კიდევ ერთი პუბლიკაცია. იხ.: შ. მესხია. აკადემიკოსი ს. ჯანაშია და ქართული ისტორიული მეცნიერება. აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. XXIII. თბ. 1949.

[62] შ. მესხია. საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში. თბ. 1979.

[63] რ. მეტრეველი. შოთა მესხია, გვ. 40; ზ. პაპასქარი. ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენი. საისტორიო ძიებანი. წელიწდეული. ტ. VIII-IX. ეძღვნება შოთა მესხიას დაბადებიდან 90-ე წლისთავს. ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაცია. თბ. 2006, გვ. 31-36 (https://sites.google.com/site/saistoriodziebani/dziebani2005-2006).

როგორც სათაურიდან ჩანს, ნაშრომი ეძღვნება XII საუკუნის საქართველოს სახელმწიფოს შინაპოლიტიკური ცხოვრების მეტად მნიშვნელოვანი პრობლემის – ქვეყნის სამოხელეო სისტემის შესწავლას. მასში ფუნდამენტურადაა გამოკვლეული აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებული ყველა საკვანძო საკითხი. პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში შესწავლილია XII-XIII საუკუნეების საქართველოს ერთ-ერთი უძლიერესი ფეოდალური საგვარეულოს – მხარგრძელთა სახლის ისტორია.

შ. მესხია უარყოფს ისტორიოგრაფიაში გაბატონებულ შეხედულებას სავაზიროს, როგორც სათათბირო ორგანოს, XII საუკუნეში ჩამოყალიბების შესახებ. მკვლევარი გულდასმით აანალიზებს წყაროების მონაცემებს ვაზირის ან ვაზირთა შესახებ და ასკვნის, რომ აღნიშნული პერიოდის საქართველოს ისტორიის ამსახველ მასალებში ყველგან იხსენიება მხოლოდ ერთი ვაზირი – მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი, რომ თამარის მეფობის ბოლო წლებამდე (ათაბაგობის დაწესებამდე) „საავაზირო, როგორც საგანგებო დაწესებულება, ვაზირთა სათათბირო, საკრებულო ორგანო“ არ არსებობდა.[64] ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს აგრეთვე განსვენებული მეცნიერის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ე.წ. *„გუნია ყალის“* წარწერის მონაცემები არ შეიძლება მიჩნეულ იქნას თამარის დროს მეფის ხელისუფლების შეზღუდვის მაჩვენებლად.[65]

შ. მესხიას აზრით, ასევე, უსაფუძვლოა თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის თხზულებაში ნახმარი ფრაზის *„ერთნებობისა და თანადგომის“* გამოყენება *„თამარის სამეფო ხელისუფლების შეზღუდვისა და მეფესა და დიდებულთა შორის ხელისუფლების განაწილების მოწმობად“*.[66] მკვლევარი მიუთითებს, რომ აღნიშნული ფრაზა წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ ზოგად გამოთქმას და ის არ შეიძლება გამოცხადდეს *„...თამარის ეპოქისათვის დამახასიათებელ პოლიტიკურ დოქტრინად“*.[67] აქედან გამომდინარე, შ. მესხია ასკვნის, რომ მიუხედავად დიდებულთა არაერთგზის მცდელობისა, თამარმა მაინც შეძლო თავისი თვითმყრობელური ხელისუფლების შენარჩუნება და (ისევე როგორც გიორგი III) მართავდა ქვეყანას არა ყოველისშემძლე სავაზიროს, მეფის ხელისუფლების შემზღუდველი საგანგებო დაწესებულების მეშვეობით, არამედ „დარბაზის რიგის“ მაღალი რანგის ერთგულ მოხელეებზე

[64] შ. მესხია. საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა, გვ. 70-71.
[65] შ. მესხია. საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა, გვ. 64-65.
[66] შ. მესხია. საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა, გვ. 70.
[67] შ. მესხია. საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა, გვ. 69.

დაყრდნობით, რომელთაც მეთაურობდა *„მეფის უპირველესი მოხელე – ვაზირი – მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი“*.[68]

ნაშრომში ცალკე თავი ეძღვნება სამეფო ხელისუფლების ცენტრალური აპარატის – „დარბაზის რიგის“ მაღალი რანგის მოხელეთა ვინაობის დადგენასა და მათი როლის შეფასების საკითხს ქვეყნის საშინაო-პოლიტიკურ ცხოვრებაში. აღნიშნულ პრობლემაზე მსჯელობას შ. მესხია იწყებს ვაზირის – მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის ინსტიტუტის შესწავლით. აკრიტიკებს რა ზოგიერთი მეცნიერის (ს. კაკაბაძე, ს. ერემიანი) მტკიცებას არაქართველ (ყივჩაყ, სომეხ) მოღვაწეთა მომძლავრებისა და გადამწყვეტი როლის შესახებ ქვეყნის მმართველობაში, ავტორი აღნიშნავს, რომ საკითხისადმი ამგვარი მიდგომის მიზეზად იმდროინდელი საქართველოს სამოხელეო წყობის არასწორი გაგება, პირველ რიგში კი, ვაზირის – მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის როლის შეუფასებლობა – უგულებელყოფა უნდა მივიჩნიოთ.[69]

როგორც ცნობილია, მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის თანამდებობა დავით აღმაშენებლის მეფობის დროს შეიქმნა და იგი იმთავითვე მეფის თვითმპყრობელური ხელისუფლების მთავარ დასაყრდენად იქცა. შ. მესხია, მიუთითებს რა მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის ხელისუფლების როლზე ერთიანი ფეოდალური მონარქიის გაძლიერებისა და განმტკიცების საქმეში, ჩვენი აზრით, საკმაოდ დამაჯერებლად ასაბუთებს მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის სახელოს შემდგომ ზრდასა და განმტკიცებას თამარის ეპოქაში. მკვლევრის აზრით, ამის მაჩვენებელი უნდა იყოს მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელისათვის პროტოუპერტიმოსის, ანუ სამეფოს უპირველესი მოქალაქის ტიტულის მინიჭება.[70] განსაკუთრებით აღსანიშნავია შ. მესხიას მიერ მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის სამხედრო ფუნქციებზე ყურადღების გამახვილება. უაღრესად მნიშვნელოვანია ამ თვალსაზრისით, მეცნიერის დასკვნა იმის შესახებ, რომ მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს არათუ ხელი მიუწვდებოდა სამხედრო უწყებაზეც, არამედ ის ზღუდავდა და აკონტროლებდა ამირსპასალარის ხელისუფლებას.[71]

შ. მესხია საფუძვლიანად იკვლევს ცენტრალური ხელისუფლების სხვა ორგანოებს: მანდატურთუხუცესის, ამისპასალარის, მეჭურჭლეთუხუცესის, მსახურთუხუცესის და სხვა სახელოების ჩამოყალიბების ისტორიას და არკვევს

[68] შ. მესხია. საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა, გვ. 70-71.
[69] შ. მესხია. საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა, გვ. 82.
[70] შ. მესხია. საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა, გვ. 100.
[71] შ. მესხია. საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა, გვ. 98.

ამ თანამდებობებზე მყოფ პირთა ვინაობას. ავტორი აღნიშნავს, რომ სახელმწიფო ხელისუფლების მართვის ცენტრალური აპარატის ჩამოყალიბება დაიწყო საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის შექმნიდან (X-XI საუკუნეების მიჯნა) და მან *„უფრო გამოკვეთილი სახე მიიღო“* დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის ხანაში.[72] მკვლევარმა დაადგინა, რომ ამ დროს გამოიკვეთა საქართველოს ლაშქრის მთავარსარდლის – ამირსპასალარის – თანამდებობა.[73] ამავე პერიოდში ჩამოყალიბდა მანდატურთუხუცესის (შინაგანი საპოლიციო სამსახურისა და მეფის დაცვის უფროსის) სახელო, რომელიც, მეცნიერის აზრით, დავით აღმაშენებლის დროს მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის შემდეგ ყველაზე ძლიერი ხელისუფალი გახდა.[74] დავითის მეფობის ხანას აკუთვნებს შ. მესხია აგრეთვე მეჭურჭლეთუხუცესის სახელოს ფორმირებასაც.[75]

უარყოფს რა პ. ინგოროყვას მოსაზრებას, ჯერ 1178-84 წლების საქართველოში „სავაზიროს რეფორმისა“, ხოლო შემდეგ 1184-1191 წწ. სამოხელეო წყობაში ერთგვარი „რესტავრაციის“ ჩატარების შესახებ, შ. მესხია აღნიშნავს, რომ მიუხედავად დიდგვაროვანთა მრავალგზის მოთხოვნებისა, თამარმა შეძლო უმნიშვნელოვანეს თანამდებობებზე ძირითადად სამეფო ხელისუფლების ერთგულთა დაწინაურება.[76] მეცნიერის აზრით, ეს იყო არა გიორგი III მიერ „ორბელთა აჯანყების“ ჩახშობის (1178 წ.) შემდეგ დამხობილ საგვარეულოთა რესტავრაცია (როგორც ამას ფიქრობდა პ. ინგოროყვა), არამედ *„თამარის თვითმყრობელური ხელისუფლების სიძლიერისა და ოპოზიციურ ძალებზე გამარჯვების ძირითადი მოწმობა“*, გიორგი III-ის საშინაო-პოლიტიკური კურსის გაგრძელება.[77]

ნაშრომის ყველაზე ვრცელი ნაწილი მიძღვნილია მხარგრძელთა ფეოდალური საგვარეულოს ისტორიის შესწავლისადმი. როგორც ცნობილია, მხარგრძელებს ხანგრძლივი დროის განმავლობაში ეკავათ ამირსპასალარის, ხოლო შემდეგ ათაბაგის თანამდებობები და მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ იმდროინდელი საქართველოს შინაპოლიტიკურ ცხოვრებაში, განსაკუთრებით კი თამარის მეფობის დროს. ქართულ და სომხურ ისტორიოგრაფიაში არ არის ერთი აზრი მხარგრძელთა წარმომავლობის, კონფესიური კუთვნილების, ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი როლისა და სხვა საკითხების შესახებ.

---

[72] შ. მესხია. საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა, გვ. 12.
[73] შ. მესხია. საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა, გვ. 13-20.
[74] შ. მესხია. საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა, გვ. 20.
[75] შ. მესხია. საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა, გვ. 24.
[76] შ. მესხია. საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა, გვ. 157.
[77] შ. მესხია. საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა, გვ. 158.

შ. მესხიამ თავი მოუყარა მხარგრძელთა მოღვაწეობის ამსახველ ყველა საინტერესო წყაროს და მათი მონაცემების სკრუპულოზური ანალიზის შედეგად დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ: ა) მხარგრძელები არ არიან არც ქართული და არც სომხური წარმოშობის და მომდინარეობენ ერთ-ერთი ქურთული ტომიდან, რომელიც გადმოსახლდა სომხეთში XI ს. 50-60-იან წლებში; მხარგრძელი იყო ერთადერთი გვარსახელი მთელი საგვარეულოსი; ეს „წმინდა ქართული ფორმა – „მხარგრძელი" არის დადასტურებული სომხურ წარწერებშიც და მიუთითებს მხარგრძელთა ადრევე (არაუგვიანეს XII ს. შუა წლებისა) გაქართველებაზე, *„ქართულ-ფეოდალურ საგვარეულოდ გადაქცევაზე"*;[78] ბ) თავდაპირველად მონოფიზიტი და ტაშირ-ძორაკეტში გადასვლის შემდეგ სომხურ გრიგორიანულ ეკლესიას შეკედლებული მხარგრძელთა წინაპრები დავით აღმაშენებლის მიერ ჩრდილოეთ სომხური მიწების შემოერთების შემდეგ თანდათანობით მთლიანად რელიგიურადაც გაქართველდნენ. *„ქართულმა სახელმწიფოებრიობამ და მისმა გარემომ ქურთული წარმოშობის საგვარეულო „მხარგრძელთა" ქართულ საგვარეულოდ აქცია"*;[79] გ) მხარგრძელთა აღზევება დაიწყო დავით აღმაშენებლის დროს. განსაკუთრებით კი ისინი დაწინაურდნენ გიორგი III-ის მეფობის ბოლო წლებში, როდესაც ორბელთა დამხობის (1178 წ.) შემდეგ ამ საგვარეულოს მთავარი წარმომადგენელი – სარგის მხარგრძელი მტკიცედ ჩადგა *„იმ ქართველ დიდებულთა შორის, რომელთაც მეფის ნდობა, ერთგულება და სიყვარული დაიმსახურეს"*.[80]

ამრიგად, შოთა მესხიას ნაშრომი *„საშინაო-პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII ს. საქართველოში"* ქართული ფეოდალური სახელმწიფოს განვითარების ამ უმნიშვნელოვანესი პერიოდის შინაპოლიტიკური ისტორიის ფუნდამენტურ გამოკვლევას წარმოადგენს. მასში საფუძვლიანადაა შესწავლილი და ახლებურადაა გადაჭრილი XII ს. საქართველოს შინაპოლიტიკური ცხოვრებისა და სამოხელეო წყობის მთელი რიგი საკვანძო საკითხები. ამის საშუალება კი, როგორც სამართლიანად აღნიშნავენ წიგნის რედაქტორ-გამომცემლები, აკაკი სურგულაძე და ნოდარ შოშიაშვილი, მეცნიერს მისცა, *„საკვლევი საკითხების წყაროთმცოდნეობითი ბაზის გაფართოებამ, წინამორბედ მკვლევარებთან შედარებით წყაროების ახლებურმა კვლევამ და ინტერპრეტაციამ, ქართული ისტორიოგრაფიის უახლესი მიღწევების გამოყენე-*

[78] შ. მესხია. საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა, გვ. 253.
[79] შ. მესხია. საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა, გვ. 274.
[80] შ. მესხია. საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა, გვ. 291.

ბამ, გამოცდილი, მაღალკვალიფიციური ისტორიკოსის ალღომ, ტრადიციულ თვალსაზრისთა კრიტიკული შემოწმებისა და გადასინჯვის უნარმა".[81]

და მაინც, შოთა მესხიას ხსენებული მონოგრაფიის ერთ-ერთი მთავარი ღირსება ისაა, რომ მასში მეცნიერმა საკადრისი პასუხი გასცა საქართველოს ისტორიის გამყალბებლებს, რომლებიც სპეკულირებდნენ მხარგრძელთა „სომხური კონფესიური ფესვებით" და ყოველნაირად ცდილობდნენ ამ საგვარეულოს წარმომადგენლები წარმოეჩინათ მითიური „სომხური ეროვნულ-სახელმწიფოებრივი" წარმონაქმნის – საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში ერთგვარი „ავტონომიის" – ფუძემდებლებად და მესვეურებად. სათანადო პირველწყაროების, მათ შორის, შუა საუკუნეების სომხურ წერილობითი მემკვიდრეობის,[82] გამოწვლილვითი ანალიზის საფუძველზე, შ. მესხიამ დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ, მიუხედავად მნიშვნელოვანი აღზევებისა საქართველოს სამეფო კარზე (განსაკუთრებით თამარის ეპოქაში), მხარგრძელები სომხურ ტერიტორიებს მართავდნენ არა როგორც დამოუკიდებელი თუ ნახევარდამოუკიდებელი „ზაქარიანები", არამედ როგორც საქართველოს მეფის უერთგულესი მოხელეები.[83]

მანამდე კი იყო შოთა მესხიასა და მარიამ ლორთქიფანიძის გახმაურებული საგაზეთო პუბლიკაცია, რომელშიც ავტორებმა სააშკარაოზე გამოიტანეს საქართველოს წარსულის გაყალბების ფაქტები გრიგოლ ვერმიშევის ისტორიულ რომანში *„ამირსპასალარი"* და უხეშ და მიზანმიმართულ ფალსიფიკაციაში ამხილეს რუსულენოვანი სომეხი მწერალი.[84] თუმცა საგაზეთო პუბლიკაცია, ბუნებრივია, არ იყო და ვერც იქნებოდა საკმარისი გათავხედებული მწერლის მხატვრულ ნაწარმოებში ასახული ყალბი სურათის გასანეიტრა-

---

[81] შ. მესხია. საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა, გვ. 8.

[82] სპეციალისტთა საუბებით მართებული შეფასებით, შ. მესხიას ამ ნაშრომში „სომხურმა წყაროებმა, პირველ რიგში კი, სომხურმა ეპიგრაფიკამ ახალი სიცოცხლე და მნიშვნელობა შეიძინა, როგორც წყაროთმცოდნეობითმა მასალამ საქართველოს ისტორიისათვის" (შ. დარჩიაშვილი. შოთა მესხია და სომხურ წყაროთა ცნობების ახლებური გააზრება ქართულ ისტორიოგრაფიაში. შოთა მესხია – 90. კრებული მიძღვნილი შოთა მესხიას დაბადების 90 წლისთავისადმი. თბ. 2006, გვ. 60. შ. მესხიას ღვაწლზე ქართული და სომხური ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლის სფეროში იხ. გ. ოთხმეზური. ეპიგრაფიკული ძეგლები შოთა მესხიას სამეცნიერო მემკვიდრეობაში. ჟამთა აღმწერელობა ჭეშმარიტისა მეტყუელება არს. ზურაბ პაპასქირი – 60. თბ. 2010-2013, გვ. 186-200 (http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/27363/1/Zurab Papaskiri-60.pdf).

[83] შ. მესხია. საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა.., გვ. 307.

[84] შ. მესხია, მ. ლორთქიფანიძე. მრუდე სარკეში. ერთ ისტორიულ რომანში საქართველოს ისტორიის წარსულის გაყალბების გამო. გაზ.: „კომუნისტი". 12.01.1969. იგივე პუბლიკაცია იხ. აგრეთვე: საისტორიო ძიებანი. წელიწდეული. ტ. VIII-IX. ეძღვნება შოთა მესხიას დაბადებიდან 90-ე წლისთავს. თბ. 2006, გვ. 3-13 (https://sites.google.com/site/saistoriodziebani/dziebani2005-2006).

ლებლად – სიმართლე ითქვას, ეს არც იყო აუცილებელი. გაცილებით უფრო აქტუალური იყო აღნიშნულ რომანში განვითარებული ფალსიფიკატორული ხედვის ისტორიოგრაფიული საძირკვლის ამომწურავი კრიტიკა, ანუ მხარგრძელთა მოღვაწეობის ირგვლივ არსებული სომხური ისტორიოგრაფიის მითების სრული უსაფუძვლობის ჩვენება.

სწორედ ეს უმნიშვნელოვანესი ამოცანა გადაჭრა შ. მესხიამ უკანასკნელ მონოგრაფიაში, რითაც მაღალ მეცნიერულ კვალიფიკაციასთან ერთად მკაფიოდ აჩვენა, რომ სწორედ ის არის ქართული საისტორიო სკოლის ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა, ლიდერი, რომელსაც შესწევს უნარი მტკიცედ დაიცვას მშობლიური ისტორია, საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესები ნებისმიერი ისტორიოგრაფიულ-იდეოლოგიური შემოტევისაგან. ეს კი იმ დროს, როდესაც ყბადაღებული „პროლეტარული ინტერნაციონალიზმის“ ფარისეველურ ლოზუნგს ამოფარებული საბჭოთა კომუნისტურ-ტოტალიტარული რეჟიმი ხმალამოღებული იბრძოდა ეროვნულობის ისეთი მამოძრავებელი მუხტის პროპაგანდის წინააღმდეგ, როგორიც მშობლიური ისტორიაა,[85] არცთუ უხიფათო იყო.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველოს ისტორია არასოდეს ყოფილა ოდენ მეცნიერების ერთი განყენებული დარგი – ის არის ქართველი ხალხის ერთ-ერთი უმთავრესი ეროვნული ფასეულობა, საფუძველთა-საფუძველი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერებისა. სწორად ბრძანებდა დიდი ილია, რომ *„არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარ-ტომობისა ისე არ შეამსჭვალებს ხოლმე ადამიანს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა...“*;[86]

[85] თუ როგორ ებრძოდა კომუნისტური იდეოლოგია ეროვნულ (განსაკუთრებით არარუსი ხალხების) ისტორიას, მკაფიოდ გამომჟღავნდა XX ს. 70-იანი წლების დამდეგს, როდესაც ქვეყნის უმაღლესი პოლიტიკური ორგანოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა (შემდგომ მიხეილ გორბაჩოვის „პერესტროიკის“ ცნობილმა „არქიტექტორმა“) ალექსანდრე იაკოვლევმა პირდაპირ „ჯვარს აცვა“ ნაციონალური რესპუბლიკების სამეცნიერო და შემოქმედებითი წრეების ის წარმომადგენლები, რომლებიც, მისი აზრით, გატაცებული იყვნენ წარსულის იდეალიზაციით და ქება-დიდებას ასხამდნენ ცალკეულ მეფე-მთავრებს (მათ შორის, დავით აღმაშენებელს, თამარ მეფეს, თემურ-ლენგს და ა.შ.). ამის შესახებ უფრო ვრცლად იხ.: ზ. პაპასქირი. ერთიანი საქართველოს ისტორიის მკვლევარი. ქვეყნის სიყვარულში განვლილი წლები. აკადემიკოს როინ მეტრეველის 75 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული. თბ. 2014, გვ. 155-159.

[86] ილია ჭავჭავაძე. ოსმალოს საქართველო. ილია ჭავჭავაძე. ექსტრემეული. ტ. 4. თბ. 2012, გვ. 3 (ხაზგასმა ჩვენია – რ.მ., ზ.პ.). მართლაც, შეიძლება ადამიანმა (ადამიანთა ჯგუფმა) იცოდეს მშობლიური ენა, მეტ-ნაკლებად ჰქონდეს შენარჩუნებული მამაპაპური სარწმუნოება, მაგრამ იმის გამო, რომ მან დაკარგა საერთოისტორიული მეხსიერების კოდი, ანუ მოსწყდა (უფრო სწორად, მოსწყვიტეს) თავის ისტორიულ ფესვებს, იგი ამოვარდა ეროვნული სხეულიდან და თავისივე სამშობლოს მტერიც კი გახდა. მაგალითისათვის შორს წასელა არაა საჭირო – აფხაზეთის ტრაგედია, ძმათამკვლელი ომი აფხაზებსა და ქართველებს შორის ამის ნათელი დადასტურებაა.

რადგან *„ისტორია... დიდებული ტაძარია, საცა უწირავს ერთიან სულსა ერისას და საცა აღუმართავს ერს თავის დიდებული და დიდ-ბუნებოვან კაცთა უწმინდესნი ხატნი და ზედ წაუწერია დიდთა საქმეთა მოთხრობა, ვითა საშვილიშვილო ანდერძი...“*.[87] ამიტომ მოუწოდებდა ერის მამა თანამემამულეებს, გაფრთხილებოდნენ ამ *„საშვილიშვილო ანდერძს“*, ვინაიდან, მისი ღრმა რწმენით, *„ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდამ დაიწყება, როცა იგი თავისს ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავისის წარსულისა, თავისის ყოფილის ცხოვრებისა.* ***დავიწყება ისტორიისა, თავისის წარსულისა და ყოფილის ცხოვრების აღმოფხვრა ხსოვნისაგან – მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა, დარღვევისა და მთლად წარწყმედისაცა...“***.[88]

ილია ჭავჭავაძის ეს შეგონებანი დიახაც ჰქონდა ძვალ-რბილში გამჯდარი შოთა მესხიას. ამიტომაც ზრუნავდა ის დღენიადაგ საქართველოს ისტორიის სწავლების დონის ამაღლებისათვის და დიდ სამუშაოს ეწეოდა საქართველოს ისტორიის მეცნიერულად და მეთოდურად გამართული სახელმძღვანელობის შესაქმნელად. თავის კოლეგებთან ერთად ის იყო ავტორი აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით ისტორიის ფაკულტეტების სტუდენტებისათვის მომზადებული დამხმარე სახელმძღვანელოსი,[89] რომლითაც ათეული წლების განმავლობაში სწავლობდნენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში. აღნიშნული სახელმძღვანელოს ბაზაზე მომზადდა უკვე საქართველოს ისტორიის ახალი სასკოლო სახელმძღვანელოც.[90]

შემდეგ იყო ისტორიკოს ვიქტორ გუჩუასთან ერთად შექმნილი *„საქართველოს ისტორიის“* ახალი სახელმძღვანელო საშუალო სკოლებისათვის.[91] აღნიშნულმა წიგნმა გაიმარჯვა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ *„საქართველოს ისტორიის“* სახელმძღვანელოების დახურულ კონკურსში და წლების მაძილზე გამოიყენებოდა საშუალო სკოლაში. სახელოვანი ისტორიკოსის ზრუნვა მოსწავლე-ახალგაზრდობაში მშობლიური ისტორიის ცოდნის ამაღლების სფეროში მხოლოდ სახელმძღვანელოების შექმ-

[87] ილია ჭავჭავაძე. ერი და ისტორია. დიმ. ბაქრაძის ნაშრომის გამო ისტორიაზე. ილია ჭავჭავაძე. ექვსტომეული. ტ. 4. თბ. 2012, გვ. 32.

[88] ილია ჭავჭავაძე. ერი და ისტორია, გვ. 29, ხაზგასმა ჩვენია – რ.მ., ზ.პ.

[89] ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი. საქართველოს ისტორია. I. თბ. 1958.

[90] ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი. საქართველოს ისტორია (სახელმძღვანელო. VIII-X კლ.). თბ. 1958.

[91] შ. მესხია, ვ. გუჩუა. საქართველოს ისტორია (სახელმძღვანელო. VII-VIII კლ.). თბ. 1961.

ნით არ შემოფარგლულა – მისი მოღვაწეობა ამ მიმართულებით ბევრად უფრო მასშტაბური იყო და მიზნად ისახავდა სახელმწიფო პოლიტიკის ძირეულ შეცვლას საშუალო სკოლაში საქართველოს ისტორიის სწავლების სფეროში.

პირველი ნაბიჯები ამ ფრონტზე შ. მესხიას თავისი პედაგოგიური მოღვაწეობის გარიჟრაჟზე – ზუგდიდის რაიონის საშუალო სკოლაში მუშაობისას – გადაუდგამს. მას ადგილობრივ გაზეთში გამოუქვეყნებია წერილი, რომელშიც სსრკ ხალხთა ისტორიის (ძირითადი საისტორიო სასწავლო დისციპლინის) სწავლების პროცესში მშობლიური ისტორიის თემებზე ყურადღების გამახვილების საკითხი წამოუწევია.[92] ერთი შეხედვით, ეს იყო უპრეტენზიო სტატია, რომელშიც ახალგაზრდა ისტორიკოსი აკეთებდა მცირე კომენტარს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა აღქმულიყო ანდრეი შესტაკოვის რედაქციით გამოსულ სასკოლო სახელმძღვანელოში (*„სსრკ ისტორიის მოკლე კურსი“*)[93] მოცემული მოკლე განმარტება ძველი ურარტუს სახელმწიფოსთან ქართველთა წინაპრების კავშირის თაობაზე. მაგრამ აქ თვით საკითხის დასმაა საინტერესო და აქტუალური. სრულიად აშკარაა, რომ შ. მესხიას უკვე მაშინ აწუხებდა საშუალო სკოლაში მშობლიური ისტორიის სწავლების არასახარბიელო მდგომარეობა და ცდილობდა მოეძებნა გზები და საშუალებები არსებულ სიტუაციაში *„სსრკ ისტორიის“* სწავლებისას საქართველოს ისტორიის საკითხების უფრო ფართოდ წარმოჩენისათვის.

ეს იყო დასაწყისი იმ დიდი ბრძოლისა, რომელმაც ლოგიკური გაგრძელება ჰპოვა შოთა მესხიას შემდგომ მოღვაწეობაში – უკვე ეროვნული ისტორიის მეცნიერული კვლევისა და სწავლების ფლაგმანის (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტთან ერთად), საქართველოს ისტორიის კათედრისა და სპეციალისტი ისტორიკოსების (მათ შორის საშუალო სკოლების მასწავლებლების) მთავარი სამჭედლოს – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის ხელმძღვანელის რანგში. ამ ბრძოლის ერთგვარი დაგვირგვინება კი იყო 1971 წელს გაზეთ *„ლიტერატურულ საქართველოში“* გამოქვეყნებული საპროგრამო წერილი – *„საცნობლად თავისადაო“*,[94] რომელ-

[92] შ. მესხია. საქართველოს ძველი ისტორიის საკითხები სსრკ ხალხთა ისტორიის სწავლებაში. გაზ.: „კომუნარი“ (საქართველოს კომპარტიის /ბ/ ზუგდიდის რაიკომისა და რაიაღმასკომის ყოველდღიური ორგანო). №90 (1974). 20.04.1938.

[93] Краткий курс истории СССР. Учебник для 3-го и 4-го классов. Под ред. проф. А. В. Шестакова. М. 1937.

[94] შ. მესხია. „...საცნობლად თავისადაო“. გაზ.: „ლიტერატურული საქართველო“. №24(1765), 11.06.1971.

შიც ავტორმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოს ისტორიის სწავლების სფეროში.

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ იმ პერიოდისათვის ეს იყო ძალზე გაბედული, მეტიც, ოფიციალური კონიუნქტურის თვალში „კრამოლური“ სტატია. ავტორმა მოურიდებლად პირში მიახალა განათლების სისტემის მესვეურებს, რომ *„საქართველოს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში საქართველოს ისტორიის სწავლება* ***არანორმალურ მდგომარეობაშია“*** და რომ მაღალ კლასებში *(„VII კლასის შემდეგ“)*, როდესაც მოსწავლეებს *„ყველაზე უკეთ შეუძლიათ გაიგონ მასალა,* ***საქართველოს ისტორიის სწავლება არსებითად ლიკვიდირებულია“***.[95]

ამის მთავარი მიზეზი კი, შ. მესხიას აზრით, იყო საგნისათვის გამოყოფილი საათების სიმცირე. მეცნიერი ყოვლად გაუმართლებლად მიიჩნევდა იმასაც, რომ საშუალო სკოლის მაღალ (VIII-X) კლასებში საქართველოს ისტორია იყო *„სსრ კავშირის ხალხთა ისტორიასთან შერწყმული“* და არ წარმოადგენდა ცალკე სასწავლო დისციპლინას. იგი არ იყო შეტანილი ცხრილში, არ ხდებოდა აღნიშნულ საგანში მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ფიქსირება საკლასო ჟურნალებში და, რაც მთავარია, *„საქართველოს ისტორია“*, როგორც ცალკე საგანი, არ იყო ჩაწერილი არც რვაწლიანი სკოლის დამთავრების მოწმობასა და არც საშუალო განათლების ატესტატში. ანუ არსაიდან ჩანდა, საერთოდ ისწავლებოდა თუ არა საქართველოს ისტორია.

შოთა მესხიამ კატეგორიულად მოითხოვა, რომ ***„საქართველოს ისტორიის სწავლებას ... საშუალო სკოლებში“*** დაბრუნებოდა ***„თავისი კუთვნილი ადგილი“***. რაც იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს ისტორიას უნდა მინიჭებოდა დამოუკიდებელი სასწავლო დისციპლინის სტატუსი და, შესაბამისად, ამ საგანში მიღებული შეფასება უნდა აღნიშნულიყო ***„ჟურნალებში, მოსწავლის წარმატების მოწმობასა და, რაც მთავარია, საშუალო განათლების ატესტატში“***.[96]

ეს კიდევ არაფერი, გაცილებით უფრო გამომწვევი იყო ის, რომ შოთა მესხიამ აღნიშნულ პუბლიკაციაში ეჭვის ქვეშ დააყენა იმჟამად მოქმედი სსრ კავშირის ხალხთა ისტორიის პირველივე სახელმძღვანელოს – ე. წ. ***„მოთხრობები სსრ კავშირის ისტორიიდან“*** (ისწავლებოდა IV კლასში) ეროვნულ სკოლებში გამოყენების მართებულობა. მეცნიერმა ეს ახსნა იმით, რომ ხსენებული სახელმძღვანელო ***„არსებითად დაწერილია მხოლოდ რუსეთის და***

[95] შ. მესხია. „...საცნობლად თავისადაო“. ხაზგასმა ავტორისაა.
[96] შ. მესხია. „...საცნობლად თავისადაო“. ხაზგასმა ავტორისაა.

ისიც რუსული სკოლებისათვის";[97] რის გამოც მისი სიტყვასიტყვით თარგმნა და *„შენიშვნების, განმარტებებისა და დამატებების გარეშე... IV კლასის აზერბაიჯანელი, სომეხი, ქართველი თუ სხვა ეროვნების მოსწავლეთათვის"* მიწოდება ყოვლად დაუშვებელია.[98]

ანუ შოთა მესხიამ ღიად განაცხადა, რომ ე. წ. ***„სსრ კავშირის ისტორია"***, რომელიც მრავალეროვანი საბჭოთა კავშირის სასკოლო განათლებაში (ასევე, უმაღლეს სკოლაშიც) წარმოადგენდა ძირითად საისტორიო დისციპლინას და ***„მშობლიური ისტორიის"*** (***«Отечественная история»***[99]) რანგში გადიოდა, **სინამდვილეში საკუთრივ რუსეთის ისტორია** იყო. ამით მეცნიერმა, ფაქტობრივად, ნიღაბი ჩამოხსნა ყოვლად გაუმართლებელ, ნაციონალური ღირსების უკიდურესად შემლახველ იმპერიულ პოლიტიკას ისტორიის სწავლების სფეროში, რომლის მთავარი დანიშნულება ეროვნულობის მთლიანად მოშლა და „ველიკორუსულ" ისტორიულ ფასეულობებზე დაფუძნებული ახალი ერთობის – საბჭოთა ადამიანის – ფორმირება იყო.[100]

აი, სწორედ ეს იყო სკანდალი და „კრამოლა", რომლის გაბედვა მხოლოდ ლიდერს თუ შეეძლო. შოთა მესხია კი ნამდვილი ლიდერი იყო და მისი ეს ლიდერობა სულაც არ ყოფილა მხოლოდ მაღალი სამეცნიერო-პედაგოგიური თანამდებობრივი მდგომარეობით (საქართველოს ისტორიის კვლევისა და სწავლების მთავარი უჯრედის – თსუ საქართველოს ისტორიის კათედრის /იმჟამად ერთადერთის/[101]

---

97 შ. მესხიას განმარტებით ეს მეღვინდება თუნდაც იმაში, რომ მასში „სლავები გამოცხადებული არიან ყველა იმ მოსწავლეთა წინაპრებად, ვინც კი ამ წიგნით გაეცნობა სსრ კავშირის ხალხთა ისტორიის ელემენტებს". შ. მესხია. „...საცნობლად თავისადაო".

98 შ. მესხია. „...საცნობლად თავისადაო".

99 ამ მხრივ ნიშანდობლივია თუნდაც ის ფაქტი, რომ საბჭოთა პერიოდში სსრ კავშირის ისტორიის სფეროში გამომავალ სათავო სამეცნიერო პერიოდულ გამოცემას: «История СССР»-ს (ჟურნალი გამოდიოდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეგიდით) საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მაინცდამაინც, «Отечественная история» („მშობლიური ისტორია") უწოდეს. ჟურნალი ამ სახელწოდებით გამოდიოდა 1992-2008 წლებში. 2008 წლიდან კი მას საერთოდ „რუსეთის ისტორია" («Российская история») ეწოდა და დღეს ამ სახელწოდებით გამოდის.

100 ისტორიის სწავლების სფეროში საბჭოური იმპერიული საგანმანათლებლო პოლიტიკის შესახებ იხ.: ზ. პაპასქირი. დიდგორის ეპოპეის პირუთვნელი მატიანე, გვ. 6-9; ზ. პაპასქირი. ოცი წელი ეროვნული ისტორიის სამსახურში. საისტორიო ძიებანი. IV. წელიწდეული. ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაცია. თბ. 2001, გვ. 10-12 (https://sites.google.com/site/saistoriodziebani/dziebani2001).

101 საქართველოს ისტორიის მეორე კათედრა (ოფიციალური სახელწოდება: „სსრ კავშირის ისტორიის №2" კათედრა) გაიხსნა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1980-1981 სასწავლო წელს. ამ კათედრის სასწავლო-სამეცნიერო მუშაობა ძირითადად აგებული იყო თსუ საქართველოს ისტორიის კათედრის მუშაობის სქემაზე, ბუნებრივია, მთელი რიგი თავისებურებების გათვალისწინებით. ამის შესახებ დაწვრილ. იხ.: ზ. პაპასქირი. ოცი წელი ეროვნული ისტორიის სამსახურში, გვ. 3-47.

გამგისა და ისტორიის ფაკულტეტის დეკანის) – განპირობებული. ის იმ კატეგორიას განეკუთვნებოდა, რომლის ლიდერობისათვის თანამდებობა შეიძლება აუცილებელი არც კი ყოფილიყო.

შოთა მესხიას, როგორც XX ს. 60-იანი წლების ქართველ მეცნიერ-ისტორიკოსთა ერთ-ერთი წინამძღოლის რენომე დადასტურდა იმითაც, რომ მან აქტიური მონაწილეობა მიიღო *„საქართველოს ისტორიის ნარკვევების“* რვატომეულის მომზადებაში. ის იყო (1973 წ.) *„ნარკვევების“* II ტომის (მოიცავს IV-X საუკუნეების საქართველოს ისტორიას) რედაქტორი და თანაავტორი. მეცნიერის მიერაა დაწერილი აღნიშნული ტომის ვრცელი შესავალი,[102] რომელშიც გარდა იმისა, რომ მიმოხილულია ზოგადად ეპოქა, აგრეთვე, IV-X საუკუნეების საქართველოს ისტორიის ამსახველი წყაროები და ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობა, მოცემულია ადრე ფეოდალური ხანის პერიოდიზაციის მისეული ხედვა. შ. მესხია დანიშნული იყო III ტომის რედაქტორადაც, ამასთან, მასვე ჰქონდა დავალებული XI-XII საუკუნეების საქართველოს ისტორიის საკვანძო საკითხების გაშუქება, მაგრამ ნაადრევმა გარდაცვალებამ მეცნიერს არ დააცალა ამ მეტად საპატიო მისიის აღსრულება.[103]

შოთა მესხია აქტიურად იღწვოდა ქართველი ხალხის ისტორიული წარსულის პოპულარიზაციის კუთხით. ამ მხრივ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მისი მუშაობა საზოგადოება *„ცოდნის“* ბაზით. იგი საქართველოს ისტორიის სექციის თავმჯდომარე იყო და ინტენსიურად მუშაობდა, როგორც ლექტორი. მას ხშირად ნახავდით საქართველოს სხვადასხვა სოფელსა თუ ქალაქში, სადაც მეცნიერი დარბაისლური ქართულით მოუთხრობდა მსმენელებს საქართველოს ისტორიის სხვადასხვა ეპიზოდს.

1968 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იუბილესთან დაკავშირებით რუსულ და ინგლისურ ენებზე გამოიცა ს. მესხიას განმაზოგადებელი ნარკვევი: *„საქართველოს ისტორია“* (ძირითადი ეტაპები), რომელშიც პოპულარულ ენაზე გადმოცემული იყო საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია.[104] 1971 წელს, გერმანელ მეცნიერთა მიწვევით, შ. მესხიამ იმოგზაურა

---

[102] საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. II. თბ. 1973, გვ. 5-56.

[103] ამ ტომში, რომლის გამოცემა შ. მესხიას გარდაცვალების გამო კარგა ხანს შეყოვნდა, შეტანილ იქნა მხოლოდ მცირე მასალა მეცნიერის დაკვირვებებისა XI-XII საუკუნის საქართველოს ქალაქებსა და საქალაქო ცხოვრებაზე. იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III. თბ. 1979, გვ. 98-102, 108-111.

[104] Ш. А. Месхиа. История Грузии (Краткий обзор). Тб. 1968; Sh. A. Meskhia. An Outline of Georgian History. Tb. Tbilisi University Press, 1968.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, სადაც ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტში ლექციები წაიკითხა საქართველოს ისტორიის შესახებ. ეს ლექციები შემდეგ ცალკე წიგნად გამოიცა გერმანულ ენაზე.[105]

შოთა მესხია აქტიურად ჩაება 1965 წელს შექმნილი ქართული ენციკლოპედიის სამეცნიერო რედაქციის საქმიანობაში, სათავეში ედგა საქართველოს ისტორიის საბჭოს. მისი მეთვალყურეობით შეიქმნა საქართველოს ისტორიის სიტყვანი; მისი ხელმძღვანელობით მომზადდა ენციკლოპედიის პირველი ტომის ბევრი სტატია. საქართველოს ისტორიის ამსახველი ენციკლოპედიური მასალების მომზადებასთან დაკავშირებით არ შეიძლება გვერდი ავუაროთ მეცნიერის მონაწილეობას (ვალერიან გაბაშვილთან და გრიგოლ ხაჭაპურიძესთან ერთად) *„დიდი საბჭოთა ენციკლოპედიისთვის“* აჭარის შესახებ სტატიის მომზადებაში.[106]

შოთა მესხიამ მნიშვნელოვანი ამაგი დასდო *„საქართველოს სსრ ატლასის“* შედგენას. მან მამია დუმბაძესთან და ალექსანდრე ასლანიკაშვილთან ერთად შეადგინა XVIII ს. II ნახევრის საქართველოს რუკა. მეცნიერის შემოქმედებითი თანამეგობრობის ნაყოფია, აგრეთვე, გამოჩენილ მეცნიერ-მეტალურგთან აკადემიკოს ფერდინანდ თავაძესა და ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორ ვლადიმერ ბარქაიასთან ერთად დაწერილი წიგნი ლითონების დამუშავებაზე ძველ საქართველოში.[107]

შოთა მესხია იყო პატრიოტი ისტორიკოსი. მისი ყოველი ნაშრომი გამსჭვალულია მშობლიური ქვეყნისა და მისი ისტორიისადმი ამაღლებული სიყვარულით. ის ერთ-ერთია იმ მცირერიცხოვან ქართველ ისტორიკოსთაგან, რომელიც ოდნავადაც არ უშინდებოდა ოფიციალურ კონიუნქტურას (ამ მხრივ ზემოთნახსენები საგაზეთო პუბლიკაცია: *„... საცნობლად თავისადაო“* რად ღირს) და მედგრად იდგა ეროვნული ფასეულობებისა და მშობლიური ისტორიის სადარაჯოზე, აქტიურად იბრძოდა საქართველოს ისტორიის გამყალბებლების წინააღმდეგ. ამასთან, მისი კრიტიკა დიახაც იყო „გამოსარჩლებითი“, თუმცა არა „ურა-პატრიოტული“. მას კარგად ესმოდა, რომ ეროვნული ისტორია მეტად სათუთი სფეროა, რომელიც ვერ ითმენს რყევებს და მეც-

[105] Š. Mesxia. Geschichte Georgiens (Kurzer Überblick). Jena. Friedrich-Schiller-Universität. 1972.
[106] იხ.: Аджарская Автономная Советская Социалистическая Республика. Большая Советская Энциклопедия (БСЭ). Второе издание. т. I. М. 1950, გვ. 399-403.
[107] ფ. თავაძე, შ. მესხია, ვ. ბარქაია. ფურცლოვანი ლითონების ჩარხებზე დამუშავება ძველ საქართველოში. თბ. 1954.

ნიერის მხრიდან მოითხოვს მაქსიმალურ სიფრთხილეს. ქართული ისტორიოგრაფიის მამებს (ვახუშტი ბაგრატიონი, ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი...) ეს მშვენივრად ესმოდათ.

ისინი არასოდეს აძლევდნენ თავს უფლებას, აჰყოლოდნენ ეროვნულ გრძნობებსა და ემოციებს და სათანადო არგუმენტაციის გარეშე, დაუმსახურებლად განედიდებინათ ქვეყნის ისტორიის ესა თუ ის ეპიზოდი, ესა თუ ის მოღვაწე. მაგრამ, ამასთან, მათთვის კატეგორიულად მიუღებელი იყო მოჭარბებული ნიჰილიზმი და ეროვნული ისტორიის სახელოვანი ფურცლების ზედმეტად კრიტიკული აღქმა. თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია ზოგადად (რასაკვირველია, თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა) ერთგულად მიჰყვება ამ მაგისტრალურ ხაზს, ცდილობს დაიცვას ერთგვარი „ოქროს შუალედი“ და არ დაუშვას გადახრა არცერთი მიმართულებით. შოთა მესხიას შემოქმედება სწორედ ამ „ოქროს შუალედის“ სანიმუშო დემონსტრირებაა.

შოთა მესხია ახალგაზრდების დიდი მოძღვარი და მოამაგე იყო. მან არაერთ მათგანს გაუწია ჭეშმარიტად მამობრივი მზრუნველობა და გაუკვალა გზა სამეცნიერო ასპარეზზე. უფრო მეტიც, შოთა მესხია იმ თითზე ჩამოსათვლელ დიდ ისტორიკოსთა (ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი...) შორისაა, რომლებმაც შექმნეს საკუთარი სამეცნიერო სკოლა. ამ სკოლის ღირსეული წარმომადგენლები იყვნენ და არიან მისი მოწაფეები, რომელთა შორისაა ერთი აკადემიკოსი (როინ მეტრეველი), რამდენიმე მეცნიერებათა დოქტორი (შოთა ბადრიძე, ლოვარდ ტუხაშვილი, ჯემალ სტეფნაძე, გულიევრ იობაშვილი, ილია ანთელავა, გიორგი აფრასიძე, ზურაბ პაპასქირი) და კანდიდატი (თამარ გამსახურდია, გიორგი ნადირაძე, შანშე დარჩიაშვილი და ა.შ). მათ გარდა, არიან სხვა ცნობილი მეცნიერები, რომელთა უშუალო მეცნიერ-ხელმძღვანელი (დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე) შოთა მესხია ვერ იქნებოდა, მაგრამ მათ შემოქმედებაზე გადამწყვეტი გავლენა სწორედ მისმა ისტორიოგრაფიულმა მემკვიდრეობამ იქონია და მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა ამ მეცნიერთა კვლევის მიმართულება. მათ შორის დავასახელებდით თანამედროვე ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს, პროფესორ ნოდარ შენგელიას, და ქართული სამართლის ისტორიის აღიარებულ მკვლევარს, პროფესორ ვახტანგ აბაშიძეს.

საკუთარი თავისადმი მომთხოვნი მეცნიერი პრინციპული იყო სხვების მიმართაც. ზედმიწევნითი თავაზიანობა და თავშეკავებულობა არ უშლიდა მას ხელს მიუკერძოებელი ყოფილიყო ამა თუ იმ საკითხის გარკვევისას. იგი იყო

მკაცრი ხელმძღვანელი თავისი ასპირანტებისა და მეტად მომთხოვნი ოპონენტი დისერტანტებისა. შ. მესხიას ხელდასხმით არაერთი სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაცია იქნა დაცული.

ასეთია ძირითად შტრიხებში შოთა მესხიას თუმც მოკლე, მაგრამ უაღრესად ნაყოფიერი და მრავალფეროვანი შემოქმედებითი გზა. მან ღირსეულად განაგრძო თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის კორიფეების: ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის მიერ გაკვალული გზა, თავისი ფუნდამენტური შრომებით გაამდიდრა ეროვნული საისტორიო მეცნიერების საგანძური და მნიშვნელოვნად წასწია წინ საქართველოს ისტორიული წარსულის მეცნიერული შესწავლის საქმე.

100 წელი გავიდა შოთა მესხიას დაბადებიდან, აქედან თითქმის 45 წელია, რაც მან დატოვა წუთისოფელი და ზეციურ საქართველოში გადაინაცვლა, მაგრამ განვლილმა პერიოდმა ოდნავადაც ვერ გააფერმკრთალა სახელოვანი მეცნიერისა და ღირსეული მამულიშვილის ნათელი სახე. ცხოვრება და „საქმენი მისნი“ დღესაც აქტუალურია და მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა იღვაწო ერისა და სამშობლოს სადიდებლად. ამიტომაც ჩავთვალეთ საჭიროდ კიდევ ერთხელ წარმოგვეჩინა გამოჩენილი მეცნიერისა და ღირსეული მამულიშვილის, ეროვნული ისტორიოგრაფიის უთვალსაჩინოესი წარმომადგენლისა და მისი ნამდვილი მშვენების, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ შოთა მესხიას ღვაწლი.

Roin Metreveli, Zurab Papaskiri

LIFE AND ACTIVITIES OF THE FAMOUS SCHOLAR: *SHOTA MESKHIA*

Summary

The paper represents the brief biographical sketch about the life and activities of Shota Meskhia (1916-1972), the famous Georgian scholar, historian, the corresponding member of Georgian Academy of Sciences, the worthy successor of the coryphaei of Georgian historical science – academicians Ivane Javakhishvili, S. Janashia and N. Berdzenishvili.

Shota Meskhia's scientific heritage includes around 100 publications. The fundamental researches about the cities and the urban system in the Medieval Georgia; about the internal policy and the state order in the second half of the 12th century Georgia; on the social, economical and political history of Georgia; in source studies and historiography are the most worthy among his works. Sh. Meskhia has done the prolific work in composing the educational literature both for the universities and schools. From the scholar's pen came the concise courses in History of Georgia in Russian, English, German and French, which were published in Georgia and abroad (in Germany).



მშობლები – ამბაკო მესხია და ლიდა შენგელაია



პატარა შოთა დედასთან და დებთან ერთად



ცოლისძმა შოთა მოლაშხიასთან ერთად



ზუგდიდელ ამხანაგებთან ერთად



დოქტორანტურის პერიოდი, 1952



შოთა მესხია მეუღლესთან
– მარიამ მოლაშხიასთან ერთად



უმცროს ქალიშვილთან
– მარინესთან ერთად



შოთა მესხია მეუღლესთან და ქალიშვილებთან
– მანანა და მარინესთან ერთად



შოთა მესხია მეუღლესთან ერთად



შოთა მესხია „განუყრელი“ სიგარეტით



შოთა მესხია სოხუმში



შოთა მესხია შვილიშვილთან – სანდრო კვიტაშვილთან ერთად



აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილთან და სხვა კოლეგებთან ერთად.
თიანეთის ექსპედიცია. 1949 წ.



აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილთან და გერმანე გობეჯიშვილთან ერთად.
უჯარმა. 1950 წ.



გიორგი მელიქიშვილთან, გიორგი ლომთათიძესა და ირაკლი ციციშვილთან ერთად



აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილთან ერთად.
„ვერთა ყანა“. 1956 წ.



კოტე ჩოლოყაშვილთან ერთად.
მცხეთის ჯვარი. 1964 წ.



აკაკი სურგულაძესთან და ნოდარ ასათიანთან ერთად. მცხეთის ჯვარი. 1964 წ.



„შოთაობაზე“ იყალთოში



აკადემიკოს აკაკი შანიძესთან ერთად



ნიკო ბერძენიშვილთან, გიორგი ჩიტაიასთან და სხვა კოლეგებთან ერთად



პროფესორ დევიდ ლენგთან ერთად



ქართველ მეცნიერთა ჯგუფის შეხვედრა დევიდ ლენგთან. 1964 წ.



ბუქარესტის უნივერსიტეტის პროფესორ მიხაი ბერზასთან ერთად. 1965 წ.



აკაკი შანიძესთან, შალვა ნუცუბიძესთან, სიმონ ყაუხჩიშვილთან და სხვა კოლეგებთან ერთად



აკადემიკოს ევგენი ხარაძესთან და სხვა კოლეგებთან ერთად



ლეო ქიაჩელის საფლავთან მთაწმინდაზე



შოთა მესხია პროფ. დიტერ ფრიკესთან ერთად. ახალი ათონი. 1971 წ.



აკადემიკოსებთან ილია ვეკუასთან, აკაკი შანიძესთან, პროფესორ სერგო ჯორბენაძესთან და სხვა კოლეგებთან ერთად. ზუგდიდი. 1968 წ.



ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებთან ერთად



ილია ტაბაღუასთან და მათე ალექსიშვილთან ერთად



შოთა მესხია კაბინეტში





შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი



მაია და მერაბ კვიტაშვილების ოჯახი მეგობრებთან ერთად



მაიასა და მერაბის „ოქროს ქორწილი“



შოთა მესხიას უფროსი შვილიშვილი – ალექსანდრე კვიტაშვილი



მანანა, მაია და მარინე მესხიები და სოფო დუმბაძე პატარა ელენესთან ერთად



შოთა მესხიას შვილთაშვილები: ნიკოლოზ ბაქრაძე, ქეთევან ბაქრაძე, სანდრო ჭელიძე და ნიკოლოზ კვიტაშვილი



შოთა მესხიას შვილთაშვილი – ნიკოლოზ კვიტაშვილი თავის მეორე ბაბუასთან – რევაზ ჟორდანიასთან ერთად

შოთა მესხიას სამეცნიერო პუბლიკაციები

მონოგრაფიები, წიგნები, სტატიები სამეცნიერო კრებულებსა და ჟურნალებში

1. თეიმურაზ ბატონიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. I. თბ. 1939.
2. ხელოსნობა ძველ საქართველოში V-XII სს. თბ. 1942 (ხელნაწერი). დაიბეჭდა მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ. იხ.: შ. მესხია. საისტორიო ძიებანი. ტ. I. თბ. 1982.
3. ერთი ფურცელი ქართველთა გმირული წარსულიდან (ლუარსაბ I და სიმონ I). თბ. 1943.
4. ვახუშტი და ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. ანალები. I. თბ. 1947, გვ. 13-51.
5. მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. 26. თბ. 1948, გვ. 130.
6. ქარგლობის ინსტიტუტის საკითხისათვის გვიანფეოდალური ხანის ქართულ ამქარში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. ტ. IX. №6. თბ. 1948, გვ. 379-386.
7. აკადემიკოსი ს. ჯანაშია და ქართული ისტორიული მეცნიერება. აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. XXIII. თბ. 1949.
8. ქართული ამქრული ორგანიზაციების ისტორიიდან. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები. ტ. III. თბ. 1949, გვ. 141-153.
9. ხელოსნური წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის საკითხისათვის X-XII სს. ქართულ მონასტრებში. მიმომხილველი. ტ. I. თბ. 1949, გვ. 57-85.

10. Аджарская Автономная Советская Социалистическая Республика (ისტორიული ნარკვევი). Большая Советская Энциклопедия (БСЭ). Второе издание. т. I. М. 1950, გვ. 399-403 (თანაავტორები: ვ. გაბაშვილი, გ. ხაჭაპურიძე).
11. სიმონ ჯანაშია. თბ. 1950.
12. ისევ ქართული ამქრული ორგანიზაციების ისტორიის გამო (პროფ. ალ. ფოცხიშვილის შენიშვნების გამო). მიმომხილველი. ტ. II. თბ. 1951, გვ. 489-495.
13. საქართველოს ქალაქების სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქალაქი და ფეოდალური არისტოკრატია XI-XIII სს.). მიმომხილველი. ტ. II. თბ. 1951, გვ. 83-107.
14. თბილისის ისტორია. თბ. 1952 (თანაავტორი დ. გვრიტიშვილი).
15. Города Грузии (IX-XIII вв.). Очерки истории СССР. М. 1953.
16. ფურცლოვანი ლითონების ჩარხებზე დამუშავება ძველ საქართველოში. თბ. 1954 (თანაავტორები: ფ. თავაძე და ვ. ბარქაია).
17. მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის (სამეცნიერო მივლინების ანგარიშიდან). მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30. თბ. 1954, გვ. 71-81.
18. ძეგლი ერისთავთა (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე). ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო შოთა მესხიამ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. 30. თბ. 1954, გვ. 305-374.
19. მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის XVIII ს-ის საქართველოს ქალაქებში. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 32. თბ. 1955, გვ. 213-220.
20. Из истории грузинского феодального города (IX-XIII вв.). საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. II. თბ. 1956.
21. თბილისი 1500 წლისაა. თბ. 1957.
22. ქალაქის ისტორიული წარსული. თბილისი. ეკონომიკურ-გეოგრაფიული დახასიათება. თბ. 1957.
23. К вопросу и происхождении государства и существовании рабовладельческой формации в Грузии. Вопросы истории. №7. 1957 (თანაავტორები: ნ. ლომოური, ო. ლორთქიფანიძე).

24. თბილისის ისტორია. თბ. 1958 (თანაავტორები: დ. გვრიტიშვილი, მ. დუმბაძე, ა. სურგულაძე).
25. თბილისის როლი ქართველი ხალხის ისტორიაში. თბილისი – 1500. თბ. 1958.
26. საქართველოს ისტორია. I. თბ. 1958 (თანაავტორები: ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, პ. რატიანი).
27. საქართველოს ისტორია (სახელმძღვანელო. VIII-X კლ.). თბ. 1958 (თანაავტორები: ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, პ. რატიანი).
28. Из истории русского-грузинских взаимоотношений. Тб. 1958 (თანაავტორი ი. ცინცაძე).
29. Города и городской строй феодальной Грузии (XVII-XVIII вв.). Тб. 1959.
30. საქართველოს ისტორიის გამოჩენილი მკვლევარი. სიმონ ჯანაშია. თბ. 1960.
31. История Грузии, учебник VIII-X классов. под ред. Н. Бердзенишвили. Тб. 1960 (თანაავტორები: ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, პ. რატიანი).
32. Хрестоматия по истории СССР. С древнейших времен до конца XV века. М. 1960.
33. თბილისის ქალაქური წესწყობილების ისტორიიდან (კომუნა თბილისში). საქართველოს ეკონომისტი. №7. თბ. 1961, გვ. 38-47.
34. საქართველოს ისტორია (სახელმძღვანელო. VII-VIII კლ.). თბ. 1961 (თანაავტორი ვ. გუჩუა). ოთხი გამოცემა.
35. საქართველო უძველესი კულტურისა და გმირული წარსულის ქვეყანაა. თბ. 1961.
36. სოციალურ-პოლიტიკურ მოძრაობათა ბუნებისათვის XII ს. საქართველოში. საბჭოთა საქართველო – 40 წელი. სტატიების კრებული. თბ. 1961, გვ. 341-372.
37. История Грузии, учебник VII-X классов, под ред. Н. Бердзенишвили. Тб. 1961. (თანაავტორები: ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, პ. რატიანი).
38. საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში. თბ. 1962.
39. История Грузии, учебник IX-XI классов, под ред. Н. Бердзенишвили. Тб. 1963. (თანაავტორები: ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, პ. რატიანი).

40. К вопросу о характере социальной борьбы и городского строя средневекового Тбилиси. Проблемы общественно-политической истории России и славянских стран. Сб. статей к 70-летию М. Н. Тихомирова. М. 1963, გვ. 72-78.
41. აკადემიკოსი ნიკოლოზ ბერძენიშვილი. სკოლა და ცხოვრება. №8. თბ. 1965 (თანაავტორი ა. აფაქიძე).
42. დიდგორის ბრძოლა. თბ. 1965.
43. ლეონტი მროველი საქართველოს ისტორიის ორი პერიოდის შესახებ. კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები. თბ. 1966, გვ. 119-130.
44. საქართველოს ისტორია ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოში. ისტორია, საზოგადმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში. №1. თბ. 1966, გვ. 18-24.
45. საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკური ვითარება რუსთაველის ეპოქაში. მნათობი. №9. თბ. 1966, გვ. 82-104.
46. შოთა რუსთაველის ეპოქა (საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკური ვითარება XII საუკუნეში). ქართველი მწერლები შოთა რუსთაველს. თბ. 1966, გვ. 7-32.
47. შოთა რუსთაველის ეპოქა. საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკური ვითარება რუსთაველის ეპოქაში. თბილისის უნივერსიტეტი შოთა რუსთველს. საიუბილეო კრებული. თბ. 1966.
48. Грузия в XIII – первой половине XVII вв. История СССР. Т. II. М. 1966.
49. ზუგდიდი თუ ზუბდიდი. ორიონი. აკაკი შანიძისადმი მიძღვნილი სამეცნიერო შრომების კრებული. თბ. 1967, გვ. 242-250.
50. XI-XIII სს. საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილების ისტორიიდან. საკარგავის მნიშვნელობისათვის. XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები ტ. 125. თბ 1968, გვ. 171-210.
51. История Грузии (Краткий обзор). Тб. 1968.
52. An Outline of Georgian History. Tb. Tbilisi University Press. 1970.
53. შენიშვნები ძველი რუსეთისა და საქართველოს ისტორიიდან (პროფ. იასე ციცაძის წერილის გამო). „მნათობი“. №1. თბ. 1970, გვ. 143-149.
54. Historie de Georgie. Tb. 1968.
55. თამარის პირველი ისტორიკოსის ერთი ცნობის გაგებისათვის. ქართული წყაროთმცოდნეობა. III. თბ. 1971, გვ. 130-147.
56. ძლევაჲ საკვირველი. დიდგორის ბრძოლა და თბილისის შემოერთება. თბ. 1972.

57. Geschichte Georgiens (Kurzer Überblick). Jena. Friedrich-Schiller-Universität. 1972.

რეცენზიები

58. ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები. „მებრძოლი“. №129. 1947.
59. უპასუხისმგებლოდ დაწერილი წიგნი. „ბოლშევიკი“. №5. 1948 (თანაავტორი დ. გვრიტიშვილი).
60. იაფფასიანი „ლექციები“ და უვარგისი „მეთოდური მითითებანი“ (რეცენზია წიგნზე: ს. ძიძისტარაშვილი, ლექციები და მეთოდური მითითებანი საქართველოს ისტორიაში). „სახალხო განათლება“. №50. 08.12.1949.
61. დავით გვრიტიშვილი. ივანე ჯავახიშვილი (რეცენზია). „მნათობი“. №11. 1950, გვ. 161-165.
62. მონოგრაფიები საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური ისტორიის საკითხებზე (რეცენზია წიგნზე: პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XI-XII სს. (მონოგრაფიები). ტ. 2. თბ. 1956 წ.). „მნათობი“. №1. 1958 (თანაავტორები: ბ. ხასია, მ. ასათიანი).
63. შენიშვნები მონათმფლობელური საქართველოს ქალაქების გენეზისისა და რაობის შესახებ (რეცენზია სტატიაზე: დ. ხახუტაიშვილი, მონათმფლობელური ხანის ქართული ქალაქის რაობის საკითხისათვის). საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე. ტ. 24. №3. 1960, გვ. 377-383.
64. ძველი ქართული მწერლობის კერები (ლ. მენაბდის წიგნის „ძველი ქართული მწერლობის კერების პირველი ტომის გამო. რეცენზია). „მნათობი“. №9. 1963, გვ. 182-185.

საგაზეთო პუბლიკაციები:

65. საქართველოს ძველი ისტორიის საკითხები სსრკ ხალხთა ისტორიის სწავლებაში. გაზ.: „კომუნარი“ (საქართველოს კომპარტიის /ბ/ ზუგდიდის რაიკომისა და რაიაღმასკომის ყოველდღიური ორგანო). №90(1974). 20.04.1938.

66. ისტორიკოსი ნიკო დადიანი. გაზ.: „მებრძოლი“. №27. 02.02.1941.
67. გიორგი სააკაძე. გაზ.: „მებრძოლი“. 24.08.1944.
68. თამარ მეფე. გაზ.: „ახალგაზრდა კომუნისტი“. №104. 29.09.1945.
69. ივანე ჯავახიშვილი. გაზ.: „საბჭოთა მასწავლებელი“. 22.11.1945.
70. თეიმურაზ ბატონიშვილი. გაზ.: „ახალგაზრდა კომუნისტი“. 21.11.1946.
71. სიმონ ჯანაშია. „პიონერი“. №12. 1947.
72. თბილისის 1500 წლისთავისათვის. გაზ.: „მებრძოლი“. 19.08.1947.
73. ზოგიერთი ახალი ცნობები სამეგრელოს გლეხთა აჯანყების მონაწილეებზე. გაზ.: „მებრძოლი“. №184. 1948.
74. რაფიელ დანიბეგაშვილი. გაზ.: „ლიტერატურა და ხელოვნება“. №45. 13.11.1949.
75. საქართველოს ისტორიის სწავლება ასპინძის რაიონის სკოლებში. გაზ.: „სახალხო განათლება“. 11.05.1950.
76. რამდენიმე შენიშვნა თბილისის სიძველეთა შესახებ. გაზ.: „ახალგაზრდა კომუნისტი“. №105. 31.08.1957.
77. ქართველი ხალხის ისტორიული წარსულის გაყალბების წინაღმდეგ (თანაავტორები: ნ. ლომოური, ო. ლორთქიფანიძე). გაზ.: „კომუნისტი“. №235. 04.10.1957.
78. იზრდება ჩვენი რაიონი, ჩვენი ქალაქი. გაზ.: „ახალგაზრდა სტალინელი“. №33. ნოემბერი. 1957.
79. თბილისი 1500 წლისაა. გაზ.: „კომუნისტი“. №276. 1957.
80. როგორ დაიბადა ჩვენი დედაქალაქი. გაზ.: „ნორჩი ლენინელი“. №10. 07.03.1958.
81. Незабываемые встречи. გაზ.: «Заря Востока». №23. 03.1958 (თანაავტორი ი. ცინცაძე).
82. თბილისის 1500 წლისთავისათვის. გაზ.: „სოვეტაკან ვრასტან“. 05.04. 1958 (სომხურ ენაზე).
83. თბილისის დაბადება. გაზ.: „ერევანი“. №206. 1958 (სომხურ ენაზე).
84. დედაქალაქის წარმოშობა. სახალხო განათლება. №18. 30.04.1958.
85. Роль Тбилиси в истории грузинского народа. გაზ.: «Заря Востока». №139. 23.03.1958.
86. თბილისი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. გაზ.: „კომუნისტი“. 28.08.1958.
87. ჩვენი დედაქალაქის წარსულიდან. გაზ.: „საბჭოთა აფხაზეთი“. №206. 18.10.1958.

88. ჩვენი დედაქალაქის წარმოშობა. გაზ.: „ახალგაზრდა სტალინელი“. №23. 22.10.1958.
89. ფართო ასპარეზზე. გაზ.: „ახალგაზრდა ლენინელი“. №25. 23.10.1959.
90. ბახტრიონის გმირული ეპოპეა. გაზ.: „კომუნისტი“. 10.04.1959 (თანაავტორები: დ. გვრიტიშვილი, ნ. ასათიანი,).
91. მეტი ადგილი ისტორიული წარსულის შესწავლას. გაზ.: „მებრძოლი“. №24. 01.03.1960.
92. აი რას მოგვითხრობს ისტორია. გაზ.: „სამშობლოს ხმა“. №№ 10-11-12, ოქტომბერი-ნოემბერი-დეკემბერი. 1960.
93. მცირე ცნობა წალენჯიხის უძველესი წარსულიდან. გაზ.: „კომუნიზმის დროშით“. №3. 03.01.1961.
94. დიდი მეგობრობის ღრმა ფესვები. გაზ.: „კომუნისტი“. 06.04.1961.
95. დიდი მეცნიერი და მოქალაქე (ივ. ჯავახიშვილის დაბადების 85 წლისთავი). გაზ.: „კომუნისტი“. 27.14.1961 (თანაავტორი დ. გვრიტიშვილი)
96. სახელოვანი ცხოვრების გზა (ნ. ბერძენიშვილის დაბადების 70 წლისთავის გამო) (თანაავტორები: ნ. ასათიანი, შ. ბადრიძე). გაზ.: „თბილისის უნივერსიტეტი“. №21. 11.06.1965.
97. ერის ღვაწლმოსილი მემატიანე (ნ. ბერძენიშვილის დაბადების 70 წლისთავის გამო). გაზ.: „კომუნისტი“. 12.06.1965 (თანაავტორი: ა. აფაქიძე).
98. ეპოქის გვირგვინი. გაზ.: „ნორჩი ლენინელი“. №29. 16.07.1965.
99. ღვაწლმოსილი მკვლევარი (ვ. დონდუას დაბადების 60 წლისთავი). „სოფლის ცხოვრება“. 14.10.1965.
100. გამოჩენილი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე (ს. ჯანაშია). გაზ.: „კომუნისტი“. 18.10.1965.
101. საქართველოს ისტორიის უანგარო მოღვაწე (ა. კიკვიძის დაბადების 60 წლისთავი). გაზ.: „თბილისის უნივერსიტეტი“. 24.12.1965 (თანაავტორი ზ. შველიძე).
102. საქართველოს ისტორიის მკვლევარი. გაზ.: „თბილისი“. 11.05.1967.
103. აკაკი შანიძე და საქართველოს ისტორია. გაზ.: „თბილისის უნივერსიტეტი“. 12.05.1967 (თანაავტორი: შ. ბადრიძე).
104. ისტორიის ფაკულტეტი. გაზ.: „თბილისის უნივერსიტეტი“. №6, 23.02.1968.
105. სახელოვანი 50 წელი. გაზ.: „შრომის დროშა“. №48. 23.04.1968.
106. გამოხმაურება წერილზე: „ქართლის ცხოვრება და ჩვენი სკოლა“. გაზ.: „ლიტერატურული საქართველო“. №41. 11.10.1968.

107. „წყენააო ჭირთა ბადე...“ (მ. ლებანიძის ღია წერილის გამო). გაზ.: „საბალხო განათლება“. №66. 01.12.1968 (თანაავტორი : ვ. გუჩუა).
108. მრუდე სარკეში. ერთ ისტორიულ რომანში საქართველოს ისტორიის წარსულის გაყალბების გამო. გაზ.: „კომუნისტი“. 12.01.1969 (თანაავტორი მ. ლორთქიფანიძე).
109. Тайны древностей Палестины (თანაავტორები: მ. ლორთქიფანიძე, ო. ჯაფარიძე). გაზ.: «Заря Востока». 19.03.1969.
110. პროფესორთა დასწრება სტიმულს გვმატებდა. გაზ.: „ახალგაზრდა კომუნისტი“. 07.05.1969.
111. მასალა ავითვისოთ გააზრებულად. გაზ.: „თბილისის უნივერსიტეტი“. 08.05.1969.
112. ისტორიის ფაკულტეტი. გაზ.: „თბილისის უნივერსიტეტი“. 08.05.1969.
113. მეგობრის ხსოვნას (დ. გვრიტიშვილის გარდაცვალების გამო). გაზ.: „ლიტერატურული საქართველო“. №44. 31.10.1969 (თანაავტორები: ა. სურგულაძე, დ. გამეზარდაშვილი).
114. ღვაწლმოსილი მეცნიერი (ვ. ბარდაველიძის დაბადების 70 წლისთავის გამო). გაზ.: „კომუნისტი“. 01.11.1969 (თანაავტორი ი. ჭყონია).
115. „ირაკლისი“ ხომ არ აჯობებს? (რა დავარქვათ ნავთლუღს?). გაზ.: „მეტრომშენებელი“. №6. 11.02.1971.
116. მეცნიერი, პედაგოგი (პროფ. ი. ანთელავას დაბადების 60 წლისთავის გამო). გაზ.: „კომუნისტი“. 26.02.1971 (თანაავტორები: ა. სურგულაძე, ე. ხოშტარია).
117. „...საცნობლად თავისადაო“ (საქართველოს ისტორიის სწავლება საშუალო სკოლებში). გაზ.: „ლიტერატურული საქართველო“. №24. 11.06.1971.
118. მეცნიერი და მოქალაქე (გ. ჩიტაიას დაბადების 70 წლისთავის გამო). გაზ.: „კომუნისტი“. 24.12.1960 (თანაავტორები: დ. გვრიტიშვილი, ი. ჭყონია).
119. Страницы великой дружбы (თანაავტორი შ. ხანთაძე). გაზ.: «Заря Востока». №245. 24.10.1971.
120. თბილისის წარმოშობა. გაზ.: „სამშობლო“. №1. 08.01.1971.
121. აღვნიშნოთ დიდგორის ომის 850 წლისთავი. გაზ.: „ლიტერატურული საქართველო“. 19.02.1971.

გარდაცვალების შემდეგ გამოცემული შრომები:

122. Дидгорская битва. გამომც. „მეცნიერება“. თბ. 1974.
123. საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში, თსუ გამომცემლობა. თბ. 1979.
124. თეიმურაზ ბატონიშვილი. გამომც. „საბჭოთა საქართველო“. თბ. 1982.
125. საისტორიო ძიებანი. ტ. I. გამომც. „მეცნიერება“. თბ. 1982.
126. საისტორიო ძიებანი. ტ. II. გამომც. „მეცნიერება“. თბ. 1983.
127. საისტორიო ძიებანი. ტ. III. გამომც. „მეცნიერება“. თბ. 1986.
128. ლუარსაბ I და სიმონ I. გამომც. „მეცნიერება“. თბ. 1991.
129. მრუდე სარკეში. ერთ ისტორიულ რომანში საქართველოს ისტორიის წარსულის გაყალბების გამო. საისტორიო ძიებანი. წელიწდეული. VIII-IX. ეძღვნება ეძღვნება შოთა მესხიას დაბადებიდან 90-ე წლისთავს. ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაცია. თბ. 2006, გვ. 3-13, (https://sites.google.com/site/saistoriodziebani/dziebani2005-2006), თანაავტორი: მ. ლორთქიფანიძე.
130. შ. მესხია. ძლევაჲ საკვირველი. დიდგორის ბრძოლა და თბილისის შემოერთება. წიგნი გამოსაცემად მოამზადეს მ. მესხიამ და ზ. პაპასქირმა. თბ., 2016, http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/175869/1/Dzlevai_Sakvirveli.pdf.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება.
შოთა მესხია – 100
თბილისი. 2016

*გამოხმაურებები შოთა მესხიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით**

გიორგი ჩიტაია

დიდი დანაკლისი

მძიმე და გულდასაწყვეტია, როდესაც გულითადი მეგობარი, საყვარელი ადამიანი და თანამოსაგრე, რომელთანაც წლების მანძილზე მუშაობდი და საერთო ჭაპანს ეწეოდი, უდროოდ მოწყდება სიცოცხლეს, დადუმდებიან ბაგენი და გული შეწყვეტს ძგერას. მით უფრო ძნელია მასზე წერა. –

საქართველოს ისტორიოგრაფიამ მძიმე დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტი, თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანი და საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე, საქართველოს საისტორიო საზოგადოების უცვლელი ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორი საისტორიო დარგში, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი შოთა მესხია.

უაღრესად შინაარსიანი იყო შოთა მესხიას სამეცნიერო მოღვაწეობა, სტუდენტობის ხანიდან სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე მან თავისი ძლიერი ნებისყოფა, მაღალი ნიჭი და თავდადება საქართველოს საისტორიო მეცნიერების პრობლემის შესწავლას შეალია.

აკად. სიმონ ჯანაშიას საუკეთესო მოწაფეს, ჩვენი ისტორიოგრაფიის კორიფეების – ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას და ნიკო ბერძენიშვილის გარდაცვალების შემდეგ დაეკისრა საქართველოს ისტორიის სამეცნიერო დარგის მეთაურობა და ხელმძღვანელობა. იგი დაუღალავად, თავგანწირვით და წარმატებით უღვებოდა ამ დიდ საქმეს, რაზმავდა ისტორიკოსებს ისტო-

* გაზ.: „ლიტერატურული საქართველო“, №20(1813), 19.05.1972. იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებებით.

რიის საკვანძო პრობლემების შესასწავლად. ზრდიდა კადრებს და ამასთანავე საორგანიზაციო საკითხებს დიდი ტაქტით აგვარებდა.

მისგან დიდად დავალებულია არა მარტო საქართველოს ისტორია, არამედ არქეოლოგია, ეთნოგრაფია და სხვა საისტორიო დისციპლინები. მას ემარჯვებოდა საისტორიო მოვლენებში ღრმად ჩაწვდომა, ისევე როგორც მოვლენების ანალიზი და განზოგადება. მის მიერ შესწავლილი საისტორიო პრობლემები სცილდებიან ვიწრო ფარგლებს და საერთო საისტორიო ჟღერადობას იღებენ. ამის ნათელსაყოფად საკმარისია დავასახელოთ მისი მონოგრაფია ქართულ და რუსულ ენებზე საქართველოს ფეოდალური ქალაქების შესახებ, რომლებმაც საერთო აღიარება ჰპოვა და სახელმძღვანელო წიგნად იქცა. იგი მოხსენიებული იყო, როგორც სანიმუშო, ისტორიკოსთა საერთაშორისო კონგრესზე.

შოთა მესხიას დაევალა საქართველოს ისტორიის რვატომეულისათვის საქართველოს ისტორიის ყველაზე რთული პერიოდის X-XIII საუკუნეების ისტორიის დაწერა. მან ესეც ბრწყინვალედ შეასრულა. ამასაც დასტამბულს ალბათ მალე იხილავს მკითხველი საზოგადოებრიობა.

შოთა მესხიამ დიდი ამაგი დასდო საქართველოს საისტორიო საზოგადოებას, რომლის უცვლელი ვიცეპრეზიდენტიც თავად იყო და რომლის ხელმძღვანელობას ბევრ დროს ანდომებდა.

წავიდა ჩვენგან მუდამ თავაზიანი, გულისხმიერი, ყველასათვის საყვარელი ადამიანი, რომელიც სიტყვით თუ კალმით, მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე წრფელი გულით და უანგარო გრძნობით ემსახურებოდა ჩვენი ქვეყნის წინსვლას და დაწინაურებას. მე ყოველთვის მაკვირვებდა და მზიბლავდა მისი შინაგანი კულტურა, რომელიც განუმეორებლად მესახება.

იგი წავიდა ჩვენგან იმ ასაკში, როდესაც მისი შემოქმედებითი უნარი უმაღლეს დონეზე იყო ასული, რამდენი ჩანაფიქრი და რამდენი წამოწყება შეუსრულებელი დარჩა და სამარეში წაიყოლა. და როდესაც მისი მახლობლები, მეგობრები გონების თვალით ვჭვრეტდით, თუ კიდევ რისი გაკეთება შეეძლო მას და რა დიდი დანაკლისია მისი გარდაცვალება – ჩვენი გულისწუხილი, ჩვენი მწუხარება ასკეცდება, *„რა მას ვიგონებ, ვერრას ვიწონებ“*. ამიერიდან მშობლიური მიწა, დიდუბის პანთეონი იქნება ღვაწლმოსილი, დიდად დამაშვრალი მამულიშვილის სავანე. ხოლო ჩვენს გულში მისი ხსოვნა საუკუნოდ ღრმად ჩავიმარხოთ.

პუბრან მაჭავარიანი

იშვიათი პიროვნება

ყველა ქართველს გული დასწყვიტა შოთა მესხიას უდროოდ გარდაცვალებამ, ჩემს მახსოვრობაში ერთ-ორ კაცზე თუ გამიგონია ასეთი ერთობლივი და უტყუარი: – რა კაი კაცი იყო! საქართველო ნაადრევად დასტოვა მისმა ერთგულმა და პირუთვნელმა მემატიანემ.

შოთა მესხია, ჭეშმარიტად, ივანე ჯავახიშვილის „გორისა“ იყო; ივანესავით საქართველოს წარსულით ჰქონდა სული განათლებული. ჩვენდა სავალალოდ, შოთას არ დასცალდა მთელი თავისი ნიჭისა და ენერგიის სამშობლოს საკურთხეველზე მიტანა; მიუხედავად ამისა, რაც მან საქართველოს ისტორიის დარგში გააკეთა, – სავსებით საკმარისია მისი უმწიკვლო სახელის უკვდავსაყოფად.

შესანიშნავი ისტორიკოსი, შესანიშნავი პედაგოგი, შესანიშნავი მოქალაქე, შესანიშნავი მეგობარი! – აი, როგორი იყო შოთა მესხია!

ვაი, რომ „იყო“!

რევაზ ჯაფარიძე

პატიოსანი სანთელი

კიდევ ერთი მტკიცე კედელი მოერღვა ჩვენს ეროვნულ მეცნიერებას. ჩაქრა კიდევ ერთი პატიოსანი სანთელი, რომელიც ათეული წლების განმავლობაში თავს დაჰკანკალებდა მშობელი ერის ისტორიას, წარსულს და აწმყოს. ეს სანთელი აანთეს ახალი ქართული საისტორიო მეცნიერების მამებმა – დიდმა ივანე ჯავახიშვილმა, სიმონ ჯანაშიამ და ნიკო ბერძენიშვილმა. წავიდა ჩვენგან საყვარელი და დაუვიწყარი მეგობარი, თავმდაბალი ადამიანი, ღიმილიანი კაცი შოთა მესხია, რომლის ყოველი შეხვედრა, სიტყვა და ჟესტი სიხარულით, შთაგონებით, ერის ხვალინდელი დღის იმედით გავსებდა. წავიდა ჩვენგან ეს ნათელი კაცი და ყველას, ვინც კი მას იცნობდა, გულში დაუტოვა დიდი და ამოუვსებელი სიცარიელე.

შოთა მესხიას მეცნიერული შრომები, რომლებიც საქართველოს ისტორიის სხვადასხვა სფეროს ავტორისათვის დამახასიათებელი სიღრმითა და გონებამახვილობით განიხილავენ, გვრჩებიან იმის იმედად და საწინდრად, რომ ბატონი შოთა ისევ ჩვენთან ერთად იბრძვის მშობელი ხალხის, მისი ისტორიისა და კულტურის ხვალინდელი დღისათვის.

აგერ გუშინ არ იყო, *„ლიტერატურული საქართველოს“* ფურცლებზე რომ გამოაქვეყნა მან თავისი უაღრესად მნიშვნელოვანი წერილი *„საცნობლად თავისადა“?* საქმის ღრმა ცოდნით და ნამდვილი მამულისშვილური სულისკვეთებით დაწერილი ეს წერილი თანამედროვე ქართულ საშუალო სკოლაში საქართველოს ისტორიის სწავლების საკითხს შეეხებოდა და მეტად პრინციპალ მოსაზრებებს შეიცავდა. რა საწყენია, რომ მეცნიერი ვერ მოესწრო მის მიერ წამოჭრილი პრობლემის ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრას! იმედი უნდა ვიქონიოთ, თავიანთი ღვაწლმოსილი მასწავლებლის გზას ღირსეულად გააგრძელებენ ქართველ ისტორიკოსთა ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები და ფრთებს შეასხამენ ჩვენგან ასე უდროოდ წასული მეცნიერის არაერთ იდეას.

მშვიდობით, ძვირფასო უფროსო მეგობარო! შენი ქვეყანა არ დაივიწყებს შენს მერ გაწეულ ღვაწლს, მეგობრების გულიდან არასოდეს არ ამოვა შენი ღიმილიანი სახე, სავალალო მხოლოდ ის არის, რომ ჯერ კიდევ ასე ახალგაზრდა, ასე სიცოცხლით სავსე, ახალი მეცნიერული აღმოჩენებისათვის ასე ანთებული წახვედი ჩვენგან!

ნუტა ბერულავა

სახელი მისი და საქმე მისი

იმ დღეს, როდესაც ჯანგატეხილი შოთა მესხია მოსკოვიდან ჩამოიყვანეს, შევხვდი მის ერთ-ერთ მოწაფესა და ახლო მეგობარს. მან მაუწყა სამწუხარო ამბავი, რომ დასასრულს უახლოვდება სახელოვანი მეცნიერის სიცოცხლე: *აეროდრომზე ერთადერთი ნათესავი დახვდება. ასე ისურვა ბატონმა შოთამ!*

როცა მის ნაღვლიან თვალებს შევხედე უნებლიედ მომაგონდა ერთი თითქოს უმნიშვნელო ეპიზოდი: ერთხელ პროფესორი გამომცემლობა *„ნაკადულს“* ეწვია, თან ახლდა ორი ახალგაზრდა, რომელთა ნაშრომის გამოქვეყ-

ნება დაბეჭითებით გვთხოვა. ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერი თავისი სტუდენტების ნაშრომის ცალკე წიგნად გამოცემას გვირჩევდა. რა თქმა უნდა, ვენდეთ ამ რჩევას და ნაშრომიც გამოვეცით.

წიგნის გამოცემამ ძალიან გაახარა მასწავლებელი. ასეთი სიხარული მხოლოდ ჭეშმარიტ პედაგოგებს ძალუძთ, მხოლოდ კეთილშობილ ადამიანებს, რომელთაც ნიჭიერი ახალგაზრდებისათვის გზის გაკვლევა პირად შემოქმედებით გამარჯვებად მიაჩნიათ. ეს შემთხვევა მოვიგონე, როგორც დამახასიათებელი შოთა მესხიას პიროვნებისა.

გამოჩენილ მეცნიერს დიდი პედაგოგისთვის აუცილებელი ყველა თვისება ჰქონდა. ხანგრძლივი დროის მანძილზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგედ და ისტორიის ფაკულტეტის დეკანად მუშაობისას გამოავლინა ეს ძვირფასი პედაგოგიური თვისებები. პროფესორი შოთა მესხია მეცნიერის, მასწავლებლის, მოქალაქის სრულყოფილი ნიმუში გახლდათ. მზრუნველობა და გულისხმიერება ადამიანის მიმართ ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი. ბევრს, ვისაც მეხსიერება და მადლიერების გრძნობა აქვს, არ დაავიწყდება მისი ამაგი. სხვათათვის შრომა და ენერგიის დახარჯვა კი არ აწუხებდა, პირიქით: აბედნიერებდა და ახალისებდა. ამიტომ იყო, რომ მასთან თამამად მიდიოდნენ უცნობი ადამიანებიც, რომელთაც რაიმე უჭირდათ; მიდიოდნენ, რადგანაც იმედოვნებდნენ, რომ იგი ღირსეულთათვის გარჯას დროის დაკარგვად არ თვლიდა.

იოლად არაფერი მიულია: არც სახელი და არც დიდება. წალენჯიხის რაიონის სოფელ ობუჯში, ღარიბი გლეხის ოჯახში დაბადებული და თბილისის უნივერსიტეტის კედლებში აღზრდილი, გასაოცარი შრომისმოყვარეობისა და დიდი მეცნიერული ნიჭის წყალობით მიიწევდა წინ.

მუდამ და ყოველთვის ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა. ომის დღეებში სამშობლოს დასაცავად გაეშურა, ფრონტიდან დაჭრილი დაბრუნდა, დაჭრილი, მაგრამ საბრძოლო ორდენითა და მედლებით დაჯილდოებული. 1951 წელს მოსკოვში, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის დოქტორანტურაში მიავლინეს, სადაც შემდეგ ბრწყინვალედ დაიცვა დისერტაცია.

რამდენიმე წლის წინათ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტად აირჩიეს, ამავე დროს მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება. მეცნიერმა დიდი წვლილი შეიტანა ქართველი ხალხის ისტორიის უმნიშვნელოვანესი საკვანძო საკითხების შესწავლასა და

დამუშავებაში. სწორედ ამიტომ იგი – სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის ღირსეული მოწაფე – სამართლიანად შევიდა ქართველ ისტორიკოსთა შენიშნავ თანავარსკვლავედში, რომელსაც შარავანდედად ადგას უკვდავი სახელი ივანე ჯავახიშვილისა.

სიცოცხლეში ვერ მოასწრო ქართველი მესტამბეებისათვის ჩაებარებინა თავისი უკანასკნელი წიგნი – თამარის ეპოქის საქართველოს სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური ისტორიის საკითხებისადმი მიძღვნილი გამოკვლევა 700 გვერდი, მანქანაზე გადაბეჭდილი და მისთვის ჩვეული სიფაქიზით დახვეწილ-ჩასწორებული, დევს ძვირფასი მეგობრის დაობლებულ საწერ მაგიდაზე.

შოთა მესხიას ბიოგრაფიას შელამაზება არ სჭირდება: მთელმა ქართველმა ხალხმა იცის, რომ იგი იყო არა მარტო დიდი მეცნიერი და პედაგოგი, არამედ მრავალმხრივი საზოგადო მოღვაწე, მხურვალე პატრიოტი, სათნო და კეთილშობილი ადამიანი.

ჩვენს ხალხს არასდროს დაავიწყდება, რომ შოთა მესხიამ, თავის ერთერთ მეგობართან ერთად, ქართველ ბავშვებს შეუქმნა საქართველოს ისტორიის მშვენიერი სახელმძღვანელო. მრავალი თაობა ამ წიგნით შეისწავლის მშობილი ერის გმირულ ისტორიას.

ვწერ ყოველივე ამას და მაინც არ მჯერა, რომ აღარ ძგერს სიკეთით სავსე მისი გული, რომ მას აღარ ძალუძს გაიღიმოს მისთვის ჩვეული ჯადოსნური ღიმილით. აღარ არის ჩვენს შორის ეს ლამაზი კაცი, ლამაზი და ვაჟკაცური – შესახედაობითაც, სულითაც, სიტყვითაც, საქმითაც.

ორიოდე თვის ავადმყოფობის შემდეგ, 56 წლის ასაკში, დაიფერფლა ადამიანი, ვისითაც ყველანი ვამაყობდით. ო, რარიგ ჰგავს ეს უეცარი წასვლა მისი სათაყვანებელი მასწავლებლის, აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას უდროო გარდაცვალებას! შოთა მესხიას ძვირფას ნეშტს მიიბარებს დიდუბის წმინდა სავანე.

მისი სახელი უკვდავია, ვითარცა საქმე მისი!

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება.
შოთა მესხია – 100
თბილისი. 2016

თამარ გამსახურდია, ნოდარ ასათიანი,
შოთა ბადრიძე, გიორგი ნადირაძე

მასწავლებელი*

მას 27 აპრილს შეუსრულდა 56 წელი. არ იყო დრო, არ გვქონდა ხალისი, ვერც გავბედავდით მადლობა გვეთქვა იმისათვის, რაც თავისი არსებით შექმნა, რაც გაგვიკეთა. ვერ ვუთხარით ისეთი მადლობა, როგორიც მას ჩვენგან ეკუთვნოდა. ალბათ სულ უთქმელი დაგვრჩება, რადგან უდიდესი იყო ის ამაგი, რაც მან თავის მოწაფეებს დასდო. შოთა მესხია იყო ის კაცი, ვინც ფლობდა საოცარ უნარს – ახლო მიეშვა ადამიანი. იგი არასოდეს ამძიმებდა ურთიერთობას თავისი დიდი პიროვნებით. თანდაყოლილივით ბუნებრივი იყო მისთვის დიდი ადამიანური ტაქტი; ყველასათვის შეეძლო ესწავლებინა, თუ როგორი უნდა იყოს ადამიანი და უდიდესი ხელოვნებისათვის არავითარი „მეთოდი“ არ გააჩნდა, გარდა საკუთარი კეთილშობილებისა. ერთხელ მისი თანდასწრებით საუბარი მშობლებზე ჩამოვარდა, მშობლების პატივისცემაზე. ერთერთმა ჩვენგანმა თავისთავი გაკიცხა თქვა: – მამაჩემმა მთხოვა ქუდი მეყიდნა მისთვის, უბრალო თუშური ქუდი, მე კი ვერა და ვერ შევუსრულე თხოვნაო. რამდენიმე ხნის შემდეგ „უმადური“ შვილი მესხიების ოჯახში სტუმრობის მერე გაოცებული დარჩა, როცა პროფესორმა მას თუშური ქუდი გადასცა შიგ ჩადებული ბარათითურთ, სადაც ეწერა: *„ბატონ შალვას, პატივისცემით, შოთა მესხია“*. ადრესატი დღესაც მოწიწებით ინახავს ძვირფასი კაცის საჩუქარს.

ბატონ შოთას, როგორც არავის, შეეძლო გახარებულიყო სხვისი წარმატებით. უსაზღვროდ უყვარდა ადამიანები და უყოყმანოდ ენდობოდა ყველას. იგი ობიექტური და მკაცრი შემფასებელი იყო ყოველგვარი მეცნიერული ნააზრევისა. არასოდეს არავის თავს არ მოახვევდა სხვის ან თავის ავტორიტეტს. მუდამ უტოვებდა კაცს თავისუფლად აზროვნების დროსა და განსჯის საშუალებას. თუ ვინმეს ეკამათებოდა და თავისი აზრი საჯაროდ უნდა დაეც-

* გაზ.: „ახალგაზრდა კომუნისტი“. №62(8675), 23.05.1972.

ვა, პასუხს ცხელ გულზე არასოდეს გასცემდა. მის სამუშაო მაგიდაზე თვეობით იდო მეცნიერის მერ ფაქიზად დაწერილი პასუხი, ათასჯერ ამოწმებდა გულმოსული კაცის სიტყვას. ასეთი ქცევის მიზეზს ჩვეული სიდარბაისლით განმარტავდა ხოლმე: *„უტაქტობის მიზეზი ხშირად აღელვებდა და წყენით გამოწვეული პასუხიაო“.*

მას არსოდეს ავიწყდებოდა ადამიანები, რომლებიც მისგან დახმარებას მოელოდნენ. ბედნიერი იყო, როცა ვინმეს დახმარების ხელს უწვდიდა. ზოგჯერ თავის „შეჭირვებულ“ მოწაფეს მხოლოდ რამდენიმე ფრაზას ეტყოდა, მის თითქოს სხვათაშორის ნათქვამში მრავალი საჭირო აზრი იმალებოდა და მყისვე ყველაფერი ცხადი ხდებოდა.

ზოგჯერ გადამეტებულ შემწყნარებლობასაც კი იჩენდა თავისი კონცეფციის საწინააღმდეგო აზრის მიმართ. საკუთარი მოსაზრების სისწორეში დარწმუნებულს, მეცნიერული კამათი არასოდეს აშინებდა. ასეთი პაექრობისათვის მისი უბადლო ლოგიკა მუდამ საკმე იყო მეცნიერული არგუმენტებით. სათანადო საბუთიანობის გარეშე ბატონ შოთას არცერთი მეცნიერული დებულება არ წამოუყენებია. დეკლარაციული და ზერელე აზროვნერების მტერი იყო. ცუდ-უბრალოდ სიტყვა არასოდეს დასცდენია. თავისთავად აზროვნებას ასწავლიდა იგი მუდამ თავის მოწაფეებს და უსაზღვროდ უხაროდა, როცა მიზანს აღწევდა.

ბატონი შოთა დიდი შემოქმედებისათვის დაბადებული კაცი იყო და დიდი პედაგოგისათვის აუცილებელ ყველა თვისებას ფლობდა. თავისი მოწაფეების მეცნიერული წარმართება მას მუდამ პირად შემოქმედებით გამარჯვებადაც მიაჩნდა.

არავის სმენია მისგან – მე გავაკეთე, მე გამოვიკვლიე, მე გიბრძანებ, ჩემი სურვილია. არც სჭირდებოდა. მხოლოდ უღირსი ვერ მიხვდებოდა და მზაკვარი არ გაიგებდა, რა სურდა, რას აკეთებდა, როგორ აკეთებდა, ან ვინ იყო იგი. ადამიანის სინდისს აფასებდა, უწინარეს ყოვლისა, თვითონ კი, თვითონ უსაზღვროდ სინდისიერი კაცი იყო. არასოდეს გაქირდავდა კაცს ადამიანური სისუტისათვის, ხოლო როცა მავანზე იტყოდა, „დადებითი პიროვნებააო“, ჩვენ ვიცოდით, რომ მას იგი ძალიან მოსწონდა. ბატონი შოთა არასოდეს ამხელდა უგუნებობას, მიუხედავად ნატიფი აგებულებისა, უკიდურეს გაჭირვების ჟამსაც კი, ბოლომდე ვაჯკაცურად იბრძოდა და სიკვდილამდე რამდენიმე საათის წინაც, მნახველთათვის მადლობის თქმა არ ავიწყდებოდა.

ბატონი შოთას ნათელი სიცოცხლე შუა გზაზე ჩაქრა, ჩაქრა მაშინ, როცა ახალი ძალით უნდა დაეწყო ნათება, რამდენი კაცის დაყენება შეეძლო

გზაზე... რამდენს სჭირდებოდა მისი მზრუნველი გული, შინ თუ გარეთ. წავიდა ჩვენგან მშობელი ხალხის მოჭირნახულე დიდი მეცნიერი და უზადო პედაგოგი, მის მიერ ახლებურად დასმული და გადაწყვეტილი ბევრი მეცნიერული პრობლემა მრავალი თაობის ყურადღებას და მოწონებას დაიმსახურებს. მომავალი მას კიდევ წარმოაჩენს ღრმად მოაზროვნე მეცნიერად: საქართველოს მეცნიერებათა აკადემის წევრ-კორესპონდენტის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, დიდებული პედაგოგის, შესანიშნავი მეგობრისა და მოქალაქის პროფესორ შოთა მესხიას გარდაცვალება არასოდეს გახდება იმის მიზეზი, რომ მისი არსებობა მხოლოდ წარსულში აღვიქვათ. დღეს კი გვსურდა ოდნავ მაინც დაგვენახვებინა ძვირფასი მასწავლებლის სახე მათთვის, ვინც მას ახლოს არ იცნობდა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება.
შოთა მესხია – 100
თბილისი. 2016

გიორგი მელიქიშვილი

შესანიშნავი მეცნიერი და მოქალაქე
შოთა მესხიას დაბადებიდან 80 წლისთავის გამო[*]

სამწუხაროა, რომ დღეს ჩვენ ბ-ნ შოთა მესხიას დაბადებიდან 80 წლისთავს ავღნიშნავთ უიმისოდ, მისი გარდაცვალებიდან მთელი 24 წლის შემდეგ. საუკუნის თითქმის მეოთხედია გასული, რაც იგი ჩვენთან აღარ არის. ძალიან ადრე, მოულოდნელად წავიდა ამ ქვეყნიდან ყველასათვის ძვირფასი ადამიანი – შესანიშნავი მეცნიერი და მოქალაქე.

პირადად მე ბევრი რამ მაქვს მოსაგონარი მასზე. განსვენებულ შოთა მესხიასთან, განსაკუთრებით ჩვენი ახალგაზრდობის ჟამს, მეტად მჭიდრო ურთიერთობა მქონდა. ძნელია მოგონებების უძირო ზღვაში იმ მცირე მოგონებების გამოყოფა, რომელიც თვალნათლივ დაგვიხასიათებს მის კოლორიტულ პიროვნებას. მჭიდრო იყო ურთიერთობა არა მარტო ჩვენს შორის, არამედ ჩვენს ოჯახებს შორისაც, განსაკუთრებით ზაფხულობით, როდესაც ჩვენი ოჯახები არც თუ იშვიათად ერთსა და იმავე აგარაკზე და ერთმანეთის მეზობლად მოვიყრიდით ხოლმე თავს.

შოთას პირველად სტუდენტობის პერიოდში გავეცანი. ჩვენ, უნივერსიტეტის ერთსა და იმავე ფაკულტეტზე – ისტორიულზე ვსწავლობდით. იგი ჩემზე ორი კურსით წინ იყო, ბ-ნ სიმონ ჯანაშიას გამორჩეულ მოწაფედ ითვლებოდა და ხელმძღვანელობდა სტუდენტთა სამეცნიერო წრეს საქართველოს ისტორიაში. ერთხელ მან შემომთავაზა მოხსენების წაკითხვა მის წრეში, მაგრამ მე ვერ გამოვიყენე ეს შესაძლებლობა, რადგან უკვე ჩაბმული ვიყავი სხვა სამეცნიერო წრეების მუშაობაში, რომელთაგან ერთს ბ-ნი იასე ცინცაძე ხელმძღვანელობდა, ხოლო მეორეს – ძველი ისტორიის სამეცნიერო წრეს – ბ-ნი გიორგი გოზალიშვილი ედგა სათავეში.

[*] იბეჭდება პირველად.

უფრო მეტად დავუახლოვდი შოთას 1942 წლიდან, როდესაც იგი, მძიმედ დაჭრილი, დემობილიზებულ იქნა ყირიმის ფრონტიდან და თბილისში დაბრუნდა. თავის საომარ თავგადასავალზე იგი ბევრს არაფერს გვიამბობდა. თუ რამეს იტყოდა, იხსენებდა მარტოოდენ ომის შემაძრწუნებელ საშინელებას. არ იყო შემთხვევა, რომ მას ფრონტზე ყოფნით ეტრაბახა. მალე, უკვე სხვა ფრონტიდან, კიდევ ერთი ჩვენი კოლეგა დაგვიბრუნდა – იგი უსაშველოდ აზვიადებდა თავის „საგმირო თავგადასავალს“. შოთამ მისი „გმირული“ საქმეების შესახებ მთელი პოემა-პაროდია შექმნა. მახსოვს ამ მის პოემას ხშირად ვაკითხვინებდით შოთას და სიცილ-ხარხარით ვიგუდებოდით.

ფრონტიდან დაბრუნებული შოთა, როგორც ასპირანტურა დამთავრებული, ჩაირიცხა ჩვენი ახლანდელი ისტორიისა და ენათმეცნიერების ინსტიტუტების საერთო წინაპრის – ენიმიკის ინტიტუტში, უფროს მეცნიერ თანამშრომლად. სულ მალე მან აქვე საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა. 1944 წლიდან კი, როდესაც მე დავამთავრე ამ ინსტიტუტის ასპირანტურა, მე და შოთა დიდი ხნის მანძილზე ვმუშაობდით ინსტიტუტის იმ განყოფილებაში, რომელსაც ბ-ნი ნიკო ბერძენიშვილი ხელმძღვანელობდა. ამ განყოფილებას მაშინ უბრალოდ „ისტორიის განყოფილება“ ერქვა.

მისი იმდროინდელი სამეცნიერო ინტერესები, წყაროთმცოდნეობის პრობლემატიკის გარდა, ძირითადად ფეოდალური ქალაქების შესწავლაში მდგომარეობდა, რომლის დამუშავებაზე იგი გაამწესა ბ-ნმა სიმონ ჯანაშიამ. მოკლე ხანში ამ პრობლემასთან დაკავშირებით მან არაერთი საყურადღებო ნაშრომი შექმნა და გამოაქვეყნა.

როდესაც გაკეთებული სამუშაოს შეჯამების, განზოგადების დროც დადგა და მიღწეულის სადოქტორო ნაშრომად წარდგენა საკსებით რეალური ჩანდა, მას მაინც არ სტოვებდა ერთგვარი უკმარისობის გრძნობა, მერყეობდა წარედგინა თუ არა ნაშრომი დასაცავად. იგი აუცილებლად თვლიდა ფეოდალიზმის დარგში რუსეთში ერთ-ერთი გამოჩენილი, საყოველთაოდ აღიარებულ მეცნიერთან ხანგრძლივ კონტაქტს, ვიდრე თავის ნებას მისცემდა სადოქტორო დისერტაცია საჯაროდ გამოეტანა სამეცნიერო საზოგადოების წინაშე. ასე მოხდა მისი გამგზავრება მოსკოვში, ე. წ. დოქტორანტურაში, სადაც მის ხელმძღვანელად, თუ კონსულტანტად დაინიშნა აკადემიკოსი მიხეილ ტიხომიროვი, აღიარებული ავტორიტეტი ფეოდალურ ურთიერთობათა გენეზისისა და განვითარების პრობლემატიკაში.

მე განსაკუთრებით დამამახსოვრდა 1954 წელი, როდესაც მაშინდელი ლენინგრადიდან მოსკოვში ერთი დღით ჩასულმა, მოვინახულე იქ მყოფი შოთა და მთელი საღამო ერთად გავატარეთ საინტერესო საუბარში. მე დავინახე, თუ როგორი აღტაცებული და კმაყოფილი იყო იგი აკადემიკოს ტიხომიროვით, როგორ უქებდა მას მკვლევრის ტალანტსა და ღრმა განსწავლულობას.

მისი ეს სადოქტორო ნაშრომი დიდი წვლილია საქართველოს ისტორიაში. იგი თავისი საბოლოო სახით რუსულად დაიწერა და მოსკოვში იქნა დაცული, ხოლო გამოიცა თბილისში 1959 წელს. ამასთან დაკავშირებით მინდა აღვნიშნო, რომ ისტორიის დარგში სადოქტორო ნაშრომით გამოსვლა იმ დროს იშვიათი მოვლენა იყო. სამწუხაროდ, დღეს ეს მეტისმეტად ჩვეულებრივ მოვლენად იქცა – რა დიდი კონტრასტია იმ დროსთან შედარებით, რომლის შესახებაც ჩვენ ახლა ვსაუბრობთ! ამბობენ, რომ ცნობილი „ვაკ"-ის მემკვიდრე – ჩვენი *„სწავლულ ექსპერტთა საბჭო"*, რომელიც ახლა განაგებს სამეცნიერო ხარისხების ატესტაციას, დიდად შეშფოთებულია იმით, რომ მისი არსებობის სულ რაღაც სამი წლის მანძილზე საქართველოში უკვე 500 კაცს დაუცავს სადოქტორო დისერტაცია! ამიტომაა, რომ ახლა ეს საბჭო ცდილობს გაამკაცროს მოთხოვნები მათ მიმართ, ვინც თავისი ნაშრომის სადოქტორო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენას აპირებს.

ქალაქების ისტორიის პრობლემაზე მუშაობის პარალელურად და განსაკუთრებით, მასზე განმაზოგადოებელი ნაშრომის შექმნის შემდეგ, ბ-ნი შოთა მესხია სულ უფრო და უფრო იწყებს მუშაობას მონოგრაფიების შესაქმნელად ჩვენი ე. წ. შუაფეოდალური ხანის, დავით აღმაშენებლისა და მეფე თამარის ბრწყინვალე ეპოქის შესახებ. ამ მონოგრაფიებმა დიდი რეზონანსი და მოწონება დაიმსახურა ჩვენს სამეცნიერო საზოგადოებაში. მისი ეს ღვაწლი, როგორც ცნობილია, აღინიშნა უკვე მისი გარდაცვალების შემდეგ, როდესაც მას მონოგრაფიისთვის *„ძლევაჲ საკვირველი"* აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას პრემია, ხოლო *„საქართველოს ისტორიის ნარკვევების"* II და III ტომების შექმნაში შეტანილი წვლილისთვის საქართველოს სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

ბ-ნი შოთა მრავალი სიკეთითა და ტალანტით დაჯილდოებული ადამიანი იყო. ჩვენი ახალგაზრდობის წლებში იგი ყოველ ჩვენს სადღესასწაულო შეხვედრაზე გვევლინებოდა სწორუპოვარი თამადის როლში, ამ მხრივ მას მეტოქე არ ჰყავდა. გარეგნული სილამაზითა და შინაგანი კეთილშობილებით და ჭკუა-გონებით ბუნებისგან უხვად დაჯილდოებულ ამ პიროვნებას ტოლი არ ჰყავდა, ბევრი ვერავინ გაუწევდა კონკურენციას. იგი ერთგვარად მეც

მფარველობდა, რჩევას არ მაკლებდა, რომ სამეცნიერო სფეროში წარმატებასთან ერთად ყოველდღიურობაშიც შესაბამისი იმიჯი მქონოდა.

შოთა მესხია მტკიცედ იდგა ეროვნული იდეის სადარაჯოზე, ებრძოდა ყოველვარ ანტიქართულ განწყობილებებსა და გამოხტომებს. სამწუხაროდ, ზოგიერთი ასე გააზრებული ფაქტის არასწორად შეფასებამ გამოიწვია ერთგვარი დაძაბულობა ჩვენს ერთ-ერთ გამოჩენილ მეცნიერთან. ამან გარკვეული როლი შეასრულა იმაშიც, რომ ჩვენმა საზოგადოებამ სრულად ვერ გამოიყენა ამ დიდებული ადამიანის, როგორც მეცნიერისა და მოღვაწის პოტენციალი. ეს პოტენციალი კი რომ მართლა დიდი იყო ჩანს იქიდანაც, თუ რა სიმრავლე იმდროინდელი ახალგაზრდებისა დღეს შოთა მესხიას მოწაფეებად თვლის თავს, მიუხედავად იმისა ოფიციალურად გაფორმებული იყო თუ არა მისი, როგორც ხელმძღვანელის სტატუსი.

ჩვენი მოვალეობაა დღეს ყველაფერი გავაკეთოთ ბ-ნი შოთას სამეცნიერო მემკვიდრეობის შესასწავლად და ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი მასალების გამოსაქვეყნებლად და სათანადოდ დასაფასებლად.

1996 წლის 27 აპრილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება.
შოთა მესხია – 100
თბილისი. 2016

გივი ჟორდანია

მცირე მოგონება დიდ მამულიშვილზე და ერის გუშაგზე*

28 წელს უახლოვდება ის ტრაგედია და აუნაზღაურებელი დანაკარგი, რაც განიცადა თბილისის უნივერსიტეტმა თავისი სახელოვანი მეცნიერის, ნიჭიერი ლექტორის და მასწავლებლის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტის, უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის პროფესორ შოთა მესხიას გარდაცვალების გამო.

მე გავიცანი შოთა, როდესაც იგი ახლად დამწყები ლექტორი იყო. იგი იქცევდა ადამიანის ყურადღებას უკვე თავისი მიმზიდველი გარეგნობით, თავისი აზროვნებით, მაღალი შუბლით, მომღიმარე, ადამიანისადმი კეთილი განწყობით, ძალიან გულღია იყო მისი სიცილიც, ყველაფერი ეს ამჟღავნებდა მასში პირდაპირობას, ხასიათის სინამდვილეს და გულკეთილობას, ამავე დროს დიდ ოპტიმიზმს. ტყუილად არ უწოდა მას ჩვენმა მწერალმა რევაზ ჯაფარიძემ შოთას მიცვალებასთან დაკავშირებულ თავის მცირე ნარკვევში: *„პატიოსანი სანთელი“* და *„ღიმილიანი კაცი“*.

განსაკუთრებით შთაბეჭდილებას ახდენდა, მასთან პირველივე შეხვედრისას, შოთას პირდაპირი გამოხედვა თავისი კეთილად მომღიმარე დიდი თვალებით. ტყუილად არა თქვა ერთმა ცნობილმა მოაზროვნემ ამ 12 საუკუნის წინ: *„თვალები – სულის სარკეაო“*. შოთას ამ გულღია, კეთილად განწყობილ გამოხედვას, რომ ვიხსენებ, ამასთან ერთად მახსენდება ის ბრძნულად გამონათქვამი, რომ ბოროტი, ავი კაცი, რომელსაც სძულს ადამიანი, არასდროს არ შეიძლება ბედნიერი იყოს; ჭეშმარიტად ბედნიერია მხოლოდ კეთილი, სხვისდამი კეთილად განწყობილი ადამიანი, რომელსაც გულს არ უღრღნის ბოროტი, ავის მომტანი ფიქრები. აი, ამიტომ, ვფიქრობ და დარწმუნებული ვარ, რომ შოთა ბედნიერი კაცი იყო.

* იბეჭდება პირველად, მცირეოდენი შემოკლებებით.

მას დიდი სიყვარული ჰქონდა ადამიანისადმი, უყვარდა თავისი ოჯახის წევრები, თავისი მასწავლებლები, მეგობარ-ამხანაგები, თავისი მოწაფეები, განსაკუთრებით კი – თავისი პატარა სამშობლო, რომლის ისტორიის შესწავლას იგი ასე ერთგულად ემსახურებოდა მთელი თავისი არც თუ ისე ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში.

სამაგიეროდ შოთაც ყველას უყვარდა, მის უფროს კოლეგებსა და ახლობლებს, მის მეგობრებსა და ამხანაგებს, მის მოწაფეებს. სიყვარულით ინახავს მისსახელს ის დიდებული საგანიც – საქართველოს ისტორია – რომელსაც იგი მუდამ სიყვარულით ემსახურებოდა. ვინაიდან, ისტორია ეს დიდი და ბრძნული მეცნიერება მხოლოდ მათ სახელებს ისისხლხორცებს, ვინც არ ამახინჯებს მას და ვისაც თავის სამშობლოზე ნათქვამი მხოლოდ მართალი სიტყვა უყვარს. შოთა კი ნამდვილად მართალი მეცნიერი იყო, ალალ-მართლად სწევია ისტორიის კვლევის ჭაპანს.

მაგონდება, რა დიდი პატივისცემით, ფაქიზი გრძნობით და სიყვარულით იყვნენ მისდამი განწყობილნი შოთას სახელოვანი მასწავლებლები: სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი, გიორგი ჩიტაია, ალექსანდრე ნამორაძე, ალექსანდრე წერეთელი და სხვანი; ჩვენი უნივერსიტეტის ხელმძღვანელი რექტორები – აკადემიკოსები ევგენი ხარაძე და ილია ვეკუა.

სარწმუნო წყაროთი მაქვს გაგონილი, რომ როდესაც საკითხი იდგა ბატონ ილია ვეკუას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად არჩევაზე, ამასთან დაკავშირებით მოელოდნენ მის უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობიდან განთავისუფლებას, ბატონ ილიას განზრახული ჰქონია ამ დიდ მამულიშვილურ თანამდებობაზე წამოეყენებინა შოთა. საუბედუროდ შოთას უდროო სიკვდილმა უსწრო და ჩაშალა ეს განზრახვა. რა დასანანია, რომ შოთას ეკავა რა ჩვენი დიდი ივანეს უმნიშვნელოვანესი პოსტი – საქართველოს ისტორიის კათედრის გამგისა, ვეღარ დაიკავა ბატონი ივანეს მეორე მეტად მნიშვნელოვანი პოსტიც – უნივერსიტეტის რექტორისა.

სხვა დროს ბედს არ უღალატნია შოთასთვის. მას ყოველთვის ურთიერთობა ჰქონდა ჩვენი სამშობლოს ფრიად ღირსეულ შვილებთან. გავიხსენოთ, რომ ჭაბუკობისას შოთამ არაერთი წელი იცხოვრა თავისი ახლო ნათესავის, დიდი ქართველი მწერლის ლეო შენგელიას (ფსევდონიმით „ქიაჩელის“) ოჯახში. და განა შეიძლებოდა ამ დიდ ადამიანსა და მოაზროვნეს თავისი კვალი არ დაემჩნია თავისი ნათესავის, ნიჭიერი ახალგაზრდის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე? შოთას ძალიან უყვარდა ლეო შენგელიას

შვილებიც – ოთარი და ნათელა, რომელთაგან უფროსი – ოთარი ძალიან სათნო, ნიჭიერი და კეთილი ახალგაზრდა იყო და ჩემი თანაკლასელი; ხოლო უმცროსი – ნათელა ჩემი დის თანაკლასელი; ჩვენ ყველას დასრულებული გვაქვს №1 საცდელ-საჩვენებელი შრომის სკოლა, რომელსაც ხალხში მისი მაშინდელი შესანიშნავი დირექტორის – ბატონ მიხეილ ზანდუკელის სახელით *„ზანდუკლის სკოლას“* უწოდებდნენ.

ორთავე ნათესავი – შოთაც და ოთარიც გაწვეულ იქნენ ომში, საიდანაც შოთა სამშობლოს გასახარელად დაგვიბრუნდა, მართალია, დაჭრილი, სამაგიეროდ საბრძოლო ორდენითა და მედლებით დაჯილდოებული მიუბრუნდა თავის სამშობლოს. ხოლო ოთარი, ჩვენს სავალალოდ ომიდან ველარ დაგვიბრუნდა.

დიდი ომიდან დაბრუნების შემდეგ შოთამ გაიარა მეორე დიდი სკოლა: მივლენილი ისტორიის ინსტიტუტის დოქტორანტურაში იგი ერთხანს მუშაობდა ცნობილი რუსი მეცნიერის მიხეილ ნიკოლოზის ძე ტიხომიროვის ხელმძღვანელობით. ამგვარად, ქართულ შესანიშნავ სკოლას ახლა დაემატა რუსული სკოლა. იმ დიდ სიყვარულს, რომელიც დათესეს შოთას გულში სიმონ ჯანაშიამ და სხვა ქართველმა მეცნიერებმა, მიემატა ასეთივე სიყვარული დიდი რუსი მეცნიერის მ. ტიხომიროვისა, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკების მიმართ დიდი და უანგარო მზრუნველობით. მე პირადადაც დიდად ვარ დავალებული ამ დიდი მეცნიერისა და დიდებული პედაგოგისაგან. როგორ დამავიწყდება ის ძალიან დიდი სარგებლობა, რომელიც მივიღე მისგან მის მიერ ჩემთვის მოცემული კონსულტაციების დროს.

მიიღო რა ღრმა ცოდნა და გაიზიარა რა ამ ორი დიდი სკოლის გამოცდილება, თავისი დიდი ნიჭით შოთამ გაიკვალა საკუთარი ახალი გზა საქართველოს ისტორიის კვლევის საქმეში, მან შექმნა რამდენიმე ისეთი ნაშრომი, რომელთაც შეინარჩუნეს სამუდამოდ საპატიო ადგილი ჩვენს ისტორიოგრაფიაში. ამავე დროს, შოთას თხზულებებმა გაიკაფეს გზა მკითხველთა ფართო წრეში. ისინი ფრიად პოპულარული და მისაწვდომია ყოველი ასაკისა და ისტორიით დაინტერესებული ყოველი კატეგორიის მკითხველისათვის და ესეც ხომ ამ თხზულებათა ავტორის დიდი დამსახურებაა. ამ მხრივ საყოველთაოდაა ცნობილი ფართო წრის მკითხველთათვის შოთას ის თხზულებები, რომელთა შესახებ იტყვიან ხოლმე ჩვენს ხალხში, რომ „ისინი დარჩნენ“, ესე იგი მკვიდრად შევიდნენ ისტორიის საგანძურში და სანამ იარსებებს ჩვენი ერი და მისი ისტორია, ეს თხზულებებიც უკვდავნი იქნებიან.

ქართველი პედაგოგებისათვის და სკოლის მასწავლებლებისათვის, ისევე როგორც, საერთოდ, ყველა ქართველი მკითხველისათვის დაუვიწყარია *„საქართველოს ისტორიის“* სკოლის სახელმძღვანელო, შოთას და მისი ახალგაზრდობის დროინდელი მეგობრისა და კარგი ქართველი ისტორიკოსის ვიქტორ გუჩუას მიერ, ძალიან ნიჭიერად შედგენილი, რომელიც დიდხანს იყო ხმარებაში და არც ამჟამად დაუკარგავს მას თავისი მნიშვნელობა. ამავე დროს კარგადაა ცნობილი ისტორიის ნიჭიერად შედგენილ სახელმძღვანელოს რა დიდი, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდობის ეროვნული თვითშეგნების გამომუშავებაში.

ამავე დროს, წიგნების ავტორები ბედნიერად თვლიდნენ თავს, როცა მათი თხზულებების რედაქტორობას კისრულობდა ხოლმე ისეთი უაღრესად პატიოსანი, პუნქტუალური და კვალიფიციური მეცნიერი, როგორიც იყო შოთა. და იგი, თუ არ ვცდებით, თხუთმეტიოდე მეცნიერული მონოგრაფიისა და კრებულის რედაქტორია.

შოთა იყო ჩვენი სტუდენტობის საყვარელი ლექტორი, მას ლექციებს – საუნივერსიტეტო-აკადემიურს თუ საჯაროს, მსმენელი არ აკლდა. ბევრ კარგ ლექტორს წილად არა ხვდა შოთას ბედი, რომ მას, როგორც ლექტორს, სტუდენტობის ასეთი გულწრფელი სიყვარული დაემსახურებინოს. მისდამი ამ სიყვარულის გრძნობას ზრდიდა და აძლიერებდა შოთას უზომო სიყვარული სამშობლოსადმი, ქართველი ერისადმი. მისი გული მუდამ სამშობლოს სიყვარულით სძგერდა. იგი იყო კაცი, რომელსაც ილიასი არ იყოს, *„ერის წყლული აჩნდა წყლულად“*. შოთა განსაკუთრებით განიცდიდა ყველა იმას, რაც ჩვენს ერს ატკიებდა გულს, არაერთხელ გამოხმაურებია იგი პრესაში ჩვენი ერის ისტორიის საჭირბოროტო საკითხს. სიმონ ჯანაშიას უნიჭიერესი და უსაყვარლესი მოწაფე, განაგრძობდა თავისი დიდი მასწავლებლის მიერ მისთვის ნანდერძევ „გუშაგობას ერისას“. იგი ერის დაუღალავი გუშაგი იყო. ამასთან დაკავშირებით მახსენდება, რომ ჩვენმა სახელოვანმა მამულიშვილმა გიორგი ნიკოლაძემ დევიზად დაუდო ჩვენს პატრიოტულ-სპორტულ კავშირს – *„შევარდენს“* ასეთი მისალმება – ორი გზად შემხვედრი *„შევარდნელი“* ასე ესალმებოდა:

– *„გუშაგობ ერს?*

– *მარად!“*

დიახ, შოთა ერის მარადიული გუშაგი იყო. ბასრი კალმით იცავდა ქართველი ერის ღირსებას ყველა ჯურის მტერთაგან.

სალ კლდეს მოგვაგონებს დიდი ქართველი მამულიშვილები, რომელნიც კლდესავით მოფარებულნი ყოველგვარი „ქარბუქის“ შემოტევისაგან იცავენ ერს. ასეთი „სალი კლდე“, რაგინდ ძლიერად უტევდეს პოლიტიკური ქარიშხალი შეუდრეკელია, გუშაგია ერისა, იცავს მას და უზრუნველყოფს მტრის ყოველგვარი – პოლიტიკური თუ იდეოლოგიური შემოტევისაგან. ასეთნი იყვნენ ჩვენი ერის დიდი გუშაგები – სიმონ ჯანაშია და ნიკო კეცხოველი, ასეთივე იყო შოთაც.

შოთას ჰქონდა არა მარტო კარგი მეცნიერისთვის საჭირო ნიჭი და ნებისყოფა, არამედ კარგი ადმინისტრატორისათვის საჭირო ალღოც და ტაქტიც, შეერთებულნი დიდ ჰუმანურობასთან ჩვენ ყველას გვიყვარდა შოთა მისი დიდი ადამიანობისათვის. მას უყვარდა ადამიანი, ყოველმა ჩვენთაგანმა კარგად იცოდა, დარწმუნებული იყო იმაში, რომ შოთა, ჩვენი საყვარელი დეკანი, ყოველთვის დაუჭერდა მხარს ყოველ ჩვენს წამოწყებას, თუკი სასიკეთო იყო საქართველოსთვის, ჩვენი სამშობლოსთვის, რომ იგი ყოველთვის დაიცავდა კარგ საქმეს.

შოთა ძალიან ადამიანური, გულკეთილი იყო. მის კაბინეტში ყველა შედიოდა გულღიად, სრული იმედით, რომ მოსიყვარულო, შენდამი მეგობრულად განწყობილი კაცი ყველაფერს გაგიგებს, რაც კი შეუძლია დაგეხმარება. არ მახსოვს, რომ ვინმე ცუდად მიეღოს, არ გამოეჩინოს ვინმეს წინაშე გულისხმიერება. მას პირი უღიმოდა, არასდროს არ „ჩამოსტიროდა“, მაშინაც კი, როდესაც ულმობელი სიკვდილი კარს უკაკუნებდა.

შოთა ოპტიმისტი იყო,მას უყვარდა სიცოცხლე. უყვარდა ყველა ადამიანური გრძნობის გამოვლინება, ოხუნჯობა, თანაც ძალიან მოხდენილი ხუმრობა იცოდა. მისი გულღია სიცილი გამომხატველი იყო მისი გულღია ადამიანობისა. განსაკუთრებით უყვარდა შოთას ახალგაზრდობა, შოთა ზრდიდა და აწრთობდა ახალგაზრდობაში კოლექტივისადმი სიყვარულის გრძნობას და პირველ ყოვლისა საკუთარ შვილებში – თავის საყვარელ გოგონებში.

ამის დამადასტურებელი მრავალი საბუთის მოყვანა შეიძლება. ბავშვებისადმითავისი დიდი და ნაზი სიყვარული შოთამ გამოხატა არა მარტო შესანიშნავი სახელმძღვანელოს შექმნით, არამედ ასევე თბილისის უნივერსიტეტთან ნიჭიერ ბავშვთა სკოლის დაარსებით, რომლისადმიც იგი მუდამ დიდ მზრუნველობას იჩენდა. და განა ცოტანი იყვნენ ამ სკოლის მოსწავლეთაგან ისეთნი, რომელნიც გაჰყვნენ პროფესიული ისტორიკოსის ძნელსა და ეკლიან, ამავე დროს საინტერესო და წარმტაც გზას.

მაგონდება ერთი ასეთი ფაქტიც. 1962 წელს შოთა და მე, სხვა ჩვენს კოლეგებთან ერთად, ვიყავით მოსკოვში, ვითარცა ისტორიკოსთა მეორე საკავშირო შეკრების დელეგატები. შოთა და მე სასტუმროს ერთ ნომერში ვცხოვრობდით, ეს ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იყო, რადგანაც მიყვარდა შოთასთან შეხვედრები და საუბრები – საპროფესოროში, დეკანატში, ქუჩაში სეირნობისას, მის ბინაზე და ერთ ოთახში ცხოვრება ხომ ასეთი საუბრების გამართვის დიდ შესაძლებლობას წარმოადგენდა. ერთხელაც, საღამო ჟამს, შევდივარ ნომერში და რას ვხედავ? – მაგიდაზე დალაგებულ ინგლისური ენის ორმოცამდე სახელმძღვანელოს. ვეკითხები შოთას:

– *ეს შენ დაწყევ?*

– *კი, ჩემი ნაყიდიაო,* – მიპასუხა, – *ეს სახელმძღვანელო საჭიროა ჩემი პატარა მარინესათვის და თბილისში კი არ იშოვებაო.*

ვეკითხები მას:

– *კი, მაგრამ რათ უნდა მარინას ერთი საგნისთვის ორმოცი სახელმძღვანელო?*

– *ჩემი პატარა მარინა უკმაყოფილო დარჩება უკუეთუ არ მოვამარაგე მთელი მისი კლასიო,* – მიპასუხა შოთამ და თავისებურად კეთილად და გულღიად გადაიკისკისა.

ასე ზრდიდა შოთა საკუთარ გოგონებში კოლექტივისადმი სიყვარულისა და ერთგულების გრძნობას და ამან სასურველი ნაყოფიც გამოიღო.

ხალხისადმი სიყვარული შოთას ხშირად გამოუხატავს. განსაკუთრებული სიყვარული გამოიჩინა, მაგალითად, მან ერთხანს უსამართლოდ დევნილი, გადასახლებული ჩვენი ნიჭიერი სწავლულის და პედაგოგის, შესანიშნავი მჭერმეტყველი პროფესორის ალექსანდრე წერეთლის მიმართ. „გადასახლებულის“ აღდგენა ძველი უსამართლოდ დაკარგულ უფლებებში ხომ ძნელი იყო და, ერთხანს კი – შეუძლებელიც. და სწორედ, შოთას მეცადინეობებმა დიდად შეუწყო ხელი ამ ერთხანს „ხალხის მტრად“ გამოცხადებული მრავალგზის სრულიად უსამართლოდ ნაწვალები კაცის ძველ უფლებებში აღდგენას. გასაგებია, ამიტომ, როგორი სიყვარულის გრძნობით იყო განწყობილი „ბატონი ალიოშა“, როგორც მას შინაურობაში უწოდებდნენ შოთას მიმართ.

თავისი სათუთი, ტაქტიანი დამოკიდებულებით შოთა, ზოგჯერ, პირდაპირ „აჯადოებდა“ ადამიანს. ამასთან დაკავშირებით მაგონდება ერთი ასეთი შემთხვევა: შოთას მიერ „მოჯადოებული“ უცხოელისა, რომელმაც ისეთი რამ გააკეთა შოთას მიმართ, რომ, მეფიქრება, არავის სხვის მიმართ არ ჩაუდენია.

ეს იყო აღმოსავლეთ გერმანელი პროფესორი დიტერ ფრიკე. იგი არავის ჩვენს პროფესორთა შორის არ დაახლოებია გარდა შოთასი და ისე დაუახლოვდა, რომ ოჯახური ურთიერთობაც კი დამყარდა მათ შორის. შოთამ იგი მეუღლესთან ერთად დაპატიჟა თავის აგარაკზე ბაბუშარაში (აფხაზეთში) და, საპასუხოდ ფრიკემაც დაპატიჟა შოთა, მისი ოჯახის წევრებითურთ თავისთან გერმანიაში; დიდი როლი ამ დაახლოებაში, რასაკვირველია შეასრულა შოთას ღირსეულმა მეუღლემ ქალბატონმა მარომ. ეს გერმანელი მეცნიერი ისე იყო მოხიბლული შოთას პიროვნებით, რომ როდესაც შოთას კრძალავდნენ, იგი სპეციალურად დაკრძალვაზე დასასწრებლად ესტუმრა თბილისს და დაკრძალვისას გამოსათხოვარი სიტყვაც წარმოსთქვა უნივერსიტეტის ეზოში კუბოში მწოლიარე თავის ქართველი კოლეგისა და მეგობრის ცხედრის წინაშე.

შოთამ საერთოდ იცოდა მეგობრობა, მის მეგობართა ვიწრო წრეში შედიოდნენ: პროფესორები დავით გვრიტიშვილი, აკაკი სურგულაძე, გივი კიღურაძე, დავით გამეზარდაშვილი და კიდევ ორიოდე ნიჭიერი ქართველი მეცნიერი. არ ივიწყებდა იგი ძველ მეგობრობასაც, რომელთა შორის, როგორც ვახსენებდი, იყო მისი *„საქართველოს ისტორიის“* სახელმძღვანელოს თანაავტორი, ჩვენი ისტორიკოსი ვიქტორ გუჩუა.

გავიცანი შოთასთან რამდენიმე ვიზიტის დროს მისი ოჯახიც, მის შვილებს შორის პირმშო – მანანა და უმრწემესი – მარინა ოდესღაც ჩვენს ლექციებს ისმენდნენ, მანანა ინგლისის ისტორიის, ხოლო მარინა შუა საუკუნეთა ისტორიას და მათ სტუდენტობაზე ძალიან სასიამოვნოდ მოსაგონი ბევრი რამ ჩამრჩა მეხსიერებაში.

ის სიყვარული, რაც შოთამ დათესა, არც მის საყვარელ ოჯახში დარჩა უკვალოდ და „მოსავლის“ მოუცემლად. შოთა ღირსეული მეუღლეც იყო, მამაც და შვილიც; მაგონდება როგორი სიყვარულითა და პატივისცემით ეკიდებოდა იგი თავის მოხუც დედას. ხოლო უკანასკნელად რომ ვინახულე უკვე ძალიან დაავადებული, მახსოვს, როგორი სიყვარულით შესცქეროდა იგი მასთან ოთახში მოცუნცულე თავის შვილიშვილს პაწია სანდროს.

შოთას საყვარელ მოწაფე-სტუდენტთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ორი ახალგაზრდა, ამჟამად სახელმოხვეჭილი მეცნიერები – როინ მეტრეველი და შოთა ბადრიძე; შოთა დიდად აფასებდა მათ ნიჭს და ყოველმხრივ მფარველობდა მათ, როგორც მომავალ დიდი სარგებლობის მომტან მკვლევარ მეცნიერებს. ამ ორმა ახალგაზრდამ სავსებით გაამართლა თავიანთი დიდი მასწავლებლის იმედები. ამჟამად როინ მეტრეველი ჩვენი მეცნიერებათა აკადემიის

ნამდვილი წევრია, არაერთი ფრიად ღირშესანიშნავი მონოგრაფიის ავტორი და ჩვენი უნივერსიტეტის რექტორია, ე.ი. დაიკავა ის დიდებული პოსტი, რომელიც, როგორც იყო ნახსენები, ერთ ხანს განკუთვნილი ყოფილა შოთასთვის. შოთა ბადრიძე, ფრიად ნიჭიერი მკვლევარი, მეცნიერი, ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორი და არაერთი ორიგინალური, ღირსეული მონოგრაფიის ავტორია.

სახელოვნად განაგრძობენ ისინი თავიანთი საყვარელი მასწავლებლის გზას, მუდამ ატარებენ გულში მასწავლებლისადმი დიდ სიყვარულს, რომელიც ბატონმა როინ მეტრეველმა იმითაც გამოხატა, რომ ამ მეოთხედი საუკუნის წინ გამოაქვეყნა დიდი სიყვარულით დაწერილი ნარკვევი, მიძღვნილი შოთასადმი.

შოთა დიდ იმედებს ამყარებდა ამ თავის ორ მეტად ნიჭიერ მოწაფეზე და, აი, რა მაგონდება ამასთან დაკავშირებით; რ. მეტრეველმა და შ. ბადრიძემ მოამზადეს ფრიად მნიშვნელოვანი მონოგრაფია ჩვენს შესანიშნავ მეცნიერსა და მამულიშვილზე – ბატონ ექვთიმე თაყაიშვილზე. ექვთიმე, ეს დიდებული მამულიშვილი, შესანიშნავი მკვლევარი, ამავე დროს უცხოეთში გადატანილი ჩვენი დიდი კულტურული საგანძურის გადარჩენაში უდიდესი როლის შემსრულებული, იმჟამად, როგორც ფრანგები იტყვიან „დისგრასიე", ესე იგი „პატივ აყრილი". ერთხანს „საშინაო პატიმრობაც" კი ჰქონდა მისჯილი, რისთვის? ვინ იცის! მაგრამ მასზე კარგი, ტკბილი სიტყვის თქმას „ტაბუ" ჰქონდა დადებული და, აი, ამ „სანახევროდ ხალხის მტერზე" თბილისის უნივერსიტეტის III კურსის ორი ნიჭიერი სტუდენტი წერს მონოგრაფიას, პირველ მონოგრაფიას „პატივ აყრილ" ადამიანზე.

შოთა პირადად იყო გამომცემლობა *„ნაკადულის"* ღირსეულ გამგებელთან ბატონ ხუტა ბერულავასთან და სთხოვა, სათანადო დასაბუთებითურთ, სტუდენტთა ამ წიგნის გამოცემა. წიგნი გამოიცა 1962 წელს და იგი იყო ექვთიმე „დისგრასიეს" ხანაში პირველი მონოგრაფია დროებით მივიწყებულ დიდ ქართველზე.

უნდა გენახათ, შოთა როგორი დიდი სიხარულით უჭვენებდა ამ წიგნს შემხვედრებს.

– *აი, რა წიგნი შეთხზეს ჩემმა სტუდენტებმაო!* – რა გულწრფელი სიყვარული და სიამაყე გამოსჭვიოდა მისი კეთილი თვალებიდან! დაუვიწყარია! დიდი სიყვარული შესანიშნავი მასწავლებლისა თავისი საყვარელი ნიჭიერი მოწაფეების მიმართ...

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება.
შოთა მესხია – 100
თბილისი. 2016

ოთარ ლორთქიფანიძე

რამდენიმე სიტყვა პროფესორ შოთა მესხიაზე*

ბატონ შოთა მესხიას პირველად 1948 წელს შევხვდი. პირველი კურსის სტუდენტი ვიყავი. ბატონი შოთა პირველსავე სემესტრში გვიკითხავდა საქართველოს ისტორიას, უძველესი დროიდან XIII საუკუნემდე. კითხულობდა (რა თქმა უნდა მუდამ ზეპირად) დინჯად, ერთი შეხედვით თითქოს მონოტონურადაც, მაგრამ ძალზე მიმზიდველად, საინტერესოდ, თავისებური ხმა ჰქონდა, სასიამოვნო ზარისებრი. ყველა სულგანაბული უსმენდა. სულ ოდნავი ხმაურიც კი არ მახსოვს მის ლექციებზე. კათედრაზე არ ადიოდა. მეტწილად დაფასთან იდგა ან პირველი რიგის მერხებს უახლოვდებოდა. მუდამ გემოვნებით ჩაცმული (იმ დროს ეს იშვიათი იყო: უნივერსიტეტის პროფესორთა უმრავლესობა ტრაფარეტულად იყო გამოწყობილი).

საქართველოს ისტორიის სპეციალობის სტუდენტები თითქმის ყოველ კვირა დღეს ექსკურსიებზე დავყავდით. რამდენი რამე ვნახეთ მაშინ ჯერ კიდევ პირველ და მეორე კურსზე სწავლისას: თბილისის გარეუბნები. მცხეთა, ზედაზენი, უფლისციხე, უჯარმა, ქუთაისი, გელათი... მეორე უნივერსიტეტი იყო ეს მოგზაურობანი. იმავე დროს, უაღრესად მეგობრულ განწყობას ქმნიდა ლექტორსა და სტუდენტებს შორის, თუმცა ზღვარგადაუსვლელს.

ბატონი შოთა საქართველოს ისტორიის სტუდენტთა სამეცნიერო წრის მეცნიერ-ხელმძღვანელიც ბრძანდებოდა: პირველი თემაც მან მომცა *„ქართველი ხალხის წარმოშობის საკითხები აკად. სიმონ ჯანაშიას შრომებში“*. მანვე მისცა ჩემს მოკრძალებულ მოხსენებას რეკომენდაცია საუნივერსიტეტო კონფერენციაზე. მისი თეზისებიც დაიბეჭდა. ეს ჩემი პირველი ნაბეჭდი ნაშრომი იყო და ახლაც მეამაყება, რომ მის სათაურქვეშ აწერია: ხელმძღვანელი –

* იბეჭდება პირველად.

დოცენტი შ. მესხია. მეორე თემაც ბატონმა შოთამ მომცა *„ტრაპიზონის სამეფოს წარმოშობის საკითხისათვის“*. შეძლებისდაგვარად დავწერე, წაიკითხა და შემდეგ მანვე ბატონ სიმონ ყაუხჩიშვილს აჩვენა. ამის შემდეგ ჩემი ინტერესები ანტიკური და ბიზანტიური პერიოდებით შემოიფარგლა. ასე, რომ ჩემი სამეცნიერო მუშაობის გზის გამკვალავი ბატონი შოთა მესხია ბრძანდება, რისთვისაც ვარ მუდამ მისი მადლიერი.

1955 წლის დეკემბერში ბატონ შოთა მესხიას სადოქტორო დისერტაციის დაცვას დავესწარი მოსკოვში. მაშინ ასპირანტურაში უკვე ლენინგრადში ვსწავლობდი და გზად საგანგებოდ მოსკოვში დავრჩი. დიდებული დაცვა იყო ისტორიის ინსტიტუტში. ბატონმა შოთამ ბრწყინვალედ წარმოსთქვა შესავალი სიტყვა. რუსმა ოპონენტებმა ძალიან მაღალი შეფასება მისცეს მის ნაშრომს *„ფეოდალური საქართველოს ქალაქები და საქალაქო წყობა“*. ოპონენტების შენიშვნებს მოკრძალებულად, მაგრამ ძალზე დამაჯერებლად უპასუხა. ერთხმად მიანიჭეს დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. იმ დღეს იმ დარბაზში მყოფ მცირერიცხოვანი ქართველებისათვის საამაყო დღესასწაული იყო.

ლენინგრადიდან რომ დავბრუნდი, ბატონი შოთა ისტორიის ფაკულტეტის დეკანი იყო. პირველი ლექციებიც მან მომცა 1957 წლის მეორე სემესტრში. მიუხედავად იმისა, რომ აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში დავიწყე მუშაობა, სწორედ ბატონ შოთას რჩევითა და ხელშეწყობით უნივერსიტეტშიც მქონდა ლექციები – საათობრივი თუ ნახევარშტატიანი. და თუ დღეს მე კვლავ ვარ უნივერსიტეტში, ეს ბატონ შოთა მესხიას წყალობით იქნება. მანვე წარადგინა 1967 წელს ჩემი წიგნი *„ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი“* უნივერსიტეტის პრემიაზე.

უკანასკნელად ბატონ შოთას 1972 წლის აპრილში შევხვდი. საუბედუროდ უკვე მძიმე ავადმყოფს. მოსკოვში საავადმყოფოში მოვინახულეთ გიორგი ცქიტიშვილმა და მე. დიდხანს ვისაუბრეთ. დაწვრილებით გამომკითხა ისტორიის ინსიტუტის ამბები და იმ ვნებათაღელვების შესახებ უშანგი სიდამონიძის წიგნის გამო რომ იყო მაშინ ატეხილი. გამომშვიდობებისას დაგვაბარა *„ყველა გულითადად მომიკითხეთო“* და მერმე დასძინა – *„ვინც ღირსიაო“*. ამის შემდეგ ბატონ შოთას ცოცხალს აღარ შევხვედრილვარ. მისი აგრე ადრეულ ასაკში გარდაცვალება თავზარდამცემი უბედურება იყო მე კი ჩემი ცხოვრების ბოლომდე გამყვება მადლიერებისა და პატივისცემის გრძნობა ამ შესანიშნავი ადამიანის, მეცნიერისა და მამულიშვილის მიმართ.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება.
შოთა მესხია – 100
თბილისი. 2016

ნოდარ ლომოური

მშობელი ერის მეისტორიე

*შოთა მესხიას დაბადების 70 წლისთავი**

ცხოვრებაში ზოგჯერ ხდება, რომ შენს გვერდით არის ადამიანი, შენ მას კარგად იცნობ, მეგობრობ კიდეც, იცი მისი დადებითი თვისებები, აფასებ მის ღვაწლსაც, დამსახურებასაც, მაგრამ ეს ყველაფერი მშვიდად, ემოციების გარეშე ხდება, სასხვათაშორისოდ, იღებ ამ ადამიანს, როგორც რაღაც თავისთავად გასაგებს, ჩვეულებრივს – ის ასეთია და ასეთი უნდა იყოს. მაგრამ ხდება უბედურება, ეს ადამიანი კვდება და უეცრად გებულობ, მთელი სიღრმით აღიქვამ – ამ ადამიანის ამ ქვეყნიდან წასვლით რა დაიკარგა საზოგადოებისათვის, საქმისა და პირადად შენთვის.

ასე მოხდა შოთა მესხიას მიმართ, შოთა მესხია მის სიცოცხლეში უყვარადათ, პატივს სცემდნენ, აფასებდნენ, იგი ჩვენი მეცნიერული საზოგადოების ერთი ფრიად გამოჩინებული წევრი იყო. მაგრამ მხოლოდ მას მერე, რაც იგი ჩვენგან წავიდა, თანდათან მთელი სიგრძე-სიგანით გახდა აშკარა, რა დიდი ადგილი ეკავა მას ქართულ მეცნიერებაში, საზოგადოებაში, რა საჭირო და სასარგებლო იყო იგი აქ, რამდენ რამეს აკეთებდა იგი და რაოდენ ძნელი აღმოჩნდა იმ ხარვეზის შევსება, რომელიც მან თავისი სიკვდილის შემდეგ დატოვა ქართულ ისტორიოგრაფიაში, მომავალი თაობის აღზრდისა და მეცნიერების ორგანიზაციის საქმეში; ხოლო ჩვენთვის, მისი მეგობრებისათვის, ასევე ახლა გახდა განსაკუთრებით ცხადი აუნაზღაურებლობა იმ დანაკლისისა, რომელიც ჩვენმა სამეგობროშ განიცადა.

შოთა მესხია ჩემი ახლო მეგობარი იყო. მის სიცოცხლეში მე გამიჭირდებოდა ერთგვარად მეუხერხულებოდა მისი შექება, ყველაფრის იმის ხმამაღა-

* გაზ.: „ლიტერატურულ საქართველო“. №17(2536). 25.04.1986. იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით.

ლი თქმა, რისი ღირსიც იგი იყო. ასე გეუხერხულება ხოლმე ძალზე ახლობლის, ვთქვათ საკუთარი ძმის შექება – იმის რიდი გეუფლება, ეს ქება ნათესაური გრძნობით, ესოდენი სიახლოვით ნაკარნახევ მიკერძოებად არ ჩაგითვალონ. მაგრამ დღეს შოთა მესხია აღარ არის ცოცხალი და თითქოს მოიხსნა ეს პირობითობა, თავშეკავების ეს აუცილებლობა და აღარაფერი მბორკავს ვთქვა ყოველივე ის, რაც გულში მაქვს. მეორე მხრივ, დღეს უკვე 14 წელი გავიდა შ. მესხიას გარდაცვალებიდან და თითქოს ერთგვარად განელდა მეგობრის სიკვდილით გამოწვეული ტკივილის სიმწვავე. ამიტომ უფრო მშვიდად, გულდადინჯებით შემიძლია ყველაფრის აწონ-დაწონვა, შეფასება და თქმა იმისა, რაც მრავალ გზის ნაფიქრალი, წლების გამოცდილებითაა შემოწმებული.

შოთა მესხია ივანე ჯავახიშვილის სკოლას ეკუთვნოდა, მაგრამ არა ისე, როგორც ამ სკოლას განეკუთვნებოდა არსებითად ყველა თანამედროვე ქართველი ისტორიკოსი. მას სტუდენტობისას წილად ხვდა ბედნიერება დიდი ივანეს ლექციები მოესმინა და შემდეგაც კარგა ხანს შეეძლო მასთან ურთიერთობა, შეეძლო მის დიდ ცოდნას და მოქალაქეობრივ თვისებებს უშუალოდ ზიარებოდა. ხოლო პირდაპირი გაგებით, იგი სიმონ ჯანაშიას მოწაფე იყო, მისგან გამორჩეული, გამოზრდილი-გამოწვრთნილი, მეცნიერების გზაზე გამოყვანილი, სამეცნიერო ხელდასხმული. უდიდესი როლი შეასრულა შოთა მესხიას, როგორც მეცნიერის და მოღვაწის ჩამოყალიბებაში მეორე გამორჩენილმა ისტორიკოსმა ნიკოლოზ ბერძენიშვილმა. შოთა მასაც არსებითად თავის მასწავლებლად მიიჩნევდა და მისგანაც ბევრი რამ ჰქონდა აღქმულ-შეთვისებული. და კიდევ ერთი რამ: შ. მესხია სტუდენტობისას დედის ახლო ნათესავთან ლეო ქიაჩელთან ცხოვრობდა, ქიაჩელების ოჯახურ გარემოში ტრიალებდა ახალგაზრდა კაცისთვის სწორედ იმ უაღრესად მნიშვნელოვან ასაკში, როცა მისი პიროვნების ფორმირება ხდება. ყველა ამ გარემოებამ დიდად ცხოველმყოფელი ზეგავლენა მოახდინა მასზე და ხელი შეუწყო მის ბუნებრივ მონაცემთა – ნიჭიერების, სიბეჯითის, ცოდნისადმი ლტოლვის, გულკეთილობის, პატიოსნების იმ გზით განვითარებას, რომელმაც საბოლოოდ მოგვცა შოთა მესხია, როგორც მეცნიერი-მკვლევარი, აღმზრდელი-პედაგოგი, მოღვაწე-მოქალაქე და შესანიშნავი ადამიანი.

შ. მესხია სამეცნიერო ასპარეზზე 30-იანი წლების ბოლოს გამოვიდა და მისმა პირველივე გამოკვლევებმა თეიმურაზ ბატონიშვილის და ვახუშტი ბაგრატიონის, საქართველოში ხელოსნური წარმოების ორგანიზაციის, შუასაუკუნოვანი ქართული ქალაქების ისტორიის სხვადასხვა ასპექტის შესახებ

იმთავითვე მიიპყრეს სპეციალისტების ყურადღება. მაგრამ განსაკუთრებით ხმამაღლა მან თავისი სიტყვა თქვა შესანიშნავი მონოგრაფიით „ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ფეოდალურ საქართველოში (XVII-XVIII სს.)“, რომელიც მის სადოქტორო შრომას წარმოადგენდა (გამოქვეყნდა რუსულ ენაზე მოგვიანებით – 1959წ.). ეს წიგნი არსებითად წარმოადგენდა პირველ მონოგრაფიულ გამოკვლევას საბჭოური ხანის ქართულ ისტორიოგრაფიაში ქალაქების შესახებ, დაფუძნებულს სხვადასხვა რიგის და ხასიათის პირველწყაროების ამომწურავ ანალიზსა და წინამორბედი ისტორიოგრაფიის კრიტიკულ გადააზრებაზე. ამასთან აქ მარტო XVII-XVIII სს. ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების ყოვლისმომცველი დახასიათება კი არ იყო მოცემული, არამედ საერთოდ ფეოდალური ქალაქის გენეზისი, საქალაქო ცხოვრების განვითარება, მისი ეტაპები, თავისებურებანი და როლი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. დრო გავიდა, ქართულ ქალაქზე ბევრი რამ დაიწერა მას შემდეგ, შ. მესხიას მონოგრაფია კვლავ რჩება სამაგიდო წიგნად ყველა ქართველი ისტორიკოსისათვის. აღსანიშნავია, რომ ამ მონოგრაფიამ არაქართველ სპეციალისტთა, ცნობილ საჭოთა მეცნიერთა მ. ტიხომიროვის, ა. ფადეევის, ა. ვედენსკის და სხვათა მაღალი შეფასებაც დაიმსახურა. შ. მესხიამ საერთოდ უაღრესად დიდი როლი შეასრულა ქართული ურბანისტიკის ისტორიის შესწავლაში. თავისი გამოკვლევებით ქართული ამქრული ორგანიზაციის, ქალაქში კლასობრივი ბრძოლის, თბილისში საქალაქო კომუნის არსებობის შესახებ მან გაამდიდრა ქართული ისტორიოგრაფიის ეს მიმართულება, ახალი სიტყვა თქვა ამ პრობლემის კვლევაში. ამასთან ხაზგასასმელია, რომ შ. მესხია ჩვენი დედაქალაქის მეისტორიეც იყო.

შ. მესხია ფრიად ფართო დიაპაზონის მრავალმხრივი ისტორიკოსი იყო. საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა, ქართული ისტორიოგრაფია, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, პოლიტიკური ისტორიის მოვლენები, ტოპონიმიკური ძიებანი – აი, არასრული ნუსხა იმ პრობლემებისა, რომელსაც შეისწავლიდა მეცნიერი და რომელთა კვლევაშიაც მან უდავოდ წარუშლელი კვალი დატოვა.

არ შეგვიძლია განსაკუთრებით არ გამოვყოთ შ. მესხიას ორი უკანასკნელი ნაშრომი, რომლებიც უკვე მისი გარდაცვალების შემდეგ გამოვიდა. პირველი ესაა „ძლევაი საკვირველი“, ძირფესვიანად გადამუშავებული და შევსებული უფრო ადრეული ნაშრომი დიდგორის ბრძოლის შესახებ, რომელშიც უდიდესი ოსტატობითაა დახატული არა მარტო ამ უაღრესად მნიშვნელოვანი

ბრძოლის შთამბეჭდავი სურათი, არამედ დიდი სიღრმითაა დახასიათებული დავით აღმაშენებლის მთელი მოღვაწეობა, წარმოჩენილი ამ მოღვაწეობის როლი საქართველოს ისტორიულ განვითარებაში და თვით დავითის პიროვნება.

მეორე წიგნი – *„საშინაო ვითარება და სამხედრეო წყობა XII საუკუნის საქართველოში“* – ჭეშმარიტად მონუმენტურ გამოკვლევას წარმოადგენს. გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ესაა ბრწყინვალე ნაშრომი, რომელიც მკვიდრ ადგილს იკავებს ქართული ისტორიოგრაფიის საუკეთესო ნიმუშთა საგანძურში. აქ ახალი წყაროების მოხმობით და ადრე ცნობილი ინტერპრეტაციის საფუძველზე არაჩვეულებრივად ფართოდ და ამომწურავადაა განხილული და ორიგინალურად გადაწყვეტილ-შეფასებული XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკვანძო საკითხები. ამასთან ამ ნაშრომში შ. მესხია გვევლინება შესანიშნავ პოლემისტად, რომელმაც ძალზე მაღალ დონეზე, დიდი პროფესიონალიზმით და დამაჯერებლობით გააკრიტიკა ყალბი, არამეცნიერული წარმოდგენები ამ ეპოქის მნიშვნელოვან პრობლემებზე.

პირველწყაროების შესანიშნავი ცოდნა, მათი ანალიზის უბადლო უნარი, ზოგადისტორიული პროცესების ღრმა დაუფლება, მაღალი პროფესიონალიზმი, დიდი კვლევითი ნიჭიერება, მეცნიერული ალღო და ობიექტურობა და ყოველივე ეს შედუღაბებული მშობლიური ერისადმი გულმხურვალე სიყვარულით – აი, ის თვისებები, რომლებიც ახასიათებდა შ. მესხიას, როგორც მეცნიერს და სამუდამო და საპატიო ადგილს უმკვიდრებენ ქართულ ისტორიოგრაფიაში.

შ. მესხია სამაგალითო იყო როგორც პედაგოგი და აღმზრდელი. მისი ლექციები გარეგნულად სადა, მაგრამ თავისებური შინაგანი შინაარსით იყო დატვირთული, ამიტომ დასამახსოვრებელი, საინტერესო მოსასმენი. მას ოსტატურად შეჰყავდა ახალგაზრდობა იმ ისტორიულ გარემოში, რომელზედაც საუბრობდა და თვით ურთულეს პროცესებსაც გასაგებს და მისაწვდომს ხდიდა. აქვე ავღნიშნავთ, რომ ასეთი იყო მისი საჯარო გამოსვლებიც. მაგრამ განსაკუთრებით ხაზგასასმელია მისი გულისხმიერი დამოკიდებულება სტუდენტებისადმი. არ დამავიწყდება, როგორი ყურადღებიანი იყო იგი, როგორც დეკანი. არასდროს იშურებდა დროს სტუდენტისათვის, ყველაფერს გადასდებდა, სტუდენტს კი მოუსმენდა, ეცდებოდა ჩასწვდომოდა მის გაჭირვებას, დახმარებოდა, მხარში ამოსდგომოდა, დაერიგებინა. ასეთივე გულისხმიერი იყო იგი კოლეგების და მეგობრების მიმართ. ყოველდღიურ ცხოვრებაში ხალისიანი და კეთილმოსურნე, დალხინებაშიაც გვერდში გვედგა და სიხალისე შეჰქონდა ჩვენს ცხოვრებაში, ხოლო თუ რაიმე გიჭირდა, მაშინ ხომ მტლად დაგედებოდა.

შ. მესხია ჭეშმარიტი მოქალაქე და პატრიოტი იყო. როგორც ვთქვი, რბილი და მიმტევებელი, იგი შეურიგებელი და მტკიცე იყო ჩვენი ერის წარსულის ხელმყოფთა და გამყალბებელთა მიმართ. ასეთ დროს თითქოს გარდაიქმნებოდა, შემტევი ძალით აღივსებოდა და ჩვენ მომსწრენი ვართ, როგორი შემართებითა და პრინციპულობით, ამასთან ცოდნით, დამაჯერებლობით, რკინისებური ლოგიკით დაუცავს მას ჩვენი ეროვნული ღირსება. ამავე დროს იგი ასეთივე შეურიგებელი იყო ყოველგვარი ყალბი, კუთხური პატრიოტიზმის გამოვლინების წინააღმდეგ.

შ. მესხიას შინაგანი სულიერი სიმდიდრე და სილამაზე გარეგნულ იერშიაც აისახებოდა: ლამაზი და მოხდენილი, მუდამ ფაქიზად და გემოვნებით ჩაცმული, სანდომიანი თვალებით მზირალი, მომხიბლავად მომღიმარე, ტკბილმოსაუბრე და ირგვლივ სიხალისის მთესველი, რაფინირებული ზრდილობის მატარებელი – ასეთი გვახსოვს ჩვენ შოთა მესხია და ასეთად დარჩება ის ჩვენს ხსოვნაში, ყველა იმათ ხსოვნაში, ვისაც ბედნიერება ჰქონდა მასთან ყოფნისა, მასთან ურთიერთობისა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება.
შოთა მესხია – 100
თბილისი. 2016

ლევან სანიკიძე

ისტორიკოს-არისტოლოგოსი*

ეს შოთა მესხიაა, მარად ცხოველმყოფელური ხსოვნით რომ ცოცხლობს ქართულ საისტორიო მეცნიერებაში, საერთოდ ეროვნულ ცხოვრებაში, ენათმეტყველებასა და ფიქრთ-მეტყველებაში.

სახით სახოვანი, ტანად ტანოვანი, აზრით აზროვანი, ზნითა ზნესრული, ანუ „შეკრებულობით" – ჭეშმარიტი ქართველი კაცი. მოვიდა იგი ეროვნული აზროვნების ასპარეზზე იქიდან, საიდანაც **უკლებლივ** (უკლებლივ-მეთქი!) მოსულა **ყველა** ისტორული ქართველი გმირი, ყველა წმინდანი, ყველა მოღვაწე, მოაზროვნე, მწერალი თუ ფილოსოფოსი, ყველა „სოფოსი", „გრაფოსი", თუ „ლოგოსი" საქართველოსი – ქართული **სოფლიდან;** სახელდობრ – კოლხურ სოფელ ობუჯიდან, ლეო ქიაჩელის სოფლიდან. ლეო ქიაჩელი ბიძად ერგებოდა დედის მხრიდან. ლეოსთან ცხოვრობდა კიდეც თბილისში შოთა – აქ ცხოვრობდა და „ქალაქელდებოდა".

რაკი სიტყვამ მოიტანა – ძალიან ეამაყებოდა შოთა მესხიას თავისი „სოფლელობა", ანუ ისტორიკოს – „ისტორიულობა". დიახ, – აკი ისტორიული საქართველოს აზროვნებაში სოფელი „პროვინციად" არასოდეს გააზრებულა; აკი „პროვინციალური აზროვნება" ქალაქში დაიბადა და დამკვიდრდა, აგერ ახლახან ნახევარი საუკუნის წინ. ხოლო, ნამდვილი საქართველო (ნამდვილი-მეთქი) იყო სრულიად „უპროვინციო". სრულად „გეორგია", ანუ „მიწათმოქმედება", გინა „სოფელმოქმედება" (მართლაც და, „გეორგია" ქალაქიდან ხომ ვერ დაიწყებოდა!!). მაშ, „სოფელ-მიწათმოქმედება", საითკენ დაბრუნებაც დღე-დღეზე გარდუვალად (გარდუვალად-მეთქი!) დასჭირდება დღევანდელ ურბანისტულ ლევიათანში კატასტროფულად ჩაძირულ „გეორგიას"!..

და იყო „სოფელი" შოთა მესხია ღირსეული მემკვიდრე – დიადხოსი ასევე „სოფლელი" ივანე ჯავახიშვილისა, ვითარცა ეს უკანასკნელი – ასევე

* გაზ.: „საქართველოს რესპუბლიკა". №79 (2192). 26.04.1996. იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით.

დიადოხოსი „სოფლელი“ ილია ჭავჭავაძისა. და ა.შ. და ა. შ. განუწყვეტლივ სიღრმესა შინა „გეორგიისასა“.

სრულიად „სამყაროც“ („კოსმოს“) ხომ „სოფლად“ გაიაზრებოდა ქართულ აზროვნებასა და სიტყვიერებაში – ხოლო, აქედან – კაცის „წუთი-სამყარო“ პირდაპირ „წუთი-სოფლასდ“... გინდა, იცოცხლე ამ „სოფელ-სამყაროში“ მათუსალას ხნის, ცხრაას სამოცდაცხრა წელიწადი, მაინც ჰქვია „წუთის-სოფელი“ ხოლო, შოთა მესხიამ ისე ხანმოკლე – 56-წლოვან წუთის-სოფელში, სთქვა და დაამკვიდრა ნააზრევნი მარად სამკვიდრებელნი წიაღსა შინა ქართული **არისტოლოგიური** აზროვნებისა.

იგი არ იყო ჩვეულებრივი რიგოსანი ეგზომ მომრავლებული სტანდარტული ისტორიოგრაფიისა – სწორედ ოდენ „გრაფია-აღწერილობისა“, ანუ ისტორიული ფაქტების ფიქსაცია-რეგისრაციისა; არამედ იყო იგი ჭეშმარიტი „ისტორიოლოგოსი“, გინა „ისტორიოსოფოსი“. ანუ ისტორული მეცნიერება მისთვის იყო შემოქმედება (ც) და არა ოდენ კონსტანტაცია-რეგისტრაცია.

და, ყოველივე ამის შესაბამისად – მისი საისტორიო-მეცნიერული მემკვიდრეობა არის არა ოდენ „რეგისტრაციული **ნაწარმი**“, არამედ მაღალაზრობრივ-შემოქმედებითი **ნაწარმოები**. სამაგალითოდ, მრავალთა შორის, მარტო მისი (შოთას და „შოთაობას“ რომ შვენის!) *„ძლევად საკვირველის“* წაკითხვაც კმარა...

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში – სახლსა შინა სალოცავსა ერისასა – წინამძღოლობდა შოთა მესხია საისტორიო-სამეცნიერო საბჭოს. სასწავლო-სააღმზრდელო ფაკულტეტს, საქართველოს ისტორიის კათედრას და ვიდოდა „ჰეგემონია“ მისი, ვითარცა მაღალღირსეული პარადიგმა მეცნიერული და ზნეობრივი წინამძღოლობისა.

და უეცრად, ნაადრევად მიიტაცა მისი სიცოხცხლე ყოელის მსახვრალმა თანატოსმა. აღსრულა მისი საამქვეყნო წუთისოფელი (წუთის!) და დაემკვიდრა სული მისი იქ, მარადიულ სულეთში, ქართველთა სალოცავი *„ქართლის ცხოვრების“* ავტორთა საფიხვნოზე, სადაც ახალი დროისაგან უკვე მისულან და დამკვიდრებულან: ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი და ესინი მიანიშნებენ ახალმისულს ადგილს მათსავე გვერდით.

აქ კი, *„სახლსა შინა სალოცავსა ერისასა“*, შოთა მესხიას წასვლის შემდგომ ოცდაოთხი წელიწადი ობლად დგას მისი კათედრალური საკარცხული; დგას და ელის ღირსეულ მემკვიდრეს.

და, უფალმა ინებოს, მალე განესრულოს შოთას შემდგომი ეგზომ ხანგრძლივი, უამური ანაპაუზა...

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება.
შოთა მესხია – 100
თბილისი. 2016

როდარ ასათიანი

გახსენება*

თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, მაგრამ დღესაც თვალწინ მიდგას სექტემბრის ის დღე, როდესაც უნივერსიტეტის ახალბედა სტუდენტები მოუთმენლად ველოდით პირველ ლექციას საქართველოს ისტორიაში. და აი, ჩვენს წინაშე დგას ტანმაღალი, გამხდარი, თვალებანთებული ახალგაზრდა კაცი, რომლის სახეც უსაზღვრო სიკეთესა და კეთილშობილებას გამოასხივებდა. მან დინჯად, აუჩქარებლად დაიწყო საუბარი საქართველოს ისტორიის საგანზე, მის მნიშვნელობაზე და ადგილზე სხვა ქართველოლოგიურ მეცნიერებათა შორის და პირველივე ლექციაზე ჩაგვახედა მეცნიერული კვლევის რთულ და წარმტაც ლაბირინთებში. ლექციების კითხვისას იგი არ იფარგლებოდა მხოლოდ სათანადო საკითხების ემპირიული გადმოცემით, არამედ გატაცებით გვაცნობდა ამა თუ იმ დებულების დასაბუთებას ან საწინააღმდეგო არგუმენტაციას, წყაროების მონაცემებს და ახდენდა მათ საინტერესო ანალიზს. ამით ძალაუნებურად მონაწილედ გვხდიდა ჩვენ, სკოლის მერხიდან ახლადმოსულ ახალგაზრდებს, იმ მწვავე პოლემიკისა, რომელიც ამა თუ იმ პრობლემის გარშემო მიმდინარეობდა ქართულ საისტორიო მეცნიერებაში.

სულ ორიოდე წელი იყო გასული, რაც შოთა მესხიამ საქართველოს ისტორიის ძველი პერიოდის საუნივერსიტეტო კურსის სწავლებაში შეცვალა უდროოდ გარდაცვლილი დიდი ქართველი მეცნიერი აკად. სიმონ ჯანაშია, რომლის უსაყვარლესი მოწაფეც იგი იყო და რომელსაც, როგორც მომსწრენი გვამცნობენ, ყველაფერში ჩამოჰგავდა. მისი კბილა და უახლოესი მეგობარი პროფ. აკაკი სურგულაძე აღნიშნავდა, რომ *„სულიერ მამად შოთას ბატონი სვიმონი ჰყავდა და ალბათ ამიტომაც მეცნიერული ჭვრეტისა და ანალიზის უნარში, ფრთხილი, ზუსტი დასკვნების გამოტანაში, ზნეობრივ სიწმინდისა, მშობელი ქვეყნის უხმაურო, მაგრამ განუზომელ, გუმხურვალე სიყვარულში*

* იბეჭდება პირველად, მცირეოდენი შემოკლებებით.

შოთა, როგორც ორი წვეთი წყალი, ისე ჰგავდა ბატონ სვიმონს. ეს მსგავსება თითქოს გარეგნულიც იყო: სვიმონივით დინჯი, მუდამ მომღიმარი, თავაზიანი, დაბჯენილი, დიდი გემოვნებისა და ტაქტის კაცი იყო შოთა მესხია“.

მართლაც, მან გადმოიღო ყველაფერი საუკეთესო, რაც უნივერსიტეტის პირველი თაობის პროფესირისათვის იყო დამახასიათებელი და ამას დაუღალავად ნერგავდა თავის მოწაფეებსა და ახალგაზრდა კოლეგებში.

შოთა მესხიას ისე, როგორც არავის შეეძლო თბილი ურთიერთობა დაემყარებინა ყველასთან, ასაკოვანთან თუ ახალგაზრდასთან. მისთვის უცხო იყო ქედმაღლობა და პედანტური მენტორობა. იგი ყველას გაგებით ხვდებოდა და ვისაც სჭირდებოდა, მზრუნველობას არ აკლებდა. არაერთი მისი ყოფილი სტუდენტ დიდის კმაყოფილებითა და სითბოთი იგონებს იმ ახალი წლის ღამეს, რომელიც შ. მესხიამ მათთან ერთად გაატარა სტუდქალაქში, რათა რაიონებიდან ჩამოსულ ახალგაზრდებს ამ საერთო დღესასწაულის დროს არ ეგრძნოთ მშობლიური კერის სითბოდან მოშორება.

შოთა მესხია სტუდენტს ეპყრობოდა როგორც კოლეგას და თანასწორს და მიუხედავად იმისა, რომ იგი პირველი კურსის სტუდენტებს გვიკითხავდა ლექციებს, ცდილობდა ჩვენთვის არა მარტო საგნის ცოდნა მოეწოდებინა, არამედ აღეძრა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ინტერესიც. ძალიან ბევრმა ჩვენთაგანმა ისტორიულ კვლევას ხელი მოჰკიდა სწორედ მისი შთაგონების შედეგად. იგი ყოველმხრივ ცდილობდა ხელი შეეწყო და წაეხალისებინა ახალგაზრდების ბეჯითი მუშაობა და სათანადოდ წარმოეჩინა კიდეც. მაგალითად მარტო ის კმარა, რომ მაშინდელი რეჟიმის პირობებში რაიმეს დაბეჭდვა თვით აღიარებული მეცნიერებისათვისაც კი ძნელად გადასალახავ პრობლემებთან იყო დაკავშირებული, მან ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რათა მისი სტუდენტების მიერ შექმნილი მონოგრაფიები ექვთიმე თაყაიშვილზე და ალექსანდრე ცაგარელზე ცალკე წიგნებად გამოქვეყნებულიყო.

შოთა მესხია გამორჩეული თვისებების პიროვნება იყო, რომელსაც შეეძლო თბილი ურთიერთობა დაემყარებინა ყველა თაობის, ასაკისა და ხასიათის ადამიანებთან. ამიტომ იყო, რომ მის მოთავეობას სცნობდნენ თვით მასზე უფროსი და მეცნიერებაში დაბრძნობილი ადამიანებიც. მაგრამ ყველაზე მეტად მას ახალგაზრდებთან ყოფნა უყვარდა და თავის საქმიანობაში რთულ პრობლემებზე მუშაობისას ყოველთვის ახალგაზრდებს შემოგვიკრებდა ხოლმე გარშემო. იგი გვიკითხავდა ჯერ კიდევ დაუმთავრებელ ნაშრომებს და ჩვენს აზრსა და შეხედულებას ყოველთვის დიდი გულისყურით ისმენდა, გვაცნობდა თავის ჩანაფიქრს, მიზნებს, გეგმებს.

შ. მესხიამ 1956 წელს აკად. ნ. ბერძენიშვილისაგან ჩაიბარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის ხელმძღვანელობა და სიცოცხლის ბოლომდე უძღვებოდა ამ უაღრესად საპასუხისმგებლო და საპატიო საქმეს. მალე იგი აირჩიეს ისტორიის ფაკულტეტის დეკანადაც. თქვენს მონა-მორჩილს დამევალა კათედრის გამგის მოადგილის მოვალეობა, ამიტომ მე მოწმე ვარ ყველა იმ ძალისხმევისა, რასაც იგი დაუღალავად ეწეოდა საქართველოს ისტორიის საუნივერსიტეტო სწავლების გაუმჯობესების და მეცნიერული კვლევის ხაზით.

ეს იყო პერიოდი, როდესაც საქართველოს ისტორიის საუნივერსიტეტო სწავლება ყოველმხრივ შევიწროებას და დისკრიმინაციას განიცდიდა მაშინდელი რუსული ველიკოდერჟავული ხელმძღვანელობის მხრიდან. ნიკიტა ხრუშჩოვის მმართველობის პერიოდში არაერთხელ დადგა საკითხი საქართველოს ისტორიის კათედრის გაუქმების, მისი სხვა კათედრასთან გაერთიანების და საქართველოს ისტორიის სწავლების მინიმუმამდე დაყვანის შესახებ. ჩვენს ისტორიკოსებს უყენებდნენ ბრალდებას „ნაციონალიზმსა“ და „მეფეთა ისტორიით“ გატაცებაში, წარსულის გაიდეალებაში. იყო არაერთი მცდელობაც, ზოგჯერ მეზობელი ქვეყნების ისტორიკოსების მხრიდანაც, ჩვენი ისტორიის დაკნინების და ტენდენციური გაშუქებისა.

ყოველივე ამას ღირსეულ პასუხს მიაგებდა შოთა მესხია. იგი ხმალშემართული იდგა ყოველი ასეთი გამოხდომის მიმართ, მაგრამ ყოველგვარი ცრუ პათეტიზმისა და პოპულიზმის გარეშე, მხოლოდ აკადემიურად და მეცნიერული სიდინჯით აცამტვრებდა ჩვენი ერისა და მეცნიერების წინააღმდეგ ავისმოხარულთა შემოტევებს. შ. მესხიას დამსახურებაა, რომ უნივერსიტეტში საქართველოს ისტორიის სწავლება არა თუ შემცირდა, არამედ გაიზარდა და თანდათანობით შემოღებულ იქნა თითქმის ყველა ფაკულტეტზე; დაუცხრომლად იბრძოდა სკოლებში საქართველოს ისტორიის სწავლების ძირეული გაუმჯობესებისათვის. იგი ერთ-ერთი თანაავტორი იყო საქართველოს ისტორიის საშუალო სკოლების სახელმძღვანელობის. სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში არჩეული იყო განათლების სამინისტროს ისტორიის სწავლების გაუმჯობესების საბჭოს თავმჯდომარედ, მაგრამ, სამწუხაროდ, მან მხოლოდ ერთი სხდომის ჩატარება მოასწრო.

შოთა მესხიას გარშემო ყოველთვის შემოკრებილი იყო მისი მეგობრების წრე. ესენი იყვნენ არა მარტო ისტორიკოსები, არამედ ფილოლოგები, ეკონომისტები, მათემატიკოსები და სხვ. ყველას მიზიდულობის ცენტრი ისტორიის

ფაკულტეტის დეკანატი იყო. სამაგალითო იყო მათი ურთიერთობა, ხუმრობა თუ სერიოზული სჯა-ბაასი, თანამეინახეობა. მათთვის უცხო არ იყო ქართული პურ-მარილი. თვითონ ბატონი შოთა ხომ სწორუპოვარი თამადა იყო.

არაჩვეულებრივი სითბო სუფევდა მის დიდებულ ოჯახში. მე მქონდა ბედნიერება ხშირად ვყოფილიყავი სტუმრად თუ საქმიანი ვიზიტით მის ოჯახში და მოწმე ვიყავი იმ დიდი სიფაქიზისა და ურთიერთპატივისცემისა, რაც გამეფებული იყო ოჯახის წევრებს შორის. მისი მეუღლე, ქალბატონი მარო დიდებული დიასახლისი და ბატონი შოთას უერთგულესი მეგობარი, ჩვენს მიმართ, ისევე როგორც ბატონი შოთას ყველა კოლეგის მიმართ ყოველთვის დიდ სტუმარმოყვარეობას იჩენდა, მისი ქალიშვილები კი ქართველი ქალის ყველა სიწმინდესა და კეთილშობილებას ანსახიერებენ.

მახსენდება ის ავბედითი მძიმე დღეები, როცა ბატონ შოთას ვეთხოვებოდით. მაშინ განსაკუთრებით დამგლოვიარებული ახალგაზრდები იყვნენ, მისი მოწაფეები თუ უმცროსი მეგობრები. ეს იყო გულწრფელი სიყვარულისა და მადლიერების გამოხატულება. შოთა მესხია არა მარტო მეცნიერებას გვასწავლიდა, არამედ, პირველ რიგში, კაცობას, მოქალაქეობას. ამ საქმეში მას სხვა არავითარი მეთოდი არ გააჩნდა გარდა საკუთარი მაგალითისა.

მისი პიროვნება, მისი დარიგება განსაკუთრებით სასარგებლო და საჭირო იქმნებოდა დღევანდელი ახალგაზრდობისათვის.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება.
შოთა მესხია – 100
თბილისი. 2016

გიორგი ნადირაძე

ერის ღონე მოამაგე შვილი*

გონებით გამორჩეულ კაცს, მიუხედავად გასაგები უპირატესობისა, გარემოება აიძულებს ყოველდღიური ცხოვრების ნირით, რიგით ადამიანს დაემსგავსოს, რაც ხელს უშლის სიდიდის აღიარებას. ერთი სიტყვით ადამიანებს უჭირთ ცოცხალ თანამედროვეს, რომელსაც ყოველთვის მიწიერის სუნი ასდის კუთვნილი მიუძღონ და აღიარონ, რომ ის დიდია.

და მაინც ბატონი შოთა მესხია სიცოცხლეშივე ეზიარა მისდამი ხალხის დიდ ყურადღებას და სიყვარულს. მთელი საქართველო იცნობდა, მთელმა გონიერმა საქართველომ იგლოვა. გარდაცვლილი მამულიშვილისადმი რომანტიკული დამოკიდებულების ტრადიცია მუდამ იყო საქართველოში, მაგრამ ბატონ შოთაზე საუბრისას ამ მხივ ვერაფერს გადააჭარბებ. სამშობლოსათვის თავდადებული კაცის ხსოვნისადმი პატივის მიგება მისი ხატის წინაშე ლოცვა კი არავისაგან არსად და არასოდეს არ არის ზედმეტი ან უნიადაგო. ასეთია ჩვენი გარჯის მიზანიც.

ბატონი შოთა, კაცი, ვისი კონფესია მუდამ თან ემთხვეოდა ლოცვას *„ჩემი ხატია სამშობლო“*, საჩინოდ განამტკიცებდა აზრს, რომ ისტორია ერის უწმინდესი წიგნია, იგი როგორც პიროვნება უპირველეს ყოვლისა გამოირჩეოდა უპრეტენზიობის სიმშვენიერით, თვალში საცემი კარგი გარეგნობით, განუმეორებელი გულთბილობით, გადამდები სიმშვიდით, ადვილად მიუტევებდა მისატევებელს, მუდამ სჯეროდა კეთილი მომავლის, უყვარდა ნიჭიერი კაცი, იყო შესანიშნავი მეცნიერ-ხელმძღვანელი, მოვალეობის მტკიცე შეგნებით. ყოველთვის ახდენდა ზნეობრივ ზეგავლენას, შესანიშნავად ფლობდა წინამძღოლობის ხელოვნებას. ბატონი შოთას დეკანობის დროინდელი ისტორიის ფაკულტეტი სანიმუშო იყო, რაშიც არავითარი წვლილი არ მიუძღვოდა დასჯას, დაშინებას, მუქარას. მას უყვარდა ადამიანები და შეეძლო ერთმანეთი-

* გაზ.: „ლიტერატურულ საქართველო“, №17(3070), 26.04-03.05, 1996.

სათვის შეეყვარებინა ისინი, იყო მოძღვარი, რომელიც უპირველესად თავის ქადაგებას თვითონვე მისდევდა და მიაჩნდა, რომ კარგი მაგალითი გაცილებით სასარგებლოა, ვიდრე კარგი წესდება.

სამშობლოსათვის მავედრებელი, ღრმად რელიგიური სწავლულის ლოცვასავით შთამაგონებელი, ოდნავ ერთფეროვანი მანერით კითხულობდა ლექციას, რაც გულისყურიან მსმენელს ცოდნის ძლევამოსილებას და უპირატესობას შთააგონებდა, არც თუ იშვიათად არღვევდა ქვეყნის განმგებელთა მიერ საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის დაწესებულ ზომას და საზღვარს, რისთვისაც ბუნებრივია ხელისუფლებისაგან ტაშს ვერ დაიმსახურებდა. ბატონი შოთა არ არის ერთ-ერთი საინტერესო ისტორიკოსი, იგი ყველა დროის ქართველ მხოლოდ ძალზე მცირეთა შორის შეიძლება იყოს ერთი. ასეთი სიმართლე უფლებას იძლევა განვაცხადოთ შოთა მესხია *„ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას და ნიკო ბერძენიშვილის ღირსეული მემკვიდრე იყო“*. ბატონი შოთასათვის მეცნიერება უპირველეს ყოვლისა დაფარულის ხილვა იყო და არა უკვე ხილულისათვის მხარის დაჭერა, ან პირიქით.

ადრე ძალიან ადრე შეწყდა მისი დიდი სიცოცხლე. ორმოცდათექვსმეტი წლის ჰუმანიტარი, ჭეშმარიტი მეცნიერი ყოველთვის ახალგაზრდაა. ეს ის ასაკია, როცა წვრილმანი მიწიერი ვნებები მეტნაკლებად გზას მეცნიერულ შემოქმედებას უთმობენ. მოსკოვში ბატონი შოთას მოსანახულებლად ჩასულმა მე და კარლო მეშველიანმა, შოთას მეუღლე ქალბატონი მარო, პალატიდან დერეფანში, რომ გამოვიხმეთ, მის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა. დღეს გელოდებოდათ სიზმარში განახათ. გვითხრა გაოცებულმა და შეგვეკითხა, როგორ შემოხვედით? *„პროფესორ შოთა მესხიას ნახვა გვინდა“* – ეს იყო ჩვენი საშვი. ბატონ შოთას სახელმა უცხო გარემოშიც გვიწინამძღერა.

ცოტა ხნის შემდეგ თბილისში არაჩვეულებრივად სათნო, ღრმა და სიცოცხლით სავსე ბუნება გაუსაძლისი ტკივილითა და ტანჯვით გათავდა. ბატონ შოთას დარჩა შესანიშნავი მეუღლე, ღირსეული ქალბატონი, ზნეობრიობით, გონიერებით და სამშობლოს სიყვარულით გამორჩეული დიდი შთამომავლობა. დაუხარჯავი ნიჭი, გონება, უნარი. თავისი ხალხისათვის ბევრი ძვირაფასი სათქმელი მიწაში ჩაიტანა. ადგილი სადაც ბატონი შოთა იდგა სამუდამოდ ეკუთვნის მას. ეჭვგარეშეა, რომ მისი მეცნიერული შემოქმედება დღეს უფრო სასარგებლოა, ვიდრე გუშინ *„რაც დრო მიდის, მით უფრო მკვეთრად გამოისახება სამეცნიერო საზოგადოებისა და ხალხის წინაშე შოთა მესხიას, როგორც მეცნიერის ნათელი სახე“*. ასეთი ბედი მეცნიერული ნაღვაწის ყვე-

ლა ავტორის მარადიული ოცნებაა. ჩემი აზრით, ბატონი შოთას შემოქმედებაში არ არის სუსტი ადგილები, მაგრამ რადგან თქმულია ,,უნაკლო მხოლოდ ღმერთიაო". იქნებ არც ბატონი შოთას კვლევის ნაყოფი იყო უნაკლო. მაგრამ ამით მნიშვნელოვანი არაფერი შეიცვლება.

ღირსეული მხოლოდ ის კი არ არის, რასაც ნაკლი არ გააჩნია, არამედ ისიც, რაც ღირსებას ფლობს. შოთა მესხიას შემოქმედება სავსეა დიდი მეცნიერული ღირსებით. მადლობა ღმერთს ასეთ სიმართლეს მრავალი სრულუფლებიანი, პატიოსანი მოწმე, მხილველი, დამფასებელი, დამცველი ჰყავს და ეყოლება მარად. 1996 წლის 27 აპრილს შოთა მესხია 80 წლის უნდა გამხდარიყო.

ილია ანთელავა

ეს იყო კაცი...*

„ძლევად საკვირველი“ ... ასე ეწოდება შოთა მესხიას ახალ ნაშრომს, რომელიც სულ ახლახანს მიიღო ჩვენმა მკითხველმა. ნაშრომში ფართოდაა მიმოხილული დიდგორის ბრძოლის მიზეზები, თვით ბრძოლის მიმდინარეობა, საქართველოსა და ჯვაროსნების ურთიერთობა. წიგნში ასახულია დიდგორის ბრძოლის უშუალო შედეგი, თბილისის შემოერთება – დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის ეს შესანიშნავი დაგვირგვინება. სამწუხაროა, რომ თვით ავტორი ვერ მოესწრო წიგნის გამოსვლას.

ძალიან მძიმეა და გულსატკენი, როცა საზოგადოებას გამოაკლდება ჯერ კიდევ მოხუცობას მიუღწეველი, შემოქმედებითი ენერგიით აღსავსე ადამიანი, შუაგზაზე შეწყვეტს თავის დიდ მოღვაწეობას, შორდება საქმეს, რომელსაც წლების მანძილზე მეთაურობდა. ამ მცირე ხნის წინ ქართველობამ გულწრფელი და საყოველთაო გლოვით გააცილა უკანასკნელ გზაზე შოთა მესხია – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, თბილისის უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე, ისტორიის ფაკულტეტის დეკანი.

„ძლევად საკვირველი“ უკვე აწყობილი იყო, როცა ავტორი ავად გახდა. საავადმყოფოს მიჯაჭვულს, მოწაფეებმა მათ მიერ გასწორებული საკორექტურო ფურცლები მიუტანეს. ცრემლები წასკდა, ჩემი უკანასკნელი ნაშრომიაო. ვაი, რომ წინათგრძნობა აუხდა.

მაღალი, ყოველთვის დინჯად, გამოზომილად მოარული, ნელი, ოდნავ დუდუნა ხმით მოსაუბრე, ალერსიანი, შუქიანი თვალები. კაცი, რომელიც დიდსა და პატარას, ნაცნობსა და უცნობს, ერთნაირად ფრთხილად და ადამიანურად ეპყრობოდა, კაცი, ყველას დამხმარე, უშურველი და გულკეთილი.

* დროშა. ყოველთვიური საზოგადოებრივ პოლიტიკური და სალიტერატურო სამხატვრო ჟურნალი. №11 (432). ნოემბერი. 1972, გვ. 10. იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით.

გამოჩენილი მეცნიერის სამუშაო მაგიდაზე დარჩა გამოუცემელი ნაშრომი, უკანასკნელი წლების დაძაბული მუშაობის ნაყოფი – „თამარ მეფე“. საქართველოს ისტორიის „ოქროს ხანა“, თამარის ეპოქა მეტად საინტერესო და ამავე დროს შესასწავლად ურთულესი პერიოდია. ავტორს ჩაფიქრებული ჰქონდა ვრცელი ნაშრომი, რომელსაც ამომწურავად უნდა მოეცვა ეს ხანა. მან ამ ფართო საკვლევაძიებო გეგმის მხოლოდ ნაწილის განხორციელება შეძლო, მაგრამ რაც მოასწრო, კაპიტალური შრომაა, რომელიც ხსენებული ეპოქის სამოხელეო წყობას, ცალკეული სახელოს წარმოქმნასა და მის რაობას, დიდმოხელეთა ვინაობას შეისწავლის. ეს საკითხები ქართულ ისტორიოგრაფიაში კარდინალური და საპრობლემოა. აქვე დიდი ადგილი აქვს დათმობილი მხარგრძელთა ცნობილი გვარის აღზევება დაწინაურების დროსა და პირობებს. ქართული, სომხური და უცხოური წყაროებისა და ლიტერატურის მოშველიებით, მათი ახლებური ინტერპრეტაციის საფუძველზე. შოთა მესხიასათვის დამახასიათებელი საბუთიანობითა და ლოგიკითაა დასმული და გადაწყვეტილი მხარგრძელთა შესახები მრავალი სადაო საკითხი. ეს ძვირფასი ნაშრომი, ალბათ ახლო მომავალში იხილავს სინათლეს.

შოთა მესხიას, გამოჩენილ მეცნიერს და მკვლევარს, მრავალი გახმაურებული ნაშრომის ავტორს, კარგად იცნობენ მთელს ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთაც, მაგრამ ალბათ მათგან ძალიან ცოტამ იცის, რამდენ დროსა და ენერგიას ახმარდა იგი თავის მოწაფეებს, როგორ გულით უხაროდა მათი ყოველი წინგადადგმული პატარა ნაბიჯი, რამდენი ჰყავს მამობრივი მზრუნველობით გამოზრდილი.

1965 წ. 1 ოქტომბერს, ამ სტრიქონების ავტორს, მაშინ საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლეს, უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე მოხსენება უნდა წაეკითხა. ხელმძღვანელი პროფესორი შოთა მესხია გახლდათ. ხელმძღვანელმა სტილისტურად გამართა მოხსენება, მაგრამ ჩემეული „მოსაზრებებისათვის“ ხელი არ უხლია. არა იმიტომ, რომ ამ მხრივ ყველაფერი წესრიგში იყო, არამედ იმისთვის, აუდიტორიასთან შეხვედრის, მოხსენების გარეშემო აზრის გამოთქმის შემდგომ მე თვით მეგრძნო და გამესწორებინა ჩემი შეცდომები. დადგა მოხსენების წაკითხვის დღეც.

დანიშნულ დრომდე დეკანატში ვიჯექი და როგორც იტყვიან, შიშის ციებ-ცხელება მჭონდა. გამოცდა საპასუხისმგებლო იყო: მოხსენებას სტუდენტებთან ერთად ფაკულტეტის პროფესურაც ესწრებოდა. მოხსენების ავკარგიანობასთან ერთად, ჩემი ცოტა დეფექტური მეტყველებაც მაფიქრებდა და ამი-

ტომ შინიდან საგანგებოდ წამოვიღე კიდეც წამალი, *„ტრიოკასაზინის“* დამამშვიდებელი ტაბლეტები. ერთი ცალი ამოვიღე და დავლიე. ბატონი შოთა იქვე იჯდა თავის მაგიდასთან და ყოველივე ეს დაინახა. ჩაიღიმა, როგორც სჩვეოდა და ისეთი ხმით, თითქოს რაღაცის შერცხვაო, მითხრა, კიდევ თუ გაქვს ეგ წამალი, ერთი ტაბლეტი მომეცი, მეც რაღაც ძალიან ვღელავო. მოხსენებამ კარგად ჩაიარა, მეც „დავმშვიდდი“ და ჩემი ხელმძღვანელიც. იგივე მოხსენება შემდეგ კონფერენციაზეც წავიკითხე, როცა ტექსტი მემანქანესთან უნდა წამეღო დასაბეჭდად, დამიბარა, ერთი დიდი შეკვრა საუკეთესო ქაღალდი მომცა და მითხრა, ასეთს ვერ იშოვნი, ეს მოხსენება შენი პირველი ნამუშევარია და კარგ ქაღალდზე დაბეჭდეო. ეს ორი პატარა, ერთი შეხედვით უმნიშვნელო, მაგრამ მისი პიროვნებისავის დამახასიათებელი ეპიზოდი ღრმად ჩამრჩა მეხსიერებაში.

შოთა მესხია ყოველთვის იმას შთააგონებდა თავის მოწაფეებს, წიგნი ჰყვარებოდათ, ერთგულად, მუყაითად ემუშავათ, მაგრამ წიგნის ტყვე არ გამხდარიყვნენ. ჯერ საზოგადოების კარგი წევრები, კარგი ადამიანები ყოფილიყვნენ და მერე კი ასეთივე მეცნიერები. თვით იყო ამის შესანიშნავი მაგალითი.

უდიდესი ტაქტი ჰქონდა. არავის, თუნდაც გაცილებით უმცროსს, არასოდეს მოახვევდა თავის აზრს, არასოდეს არავის ეტყოდა ხმამაღლა სიტყვას, – არ უბრძანებდა, თუმცა ამისი უფლებაც ჰქონდა და დამსახურებაც. მის რჩევა-დარიგებებს არასოდეს მიუღია ნოტაციის სახე. ჩვეულებრივ საუბარში გეტყოდათ და გაგრძნობინებდათ ყოველივეს და ასევე მშვიდ საუბარში „გაგაძრობდათ ტყავს“, თუ რაიმე გქონდათ დაშავებული. მასთან თითოეული შეხვედრის შემდეგ ახალი ძალების მოზღვავებას გრძნობდით, გიხაროდათ, რომ არსებობს ასეთი კაცი, იმედის მომცემი, სიკეთისაკენ მაბიძგებელი.

მეგობრული პასუხისმგებლობის საოცრად დიდი გრძნობა ჰქონდა. რამდენჯერ შეუძლოდ მყოფი, ლოგინში მწოლიარე ამდგარა და წასულა იქ, სადაც იგი სჭირდებოდათ და მიელოდნენ. როცა ამის გამო ვინმე მოკრძალებულ საყვედურს ეტყოდა, იგი ჩაიღიმებდა და პასუხობდა: *„მავან და მავანს დღეს ვჭირდებოდი, დღეს მოელოდა ჩემს დახმარებას, მე რა მეთქვა, შეუძლოდ ვიყავი და ვერ მოვედიო? არ იფიქრებს, შოთა მესხიამ თავი ამარაიდა, გუშინ კარგად იყო და დღეს ავად რამ გახადაო“*. ბოლო ხანებშიც, როცა უკურნებელი სენი უკვე მორეული ჰქონდა, არაერთხელ მოქცეულა ამგვარად.

განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით იხსენებდა თავის მასწავლებელსა და „ნათლიას“ მეცნიერებაში, აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას. შოთა მესხია უნივერსიტეტში ჯერ ფილოსოფიის განხრით სწავლობდა, შემდეგ კი

სიმონ ჯანაშიას ლექციებით მოხიბლული ისტორიის ფაკულტეტზე გადავიდა და საქართველოს ისტორიის შესწავლას შეუდგა. რამდენჯერაც კი სიმონ ჯანაშიაზე საუბარი ჩამოვარდებოდა, იგი საჩვენებელ თითს მაღლა ასწევდა და იტყოდა: *„თქვენ მხოლოდ მის შრომებს იცნობთ, ხოლო რა ადამიანი იყო ჩემმა თაობამ იცის. აი, ეს იყო კაცი“*. ძალიან უყვარდა თავისი მასწავლებელი და ვაი, რომ სიკვდილშიც მიბაძა, მასავით ადრე წავიდა.

56 წელი მეორე ცხოვრების დასაწყისია. აწი იღებოდა კიდევ უფრო დიდი შემოქმედების კარი. ახლა ახლებურად გაშლიდა ფრთებს წლების მანძილზე დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება. რამდენი დიდი, ეროვნული საქმის გაკეთება შეეძლო კიდევ. რამდენი სიხარული და გამარჯვება მოელოდა შინ თუ გარეთ შოთა მესხიას, გამოჩენილ მეცნიერს, მზრუნველ მასწავლებელს...

უკვე წარსულშია მშვენიერი, იმედებით, ბრძოლითა და შრომით აღსავსე, მაგრამ ვაგლახ, რომ ხანმოკლე ცხოვრება; შოთა მესხია მაინც განაგრძობს სიცოცხლეს, რადგან დრო ვერ წარხოცავს იმ სიყვარულს, რაც მან დათესა. მისი შრომები თვითონ იტყვიან თავიანთ სათქმელს, ხოლო ყველა, ვინც მას იცნობდა, უფლებამოსილია გადასცეს მომდევნო თაობებს:

„აი ეს იყო კაცი“.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება.
შოთა მესხია – 100
თბილისი. 2016

გულივერ იობაშვილი

ისტორიის მადლით ამაღლებული.
შოთა მესხია – 80[*]

ბრძენთ უთქვამთ: *„სიცოცხლე ბუნებისადმი დასაბრუნებელი ვალიაო“* და, ცხადია, რომ ამ აუცილებელ ჭეშმარიტებას ემონება ყოველი სულიერი დედამიწაზე 80 წელი გავიდა გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის შოთა მესხიას დაბადებიდან და დასანანი ის არის, რომ მისგან „საღმრთო ვალის“ გადახდა ადრე მოითხოვა ბუნებამ. მხოლოდ 56 წელი გაგრძელდა მისი სიცოცხლე და წუთისოფელი, თუმცა ხშირად გაიგონებდით მისგან: *„შეიძლება ადამიანმა იცოცხლოს 100 წელი და ერთი წლის კვალიც ვერ დაამჩნიოს ცხოვრებას და პირიქით – ერთ წელიწადში საუკუნის საქმენიც აკეთოს“*, რაც ზედგამოჭრილი იყო მისი პიროვნებისა და სულიერი სამყაროსათვის.

მე, როგორც მისი სტუდენტყოფილი და უკანასკნელი ასპირანტი, დღემდე, რა თქმა უნდა, ვერ შევებედავდი ბატონ შოთა მესხიას რაიმე მოგონება – პორტრეტის შემოთავაზებას საზოგადოებისადმი, მაგრამ დღეს მიზეზთა გამო სხვათა და სხვათა და, რაც მთავარია, ჩემი ასაკის გამოც მეოთხედი საუკუნის გადასახედიდან, მისი გარდაცვალების შემდეგ, მორალურად ამის სრული უფლება გამაჩნია.

ამ უაღრესად თავდაჭერილ და ჭეშმარიტ ელეგანტს, სისადავე რომ არ აკლდა, ამავე დროს შეეძლო გარკვეული დისტანცია დაეცვა ყველასთან და ეს თანდაყოლილი თვისება ოდნავადაც არაფერს აკლებდა მისდამი სიმპათიას, ნაცნობსა თუ უცნობებში რომ იწვევდა იგი. ყველა მისი თანამედროვე დამეთანხმება, რომ ბატონ შოთას სიარულსა და მიმოხვრაშიაც კი ეტყობოდა, რომ ჩინებულად აღზრდილი გახლდათ, მართლაც ისედაც ცნობილი იყო, რომ შესანიშნავი ოჯახური ტრადიციები მოსდგამდა.

[*] გაზ.: „თბილისის უნივერსიტეტი“, №8 (1767), 26.04.1996. იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით.

შოთა მესხია გადაჭარბებულად დინჯი და საზღვარმიჩენილი თავშეკავების კაცი იყო, რაც ახალგაცნობილშიაც კი მისადმი შინაგან პატივისცემის გრძნობას აღძრავდა; ამავე დროს მორალური ჰიგიენის პატრონი, რომელიც ყოველთვის ერიდებოდა მორალისა და ზნეობის თვალსაზრისით საეჭვო საქციელს მან რთულსა და ცდუნებებით აღსავსე დროში იცხოვრა, მაგრამ იმდენი ძალა აღმოაჩნდა, რომ ყოველთვის შეეძლო ყოველგვარ ცდუნებასა და ცოდვას განრიდებოდა იშვიათად მოიძებნება ადამიანი, რომელიც ემოციის სფეროში ეგზომ არისტოკრატულად დახვეწილი, თავდაჭერილი და დისციპლინიანი პიროვნება იყოს, როგორც ბატონი შოთა ბრძანდებოდა.

ამგვარი თვისებებით აღჭურვილი გვესახებოდა ჩვენ ყველას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტი, პროფესორი შოთა მესხია, კეთილშობილი ქართველი და ყოველმხრივ ლამაზი კაცი

იგი პირველხარისხოვანი მეცნიერ-ისტორიკოსი იყო. ამას ერთხმად აღიარებენ სპეციალისტები. ერთი აღმოსავლური სენტენციის მიხედვით, *„მეცნიერის მიერ გაბარჯული მელანი ისევე უნდა აკურთხოს ისტორიამ, როგორც სამშობლოსათვის თავდადებული გმირის სისხლი“.* თუ ამ სიბრძნეს ვიწამებთ, ბატონი შოთას ნაამაგარი მშობლიური ქვეყნის ისტორიაზე მართლაც კურთხევის ღირსია, რადგან ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თავისი საოცრად მოკლე სიცოცხლის მანძილზე ამ სულკურთხეულმა კაცმა ფრიად სოლიდური სამეცნიერო მემკვიდრეობა დაგვიტოვა. შუა საუკუნეების ქართული ურბანისტიკა, წყაროთმცოდნეობა, ისტორიოგრაფია, ფეოდალური საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორია, საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის ისტორია – აი, შოთა მესხიას, როგორც მეცნიერის სამუშაო უბნები, მასშტაბები და თვალსაწიერი. მაღალაკადემიური და სოლიდური მეცნიერული გამოკვლევის ნიმუშია მისი უკანასკნელი სქელტანიანი ნაშრომი *„საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამხედრეო წყობა XII საუკუნის საქართველოში“*, რომლის ნიჭიერად და საქმის ცოდნით დაწერილ წინასიტყვაობაში პროფესორი ნუკრი შოშიაშვილი საკმაოდ ნათლად წარმოადგენს შოთა მესხიას დიდ დამსახურებას ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე მწამს და მჯერა, რომ ძალზე შორეულ მომავალშიაც კომპეტენტური დამფასებლები შოთა მესხიას მემკვიდრეობას არასოდეს მოაკლდებიან.

შოთა მესხიას პიროვნება დამშვენებული იყო პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობით. ჩვენი ხალხის ისტორიულ ფასეულობათა ხელყოფის ყოველგვარი გამოვლინება მისგან აკადემიური, მაგრამ მკაცრი მეცნიერუ-

ლი კონტრშეტევის მიზეზი ხდებოდა. ყველასათვის ცნობილი უნდა იყოს ის ფაქტები, რომელთაც ჩვენ ვგულისხმობთ: მეცნიერი ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის სადარაჯოზე იდგა, და ამ ფაქიზ კაცს, გულის ტკივილს რომ უჩიოდა, მომართული კალამი ეპყრა ხელთ და იმით იგერიებდა სამშობლოს ისტორიის მტრებს და გამყალბებლებს. საყოველთაოდ ცნობილია ამ მხრივ ბატონი შოთას ბრწყინვალე პოლემიკურ-პუბლიცისტური წერილები: *„მრუდე სარკეში“* (პროფესორ მარიამ ლორთქიფანიძესთან ერთად), *„საცნობლად თავისადა“*. ამ და სხვა წერილებში მეცნიერი საკადრის პასუხს სცემს საქართველოს ისტორიის ფალსიფიკატორებს და ყველა იმ ვაი პედაგოგს, ვინც მშობლიური ისტორიის სწავლებას ყოველ მხრივ უგულებელყოფდა და აფერხებდა, ამასთან არ შეიძლება არ გავიხსენოთ ბატონი შოთასა და გამოჩენილი ქართველის, უნივერსიტეტის იმჟამინდელი რექტორის ილია ვეკუას დიდი ღვაწლი საშუალო სკოლასა და უმაღლესი სასწავლებლების (უნივერსიტეტის) ყველა ფაკულტეტზე საქართველოს ისტორიის სწავლების სავალდებულო საგნად შემოღების შესახებ.

ბატონ შოთას ჭეშმარიტი სიყვარულით უყვარდა მშობელი ხალხის ისტორია, მისი დიდი ისტორიული გმირები დავით აღმაშენებელი, თამარი, გიორგი ბრწყინვალე იგი, როგორც მოქალაქე, ამაყობდა ამ წმინდა სახელებით. არასოდეს დამავიწყდება ის მომენტი, როცა ბატონმა შოთამ მიმითითა *„ქართლის ცხოვრების“* იმ ადგილზე, სადაც თამარი სიკვდილის წინ ღმერთს ავედრებს და ალოცვინებს სამ უდიდეს ამქვეყნიურ ფენომენს: ერს და თავის სამეფოს, კაცობრიობის სხვა ხალხებს და ბოლოს თავის სამკვიდრო-ოჯახს *(„გვედრებ ერსა ჩემსა და სამეფოსა ჩემსა, ერსა სისხლით შენით მოსყიდულსა, და შვილთა ჩემთა“*). მართლაც რომ საოცარი რამაა: თამარი ლოცავს სიკვდილის წინ არა მხოლოდ თავის ხალხსა და ოჯახს, არამედ სხვა ხალხებს, მთელს მსოფლიოს. უნდა გენახათ ბატონი შოთას სიამაყით აღვსილი ღიმილი დიდი თამარის, დიდი წინაპრის ამ ლოცვა-კურთხევას კომენტარს რომ უკეთებდა: *„ხომ ხედავთ, ქართველები და მისი დიდი წინაპრები ყველაზე ღირსეული ინტერნაციონალისტები იყვნენო“*. მკითხველი მიგვიხვდება ყველაფერს.

შოთა მესხია ყოველთვის გამორჩეული სიყვარულით ეფერებოდა დიდი მოძღვრისა და მასწავლებლის სიმონ ჯანაშიას ხსოვნასა და პიროვნებას, რომელსაც იგი ორი წვეთი წყალივით ჰგავდა. პატარა ცხოვრებისეულ დეტალზეც საუბრისას ანთებული თვალებით სიმონ ჯანაშიას სახელს იხსენებდა და იშველიებდა ხოლმე; უსაზღვროდ დატვირთული იყო სახელოვანი მას-

წავლებლის ყურადღებითა და ამაგით. ბატონ შოთას განსაკუთრებით უყვარდა ერთი საამაყო ეპიზოდის გახსენება სიმონ ჯანაშიას სახელოვანი ბიოგრაფიიდან: მოსკოვში დიდ ისტორიკოსს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად ამტკიცებდნენ; იგი მიულია იმჟამინდელ სსრკ-ს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, აკადემიკოს ვლადიმერ კომაროვს. ეს უკანასკნელი სიმონ ჯანაშიასთან საუბრითა და მისი ტაქტით იმდენად მოხიბლულა, რომ გამომშვიდობებისას ჩაულაპარაკნია: ამ პიროვნებისათვის აკადემიის მართვა კი არა, ამ ქვეყნის მესაჭეობაა ნამდვილად შესაფერისიო.

1972 წ. 15 მაისი, დღის 12 საათი. თენდებოდა, იწურებოდა შოთა მესხიას წუთისოფელი. მისი უკანასკნელი გოდება და ამავე დროს ერთგვარი იმედიც შემდეგი იყო: *„ყველა ახლობელი და საყვარელი ადამიანი ამ დღეს დავკარგე თუ დღეს გადავრჩი, აღარასდროს აღარ მოვკვდებიო“*, – აღმოხდა თვალცრემლიანს და ნახევრად ღიმილით განეშორა ამ ქვეყანას.

შოთა მესხიას დატირება მასობრივი წუხილისა და სიმძიმის დემონსტრაციად იქცა. დაუვიწყარია მისი ოჯახის წევრთა, ნათესაობის, კოლეგების, სტუდენტობის, მრავალრიცხოვან მოწაფეთა შეძრწუნებული სახეები ჩვეულებრივ, სიკვდილი ადამიანის ცხედარზე ამაზრზენი გამარჯვებით ზეიმობს ხოლმე და ოდესღაც მომხიბლავ პიროვნებას უშნოს ხდის. ამჯერად კი უხილავ ჯალათს ბრძოლა წაეგო: გეგონებოდათ მიცვალებული ისევ გაახელდა თვალებს.

ჩვენი თაობის უამრავმა წარმომადგენელმა დაობლება და საშინელი სიცარიელე ვიგრძენით. ეს გრძნობა ახლაც მოუშორებლივ თან გვახლავს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება.
შოთა მესხია – 100
თბილისი. 2016

პორტრეტი მოგონებებით

პროფესორ შოთა მესხიას დაბადებიდან 70 წლისთავი[*]

საიუბილეო საღამოები ძალიან ჰგვანან თავად იუბილარებს მაშინაც კი, როცა ისინი ამქვეყნად აღარ არიან, და მათზე მეგობრები და კოლეგები გვიამბობენ. იმგვარ სითბოს, მოგონებათა გულწრფელობას და გულითადობას, თბილისის უნივერსიტეტში გამართულ პროფესორ შოთა მესხიას საიუბილეო საღამოს რომ ახლდა, ხელოვნურად, ძალდატანებით ვერ შექმნი. – ასე მხოლოდ ჭეშმარიტი ღვაწლის მქონე, სპეტაკ და კეთილშობილ პიროვნებებს იხსენებენ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ შოთა მესხიას დიდ მეცნიერულ ღვაწლზე, მაღალ მოქალაქეობრივ და ეროვნულ მრწამსზემოგვითხრობდნენ იმ საღამოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ევგენი სარაძე, აკადემიკოსი ანდრია აფაქიძე, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები მარიამ ლორთქიფანიძე, მამია დუმბაძე, იური კაჭარავა, ოთარ ჯაფარიძე,აკაკი სურგულაძე, პროფესორები გივი ჯორდანია და შოთა ბადრიძე, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი გიორგი აფრასიძე. იუბილარის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ვრცლად ისაუბრა მისმა ყოფილმა მოწაფემ პროფესორმა როინ მეტრეველმა. ყოველი ნაამბობი თავისებური შტრიხით ავსებდა შესანიშნავი მეცნიერისა და თავისი ქვეყნის გულმხურვალე პატრიოტის პორტრეტს. ამაში დასარწმუნებლად რამდენიმე გამოსვლის მოკლე ჩანაწერს შემოგთავაზებთ:

[*] გაზ.: *„თბილისი“*, №101 (10019), 30.04.1986. იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით.

როინ მეტრეველი: შოთა მესხიას გარდაცვალებიდან 14 წელი გავიდა. ეს დრო, თითქოს, საკმარისი უნდა იყოს საისტორიო მეცნიერების წინაშე მისი მრავალმხრივი ღვაწლის შესაფასებლად, საერთოდ, ჩვენს ეროვნულ მეცნიერებაში მისთვის კუთვნილი ადგილის მისაჩენად. მაგრამ ჭეშმარიტი მეცნიერის მნიშვნელობა დროის მსვლელობის პარალელურად იზრდება და ამიტომ, ვფიქრობ, შოთა მესხიას ნაღვაწის საბოლოო და სრულყოფილი შეფასება მაინც მომავლის საქმეა.

დღესდღეობით თვალსაჩინოდ არის გამოკვეთილი სწავლულის დიდი დამსახურება მედიევისტიკაში, კერძოდ, შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი პრობლემების კვლევაში, პოლიტიკურ ისტორიას ეხება იგი, თუ სოციალურ-ეკონომიკურს, წყაროთმცოდნეობას თუ ისტორიოგრაფიას. ასამდე გამოქვეყნებული მნიშვნელოვანი გამოკვლევა დაგვიტოვა მეცნიერმა და ეს მაშინ, როცა სულ 56 წელიწადს იცოცხლა.

ისტორიის ამა თუ იმ პრობლემის კვლევისას შოთა მესხიასთვის ამოსავალი წერტილი წინამორბედი ისტორიკოსების შემოქმედება და წყაროთა მონაცემები იყო, ამასთან იგი პრობლემის გადაწყვეტაში მნიშვნელოვან ადგილს უთმობდა შინაგან ლოგიკას – ინტუიციას და მისთვის ჩვეული სისტემური აზროვნებით ხსნიდა და აფასებდა ამა თუ იმ საკითხს, ქმნიდა და შემოჰქონდა ესა თუ ის კონცეფტუალური სქემა, მოდელი.

მარიამ ლორთქიფანიძე: საქართველოს ისტორიის მეორე ტომს შოთა მესხიამ (იგი ამ ტომის რედაქტორი იყო) წაუმძღვარა მეტად მნიშვნელოვანი გამოკვლევა, რომელსაც თავმდაბლურად *„რედაქტორის შესავალი“* უწოდა. ამაშიც მისი ბუნება მოჩანს. იგი კეთილშობილი კაცი იყო და ამიტომაც სიამოვნებით ვიხსენებ მის გვერდით გატარებულ წლებს. ძალზე დასანანია, რომ იგი შემოქმედებითი აღმავლობის ასაკში წავიდა ჩვენგან; ამას მოწმობს თუნდაც ის, რომ მეცნიერის საუკეთესო ნაშრომებს საქართველოს სახელმწიფო და სიმონ ჯანაშიას სახელობის პრემიები მისი გარდაცვალების შემდეგ მიენიჭა.

გივი ჟორდანია: თვალები ადამიანის სულის სარკეაო – ამბობს შუა საუკუნეების ერთ-ერთი ფილოსოფოსი; შოთა მესხიას თვალებშიც მისი სპეტაკი სული იყო არეკლილი. მის კეთილშობილებას გამოხატავდა ჩუმი, გულღია ღიმილი, რომელიც ზოგჯერ მოულოდნელად გადაიზრდებოდა ხოლმე ხმამაღლა სიცილში. შემთხვევითი არ არის, რომ ამ ღიმილს ყურადღება მიაქციეს მწერლებმა. მეცნიერის გარდაცვალების გამო დაწერილ გამოსათხოვარს ხუტა ბერულავამ სათაურად *„ჯადოსნური ღიმილი“* შეურჩია, რევაზ ჯაფარიძემ – *„ღიმილიანი კაცი“*.

მეცნიერმა თავისი მოღვაწეობით შეიძლება შედარებით ადვილად დაიმსახუროს პატივისცემა, მაგრამ საყოველთაო სიყვარულის მოპოვება მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. საერთოდ, იშვიათად უყვართ ისე, როგორც შოთა მესხია უყვარდათ მის მასწავლებლებს სიმონ ჯანაშიას და მიხეილ ტიხომიროვს. რა თქმა უნდა, არც ეს იყო შემთხვევითი.

შოთა მესხია ყოველთვის პრინციპულად იდგა ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე; ვის არ ახსოვს მისი შესანიშნავი სტატია საშუალო სკოლებში საქართველოს ისტორიის სათანადოდ სწავლების აუცილებლობაზე (მასში დასმული საკითხები, სამწუხაროდ, დღემდე განუხორციელებელია. ნუთუ, აღარ დადგა დრო, რომ ქართველმა ყმაწვილებმა საკუთარი ერის ისტორია სრულუფლებიანი პროგრამით ისწავლონ?!).

რამდენს ამბობს შოთა მესხიას პიროვნებაზე ის ფაქტი, რომ მან ჯერ კიდევ 1961 წელს დააწერინა თავის მოწაფეებს როინ მეტრეველსა და შოთა ბადრაიძეს მონოგრაფია ექვთიმე თაყაიშვილზე და ყველაფერი იღონა მისი გამოცემისთვის.

მე მინახავს, როგორ იყიდა შოთა მესხიამ მოსკოვში 40 ცალი უცხო ენის სასკოლო სახელმძღვანელო – ქალიშვილისა და მისი ყველა თანაკლასელისათვის.

იური კაჭარავა: შოთა მესხიას წარმოუდგენლად აშფოთებდა საქართველოს ისტორიის ოდნავ დამახინჯებაც კი. მახსოვს, როგორ აღაშფოთა იგი მეზობელი ერის ერთ-ერთი წარმომადგენლის მიერ ჩვენი ისტორიის ხელყოფამ. არასოდეს დამავიწყდება მაშინდელი ჩვენი დიალოგი, – აზრი მკითხა და ვუთხარი, იმ ეპოქის სპეციალისტი არა ვარ-მეთქი. პატრიოტიზმი პროფესია არ არისო, მოკლედ და მრაელისმთქმელად მომიგო. მახსოვს ისიც, როგორ შეაწყვეტინა მან ერთ-ერთი დისერტაციის დაცვა, რადგან ნაშრომის ზოგიერთი დებულება ჩვენი ერის წარსულს აკნინებდა. დისერტანტმა შველა აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილს სთხოვა. ვერაფერში დაგეხმარები, – უპასუხა ბატონმა ნიკომ, – შოთა მესხია ასეთ პრინციპულ საკითხებში უკან არასოდეს დაიხევს. ნაშრომის გადამუშავება მოგიხდება. და, საერთოდ, გახსოვდეს: მეცნიერება კარგია, მაგრამ მთავარი შენი ერის ღირსეულ შვილად ყოფნაა.

შოთა ბადრიძე: შოთა მესხიას მემკვიდრეობა რამდენიმე ტომად გამოდის და მასზე, როგორც მეცნიერზე, აზრის შექმნა იმასაც შეუძლია, ვისაც იგი არ უნახავს. მაგრამ როგორ უნდა წარმოვიდგინოთ შოთა მესხია ლექტორი, აღმზრდელი?

1957 წელი. აუდიტორიაში შემოვიდა სრულიად ახალგაზრდა პროფესორი, ელეგანტური, ოდნავ ბიჭებში მოხრილი, კეთილშობილი ღიმილით. საუბრობდა პაუზებით (პაუზას ავსებდა შორისდებული „დიახ“). საუბრობდა ისე ნათლად და გასაგებად, რომ ორი ლექციის შემდეგ გვეგონა, უკვე ყველაფერი ვიცოდით. საოცრად მორიდებულად იქცეოდა აუდიტორიაში. არასოდეს უსვამდა ხაზს თავის ცოდნას, ჩვენზე მაღლა დგომას. სანიმუშო იყო, როგორც სტუდენტთა სამეცნიერო წრის ხელმძღვანელი; თავს არ გვახვევდა თავის აზრებს, გვაჩვევდა ლოგიკურ აზროვნებას, საკუთარი მოსაზრებების დასაბუთებას და გვასწავლიდა, რომ მეცნიერებაში მთავარზე მთავარი კეთილსინდისიერებაა.

გიორგი აფრასიძე: განსაკუთრებით გულისხმიერი იყო სტუდენტების მიმართ. მას სულს უფორიაქებდა უსტიპენდიოდ დარჩენილი სტუდენტების ბედი. ამბობდა, ეს ჩემთვის გარიცხვაზე უარესიაო. საოცრად განიცდიდა, როცა ხედავდა, რომ ახალგაზრდას მატერიალურად უჭირდა, იმ წლებში კი ეს გასაკვირი არ იყო. მახსოვს, ერთხელ, ახალი წლის ღამეს, სტუდქალაქში ხორაგით დატვირთული მოგვადგა, დაგვლოცა და დამშვიდებული წავიდა.

პროფესორი შოთა მესხია თბილისის უნივერსიტეტში ხელმძღვანელობდა საქართველოს ისტორიის კათედრას, რომელიც დიდმა ივანე ჯავახიშვილმა დააარსა და რომელსაც მის შემდგომ სიმონ ჯანაშია და ნიკო ბერძენიშვილი ხელმძღვანელობდნენ. დიდი მეცნიერებისა და მამულიშვილების შემდეგ აირჩიეს იგი კათედრის მეოთხე გამგედ. და, როგორც საიუბილეო სალამოზე ითქვა, შოთა მესხიას მოღვაწეობა დიდი კორიფეების არა მხოლოდ მეცნიერული, არამედ მამულიშვილური საქმეების ღირსეული გაგრძელება იყო.

ამიტომ აჩნდა მის საიუბილეო სალამოს ასეთი სითბო, მოგონებათა გულწრფელობა და გულითადობა.

სოსო გიორგაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება.
შოთა მესხია – 100
თბილისი. 2016

მარიამ ლორთქიფანიძე

რამდენიმე შტრიხი შოთა მესხიას ბიოგრაფიისთვის *

1943 წლის ნოემბერში, როდესაც ჩავირიცხე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის ასპირანტად, ჩემმა ხელმძღვანელმა, ბატონმა სიმონ ჯანაშიამ, წამიყვანა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში, წარმადგინა მაშინდელ ისტორიის განყოფილებაში, რომელიც მაშინ მოიცავდა მთლიანად საქართველოს ისტორიას უძველესი დროიდან თანამედროვეობამდე (გიორგი მელიქიშვილიდან ნიკო მარაძემდე, როგორც ხუმრობით ამბობდა ბატონი ნიკო ბერძენიშვილი). მე უნდა დავსწრებოდი განყოფილების სხდომებს, მომესმინა თანამშრომელთა მიერ წაკითხული მოხსენებები. ის განყოფილება დიდი სკოლა იყო, სადაც მე ბევრი რამ ვისწავლე ჩემი იქ ხანგრძლივი მუშაობის მანძილზე. წლიური თემები, რომელთა კითხვა და განხილვა ფართოდ ხდებოდა (ამჯერად არაფერს ვიტყვი ბატონ ნიკოს შენიშვნებსა და შეფასებებზე, რომელნიც სახელმძღვანელო დებულებებს წარმოადგენენ) საგანგებოდ უნდა აღვნიშნო, თუ რა პასუხისმგებლობით ეკიდებოდა შოთა მესხია ყოველი მოხსენების განხილვას, როგორი საქმიანი, განსაკუთრებით ახალგაზრდებისათვის ჭკუის სასწავლელი იყო მისი შეკითხვები და შეფასებები. საგანგებოდ აღვნიშნავ, რომ მისი წლიური მოხსენებები გამოირჩეოდა წყაროების მაქსიმალური გამოყენებით და მათდამი კრიტიკული დამოკიდებულებით, საკითხების ღრმა ანალიზით, რაც სათანადოდაა ასახული მის გამოქვეყნებულ შრომებში.

განყოფილებაში ხშირად ტარდებოდა გამოცემული ლიტერატურის განხილვა, აქ შოთა მესხია ყველასგან გამოირჩეოდა დიდი ტაქტით. მისი შენიშვნები ყოველთვის საფუძვლიანი და სერიოზული იყო, მაგრამ ავტორისადმი პა-

* იბეჭდება პირველად.

ტივისცემა, ნაშრომის მნიშვნელობისა და მისი დადებითი მხარეების წინ წამოწევა და წარმოჩენა, სამაგალითო იყო ყველასთვის. სასტიკად გაკრიტიკებულ ავტორებსაც კი არ აძლევდა გაგულისების საშუალებას.

აღსანიშნავია მისი ერთი განსაკუთრებული თვისება, ის თავის ოპონენტებთანაც და იმათთანაც ვისაც არ ეთანხმეოდა პრინციპულ საკითხებში და აკრიტიკებდა, ყოველთვის ინარჩუნებდა ნორმალურ, რიგ შემთხვევებში, მეგობრულ, კოლეგიალურ ურთიერთობას. განყოფილებაში კი კამათი და დისკუსია ძალიან დაძაბულიც იყო ხოლმე. შოთა მესხიას შრომებიდან კარგად ჩანს უაღრესად ტაქტიანი დამოკიდებულება იმ მკვლევართა მიმართ, რომელთაც აკრიტიკებდა. ის პატივს სცემდა სხვა მკვლევართა მოსაზრებებს. შოთა მესხია იყო ჩემი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების ოპონენტი, მთელ რიგ საკითხებში მას განსხვავებული თვალსაზრისი ჰქონდა, მაგრამ ამას არასოდეს მოუხდენია გავლენა ჩვენს პირად ურთიერთობაზე.

ჩემს ამოცანას არ შეადგენს შოთა მესხიას მეცნიერული მემკვიდრეობის შეფასება, მაგრამ არ შემიძლია ორიოდე სიტყვა არ ვთქვა მის მუშაობაზე საქართველოს ისტორიის წყაროების გამოცემის თვალსაზრისით. როდესაც ის ამზადებდა ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანის გამოცემას, მითხრა, რომ სანიმუშოდ მიაჩნია ლევან მუსხელიშვილის მიერ გამოცემული აბუსერიძე ტბელის თხზულება და ცდილობს იმ პრინციპებით გამოსცეს ტექსტი, რაც დაცულია მუსხელიშვილისეულ გამოცემაში. შოთა მესხიას მიერ გამოცემული ქსნის ერისთავთა მატიანეს და ქართლ-კახეთის სამეფოს სამოსახლეო საბუთები პუბლიკაციებში კარგად ჩანს ისტორიკოსის ფართო განათლება, მისი დამოკიდებულება ნარატიული თუ დოკუმენტური მასალისადმი, ავტორისეულ გამოკვლევასა და კომენტარებში მაქსიმალურადაა წარმოჩენილი ტექსტის მნიშვნელობა. შოთა მესხიას მიერ გამოცემულ ტექსტებზე შეიძლება ითქვას, რომ ისინი თანამედროვე მოთხოვნილებათა დონეზეა შესრულებული და პასუხს იძლევიან ყველა შესაძლებელ კითხვაზე.

შოთა მესხია ნამდვილი ჯენტლმენი იყო. ჩვენ ხშირად ვიყავით ექსკურსიებზე, თუ ისტორიულ-გეოგრაფიულ ექსპედიციებში ნიკო ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით, სადაც განსაკუთრებითი გრძნობდა მისი ყურადღება ქალებისადმი, რასაც საერთოდაც, და მითუმეტეს იმ პირობებში, რომელშიც ჩვენ მაშინ ყოფნა გვიხდებოდა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. 1950 წელს ისტორიკოსთა ერთი ჯგუფი გაგვაგზავნეს ახალციხისა და ახალქალაქის რაიონებში ლექციებისა და საუბრების ჩასატარებლად ადგილობრივ მოსახლეობ-

ასთან. ეს ღონისძიება ასპინძის ბრძოლის 180 წლისთავს დაუკავშირეს და მას პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა. ამ რაიონებიდან მაჰმადიანური მოსახლეობის გასახლებისა და იქ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან (ზემო იმერეთი, აჭარა) მოსახლეობის ჩამოსახლების გამო საკმაოდ დაძაბული ვითარება იყო. ჩვენ ახალციხეში ჩავედით და იქ გაგვანაწილეს სხვადასხვა პუნქტებში. ორი ქალი ვიყავით, ქალბატონი ოლია სოსელია და მე. შოთა მესხიამ, რომელიც მაშინ უკვე კარგად ცნობილი ისტორიკოსი იყო, სთხოვა რაიკომის მდივანს, რათა ქალბატონ ოლიასა და ჩემთვის საგანგებოდ გაეყოლებინათ რაიკომის თანამშრომელი, რათა რაიმე უსიამოვნება არ შეგვხვედროდა. მე გამიკვირდა, ვერ მივხვდი, რისთვის იყო ეს საჭირო, მაგრამ, როდესაც ასპინძის რაიონის სოფლებში ჩავედი, მაშინ კი მივხვდი, რომ ბატონ შოთას თადარიგი ნამდვილად აუცილებელი იყო. როდესაც წამოსვლისას ისევ ახალციხეში შევიკრიბეთ, იგივე ბრძანა ქალბატონმა ოლიამ, რომ თუ შოთას წინდახედულება ძალიან გამიძნელდებოდა მუშაობაო.

შოთა იყო შესანიშნავი მეუღლე და მამა. ქალბატონი მარო, ეს ნამდვილი ქართველი მანდილოსანი, ოჯახის ბურჯი, უერთგულესი დედა და მეუღლე, დიდად სტუმართმოყვარე, ხალისიანი ოჯახის სტუმრები, საიდანაც გამოყოლილი სასიამოვნო შთაბეჭდილება ალბათ ყველასათვის კეთილად მოსაგონარია.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება.
შოთა მესხია – 100
თბილისი. 2016

ნოდარ შენგელია

მცირე მოგონება შოთა მესხიაზე*

მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება დაკავშირებულია შოთა მესხიას პიროვნებასა და მის მეცნიერულ სამყაროსთან. შოთას ყოველი ჩამოსვლა მის მშობლიურ ზუგდიდში დიდი ზეიმი იყო როგორც მისი მეგობრების, ასევე ნათესავებისთვისაც. ის ყოველთვის იყო ჩვენი ოჯახის სასურველი სტუმარი (შოთა დედაჩემის – ელენე მესხიას – ბიძაშვილი გახლდათ).

ჯერ კიდევ სკოლაში სწავლის პერიოდში ჩვენი ხანმოკლე შეხვედრებისას შოთამ შეძლო ჩემი დაინტერესება საქართველოს ისტორიით ისე, რომ სკოლის დამთავრებისთვის ჩემი მომავალი პროფესია არჩეული მქონდა. მაგრამ, სამწუხაროდ, უნივერსიტეტში ვერ მოხერხდა ჩემი ისტორიის ფაკულტეტზე ჩარიცხვა, რადგან საქართველოს ისტორის ჯგუფი უკვე შევსებული იყო. შოთამ მირჩია, ჩამებარებინა აღმოსავლეთმოცდნეობის ფაკულტეტზე თურქეთის ისტორიის სპეციალობით. მისი რწმენით, ამ სპეციალობის დაუფლებითაც შევძლებდი საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვან საკითხებზე მუშაობას. დღეს, როდესაც ვიხსენებ ამ შემთხვევას, არ შემიძლია აღტაცებით არ აღვნიშნო შოთას წინასწარი ალღო და შორსმჭვრეტელობა. იმ პერიოდში იგი წერდა თბილისის ისტორიას და ჭირდებოდა მასალა ოსმალეთ-საქართველოს ისტორიული ურთიერთობების შესახებ, მაგრამ მაშინ ოსმალური ისტორიოგრაფიის მიღწევები ჩვენთის არ იყო ხელმისაწვდომი. შოთას თურქული წყაროებით ამარაგებდა პროფ. გიორგი ფუთურიძე, რომელსაც მხოლოდ ევლია ჩელების ცნობები თუ გააჩნდა. მახსოვს, შოთა ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდა (ლექციებზე თუ პირად საუბრებში), რომ შეუძლებელია, არ აღმოჩნდეს თურქეთ-საქართველოს ურთიერთობის ამსახველი სხვადასხვა სახის მასალა. მართლაც, შოთას ვარაუდმა ყოველგვარ იმედს გადააჭარბა. ქართველ მეცნიერებს მიეცათ თურქეთის არქივ-საცავებში მუშაობის საშუალ-

* იბეჭდება პირველად.

ება. აღმოჩნდა მრავალი ნარატიული და დოკუმენტური წყარო და ბევრი მათგანი სათანადოდ გამოკვლეული შემოვიდა სამეცნიერო მიმოქცევაში.

შოთა 2 წლით მივლინებული იყო მოსკოვში სადოქტორო დისერტაციაზე სამუშაოდ (დოქტორანტურაში). მისი მეცნიერ-ხელმძღვანელი იყო აკად. მიხეილ ტიხომიროვი. დოქტორანტურის წარმატებით დამთავრების შემდეგ 1956 წ. იანვარში დაინიშნა სადოქტორო ნაშრომის დაცვა. მე მაშინ მეხუთე კურსის სტუდენტი ვიყავი. მიუხედავად იმისა, რომ სესიების პერიოდი იყო, გადავწყვიტე, შოთას მოსკოვში გავყოლოდი. მოვემზადე გამოცდებისთვის და ფილოსოფიის ისტორიის გარდა ყველა საგანი ჩავაბარე. ამ საგანს პროფ. ვახტანგ კალანდარიშვილი იბარებდა. მასთან სათანადო მომზადების გარეშე გასვლა შეუძლებელი იყო. მე კი ვეღარ ვასწრებდი საგნის მომზადებას. იმდენად დიდი იყო ჩემი სურვილი, დავსწრებოდი დისერტაციის დაცვას, რომ საგანი მივატოვე და შოთას გავყევი. მოსკოვში შოთას სადგურზე დახვდნენ მისი მეგობრები: ცაცო ბახტაძე, გივი ბაქრაძე და სხვა ახალგაზრდა მეცნიერები. დისერტაციის დაცვას ესწრებოდნენ იმჟამად მოსკოვში მყოფი არქეოლოგი ოთარ ლორთქიფანიძე და ნოდარ ლომოური. შოთას ოფიციალური ოპონენტები იყვნენ: პროფ. ვიქტორ იაცუნსკი, პროფ. ბორის ზახოდერი და საქართველოდან პროფ. ალექსანდრე ფირცხალაიშვილი. ოფიციალურმა ოპონენტებმა მაღალი შეფასება მისცეს სადისერტაციო ნაშრომს, გამოითქვა ბევრი დადებითი აზრი და სამეცნიერო საბჭომ შოთას ერთხმად მიანიჭა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. ბოლოს რესტორან *„არაგვში“* გაიმართა სასიამოვნო ვახშამი.

საკანდიდატო დისერტაციის დაცვის შემდეგ მალევე დავიწყე მუშაობა საქართველოსა და თურქ-სელჩუკთა ურთიერთობის საკითხებზე. განზრახული მქონდა ორი მონოგრაფიის წარდგენა, რომელიც, ამავე დროს, იქნებოდა ჩემი სადისერტაციო თემაც. პირველი ნაწილი წასაკითხად მივუტანე შოთას. მახსოვს, როგორი კმაყოფილებით შეუდგა მის გაცნობას. გარკვეული შენიშვნები მომცა და იქვე დასძინა, რომ პირველი ნაწილიც საკმარისი იქნებოდა სადოქტორო დისერტაციისთვის. ასე დამილოცა გზა, მისივე რჩევით გამოვეცი მონოგრაფია *„სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში“* და დავიცავი კიდეც სადოქტორო დისერტაცია. მოგვიანებით დავასრულე მუშაობა ამავე ურთიერთობებზე XII საუკუნეში. ამით იმის თქმა მინდა, რომ შოთა ყოველთვის მზად იყო, ხელი შეეწყო ახალგაზრდებისთვის, რომლებიც ფეხს იდგამდნენ მეცნიერებაში. მას ძალიან უყვარდა თავისი მოწაფეები და მისი სახლის კარი

მუდამ ღია იყო მათთვის. ყოველთვის გულისხმიერი და გულწრფელი იყო მათ მიმართ. განსაკუთრებით აფასებდა როინ მეტრეველს, თამარ გამსახურდიას, შოთა ბადრიძეს და სხვ.

ცალკე თემაა, როგორი მეგობრობა შეეძლო შოთა მესხიას. მას მეგობრების ძალზე ფართო წრე ჰყავდა. მისი უახლოესი მეგობრები იყვნენ არა მხოლოდ მისი კოლეგები (დავით გვრიტიშვილი, ოთარ ჯაფარიძე, ილია ჭყონია და სხვ), არამედ სხვადასხვა სოციალური წრის ადამიანები. მასთან ოჯახში ხშირად იმართებოდა წვეულებები და ყოველთვის თავად იყო უცვლელი თამადა. განსაკუთრებით ცნობილი იყო მის ოჯახში გამართული საახალწლო შეკრებები, რომლებსაც ძირითადად მისი კათედრის წევრები ესწრებოდნენ (თუმცა, კათედრის წევრებით არ და ვერც შემოიფარგლებოდა ეს თავყრილობები) და ცნობილი იყო „კათედრის სხდომის“ სახელწოდებით. დაუვიწყარია ის სულისკვეთება, ურთიერთობები, პატივისცემა და სიყვარული, რაც იქ სუფევდა.

შოთა იყო მართალი, პირუთვნელი, უშუალო ადამიანი. იგი მეცნიერებაში არავის არაფერს პატიობდა. ამავე დროს, იყო საოცრად მომთხოვნი. ყველასგან იმდენს ითხოვდა, რამდენის გაკეთებაც მათ შეეძლოთ. სათანადოდ აფასება მათ, ვინც მის იმედებს გაამართლებდა. იყო უღალატო, მუდამ მზად - მხარში ამოსდგომოდა და გაეზიარებინა ახლობელი თუ შორეული ნაცნობების ჭირ-ვარამი. ამიტომაც იყო, რომ მას იგივე უხვად მიეგებოდა. ერთ შემთხვევას მოვიგონებ: მოეწყო ისტორიის ინსტიტუტის დიდი ექსპედიცია: სამხრეთ საქართველო-აჭარა-სამეგრელო-სვანეთი. ამ ექსპედიციას ხელმძღვანელობდა აკად. გიორგი მელიქიშვილი. მას ახლად მიღებული ჰქონდა ლენინური პრემია. ყველგან, სადაც კი ჩავიდოდით, დიდი პატივით გვეგებებოდნენ. იშლებოდა სუფრები ბ-ნ გიორგის პატივსაცემად.

მივადექით სამეგრელოს. იმჟამად შოთა იქ იმყოფებოდა. შეიტყო ჩვენი ჩასვლა და გამოვიდა შესახვედრად თავის მეგობრებთან ერთად. საოცარი რამ მოხდა. მთელი ქალაქი ფეხზე დადგა შოთას სტუმრების პატივსაცემად. იმ საღამოს შოთა მიწვეული ყოფილა სოფელ ოდიშში ვინმე სეითბი დარასელიას ოჯახში. რა თქმა უნდა, შოთამ მთელი ექსპედიცია თან წაგვიყვანა: ნოდარ ლომური, კარლო ტაბატაძე, გრიგოლ გიორგაძე, დევი კაციტაძე, ნანა ხაზარაძე, ლიანა დავლიანიძე და სხვ. შოთას თამადობით დაუვიწყარი საღამო შედგა. მეორე დილით რესტორან *„ოდიშში“* შოთას სტუმრებისთვის კვლავ გაეშალა საოცარი სუფრა. ზუგდიდელებმა გზა დაგვილოცეს და სვანეთისკენ გავეშურეთ.

შოთას ცხოვრებაში მძიმე პერიოდი მაშინ დადგა, როდესაც იგი მოსკოვში მისმა მეუღლემ – ქალბატონმა მარომ, სიძემ – მერაბ კვიტაშვილმა და მე წავიყვანეთ გამოკვლევაზე. მატარებლით ვიმგზავრეთ. გზა მძიმედ გადაიტანა. სადგურში დაგვხვდა მისი დისშვილი – გურამ თოდუა, რომელიც შოთას განსაკუთრებულად უყვარდა. მას იქ ყველაფერი მოეგვარებინა. მეორე დღესვე მოვათავსეთ ვიშნევსკის სახელობის კლინიკაში, სადაც იმ დროს მუშაობდა ახალგაზრდა ქართველი ექიმი ბატონი ფრიდონ თოდუა, რომელმაც იმ დღეებში საოცარი გულისხმიერება გამოიჩინა. მახსოვს, შოთას გამოკვლევას ხელმძღანელობდა პროფ. ბადალიანი. კვლევების დასრულების შემდეგ დაადგინეს, რომ გამოჯანმრთელება შეუძლებელი იყო და გვირჩიეს საქართველოში დაბრუნება. ამ მეტად მძიმედ ავადმყოფ კაცს ისეთი ხიბლი შერჩენოდა, რომ იქაც მოახერხა ყველას მონუსხვა.

შოთას ცხოვრებაში გულისტკივილიც შეხვედრია და იყო ბევრი ბედნიერი დღეებიც. არ შემიძლია არ მოვიგონო მის ოჯახში სიძის – არაჩვეულებრივი პიროვნების მერაბ კვიტაშვილის შემოსვლა და პირველი შვილიშვილის სანდროს დაბადებით გამოწვეული სიხარული. დღეს შოთას შვილები და შვილთაშვილები – კვიტაშვილები, ბაქრაძეები, დუმბაძეები ღირსეული წინაპრის ნათელ ხსოვნას ამაყად ატარებენ.

ღმერთს შევთხოვ, მუდამ ნათელში ამყოფოს მისი სული!

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება.
შოთა მესხია – 100
თბილისი. 2016

გურამ ყორანაშვილი

მოძღვრის გახსენება*

გამოჩენილ ისტორიკოსს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს შოთა მესხიას დაბადების 100 წელი შეუსრულდა. მისი სამეცნიერო და საზოგადოებრივი ღვაწლი სწორედ რომ საწინდარია, ეს თარიღი ქართული საზოგადოების დიდმა ნაწილმა გაითავისოს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე ჩემი სწავლის (1957-1962 წლებში) ხანიდან მეხსიერებაში მტკიცედ ჩამებეჭდა რიგი ისტორიკოსებისა და მათ შორის, ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უკავია ჩვენს იუბილარს. იგი გახლდათ საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე (1956 წლიდან). 1961 წელს კი არჩეულ იქნა დეკანად. ამდენად, თანამდებობრივად იგი ფაკულტეტის უმთავრესი ფიგურა იყო.

სახელდობრ, ბატონმა შოთა მესხიამ წაგვიკითხა საქართველოს ისტორიის კურსი თამარის ეპოქის ჩათვლით. იგი უმთავრესად დასპეციალებული იყო საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიაში და, ცხადია, ამ სფეროში ჩანდა მისი ორიგინალურობა, ხოლო ჩვენს ძველ ისტორიას კი უპირველესად სიმონ ჯანაშიას ნააზრევის მიხედვით გადმოგვცემდა. დაგვიტოვა მნიშვნელოვანი ნაშრომები სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სამხედრო ისტორიის, აგრეთვე ქართული წყაროთმცოდნეობის, ისტორიოგრაფიის, ისტორიის სწავლების მეთოდიკის სფეროებში, რომელთაც გარდა თავისთავადი მნიშვნელობისა ის ღირსებაც გააჩნიათ, რომ მათ გარეშე საქართველოს ისტორიის ნამდვილი განზოგადება (სინთეზი) ფრიად ნაკლულოვანი იქნება. უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ რამდენიმე ნაშრომი გამოქვეყნდა ავტორის გარდაცვალების (1972 წელს) შემდგომ. რასაკვირველია, ყოველივე ეს მოხდა სათანადო ნიჭიერებისა და შრომისმოყვარეობის წყალობით. თანაც გავითვალისწინოთ ისიც, რომ მათი ავტორი საკმაოდ ადრე, 56 წლის ასაკში აღესრულა.

* იბეჭდება პირველად.

სამეცნიერო ხარისხების გარდა, ბატონი შოთა მესხია ატარებდა ჩვენი აკადემიის წევრ-კორეპონდენტისა და მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის ტიტულებს. სავსებით ლოგიკური გახლდათ ჩვენი საზოგადოებრიობის მოლოდინი, რომ იგი გამხდარიყო უნივერსიტეტის რექტორი, რაც გამოირიცხა მისი ნაადრევი გარდაცვალებით.

შოთა მესხია არ იფარგლებოდა ოდენ კაბინეტური და სალექციო ხასიათის (სტუდენტებთან) მუშაობით და გულთან ახლოს მიჰქონდა საზოგადოებრივი ინტერესებიც. უპირველესად ზრუნავდა მშობლიური, საქართველოს ისტორიის სასკოლო სწავლების გაუმჯობესებაზე. ჯერ კიდევ 1950 წლის 11 მაისის ნომერში გაზეთ *„სახალხო განათლებაში“* დაიბეჭდა მისი მწვავე შინაარსის წერილი *„საქართველოს ისტორიის სწავლება ასპინძის რაიონის სკოლებში“*, რომელშიც აღნიშნული იყო ამ საგნის სწავლებაში შექმნილი სავალალო მდგომარეობა.

ჩანს, ამ საგანგაშო ზარისათვის იმჟამინდელ განათლების სამინისტროს ყურადღება არ მიუქცევია. ამიტომაც იყო, რომ მოგვიანებით, 1964 წელს ბატონი შოთა მესხია ამდაგვარ მდგომარეობას გახაზავდა მთელი ჩვენი ქვეყნის მასშტაბით გამოხმაურებაში ფოლოლოგოს რევაზ ბარამიძის წერილზე *„ქართლის ცხოვრება და ჩვენი სკოლა“* (გაზ. *„ლიტერატურული საქართველო“*, №41 (1626), 11.10.1968) ვრცელ სტატიაში *„...საცნობლად თავისადაო“*.

ავტორი მთელი პრინციპულობით აღნიშნავდა: *„საჭიროა საქართველოს ისტორიის სწავლებას საშუალო სკოლებში დაუბრუნდეს თავისი კუთვნილი ადგილი. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ისტორია ისწავლებოდეს დამოუკიდებელ საგნად საშუალო სკოლის უფროს კლასებში. საქართველოს ისტორიაში ნიშანი უნდა იწერებოდეს დამოუკიდებლად და იგი უნდა აღინიშნებოდეს ჟურნალებში, მოსწავლის წარმატების მოწმობასა და, რაც მთავარია, საშუალო განათლების ატესტატში“*. წერილში გამოხატულია აგრეთვე სპეციფიკური ხასიათის საჭიროებანიც – საქართველოს საისტორიო კარტოგრაფიის, კერძოდ, სასკოლო სასწავლო დონის შედგენისა. სხვა დროს იგი წარმოაჩენდა სასწავლო საისტორიო ქრესტომათიის შექმნის აუცილებლობასაც.

სავსებით უპრიანია ავტორისეული წინადადება: *„მაგრამ ამ დიდი საქმის ჯეროვნად გადაწყვეტა არ შეიძლება მხოლოდ ერთი უწყების, ერთი სამეცნიერო დაწესებულებისა და ცალკეულ პირთა ზრუნვის საგანი – ის ჩვენი საზოგადოებრიობის საერთო და გადაუდებელი ამოცანაა, მისი ღირსეული გადაწყვეტა სახალხო განათლების მესვეურთა, მასწავლებელთა, სამეცნიერო თუ შე-*

მოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენელთა საერთო ღონისძიებებსა და ინტერესებზე დამოკიდებული“. აღნიშნული თვალსაზრისით ჩვენმა საზოგადოებრიობამ სათანადო ძალისხმევა გამოიჩინა საბჭოური წესწყობილების საბოლოო გადაგება-გადაშენებას წინარე ხანებში, რამაც სასურველი შედეგი გამოიღო. დიდად სამწუხაროდ, ბატონი შოთა მესხია ვერ მოესწრო ამ ახალ ვითარებას.

თუმცა ერთი შეხედვით საბჭოთა სოციალურ-ეკონომიკური სისტემის პირობებში, 1930-იანი წლების შუახანებიდან მოკიდებული, როგორც იქნა თითქოს აღიარებული იყო ისტორიის სწავლების აუცილებლობა და საჭიროება, მაგრამ „საბჭოური პატრიოტიზმის“ ჩანერგვის მოსაზრებით ძირითადად ზრუნავდნენ საბჭოთა კავშირის (ფაქტობრივად რუსეთის) ისტორიის სწავლებით. მაგრამ, იუბილარის მოსაზრებით, მაინც ე.წ. მოკავშირე რესპუბლიკებში აღნიშნული თვალსაზრისით მეტ-ნაკლებობა შეინიშნებოდა: უკეთესი სიტუაცია იყო მაგალითად სომხეთსა და ესტონეთში. თუმცა პოსტაბჭოურ პერიოდში საქართველოს ისტორიის სწავლების საქმე გაუმჯობესდა, მაგრამ ვერ ვიტყოდით, რომ იგი სასურველ მდგომარეობაშია, ამიტომაც გვმართებს კვლავაც მივუგდოთ ყური ბატონ შოთა მესხიას მიერ დარისხებულ ზარს.

შოთა მესხიას ზრუნვის საგანი იყო საქართველოს ისტორიის პოპულარიზაცია, რაც ჩვენს ფართო მასებში პატრიოტიზმის გრძნობა-შეგნების გაღვივების საწინდრად ესახებოდა. ამას აკეთებდა იგი ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომისდროინდელ საგაზეთო პუბლიკაციებში, საზოგადოება *„ცოდნისა“* და *„ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“* მეშვეობით. აღნიშნული გარემოება შემიძლია დავადასტურო პირადი დაკვირვებითაც. ჩვენს კურსზე სწავლობდა გამოჩენილი ფეხბურთელი, თბილისის *„დინამოს“* მეკარე სერგო კოტრიკაძე. ბატონი შოთა მას ხშირად ურჩევდა დინამოელთა მხრივ საქართველოს ისტორიის სათანადო ცოდნას და, რამდენადაც მახსოვს, გამოსთქვამდა მზადყოფნასაც გაკვეთილების ჩასატარებლად. ცხადია, მისი აზრით, ეს იქნებოდა გარკვეული სტიმულიც სპორტულ გამარჯვებათა მიღწევაში.

შ. მესხია, რა თქმა უნდა, გულგრილი არ რჩებოდა უხარისხო ნაშრომების მიმართ. მან, ისტორიკოს დავით გვრიტიშვილთან ერთად, გამოაქვეყნა მკაცრი რეცენზია (იხ. ჟურნალი *„ცისკარი“*, 5, 1948) სათაურით „უპასუხისმგებლოდ დაწერილი წიგნი“, რომელიც ეხებოდა გორის ისტორიას, ხოლო ავტორი იყო გრიგოლ ბუხნიკაშვილი. უნდა ითქვას, რომ რეცენზენტები არ მორიდებიან იმას, რომ წიგნის რედაქტორი იყო იმხანად დიდად აღზევებული, მაღალი ტიტულის მქონეს ისტორიკოსი გიორგი ხაჭაპურიძე.

ასეთივე მკაცრი იყო ბატონი შოთა მესხია ს. ძიმისტარიშვილის 1949 წელს გამოქვეყნებული წიგნის მიმართ *„ლექციები და მეთოდური მითითებანი საქართველოს ისტორიაში“*. ამაზე მან დაბეჭდა უმკაცრესი რეცენზია სათაურით *„იაფფასიანი „ლექციები“ და უვარგისი მეთოდური მითითებანი“* (გაზეთი *„საბალხო განათლება“*, 50, 1949). დასკვნის სახით აღნიშნულია: *„საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის მიერ ასეთი მიუტევებელი შეცდომებით სავსე წიგნის გამოცემა მაშინ, როცა ჩვენ მოგვეპოვება საქართველოს ისტორიის მაღალხარისხოვანი სახელმძღვანელო, სამწუხარო გაუგებრობას წარმოადგენს. იგი საბჭოთა სტუდენტობას სარგებლობას ვერ მოუტანს“*.

1957 წელს იუბილარმა (ნოდარ ლომოურთან და ოთარ ლორთქიფანიძესთან ერთად) თავდაპირველად საკავშირო ჟურნალ *«Вопросы истории»*-ს, ხოლო შემდეგ *„ლიტერატურული საქართველოს“* ფურცლებზე (№235, 4.10. 1957) სასტიკად გაილაშქრა პროფესორ გიორგი სოსელიას წერილების საწინააღმდეგოდ, სადაც ეს უკანასკნელი ძალზე აკნინებდა საქართველოს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ განვითარებას. კერძოდ, მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ თითქოს ჩვენში გვაროვნული წესწყობილება არსებობდა არათუ სტრაბონის ხანაში (ძვ. წ. I – ახ. წ. I სს.), არამედ შემდგომ საუკუნეებშიც (ისე, უნდა ითქვას, რომ ძველ საქართველოში მონათმფლობელური ფორმაციის არსებობის უარყოფაში გიორგი სოსელია მართალი იყო).

ბატონმა შოთა მესხიამ (ქალბატონ მარიამ ლორთქიფანიძესთან ერთად) მკაცრი მეცნიერული პასუხი გასცა სომეხ ავტორს გრიგორი ვერმიშევს 1968 წელს მოსკოვში დაბეჭდილი (65 ათასიანი ტირაჟით) ისტორიული რომანის *„ამირსპასალარი“* გამო (იხ. *„მრუდე სარკეში“*, გაზ.: *„კომუნისტი*, 12.01.1969).

ღირს შეხსენებად, რომ ბატონი შოთა ბუნებით და აღზრდით უაღრესად ზრდილობიანი და მშვიდობიანი ხასიათისა გახლდათ, მაგრამ როდესაც საქმე ეხებოდა პრინციპულობას, იგი სათანადო რეაგირებას გამოხატავდა. ამ მხრივაც იგი უთუოდ მისაბაძ მაგალითებს იძლეოდა.

დიდად საინტერესო და ღრმააზროვანია ბატონ შოთას შემდეგი შეგონება: *„ისტორიის გაზეპირება?! ეს ხომ დამოუკიდებელი აზრის უქონლობის უტყუარი ნიშანია... ჩვენი რჩევაა – ეცადოთ მასალა ავითვისოთ გააზრებულად, ასევე გააზრებულად შეძლოთ მისი თანმიმდევრული გადმოცემა, ლოგიკური მსჯელობა, ჩვენი აზრის დამოუკიდებლად ჩამოყალიბება“* (იხ. გაზეთი *„თბილისის უნივერსიტეტი“*, 8.5.1969). ეს შეგონებაც ფრიად აქტუალური რჩება დღევანდელობაშიც.

დაბოლოს, მინდა შოთა მესხიას შესახებ პირად შთაბეჭდილებებზე მოგახსენოთ. იგი დამამახსოვრდა როგორც დინჯი, დარბაისელი, მოწესრიგებული პიროვნება. არ მაგონდება, რომ, მავანთაგან განსხვავებით, იგი აღფრთოვანებული ყოფილიყო საბჭოური ისტორიოგრაფიის დიდი უპირატესობით ბურჟუაზიულის წინაშე (მსგავსად, თითქოს საბჭოთა წესწყობილებისა კაპიტალისტურთან შედარებით). არ უხსენებია კერძოდ 1936 წელი, როცა (ივანე ჯავახიშვილის მორიგი იდეური ჩაქოლვით) თითქოს ქართული ისტორიოგრაფიის ახალი ეტაპი დაიწყო. სხვათა შორის, როგორც ბატონი შოთას ერთერთი წარმატებული შეგირდი პროფ. ზურაბ პაპასქირი იგონებს, ბატონი შოთა საკუთარ თავს ფაშიზმისა და ბოლშევიზმ-კომუნიზმის შედარებას.

სრულიადაც არ მიკვირს ის ამბავი, რომ როცა, 1962 წელს, მე არ მომეცა სადიპლომო ნაშრომის დაცვის შესაძლებლობა, ბატონი შოთა იმხანადაც და ცოტა მოგვიანებით როდესაც იგი ბორჯომში ისვენებდა, სხვათაგან განსხვავებით ყურადღებით მისმენდა, რათა გაეგო თუ რაში მდგომარეობდა ჩემეული ერესი, მწვალებლობა. მან პრაქტიკული თანადგომაც აღმომიჩინა. რაკი გადავწყვიტე, რომ სწავლა განმეგრძო მოსკოვის უნივერსიტეტში, პასპორტის ასაღებად დამჭირდა ჩემი სტუდენტობის ცნობა, რაზედაც დეკანატში უარს მიცხადებდნენ. იგი (ეს ცნობა) მივიღე იუბილარის თანხმობით.

1969 წელს გაზეთ *„ახალგაზრდა კომუნისტში“* დასაბეჭდად მოვიტანე სტატია, რომელშიც ჩვენ გამოჩენილ ისტორიკოსებს – სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილს ვაკრიტიკებდი ქართლში ვახტანგ გორგასალის ზეობისას თვითმპყრობელობის (დესპოტიის) არსებობის თვალსაზრისის მტკიცებისათვის. რედაქციამ ჩემეული წერილი გადაუგზავნა ბატონ შოთას. მეგონა, იგი საერთოდ თავს შორს დაიჭერდა მისი დაბეჭდვისაგან. პასუხად კი მივიღე, რომ სტატია ღირსი იყო დაბეჭდვისა, ოღონდ არა საგაზეთო, არამედ საჟურნალო სახით, სადაც მეტი არგუმენტაცია იქნებოდა გაშლილი. მისგან ამგვარი კეთილმოსურნე ქცევის სხვა მაგალითიც მახსოვს.

1971 წელს უნივერსიტეტში, საათობრივი წესით, ფილოსოფიის კურსის წაკითხვა შემომთავაზეს. ბატონ შოთას ვუთხარი, რომ უპირველესად ისტორიის ფაკულტეტზე მსურდა მესწავლებინა. თხოვნა შემისრულა და საღამოს განყოფილება ჩამაბარეს. როდესაც III კურსზე გადასვლისას სპეციალიზაცია შემოგვთავაზეს, მე მსოფლიო ისტორია ავირჩიე. ბატონმა შოთამ ერთ-ერთი თანაკურსელი მომიგზავნა წინადადებით – სურვილის შემთხვევაში მზად იყო გადაეყვანე საქართველოს ისტორიის განხრით, რაზეც მე თავაზი-

ანი უარი განვაცხადე. მტკიცედ მჯერა, რომ რიგი ისტორიკოსებისაგან განსხვავებით ბატონ შოთა მესხიას ადვილად გავაგებინებდი ქართული ისტორიოგრაფიის დღევანდელ მდგომარეობაზე ჩემი მრწამსის შესახებ.

ფრიად მისასალმებელია, რომ შოთა მესხიას სახელით იწოდება ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტი, რომ თბილისის იმ ქუჩასაც, სადაც იგი ცხოვრობდა მისი სახელი ეწოდება, რომ 1976 წელს დაიბეჭდა მცირე მოცულობის წიგნი მის შესახებ, რომ სამ ტომად გამოიცა მეცნიერის რჩეული შრომები – *„საისტორიო ძიებანი“*.

ბატონი შოთა მესხია უთუოდ ღირსია ყოველივე ამისა და უფრო მეტისაც!

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება.
შოთა მესხია – 100
თბილისი. 2016

ოთარ მიმინოშვილი

თეთრი ტაძრის მუდმივი ბინადარი
მასწავლებლის გახსენება[*]

ძველ ფოტოსურათს ვიხსენებ – თეთრი ტაძრის – დედაუნივერსიტეტის შენობის კიბეებზე აბრძანდება ბატონი შოთა მესხია... ამ ფოტოზე დაფიქსირებული მისი სახე, გამოხედვა, გარეგნობა, ჩაცმულობა, ფოტოგრაფის წინ წამით შეჩერებული, განსხვავებული, თავისებური დგომის მანერითაც კი... მოკლედ, ფოტოზე ერთი გაელვებაც უმალ მიგანიშნებს მის გამორჩეულობას, და ისღა დაგვრჩენია, ჩვენი აღმზრდელის პორტრეტი გავაცოცხლოთ, უფრო სწორედ, ჩვენი პირადი შთაბეჭდილებები, დღემდე მეხსიერებიდან წაუშლელი, დაუვიწყარი მოვლენები თუ ფაქტები გავიხსენოთ, ის, რაც დიდ პიროვნებასთან, ჩვენი თაობის მოძღვართან, ყველზე საყვარელ ლექტორთან, პროფესორთან, დეკანთან, კათედრის გამგესთან, სახელოვან მეცნიერთან არის დაკავშირებული.

რა დრო გასულა... XX საუკუნის 60-იანი წლების გადასახედიდან ვუმზერ, ვუყურებ უნივერსიტეტის სტუდენტების სისხლსავსე ცხოვრებას, ჩვენი წინაპრების, ჩვენი მასწავლებლების გონებითა და ცოდნით ვამაყობთ დღემდე, მათი ნაშრომები თუ ლექციები დღესაც აქტუალური და თანამედროვეა... სწორედ, ასეთი გახლდათ ჩვენი ბრძენი და ინტელიგენტი აღმზრდელი ბატონი შოთა მესხია და სწორედ ამიტომაც არის და იქნება მუდამ თეთრი ტაძრის ბინადარი, ისე, როგორც მისი კოლეგები, თანამოაზრენი, უნივერსიტეტის ისტორიის ღირსეული პიროვნებები, დიდი მეცნიერები და პედაგოგები.

ახლა კი იმ ფოტოზე აღბეჭდილ მომენტს – კადრს დავუბრუნდეთ, ბატონი შოთა მესხია უნივერსიტეტის კიბეებზე რომ არის შეჩერებული, და როგორც სჩვეოდა სიყვარულის, სიხარულის გამომხატველი ღიმილით, თამამად შეაბიჯა, შებრძანდა უნივერსიტეტის მაშინდელ თეთრ, სუფთა, საკრალურ ცოდნის ტაძარში. სტუდენტები დერეფანში კედელთან ატუზულები, თითქოს-

[*] იბეჭდება პირველად.

და ფეხის წვერებზე მდგომნი, ჩვენ საყვარელ ლექტორს ველოდებოდით... გამოჩნდა კიდეც ბატონი შოთა, მუდამ აკურატული, აკადემიური... საოცარი ხიბლი ჰქონდა – თვალებით იღიმებოდა, სითბოს და სიყვარულს აფრქვევდა ყველგან, განსაკუთრებით ჩვენთან, სტუდენტებთან, ლექციაზე თბილ-რბილი „ღულუნა" ხმით ისე საუბრობდა, დღემდე მახსოვს მისი ლექციების ყველა საათი.

მაპატიოს მკითხველმა და მსმენელმა, რომ ვბედავ ჩემი შთაბეჭდილებების გაზიარებას, რამეთუ ამ საიუბილეო დღეებში, მეტად კომპეტენტური და ავტორიტეტული პიროვნებები ბატონ შოთა მესხიას მრავალმხრივ და მრავალფეროვან მოღვაწეობას არაერთ წერილს, მოხსენებას თუ გამოკვლევას მიუძღვნიან.... ასე რომ, ერთი რიგითი სტუდენტის და შემდეგ თანამშრომლის ეს წერილი მკრეხელობაში არ ჩამეთვალოს, მაგრამ არ შეიძლება მთელი ცხოვრების მანძილზე გახსოვდეს, აფასებდე, გიყვარდეს კაცი-პიროვნება და სიტყვით, შეძახილით, ერთი ამოსუნთქვით მადლობა და სიხარული, სიამაყე და სინანულიც არ გამოხატო... არამხოლოდ ჩემი, არამედ უნივერსიტეტის იმდროინდელი საზოგადოების.

ჩვენ კი... სულ სხვა მხრივ, ჩემი დანახული, აღქმული, ჩემთვის საცნაური, გასაგები და თანაც, როგორც დიდ პიროვნებებს შეეფერება დღემდე მიუწვდომელი, მისი შინაგანი კულტურა, აზროვნება, მსოფლმხედველობა, თუნდაც მისი ყოველდღიურობა გაგაცნოთ. ჩემდა გასახარად, იმთავითვე ბატონი შოთას – ჩვენი მოძღვრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თვისება-ხასიათი აღმოვაჩინე, რომელსაც ახლა გავამჟღავნებ, სამაგალითოდ, ყველას გასაგონად (თუმცა... ბევრმა მათგანმა იცის)! სტუდენტს თუ თანამშრომელს, ვისაც ბატონი შოთა დაეხმარა ცხოვრებაში, სწავლაში თუ სამსახურში (რა თქმა უნდა ჩემი ჩათვლით) ყველანი დაობლებული და დაუცველი თუ შეჭირვებული ოჯახებიდან იყვნენ... თამამად შეიძლება ამის თქმა და ამით ვამაყობთ დღემდე, მისი ფეხზე დაყენებული ხალხი... დიახ, რაც ზემოთ აღვნიშნე ის თვისება-ხასიათზე მეტია – ღვთისგან ბოძებული, ზებუნებრივი, შინაგანი გრძნობა, ცხოვრების წესი... ხოლო, რაც შეეხება ხასიათს, ერთი წინადადებაც საკმარისია ამისთვის – კეთილი იმდენად, რომ არც სტუდენტს, არც თანამშრომელს მისგან ხმამაღლა ან მკვახედ წარმოთქმული სიტყვაც არ გაუგია... უფრო მეტიც, მტრობის თუ ინტრიგის, შურისა თუ ბოღმის ყურადღების არ მიქცევა, როგორც კაცურ კაცებს სჩვევიათ, შენდობა და პატიება ყველა მის მოშურნეს... სწორედ, ამიტომ იყო ისტორიის ფაკულტეტი ერთ ოჯახად რომ გადაიქცა, სწორედ ამიტომაც იყო აუდიტორიები სავსე სტუ-

დენტებით და კათედრები სავსე სწავლულებით... ინტერესების სფერო უსაზღვრო და რწმენა სამშობლოსა და უნივერსიტეტის მომავლის იმედით...

ოჯახის, ნათესავების, მეგობრების ბურჯმა ჭირში გამაგრება და ლხინში თანადგომა იცოდა... სტუდენტებსაც და ლაბორანტორებსაც ზოგჯერ გვათამამებდა, სუფრაზეც გვიკადრებდა მობრძანებას... ლამაზი კაცი – მიწიერი ლამაზი ცხოვრების ტრფიალიც იყო... სად ჰქონდა ამდენი დრო... ჩვენი მოვლა-პატრონობის გარდა, ისტორიის ფოლიანტებს ეფერებოდა... ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე ათეულობით მონოგრაფია შექმნა, სრულიად ახალი მიმართულებებით და უფრო მეტი გამოუქვეყნებელი გამოკვლევა მისმა მოსწავლეებმა მოიძიეს პირად არქივში და გამოსცეს კიდეც მისი უსაყვარლესი სტუდენტის და ასპირანტის, აკადემიკოს როინ მეტრეველის მეთაურობით.

და ბოლოს... დიდი პიროვნება, რომელიც ფაკულტეტს ერთ ოჯახად შეკრავს, საკუთარ ოჯახში როგორ სითბოსა და სიყვარულს დათესავდა, მითუმეტეს ისეთ ოჯახში სადაც ყურადღება და მოფერება ორმაგად იყო საჭირო... ბატონი შოთა და ქალბატონი მარიამი, ხომ სამი ქალიშვილის მშობლები ბრძანდებოდნენ... ამიტომაც გაიზარდნენ ასეთი სახელოვანნი, სანაქებონი...

ბატონი შოთა მესხიას – ჩვენი აღმზრდელის, ჩვენი მოძღვრის ოჯახი, იმდენად ახლო იყო მის მიერ ოჯახთან – უნივერსიტეტთან, რომ მისი ქალიშვილები, დღეს უკვე დიდი ქალბატონები, ბატონი შოთას მოწაფეების დობილები არიან (მათ შორის ჩემიც)... ისე, როგორც ბატონი შოთას ნათესავები, ჩვენი ახლობლები და მეგობრები... ასე გაგრძელდება მუდამ და ასე დარჩება ჩვენ მეხსიერებაში თეთრი ტაძრის – მუდმივი ბინადარი...

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება.
შოთა მესხია – 100
თბილისი. 2016

ზაალ ქორთუა

შოთა მესხია და ზუგდიდი

პროფესორ შოთა მესხიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის პირველი ეტაპი მჭიდროდ უკავშირდება ქ. ზუგდიდს. აქ მიიღო მომავალმა მეცნიერმა დაწყებითი განათლება, აქედან შეიგრძნო მშობლიური ისტორიისა და კულტურისადმი სიყვარული.

შოთა მესხია კლასში ყველასგან გამორჩეული მოწაფე ყოფილა; აკურატული, სანდომიანი გარეგნობის, უპირატესად გონებრივი შესაძლებლობებით დაჯილდოებული, *„სწორედ ამ მახასიათებლების გამო მან თავიდანვე მიიქცია სკოლის დირექტორის – მიხა პატარაიას, მასწავლებლების – ანტიფა რაფავას, ნინა კეშელავასა და ნინკა თოდუას ყურადღება, რომლებიც ნიჭიერი მოსწავლის წარმოჩენას ყოველნაირად ხელს უწყობდნენ“*, – გვიამბობს დაწყებით სკოლაში მისი თანაკლასელი, ას წელს მიტანებული ფაცაკო წულეისკირი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ შრომითი საქმიანობა გამოჩენილმა მეცნიერმა ზუგდიდის რაიონის სოფ. კახათის სკოლიდან დაიწყო, სადაც 1937-38 წლებში იღვაწა სკოლის დირექტორის თანამდებობაზე.

მუდამ აქტიურ საზოგადოებრივ პოზიციაზე მდგომი მეცნიერი, მიუხედავად დროის დეფიციტისა, ყოველთვის ახერხებდა ჯეროვანი ყურადღება და პატივი მიეგო მშობლიური ზუგდიდისა და ზუგდიდელებისთვის. პროფესორმა შოთა მესხიამ, საბჭოური ეპოქის ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად, დაიწყო ზუგდიდის ეტიმოლოგიის შესწავლა, რომელსაც საგანგებო გამოკვლევა მიუძღვნა.[1] მას თბილი და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ზუგდიდური წარმოშობის ქართველ მკვლევარ ისტორიკოსებთან: პროფესორებთან ილია ტაბაღუასთან, ნიკო ქორთუასთან, ვიქტორ გუჩუასთან. ზუგდიდში ნათესავებთან სტუმრად ჩამოსული შოთა მესხია ადგილობრივი საზოგადოების

[1] შ. მესხია. „ზუგდიდი“ თუ „ზუბდიდი“. საისტორიო ძიებანი. ტ. III. თბ. 1986, გვ. 263-270.

მუდმივი ყურადღების ორბიტაში იყო მოქცეული. ზუგდიდის საზოგადოებრიობა ცდილობდა მოფერებოდა ძვირფას სტუმარს. ქალაქის სახელოვანი ოჯახები ერთმანეთს ეცილებოდნენ ღირსეული მამულიშვილის მოწვევა-მიპატიჟებაში.

როგორც ცნობილია, საბჭოთა ეპოქის ზუგდიდი რესპუბლიკური დაქვემდებარების რაიონულ სამრეწველო ცენტრს წარმოადგენდა, რომელშიც აკადემიური სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების კვლევითი ინსტიტუტის ზუგდიდის ფილიალს და საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში არსებულ ზუგდიდის სამეცნიერო ცენტრს – ისტორიულ მუზეუმსა და თბილისის ბოტანიკური ბაღის ზუგდიდის ფილიალს (ზუგდიდის მუზეუმი და ბოტანიკური ბაღი ერთი პერიოდი ასე იწოდებოდა – ზ.ქ.) არ ფუნქციონირებდა. ზუგდიდის მოწინავე ინტელიგენცია წლების განმავლობაში სვამდა საკითხს რესპუბლიკის მთავრობის წინაშე რეგიონში უმაღლესი სასწავლებლის გახსნის შესახებ, თუმცა უშედეგოდ. ზუგდიდის ორწლიანი სამასწავლებლო ინსტიტუტი 50-იანი წლების დასაწყისში დაიხურა. როგორც ჩანს, ამ გადაწყვეტილების მიღებაში დიდი როლი ითამაშა ე.წ. *„მეგრელთა საქმემ“*. სხვანაირად რითი შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ ანალოგიური სამასწავლებლო ინსტიტუტები გორსა და თელავში ოთხწლიან პედაგოგიურ ინსტიტუტებად გადაკეთდა, ზუგდიდში არსებული კი გაუქმდა. ბუნებრივია, ქალაქში, რომელსაც არ გააჩნდა სამეცნიერო კადრების დასაქმების პერსპექტივა, ასეთი კადრები არც იყო. ზუგდიდელი ახალგაზრდა მეცნიერები ადგილზე დასაქმების პერსპექტივას ვერ ხედავდნენ და დედაქალაქსა და რესპუბლიკის სხვა სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში მიდიოდნენ სამოღვაწეოდ. ზოგიერთი მათგანი რესპუბლიკის ფარგლებსაც ტოვებდა და სხვა რესპუბლიკებში იწყობდა წარმატებულ სამეცნიერო კარიერას. ზუგდიდში დარჩენილი თითო ოროლა მეცნიერებათა კანდიდატი, რომლებიც სამეურნეო სფეროში იყვნენ დასაქმებული, კლიმატს ვერ ქმნიდა.

ბატონი შოთა, მიუხედავად იმისა, რომ თბილისში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, დიდ ყურადღებას უთმობდა ზუგდიდში მცხოვრებ, ისტორიის კვლევის საკითხებით დაინტერესებულ ნაცნობ მეგობრებსა თუ უცნობებს, შველოდა და უკვალავდა მათ გზას მეცნიერებისკენ. თანამედროვენი დიდი სითბოთი იგონებენ არა ერთი ფაქტს, როცა ბატონმა შოთამ დახმარების ხელი გაუწოდა ისტორიის მიმართულებით უმაღლესი განათლების მიღების მსურველ ახალგაზრდებს, უბიძგა მათ მეცნიერებისკენ.

აკად. ნიკო ბერძენიშვილის გარდაცვალების შემდეგ ქართული საისტორიო მეცნიერების წინამძღოლად ბატონი შოთა მესხია შეიძლება მივიჩნიოთ. მის მიერ გაწეული კონსულტაციები დამწყები მეცნიერ-ისტორიკოსებისთვის ძალზე ფასეული და მნიშვნელოვანი იყო. საშუალო და უფროსი თაობის წარმომადგენლებს კარგად ახსოვთ ზუგდიდში მოღვაწე მეცნიერებათა კანდიდატები პლატონ ჯიშკარიანი, ჯანიერ როგავა და მამანტი პაჭკორია. ადგილობრივ პრესაში – გაზეთ *„მებრძოლში“*, რომელიც თავისი სტრუქტურული დატვირთვით წმინდა პარტიულ-სამეურნეო ორგანოს წარმოადგენდა, ხშირად იბეჭდებოდა მათი ისტორიული ხასიათის ნარკვევები, სამეცნიერო პოპულარული სტატიები, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის, განსაკუთრებით კი მოსწავლე ახალგაზრდობის დიდ ინტერესს იწვევდა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მ. პაჭკორიას აქტიური მოღვაწეობა. მის მეცნიერულ ნათლობაში უდიდესი წვლილი მიუძღვის პროფ. შოთა მესხიას, რომლის უშუალო ხელმძღვანელობითაც მომზადდა მ. პაჭკორიას სადისერტაციო ნაშრომი. ის იყო მ. პაჭკორიას მონოგრაფიის *„ფოთის ისტორია“* რედაქტორი.

ბ-ნი შოთას ინიციატივით 1961 წელს, საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს პრეზენტაციაზე ზუგდიდში ჩამოვიდნენ ცნობილი ქართველი მეცნიერები ნიკო ბერძენიშვილი, გიორგი მელიქიშვილი, პროკოფი რატიანი, მამია დუმბაძე, ვარლამ დონდუა, ილია მირცხულავა. ზუგდიდის საზოგადოებრიობის თვალსაჩინო წარმომადგენლებთან ერთად სახელოვან ქართველ მეცნიერებს ბ-ნი შოთა მასპინძლობდა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მისი ურთიერთობის შესახებ აკად. ნიკო ბერძენიშვილთან და სიმონ ჯანაშიასთან. შოთა მესხია, ქართველ ისტორიკოსთა დიდი ტრიადის აღზრდილი, თავისი მასწავლებლების ამაგს განსაკუთრებით აფასებდა. 1968 წლის თებერვალში ის მ. პაჭკორიას სწერდა: *„ივ. ჯავახიშვილი უნივერსიტეტის მეოთხე კურსზე სპეციალურ კურსს მიკითხავდა და ასპირანტობისას ერთი წელი მხელმძღვანელობდა. განსაკუთრებით კი ს. ჯანაშია, ჩემი ხელმძღვანელი, გამზრდელი და მეორე მამა იყო. ასევე დიდად დავალებული ვარ ნ. ბერძენიშვილისაგან“*.[2] სახელოვან მასწავლებელთა ღირსეული მოწაფე თავის მოწაფეებს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. ის სითბოს და ყურადღებას არ აკლებდა უწევდა ზუგდიდში პრაქტიკაზე ჩამოსულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებსაც.

[2] მ. პაჭკორია. სტრიქონები წარსულიდან. ზუგდიდი. 1998, გვ. 19.

ყველასათვის ცნობილია შოთა მესხიას დიდი ღვაწლის შესახებ ახალგაზრდა მეცნიერ-ისტორიკოსთა კადრების აღზრდისა და ფორმირების საქმეში. მის მიერ ხელდასმულ მეცნიერთა კოჰორტაში თვალსაჩინო ადგილი უკავიათ ზუგდიდური წარმოშობის მეცნიერ ისტორიკოსებს. მის აღზრდილებში საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ნაადრევად გარდაცვლილი მეცნიერი, შესანიშნავი პიროვნება, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ილია ანთელავა. მისმა სადიპლომო ნაშრომმა: *„ოდიშის სამთავროს პოლიტიკური ვითარება XVII ს. I ნახევარში,“* რომელიც, ფაქტობრივად, პროფ. შოთა მესხიას ხელმძღვანელობით მომზადდა, საყოველთაო მოწონება დაიმსახურა, ხოლო მის ავტორს უნივერსიტეტის დამთავრებიდან ერთი წლის თავზე – 22 წლის ასაკში ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა, რაც იმ დროისთვის სრულიად უპრეცენდენტო მოვლენა იყო. ბ-ნი შოთას დაკვალიანებულია სამეცნიერო ასპარეზზე აგრეთვე კიდევ ერთი ზუგდიდელი, ცნობილი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ზურაბ პაპასქირი. შოთა მესხიას მეცნიერებაში თავის დამკვალიანებლად მიიჩნევდა აგრეთვე ადრე გარდაცვლილი ნიჭიერი ზუგდიდელი მკვლევარ-ისტორიკოსი აბესალომ ტუღუში. და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენ ზუგდიდელ ახალგაზრდას გაუკაფა გზა ისტორიული მეცნიერების სარბიელისკენ ბატონმა შოთა მესხიამ.

შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს პროფესორ შოთა მესხიას სახელი ეწოდა. ეს არის უდიდესი დაფასება იმ ღვაწლისა, რომელიც ჩვენი კუთხის ღირსეულ შვილს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ შოთა მესხიას მიუძღვის ქართული საისტორიო მეცნიერებისა და კულტურის განვითარებისთვის, ჩვენი მომავალი თაობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდისათვის.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება.
შოთა მესხია – 100
თბილისი. 2016

თეონა ბუფენია

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

საქართველოს მთავრობის 2007 წლის 13 ივლისის №145 დადგენილებით სამეგრელოს რეგიონში დაფუძნდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი და ეწოდა გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსისა და საზოგადო მოღვაწის, პროფესორ შოთა მესხიას სახელი.

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის დაფუძნებით საფუძველი ჩაეყარა ძლიერ საგანმანათლებლო სასწავლო-სამეცნიერო ცენტრს, რომელიც წარმოადგენს ხარისხიანი განათლებისა და მაღალი კულტურული აზროვნების ფორმირების გარანტს. უნივერსიტეტის პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისი განათლების ხარისხი უზრუნველყოფილია შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით, რომლის განხორციელებაში ეფექტურად არის ჩართული ყველა რგოლი.

რეგიონში ერთადერთი სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება მისიის ფარგლებში ამზადებს რეგიონის ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებების, დემოკრატიული და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტირებულ, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციის მქონე, შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე უმაღლესი და პროფესიული განათლების მქონე, კონკურენტუნარიან, მაღალკვალიფიციურ კადრს. უნივერსიტეტი არის განათლების სფეროში რეგიონული ცენტრი, რომელიც დამსაქმებლებისა და დასაქმებულებისთვის განიხილება, როგორც ყველაზე სასურველი პარტნიორი, არის ადგილი, სადაც დასაქმებულ ადამიანებს აქვთ საშუალება საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალიზაციის, სასწავლო პროცესში ინოვაციების დანერგვისა და მიღებული შემოსავლებით აკადემიურ სწავლებას უახლოებს და მიილტვის, გაუთანაბროს ევროპულ სტანდარტებს, არის მაღალეფექტური, მოქნილი და სწრაფად განვითარებადი სასწავლებელი.

არსებობის უმოკლეს პერიოდში უნივერსიტეტი განხორციელებული პროექტების მიხედვით საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში წამყვან დაწესებულებათა რიცხვშია, ხოლო საერთაშორისო სივრცეში განიხილება, როგორც ერთ-ერთი სანდო პარტნიორი: საერთაშორისო გაცვლითი პროგრამის ERASMUS+ ფარგლებში უნივერსიტეტი 5 კონსორციუმის 22 ქვეყნის წამყვანი უნივერსიტეტების რეალური პარტნიორია, (მათ შორის: პოლონეთი, შვედეთი, პორტუგალია, იტალია, საფრანგეთი, საბერძნეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, ჩეხეთი, ბულგარეთი და სხვა). ევროკავშირის დაფინანსებით, სასწავლო უნივერსიტეტში დღემდე მოქმედი საერთაშორისო პროექტების ფარგლებში სტუდენტებს აქვთ კარგი შესაძლებლობა, მიიღონ განათლება ევროპის წამყვან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ხოლო ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი გადამზადდეს უნივერსიტეტის ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარებისთვის.

დღეს საერთაშორისო პროექტების ფარგლებში უნივერსიტეტს ჰყავს 25 ერასმუსელი სტუდენტი, 11 გადამზადებული პროფესორ-მასწავლებელი და გაცვლითი პროგრამების ფარგლებში – 3 ევროპელი პროფესორი. უნივერსიტეტის უმთავრესი პრიორიტეტია, უპასუხოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უმთავრეს გამოწვევას – ინტერნაციონალიზაციას და ჩართულია TEMPUS-ის *„ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის“ (PICASA)* პროგრამაში, რაც ითვალისწინებს უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვას. ამ ეტაპზე „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა გაწევრიანებულია ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის საჯარო მმართველობის ინსტიტუტთა საერთაშორისო ქსელში (NISPACEE). ასევე აქტიურად ფუნქციონირებს უცხო ენათა შემსწავლელი ცენტრი.

უნივერსიტეტის პრიორიტეტია, უმაღლესი განათლება გახადოს ხელმისაწვდომი მოწყვლადი ჯგუფებისთვის, შესაბამისად, მოიპოვა საერთაშორისო გრანტი ERASMUS+-ის პროექტის DARE-ის ფარგლებში *„უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის პროგრამების შემუშავება მოწყვლადი ჯგუფებისა და რეგიონებისათვის“*. აღნიშნული პროექტის ფარგლებში გადამზადდა 7 პროფესორი.

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში პირველთაგანია, სადაც ხორციელდება ერთდროულად აკადემიური და პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამები, მომზადებისა და გადამზადების მოკლევადიანი კურსები, რითაც უზრუნველყოფილია მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის

განხორციელება, სტუდენტების პიროვნული და პროფესიული განვითარება, სამოქალაქო თანაგრძნობისა და პასუხისმგებლობის გაღვივება, მათი აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბება. უნივერსიტეტს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას სასწავლებელში დაგროვილ ცოდნას. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს CASEDE-ის *„სტუდენტური კარიერის განვითარება საქართველოში“* საერთაშორისო პროექტის ფარგლებში დაფუძნებული კარიერის ცენტრი, რომელიც შუამდგომლობს სტუდენტს დამსაქმებელთან და ხელს უწყობს მის დასაქმებას.

მისიითა და სტრატეგიით დაგეგმილი აქტივობების განსახორციელებლად უნივერსიტეტს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის ორასზე მეტი მემორანდუმი და ხელშეკრულება საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, დამსაქმებლებთან.

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი აერთიანებს სამ ფაკულტეტს: ბიზნესისა და სამართლმცოდნეობის, ჰუმანიტარული და ჯანდაცვის, სადაც ხორციელდება 12 აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამა. აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სტუდენტთა კვალიფიციურ კადრებად ჩამოყალიბებას ემსახურება უნივერსიტეტის სწავლების ეფექტური გარემო: ზუგდიდსა და სენაკში კამპუსები სასწავლო კორპუსებით, დამხმარე ფართები, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი კომპიუტერული, კრიმინალისტიკის, ფარმაციის ლაბორატორიები, სასწავლო სახელოსნოები, უახლესი ლიტერატურით მდიდარი ბიბლიოთეკა, აგრარული მიმართულებით 20 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა სასათბურე მეურნეობებით, უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი მეცხოველეობის ფერმით, აგრო და ვეტ-ლაბორატორიებით.

უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და გაცვლით პროგრამებში. უნივერსიტეტი მასპინძლობდა მსოფლიო ფოლკლორისტთა საერთაშორისო საზოგადოების რწმენა-წარმოდგენების კომიტეტის კონფერენციას. მუშაობაში მონაწილეობას იღებდა 16 ქვეყნის 35 წარმომადგენელი. ყოველწლიურად უნივერსიტეტი გამოსცემს სამეცნიერო კრებულებს, მონოგრაფიებს, ძირითად და დამხმარე სახელმძღვანელოებს.

უნივერსიტეტის მთავარი სტრატეგია რეგიონის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად არის პროფესიული განათლება. წარმატებით ხორციელდება საგ-

ნობრივი, მოდულური და დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, ასევე მოკლევადიანი კურსები სხვადასხვა მიმართულებით 29 სპეციალობაში.

უნივერსიტეტი წარმატებით თანამშრომლობს გაეროს განვითარების პროგრამასთან (UNDP), ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან (USAID) პროფესიული განათლების კომპონენტის გაძლიერების ნაწილში. სოფლის მეურნეობის მიმართულებით დაფუძნდა ექსტენციის ცენტრი, სადაც გადამზადდა 2500 ბენეფიციარი. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებულ გარემოს, სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით, ამრავალფეროვნებს მხარდამჭერ ღონისძიებებს. უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა მოტივაციის ასამაღლებლად სხვადასხვა სახის სტიპენდია და სოციალური პაკეტი. სტუდენტურ აქტივობებში წარმატებით მონაწილეობენ უნივერსიტეტის შემოქმედებითი ჯგუფები. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია პერიოდულად უზრუნველყოფს სტუდენტთათვის აქტუალურ თემატიკაზე საჯარო ლექციებს.

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, როგორც უმაღლეს და პროფესიულ განათლებაში რეგიონული ცენტრი, პერიოდულად მასპინძლობს მაღალი რანგის შეხვედრებს და არის განათლების სახელმწიფო პოლიტიკის მატარებელი რეგიონში.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება.
შოთა მესხია – 100
თბილისი. 2016

შოთა მესხია

„საცნობლად თავისადაო“*

„ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო:
ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო?“
დავით გურამიშვილი.

საქართველოში ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში იცოდნენ, რომ წარსულის მაგალითების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელი იყო სრულფასოვანი აწმყოს შექმნა.

ძლიერი და ნათელი აწმყო ყოველთვის პატივისცემით ეკიდებოდა თავის წინამორბედს, თავის წარსულს, მაგრამ ხდებოდა პირიქითაც – სუსტი და ულიმღამო, უსუსური აწმყო, უვარგისი შვილისა არ იყოს, მშობლის პატივისცემისა და მოგონებისათვის ვეღარ იცლიდა. მეტიც, წინაპრის უგულვებელყოფით თავისი სიგლახის მიჩქმალვას ცდილობდა... ზოგჯერ კიდევ სხვა ქვეყნის საქმეებში აქტიურად ჩარეული დამპყრობელი თუ კოლონიზატორი ყოველგვარი საშუალებით ცდილობდა გაებიაბრუებინა და დავიწყებისთვის მიეცა ყველაფერი ის, რითაც შეეძლო ეამაყა მრავალსაუკუნოვანი და მდიდარი წარსულის მქონე ხალხს.

ისტორიული უკულმართობის ესა და სხვა მსგავსი შედეგები დიდი ხანია ისტორიასვე ჩაბარდა... დაიწერა არაერთი სახელმძღვანელო... ზოგმა მათგანმა უმაღლესი ჯილდო – სახელმწიფო პრემიაც დაიმსახურა. ასეთი გამარჯვება პირველ რიგში თვით ამ სამეცნიერო დისციპლინის – საქართველოს ისტორიის – გამარჯვება და საშუალო სკოლებში მისი სწავლების აუცილებლობის აღიარებაც იყო. მართლაც, ამიერიდან საქართველოს ისტორიას სა-

* გაზ.: *„ლიტერატურულ საქართველო“*, №24(1765), 11.06.1971. იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით.

შუალო სკოლის უფროს კლასებში ცალკე საათები გამოეყო, ცალკე დისციპლინად შევიდა იგი საშუალო სკოლის პროგრამებსა და ატესტატებშიც. ასე შეექმნა მყარი საფუძველი საქართველოს ისტორიის სწავლებას მიმდინარე საუკუნის 40-იანი წლებიდან.

მაგრამ დროთა ვითარებაში, სამწუხაროდ, მდგომარეობა შეიცვალა. საშუალო სკოლებში საქართველოს ისტორიის პირველი დიდი ზიანი ათწლიან სწავლაზე გადასვლამ მოუტანა. თუმცა საქართველოს ისტორიის „სწავლების შეფერხების“ მიზეზი მარტო ეს არ ყოფილა. ათწლიან სწავლაზე გადასვლა არ იყო აუცილებელი მაინცდამაინც ეროვნული საგნების სწავლების შეფერხების ხარჯზე მომხდარიყო. საქართველოს ისტორიის სწავლების შეფერხების მიზეზად ყოველთვის ვერ მივიჩნევთ, აგრეთვე, საშუალო სკოლის პროგრამების საყოველთაოდ აღიარებულ და ყველასათვის ცნობილ უზომოდ გადატვირთვას.

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ დღეს საქართველოს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში *„საქართველოს ისტორიის სწავლება შეფერხებულია“*, უკეთ რომ ვთქვათ, **არანორმალურ მდგომარეობაშია**.

ამჟამად საქართველოს ისტორიის სწავლებას საშუალო სკოლის VII, VIII, IX და X კლასებში დათმობილი აქვთ სულ 65 საათი. VII კლასში საქართველოს ისტორია ისწავლება უძველესი დროიდან XVIII საუკუნის მიწურულამდე, როგორც ცალკე საგანი და დათმობილი აქვს კვირაში 1 საათი, ე.ი. სულ 35 საათი. მაგრამ საქართველოს ისტორია ფაქტობრივად უკვე აღარ ისწავლება მომდევნო კლასებში. სასწავლო გეგმით, საქართველოს ახალ და უახლეს (XVIII საუკუნის მიწურულიდან დღემდე) ისტორიას VIII, IX და X კლასებში ეთმობა 10-10 საათი, ე. ი. სამ კლასში, სწავლების სამი წლის მანძილზე, სულ 30 საათი. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ სწავლების სამი წლისთვის განკუთვნილი საათების ეს რაოდენობა ვერ ამართლებს თავის დანიშნულებას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრა დაინტერესდა საშუალო სკოლებში საქართველოს ისტორიის სწავლების მდგომარეობით და კათედრის წევრების საშუალებით გაეცნო რამდენიმე ათეულ სკოლაში საქართველოს ისტორიის სწავლებას საერთოდ, კერძოდ კი VIII-X კლასებში. გაირკვა, რომ VIII-X კლასებში საქართველოს ისტორიის სწავლება სსრ კავშირის ხალხთა ისტორიასთან შერწყმული, სინქრონული მეთოდით ვერავითარ შედეგს ვერ იძლევა, არაფერი რომ არა ვთქვათ თვით საამისოდ გამოყოფილი 10-10 საათის ფიქტიურობის შესახებ. რაკი საქართველოს ისტორია ცალკე არ ისწავლება, იგი არ არის შეტანილი ცხრილში;

არსად არ ხდება იმის აღნიშვნა, თუ რა წარმატებას მიაღწია VIII, IX და X კლასებში მოსწავლემ საქართველოს ისტორიის სწავლებაში. ამასთანავე არ წარმოებს VIII-IX-X კლასებში საქართველოს ისტორიაში ჩატარებული საათების აღრიცხვა. ჟურნალებში საქართველოს ისტორიის სინქრონული სწავლება არსად არაა ფიქსირებული და არც ჩანს, საერთოდ ასწავლიან თუ არა საქართველოს ისტორიას.

ამასთანავე, VIII-X კლასებში საქართველოს ისტორიის სინქრონული სწავლების ისტორიის სინქრონული სწავლების მეთოდი შედარებით სხვაგვარ სახეს ღებულობს რესპუბლიკის რუსულ სკოლებში. ამ მხრივ არ არსებობს ერთიანობა, არა მარტო ქართულ და რუსულ სკოლებში, არამედ თვით ქართულ სკოლებშიც და ეს იმიტომ, რომ მასწავლებლებს არ გააჩნიათ არავითარი მეთოდური მითითება VIII-X კლასებში საქართველოს ისტორიის სინქრონულად სწავლების შესახებ. ამას გარდა, თითქოს გაუგებარია, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოს ისტორია რესპუბლიკის ქართულ და რუსულ სკოლებში სხვადასხვა სახელმძღვანელოთი ისწავლება და, ბუნებრივია, სასწავლო მასალაც სხვადასხვაგვარად ნაწილდება.

ზემოთ მოტანილი მასალებიდანაც კარგად ჩანს, რომ VII კლასის შემდეგ, იმ ასაკის მოსწავლეთათვის, რომელთაც ყველაზე უკეთ შეუძლიათ გაიგონ მასალა და რომელთაც ყველაზე უფრო ესაჭიროებათ (დამამთავრებელ კლასებში) ამ მასალის ცოდნა, **საქართველოს ისტორიის სწავლება არსებითად ლიკვიდირებულია. სინქრონული სწავლება ვერ ამართლებს თავის დანიშნულებას, იგი ვერ აწვდის მოსწავლეებს საჭირო ცოდნას საქართველოს უაღრესად დიდმნიშვნელოვანი, ახალი და უახლესი, პერიოდების ისტორიიდან**.

არ შეიძლება არ გავიხსენოთ აგრეთვე ისიც, რომ მოსწავლე VII კლასში არსებითად პირველად ეცნობა თავისი სამშობლოს ისტორიას და, ბუნებრივია, ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ არის მომზადებული ღრმად აითვისოს საქართველოს მდიდარი ისტორიული წარსული უძველესი დროიდან XVIII საუკუნის მიწურულამდე და მიღებული ცოდნაც შეინარჩუნოს საშუალო სკოლის დამთავრებამდე. მით უფრო, რომ **საქართველოს ისტორიის განვლილი მასალის განმეორებისათვის დამამთავრებელ კლასებში არც ერთი საათი არ არის გამოყოფილი**. ამრიგად, მოსწავლე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას ისე ამთავრებს, რომ მას არსებითად არცა აქვს რამე მნიშვნელოვანი ცოდნა თავისი ქვეყნის ისტორიაში, მას ფაქტობრივად არც უსწავლია იგი. ალბათ ამიტომაცაა, რომ საქართველოს ისტორიაში მოსწავლის ცოდნის შეფასება VII კლა-

სის შემდეგ არ არ წარმოებს და **იგი არ არის შეტანილი არც რვაწლიანი სკოლის სამთავრების მოწმობასა და არც საშუალო განათლების ატესტატში**.

ზემოაღნიშნულს თუ იმასაც დავუმატებთ, რომ საქართველოს ისტორია არც ცალკე VII კლასში და არც სინქრონულად VIII-X კლასებში, ე. ი. საერთოდ აღარ ისწავლება საქართველოს რესპუბლიკის 452 ზოგადსაგანმანათლებლო სომხურსა და აზერბაიჯანულ (რესპუბლიკაში არის 232 სომხური და 47 ე. წ. შერეული სკოლა, 167 აზერბაიჯანული და 9 შერეული სკოლა) სკოლაში, სავსებით ნათლად წარმოგვიდგება საქართველოს ისტორიის სწავლების მდგომარეობის დღევანდელი მძიმე სურათი.

რესპუბლიკის სომხურ და აზერბაიჯანულ სკოლებში საქართველოს ისტორიის სწავლებას მხოლოდ ის უშლის ხელს, რომ სახელმძღვანელო დღემდე არ არის თარგმნილი და გამოცემული სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. ამის გამოსწორება კი არც ისე ძნელი საქმე იყო. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თბილისის 59-ე და 39-ე სომხური სკოლების ისტორიის მასწავლებლები (ა. აგეკიანი, რ. ოვაკიმიანი, ვ. შალოიანი და სხვ.) გაოცებას ვერ მალავენ იმის გამო, რომ მათ არა აქვთ შესაძლებლობა ახალგაზრდობას შეასწავლონ იმ ქვეყნის ისტორია, სადაც ცხოვრობენ, სწავლობენ და იზრდებიან. ამიტომაა, რომ ისინი ამ ნაკლის გამოსასწორებლად რადიკალური ღონისძიების გატარებას მოითხოვენ.

მაგრამ, როგორც ვხედავთ,საქართველოს ისტორიის სწავლების გარდაქმნელად საჭიროა რადიკალური ღონისძიებები გატარდეს არა მარტო სომხური და აზერბაიჯანული სკოლებისთვის, არამედ საერთოდ. ამისთვის კი პირველ რიგში საჭიროა **საქართველოს ისტორიის სწავლებას რესპუბლიკის საშუალო სკოლებში დაუბრუნდეს თავისი კუთვნილი ადგილი. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ისტორია ისწავლებოდეს დამოუკიდებლად და იგი უნდა აღინიშნებოდეს ჟურნალებში, მოსწავლის წარმატების მოწმობასა და, რაც მთავარია, საშუალო განათლების ატესტატში**.

მაგრამ რამდენად შესაძლებელია ყველაფერი ეს საშუალო სკოლის პროგრამების ასე გადატვირთვის დროს? ჩვენ არ შევუდგებით ვრცელი დისკუსიის გამართვას ამ საკითხთან დაკავშირებით. ცხადია, ყველაფერი ეს საქართველოს საშუალო სკოლების ამჟამად მოქმედი სასწავლო გეგმებისა და პროგრამების საფუძვლიან გადასინჯვას და ერთგვარად შეცვლას მოითხოვს... მაგრამ გაუკეთებელი და შეუძლებელი, რა თქმა უნდა, არაფერია.

საქართველოს საშუალო სკოლებში საკუთარი ქვეყნის ისტორიის სწავლება წლების მანძილზე სამაგალითო და მისაბაძი იყო ჩვენი ქვეყნის არაერ-

თი მოკავშირე რესპუბლიკისათვის. ამჟამად კი, როგორც ჩანს, ჩვენ დაგვჭირდება მაგალითი სხვა მოძმე რესპუბლიკებისაგან ავიღოთ და მათი გამოცდილებით ვიხელმძღვანელოთ.

ამ თვალსაზრისით ძალიან საინტერესო იქნებოდა სომეხი ხალხის ისტორიის სწავლების მდგომარეობა სომხეთის საშუალო სკოლების მდგომარეობა, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების დატვირთულობის თვალსაზრისით, არსებითად ისეთივეა, როგორიც საქართველოს საშუალო სკოლებისა.

სომხეთის სსრ საშუალო სკოლებში კი სომხეთის ისტორია ისწავლება VIII, IX და X კლასებში. ყოველ კლასში ეთმობა კვირაში 1 საათი, ვიდრე X კლასის სწავლების მეორე ნახევრამდე. X კლასებში, სასწავლო წლის მეორე ნახევრიდან, როგორც ეს საჭიროა დამამთავრებელი კლასისთვის, სომეხი ხალხის ისტორიას კვირაში ორი საათი ეთმობა. ეს ორი საათი ძირითადად განკუთვნილი მასალის განმეორებისა და საგნის ცოდნის განმტკიცებისთვის არის საჭირო. ამრიგად, სომხეთის საშუალო სკოლების სამ კლასში სომეხი ხალხის ისტორიას დათმობილი აქვს 120 საათი, ე. ი. ორჯერ მეტი, ვიდრე ჩვენი სკოლების ოთხ კლასში საქართველოს ისტორია. ამას გარდა, იგი ისწავლება სისტემატურად საშუალო სკოლის უფროს კლასებში დამოუკიდებელ საგნად და, რაც მთავარია, სომეხი ხალხის ისტორიაში მიღებული ნიშანი შედის საშუალო განათლების ატესტატში, როგორც დამოუკიდებელი საგნის – „სომეხი ხალხის ისტორიის“ – ცალკე ნიშანი საბჭოთა კავშირის ისტორიის, მსოფლიო ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის ნიშნების გვერდით და მათთან ერთად.

როგორც ვხედავთ, საშუალო სკოლის პროგრამების ასე გადატვირთულობის პირობებში სომხეთის განათლების სისტემამ შეძლო რესპუბლიკის საშუალო სკოლებში **სომეხი ხალხის ისტორიის სწავლებისთვის სავსებით ღირსეული და კუთვნილი ადგილი მიეჩინათ. ეს ასე უნდა იყოს ყველგან, სადაც კი სურთ წესიერად ასწავლონ ახალგაზრდობას თავისი მშობელი ხალხის ისტორია და სადაც საამისო მასალაც აქვთ და სათანადო კადრებიც ჰყავთ.** ამიტომაა, რომ ჩვენი დედაქალაქის (და არამარტო დედაქალაქის, მთელი რესპუბლიკის) საშუალო სკოლის ისტორიის ყველა მასწავლებელი ერთხმად მოითხოვს, რომ საქართველოს ისტორია **„ისწავლებოდეს დამოუკიდებელ საგნად VIII-X, ან IX-X კლასებში“** და რომ საქართველოს ისტორია იყოს **„საატესტატო საგანი“**, ე. ი. ამ საგანში მიღებული ნიშანი შეტანილ იქნეს ცალკე საშუალო განათლების ატესტატში. მართლაც, **ესაა პირველი,**

უმთავრესი პირობა საშუალო სკოლებში საქართველოს ისტორიის სწავლების გარდაქმნისათვის.

მაგრამ ეს არ შეიძლება იყოს ერთადერთი პირობა. სკოლებში საქართველოს ისტორიის სწავლების გაუმჯობესებისათვის საჭიროა სხვა ღონისძიებების გატარებაც. პირველ რიგში აუცილებელია, რომ მოსწავლე თავისი მშობელი ხალხის ისტორიის ელემენტებს ადრევე ეცნობოდეს. ეს კი შესაძლებელია, თუკი მცირე ისტორიული მოთხრობებისა თუ ეპიზოდური მასალის სახით საქართველოს ისტორიის საკითხებს შევიტანდით დაწყებითი სკოლის III-IV კლასების როგორც ქართული ენის პროგრამებში, ასევე, განსაკუთრებით, სსრ კავშირის ხალხთა ისტორიის ამჯერად მოქმედი ე. წ. „მოთხრობები სსრ კავშირის ისტორიიდან“, როგორც ცნობილია, არსებითად დაწერილია მხოლოდ რუსეთის და ისიც რუსული სკოლებისათვის. ამიტომაა, რომ წიგნის მიხედვით სლავები გამოცხადებული არიან ყველა იმ მოსწავლეთა წინაპრებად, ვინც კი ამ წიგნით გაეცნობა სსრ კავშირის ხალხთა ისტორიის ელემენტებს. (იხ. ქართული, 1969 წ. გამოც., გვ. 6). ცხადია, საკმაოდ გაუმართლებელი იქნებოდა ასეთი წიგნი, სიტყვასიტყვით თარგმნილი, შენიშვნების, განმარტებებისა და დამატებების გარეშე მიგვეწოდებინა IV კლასის აზერბაიჯანელი, სომეხი, ქართველი თუ სხვა ეროვნების მოსწავლეთათვის, როგორც ეს დღეს ხდება ჩვენს დაწყებით კლასებში.

დამახასიათებელია, რომ დაწყებითი კლასების ქართულ პროგრამებში ეპიზოდურ „მოთხრობებს სსრკ ისტორიიდან“ დიდი ადგილი აქვს დათმობილი და წინ ვრცელი განმარტებითი ბარათიც უძღვის. მაგრამ მასში კონკრეტული არაფერია ნათქვამი, თუ საქართველოს ისტორიიდან რა ეპიზოდები და როგორ შეიტანოს მასწავლებელმა IV კლასის მასალაში. პროგრამის ქართულად გადმომლებთ მხოლოდ ერთი საკითხი შეუტანიათ საქართველოს წარსულიდან: „საქართველოს მშრომელების ცხოვრება და ბრძოლა კაპიტალისტური წყობილების დროს“. მაგრამ განმარტებით ბარათში ამ თემის შესახებ არაფერია ნათქვამი გარდა იმისა, რომ „თემა ითვალისწინებს, გაეცნოთ მოსწავლეებს ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მოვლენები საქართველოს ისტორიიდან, ჩვენი გმირები და ცნობილი ადამიანები“ (იხ. *რვაწლიანი და საშუალო სკოლის პროგრამები*, ისტორია, 1970, გვ. 10). საინტერესოა თუ როგორ მოახერხებდნენ ამ ფრაზის ავტორები ზემოდასახელებული თემით — „საქართველოს მშრომელების ცხოვრება და ბრძოლა კაპიტალისტური წყობილების დროს“ — გაეცნოთ მოსწავლეებისათვის „ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მოვლენები საქართველოს ისტორიიდან“?

თვით ის ფაქტი, რომ IV კლასში ამჟამად მოქმედი სახელმძღვანელო არსებითად რუსეთის რუსული სკოლებისათვის არის დაწერილი, ჩვენი აზრით, თავისთავად გულისხმობს იმას, რომ რესპუბლიკებმა თვითონ უნდა იზრუნონ IV კლასის ეპიზოდური მოთხრობების შედგენისათვის, რომელიც მჭიდროდ იქნება დაკავშირებული სსრ კავშირის ისტორიასთან, ან კიდევ თვითვე გამოყონ IV კლასში გათვალისწინებული 70 საათიდან გარკვეული რაოდენობა საათებისა ამა თუ იმ რესპუბლიკისათვის ისტორიის ეპიზოდური მოთხრობების გასაცნობად. ასე მოიქცა, მაგ., სომხეთის რესპუბლიკა და სომხეთის სკოლების IV კლასში ეპიზოდურ მოთხრობებს სომეხი ხალხის ისტორიიდან 25 საათი დაუთმო; ესტონეთშიც IV კლასისათვის მცირე მოცულობის (3 თაბახი) საგანგებო დამატება შექმნეს „ესტონეთის სსრ ისტორიიდან".

ასე უნდა გაკეთდეს ჩვენს სკოლებშიც... საქართველოს რესპუბლიკის სკოლების IV კლასშიც **საქართველოს ისტორიის ეპიზოდური მოთხრობებისათვის საჭირო საათების გამოყოფა, ცხადია, დიდად ხელს შეუწყობდა მოსწავლის მომზადებას საქართველოს ისტორიის მომზადებას საქართველოს ისტორიის სისტემატური კურსის შესასწავლად.**

IV კლასში საქართველოს ისტორიაში მიღებული ცოდნის თანდათან გაღრმავება შეიძლება მომდევნო, კერძოდ, V-VI კლასებშიც საქართველოს ისტორიისა და შუა საუკუნეების ისტორიის სწავლებისას.

რესპუბლიკის ისტორიის მასწავლებლები უდავოდ დიდ სამსახურს გაუწევენ საქართველოს ისტორიის სწავლებას, თუკი ძველი მსოფლიოსა და შუა საუკუნეების ისტორიის გაკვეთილებზე ცალკეულ თემებთან დაკავშირებით მოიტანდნენ კონკრეტულ მასალებს საქართველოს ისტორიიდანაც. ასეთი მასალა კი არაერთია, რომელიც მოსწავლეს ნათლად უჩვენებს საქართველოს ისტორიის მჭიდრო კავშირს მსოფლიო ისტორიასთან. ასეთი გზით მოსწავლე ადვილად დაინახავდა, რომ **მისი ქვეყნის ისტორია მხოლოდ ერთი, განუყრელი ნაწილია მსოფლიო ისტორიისა...**

რაკი საქართველოს ისტორიის სხვა საგნების სწავლებასთან დაკავშირებაზე ჩამოვაგდეთ საუბარი, არ შეიძლება ხაზი არ გავუსვათ ერთ-ერთ უმთავრესს – საქართველოს ისტორიის კავშირს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებასთან.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მშობლიური ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებში ისტორიის ამა თუ იმ მასალის, ისტორიული მოთხრობის შეტანის თვალსაზრისით, თუ საქართველოს ისტორიის ფაქტების ანალიზის

მხრივ ყველაფერი რიგზე ვერ არის და ამ თვალსაზრისით ისინი გადასინჯვასა და გადამუშავებას მოითხოვენ, მით უფრო, რომ ზოგი მათგანი საკმაოდ მოძველდა კიდეც.

როგორც ვხედავთ, საქართველოს ისტორიის სწავლება, მისი უკეთ დაყენება მარტო ისტორიის მასწავლებელთა საქმე არ არის. ამ საერთო სახალხო ამოცანის ჯეროვნად გადასაწყვეტად საშუალო სკოლის ყველა პედაგოგი უნდა იღებდეს შესაძლო მონაწილეობას.

ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი სამსახურის გაწევა შეუძლიათ საქართველოს გეოგრაფიის სახელმძღვანელოებს (VII-VIII კლ.). სკოლებში საქართველოს გეოგრაფიის ამჟამად მოქმედი სახელმძღვანელოს ავტორებისათვის ამ თვალსაზრისით სანიმუშო უნდა ყოფილიყო ი. გოგებაშვილის „ბუნების კარი“, „საქართველოს მოკლე გეოგრაფია“ და ქვეყნის ცალკეული კუთხეების „კერძობითი განხილვა“, რომელიც ფრიად საინტერესო მასალას აწვდიდა მოსწავლე ახალგაზრდობას ჩვენი ქვეყნის არა მარტო იმდროინდელი მდგომარეობის, არამედ, აგრეთვე წარსულის შესახებაც. ამას ვერ ვიტყვით ამჟამად მოქმედი საქართველოს, როგორც ფიზიკური, ასევე ეკონომიური გეოგრაფიის სახელმძღვანელოების შესახებ, რომელნიც სავსებით გვერდს უვლიან ისტორიულ მასალას, ძირითად ნაწილში ერთმანეთს იმეორებენ და გადატვირთული არიან VII-VIII კლასების მოსწავლეთათვის ძნელად ასათვისებელი და მეტ შემთხვევაში მეორეხარისხოვანი მონაცემებით.

რესპუბლიკის სკოლებში საქართველოს ისტორიის სწავლების გაუმჯობესებების თვალსაზრისით, გარკვეული მნიშვნელობა ექნებოდა ამ მიზნისათვის ე. წ. ფაკულტატიური კურსის საათების ნაწილის მაინც გამოყენებას. მაგრამ, როგორც სკოლების გაცნობამ დაგვარწმუნა, ფაკულტატიურ საათებს საქართველოს ისტორიისათვის არ იყენებენ. ზოგი მასწავლებლის აზრით, ფაკულტატიური საათების გამოყენება შეუძლებელიცაა ისედაც გადატვირთული მუშაობის პირობებში. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „ფაკულტატიური კურსის“ ქართულ ენაზე შედგენილი პროგრამები საშუალო სკოლისათვის“ საქართველოს ისტორიას მაინც არ ითვალისწინებს.

ფაკულტატიურ კურსს ისტორიაში IX და X კლასებში 105 საათი ეთმობა, მაგრამ არც ერთი საათი და არც ერთი თემა არ არის გათვალისწინებული საქართველოს ისტორიის არც ერთი პერიოდისათვის (იხ. ფაკულტატიური კურსის პროგრამები, 1969 წ., გვ. 47-75). მართალია, პროგრამის ქართულად შემდგენლებს ზედმეტად მიუჩნევიათ ერთი-ორი თემა მაინც შეეტა-

ნათ საქართველოს ისტორიიდან, მაგრამ, საერთოდ, საქართველოს ისტორიისათვის საჭირო სამეცნიერო ლიტერატურის სია მაინც დაურთავთ. ამ სიაში უხვად შეუტანიათ ივ. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას, ნ. ბერძენიშვილის, შ. ნუცუბიძის, გ. წერეთლის, გ. მელიქიშვილის და სხვა ქართველ მკვლევართა სამეცნიერო ნაშრომები საქართველოს ისტორიის როგორც უძველესი, ასევე შემდგომი პერიოდების შესახებ, მაშინ როცა საქართველოს ისტორიის ხსენება ამ პროგრამაში საერთოდ არ არის და ამის გარდა პროგრამის თემატიკა საბჭოთა კავშირის ისტორიიდან არ სცილდება XIX ს. მიწურულსა და XX საუკუნეს. ცხადია, ვერც ერთი დაინტერესებული პირი, მასწავლებელი თუ სხვა ვერ გაიგებს, რისთვის და რატომ ერთვის, მაგალითად, ქართული ისტორიული სამეცნიერო ლიტერატურის ერთიდაიგივე სია ორჯერ (იხ. პროგრამის გვ. 58-59 და გვ. 71-73) ფაკულტატიური კურსის პროგრამას მაშინ, როცა სიაში დასახელებულ გამოკვლევებში განხილული საკითხები არც ერთი არ არის წარმოდგენილი.

საშუალო სკოლებში საქართველოს ისტორიის სწავლების არსებითად უგულვებელყოფაზე ისიც მიუთითებს, რომ წლების მანძილზე არ დაბეჭდილა არც ერთი წიგნი და არც წერილი, რომელიც მასწავლებელს დახმარებას აღმოუჩენდა საქართველოს ისტორიის სწავლების მეთოდიკის არა ერთი სპეციალისტი, გვაქვს მეთოდკაბინეტები და მეთოდგანყოფილებები: არსებობს საგანგებო ჟურნალიც – *„ისტორია, გეოგრაფია, საზოგადოებათმცოდნეობა სკოლაში“*, მაგრამ დღემდე არც ერთ მეთოდისტ-სპეციალისტს საჭიროდ არ მიუჩნევიათ დახმარებოდა VII თუ VIII-X კლასების მასწავლებლებს საქართველოს ისტორიის ისედაც შეზღუდული საათების მაქსიმალურად და გონივრულად გამოყენების საქმეში.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ საერთოდ არაფერი **დაბეჭდილა რუსულ ენაზე რუსულ სკოლებში საქართველოს ისტორიის მასწავლებელთა დასახმარებლად**...

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ მეთოდიკურ ლიტერატურას ამა თუ იმ საგნის სწავლების სწორად და გონივრულად წარმართვის საქმეში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. დამახასიათებელია, რომ მხოლოდ VII კლასში სსრ კავშირის ისტორიის სწავლებას ეძღვნება მაგალითად პ. ს. ლეიბენგრუბის არა ერთი ფუნდამენტური ნაშრომი. ამ და სხვა მსგავს მეთოდიკურ მითითებებს კარგად იცნობენ თბილისის რუსული სკოლის ისტორიის მასწავლებლები და ოცნებობენ ასეთივე ნაშრომებზე საქართველოს ისტორიაში...

ამ საქმეში მნიშვნელოვან როლს შეასრულებდა აგრეთვე უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთათვის სსრ კავშირის ხალხთა ისტორიის საგამოცდო პროგრამასა და ბილეთებში საქართველოს ისტორიის საკითხების შეტანაც. ეს აიძულებდა როგორც მასწავლებლებს, ასევე მოსწავლეებსაც მაქსიმალურად გამოეყენებინათ საქართველოს ისტორიისათვის VIII-X კლასებში გამოყოფილი საათების მცირე რაოდენობა და აგრეთვე სათანადო საათები გამოეყო საქართველოს ისტორიაში გავლილი მასალის განმეორებისათვისაც. თუმცა ყოველივე ამის გაკეთება ამჟამად (მიმდინარე სასწავლო წელს) შეუძლებელია, რაკი საქართველოს ისტორია საშუალო სკოლების უმეტესობის დამამთავრებელ კლასებში ფაქტობრივად არც ისწავლება, მაგრამ ამგვარი ღონისძიების გატარება უახლოეს წლებში აუცილებელი იქნება.

საქართველოს ისტორიის სწავლების მაღალ დონეზე დაყანების საქმეში ერთ-ერთი გადამწყვეტი: მნიშვნელობა ენიჭება **სკოლების უზრუნველყოფას თვალსაჩინოების სხვადასხვა საშუალებით.** ამ მხრივაც ჩვენი სკოლები დღეს განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაშია. **შეიძლება ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე ითქვას, რომ რესპუბლიკის სკოლებს საქართველოს ისტორიაში ამჟამად არავითარი თვალსაჩინოების საშუალება არ გააჩნიათ.**

როგორც ცნობილია, ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიის სწავლებაში, სახელმძღვანელოს შემდეგ, ყველაზე უმთავრეს ხელსაწყოს წარმოადგენს ისტორიული რუკა. **საქართველოს რესპუბლიკის არც ერთ სკოლაში კი არ არის არც ერთი ეპოქის საქართველოს ისტორიული რუკა.** ეს იმიტომ რომ საქართველოს ისტორიული რუკა, 1923 წლის შემდეგ (ივ. ჯავახიშვილის რედაქციით გამოცემული) არავის დაუბეჭდია.

ისტორიული რუკების დამეჭდვა და გამოცემა დიდ ხარჯებს მოითხოვს, მაგრამ თუ არ დავერიდებოდით მის გაღებას, ჩვენ საკმაო ხანია შესაძლებლობა გვაქვს გამოვცეთ არა მარტო საქართველოს ისტორიის ცალკეული ეპოქის ისტორიული რუკები, არამედ ისტორიული რუკების ატლასიც. ღონდ საჭიროა ამ საქმით დაინტერესება და მისი თაოსნობა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მიერ ქართულ და რუსულ ენებზე 1964 წელს გამოცემულ „საქართველოს სსრ ატლასში“ ცალკე არის შეტანილი სხვადასხვა ეპოქის ათი ისტორიული რუკა.

ამჟამად რესპუბლიკის სკოლებში არსებული სავალალო მდგომარეობის აღმოსაფხვრელად სავსებით საკმარისი იქნება ამ რუკების გადიდება და გამრავლება და აგრეთვე ცალკე, ისტორიულ ატლასად გამოცემა. ეს კი სავსებით დააკმაყოფილებს ჩვენი სკოლის დღევანდელ მოთხოვნილებას. თუმცა ამ სავა-

ლალო მდგომარეობიდან გამოსვლა ადრევე შეიძლებოდა თუნდაც იმ სქემატური რუქები გაღიდებითა და გამრავლებით, რომლებიც ჯერ კიდევ ს. ჯანაშიას, ხოლო შემდეგ ნ. ბერძენიშვილის რედაქციით გამოცემულ და ამჯერად საშუალო სკოლებში მოქმედ სახელმძღვანელოებს ჰქონდათ და აქვთ დართული.

ჩვენს წინ დევს ვრცელი, 300-გვერდიანი *«Альбом по истории СССР»*, შესანიშნავი მასალით, – 380 სურათითა და სათანადო ტექსტით. ასეთივე ალბომები სხვადასხვა დროს არაერთხელ გამოცემულა და დღესაც იცემა ძველი მსოფლიოს ისტორიაში, შუა საუკუნეების ისტორიაში და თითქმის ყველა იმ ისტორიაში, რომელიც საშუალო სკოლაში ისწავლება, გარდა საქართველოს ისტორიისა. ცხადია, საქართველოს ისტორიის ალბომს სხვა არავინ შეგვიდგენს და გამოგვიცემს, თუ ჩვენ თვითონ არ ვიზრუნეთ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დღემდე მოუგვარებელია ქართული ისტორიული ძეგლების სასკოლო დიაპოზიტივების შექმნის საკითხი. ზოგ სკოლას აქვს ტექნიკური შესაძლებლობა უჩვენოს მოსწავლეებს დიაპოზიტივები და დიაფილმები, მაგრამ საამისო მასალა არ იპოვება, რა თქმა უნდა, საქართველოს ისტორიაში.

საქართველოს ისტორიის სწავლების საქმეს, დიაპოზიტივებს გარდა დიდ სარგებლობას მოუტანდა დიაფილმებს, სასწავლო ისტორიული ფილმების შექმნა. მაგრამ უნდა ვთქვათ თვალსაჩინოების საშუალობებზე, მათი ბეჭდვისა და გამოცემის ორგანიზაციაზე, მაშინ როცა თვით საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოც კი არ იბეჭდება საკმარისი რაოდენობით? არ არის გათვალისწინებული, რომ საქართველოს ისტორია ერთი და იმავე წიგნით ერთდროულად უნდა ისწავლებოდეს ოთხ (VII-X) კლასში. ამიტომაა, რომ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს სიმცირის შესახებ ხშირად საყვედურობენ.

თვით სახელმძღვანელოთა ასეთი ნაკლებობა მით უფრო მოუთმენელი და საგრძნობი ხდება მაშინ, როცა არც მოსწავლეებსა და არც მასწავლებლებს არ გააჩნიათ სხვა რაიმე საკითხავი წიგნი და არც სასწავლო ისტორიული ქრესტომათია. ძველი ქვეყნების, შუა საუკუნეების, საბჭოთა კავშირის ხალხთა თუ ახალ და უახლეს ისტორიას ჩვენს ქვეყანაში დიდი ტრადიცია აქვს საკითხავი წიგნებისა და განსაკუთრებით ქრესტომათიების გამოცემის თვალსაზრისით. ქართული ისტორიული ქრესტომათია კი გასული საუკუნის 50-იანი წლების შემდეგ არ დაბეჭდილა. 1969-1961 წლებში გამოიცა *„სსრკ ისტორიის ქრესტომათია“* ორ ტომად აკად. მ. ტიხომიროვის რედაქციით, სადაც სხვადასხვა პერიოდის ქართულ მასალასა და ფეოდალური ხანის ქართულ საისტორიო მწერლობას დიდი ადგილი დაეთმო. ეს მაშინ, როცა ჩვენ ვერ მოგვიხერხებია თვით ამ ქართული მასალის ქართულ ენაზე გამოცემა.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართული საბჭოთა მწერლობა, კერძოდ, საბავშვო მწერლობა დღეს თითქმის არავითარ ყურადღებას არ უთმობს საყმაწვილო ისტორიულ მოთხრობებს, ახალგაზრდობის პატრიოტული აღზრდის საქმეში უდავოდ დიდი მნიშვნელობის მქონე ჟანრს. ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, იაკობ გოგებაშვილს, სამწუხაროდ, ამ მხრივ გამგრძელებლები არ აღმოაჩნდათ.

ქართველმა მწერლებმა ამ ერთი წლის წინათ გაზ. *„ლიტერატურულ საქართველოში“* მკვეთრად დააყენეს საკითხი საქართველოს სკოლებში *„ქართლის ცხოვრების“* სწავლების შესახებ. ამ საქმეში კი დიდი როლის შესრულება შეუძლიათ სწორედ ჩვენს მწერლებს, სწორედ იმათ, ვინც ასე მკვეთრად დააყენა საკითხი *„ქართლის ცხოვრების“* სკოლებში სწავლების შესახებ.

„ქართლის ცხოვრების“ კრებულის ზოგი ისტორიკოსის მიერ ესა თუ ის ისტორიული მოვლენა, ესა თუ ის ეპიზოდი ხშირ შემთხვევაში ისე მხატვრულად არის გადმოცემული, რომ ამჯერად მისი მხოლოდ თანამედროვე ქართულ ენაზე გადმოლებაც კი საკმარისი იქნებოდა. მაგრამ, ცხადია, ეს მხოლოდ მწერალთა ამოცანა არ შეიძლება იყოს, ამ მხრივ უდავოდ მისაბაძია გაზეთ *„ნორჩი ლენინელის“* ინიციატივა: რამდენიმე თვეა *„ჟამთაბერის დარბაზის“* გახსნის შემდეგ, გაზეთი თვეში ორჯერ მთელ გვერდს უთმობს ყველაზე ღირშესანიშნავ ეპიზოდებს *„ქართლის ცხოვრებიდან“* და ამ ეპიზოდების მარტივი, გასაგები ენით გადმოცემულ კომენტარებს. *„ჟამთაბერის დარბაზს“* მეურვეობს საქართველოს ისტორიის კათედრის დოცენტი შ. ბადრიძე. მაგრამ ეს და სხვა მსგავსი მხოლოდ ერთეული ღონისძიებებია და იგი საჭირო გავლენას ვერ მოახდენს საქართველოს ისტორიას სწავლების გარდაქმნაზე, თუკი ამ შესანიშნავ ინიციატივას მხარდამჭერი, გამგრძელებელი და მიმბაძველი აღმოაჩნდა.

საქართველოს ისტორიის სწავლება კი, როგორც ვხედავთ, მართლაც საფუძვლიან გარდაქმნას, გადახალისებას მოითხოვს, — საჭიროა საქართველოს **სსრ საშუალო სკოლებში საქართველოს ისტორიას დაუბრუნდეს თავისი ღირსეული კუთვნილი ადგილი.** მაგრამ ამ დიდი საქმის ჯეროვნად გადაწყვეტა არ შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი უწყების, ერთი სამეცნიერო დაწესებულებისა და ცალკეულ პირთა ზრუნვის საგანი — ის ჩვენი საზოგადოებრიობის საერთო და გადაუდებელი ამოცანაა, მისი ღირსეული გადაწყვეტა სახალხო განათლების მესვეურთა, მასწავლებელთა, სამეცნიერო თუ შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენელთა საერთო ღონისძიებებსა და დაინტერესებაზეა დამოკიდებული.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება.
შოთა მესხია – 100
თბილისი. 2016

შოთა მესხია

გამოხმაურება წერილზე: *„ქართლის ცხოვრება“ და ჩვენი სკოლა“*[*]

– რა ადგილს მიაკუთვნებთ ქართულ ისტორიოგრაფიულ თხზულებათა შორის „ქართლის ცხოვრებას“ და რატომ?

– *„ქართლის ცხოვრება“*, მრავალი ავტორის მიერ სხვადასხვა დროს დაწერილ საისტორიო თხზულებათა კრებული, ფეოდალური ხანის ქართული ისტორიოგრაფიის უბრწყინვალესი ძეგლია და ქართული ისტორიული მეცნიერების პირველხარისხოვანი წყარო. *„ქართლის ცხოვრების“* შედგენა XI საუკუნიდან დაიწყო. იგი პირველი, წარმატებით დაგვირგვინებული ცდაა საქართველოს იტორიის სისტემატური გადმოცემისა უძველესი დროიდან ვიდრე XVIII ს. მიწურულამდე. არ არის ჩვენი ისტორიის არც ერთი მნიშვნელოვანი ეპოქა, რომლის შესახებაც „ქართლის ცხოვრებაში“ შესულ ავტორებს თავიანთი საინტერესო მოსაზრებანი და პირველხარისხოვანი მასალები არ ჰქონდეთ მოცემული. სხვა მსგავსი თხზულება ან კიდევ კრებული ჩვენ არ მოგვეპოვება, სადაც ასე სისტემატურად და ასე უხვად გადმოცემული იყოს საქართველოს ისტორიის ფაქტოლოგიური მასალა. როგორც არ უნდა დაწინაურდეს ისტორიის ისეთი დამხმარე დიციპლინები, როგორიცაა არქეოლოგია, ეთნოგრაფია თუ სხვა, მათი მონაცემები მაინც ვერ შეცვლიან წერილობით წყაროებს. წერილობითი წყაროები, განსაკუთრებით კი ორიგინალური, ყოველთვის იყო და დარჩება უმთავრეს და უპირველეს მასალად ამა თუ იმ ხალხის ისტორიის შესაქმნელად. ამაშია *„ქართლის ცხოვრებაის“* უდიდესი მნიშვნელობა.

[*] ინტერვიუ: „ლიტერატურული საქართველო“. №41 (1626). 11.10.1968. იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით.

– ცნობილია, რომ „ქართლის ცხოვრება“ მთლიანად მხოლოდ ფრანგულადაა თარგმნილი მარი ბროსეს მიერ. ხომ არ არის სასურველი, რომ იგი რუსულ ენაზეც ითარგმნოს? თუ სასურველია, რა საბის დაბრკოლებას ვაწყდებით?

– *„ქართლის ცხოვრების“* დიდი მნიშვნელობით აიხსნება, რომ მან ადრევე მიიქცია როგორც საქართველოს ისტორიის მკვლევართა, ასევე ამ ისტორიით დაინტერესებულ პირთა ყურადღება. ამიტომაც ითარგმნა იგი ქართული კულტურის მეცნიერების დიდი მოამაგის მარი ბროსეს მიერ ფრანგულ ენაზე, მაგრამ ამ დროისათვის *„ქართლის ცხოვრების“* მეცნიერულ-კრიტიკული შესწავლა დაბალ დონეზე იყო და ბუნებრივია, ყოველივე ამან თავისი ასახვა ჰპოვა ამ პირველ თარგმანში, ამ ერთადერთი თარგმანით კი დღესაც არა ერთი რუსი და უცხოელი მკვლევარი სარგებლობს, თუმცა იგი, ცხადია, *„ქართლის ცხოვრების“* მეცნიერული შესწავლის დღევანდელ დონეს და ვერც საისტორიო მეცნიერების დღევანდელ მოთხოვნებს ვერ პასუხობს. ყოველივე ეს კი ბუნებრივად სვამს საკითხს *„ქართლის ცხოვრების“* არა მარტო რუსულ, არამედ სხვა უცხო ენებზე თარგმნისა. ამასთანავე, ანგარიში უნდა გაეწიოს იმასაც, რომ *„ქართლის ცხოვრებაში“* ფრიად მნიშვნელოვანი, ზოგჯერ უნიკალური, ცნობებია დაცული სხვა ხალხების ისტორიის შესახებაც. ამ საინტერესო ცნობებით სარგებლობის შესაძლებლობას არსებითად მოკლებულია ყველა ის, ვინც კი ქართული ენა არ იცის. ასე რომ „ქართლის ცხოვრების“ რუსულ და ერთ-ერთ უცხო ენაზე თარგმნა აუცილებელია და იგი დიდად შეუწყობს ხელს არა მარტო საკუთრივ საქართველოს ისტორიის ფაქტიური მასალის სწორად გაგებასა და ინტერპრეტაციას რუს და უცხოელ მკვლევართა შრომებში, არამედ გაზრდის „ქართლის ცხოვრების“, როგორც წყაროს, მნიშვნელობას, საერთოდ, მსოფლიო ისტორიის თვალსაზრისითაც. *ქართლის ცხოვრებაში“* შესული ზოგი ისტორიკოსის თხზულება ან კიდევ ნაწყვეტი ამა თუ იმ თხზულებიდან უკვე თარგმნილია რუსულ ენაზე. ამ მხრივ დიდი მუშაობა ჩაატარეს აკად. კ. კეკელიძემ და პროფესორ ვ. დონდუამ. საჭიროა ოღონდ ამ ფრიად საშურ საქმეს რაც შეიძლება მალე მიეცეს ბოლო.

– არის თუ არა „ქართლის ცხოვრების“ ყველა თხზულება (ამბავი) ერთნაირად ობიექტური? უკეთ, „ქართლის ცხოვრების“ ყველა ცნობილი და უცნობი ავტორი ბელადებით სანდოა სინამდვილის ზუსტად ასახვაში?

– ცხადია, *„ქართლის ცხოვრებაში“* შესული ყველა თხზულება თანაბარი ღირებულებისაა და ერთნაირად ობიექტური არ არის. ამა თუ იმ თხზულების ღირებულებასა თუ მის ობიექტურობას არა ერთი ფაქტორი განსაზღვრავს – თხზულების ავტორის მოღვაწეობის დრო, – მისი თანადროულობა თუ სიშორე იმ ეპოქისა, რომელზედაც ის წერს და, რაც მთავარია, ამა თუ იმ ავტორის კლასობრივი კუთვნილება, მედასეობა. *„ქართლის ცხოვრების“* კრებულში შესული ყველა ავტორი როდია თანამედროვე იმ პერიოდისა, რომელზედაც ის წერს (მაგ. ლეონტი მროველი, ჯუანშერი და სხვ.) და ბუნებრივია, თუ მის თხზულებაში მის დროიდან 5-6 საუკუნით ან იქნებ კიდევ უფრო მეტი დროით დაშორებული ეპოქის სურათი სავსებით ზუსტად ვერ იყო ასახული. ამავე დროს ესა თუ ის ავტორი ეკუთვნის გარკვეულ სოციალურ ფენას და, ცხადია თავის თხზულებაში ყოველნაირად შეეძრება სწორედ ეს სოციალური წრე, მისი ნამოქმედარი განადიდოს, ხოლო მეორე – დაამციროს და მიჩქმალოს. ამის ანარეკლი *„ქართლის ცხოვრების“* ყველა თხზულებაში გვხვდება. მაგრამ, ეს სრულებით არ ამცირებს *„ქართლის ცხოვრების“* საერთო ღირებულებას – ყველა აქ შესული თხზულება ჩვენთვის თანაბრად ძვირფასია, როგორც უპირველესი წყარო და როგორც ამათუიმ ეპოქის ისტორიული აზროვნების დონისა თუ ისტორიული მოვლენების გაგებაში ამა თუ იმ სოციალური წრის კლასობრივი თვალსაზრისის ამსახველი.

– მიიჩნევთ თუ არა აუცილებლად „ქართლის ცხოვრების“ თუნდაც ზოგად სწავლებას საშუალო სკოლაში?

– იმ ვითარებაში, რაც დღეს ჩვენს საშუალო სკოლებშია შექმნილი საკუთრივ საქართველოს ისტორიის სწავლების თვალსაზრისით, *„ქართლის ცხოვრების“* თუნდაც ზოგადად სწავლება მხოლოდ განუხორციელებელ, მიმზიდველ ოცნებად შეიძლება მოგვეჩვენოს. **ჩვენი სკოლების სასწავლო გეგმებში საქართველოს ისტორიამ დღემდე ვერ პოვა თავისი მტკიცედ განსაზღვრული ადგილი. პირველ რიგში სწორედ ეს უნდა მოწესრიგდეს.** ხოლო შემდეგ შეიძლება ვილაპარაკოთ „ქართლის ცხოვრების“ ამათუიმ ფორმით სწავლების შესახებ.პროფ. ს. ყაუხჩიშვილის მრავალწლოვანი მუშაობის შედეგად თითქმის დამთავრებულია *„ქართლის ცხოვრების“* კრიტიკულ-მეცნიერული გამოცემა და ეს ფართო შესაძლებლობას უქმნის საქართველოს ისტორიისა და ქართული ლიტერატურის სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორებს უხვად ისარგებლონ *„ქართლის ცხოვრების“* მასალებით – გზადაგზა დანარ-

თი დოკუმენტების საჯით შეიტანონ ესა თუ ის მასალა სახელმძღვანელოში. ამისი პირველი ცდა უკვე მოცემულია საქართველოს ისტორიის ახლახან დაბეჭდილ სასკოლო სახელმძღვანელოში (ავტორები **შ. მესხია, ვ. გუჩუა**), მაგრამ, ცხადია, ეს არ შეიძლება საკმარისად მივიჩნიოთ. დიდი ხანია აუცილებლობადაა ქცეული საქართველოს ისტორიის ქრესტომათიის გამოცემა. XIX ს. 50-იანი წლების შემდეგ ასეთი ქრესტომათია (ჩვენდა სამარცხვინოდ) არ დაბეჭდილა, ზოგჯერ ჩვენი და ზოგჯერ კიდევ გამომცემლობათა დაუდევრობის წყალობით. ისტორიულ ქრესტომათიაში *„ქართლის ცხოვრება“* მნიშვნელოვან ადგილს დაიჭერს და დიდად შეუწყობს ხელს მისი, როგორც პირველხარისხოვანი ძეგლის გაცნობასა და შესწავლას საშუალო სკოლაში.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება.
შოთა მესხია – 100
თბილისი. 2016

ჩვენი მარადი თანამგზავრი*

რუსთაველის იუბილისადმი მზადების პერიოდში
ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნდა
მრავალი საინტერესო დოკუმენტი თუ ცნობა,
რომლებიც გვიჩვენებენ თუ რაოდენ
დიდი ადგილი უჭირავს შოთას უკვდავ პოემას
ჩვენი ხალხის სულიერ ცხოვრებაში,
როგორი განუყრელი და მუდმივი თანამგზავრია
ეს დიდი ქმნილება ქართველი კაცისათვის,
სადაც არ უნდა იყოს ის – ბრძოლის ველზე თუ შინ,
შემოქმედებითს შრომასა თუ დასვენებაში.
ქვემოთ ჩვენ ვაქვეყნებთ ერთ ასეთ დოკუმენტს,
რომელიც რედაქციას თავისი შენიშვნებით გადმოსცა
ახალგაზრდა ისტორიკოსმა ***შოთა ბადრიძემ***

პატივცემულო რედაქციავ!

არც ისე დიდი ხანია, რაც თბილისის უნივერსიტეტში შოთა რუსთაველის კაბინეტი გაიხსნა. კეთილშობილი მისია დაეკისრა მას: შეკრიბოს და სისტემაში მოიყვანოს რუსთაველოლოგიური მასალები, ხელი შეუწყოს დიდი პოეტის შემოქმედების შესწავლას. კაბინეტის გახსნისთანავე ენერგიულად შეუდგნენ ბიბლიოთეკის შექმნას. ბევრი ძვირფასი წიგნი მოჰქონდათ საჩუქრად პროფესორ-მასწავლებლებს, ასპირანტებს, სტუდენტებს. თანდათან იზრდებოდა ბიბლიოთეკა.

* „დროშა“. ყოველთვიური საზოგადოებრივ პოლიტიკური და სალიტერატურო სამხატვრო ჟურნალი. №8. აგვისტო. 1966 წელი, გვ. 8.

ერთ დღეს ახალგაზრდა ლექტორები საქართველოს ისტორიის კაბინეტში რაღაცაზე ვკამათობდით. ისე ვიყავით გართული, რომ არც კი შეგვინიშნავს როგორ შემოვიდა ოახში ჩვენი აღმზრდელი პროფესორი შოთა მესხია. შემოსულს თვალები მოეჭუტა და იღიმებოდა. არაფერს ამბობდა. ხელში წიგნებისა და ამონაბეჭდების მოზრდილი შეკვრა ეჭირა, რუსთაველის კაბინეტისთვის მოეტანა გადასაცემად.

ჩამოვართვით ეს ტვირთი. ცოტა ხნის შემდეგ წიგნები კაბინეტისკენ მიგვქონდა ჩასაბარებლად. ერთმა გაცრეცილმა წიგნმა მიიქცია ჩემი ყურადღება. *„ვეფხისტყაოსნის“* ცნობილი თარგმანი იყო, შალვა ნუცუბიძისეული. კაბინეტისათვის გადასაცემი ამ წიგნის შიდა ყდაზე მის შემწირველს ასეთი წარწერა გაეკეთებინა – *„თბილისის უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის კაბინეტს უძვირფასესი „ვეფხისტყაოსანი“ ჩემი ბიბლიოთეკისა“*. მასწავლებლის მდიდარ ბიბლიოთეკას რომ ვიცნობ, გამიკვირდა: ამ გაცრეცილ წიგნს რითი უნდა დაემსახურებინა მისი პატრონის ასე გამორჩეული სიყვარული.

აქვთ წიგნებს თავიანთი ბედი. ამ ბედის შესახებ მაშინ შევიტყვე, წიგნის თავფურცლის გრძელ მინაწერს, რომ დავუწყე კითხვა. სტრიქონები ოდნავ წაშლილიყო და მელანიც ალაგ-ალაგ გადასულიყო. ჩავიკითხე სტრიქონები. წარწერის გამკეთებელი, ამჟამად ცნობილი მეცნიერი, ამ *„ვეფხისტყაოსნის“* ბედზე მოგვითხრობდა.

მაშინ ახალგაზრდა ისტორიკოსს, 1941 წელს ომის პირველ დღეებში შეეძინა ეს წიგნი. მერე იგი დიდხანს ეტარებინა ზურგჩანთით ჩრდილო კავკასიის ტრამალებზე. ისტორიკოსს *„ქართლის ცხოვრება“* შინ დაეტოვებინა, შაშხანა და ვაზნები აეღო ხელში და სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩამდგარიყო. *„ვეფხისტყაოსანი“* ყოფილიყო აქ მისი მესაიდუმლე. სხვა რამეც იყო აქ ნათქვამი: სიცოცხლეზე შეყვარებული ახალგაზრდა კაცი იმედოვნებდა, რომ ამ *„ვეფხისტყაოსნით“* ვინმე ერთხელ მაინც მოიგონებდა მაშინ ჯერ კიდევ ყველასათვის უცნობ ქართველ ლეიტენანტს – ამჟამად ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორს, თბილისის უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგეს, პროფესორს, მრავალი თვალსაჩინო ნაშრომის ავტორს... არაფერი მითქვამს მაშინ და ეს წიგნიც ჩუმათ მივაბარე კაბინეტში. ჩუმათვე გამოვედი დერეფანში.

მას შემდეგ დიდხანს მახსენდებოდა ხოლმე ეს მინაწერი, რომელსაც ჩემი მასწავლებლისა და აღმზრდელის ძველი მოგონებები შემოენახა. არავისათვის მიამბნია ამის შესახებ და არც ვაპირებდი, ერთი ამბავი რომ არ შე-

მეტყო. *„ლიტერატურული საქართველოს“* ფუცლებზე გამოქვეყნდა სიმონ არველაძის წერილი: *„ომგადახდილი ვეფხისტყაოსანი“*. ავტორი მოგვითხრობდა ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული ერთი ჯიბის *„ვეფხისტყაოსნის“* შესახებ, წიგნისა, რომელმაც დიდი სამამულო ომის შფოთიან დღეებში განვლო ძნელი გზა ბელორუსიისა და უკრაინის ფრონტებზე. წიგნისა, რომელმაც მოიარა ყუბანი და ქერჩი, კავკასიის მისადგომები, ირანის ქალაქები და უდაბნოები.

ეს რომ წავიკითხე, ისევ გამახსენდა უნივერსიტეტის *„ვეფხისტყაოსანი“* და სწორედ მაშინ დავწყვიტე მომეწერა ეს წერილი თქვენთვის. მართლაც, რამდენიმე ასეთი მინაწერიანი *„ვეფხისტყაოსანია“* დაცული ჩვენს ოჯახებში. რა შესანიშნავი და გულწრფელი ტონით შედგენილი წყარო იქნებოდა ეს მინაწერები ჩვენი ეროვნული აზროვნებისა და ფსიქოლოგიის ისტორიის მკვლევართა, ერთი სიტყვით, უახლესი *„ქართლის ცხოვრების“* შემქმნელთა ხელში. მაშინვე გადავწყვიტე თქვენი ჟურნალის მეშვეობით გამეცნო მკითხველისათვის ამჟამად რუსთველის კაბინეტში დაცული *„ვეფხისტყაოსნის“* მინაწერი, რისთვისაც საგანგებოდ გადმოვწერე იგი.

გთხოვთ გამოაქვეყნოთ ეს ერთი ფურცელი უნივერსიტეტისეული *„ვეფხისტყაოსნის“* ბიოგრაფიიდან.

პატივისცემით **შოთა ბადრიძე**

აი ეს მინაწერი სრული სახით:

„მეშვიდე თვეა დავატარებ რუსთაველის ამ უკვდავ ნაშრომს. ის შემთხვევით შევიძინე ქ. განჯის (კიროვაბადი) ბაზრის ერთ-ერთ კიოსკში, მზისგან გახუნებულ წიგნებს შორის ობლად დარჩენილი ჯერ კიდევ ბრწყინავდა. ეს ერთადერთი წიგნი იყო, რომელიც მე ვიპოვე ქართველთა ნაშრომთაგან კიროვაბადში. ეროვნული სიამაყით გატაცებულმა ეს უკანასკნელი გამოცემაც *„ვეფხისტყაოსნისა“* სიამოვნებით შევიძინე. მაინტერესებდა – ამ გენიალური ნაშრომის ნუცუბიძისეული თარგმანი, რომლის ქება ჯერ კიდევ ადრე მქონდა გაგონილი. რაც მთავარია – წიგნს, ჩემი აზრით, ჩემი ყოფილი სპეციალობის – მეტად საყვარელის – სიმბოლოს როლი უნდა შეესრულებინა... სამხედრო საქმეებით გართულს, მოუცლელს, თარგმანის დაბეჯითებითი გადაკითხვა აღ-

არ შემეძლო, მაგრამ მისი გახსნა, ზოგიერთი ნაწყვეტების ამოკითხვა, წარმოუდგენელ სიამოვნებას მგვრიდა.

.... და როცა გადაწყდა კიდევ უფრო შორს წასვლა სამშობლოდან, მტკიცედ გადავწყვიტე ყველგან, ყოველთვის მეტარებინა იგი და მძიმე წუთებშიც კი გამეხსენებინა ეროვნული კულტურის ამ უდიდესი განძის სამშობლო, მისი წარსული და ამ წარსულის ირგვლივ მოტრფიალე ჩემი საყვარელი სპეციალობა. წიგნი გახდა სიმბოლოდ და მაგიად ჩემთვის. ცხადია, ამ როლის შესრულება ყველა წიგნს როდი შეეძლო, ის სამართლიანად მხოლოდ რუსთაველის ამ უკვდავ შრომას მიეკუთვნა.

მართლაც *„ვეფხისტყაოსანმა“* იარა ჩემთან კიროვაბადიდან ბუგლენამდე (დაღესტანი), მატარებლითა და ფეხით, ბუგლენიდან ყუბანამდე... მთელი ყუბანი ფეხით მოვიარეთ, ერთად, განუყრელად. ჩემს მცირე ჩემოდანში ყოველთვის იყო მისთვის ადგილი. შესვენების დროს მუდმივ მესაუბრებოდა იგი მე და მამხნევებდა თავისი ბრძნული აფორიზმებით. მაგონებდა, რომ არც ისე შორეულ წარსულში თავგამოდებით ვსწავლობდი მის ყოველ სიტყვას და ვცდილობდი ამ უკვდავ მხატვრულ ნაშრომში მეპოვნა მდიდარი მასალა საქართველოს და ქართველი ხალხის გმირული ისტორიისა.

ყუბანიდან მალე – ისევ ფეხით – ქერჩის სრუტე გადავიარეთ და ყირიმის ფრონტზე აღმოვჩნდით. რუსთველის ეს ნაშრომი აქაც ჩემთან იყო და უკვე სხვა ფიქრებით მოცულს მუდამ ჩამძახოდა ყურში *„შიში ვერ იხსნის სიკვდილსა“*. ფრონტმა ჩემოდანი პატარა საბარგო ჩანთით შემაცვლევინა, უადგილობის გამო ბევრი რამ გადავყარე, მაგრამ წიგნი კი ხელუხლებელი იყო. ეს ხომ მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი: მას მხოლოდ ტყვია მომაშორებდა ჩემი ზურგიდან და გონებიდან. და მართლაც, იმ წუთებშიც კი, როცა გერმანელების ტყვიები და ნაღმები მთელი სისასტიკით გვიტევდნენ, ჩემი საბარგო ჩანთა ზურგზე მქონდა აკიდებული და მასში მხოლოდ *„ვეფხისტყაოსანი“* და ჩემთვის ძვირფასი წერილები-ღა იყო.

ორმოცდაორი წლის 14 მარტს, როცა გერმანელი ტყვიით მეც გამიმასპინძლდა და მარჯვენა ბარძაყში დამჭრა, მისუსტებულს ყველაფერი ზედმეტად მეჩვენებოდა და ყველაფერი გადავყარე (ცხვირსახოცებიც კი ჯიბიდან), მაგრამ *„ვეფხისტყაოსანს“* თავისი ადგილი ეჭირა. ზურგით და ხოხვით გადმოვატარე იგი ბრძოლის ველიდან სამშვიდობოს, სადაც უკვე არც ისე ახლო იყო სიკვდილი, რომელიც ასე თვალწინ მედგა მთელი ორი თვის განმავლობაში.

წიგნმა თავისი როლი შეასრულა: მაგიისა და სიმბოლოსი: მას უკვე ფრონტიდან ზურგში წამოსულმა, სხვა მოვალეობა დავაკისრე. იგი შეემატა

ჩემს ბიბლიოთეკას არა მარტო როგორც *„ვეფხისტყაოსანი“*, არამედ აგრეთვე, როგორც მომგონებელი ყოველივე იმისა, რაც გადაგვაწყდა ამ შვიდი თვის განმავლობაში, როგორც მესაიდუმლე და მოწამე. როგორც მამხნევებელი ერთ დროს მძიმე წუთებში მყოფი თავისი პატრონისა.

მე ყველაფერი გადავყარე ფრონტზე (დაჭრის შემდეგ) და აქ ზურგში ჩემი დღიურებიც კი დამეკარგა – ეს-ღა შემრჩა მომგონებელი განვლილი გზებისა. და დაე მან შეასრულოს ყოველივე ეს არა მარტო ჩემთვის, არამედ ყველა იმათთვისაც, ვინც ჩემი ამქვეყნად არყოფნისას დაინტერესებული გადასინჯავს ჩემს ბიბლიოთეკას და სხვა წიგნებს შორის გადაშლის მას და მის პირველ გვერდს, სადაც გავბედე და ეს ორიოდე სიტყვა მივაწერე. მივაწერე უბრალო მდაბიური ენით, ყოველგვარი ნაძალადევი მჭერმეტყველებისა და ფილოსოფოსობის გარეშე. გავა დრო და ეს უბრალო მინაწერიც ამ ძვირფას წიგნზე, თავის მოვალეობას შეასრულებს, ცხადია, ჩემ მემკვიდრეთა და ახლობელთათვის. გაახსენებს მათ, რომ მისი პატრონი მთელს მის სიცოცხლეში იწვოდა რუსთველით, მისი წარმომშობი მხარითა და კულტურით, და რომ ეს უბრალო ადამიანი – მოცადე მის სიღრმეში ჩაწვდომისა. სხვათა შორის, ენათესავებოდა მას – შოთას – სახელით, და შესაძლოა გვარითაც...

შოთა მესხია, კისლოვოდსკი. 5. IV.42 წ.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება.
შოთა მესხია – 100
თბილისი. 2016

შტუდიები

ნესტან სულავა

სახისმეტყველებითი ასპექტები „წმ. კონსტანტი კახის წამებაში“

„წმ. კონსტანტი კახის წამების“ სახისმეტყველების საფუძველი სათაურიდანვე იწყება. თხზულების სრული სათაური, ფაქტობრივად, მოკლე ანოტაციაა: „ცხორებაჲ და წამებაჲ წმიდისა მოწამისა კონსტანტისი ქართველისაჲ, რომელი იწამა ბაბილონელთა მეფისა ჯაფარის მიერ“.[1] ეს სათაური თხზულების ძირითად სიუჟეტსაც მიუთითებს და მასში ასახულ ამბავსაც მოკლედ გვაცნობს. კერძოდ, წმ. კონსტანტის წამებამდე და მის შესახებ ჰაგიოგრაფიული თხზულების დაწერამდე ქართულ ჰაგიოგრაფიაში ასახულ მოწამეთა ნაწილი წარმოშობით არაქართველი იყო: წმ. შუშანიკი, წმ. ევსტათი მცხეთელი, წმ. აბო ტფილელი; ავტორმა სათაურშივე საგანგებოდ სიხარულით აღნიშნა, რომ წმ. კონსტანტი ქართველია. ამიტომ მისი თავდადება ქრისტიანობისათვის სხვა ქართველებისათვის მაგალითი უნდა გახდეს. სათაურში ისიცაა ნათქვამი, რომ თხზულება ჰაგიოგრაფიის ორივე მიმართულების – წამებისა და ცხოვრების შეზავებაა: „ცხორებაჲ და წამებაჲ“, ხოლო კონსტანტი უკვე კანონიზებული წმინდანია. თხზულებაში წმ. კონსტანტის წამებულად ქცევამდე მისი ცხოვრების ქრისტიანული წესი და ლიტურგიული ცნობიერების კვალობაზე ცხოვრებაა აღწერილი, რომელიც წამებით სრულდება, ამიტომაც უწოდა მას ავტორმა „ცხორებაჲ და წამებაჲ“.

თხზულების”ჟანრობრივი რაობის შესახებ კორნელი კეკელიძემ აღნიშნა, რომ მასში დაცულია ყველა ის ნორმა, რასაც ჰაგიოგრაფიული ჟანრის მწერლობა მოითხოვს. ივ. ჯავახიშვილმა თხზულებაში აღწერილი ამბების ისტორიული ღირებულება განსაზღვრა და სანდოობა აღნიშნა: „ეს თხზულე-

[1] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I (V-X სს). დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ. ილ. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბ. 1963, გვ. 165.

ბა უტყუარს ცნობებს შეიცავს და ნდობის ღირსია“.[2] ყოველივე ეს მოწმობს, რომ თხზულება ჰაგიოგრაფიულია და, როგორც ყოველი ჰაგიოგრაფიული თხზულება, ამავე დროს, ისტორიული ღირებულებისაცაა, რადგან მასში IX საუკუნის საქართველოს პოლიტიკურ-იდეოლოგიური, სოციალური, კულტურული ვითარება აისახა.

თხზულების ავტორი – აღმწერი წმ. კონსტანტის ცხოვრებისა და წამებისა. თხზულების ავტორი დასაწყისშივე მიუთითებს, თუ რა მიზნით დაწერა ეს ნაწარმოები და წარმოაჩინა, საზოგადოდ, რა მიზანდასახულობა ახასიათებთ ჰაგიოგრაფიულ თხზულებებს. „მეფენი მის ჟამისანი“ მორწმუნეებს ქრისტეს რჯულისაგან განდგომას და მაჰმადიანობის მიღებას აიძულებდნენ. სწორედ ამგვარ დროს გამოჩნდებოდნენ ქრისტიანები, რომლებიც, საღმრთო შურით აღჭურვილნი, მთელ ერს, მთელ საქრისტიანოს რჯულის დასაცავად მაგალითს აძლევდნენ და მისთვის ეწამებოდნენ კიდეც. წმინდა მოწამეთა ღვაწლი და დამსახურება ქრისტიანული რელიგიის წინაშე კაცობრიობას რომ შემონახვოდა, აღმოჩნდებოდნენ მწერალი-ჰაგიოგრაფებიც, რომლებიც წმინდანთა ცხოვრებასა და წამებას საღმრთო შურით აღჭურვილთა მიბაძვად აღწერდნენ და შთამომავლობას უტოვებდნენ „აღსაბაძველად“. მომავალ თაობებს წინაპართა თავდადება, ღვაწლი, სარწმუნოების დასაცავად თავგანწირვა და მოწამედ აღსრულების ამბავი უნდა სცოდნოდა, რათა საჭიროებისას მასაც იგივე გაეკეთებინა და სულიერი სიმტკიცის ფასად რჯულისა და მამულისათვის თავი გაეწირა. ამ მიზეზის გამო შექმნა უცნობმა ავტორმა „წმ. კონსტანტის ცხორება და წამება“. თხზულების ავტორმა ჰაგიოგრაფიული ჟანრის სპეციფიკის კვალობაზე საგანგებოდ აღნიშნა საკუთარი უძლურება: „მეცა არაღირსმან... აღვწერე ცხორებაჲ და წამებაჲ წმიდისა და ნეტარისა მოწამისა კონსტანტისი, რომელი იყო დღეთა ჩუენთა“;[3] თავის მხრივ, ამ ფრაზას ლიტერატურულ-ისტორიული ღირებულებაც აქვს, რადგან ჩანს, რომ ავტორი კონსტანტის თანამედროვე იყო, ხოლო წმ. კონსტანტი აწამეს „მეფობასა ღმრთის-მსახურისა თეოდორა დედოფლისა, რომელ-იგი მეუფებდა სამეფოსა ბერძენთასა, ვიდრეიგი ყრმა-ღა იყო ძჱ იგი მისი მიქაელ“.[4] ამ ეპიზოდის შემოტანის გამო, სხვა დეტალებთან ერთად, ყურადღებას იქცევს თხზულების კომპოზიცია. მასში

[2] ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. თხზულებანი. ტ. VIII. თბ. 1977, გვ. 90.
[3] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I, გვ. 165.
[4] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I, გვ. 165.

ჩართულია ბიზანტიის დედოფლის თეოდორას ეპისტოლე, რომელიც თხზულებაში ასახულ ამბავს ერთგვარად ავსებს: იგი განსაზღვრავს წმ. კონსტანტის წამების მნიშვნელობასა და ბიზანტიის დამოკიდებულებას საქართველოსადმი, ამავე დროს, წარმოდგენას გვიქმნის ბიზანტია-საქართველოსა და ბიზანტია-არაბეთის სარწმუნოებრივ და სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ურთიერთობაზე. ეპისტოლედან ნათლად ჩანს, რომ ბიზანტიის დედოფალი ბიზანტიის იმპერიის პოლიტიკას აგრძელებს და საქართველოს კვლავ თავისი პოლიტიკური გავლენის სფეროში მოქცეულ ქვეყნად განიხილავს. ეს ის პერიოდია, როდესაც ბიზანტიაში ხატთა თაყვანისცემა უკვე ათიოდე წლის აღდგენილია: დედოფალმა „განწმინდა საბერძნეთი ყოველი საცთურისა მისგან, რომელი იყო დღეთა ქმრისა მისისათა, ხატის ურწმუნოებისა. და განამტკიცა ღუაწლი ბერძენთაჲ და მრავალნი ჭალაკნი აღაშჱნა, რომელნი მოოჴრებულ იყვნეს აგარიანთა მიერ“.[5] ავტორის სიტყვების გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ ბიზანტია ქრისტიანობის ძველ ტრადიციულ გზასა და გეზს დაუბრუნდა, ხოლო საქართველოს ეს გზა-გეზი არასოდეს დაუკარგავს. ორი საუკუნის შემდეგ წმ. გიორგი მთაწმინდელმა ანტიოქიის პატრიარქთან პოლემიკისას საგანგებოდ გამოყო საქართველოს ეკლესიის არა მხოლოდ ავტოკეფალურობა, არამედ ისიც ამაყად განაცხადა, რომ ქართულ ეკლესიას არასოდეს შეხებია მწვალებლობის ბიწი. ამაში ქრისტიანული სარწმუნოების დაცვისათვის წამებულ წმ. კონსტანტისაც მიუძღვის წვლილი.

საქართველოში არაბების ბატონობის დროს თბილისის ამირა საჰაკი წლების განმავლობაში ცდილობდა თბილისი ხალიფასაგან დამოუკიდებლად ემართა. 853 წელს ალ-მუთავაქილმა სომხეთში არაბების წინააღმდეგ მიმდინარე აჯანყების ჩასაქრობად ბუღა თურქი გაგზავნა. აჯანყების ჩახშობის შემდეგ ბუღამ თბილისისაკენ გაილაშქრა, საჰაკი დაამარცხა და მოკლა კიდეც. ეს ამბები „ქართლის ცხოვრებაშია“ აღწერილი და ატენის სიონის წარწერაც ამასვე მოწმობს. ამ საკითხის შესახებ ცნობილია უცხოური წყაროებიც, კერძოდ, არაბ ისტორიკოსთა თხზულებები.

თხზულებაში ასახულია ეპოქა, როდესაც ქართლს, საზოგადოდ, მთელ საქართველოს, არაბები დაესხნენ თავს და ქვეყანა უდიდესი განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა. ესაა IX საუკუნის შუა წლები, კერძოდ, 853 წელი, როდესაც არაბთა ხალიფამ ბუღა თურქის მეთაურობით საქართველოში ლაშქარი

[5] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I, გვ. 165.

წარმოგზავნა. ამ დროს ქართლის დიდი ნაწილი და დედაქალაქი თბილისი ისედაც არაბთა ხელთ იყო, უკვე საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში. სწორედ ამდროინდელ ამბავს, IX საუკუნის 50-იანი წლების ამბავს, ასახავს ანონიმი ავტორის ჰაგიოგრაფიული თხზულება „წმ. კონსტანტის წამება“. ამიტომ მას საისტორიო მნიშვნელობაც ენიჭება, რადგან იგი IX საუკუნის საქართველოს პოლიტიკურ-სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ ვითარებას გვაცნობს. თხზულების დასასრულს ავტორი ჰაგიოგრაფიული ჟანრისათვის დამახასიათებელი მეტაფორულობით აღნიშნავს: „და ესე მრავლისაგან მცირედი აღიწერა სიმჴნეთაგანი წმიდისა კონსტანტისი, რაჲთა იყოს თქუმული ესე შემოკლებულ და სრულ, რაჲთა არა იყოს შემაწუხებელ ნაკლულევანებითა, არცა ნამეტნავ განგრძობითა, სადიდებელად მამისა და ძისა და წმიდისა სულისა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამჱნ“.[6] ეს მწერლის სტილია, ჰაგიოგრაფი მწერლის სტილური მახასიათებელი, რომელსაც ჰაგიოგრაფები ხშირად მიმართავენ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჰაგიოგრაფის დამოკიდებულება თხზულებაში ასახული ამბისადმი, რომელიც მისივე შეფასებით უნდა იყოს სრულყოფილი და ლაკონიური, რათა არც მისმა სიტყვამრავლობამ შეაწუხოს მკითხველი, არც მისმა სიტყვანაკლულობამ წარმოშვას უკმარისობის გრძნობა. ჰაგიოგრაფიის სტილი სიზუსტეს, ლაკონიურ თხრობას, სიტყვის მაქსიმალურად სიმბოლურ დატვირთვას მოითხოვს, რათა მკითხველს//მსმენელს შეაგრძნობინოს და შეაცნობინოს უმთავრესი: დაუსახოს გზა სულიერი სრულყოფისაკენ, ზეცათა მოქალაქობის მოპოვებისაკენ, განღმრთობისაკენ, შეუმსუბუქოს ტვირთი წამებისა და მოწამის გვირგვინით შემკულს „ნათელსა მას ზეშთა საუკუნეთასა“ დაუკვიდროს ადგილი.

თხზულების სიუჟეტი ჰაგიოგრაფიისათვის ჩვეულ კომპოზიციას მიჰყვება: ქართლში ბუღა თურქის ლაშქრობის დროს ტყვეთა შორის აღმოჩნდა 85 წლის კონსტანტი, ერისთავი, რომელიც ნაწარმოებში მოხსენიებულია როგორც კონსტანტი კახი: „რომელსა ეწოდა კახი სახელად მამეულისა მის ქუეყანისა“.[7] აქედან ჩანს, რომ იგი წარმოშობით კახეთიდან იყო. საინტერესოა ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება წმინდანის სახელის შესახებ, რადგან მას მიაჩნია, რომ კონსტანტი შემოკლებული სახელია, ხოლო ქართველ მოწამეს „ეწოდა კახაჲ სახელად მამულისა მის ქუეყანისა“, რის გამოც ფიქრობდა,

[6] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I, გვ. 170.
[7] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I, გვ. 165.

რომ „მას ნათლობის სახელად საქრისტიანო კონსტანტინე რქმევია, ხოლო შინაურებში და ჩვეულებრივ მას ალბათ ძველს ქართულს, წარმართულს სახელს კახას ეძახდნენ“.[8] ცხადია, რომ კონსტანტი შემოკლებულია და კონსტანტინესაგან მიღებული სახელია. თუმცა საფიქრებელია, რომ კახა//კახაჲ//კახი უფრო ტომის აღმნიშვნელი შეიძლება იყოს და არა წარმართული საკუთარი სახელი კახა, როგორც ამას ივანე ჯავახიშვილი ვარაუდობდა. თხზულების ავტორი წმ. კონსტანტის ქართველობას სათაურშივე აღნიშნავს, ხოლო მისი კახობა, როგორც ამას ზემოთ დამოწმებული ციტატა მიუთითებს, მამაპაპეული თვისტომობის აღსანიშნავად შემოაქვს. „მამულისა მის ქუეყანისა“ იმითაც შეიძლება იყოს შთაგონებული, რომ წმ. კონსტანტი ქართველია, მისი წინამორბედი რამდენიმე წმინდანი კი ტომით არ იყო ქართველი, კერძოდ წმ. შუშანიკი, წმ. ევსტათი, წმ. რაჟდენი, წმ. აბო.

ნეტარ კონსტანტის უყვარდა ეკლესია-მონასტრები და მღვდელ-მონაზვნები, უხვად გასცემდა მოწყალებას და „ზრდიდა მშიერ-მწყურვალთ და ქვრივ-ობლებს“. საჰაკს, არაბთა ამირას, აფხაზეთის მეფე უჭერდა მხარს; სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ კონსტანტი აფხაზთა მეფის ბანაკში იყო; ბაგრატ კურაპალატი, ძე აშოტ დიდი კურაპალატისა, აფხაზთა მეფისაგან განსხვავებით, თბილისის ამირას წინააღმდეგ ხალიფას მხარეზე იყო. კონსტანტი 26 აგვისტოს თბილისის ციხეში ჩასვეს და მაჰმადიანობის მიღება მოსთხოვეს: „მოიქეც ცთომილებისაგან შენისა, და მიიღო ჩემგან კეთილი და უაღრჱსი პატივი, და გყო შენ თანამზრახველად ჩემდა და უდიდებულჱს ყოველთა მოყუასთა შენთა და უკუეთუ არა ისმინო ჩემი, სიკუდილითა მოჰკუდე შენ პირითა მახჳლისაჲთა და ჰორცნი შენნი მივსცნე საჭმელად მფრინველთა ცისათა“.[9] ცხადია, წმ. კონსტანტიმ უარი განაცხადა, რის შემდეგაც ბაბილონის სამეფოში ქალაქ სამარიაში გაგზავნეს; 853 წლის 10 (23) ნოემბერს კონსტანტი სიკვდილით დასაჯეს და თავი მოჰკვეთეს. ასე ვითარდება თხზულების სიუჟეტი.

როგორც კორნელი კეკელიძემ მიუთითა, „წმ. კონსტანტი კახის წამება“ IX საუკუნეზე გვიანდელი არაა, რადგან წმინდა კონსტანტისადმი მიძღვნილი საგალობლები, რომლებიც მიქაელ მოდრეკილის კრებულშია (978-988) შეტანილი, მიქაელს თვითონ არ შეუთხზავს, არამედ ადრეული ნუსხებიდან

[8] ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 87-88.
[9] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I, გვ. 168.

გადაუწერია. კორნელი კეკელიძის მიერ წმ. კონსტანის შესახებ შექმნილი ჰაგიოგრაფიული და ჰიმნოგრაფიული თხზულებების შედარებიდან კი ირკვევა, რომ საგალობლების ავტორი იცნობდა „წმ. კონსტანტი კახის წამებას“, რაც ჰაგიოგრაფიული თხზულების დასათარიღებლად მნიშვნელოვანი არგუმენტია. საგალობლების შესახებ გამოთქმულია მოსაზრება, რომ ისინი IX საუკუნის ბოლოს მაინც უნდა იყოს შექმნილი.[10] კ. კეკელიძე მიიჩნევდა, რომ ჰიმნოგრაფი „წამების“ ტექსტით სარგებლობდა; ის, რაც „წამებაში“ ვრცლადაა მოთხრობილი და დეტალურად გადმოცემული, საგალობელში მოკლედ, ჰიმნოგრაფიისათვის დამახასიათებელი სტილით არის ასახული, მოწამის სათნოებანი ზოგადად არის ნაჩვენები; ამ გადმოცემისას იგრძნობა, რომ ჰიმნოგრაფი „კონსტანტი კახის წამების“ დეტალებს კარგად იცნობს. მიქაელ მოდრეკილის კრებულში წმ. კონსტანტისადმი მიძღვნილი საგალობლის ტექსტი სრულად არ არის მოთავსებული, რასაც XI-XII საუკუნეების ხელნაწერული მონაცემები მოწმობს. მაგ., კრებულში არაა გადაწერილი პირველი ჰიმნის შემდგომი საგალობელი – „რომელი ვითარცა ცხოარი მწყემსისა კეთილისაჲ გმობითა განეშორე“.[11] კ. კეკელიძის დაკვირვებით: „ეს ჰიმნები რომ მიქელს შეეთხზა, ის ვერც ამ საგალობელს გამოსტოვებდა თავის ავტოგრაფში და ვერც აღნიშნულ შეცდომებს დაუშვებდა; მაშასადამე, მას ხელთ ჰქონია სხვა, უფრო ძველი ნუსხა, რომელშიც ადგილი ჰქონია ამ შეცდომებს. სანამ ამ ჰიმნებში ასეთი შეცდომები დაკანონდებოდა, რასაკვირველია, გადაწერის პროცესში კარგა ხანს უნდა გაევლო, ამისთვის საჭირო იქნებოდა არანაკლებ ერთი საუკუნისა მაინც“.[12]

კ. კეკელიძე და ი. ჯავახიშვილი თხზულების ავტორობასთან დაკავშირებით ფიქრობდნენ, რომ ავტორი ქართულ სამყაროს მაინცდამაინც კარგად არ იცნობდა და ამიტომ დასვეს კითხვა, ხომ არ შეიძლებოდა იგი საბერძნეთში მოღვაწე რომელიმე ბერი ყოფილიყო. კ. კეკელიძე წერს: „ვინ არის ავტორი არ ვიცით; თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ის კონსტანტის წამებას ათარიღებს ბერძენთა იმპერატორის მეფობით და თან მთელი მისი ეპისტოლე მოჰყავს, სადაც ხაზგასმულია ბერძენთათვის სასურველი ურთიერთობა ქართველებთან, რომ ის დაწერილებით არ აგვიწერს არამცთუ საქართველოს მდგომარეობას კონსტანტის 85 წლის სიცოცხლეში, არამედ თვით

[10] კ. კეკელიძე. კონსტანტი კახის მარტვილობა და ვინაობა. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ. I. თბ. 1956, გვ. 143-144.
[11] კ. კეკელიძე. კონსტანტი კახის მარტვილობა და ვინაობა, გვ. 144.
[12] კ. კეკელიძე. კონსტანტი კახის მარტვილობა და ვინაობა, გვ. 144.

მის ამბავსაც ძალიან მოკლედ გადმოგვცემს, – შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ მარტვილობის ავტორი არის საბერძნეთში მყოფი რომელიმე ბერი, ანდა დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთში მკვიდრი რომელიმე მწერალი“.[13]

თხზულების წყაროები. როგორც ყველა ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში, „წმ. კონსტანტი კახის წამებაშიც“ წყაროებად, უწინარეს ყოვლისა, ბიბლიური წიგნები უნდა დასახელდეს, რადგან მასში არა მხოლოდ ციტირებულია ძველი და ახალი აღთქმის მუხლები, არამედ მთელი თხზულება ბიბლიური სახისმეტყველებითაა გამსჭვალული და წმინდანის ხატ-სახე ავტორის მიერ ბიბლიურ-ჰაგიოგრაფიული ჰიპოდიგმურ-პარადიგმული სტრუქტურით აისახება. თხზულებაში შეინიშნება 381 წელს კონსტანტინოპოლში მეორე მსოფლიო საეკლესიო კრებაზე მიღებული „მრწამსის“ ტექსტისა და ქრისტიანული ლოცვების დამოწმებები, კერძოდ, გამოყენებულია ლოცვა მიცვალებულთათვის, რაც იმას მოწმობს, რომ ავტორი პერსონაჟს, წმინდანს ლიტურგიული ცნობიერების კვალობაზე წარმოაჩენს.

კ. კეკელიძის დაკვირვებით, ავტორს გამოუყენებია ალექსანდრიის პატრიარქის, გიორგის (616-630) მიერ დაწერილი „წმ. იოანე ოქროპირის ცხოვრება“, რომლის ქართული თარგმანი შემონახულია 977-980 წლებში ოშკის ლავრაში საბას მამასახლისობისას იოანე-თორნიკესა და იოანე-ვარაზვაჩესათვის იოანე ჩირაქს ხელით გადაწერილ ხელნაწერში, რომელიც ათონის ქართულ მონასტერში გადასატანად გადაეინუსხა. როგორც კ. კეკელიძემ აღნიშნა, „წმ. კონსტანტი კახის წამების“ ავტორს შესავლის წერისას პატრიარქის, გიორგი ალექსანდრიელის, დაწერილი წიგნით უსარგებლია. მასში ლაპარაკია იმის შესახებ, თუ როგორ გაჩნდა საღმრთო წიგნები და შემდეგ წმიდანთა „ცხოვრებანი“, რომელთა მიბაძვითაც შეუქმნია ავტორს კონსტანტი კახისადმი მიძღვნილი წიგნი,[14] კერძოდ, საუბარი შეეხება თხზულების შესავალ ნაწილს, I თავს, სადაც შესაქმის, გამოსლვათა, სახარებათა და საქმე მოციქულთა წიგნების შესახებ არის მსჯელობა. „წმ. კონსტანტი კახის წამების“ ერთ-ერთ წყაროდ კ. კეკელიძემ იოვანე საბანის ძის თხზულებაც მიიჩნია, რადგან დასაწყისშივე ორიენტირებულია საღვთისმეტყველო პრობლემებზეა საუბარი, ხოლო ავტორის საღვთისმეტყველო ცოდნა და მსოფლმხედველობა წმ. კონსტანტი კახის შესახებ დაწერილ წამებაშიცაა არეკლილი.

[13] კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, გვ. 521.
[14] კ. კეკელიძე. კონსტანტი კახის მარტვილობა და ვინაობა, გვ. 521.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ თხზულებაში პოლემიკური ნაკადი აისახა. არაბთა მეფესა და წმ. კონსტანტის შორის გაიმართა პოლემიკა, რომელიც დოგმატურ საკითხებს შეეხებოდა. სწორედ ამ მონაკვეთში შეინიშნება ავტორის მიერ მაჰმადიანობის უპირველესი წიგნის „ყურანის“ ცოდნა, მას ქრისტიანმა ავტორმა წმ. კონსტანტის მიერ ახალი აღთქმის დოგმათა ღრმა ცოდნა დაუპირისპირა, რაც თხზულებაში ჰაგიოგრაფიისათვის დამახასიათებელი შეპირისპირების მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხითაა წარმართული.

პერსონაჟები, სახისმეტყველება. წმ. კონსტანტი თხზულების მთავარი პერსონაჟია და სხვა პერსონაჟები მის ირგვლივ მისი სახის სრულყოფილად წარმოსასახავად არიან შემოყვანილნი. ისინი წმ. კონსტანტის ხატ-სახის საჩვენებლად ფონს ქმნიან.

წმ. კონსტანტი, რომლის შესახებ თხზულების სახელწოდებაშივე აღინიშნა, რომ იგი ქართველია, ჭეშმარიტი ქრისტიანი იყო, გულწრფელი სიყვარულით ემსახურებოდა მონასტრებსა და ეკლესიებს, ასევე, ქვრივ-ობლებს, ყველა გლახაკს იწყნარებდა და გაიკითხავდა. კონსტანტის ამ ღვაწლის წარმოსაჩენად ავტორმა ევანგელური მოძღვრებით შთაგონებული შედარება გამოიყენა: „ესე ნეტარი შემკობილ იყო ორ-კერძოჲთავე მით საქმითა, ვითარცა ხჱ ფურცლითა და ნაყოფითა“.[15] დავიმოწმებთ მუხლს ლუკას სახარებიდან: „რამეთუ თითოეული ხე თჳსისაგან ნაყოფისა საცნაურ არს“ (ლუკა, 6, 44), რომელიც წმ. კონსტანტის სულიერ ღვაწლასა და სიწმინდეზე მიუთითებს. თხზულების ავტორი გვამცნობს, თუ რა კეთილი ნაყოფის მომცემი იყო თვით ნეტარი კონსტანტის მოღვაწეობა და მის მიერ ჩადენილი კეთილი საქმეები ამ კაცის სულიერ სიწმინდეზე მეტყველებდნენ. ნეტარი კონსტანტის „ორ-კერძოჲთავე მით საქმითა“ შემკობა სასულიერო და საერო პირთა მიმართ დახმარებას, თანაგრძნობას, თანალმობას მოწმობს.

ავტორმა აღწერა, თუ როგორ ემსახურებოდა კონსტანტი თავის ერს, ნათესავებს, შორი ქვეყნიდან მოსულ სასულიერო პირებს, ბერ-მონაზვნებს, გლახაკებს, დავრდომილებს, ყველას, ვინც დახმარებასა და თანადგომას საჭიროებდა: „და კუალად აქუნდა ნეტარსა მას სარწმუნობაჲ მღდელთ მოძღუართა მიმართ და ყოველთა მოწესეთა ეკლესიისათა, ვითარცა იგი ღირს არს და მართალ და უყუარდეს მონაზონნი და აქუნდა მათა მიმართ სარწმუნოებაჲ, და მოსწრაფე იყო მსახურებასა მათსა“.[16] თხზულებაში წმ. კონსტანტი სტუ-

[15] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I, გვ. 165.
[16] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I, გვ. 165.

მართმოყვარეობისა და გლახაკთმოწყალების ნიჭითაა წარმოდგენილი, რაც ქრისტიანული ცხოვრების აუცილებელ წესად იყო მიჩნეული. მხატვრული დონის გათვალისწინებით ნაწარმოებში აღწერილი ეს ეპიზოდი ერთ-ერთი საუკეთესოა, რადგან იგი წმ. კონსტანტის სულიერ მდგომარეობას, კეთილი საქმისათვის თავდადების მზაობას გამოხატავს: „ვინ, სადა ვინ მივიდა მისა მშიერი, ანუ წყურიელი, და არამცა განაძღო იგი, ანუ შიშუელი და არა შემოსა იგი სიხარულით?! მრავალნი მოივლტიედ მისა შორით ქუეყანით ლტოლვილნი თანამდებთა თჳსთაგან, ხოლო მან მხიარულებითა დიდითა გარდაჰჴადის თანანადები იგი მათი. ვინ-ა სადა იხილა ობოლი, გინა ქურივი, და არა მსწრაფლ იღუაწა იგი?! და ამას ყოველსა თანა ფრიად მოღუაწე იყო იგი ნაკლულევანთათჳს სახლისა თჳსისათა“,[17] რაც პავლე მოციქულის ტიმოთეს მიმართ ეპისტოლიდან ერთი მუხლის სიბრძნითაა განმარტებული და მოტივირებული: „ხოლო უკუეთუ ვინმე თჳსთა და უფროსღა სახლეულთა არა მოღუაწე იყოს, სარწმუნოებაჲ უარ-უყოფიეს და არს იგი ურწმუნოჲსა უძჳრეს“ (ტიმ. 5, 8). შიშველთა შემოსვა, მშიერთა და მწყურვალთა დაურვება ევანგელური სიბრძნიდან მომდინარეობს, რაც ყოველ ქრისტიანს ბავშვობიდანვე უნდა ჰქონოდა შეთვისებული და ცხოვრების აზრად ქცეული. ჰაგიოგრაფიული თხზულებიდან ზემოთ დამოწმებული მონაკვეთი ჰომილეტიკისათვის დამახასიათებელი ქრისტიანული რიტორიკული სტილის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად შეიძლება მივიჩნიოთ.

საგულისხმოა, რომ თხზულებაში უპირველესი ქრისტიანული ლოცვის „მამაო ჩვენოს“ ელემენტებიც აისახა. ავტორმა რიტორიკული სტილის გამოყენებით ქება შეასხა წმ. კონსტანტის, რომლის ხატ-სახე, როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანისა, ნათლად წარმოაჩინა და იდეალური თვისებებით შემკული დახატა. საზოგადოდ, ჰაგიოგრაფი-ავტორი ბიბლიური ჰიპოდიგმურ-პარადიგმული ხატ-სახეებითა და პრინციპებით მსჯელობს, ბიბლიურ ციტატებსა თუ რემინისცენციებს იყენებს; თავად წმ. კონსტანტი საოცარი თავმდაბლობით, სისადავით, აგრეთვე, წინასწარმეტყველებით გამოირჩევა, რადგან ყოველთვის გამოხატავდა მზადყოფნას ქრისტიანობის დასაცავად სისხლის დათხევისათვის: „არა ვინაჲ ვესავ მოტევებასა ცოდვათასა, გარნა დათხევითა სისხლთა ჩემთაჲთა მისთჳს, რომელმან იგი დასთხივნა სისხლნი ჩუენთჳს“.[18] ავტორი

[17] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I, გვ. 165.
[18] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I, გვ. 166.

მას ნეტარებათა ყველა ნიშნის მფლობელად ხატავს, რითაც პერსონაჟის ლიტურგიული ცნობიერება წარმოჩნდება და თვით ავტორის ლიტურგიულ მრწამსსაც გვაცნობს. ამის ერთ-ერთი მოწმობაა მისი იერუსალიმში წასვლაც: „გული უთქუმიდა ტაძარსა მას მისლვად იერუსალჱმდ, და თაყუანისცემად წმიდასა გოლგოთასა, რადა-იგი იქმნა განახლებაჲ ჩუენი მარჯუენისაგან მაღლისა და ნათლით შემოსილისა და ცხორების მომცემელისა საფლავისა და წმიდისა სიონისა, დედისა ეკლესიათაჲსა“, რათა მოეხილა და მოელოცა ის ადგილები, „ყოველთა წმიდათა ადგილთა, რომელთა დადგეს ფერჴნი უფლისანი“.[19] წმ. კონსტანტი ღმერთს ჰმადლობდა, რომ იგი ღირსი გახდა წმინდა ადგილთა ხილვისა: „და მოილოცნა წმიდანი იგი ადგილნი, და საფასჱ დიდძალი მისცა ეკლესიათა, გლახაკთა და მკჳდრთა იერუსალჱმისათა“, „მოვლნა ყოველნი მონასტერნი უდაბნოჲსანი და მკჳდრნი იორდანისანი“,[20] რომელთაც „მრავალი განსუენებაჲ და ნუგეშინის-ცემაჲ მიემადლა“.[21] თვით იქაურმა მკვიდრმა ბერებმაც დიდძალი წყალობა გასცეს წმინდანზე და სამშობლოში მშვიდობიანად წარგზავნეს. წმ. კონსტანტი საქართველოში დაბრუნების შემდეგ იერუსალიმში ყოველწლიურად გზავნიდა სამი ათას ვერცხლს წმინდა ადგილებისა და გლახაკების გასაკითხად, რასაც ავტორი პავლე მოციქულის სწავლებით ხსნის: „ნამეტნავი ეგე თქუენი იყავნ ნაკლულევანთა მათთჳს, რომელნი არიან იერუსალჱმს, რაჲთა მათიცა იგი ნამეტნავი იყოს თქუენისა მის ნაკლულევანებისათჳს“ (კორ. 8, 14). ეს იყო წმ. კონსტანტის სულიერი ღვაწლი და მატერიალური წვლილი, რაც მომავალში ზესთასოფელში უფალთან ადგილს დაუმკვიდრებდა.

მომავალ ქართველ წმინდანს საკუთარი თავი უცოდველესად მიაჩნია, რაც მისი ლიტურგიული ცნობიერების გამოხატულებაა, რადგან მთელი ერის ცოდვათა მტვირთველად წარმოგვიდგება. საზოგადოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი ცნობიერება ჰაგიოგრაფიულ და ჰიმნოგრაფიულ თხზულებებს ახასიათებთ. ნიმუშად წმ. ანდრია კრიტელის „დიდი კანონისა“ და დავით აღმაშენებლის ჰიმნოგრაფიული კანონის დასახელებაც საკმარისი იქნებოდა. წმ. კონსტანტი ოთხმოცდახუთი წლის ასაკში იყო, როდესაც ქართლს არაბები დაესხნენ თავს, მოაოხრეს მთელი ქართლი, ყოველი კუთხე ქვეყნისა; ცხადია,

[19] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I, გვ. 166.
[20] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I, გვ. 166.
[21] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I, გვ. 166.

სარწმუნოებრივი თვალსაზრისითაც ქვეყანას დიდი საფრთხე დაემუქრა; ფაქტობრივად, საქართველო სარწმუნოებრივი და ეროვნული გადაგვარების წინაშე დადგა. ამგვარი განსაცდელის ჟამს ღმერთი ქვეყანას ყოველთვის მოუვლენდა მეოხსა და სულიერ მხსნელს წმინდანის სახით, სწორედ ამგვარ ჟამს გამოჩნდებოდა მოწამე, რომლის ღვაწლი მთელ ქვეყანას განეფინებოდა. ასეთად მოევლინა საქართველოს IX საუკუნის შუა წლებში მოწამე წმ. კონსტანტი კახი, რომლის ქრისტესთვის მოწამეობა ღვთის წინასწარგანზრახულებით, განგებით აღსრულდა. ყოველივე ეს იმას ნიშნავდა, რომ წმ. კონსტანტის ჟამი დამდგარიყო. საზოგადოდ ენაწყლიანი ავტორი ამ შემთხვევაში საკმაოდ სიტყვაძუნწი აღმოჩნდა და წმ. კონსტანტის არაბთაგან შეპყრობის კონკრეტულ მიზეზს არ გვამცნობს. მხოლოდ იმას გვიყვება, რომ მთელ ქართლში დიდი ლაშქარი („წყობანი დიდნი“) შემოვიდა და მრავალი ქრისტიანი, რომლებიც ქრისტეს რჯულის ერთგულნი იყვნენ და მისი შენარჩუნებისათვის იბრძოდნენ, მოწყლეს და ამოხოცეს. ბევრიც პატიმარყვეს და არაბთა ჯარის მეთაურს მიჰგვარეს. მათ შორის იყო წმ. კონსტანტი ქართველი. „შეიპყრეს ჴელად ვითარცა წინამძღუარი და წარჩინებული ყოველსა ქუეყანასა ქართლისასა და პირველი ნათესავთა მისთაჲ, და შებორკილეს იგი და ეგრეთ წარიყვანეს ქალაქად ტფილისად და შეაყენეს იგი საპყრობილესა“.[22] წმ. კონსტანტი „არა შეშინდა, არცა შეძრწუნდა, არამედ სიხარულით შეიწყნარა მოწევნული იგი მას ზედა და ჰმადლობდა იგი უფალსა“;[23] საგულისხმო ფაქტია, რომ წმ. კონსტანტიც, სხვა მოწამე წმინდანთა მსგავსად, მოსალოდნელ განსაცდელს სიხარულით ეგებება და აქ უთუოდ გაგვახსენდება წმ. კონსტანტის წინამორბედი რამდენიმე წმინდანი წმ. შუშანიკ დედოფალი, წმ. ევსტათი, წმ. აბო და სხვ. თავდაპირველად იგი „მძლავრის მის“ ბუღას წინაშე წარადგინეს, რომელმაც საყვედურით მკაცრი სიტყვებით მიმართა, რათა დაეფრთხო და შეეშინებინა: „ანუ არა უწყოდე შენ, რამეთუ განრინებად იყავ სიცილტოლითა შენითა ჴელთაგან ჩემთა, რამეთუ არავინ არს განდგომილთაგანი, რომელსაცა არა ვსძლე“.[24] „მძლავრის მის“ – ასე ამკობს თხზულების ავტორი მტარვალ ბუღა თურქს და ამ მეტაფორით იოანე საბანის ძის თხზულებაში წარმოსახულ ქრისტიანული ლიტერატურისათვის დამახასიათა-

[22] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I, გვ. 167.
[23] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I, გვ. 167.
[24] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I, გვ. 167.

ებელი სახისმეტყველებით ნაჩვენებ მტარვალის სახეს ამსგავსებს. იშვიათი სიმხნით, საკუთარი ერის ცოდვათა კისრებითა და შეგნებითაა აღსავსე სანატრელი კონსტანტის მიერ ბუღა თურქისათვის გაცემული პასუხი: „მეცა უწყი, ვითარმედ ღმერთმან მიგუცნა ჴელთა თქუენთა, არამედ არა სიყუარულისა თქუენისათჳს, არცა საქმეთა თქუენისათჳს კეთილთა, არამედ რამეთუ არა დავიმარხენით ჩუენ მცნებანი მისნი; ამისათჳსცა ნათესავითა მით ურჩებისაჲთა განგუკაფნა ჩუენ, რამეთუ მრავალგზის ისრაჱლიცა მისცის უფალმან ჴელთა უცხო თესლთასა, რაჟამს არა ვიდოდიან იგინი გზათა მისთა. ხოლო ჩემდა კეთილ არს, რამეთუ დამამდაბლა მე უფალმან, რაჲთა დავიმარხნე მცნებანი მისნი“.[25] წმ. კონსტანტის სიტყვები ფსალმუნური და ევანგელური სწავლებებითაა შთაგონებული: „რომელმან დაიმდაბლოს თავი თ სი, ვითარცა ყრმაჲ ესე, იგი უფროჲს იყოს სასუფეველსა ცათასა“ (მათე, 18, 4); „უკუეთუ მცნებანი ჩემნი დაიმარხნეთ, ჰგიეთ სიყუარულსა ზედა ჩემსა, ვითარცა მე მცნებანი მამისა ჩემისანი დავიმარხენ და ვჰგიე სიყუარულსა ზედა მისსა“ (იოანე, 15, 10). წმ. კონსტანტიმ იცოდა, რომ ქართველი ერი არაბთა ხელით საკუთარი ცოდვის გამო ისჯებოდა: „და სიმჴნით დაითმენდა იგი უკეთურისა მის მძლავრებათა, რამეთუ ეჴსენა მას სიტყუაჲ იგი ღმრთისაჲ, რომელსა იტყჳს: „ნეტარ იყვნეთ თქუენ, რაჟამს გდევნიდენ და გყუედრიდენ, და თქუან ყოველი სიტყუაჲ ბოროტი თქუენდა მომართ სიცრუვით ჩემთჳს“,[26] ხოლო ერთი ადამიანის ცოდვაც კი მთელ ერზე ვრცელდება და მთელი ერის ცოდვის გამოსყიდვა კი მსხვერპლშეწირვით, მხოლოდ წმინდა სისხლის დაღვრით შეიძლება. წმ. კონსტანტისთვის სულიერი გზამკვლევი ფსალმუნისა და მათე მახარებლის სიტყვებია: „ნეტარ იყვნეთ თქუენ, რაჟამს გყუედრიდენ და გდევნიდენ და თქუან ყოველი სიტყუაჲ ბოროტი თქუენდა მომართ სიცრუვით ჩემთჳს“ (მათე, 5, 11), მას მუდმივად ახსოვს, რომ ნეტარია ის, ვინც ქრისტიანობისათვის ტანჯვას დაითმენს.

აუცილებელია მცირეოდენი ექსკურსი წმ. კონსტანტის წამების ადგილის შესახებ, რადგან სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული მოსაზრებები გამოითქვა. პ. პეეტერსი თომა არწრუნის ცნობათა საფუძველზე ფიქრობდა, რომ კონსტანტი ბუღა თურქმა აწამა ალბანიაში და არა ხალიფა მუთავაქილმა – სამარიაში. კ. კეკელიძემ მისი არგუმენტები უარყო და განაც-

[25] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I, გვ. 167.
[26] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I, გვ. 167.

ხადა, რომ პეეტერსის მოსაზრება სწორი არ იყო, რადგან ისიც კი არ იყო ცნობილი, თუ ვის ეხებოდა თომა არწრუნის ცნობა. ხოლო „წმ კონსტანტის წამების“ მიხედვით ნათლად ჩანს, დაკითხვას სარდალი კი არა, მეფე//ხალიფა, ანუ გვირგვინოსანი პირი რომ წარმართავდა და წამებაც სამარიაში აღსრულდა. კ. კეკელიძემ პ. პეეტერსის არც ის მოსაზრება გაიზიარა, რომ წმ. კონსტანტი სომხური ქრისტიანობის, ე. ი. მონოფიზიტობის, მიმდევარი იყო. მისი სრულიად მართებული აზრით: „ძნელი დასაჯერებელია, უკეთ რომ ვთქვათ, შეუძლებელია, რომ მეცხრე, მეათე, მით უმეტეს მეთერთმეტე საუკუნეში, როდესაც სომეხ-ქართველთა სარწმუნოებრივი ურთიერთობა იმდენად გამწვავებული იყო, რომ ქართველები ყოველ კვალს შლიდნენ სომხებთან ოდესღაც ეკლესიურ-კულტურული კავშირისას. სომეხთა სარწმუნოების მიმდევარი კაცი, თუგინდ ქართველი ტომით, წმინდანად ეღიარებინათ მათ, მისი სახელობის დღესასწაული დაეწესებიათ, ჰიმნები და მარტვილობა დაეწერათ მისი და საეკლესიო კალენდარშიც მიეღოთ იგი“.[27]

შებორკილებული წმ. კონსტანტის წარდგენა არაბთა ხალიფასთან, „მეფესა მას ისმაიტელთასა, რომელსა სახელად ერქუა ჯაფარ, ძჱ აბრაჰამისი“,[28] ბაბილონის ქალაქ სამარიაში ჰიპოდიგმურ-პარადიგმული სტრუქტურითაა წარმოდგენილი, მისი და ჯაფარის შეხვედრა-საუბარი მაცხოვრისა და პილატეს საუბრის პარადიგმად გვევლინება. თავისთავად არაბთა ხალიფას ამგვარი მოხსენიებაც – „ჯაფარ, ძჱ აბრაჰამისი“ – ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან ბიბლიური აბრაამის შთამომავალთა ორი შტოა ცნობილი: კანონიერი, სარასგან შობილთა, ე. ი. ისააკის შთამომავალთა შტო, და უკანონო, აგარეანთა, მხევლის, აგარის მიერ შობილის, ისმაელის შთამომავალთა შტო. ამ უკანასკნელს საღვთისმეტყველო ლიტერატურა აგარეანად და აბრაამის დაკარგულ შთამომავლობად მოიხსენიებს. ჩანს, ავტორს სწორედ ამ საკითხის საგანგებო აღნიშვნა სურდა, რითაც ეპიზოდს სახისმეტყველებითი დატვირთვა მიანიჭა და ამიტომაც მოიხსენია ჯაფარი აბრაჰამის ძედ.

არაბთა ხალიფას მიაჩნდა, რომ კონსტანტის სულიერი მომავლის გამგებელი თვითონ იყო და შეხვედრისას მას მკაცრად განუცხადა: „აჰა ესერა მოცემულ ხარ შენ ჴელთა ჩემთა და მეუფებაჲ მაქუს შენ ზედა ყოფად კეთილისა და ბოროტისა, არამედ ისმინე და მერჩდი მე, – აღიღე რჩული ჩუე-

[27] კ. კეკელიძე. კონსტანტი კახის მარტვილობა და ვინაობა, გვ. 141.
[28] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I, გვ. 168.

ნი და უვარ-ჰყავ ცთომაჲ იგი შენი ქრისტჱს ღმრთისათჳს, რამეთუ გონიერად გხედავ შენ; და ვითარ აწ ლიტონსა კაცსა, დედაკაცისაგან შობილსა, ღმრთად აღიარებ?“.[29] წმ. კონსტანტის მეფე ჯაფარიც ბუღას მსგავსად ესაუბრება, ურჩევს ქრისტესგან განდგომას, რადგან დედაკაცისაგან ნაშობი ადამიანი ღმერთი ვერ იქნება. მეფე რჯულის გამოცვლის სანაცვლოდ დიდ სიკეთეს ჰპირდება, რაც კონსტანტის მსოფლმხედველობას ეწინააღდეგება. ცხადია, ის, რასაც არაბი ჯაფარი წარმოთქვამს, მაჰმადიანური რელიგიისათვის დამახასიათებელი თვალთახედვაა, რადგან მუსლიმობა და მუსლიმური ლიტერატურა იესო ქრისტეს წინასწარმეტყველად აღიქვამს და არა ძე ღმერთად, სამების ერთ-ერთ ჰიპოსტასად. მას ასე სწამს და ასეთი ტრადიციითაა აღზრდილი. ფაქტობრივად, არაბთა მეფესა და წმ. კონსტანტის შორის რელიგიურ-აღმსარებლობითი პოლემიკა გაიმართა, როგორც უფრო ადრინდელ ქართულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებშია ასახული („წმ. ევსტათი მცხეთელის წამება“, „წმ. აბოს წამება“).

წმ. კონსტანტიმ ქრისტიანული მოძღვრების, საღვთისმეტყველო ლიტერატურის კვალობაზე განუმარტა არაბთა ხალიფას, რომ მას შეუძლია წმ. კონსტანტის სხეულს შეეხოს, ტანჯოს, შეურაცხყოფა მიაყენოს, მაგრამ მისი სულის ხელყოფა არ ძალუძს, რაც წმინდანს სულიერად აძლიერებს. თხზულების ეს ეპიზოდი წმ. შუშანიკის სიტყვებს მოგვაგონებს, როდესაც ვარსქენ პიტიახშს შეახსენა, რომ მისი სულის დაუფლება არ ძალუძს, ხოლო ხორცს, სხეულს შეუძლია ისე მოექცეს, როგორც მას სურს. წმინდანის ამგვარი განზრახვა და გადაწყვეტილება სახარებისეული სიბრძნითაა ნაკვები: „და ნუ გეშინის მათგან, რომელთა მოწყჳდენ ჴორცნი, ხოლო სულისა ვერ ჰელ-გეწიფების მოკლვად. არამედ გეშინოდენ მისა უფროს, რომელი შემძლებელ არს სულისა და ჴორცთა წარწყმედად გეჰენიასა შინა“ (მათე, 10, 28). ასევეა იოვანე საბანისძის მიერ წმ. აბოს სახეც წარმოჩენილი, როდესაც მოწამისათვის სულიერის წარტაცებას ვერ შეძლებენ, მხოლოდ ხორციელება შეუძლიათ წარსტაცონ, რაც ჰაგიოგრაფიაში უკვე ლიტერატურულ ტრადიციად დამკვიდრებული ჩანს. 85 წლის სათნო მოხუცმა თავი გაწირა, ქართველთა შორის დიდი მოწამე გამოჩნდა, რომელსაც სწამს, რომ მსაჯულს მხოლოდ მისი სხეულის მოკვდინება ძალუძს, სულს კი ვერას დააკლებს: „მეცა უწყი, რამეთუ ჴელმწიფებაჲ გაქუს ჴორცთა ჩემთა ზედა, არამედ არა

[29] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I, გვ. 168.

სულსა, ვითარცა იტყჳს უფალი ჩემი და ღმერთი“.[30] წმ. კონსტანტიმ ბარუქ წინასწარმეტყველის სიტყვებით განაგრძო რელიგიური პოლემიკა: „არა ესმის ქანანს, არცა გამოჩნდა თემანს, არცა ძეთა აგარისთა, მეფეთა და მეზღაპრეთა, გამომეძიებელთა გონიერებისათა ქუეყანასა ზედა. ხოლო გზაჲ იგი ჭეშმარიტებისაჲ არა გულისჴმა-ყვეს და არცა მოიჴსენნეს ალაგნი მისნი, და წარწყმდეს იგინი მსგავსად მისა“ (ბარუქ. 3,27),[31] რითაც მაჰმადიანობა, წმ. აბოს მსგავსად, ზღაპრად და ამქვეყნიური ინტერესებით მცხოვრებთა სულიერად წარმწყმედ რელიგიად მიიჩნია და სიკვდილისათვის მზადყოფნა გამოხატა: „არამედ აღასრულე ჩემ ზედა, რაჲ იგი გეგულების“.[32] ასევე გამოთქვეს მზადყოფნა წამებისათვის ქრისტიანული რელიგიის დასაცავად წმ. შუშანიკმა, წმ. ევსტათი მცხეთელმა, წმ. აბომ, წმ. აბიბოს ნეკრესელმა.

არაბთა უსჯულო მეფე ერთ-ერთ უარყოფით ბიბლიურ მეფეს, სახარებისეულ პერსონაჟს, იუდეველთა მეფე ჰეროდეს ემსგავსება და მისი ჰიპოდიგმით წარმოგვიდგება. არაბთა მეფემ წმ. კონსტანტის საწამებლად, დასასჯელად წარგზავნა „ერთი წინაშე-მდგომელთაგანი, უცხო თესლი, და მან მოჰკუეთა თავი მისი მახჳლითა, და შეართუა მეფესა თჳსსა, ვითარცა-იგი თავი იოანე ნათლის-მცემელისაჲ ჰეროდეს“.[33]

ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში იდეალურ გმირს, წმინდანს გადამბირებლებს უგზავნიან, რათა მათი საშუალებით მომავალ წმინდანთა სულიერი გატეხა შეძლონ. „წმ. კონსტანტის წამებაში“ ამგვარი პერსონაჟებიც გამოჩნდნენ, ესენი სომეხი დიდებულები არიან, „რომელნი ტყუეობითვე მიეყვანნეს სომხითით და უვარის-ყოფითა ქრისტჱსითა პატივ ცემულ იყვნეს მის წინაშე“.[34] გადამბირებლებმა თავად უარყვეს ქრისტიანობა, მოიპოვეს მატერიალური კეთილდღეობა და ახლა წმ. კონსტანტის გადაბირებასაც შეეცადნენ. მათ წმ. კონსტანტის გადასცეს ხალიფას შენათვალი, რომ, მაჰმადიანობის თანახმად, ურწმუნო სამჯერ უნდა ამხილონ, თუ არ შეისმენს, უნდა დასაჯონ. მაჰმადიანებმა სათნო მოხუცის საქციელი სიფიცხედ აღიქვეს და ამქვეყნიური პატივის მიღება ურჩიეს: „საუკუნესა მას ცხორებასა, ვინ უწყის, რაჲ უმჯობეს არს!“.[35]

[30] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I, გვ. 168.
[31] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I, გვ. 168.
[32] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I, გვ. 169.
[33] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I, გვ. 168.
[34] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I, გვ. 169.
[35] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I, გვ. 169.

ცხადია, ქრისტეს რწმენით განმტკიცებული წმ. კონსტანტის გადაბირება შეუძლებელი იყო, სულიერი ცხოვრების შეცვლას არ აპირებდა, რაც მათდამი პასუხში გამოჩნდა. მან გადამბირებლები ამხილა და უსაყვედურა, რომ მათი უღირსი საქციელის გამეორებას არ აპირებდა და სიტყვა ფსალმუნური სიბრძნით დაასრულა: „ხოლო თქუენ რასაღა ზედამდგომელობთ და დამესხმით, ვითარმცა მეცა თქუენ გემსგავსე? ამიერიდან განმეშორენით ჩემგან, რაჲთა გამოვიძინე მე მცნებანი ღმრთისა ჩემისანი“ (ფს. 118, 10).[36]

განსაკუთრებული სულიერობითაა აღსავსე სიკვდილით დასჯის წინ წარმოთქმული წმ. კონსტანტის აღსარება-მონოლოგი, რომელშიც ჩანს მისი მსოფლმხედველობა, ცხოვრებისეული სიბრძნე, სიკვდილ-სიცოცხლისა და სიკეთე-ბოროტების შესახებ თვალსაზრისი, ხოლო ყოველივე ეს საღვთისმეტყველო ლიტერატურის ცოდნითაა გაჯერებული. მისი გალობა, როგორც თვითონ უწოდა, ჭეშმარიტი ქრისტიანის მიერ ქრისტე ღმერთის წინაშე წარმოთქმული თხოვნა-ვედრებაა, რათა წინააღმდეგობის გაწევის ძალა მისცეს, რწმენაში განამტკიცოს, ჭირთა თმენის უნარი შესძინოს, ღვთის ნათელის ხილვის ღირსი ჰყოს. ცრემლმდინარმა აღნიშნა, რომ იგი იმ ქვეყანაში იმყოფება, სადაც გახურებულ ბრძმედში ჩაყრილმა სამმა წმინდა ყრმამ ჭეშმარიტი ღმერთი აღიარა და ირწმუნა, რამაც ისინი სულიერად იხსნა, „ვითარცა-იგი ამასვე ადგილსა ადიდენ წმიდანი იგი ყრმანი, რომელთა აღგიარეს შენ, და მეცა ღირს მყავ მათ თანა, რომელი-ეგე გამოსჩნდი მათ თანა მეოთხედ“.[37] წმ. კონსტანტის სულიერი ზეაღსვლა იმ ფაქტმა, რომ იგი იმ ქალაქში უნდა წამებულიყო, სადაც სამი ყრმა გახურებულ ბრძმედში შთაყარეს, კიდევ უფრო მეტად განამტკიცა და გაამხნევა. წმ. კონსტანტის შეგნებული აქვს იმ დღის მნიშვნელობა, რომელ დღესაც მას წამება ხვდა წილად, რადგან ეს წმ. გიორგის ბორბალზე დაკერის დღეა და ამ საბით წამება კაპადოკიელი წმინდა მხედრისა. ასევე წმ. კონსტანტიც, წმ. გიორგის მსგავსად, წმინდა მხედრად მოიაზრება. მთელი მისი ეს აღსარება გაჯერებულია ლიტურგიული ღვთისმეტყველების საზრისით, სავსეა როგორც ბიბლიური ციტატებით, ასევე, ლოცვებით, რომელთაგან განსაკუთრებულ სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს ლოცვა მიცვალებულთათვის, რომელსაც წმ. კონსტანტი წამების წინ საკუთარ თავს თავად უკითხავს, ისევე როგორც საწამებლად მიმავალი წმ. აბო თბილელი 118-ე

[36] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I, გვ. 169.
[37] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I, გვ. 169.

ფსალმუნს უკითხავდა საკუთარ თავს.[38] წმ. კონსტანტიმ იცოდა, რომ წარმართები, როგორც უწოდა მუსლიმებს, და მათი უსჯულო მეფე ბოროტს შეამთხვევდნენ, რისთვისაც ღმერთს შესთხოვდა სულის ხსნას და იმ აღთქმის მიმადლებას, რომელიც იოანე ღვთისმეტყველის სიტყვებით გვაუწყა: „რომელთა აღმიარონ მე წინაშე კაცთა, პატივ-სცეს მამამან ჩემმან“ (იოანე, 12, 26). საკუთარი „უნდო“ სისხლი, რომელიც მისი წამებისას უნდა დაიღვაროს, შეადარა წმ. გიორგის უბიწო სისხლისღვრას: „შეიწირენ უნდონიცა ესე სისხლნი ჩემნი, და მომეც მე ნაწილი მის თანა, რაჲთა წილ-მხუდეს რჩეულთა შენთა თანა, რამეთუ სამკჳდრებელი შენი მტკიცე არს ჩემდა“.[39] ეს მოსაზრება ფსალმუნურ მოტივს თანხვდება (ფს. 15, 6). ცრემლი, რომელიც ლოცვისას სდიოდა წმ. კონსტანტის, სულიერი განმწმენდელია, რაც მთელი ერის ცოდვათა აღმქმელი წმინდანისაგან ერის განწმენდის სიმბოლოდ აღიქმება.

წმ. კონსტანტის ლოცვამ, შეუდრეკელობამ, სულიერმა სიძლიერემ არაბები განარისხა. მისი ლოცვისას ისინი სცემდნენ და ტანჯავდნენ, მაგრამ მისი დადუმება ვერ შეძლეს, მას ტკბილი გალობა ვერ შეაწყვეტინეს. თავის მხრივ, წმინდანის გალობა ფსალმუნური მოტივებით იყო შთაგონებული და ასახული (ფს. 142, 9). არაბთა რისხვა მათი სისუსტის ნიშანია, რადგან, ჩვეულებრივ, დამარცხებული საკუთარი უძლურების გამო მრისხანებს. არაბები წმინდანის, უსათნოესი მოხუცის სიმტკიცემ დათრგუნა, გადამბირებლებმა თავიანთი როლი ვერ შეასრულეს, რის შემდეგაც არაბთა მეფეს თვალით ნანახი და ყურით მოსმენილი ამცნეს, უამბეს, რომ წმინდანის გადაბირება ვერ მოახერხეს, რამაც მეფის უსაზღვრო რისხვა გამოიწვია და კონსტანტისათვის თავის მოკვეთის ბრძანება გასცა. წმ. აბოს მსგავსად, ჯალათები წმ. კონსტანტისაც თითქოს სცდიდნენ და შესაშინებლად რამდენჯერმე მოულირეს მახვილი, მაგრამ მისი განდრეკა ვერ შეძლეს. ის, რაც ღმერთს შეუძლია, ადამიანის ხელს არ შეუძლია, ეს ის შემთხვევაა, როდესაც ადამიანის ხელს სულიერი ცხოვრების წარტაცება არ ძალუძს. არაბთათვის წმ. კონსტანტის სული შეუხებელია, მას ვერ წარსტაცებენ, შეუძლიათ მხოლოდ ამქვეყნიური სიცოცხლე წარსტაცონ. არაბებმა კონსტანტის თავი მოკვეთეს, მაგრამ ვერ გაიმარჯვეს, ისინი დამარცხდნენ. ეს წმ. კონსტანტის სულიერი გამარჯვებაა. წმ. კონსტანტიმ მოწამეობრივი ღვაწლით „წმიდათა ანგელოზთა თანა მოქა-

[38] გ. ფარულავა. მხატვრული სახის ბუნებისათვის ძველ ქართულ პროზაში. თბ. 1982.
[39] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I, გვ. 170.

ლაქობაჲ“ მოიპოვა.[40] წმ. კონსტანტის მსოფლმხედველობა სოფლისა და ზესთასოფლის ურთიერთმიმართების ფონზე წარმოჩნდება; ავტორის სიტყვით, წმინდანმა ამ სოფლის დიდება „ნაგვად“ შეჰრაცხა ქრისტეს, როგორც სულიერი ცხოვრების, შეძენის წილ. მისი მრწამსი ევანგელურ მსოფლხედვას თანხვდება: „და რომელმან უარ-მყოს მე წინაშე კაცთა, უარ-ვყო იგი მეცა წიანშე მამისა ჩემისა ზეცათაჲსა“ (მათე, 10, 33).

თხზულების ავტორი ქრისტიანული ლიტურგიის ღრმა მცოდნე და საღვთისმეტყველო ლიტერატურაში განსწავლული პიროვნებაა. წმ. კონსტანტის წამების შემდეგ მან მიცვალებულთა ლოცვის კვალობაზე წარმოსახა ის ადგილი, სადაც წმინდანის სულმა დაივანა: „და მივიდა იგი მოწამჱ ქრისტჱსი ადგილსა მას განსასუენებელისასა, რომლისაგან განშორებულ არიან ყოველნი სალმობანი, მწუხარებანი და ჭირნი, სადა-იგი ჰხედავს ნათელი პირისა შენისაჲ, უფალო, სადა-იგი ვერ მისწუთებიან ენანი ძურის-მეტყუელთანი, არამედ სიხარული დაუსრულებელი არს მუნ და წმიდათა ანგელოზთა თანა მოქალაქობაჲ“.[41] ზეცათა მოქალაქობის მოპოვება წმინდანმა ქრისტესთვის სიცოცხლის შეწირვით შეძლო, რაც, ამავე დროს, თვით მაცხოვრის მიერ გავლილი გზის სიმბოლური დამოწმებაცაა.

ავტორი გვამცნობს, რომ კონსტანტის „გუამი დამოჰკიდეს ძელსა ფრიად მაღალსა. ყოველმან ერმან იხილეს სასწაული დიდი გუამსა მას ზედა“.[42] სიმბოლურია წმ. კონსტანტის აღსრულების დღე, ესაა „თუესა ნოენბერსა ათსა, დღესასწაულსა წმიდისა გიორგისსა, რომლისა თანა ზიარ იქმნა, დღჱ იყო პარასკევი“,[43] ოღონდ ეს წმ. გიორგის ბორბალზე დაკვრისა და წამების დღეა, არა მისი მოწამეობრივი აღსასრულისა. წმ. კონსტანტის მოწამეობა პარასკევ დღეს აღსრულდა. ჰაგიოგრაფი კონკრეტული თარიღის დასახელებასთან ერთად პარასკევს მოწამეობის ფაქტსაც სიმბოლურ მნიშვნელობას ანიჭებს, რადგან მაცხოვარი პარასკევს აცვეს ჯვარს. ფაქტობრივად, დღესასწაული გაორმაგდა, წმ. კონსტანტის წამების დღე, ერთი მხრივ, ჯვარცმის დღეა, მეორე მხრივ, წმ. გიორგის ბორბალზე წამების დღე. ავტორი ასახელებს წამების წელსაც: დასაბამიდან „ექუს ათას ორმეოცდა ათშვიდმეტს“. ამ თარიღს ჟამის ბატონობის მიხედვითაც გვამცნობს: „ხოლო ზედაწერილსა

[40] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I, გვ. 170.
[41] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I, გვ. 170.
[42] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I, გვ. 170.
[43] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I, გვ. 170.

ისმაიტელთასა ორას და ათორმეტსა“.[44]

„კონსტანტი კახის წამებაში“, სარწმუნოებრივთან ერთად, ეროვნული პრობლემაცაა დასმული. თხზულების ავტორი, იოანე საბანის ძესთან მსგავსად, ეროვნულ პოზიციებზე დგას. მაგრამ ეს ისეა თხზულებაში მოწოდებული, რომ მკითხველმა იგი უნდა მოიძიოს და დაფიქრდეს მასზე; ეროვნული პრობლემა, „აბოს წამების“ მსგავსად, არაა თხზულების უმთავრეს იდეად წარმოსახული და ზედაპირზე არ დევს.

წმ. კონსტანტიმ ღვთის განგებაზე მიუთითა და აღნიშნა, რომ ყველაფერი მხოლოდ ღმერთის ნებით ხდება, რაც ავტორის მიერ პროვიდენციალობის წარმოჩენას მიუთითებს. მისი აზრით, რომელიც ქრისტიანულ მოძღვრებას ემყარება, რაც საქართველოს თავს დაატყდა, ქართველთა ცოდვების შედეგია. წამების ავტორი ჟამთააღმწერლის სახელით ცნობილი ისტორიკოსის მსგავსად მეტყველებს და არაბთა მიერ ქართველთა დაპყრობას ქართველებისავე ცოდვებით ხსნის. ეს ეპიზოდი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და კონცეპტუალურია ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში. ამიტომ კონსტანტის თავისი წამებით ქართველი ერის ცოდვების გამოსყიდვას ცდილობს, მან ქრისტეს რჯულის დასაცავად თავი უნდა გაწიროს, რათა ამით თავისი თანამემამულეები, რჯულშერყეული ქართველები გაამხნევოს.

ტექსტს მოსდევს ბიზანტიის დედოფლის ეპისტოლე, რომელიც გამოგზავნილია კონსტანტის შვილებისა და „სახლისა მისისათა ნათესავთა“ მიმართ. მასში წმ. კონსტანტის მოწამეობრივი ღვაწლია შექებული. ბიზანტიის დედოფალი წერს: „ჯერ არს მოჴსენებად ღუაწლი ნეტარისა ამის მოწამისა კონსტანტისი“. კ. კეკელიძის სიტყვით, „ეს წერილი დამახასიათებელია როგორც გაშიშვლებული ნიმუში ბიზანტიური დიპლომატიისა, რომელსაც მიზნად აქვს არაბობასთან ბრძოლაში თავის მხარეზე იყოლიოს აღმოსავლეთის ქრისტიანები, კერძოდ, ქართველებიც, და მხარზე აკიდოს „მსუბუქი ტვირთი“ თავის ბატონობისა“.[45] როგორც ჩანს, ქართული ეკლესიის მიერ წამებული კონსტანტი უკვე წმინდანად არის შერაცხული და იმიტომაც აღიარებს დედოფალი მას ბიზანტიელთა და ქართველთა მეოხად. შესაძლოა, „წამება“ უკვე დაწერილიც იყო, როცა ქართველებმა დედოფლის წერილი მიიღეს და ნაწარმოებს ბოლოში ამიტომაც დაურთეს.

[44] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I, გვ. 170.
[45] კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. I. თბ. 1960, გვ. 521.

ბიზანტიის დედოფალი თეოდორა ქართველ წმინდანს მეოხად აღიარებს და ქართველებს უჩვენებს, რომ ქრისტიანობაში სიმტკიცის დაცვა ბიზანტიას კიდევ უფრო კეთილად განაწყობს მათდამი და, მიუხედავად იმისა, რომ ბიზანტიას აქვს საქართველოზე პოლიტიკური ზეგავლენის სურვილი, ქართველებს საშუალება ეძლევათ, არაბებისაგან გათავისუფლებაში ძლიერი შემწე და მეოხი იყოლიონ: „აწ არა გჳჭმს ჩუენ ნუგეშინის-ცემაჲ თქუენი მისთჳს, ვინაჲთგან იგი არს ნუგეშინის-მცემელ და მეოხი ჩუენი და თქუენი წინაშე ქრისტჱსა“.[46] ბიზანტიის დედოფალი წმ. კონსტანტის, და საზოგადოდ, ქართველი ხალხის „შჯულკეთილობაზე“ საუბრობს, მათს „ერთსა სჯულსა შინა“ დგომას აქებს: „აწ საქმენი თქუენნი, რომელთა იქმოდით, მოწამე არიან თქუენდა, და თქუმული იგი დაემტკიცა ფრიად, და დაენერგა კეთილად შჯულიერებაჲ თქუენი“ ... „ერთსა შჯულსა შინა იყვენით და უფალსა პირისპირ თქუენსა ყოველსა ჟამსა ხედევდით“.[47] დასასრულს ეპისტოლე პოლიტიკურ იერსახესაც იძენს, რადგან ბიზანტიის დედოფალი თავის უფლებებს საქართველოზე არ თმობს და აღნიშნავს, რომ ქართველები ბერძენთა ხელთ არიან, ისევე როგორც სხვა ქრისტიანული ქვეყნები: „ამას არათუ თქუენ ოდენ გიბრძანებთ, არამედ ყოველთა, რომელნი ჩუენ-კერძო და ჴელთა ქუეშე ჩუენსა არიან ქართველნი, რამეთუ ყოველთავე ქრისტჱს მოყუარეთა და მეფობისა ჩუენისა ღმრთისამიერთა და ვითარცა შვილთა საკუთართა თქუენთა თანა შევარაცხ, არამედ კუალად აღდეგით და განძლიერდით უფლისა მიერ“.[48] თეოდორა დედოფლის სიტყვები მოწმობს, რომ მას ძლიერი საქართველო სურს, რათა ქრისტიანული სამყაროს აღმოსავლეთით მდებარე ეს ქვეყანა მეოხად და დამხმარედ ჰყავდეს. მეტიც, უნდა, რომ მასზე, როგორც ძლიერ ქვეყანაზე თვითონ უფლობდეს. თვით საქართველო კი საკუთარი ინტერესების გამოც უნდა იყოს ძლიერი: „და სიდიდითა ძალისა მისისაჲთა ლახუარნი თქუენნი მტერთა ზედა განაბრწყინვენით და ნუ ვის სცემთ მათგანსა თქუენ შორის სამკჳდრებელსა, რაჲთა მოიღოთ კეთილი ჩუენი და აღთქმული იგი პატივი კეთილის მოქმედთათჳს უფლისა მიერ მოიღოთ“.[49]

ეპისტოლე ყურადღებას იქცევს აღმსარებლობითი თვალსაზრისითაც, რადგან აქ მოტანილი მთელი პასაჟი მიუთითებს, რომ ბიზანტიაში უკვე ხატმებრ-

[46] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I, გვ. 171.
[47] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I, გვ. 170.
[48] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I, გვ. 172.
[49] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I, გვ. 172.

ძოლობის ერესი აღარაა. ისტორიული დოკუმენტებიდან ცნობილიცაა, რომ 843 წელს, თეოდორა დედოფლის ინიციატივით, საბოლოოდ აღდგა ხატთაყვანისცემა. მეშვიდე მსოფლიო საეკლესიო კრებამ, რომელიც ირინე დედოფლის ინიციატივით იყო მოწვეული, 787 წელს ხატთაყვანისცემა აღადგინა, მაგრამ მაინც დიდი დრო გავიდა, ვიდრე ბიზანტიის იმპერიაში საბოლოოდ დაიძლეოდა ხატმებრძოლობის ერესი. თეოდორა დედოფლის ეპისტოლეში აღნიშნულია, რომ წმ. კონსტანტი და მისი ოჯახი ყოველთვის ქალკედონელები იყვნენ და ხატთაყვანისცემას აღიარებდნენ. „წმ. კონსტანტი კახის წამება“ თავისი ეპოქის ეროვნულ-სარწმუნოებრივ სულისკვეთებას გამოხატავს, რითაც არის იგი ღირებული ქართული ლიტერატურისა და საისტორიო მწერლობისათვის.

ქრისტიანული სახისმეტყველებითი პრინციპებით შექმნილ ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში „წმ. კონსტანტი კახის წამება“ ასახულია ქართველი წმინდანის, წმ. კონსტანტის ცხოვრება და არაბთაგან წამება, კეთილი ნაყოფის მომცემი ნეტარი კონსტანტის ღვაწლი, რომლის ჩადენილი კეთილი საქმეები მის სულიერ სიწმინდეზე მეტყველებს. თხზულებაში გამოყენებულია ბიბლიური ჰიპოდიგმურ-პარადიგმული სიმბოლური სახეები, ბიბლიური მოტივები, ციტატები თუ რემინისცენციები; ნეტარი კონსტანტის „ორ-კერძოჲთავე მით საქმითა“ შემკობა სასულიერო და საერო პირთა მიმართ დახმარებას, თანაგრძნობას, თანალმობას მოწმობს. ავტორმა წარმოაჩინა, თუ როგორ ემსახურებოდა კონსტანტი თავის ერს, ნათესავებს, შორი ქვეყნიდან მოსულ სასულიერო პირებს, ბერ-მონაზვნებს, გლახაკებს, დავრდომილებს, ყველას, ვინც დახმარებასა და თანადგომას საჭიროებდა. თავად კონსტანტი საოცარი სისადავიტ, თავმდაბლობით, წინასწარმეტყველებით გამოირჩევა, რადგან მზადყოფნას ქრისტიანობის დასაცავად სისხლის დათხევისათვის ყოველთვის გამოხატავდა. ავტორი მას ნეტარებათა ყველა ნიშნის მფლობელად ხატავს, რითაც პერსონაჟის ლიტურგიული ცნობიერება წარმოჩნდება. მომავალ ქართველ წმინდანს საკუთარი თავი უცოდვილესად მიაჩნდა, რაც მისი ლიტურგიული ცნობიერების გამოხატულებაა, რადგან იგი მთელი ერის ცოდვათა მტვირთველად წარმოგვიდგება. ოთხმოცდახუთი წლის წმ. კონსტანტი, როდესაც ქვეყანა სარწმუნოებრივი და ეროვნული გადაგვარების წინაშე დადგა, ღმერთმა ჩვენს ქვეყანას მოუვლინა მეოხად და სულიერ მხსნელად, მისი ღვაწლი მთელ ქვეყანას განეფინა. მისი მოწამეობა ღვთის წინასწარგანზრახულებით, განგებით აღსრულდა. ენაწყლიანმა ანონიმმა ავტორმა წმ. კონსტანტი, სხვა წინამორბედ მოწამე წმინდანთა მსგავსად, ჰაგიოგრაფიული ჟანრის სახიმეტყველების

კვალობაზე წარმოაჩინა. წმ. კონსტანტის წარმოსახვისას უთუოდ გაგვახსენდება წმ. შუშანიკი, წმ. ევსტათი, წმ. აბო და სხვ. სულიერობითაა აღსავსე ლიტურგიული ცნობიერების მქონე წმ. კონსტანტის ქრისტიანული მოძღვრების, საღვთისმეტყველო ლიტერატურის საფუძველზე სიკვდილით დასჯის წინ წარმოთქმული მონოლოგი-აღსარება, რომელშიც ჩანს მისი მსოფლმხედველობა, ცხოვრებისეული სიბრძნე, სიკვდილ-სიცოცხლისა და სიკეთე-ბოროტების შესახებ თვალსაზრისი; ყოველივე ეს საღვთისმეტყველო ლიტერატურის ცოდნით შთაგონებული და გაჟღენთილი შეხედულებებია. ,,კონსტანტი კახის წამებაში", სარწმუნოებრივთან ერთად, ეროვნული პრობლემაცაა დასმული. თხზულების ავტორი, იოანე საბანის ძის მსგავსად, ეროვნულ პოზიციებზე დგას. თხზულების ბოლოს დართული ბიზანტიის დედოფლის თეოდორას წერილი კი ნათლად მოწმობს აღმოსავლური მართლმადიდებლური ზესახელმწიფოს იმპერიულ ზრახვებს. ,,წმ. კონსტანტი კახის წამება" თავისი ეპოქის ეროვნულ-სარწმუნოებრივ სულისკვეთებას გამოხატავს, რითაც არის იგი ღირებული ქართული ლიტერატურისა და საისტორიო მწერლობისათვის.

Nestan Sulava

SOME SYMBOLIC ASPECTS IN THE "MARTYRDOM OF SAINT KONKSTANTI KAKHI"

Summary

"Martyrdom of Saint Konstanti Kakhi" is hagiographic story based on the symbolic principles by which life of saint Konstanti and his martyrdom are presented. In this story there are some Biblical symbols, quotations. Author gives the samples how saint Konstanti served his nation, relatives, the ecclesiastic people from distance countries, the monks, beggars, feeble and to everyone who needed help. Saint Konstanti himself was modest one, he was emphasizing the willingness to die for the Christ. He is a sample of spiritual life; future saint sees himself as sinful person, he introduces himself like one who wants to carry national sins fully. Eighty five years old saint Konstanti is rendered to the country as a person who saved the spiritual life in the period of danger. His martyrdom was predicted by the God.

Saint Konstanti told the Caliph that he could touch Konstanti's body, he could murder him, he could insult him but he could not touch his soul; that made his person strong and brave. Monologue-confession of Konstanti is full of spirituality, wisdom, wisdom of life, explanation of meaning of life and death, evil and kindness, and all this is rendered on the base of theological knowledge. "Martyrdom of Saint Konstanti Kakhi" includes also national issues, and that is why constitutes prominent work of Georgian literature.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება.
შოთა მესხია – 100
თბილისი. 2016

ნინო სილაგაძე

„გროტესკის“ სტილის დეკორი: ანტიკური მემკვიდრეობა

კლასიკური დეფინიციით, კედლის მხატვრობასა და არქიტექტურულ დეკორში ტერმინი „გროტესკი“, „გროტესკული“ გამოსახულებათა სისტემას გულისხმობს, რომელიც რეალობის საპირისპირო მხატვრული სახეებისაგან შედგება. ესაა ვეგეტალური, ზოო- და ანტროპომორფული, არქიტექტურული დეტალების და ილუზორული სივრცეების უჩვეულო კომბინაცია (*სურ. 1*).

ეს კომბინაციები არ ექვემდებარება არც ნარატივის და არც სივრცეში განლაგების ლოგიკას: ცალკეული „გროტესკები“ არ ერთიანდება თანმიმდევრული თხრობის კონტექტში, ხოლო მათი „საარსებო გარემო“ არ ემორჩილება არც ერთ იმ ფორმას, რომელიც საუკუნეების მანძილზეა შემუშავებული სახვით ხელოვნებაში სივრცის გადმოსაცემად.

ისტორიას თუ გავადევნებთ თვალს, ასეთი სტილის დეკორი ელინისტური კულტურიდან იღებს სათავეს, რომლის რეპერტუარში ფართოდ შეიჭრა ძველაღმოსავლური ფანტასტიკური მოტივები (ფანტასტიკური ცხოველები და სხვ.), განსაკუთრებით დახვეწილი ფორმა იმპერიული ეპოქის რომში მიიღო, ხელახალი „აღორძინება“ რენესანსის ხანაში განიცადა და აქედან მოყოლებული არქიტექტურული ნაგებობების დეკორირების ევროპული სტილის თითქმის აუცილებელი ატრიბუტი გახდა (*სურ 2*).

ანტიკური ხელოვნების ეს პროდუქტი თითქმის ყოველ ეპოქაში ახლებურ ინტერპრეტაციას იძენდა: მაღალ რენესანსში და ბაროკოს ხანაში ცდილობდნენ, ძველი რომაული მოდელებისთვის მაქსიმალურად ზუსტად მიებაძათ, როკოკოს ხანაში ამ სტილმა განსაკუთრებით დეკორატიული სახე მიიღო, XIX საუკუნეში ძველი კულტურებისადმი და აღმოსავლური ეგზოტიკისადმი გაზრდილი ინტერესის ფონზე კი არქიტექტურული დეკორის ძალზე გავრცელებული სახე გახდა. XIX საუკუნის მიწურულს „გროტესკები“, ამავე დანიშნულებით, ჩნდება საქართველოშიც – ქალაქური კერძო სახლების საფასადო თუ ინტერიერების მორთულობაში.

თავად ტერმინი „გროტესკი“ ანტიკური ეპოქის, ისევე როგორც შუა საუკუნეების ესთეტიკისათვის უცნობი იყო. მისი გამოყენება XV საუკუნიდან დაიწყეს. ამ ტერმინით აღინიშნებოდა იმპერატორ ნერონის „ოქროს სახლის“ (Domus Aurea) მოზატულობა, რომელიც 1480-იან წლებში, არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა. რადგან „ოქროს სახლი“ მიწის სქელი ფენის ქვეშ იყო მოქცეული იმპერატორ ტრაიანეს ეპოქიდან, აღორძინების ხანაში მას „გროტები“ (le Grotte) უწოდეს, საიდანაც წარმოდგება დეკორატიული სტილის სახელწოდებაც. მოგვიანებით ამ ტერმინით აღინიშნებოდა შენობის ფანტასტიკური, ექსტრავაგანტული მორთულობა, რომელშიც მეტამორფოზული არსებების, არქიტექტურული დეტალების, ილუზორული სივრცეების რთული სინთეზია მოცემული (*სურ. 3*).

„გროტესკების“ სტილი თავისი არსით უპირისპირდება ანტიკური ხელოვნების ესთეტიკას, რომლის უმთავრესი პრინციპი სამყაროს ნატურალისტური აღქმა იყო. მართლაც, ძველ ბერძნულ და შემდგომ რომაულ კულტურას წითელ ზოლად გასდევს „მიმესისის“, ანუ რეალობის და მისი ობიექტების იმიტაციის პრინციპი. ამის საუკეთესო გამოხატულებაა ემპედოკლეს ფილოსოფიური კონცეფცია, თუმცა უკვე პლატონი თავისი „ინვენციის“, ანუ „გამოგონების“ თეორიით მნიშვნელოვნად აფართოვებს ხელოვნებისადმი ასეთ რაციონალურ დამოკიდებულებას. მისი „ინვენციის“ პრინციპი სწორედ ნატურიდან აღებული ელემენტების უჩვეულო კომბინაციას გულისხმობს, რომელიც კიდევ უფრო დამუშავებული და განვითარებულია ძველ რომაელ მოაზროვნეებთან, კერძოდ, ციცერონთან.[1]

თუმცა მსგავს, „უშინაარსო“ და, აქედან გამომდინარე, დეკადანსად მიჩნეულ სტილს ძველი ბერძნული ფილოსოფია მაინც არ აძლევდა მაღალ შეფასებას, რადგან ხელოვნების მთავარი სიუჟეტი „მაღალი მატერიები“, იდეოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ობიექტები და მოვლენები უნდა ყოფილიყო (pictura maior): ბატალიები, ღმერთების და გმირების გამოსახულებები, და არა ბუნების „უმნიშვნელო“ ქმნილებები – ჩიტები და მცენარეები (pictura minor), როგორც ამას განმარტავს დემეტრიოს ფალერელი.[2] ეს უკანასკნელი მიმართულება შეფასებული იყო როგორც rhopographia (მცირე ობიექტების ხატვა) და melographia (ხილის ხატვა, ანუ ნატურმორტი). საინტერესოა, რომ კლასიციზმის ეპოქის ხელოვნების თეორიამ აბსოლუტური სიზუსტით გაიმე-

[1] Cicero. De Inventione. II, 3. www.thelatinlibrary.com/cicero/inventione2.shtml.

[2] F. Wehrli. Demetrius von Phalem. Die Schule des Aristoteles. B. 4. Basel, 1968, გვ. 21-44.

ორა ანტიკური ხანის ეს კონცეფცია. დემეტრიოს ფალერელის კვალდაკვალ, ვიტრუვიუსიც აკრიტიკებს „გროტესკებს“,[3] აღნიშნავს რა, რომ ძველი ოსტატები რეალობასთან მიახლოებულ გამოსახულებებს ქმნიდნენ, მისი თანამედროვენი კი ხშირად მონსტრებს ხატავენ.[4] საპირისპიროდ, ჰორაციუსი ირონიით უყურებს ხელოვნებისათვის დაწესებულ შეზღუდვებს, მის მიმართ არსებულ მოთხოვნებს და შემოქმედის ფანტაზიის თავისუფლებაზე საუბრობს.[5]

ფანტასტიკურ-დეკორატიული ნიმუშების კრიტიკა ვიტრუვიუსის მხრიდან ლოგიკურია: არქიტექტურის დიდი თეორეტიკოსი ავგუსტეს წრეს ეკუთვნოდა, რომლის იდეოლოგიური პოლიტიკაც ძველ რომაულ ტრადიციულ მორალურ ღირებულებებთან დაბრუნებას გულისხმობდა ხანგრძლივი სამოქალაქო ომების პერიოდის შემდგომ. ბუნებრივია, ის დეკადანსად სახავდა ნატურალიზმისგან შორს მდგომ და იდეოლოგიისგან დაცლილ ხელოვნებას, რომელსაც თუნდაც მხოლოდ დეკორატიული დანიშნულება ჰქონდა.

ყველა ამ ფილოსოფიური წანამძღვრის მიუხედავად, უკვე ავგუსტეს ეპოქაში, მისივე მეუღლის ლივიას ვილაში, და განსაკუთრებით მისი ქალიშვილის იულიას რეზიდენციაში (ვილა ფარნეზინაში) „გროტესკების“ სტილი ახალ აღმავლობას განიცდის. ვილა ფარნეზინაში კანდელაბრების ფორმებში ჩაწერილ ფანტასტიკურ, მეტამორფოზულ არსებებს ვხედავთ: კარიატიდების, არქიტექტურული დეტალების, ზოო- და ფიტომორფული მოტივების დახვეწილ და მრავალფეროვან სინთეზს.[6] ამავე ეპოქის უდიდესი პოეტი ოვიდიუსი ფანტაზიით შექმნილ არსებებზე საუბრობს, რომლებსაც პირდაპირ „ახალ სხეულებს“ უწოდებს.[7]

ვილა ფარნეზინას მოხატულობას პომპეის II სტილის საუკეთესო ნიმუშებს მიაკუთვნებენ. თავად ილუზორული სივრცის კონსტრუირების იდეა მისი რთული, მრავალგვარი აღქმით და რეალური და წარმოსახვითი სივრცეების დაპირისპირებით (როგორც ეს განხორციელებულია კუბიკულუმში B), „გროტესკულია“: გრძივ კედელზე, ილუზორული სვეტებს და კარნიზებს შო-

[3] A.-M. Lecoq. Vitruve contre les grotesque. Grande Galerie-Le journal du Louvre, #28, Paris, 2014, გვ. 90–92.

[4] Vitruvio. Architettura. testo critico, traduzione e commento di S. Ferri. Milano, 2002, VII, V, 3, 4.

[5] Horazius. Ars Poetica. 1-5. http://docplayer.it/9871265-Orazio-ars-poetica-1-testo-latino-e-traduzione.html.

[6] A. Zamperini. Le Grottesche. Il sogno della pittura nella dicorazione paretiale. Verona, 2013. გვ. 22-24.

[7] Ovidio. Metamorfosi. I, 434-437; XI, 613-614. http://www.miti3000.it/mito/biblio/ovidio/metamorfosi.

რის თითქოს ფანჯრებია გაჭრილი, საიდანაც სხვადასხვაგვარი პერსპექტივის მიხედვით აგებული და სხვადასხვა ზომის სივრცეები იხსნება. თითოეულ მათგანში ცალკეული ფიგურატული სიუჟეტია მოთავსებული. უკვე ასეთ მიდგომაში ჩანს რეალობისა და ფიქციის შეერთების ცდა. ამას ემატება ჩარჩოებში ჩასმული სიუჟეტების სხვადასხვა მანერით შესრულება: ზოგი მათგანი პომპეის ფერწერას მოგვაგონებს და მოცულობითი ფორმების მოდელირებით, მკაფიო პერსპექტივით, მდიდარი ტონალობებითაა შესრულებული, ზოგი ბერძნული თეთრფონიანი კერამიკის მოხატულობის ხაზობრივ, მონოქრომატულ სტილს იმეორებს (*სურ. 4*).

„გროტესკების“ ყველაზე ცნობილ ნიმუშებს, ნერონის სასახლის მოხატულობას, შემთხვევით არ უწოდებენ „ფანტასტიკურ“ სტილსაც. პომპეის III და IV სტილების ანტინატურალისტური ხასიათი აქ თავის უკიდურეს ფორმებს აღწევს (ტრადიციისამებრ, „ოქროს სახლის“ დეკორს IV სტილში აერთიანებენ). როგორც პლინიუს უფროსი მოგვითხრობს, მათი უმეტესობა მხატვარ ფაბულუსის (Fabullus, Famŭlus, Amulius) მიერაა შესრულებული.[8] გროტესკების მრავალფეროვნების მხრივაც ეს დეკორი მნიშვნელოვნად აღემატება ავგუსტეს ეპოქის საუკეთესო ნიმუშებს: ფონზე, რომელიც არამატერიალურია სივრცის აგების თვალსაზრისით, ერთმანეთს ერწყმის ლიტერატურული (ილიადისეული) და მითოლოგიური ეპიზოდები, ბაბუსის წრის ღვთაებები და მენადები, რეალური ცხოველები (ბუები, ცხენები, გედები, ლეოპარდები, ლომები), ფანტასტიკური არსებები (გრიფონები, სფინქსები, ფრთოსანი ცხენები), მუსიკალური ინსტრუმენტები, ნიღბები, დრაპირებები, კანდელაბრები, არქიტექტურული დეტალები და სხვ. ავგუსტეს ეპოქაში გავრცელებული ნატურალისტურად წარმოდგენილი მცენარეული გირლანდებისგან განსხვავებით, ფლორალურმა მოტივებმა „ოქროს სახლში“ უფრო კალიგრაფიული, დეკორატიული ხასიათი მიიღო და ნაკლებად მოგვაგონებს რეალურ მცენარეებს.[9] კოლორიტის თვალსაზრისითაც („ყვავილების“ ტონალობები და ძირითადი კონტრასტული ფერები, ასევე მოოქროვილი დეტალების ფართო გამოყენება) ნერონის თანამედროვე ხელოვნება უფრო საზეიმო, მდიდრული წარმოგვიდგება, რომელშიც იმპერიის ეპოქის დიდებულება და სტილისტური დახვეწილო-

[8] Pliny the Elder. The Natural History. XXXV, 37. http://penelope.uchicago.edu/Thayer/L/Roman/Texts/Pliny_the_Elder.

[9] A. Zamperini. Le Grottesche. Il sogno della pittura nella dicorazione paretiale, გვ. 31-38.

ბა კიდევ უფრო თვალსაჩინოა. ამ მიმართულებამ შემდგომი თავისი განვითარება და გავრცელება ჰპოვა იმპერიის მთელ ტერიტორიაზე (*სურ. 5*).

სწორედ ნერონის სასახლის აღმოჩენამ განაპირობა XV საუკუნეში, რენესანსის ხანაში „გროტესკების" პოპულარობის ახალი ტალღა. ჰორაციუსის მსგავსად, კვატროჩენტოს ეპოქაში ჩენინო ჩენინი ასევე წერდა ხელოვანის თავისუფლების შესახებ: მხატვარს უფლება აქვს, ფანტაზიით შექმნას მხატვრული სახეები („ნახევრად ადამიანი, ნახევრად ცხენი, თუ მას სურს").[10]

ნერონის რეზიდენციის აღმოჩენა უდიდეს კულტურულ მოვლენად იქცა: დამთვალიერებლები უწყვეტ ნაკადად მოდიოდნენ, მათთვის გახსნილი იყო ე. წ. ბუს, აქილევსის სკიროსზე, ჰექტორის და ანდრომახას დარბაზები, ასევე შავი, ყვითელი და ოქროს თაღიანი დარბაზები. მიუხედავად იმისა, რომ ანტიკური კედლის მხატვრობის, მოზაიკის თუ რელიეფური დეკორის ფრაგმენტები შემორჩენილი იყო კოლიზეუმში, ადრიანეს ვილაში ტივოლოში, ქალაქ ბაიში და სხვ. და მეტ-ნაკლებად ნაცნობი იყო რენესანსის ეპოქის ადამიანებისთვის, „ოქროს სახლი" მოხატულობა თავისი მხატვრული დონით და მდგომარეობით მნიშვნელოვნად აღემატებოდა ყველაფერს.[11] XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე მისი მრავალი რეპლიკაც ჩნდება, მაგ., ლუკა სინიორელის მიერ მოხატული ორვიეტოს კათედრალის ერთ-ერთი კაპელა, სადაც როგორც ძველი რომაული „მონოქრომატული კანდელაბრების" სტილის მიბაძვას, ასევე მეტამორფოზულ მონსტრებს ვხედავთ (*სურ. 6*).

ამ ეპოქის ნიმუშებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია რაფაელისა და მისი სკოლის წარმომადგენელების ნამუშევრები.[12] მათ შორის გამოირჩევა აგოსტინო კიჯის რეზიდენციის, ე. წ. ახალი ვილა ფარნეზინას მოხატულობა და სტუკოს დეკორი (არქ. ბალთასარე პერუცი, 1517) და ვატიკანის სასახლის ლოჯიების და კარდინალ ბიბიენას პირადი აპარტამენტების კედლის მხატვრობა[13] (*სურ. 7*). სწორედ ამ უკანასკნელებს აძლევს უმაღლეს შეფასებას ჯონ რესკინიც.[14]

[10] Cennino Cennini. Il libro dell'Arte. a cura di F. Frezzato. Vicenza. 2006. cap. I

[11] N. Dacos. Per la storia delle grottesche: la riscoperta della Domus Aurea. Bollettino d'arte, vol. LI, # I-II, 1966, გვ. 43-49.

[12] C. Acidini. Grottesche. Le volte dipinte nella Galleria degli Uffizi. Firenze. 1999, გვ. 13-14.

[13] A. Zamperini. Le Grottesche. Il sogno della pittura nella dicorazione paretiale, გვ. 124-128.

[14] The Genius of John Ruskin. Selection from his Writings. ed.by J. G. Rosenberg, H. Tucker. Charlottesville and London. 1998, გვ. 210.

როგორც უკვე ითქვა, საქართველოში „გროტესკები“ თავისი უმთავრესი დანიშნულებით – საცხოვრებელი თუ საზოგადოებრივი ნაგებობების დეკორის – XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე აგებული ქალაქურ მდიდრულ სახლებში ჩნდება (*სურ. 8, 9*).

წარსულის მემკვიდრეობის ხედვა XIX საუკუნის ევროპულ ხელოვნებაში მკვეთრად იცვლება. ძველ კულტურებთან დიდი დისტანცირება მათ ახლებურ ინტერპრეტაციას განაპირობებს: მათ განიხილავენ, როგორც მეცნიერების განვითარების წყალობით შენარჩუნებულ მემკვიდრეობას, მაგრამ რომელსაც უკვე აღარ აქვს კავშირი თანამედროვეობასთან. შემთხვევითი არაა ამ პერიოდში გავრცელებული მრავალი „ნეო“ და „ფსევდო“ მიმართულება ხელოვნებაში: ნეოგოთიკა, ნეორენესანსი, ნეობაროკო, ნეოეგვიპტური, ფსევდოეროვნული სტილები და სხვ. „გროტესკები“ სტილი თავის პოპულარობის პიკს აღწევს, ოღონდ უფრო ეკლექტურ ფორმებს იღებს და ზოგჯერ ანტიკური ნიმუშების პირდაპირ ასლებად იქცევა – როგორც, მაგალითად, ჰერმესისი ვილის იმპერატრიცა ელისაბედის სავარჯიშო დარბაზის მოხატულობა ვენაში, რომელიც პომპეის IV სტილის პირდაპირ რეპლიკას წარმოადგენს (*სურ. 10, 11*).

ბუნებრივია, რომ „გროტესკის“ სტილის დეკორი უფრო ისეთ ეპოქებშია გავრცელებული, რომლებსაც საერთოდ ახასიათებს ინტერესი ანტიკური კულტურისადმი. ერთი შეხედვით, ევროპის ისტორიის მომდევნო ეპოქებთან (მაგ., რენესანსთან) შედარებით შუა საუკუნეების კულტურას ნაკლები აქვს საერთო ანტიკურთან, მაგრამ ასეთი მოსაზრება, ბუნებრივია, ძალიან ზედაპირულია. ანტიკური სახვითი ფორმები და პერსონაჟები, ღია თუ შეფარული სახით, მთელი შუა საუკუნეების მანძილზე განაგრძობენ არსებობას ქრისტიანულ კულტურაში. ხშირად გვხვდება თვით წარმართული ღვთაებებიც კი (შეცვლილი, ზოგჯერ შენიღბული სახით, მაგრამ უფრო ყურადღებით დაკვირვებისას სავსებით შესაძლებელია მათი წარმომავლობის ამოცნობა).[15]

ანტიკური მემკვიდრეობა შუა საუკუნეებში ძალზე ფართო თემაა, რომელიც მნიშვნელოვნად ცდება ჩვენი ნაშრომის ფორმატს, ამჯერად მხოლოდ „გროტესკებს“ შევეხებით, რომელთა ახლებურ ინტერპრეტაციებს ეხედავთ შუა საუკუნეების სახვით ხელოვნებაში.

შუა საუკუნეების „გროტესკები“ ავტოხტონური, ხშირად ფოლკლორული ელემენტების, ანტიკური და აღმოსავლური მოტივების რთულ კონგლო-

[15] J. Seznec. The Survival of the Pagan Gods. New-York. 1961, გვ. 28-32.

მერატს წარმოადგენს. ამ მხრივ, მსგავს სურათს ვხედავთ როგორც დასავლეთ ევროპაში, ასევე საქართველოში (*სურ. 13, 14*).

გროტესკული სტილისათვის დამახასიათებელი ყოვლისმომცველი მცენარეული ხვეული შუა საუკუნეებში სიცოცხლის ხის სიმბოლოდ გვევლინება, რომელშიც ცხოველები და ფანტასტიკური არსებები ცხოვრობენ. ასეთია რომის სან კლემენტეს ეკლესიის აფსიდის მოზაიკა, სადაც გროტესკულ გირლანდებში ცხოველებთან ერთად ანტიკური მითოლოგიიდან გადმოსულ პერსონაჟებსაც ვხედავთ (*სურ. 15*). საინტერესოა, რომ რაფაელი და მისი სახელოსნოს წარმომადგენლები თითქმის ზუსტად იმეორებენ ამ კომპოზიციას ვატიკანის ლოჯიების მოხატულობაში. ხცისის ტაძრის დეკორის „გროტესკულ" დეტალში კი ძველი აღმოსავლური ხელოვნებიდან შემოჭრილი ფანტასტიკური არსებებია წარმოდგენილი (*სურ. 12*).

სან კლემენტეს მოზაიკის მსგავსი, მაგრამ უფრო ქაოტური კომბინაციები გვხვდება შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაშიც, თუმცა ასეთ ქაოტურობას ღრმა სიმბოლური ქვეტექსტი გააჩნია (*სურ. 16*).

რასაკვირველია, იტალიის ტერიტორიაზე არსებული ძეგლები მეტ სიახლოვეს ავლენენ ანტიკურ პროტოტიპებთან, მაგრამ თელოვანის ჯვარპატიოსნის რელიეფში ასევე სახეზეა სივრცის რღვევა, გარემოს და მასშტაბის ერთიანობის არარსებობა, ცაკლეული გამოსახულებების ქაოტური, ნარატივისგან დამოუკიდებელი განლაგება (თუმცა ანტიკური „გროტესკებისგან" განსხვავებით, შუა საუკუნეების ხელოვნების ამ ნიმუშებს თხრობითი კონტექსტი აქვს), მცენარეული ხვეულის დომინირება კომპოზიციაში და სხვ.

შუა საუკუნეების „გროტესკები" არამარტო ვეგეტალური და ზოომორფული, არამედ ანტროპოგენული ელემენტების სინთეზსაც წარმოგვიდგენს.[16] ეს უკანასკნელები შეიძლება იყოს როგორც მთლიანი ფიგურები, ასევე თავების ან ნიღბების გამოსახულებები. როგორც ი. ბალტრუშაიტისი წერდა, ბერძნულ-რომაულ ხელოვნებას ორი სახე აქვს: ერთი მხრივ, ღმერთებისა და გმირების კეთილშობილური და ჰეროიკული სამყარო, სადაც ყვავის ორგანული სიცოცხლე, და მეორე მხრივ, ფანტასტიკური არსებების სამყარო, ხშირად წარმოშობით შორეული ქვეყნებიდან, რომლებშიც აღრეულია ბუნების

[16] J. Alexander. Pianting and Manuscript Illumination of Royal Patrons in the Later Middle Ages. English Court Culture in the Later Middle Ages, ed. by V. J. Scattergood and J. W. Sherborne. London. 1983, გვ. 141-162, 161.

ჰეტეროგენული ფორმები.[17] ასეთ მიდგომას ჩვენ ხშირად ვხედავთ ასევე შუა საუკუნეების სახვით ხელოვნებაშიც[18] (*სურ. 17, 18*).

ამ მხრივ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ოთხთა ეკლესიის მოხატულობა, რომელიც ძალზე იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს ქართულ კედლის მხატვრობაში. თუმცა ამჟამად ფრესკები თითქმის წაშლილია, აფსიდის კედლის მესამე და მეოთხე რეგისტრების გამყოფ დეკორატიულ ზოლში მაინც განირჩევა მცენარეული ხვეული, რომელშიც ადამიანების შიშველი ფიგურებია ჩაწერილი[19] (*სურ. 19*).

კიდევ უფრო რთულ „გროტესკულ“ გამოსახულებებს გვაძლევს ორგანული სიცოცხლის ფორმების სინთეზი არქიტექტურულ დეტალებთან, რომელიც ასევე არ წარმოადგენს იშვითობას შუა საკუნეების მხატვრობაში, და არა მარტო დეკორატიული დანიშნულების მქონე ნიმუშებში, არამედ ისეთ მნიშვნელოვან სიუჟეტებშიც კი, როგორებიცაა წმინდა წერილის ილუსტრაცია. მაგალითად, ვილარ დე ონეკურის ერთ-ერთ ჩანახატში წარმოდგენილია ჯვარცმის სცენა, სადაც ჯვარს ფოთლოვანი გირლანდები აქვს, რომლებიდანაც იონიური ორდერის მსგავსი ელემენტები ამოიზრდება. ასეთი უჩვეულო სინთეზი სრულიად არღვევს შუა საუკუნეების მანძილზე დაკანონებულ იკონოგრაფიულ სქემებს, რომლებიც ჩვეულებრივ პირობითი, მაგრამ მკაფიოდ აღსაქმელი ხერხების საშუალებით ქმნის ცნობად, იოლად „წასაკითხ“ სიუჟეტებს და ფანტასტიკურ, „გროტესკულ“ სახეს ანიჭებს მთელ სცენას (*სურ. 20*).


მსგავს გამოსახულებას ვხედავთ აგრეთვე ფრანსისკო დე ოლანდას წიგნში (Libro de Las Antigualhas), რომელშიც მოცემულია რომის სან კლემენტეს ეკლესიის გუმბათის ამჟამად დაკარგული მოხატულობის ჩანახატი: მეტამორფოზული არსებები, რომლებიც არქიტექტურულ ელემენტებთანაა შერწყმული. ეს უკანასკნელები პრაქტიკულად იმეორებს ვილა ფანრეზინას კარიატიდების და ლეოპარდების გამოსახულებებს (*სურ. 21*).


ფლორენციის ბიბლიოთეკის კოლექციაში დაცულია ჯოვანინო დე გრასის მიერ ილუსტრირებული ჟამნი, რომელიც მილანის ჰერცოგ ჯან გალეაც ვისკონტის ეკუთვნოდა.[20] ერთ-ერთ მინიატურაში არქიტექტურული ნაგე-

[17] J. Baltrušaitis. Une survivance medieval: la Plante à Têtes. La Revue des arts. 1954, გვ. 81-92.
[18] T. Kren, E. C. Teviotdale, A. C. Cohen, K. Barstow. Masterpieces of Paul Getty Museum. Illunimated Manuscripts. Los-Angeles. 1997, გვ. 38-40.
[19] ზ. სხირტლაძე. ოთხთა ეკლესიის ფრესკები. თბ. 2009, გვ. 51, 80, სურ. 42, 94, ტაბ. VI. სურ. 2, 3.
[20] P. Toesca. Michelino de Besozzo e Giovannino de' Grassi. L'Arte #8. Roma. 1905, გვ. 321-339.

ბობები – ეკლესიები და ციხე-სიმაგრეები – ზღაპრული ხის რტოებზე „იზრდება“. ამ ნაწარმოებში, რომელიც გოთიკის ეპოქის ე. წ. სასახლის კარის ხელოვნების მიმართულების გამორჩეულ ნიმუშად ითვლება, მკაფიოდ იკითხება ძველი რომაული პროტოტიპები (კერძოდ, ნერონის „ოქროს სახლის“ მოხატულობის და პომპეის IV სტილის გავლენა) (*სურ. 22*).

ჩვენს ნაშრომში შევეცადეთ წარმოგვედგინა „გროტესკის“ სტილის დეკორის – ანტიკური სახვითი ხელოვნების კონკრეტული და არცთუ ტიპური მიმართულების – მოკლე ისტორია და მისი სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია ევროპული კულტურის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. განსაკუთრებით საინტერესოა „გროტესკების“ არსებობა შუა საუკუნეების ხელოვნებაში, რომელიც, ჩვენი აზრით, ქრისტიანობის წიაღში – ზოგ შემთხვევაში ღიად, ზოგჯერ კი შეფარული ფორმით თუ ქვეცნობიერად – არსებული წარმართული კულტურის უდიდესი პლასტის ერთ-ერთი მაგალითია.







სურ. 1. ვილა ფარნეზინას მოხატულობის ფრაგმენტები. ძვ. წ. I ს. ბოლო. პალაცო მასიმოს ეროვნული მუზეუმი, რომი



სურ. 2. ჩარლზ კამერონი. ეკატერინე II სასახლის დეკორის ფრაგმენტი. ცარსკოე სელო. 1779.






სურ. 3. ნერონის „ოქროს სახლის“ ჰექტორისა და ანდრომახას დარბაზის მოხატულობა. 64-68. რომი.




სურ. 4. ვილა ფარნეზინას კუბიკულუმი B-ს მოხატულობა.
ძვ. წ. I ს-ის ბოლო



სურ. 5. რომაული ვილის მოხატულობის ფრაგმენტი. II-III სს. რომაულ-გერმანული მუზეუმი, კიოლნი.



სურ. 6. ლუკა სინიორელი. ორვიეტოს კათედრალის სან ბრიციოს კაპელის მოხატულობის ფრაგმენტები. 1499-1504.



სურ. 7. რაფაელი და მისი სკოლა. ვატიკანის სასახლის ლეო X ლოჯიის მოხატულობის ფრაგმენტები. 1517-1519.






სურ. 8. უცნობი მხატვარი (ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად – ფლორენციელი). ერასტი ჭავჭანიძის საცხოვრებელი სახლის სადარბაზოს მოხატულობა. 1903. თბილისი, აღმაშენებლის 36.



სურ. 9. უცნობი მხატვარი. საცხოვრებელი სახლის სადარბაზოს მოხატულობა. თბილისი, გრიბოედოვის 15.



სურ. 10. მორიც ფონ შვინდი. მიუნჰენის ახალი პინაკოთეკის მოხატულობა. 1852.



სურ. 11. აუგუსტ აიზენმენგერი. ჰერმესის ვილის მოხატულობა. 1882-1884. ვენა.




სურ. 12. ხცისის ტაძრის საფასადო დეკორის ელემენტი. XI ს.




სურ. 13. უდაბნოს მონასტრის სატრაპეზოს მოხატულობა. XIII ს.



სურ. 14. ფსალმუნის მინიატურა. AAdd MS42130, ბრიტანეთის ბიბლიოთეკა. 1325-1340.





სურ. 15. სან კლემენტეს ეკლესიის აფსიდის მოზაიკის ფრაგმენტები. 1128. რომი.




სურ. 16. თელოვანის ჯვარპატიოსნის ეკლესიის რელიეფი. VIII-IX სს. (გრაფიკული სქემა ნ. ალადაშვილის მიხედვით)




სურ. 17. სან ძენოს სააბატოს მოხატულობა. 1260. ვერონა.



სურ. 18. ფსალმუნის ილუსტრაცია. VIII 2, fol 76. 1240-1250. გეტის მუზეუმი, ლოს ანჯელესი.



სურ. 19. ოთხთა ეკლესიის მოხატულობა. X ს-ის ბოლო (გრაფიკული სქემები ზ. სხირტლაძის მიხედვით)



სურ. 20. ვილარ დე ონეკური. Ms. Franşais 119093. XIII ს. პარიზის ეროვნული ბიბლიოთეკა.



სურ. 21. ფრანსისკო დე ოლანდა. სან კლემენტეს გუმბათის დეკორის ჩანახატი. fol.27v. XVI ს. ესკორეალის ბიბლიოთეკა, მადრიდი.



სურ. 22. ჯოვანინო დე გრასი. ჯან გალეაცო ვისკონტის ჟამნის მინიატურა. fol 30r. XIV ს. ფლორენციის ეროვნული ბიბლიოთეკა.

Nino Silagadze

GROTESQUE: THE HERITAGE OF ANTIQUITY

Summary

The term "Grotesque" is used as a general adjective for everything strange, fantastic, ugly, incongruous, unpleasant, or disgusting, thus it is also used to describe the weird shapes. Main objects of architectural decoration of this kind are vignettes and fantastic monsters, consisting of human, vegetal and zoomorphic elements, and sometimes architectural details too. An immense variety of motifs and figures, hybridity and metamorphosis is one of the most typical characteristics of the decorative style.

The word itself is originally from Italian grottesco, literally "of a cave" (from Italian *grotto*), which is an extravagant style of Antique Roman decorative art rediscovered and then copied in Renaissance at the end of the 15th century. The word first was used for the paintings found on the walls of basements of Roman ruins that were called at that time *Le Grotte*. That *Grotte* were the halls of splendid DomusAurea, the unfinished palace complex of Emperor Nero, built after the Great Fire of Rome in 64, which was demolished during the rule of Emperor Trajan.

Such designs were very fashionable in Rome starting from the times of Augustus (Villa Livia, Villa Farnesina etc.) as fresco or stucco wall decoration and floor mosaics, but they were hardly criticized by Vitruvius (30 B.C.) as illogical, meaningless art, purely decorative, without sense and narration, great ideas and heroes: "reeds are substituted for columns, fluted appendages with curly leaves and volutes take the place of pediments, candelabra support representations of shrines, and on top of their roofs grow slender stalks and volutes with human figures senselessly seated upon them."

After discovering of Domus Aurea, the Grotesque became very fashionable in Renaissance art too, thanks to the artworks of Raphael and his school, especially of Giovanni da Udine (Villa Madama and Villa Farnesina in Rome, loggias of Apostolic Palace in Vatican) forming the special variation of this style – Raphaelesque Grotesque. Starting from that times till the beginning of the 20th century in fact any European villa, luxurious city residence or palace has the decoration, somehow relative to the Grotesque style.

In our article we try to discover some forms of Medieval fine arts, including also Georgian samples (frescoes and reliefs, manuscripts illuminations) relative to Grotesques. According to this, we can analyze also the wide and complicated problem: how the heritage of Antiquity – the iconographical schemes and stylistic moments, pagan gods and mythological creatures – survives in the Middle Ages both in Eastern and Western Christendoms.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება.
შოთა მესხია – 100
თბილისი. 2016

მიხეილ ბაბუაძე

ქართული და ბიზანტიური ტიტულატურის ურთიერთმიმართება ბაგრატიონთა საგვარეულოში IX-X საუკუნეებში

ტაო-კლარჯეთის სამეფოს მმართველი დინასტიის, ბაგრატიონების, წარმომადგენლები ატარებდნენ როგორც ქართულ, ასევე, ბიზანტიურ ტიტულებს. ბიზანტიური ტიტულების ბოძება ბიზანტიის იმპერატორის პრეროგატივა იყო და, სავარაუდოდ, ის ამ ტიტულებს თავისი შეხედულებისამებრ ანიჭებდა.

ცხადია, განსხვავებული ვითარება იყო ქართულ ტიტულებთან დაკავშირებით. ბაგრატიონთა საგვარეულოში დაფიქსირებულია შემდეგი ქართული ტიტულები: მეფეთ-მეფე, მეფე, ქართველთა მეფე, ერისთავთ-ერისთავი, ერისთავი და მამფალი. აუცილებლად აღსანიშნავია, რომ ისინი სხვადასხვა დროს ჩნდებიან და ყველანი ერთიანი სისტემის ნაწილებს არ წარმოადგენენ. ცალკეა განსახილველი მეფის ტიტული, ცალკე – მამფლის და, ასევე, ცალკე – მეფეთ-მეფის. ტიტულები: ქართველთა მეფე, ერისთავთ-ერისთავი და ერისთავი კი ერთიანობაშია გასააზრებელი.

IX საუკუნის ბოლოს ტაო-კლარჯეთის სამეფოში შეიქმნა ქართული ტიტულატურა, რომელიც ბიზანტიურის პარალელურად და მისგან დამოუკიდებლად იწყებს არსებობას. ეს ტიტულები იყო: ქართველთა მეფე, ერისთავთ-ერისთავი, ერისთავი. მანამდე არსებული ტიტული – მამფალი – გაუქმდა და აშოტ ბაგრატიონის შთამომავალთა მესამე თაობის შემდეგ აღარ გვხვდება. ამიტომ ჩვენ ამ ტიტულს არ განვიხილავთ. საინტერესოა, რომ ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებული ქართული ტიტულებიც: ქართველთა მეფე, ერისთავთ-ერისთავი, ერისთავი, სწორედ ბაგრატიონთა მესამე თაობაში იქმნება. რაც შეეხება ტიტულს – მეფე, ჩვენ ვეთანხმებით მოსაზრებას, რომ ეს ზოგადი საპატიო ტიტული იყო და ყველა ბაგრატიონის მიმართ შეიძლება ყოფილიყო გამოყენებული. X საუკუნის ბოლოს შემუშავდა კიდევ ერთი ტიტული – მეფეთ-მეფე, მაგრამ მას, ჩვენი აზრით, მხოლოდ სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა იმ ეტ-

აპზე. როგორც უკვე ალვნიშნეთ, რეალურად ქართულ ტიტულატურას ქმნიდა სამი ტიტული: ქართველთა მეფე, ერისთავთ-ერისთავი, ერისთავი.[1]

ტაო-კლარჯეთის სამთავროს გაძლიერება, რაც თავისთავად ბიზანტიის გავლენისაგან თავის დაღწევას გულისხმობდა, აუცილებლად მოითხოვდა ბიზანტიური ტიტულატურის და, შესაბამისად, იერარქიის პარალელურად ქართული ტიტულატურის შემოტანას. ბიზანტიური ტიტულების ბოძება იმპერატორის ნებასურვილზე იყო დამოკიდებული და, ცხადია, პირველ რიგში, იმპერიის ინტერესთა გათვალისწინებით ხდებოდა. იმპერიას კი ძლიერი და ერთიანი სამთავრო არ ჭირდებოდა. იმპერიის პოლიტიკასთან დაპირისპირების ერთერთი გზა ქართული ტიტულატურისა და, შესაბამისად, ქართული იერარქიული სისტემის შექმნა იყო. ქართული ტიტულატურის ბოძება ბიზანტიის იმპერატორისაგან დამოუკიდებლად ხდებოდა (თუმცა, როგორც ვნახავთ, გარკვეულ შემთხვევებში იმპერიის პოზიციის გათვალისწინება მაინც საჭირო იყო). ქართული ტიტულატურის შექმნას თავად მოვლენათა განვითარება მოითხოვდა და ადრე თუ გვიან აუცილებლად მოხდებოდა. უბრალოდ დროის საკითხი იყო, თუ როდის განხორციელდებოდა ეს.

ბიზანტიის იმპერატორს ქართული ტიტულების ბოძებასთან კავშირი არ ჰქონდა, ანუ მას არ შეეძლო ბაგრატიონებისათვის ქართული ტიტულის ბოძება. ამ საკითხს ბაგრატიონები თავად წყვეტდნენ. თუ როგორ ხდებოდა ქართული ტიტულატურის ბოძება, ანუ ვისი პრეროგატივა იყო მათი ბოძება, ძნელი სათქმელია. წყაროები ამის შესახებ პირდაპირ ცნობებს არ შეიცავენ. შეიძლება მხოლოდ გარკვეული ვარაუდის გამოთქმა. ჩვენი აზრით, ქართველთა მეფის ტიტულის ბოძება კოლექტიური გადაწყვეტილების საფუძველზე ხდებოდა (არაა გამორიცხული არც წინამორბედი ქართველთა მეფის ანდერძის თანახმად ბოძება ამ ტიტულისა, ანუ ქართველთა მეფე წინასწარ განსაზღვრავდა მომავალ მემკვიდრეს). ამის შემდეგ კი ქართველთა მეფე უკვე ერთპიროვნულად ანიჭებდა ერისთავთ-ერისთავობასა და ერისთავობას.

ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება,[2] რომ 888 წელს ადარნასე დავითის ძისთვის ქართველთა მეფობის ბოძების გადაწყვეტილების მიღების კოლექტიურ ხასიათზე მიუთითებს სიტყვის – „დასუეს“ – მრავლო-

[1] დაწვრილებით ამ საკითხზე იხილიეთ, ქართული ტიტულატურა ტაო-კლარჯეთის სამეფოს მმართველ ბაგრატიონთ დინასტიაში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. IX. თბ. 2015, გვ. 89-124.
[2] ა. აბდალაძე. ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა IX-XI საუკუნეებში თბ. 1988, გვ. 192.

ბითი რიცხვი. ერთი შეხედვით მართებული არგუმენტია. მრავლობითი რიცხვი მართლაც გადაწყვეტილების რამდენიმე ადამიანის მიერ ერთობლივ მიღებაზე უნდა მიანიშნებდეს. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ, ასევე, მრავლობით რიცხვშია გამოყენებული ეს სიტყვა, როდესაც რომელიმე ბაგრატიონის კურაპალატობაზეა საუბარი – „გურგენ, რომელი-იგი დღეთა სიბერისა მისისათა კურაპალატად დასუეს“; „სუმბატ, რომელი ძმათა შემდგომად კურაპალატად დასუეს“; „გურგენ, რომელი შემდგომად კურაპალატად დასუეს“. კურაპალატობის ბოძება კი მხოლოდ ბიზანტიის იმპერატორის პრეროგატივა იყო და არა კოლექტიური გადაწყვეტილების შედეგი. ასევე, გვაქვს შემთხვევა, როდესაც მემატიანე წერს, „გურგენ ძე ადარნასესი, დასუეს ერისთავთაერისთავად“, „სუმბატ, რომელი-იგი დასუეს ერისთავთაერისთავად“. სავარაუდოდ, ადარნასეს „ქართველთა მეფედ“ დასმა ბაგრატიონთა საგვარეულს წარმომადგენელთა (შესაძლოა, ცალკეული პიროვნებების გამოკლებით) კოლექტიური გადაწყვეტილების შედეგი იყო. ჩვენ ვეთანხმებით მოსაზრებას, რომ „ქართველთა მეფედ დასმა“ ყოველთვის კოლექტიური გადაწყვეტილებით ხდებოდა. ამის შემდეგ კი ქართველთა მეფე უკვე ერთპიროვნულად ანიჭებდა ერისთავთ-ერისთავობასა და ერისთავობას, თუმცა, შესაძლოა, სხვა ბაგრატიონებთან მოთათბირების შემდეგ (ასეთი მოთათბირება სავალდებული იყო თუ არა, გაურკვეველია).

რა პრინციპით ხდებოდა იმ პიროვნების ამორჩევა, ვისაც ქართველთა მეფის ტიტული უნდა ბოძებოდა, უცნობია. თუმცა ამ ტიტულის ბოძება თავისთავად ამ პიროვნების პირველობის აღიარებას ნიშნავდა. ქართული ტიტულატურის შემოღების შედეგად შექმნილი იერარქია არ იყო ადმინისტრაციული. ის იყო სოციალური ხასიათის. ანუ ქართველთა მეფეს, ერისთავთ-ერისთავსა და ერისთავს შორის არ იყო სამოხელეო ურთიერთდამოკიდებულება, როგორც ზემდგომსა და ქვემდგომს შორის. ქართული ტიტულატურა განსაზღვრავდა მხოლოდ სოციალურ სტატუსს, ვინ ვისზე მეტი პატივით სარგებლობდა. ჩვენ ვიზიარებთ ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ მოსაზრებას (შ. ბადრიძე), რომ ტაო-კლარჯეთის სამთავროში ე.წ. კოლექტიური მმართველობა არსებობდა. ეს კი, ჩვენი აზრით, თავისთავად გამორიცხავს ადმინისტრაციულ ურთიერთდამოკიდებულებას ქართული ტიტულატურის მფლობელთა შორის. ანუ მარტივად რომ ვთქვათ, ქართველთა მეფე ვერაფერს უბრძანებდა ერისთავთ-ერისთვსა და ერისთავს, ისევე როგორც ერისთავთ-ერისთავი – ერისთავს.

ქართველთა მეფობის ბოძებისას, ალბათ, ხდებოდა კანდიდატის პიროვნული თვისებებისა და არსებული პოლიტიკური ვითარების გათვალისწინება.

ცნობდა თუ არა ბიზანტია ქართულ ტიტულატურას? სავარაუდოდ, არა. იმპერია მოქმედებდა საკუთარი მიზნებიდან გამომდინარე და თავის დამოკიდებულებას ბაგრატიონებისადმი მათთვის საკუთარი, ბიზანტიური ტიტულატურის ბოძებით გამოხატავდა.

ჩვენ მიერ ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ცხადია, რომ ქართული და ბიზანტიური ტიტულატურა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად და პარალელურად არსებობდა. მათ ერთმანეთთან კავშირი არ ქონდათ. ამიტომ ვერც მათ შორის იარსებებდა გარკვეული სახის ოფიციალური შესაბამისობა. ანუ, ვთქვათ, ქართველთა მეფობა შეესაბამებოდა კურაპალატობას, ერისთავთ-ერისთავობა – მაგისტროსობას და ა.შ. მაგრამ საინტერესოა, როგორ და რანაირად ხდებოდა ამ ტიტულატურების ურთიერთგადაკვეთა პიროვნულ დონეზე. ანუ არსებობდა თუ არა რაიმე კანონზომიერება ერთი და იმავე პიროვნებისათვის ქართული და ბიზანტიური ტიტულების ბოძებისა.

ბიზანტიური ტიტულატურიდან ბაგრატიონთა საგვარეულოში რამდენიმე გვხდება. ჩვენ ძირითად ყურადღებას ორზე: კურაპალატზე და მაგისტროსზე შევაჩერებთ. კურაპალატზე მაღალი ტიტული იმ ეტაპზე ბაგრატიონებში არ გვხვდება.

სამთავროს დამაარსებლის, აშოტ ბაგრატიონის, შთამომავალთა შორის პირველ ორ თაობაში ქართული ტიტულატურიდან გვხვდება მხოლოდ ერთი – მამფალი, ხოლო საგვარეულოს უფროსი და ნომინალურად სამთავროს პირველი პირი ატარებს მხოლოდ კურაპალატის ბიზანტიურ ტიტულს. კურაპალატები არიან: აშოტის ძე ბაგრატი და ამ უკანასკნელის ვაჟი დავითი. ჩვენ არ ვეთანხმებით მოსაზრებას, რომ კურაპალატობა მემკვიდრეობით გადადიოდა მამიდან-შვილზე და ბიზანტიის იმპერატორის მიერ ბოძებას არ საჭიროებდა.[3] მართებულია თვალსაზრისი,[4] რომ კურაპალატობის ბოძება მხოლოდ ბიზანტიის იმპერატორის პრივილეგია იყო.

აშოტი, ბაგრატი, დავითი სამთავროს ხელმძღვანელები იყვნენ და მათ მიერ კურაპალატობის ფლობაც ბუნებრივია. ვერ დავეთანხმებით თვალსაზრისს, რომ „მართალია, დავითს სუმბატ დავითის ძე „ქართველთა მეფის“ ტიტულით არ მოიხსენიებს, მაგრამ მისი მეფობა ეჭვს არ იწვევს“.[5] ქარ-

[3] შ. ბადრიძე. „ქართველთა სამეფოს“ პოლიტიკური სტრუქტურის ისტორიიდან. თსუ შრომები. თბ. 1965. ტ. 113, გვ. 221.

[4] ლ. თავაძე. ბიზანტიური საიმპერიო ტიტულატურა საქართველოში. ისტორიის დოქტორის (PhD) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. თბ. 2012, გვ. 81.

[5] ლ. თავაძე. ბიზანტიური საიმპერიო ტიტულატურა საქართველოში, გვ. 86.

თველთა მეფის ტიტული ამ დროს ჯერ არ არსებობს, ხოლო ტიტული „მეფე“, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზოგადი ხასიათისაა და ყველა ბაგრატიონს შეიძლება ეწოდოს „მეფე“.

დავითი, როგორც ცნობილია, ბაგრატიონთა საგვარეულოში ატეხილი შინაომის დროს დაიღუპა. ის ნასრ გუარამის ძემ მოკლა. კურაპალატობა აშოტის უფროსი ვაჟის, ადარნასეს, შტოში გადავიდა და ამ უკანასკნელის ძეს – გურგენს ებოძა. რატომ არ გადაეცა კურაპალატობა მოკლული დავითის ვაჟს, ადანასეს? ქართული წყაროს მიხედვით, „და დაუტევა ამან დავით მოკლულმან ძე მცირე ადარნასე, მოუწიფებელი ასაკითა“. ანუ ადარნასე დავითის ძე სრულწლოვანი არ იყო და, ალბათ, ამიტომ მას კურაპალატობა არ უბოძეს. რატომ გადაეცა გურგენს? სავარაუდოდ, ის გვარში ყველაზე უხუცესი იყო და მხოლოდ ამ მიზეზის გამო. გარკვეულწილად ამას უნდა ადასტურებდეს მემატიანის სიტყვები, რომ „და იყვნეს ძენი უხუცესისა მის ძმისა მათისა, აშოტის ძისა ადარნასესნი, სამნი: გურგენ, რომელი-იგი დღეთა სიბერისა მისისათა კურაპალატად დასუეს, და ძმანი მისნი აშოტ კეკელაჲ და სუმბატ არტანუჯელი.“

მას შემდეგ, რაც ადარნასე დავითის ძე წამოიზარდა, სავარაუდოდ, მას გაუჩნდა პრეტენზია გვარში პირველობაზე. გამომდინარე თუნდაც იქიდან, რომ მისი მამა და ბაბუა იყვნენ გვარისა და, შესაბამისად, სამთავროს მეთაურები. პირველობის სურვილი, ალბათ, კიდევ უფრო გაუმძაფრდა ნასრ გუარამის ძის დამარცხების შემდეგ. სწორედ ამის შემდეგ იღებს ის 888 წელს „ქართველთა მეფის“ ტიტულს. თავის დროზე ჩვენ დაწვრილებით შევეხეთ ამ საკითხს და ამჯერად აღარ შეეჩერდებით. მხოლოდ ერთს ვიტყვით, „ქართველთა მეფის“ ტიტულის შემოღებაში გარკვეული როლი პიროვნულ ფაქტორსაც ჰქონდა. ადანასე დავითის ძეს, როგორც კურაპალატების მემკვიდრეს, ალბათ, პირველობის ამბიციაც ჰქონდა. ბიზანტიის იმპერატორის მიერ კურაპალატობის გურგენ ადარნასეს ძისადმი გადაცემამ, შესაძლოა, ადარნასე დავითის ძის გაბრაზება გამოიწვია და საპასუხოდ მან „ქართველთა მეფის“ ტიტული მიიღო.

ს. ჯანაშია წერდა, „ამ „მეფობის“ გაჩენა, ასეთი გრძელი პაუზის შემდეგ (მეფობის მოსპობიდან ქართლში მეექვსე საუკუნის ოციან წლებში) თავისთავად ძალიან საინტერესო და მაჩვენებელი მოვლენაა, მაგრამ იგი სრულიადაც არ მოასწავებდა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შორის დამკვიდრებული იერარქიული წესის შეცვლას და „მეფის“ გამარჯვებას „კურაპალატ-

ზე".[6] რა თქმა უნდა, საუბარი არაა „მეფის" გამარჯვებაზე „კურაპალატზე". ეს შეუძლებელი იყო, რადგან ეს ტიტულები სხვადასხვა იერარქიულ სისტემაში არსებობდა. „ქართველთა მეფის" ტიტულის შემოღება ნიშნავდა ახალი, ქართული იერარქიული სისტემის შექმნას, რაც მნიშვნელოვანი მოვლენა იყო.

შეიქმნა ვითარება, როდესაც უმაღლესი ბიზანტიური ტიტული – კურაპალატი – ჰქონდა გურგენ ადარნასეს ძეს, ხოლო უმაღლესი ქართული ტიტული – ადარნასე დავითის ძეს. სამთავროში ორი ლიდერია. ერთი ბიზანტიის იმპერიის მიერ აღიარებული, მეორე კი – ქართველთა მიერ. შექმნილი ვითარება, ცხადია, დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა და გურგენსა და ადარნასეს შორის 891 წელს ბრძოლა დაიწყო. ვეთანხმებით თვალსაზრისს, რომ „ნასრას სამფლობელოების გადანაწილებას და გვარში პირველობისთვის ბრძოლას უნდა გამოეწვია ახალი კონფლიქტი ბაგრატიონებს შორის. ამჯერად ერთმანეთს ადარნასე ქართველთა მეფე და გურგენ კურაპალატი დაუპირისპირდნენ. ბრძოლა 891 წელს სოფელ მგლინავთან მოხდა. ადარნასემ გაიმარჯვა, ხოლო ტყვედ ჩავარდნილი გურგენი ბრძოლაში მიყენებული ჭრილობებისგან გარდაიცვალა".[7]

ვის გადაეცა კურაპალატობა გურგენის გარდაცვალების შემდეგ? მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ ბიზანტიის იმპერატორს კურაპალატობა 891 წელს ადარნასე ქართველთა მეფისთვის უნდა ებოძებინა. ამ მოსაზრებას თითქოს ეწინააღმდეგება სამბატ დავითის ძის ცნობა, რომლის მიხედვითაც, კურაპალატად იწოდება 891 წელს გარდაცვლილი გურგენის ძმისშვილი ასევე გურგენი, ძე აშოტ კეკელასი. „ხოლო აშოტ კეკელაჲ, ძე ადარნასესი, გარდაიცვალა ქრონიკონსა პზ, და დაუტევა **გურგენ, რომელი შემდგომად კურაპალატად დასუეს**, და სუმბატ არტანუჯელი ანთიპატრიკი."

შესაძლოა, ბიზანტიის იმპერატორმა 891 წელს კურაპალატობა მართლაც გადასცა გურგენ აშოტ კეკელას ძეს. როდის გარდაიცვალა ის, უცნობია.

ცხადია ერთი რამ, 897 წელს ადარნასე ქართველთა მეფე კურაპალატის ტიტულით მოიხსენიება ადიშის სახარების მინაწერში. თუ რატომ არ მოიხსენიება ის ამ მინაწერში „ქართველთა მეფობით", ამაზე შეგვიძლია შემდეგი ვარაუდი გამოვთქვათ: შესაძლოა, იმ დროს კურაპალატობა გაცილებით უფრო დიდი პატივი იყო და ადარნასეც ამიტომაა მოხსენიებული კურაპალატად (თუმცა, ცხადია, ეს ხელს არ შეუშლიდა იმას, რომ ადარნასე მეორე

[6] ს. ჯანაშია. კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობები ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ. თსუ შრომები. თბ. 1941. ტ. 18, გვ. 75.

[7] ლ. თავაძე. ბიზანტიური საიმპერიო ტიტულატურა საქართველოში, გვ. 88.

ტიტულითაც, ქართველთა მეფე, მოეხსენიებიათ). აქ შეიძლება გამოგვადგეს ადარნასეს ძეების: ბაგრატისა და სუმბატის მაგალითები. ბაგრატიონთა მემატიანე ბაგრატს მხოლოდ მაგისტროსობით, ხოლო სუმბატს კურაპალატობით მოიხსენიებს. ამავე დროს, ბაგრატი, გიორგი მერჩულის მიხედვით, ერისთავთერისთავიც იყო: „რომელთა შორის იპოვა ძეი დიდისა ადარნერსე კურაპალატისაჲ, **ბაგრატ ერისთავთა ერისთავი**“.[8] ხოლო სუმბატს გიორგი მერჩულე 951 წლისათვის ასევე ერისთავთერისთავობით მოიხსენიებს: „დაიწერა ცხორებაჲ ესე ... **ერისთავთა ერისთვობასა სუმბატისსა**, ძისა ადარნერსე მეფისასა“.[9]

როგორც ვხედავთ, არაა აუცილებელი, რომ პიროვნება ყოველთვის მოხსენიებული ყოფილიყო ყველა იმ ტიტულით, რომელსაც ფლობდა.

აშოტ ბაგრატიონის შთამომავალთა მესამე თაობაში (სწორედ ამ დროს ჩნდება ქართული ტიტულატურის სისტემა ტაო-კლარჯეთში) ერთადერთი პიროვნება, რომელიც ფლობს უმაღლეს როგორც ქართულ, ასევე, ბიზანტიურ ტიტულატურას, არის ადარნასე დავითის ძე. ის იყო ქართველთა მეფეც და კურაპალატიც. ანუ ამ შემთხვევაში ორივე მხარე, იმპერიაცა და ბაგრატიონებიც ერთსა და იმავე პიროვნებას აღიარებდნენ ლიდერად.

ვითარება იცვლება უკვე ადარნასეს შვილების დროს. ქართველთა მეფე ხდება მისი უფროსი ვაჟი დავითი, მაგრამ მას მხოლოდ მაგისტროსობა ებოძა. სამაგიეროდ, მისი ძმა აშოტი გახდა კურაპალატი, თუმცა ამ უკანასკნელს ქართველთა მეფობა არ ჰქონდა. ვითარება კიდევ უფრო საინტერესო გახდება თუ გავითვალისწინებთ, რა ტიტულატურას ფლობდნენ მათი მომდევნო ძმები: ბაგრატი და სუმბატი. ბაგრატი იყო ქართველთა მეფე და მაგისტროსი. რაც შეეხება სუმბატს, ის ქართული ტიტულებიდან ფლობდა მხოლოდ ერისთავთერისთავობას. სამაგიეროდ ბიზანტიისგან ნაბოძები ჰქონდა ჯერ ანთიპატოს-პატრიკიოსობა და შემდეგ – კურაპალატობა.

ადარნასეს შვილებთან დაკავშირებით კარგად ჩანს, თუ როგორ განსხვავებულად აფასებდა სიტუაციას ქართული და ბიზანტიური მხარე. ეს X საუკუნის 20-50-იანი წლებია. დაპირისპირება, რომელიც, ერთი მხრივ, ბიზანტიის საიმპერატორო კარსა, და მეორე მხრივ, ბაგრატიონთა ერთ ნაწილს შორის არსებობს, კარგად აისახება ტიტულატურის მხრივაც. ვისაც აქვს

[8] პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე. ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა. ნარკვევი ძველი საქართველოს ლიტერატურის, კულტურის და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორიიდან. თბ. 1954, გვ. 308.

[9] პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, გვ. 323.

ქართველთა მეფობა, მას არ აქვს კურაპალატობა და ვისაც ბიზანტია ანიჭებს კურაპალატობას, ის ქართველთა მეფის ტიტულს არ ფლობს.

მართებულია თვალსაზრისი, რომ „ტიტული „კურაპალატი“ ბიზანტიის მესვეურთათვის გახდა ერთგვარი საშუალება, არამხოლოდ გამოეკვეთათ საკუთარი ფავორიტი ქართველი ხელმწიფეების რიგიდან, არამედ ხშირ შემთხვევაში გაეძლიერებინათ, აღეზევებინათ საკუთარი მომხრეები და ამით გარკვეული დაპირისპირება შეეტანათ ქართველთა სამეფოს მმართველ წრეში. ეს ტენდენცია შეამჩნიეს ქართული მატიანეების ავტორებმაც. მაშასადამე, ბიზანტიის ეს პოლიტიკური ხრიკები კარგად იყო ცნობილი საქართველოში, რასაც, ბუნებრივია, ხშირ შემთხვევაში ღია და შეუნიღბავი ხასიათი ჰქონდა“.[10]

მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ „ბიზანტიის ხელისუფლება ცდილობს კურაპალატის ტიტული არ მიანიჭოს „ქართველთა“ მეფეებს, რაც, უდავოდ, განპირობებული იყო იმპერიის მისწრაფებით, არ დაეშვა ტაო-კლარჯეთში ხელისუფლების კონცენტრაცია ერთი პირის ხელში. ამიტომ იყო, რომ ადარნასე II-ის გარდაცვალების შემდეგ კურაპალატის ტიტული მიენიჭა არა „ქართველთა“ მეფედ გამოცხადებულ დავითს, არამდე მის ძმას აშოტს“.[11] მართებული მოსაზრებაა.

X საუკუნის 20-იან წლებში დაიძაბა ვითარება, ერთი მხრივ, თავად ბაგრატიონთა საგვარეულოს წევრთა შორის და, მეორე მხრივ, ბიზანტიის იმპერიასთან. საქმე ეხება არტანუჯის ციხის ირგვლივ შექმნილ მდგომარეობას. აშოტ კისკასმა, რომელსაც პატრიკიოსის ტიტული ჰქონდა თავის სიძესთან, გურგენ დიდთან დაპირისპირების გამო, გადაწყვიტა არტანუჯის ციხე იმპერიისთვის დაეთმო. ამავე დროს გურგენ დიდს თავის კონკურენტად განიხილავდნენ ადარნასე ქართველთა მეფის ძეებიც. კონსტანტინე პორფიროგენეტი წერს, „გურგენმა პირველი (კარის) კაცი გაგზავნა ბასილევსთან დიდძალი საჩუქრებით და სთხოვდა მას კურაპალატობას ან მაგისტროსობას, ოთხივე ძმამ, ესე იგი ადარნასე კურაპალატის შვილებმა, ეჭვი აიღეს, რომ კონსტანტი (იმპერატორის წარმომადგენელი – მ. ბ.) იქ იმისთვის მიდის, რომ გურგენი გააკურაპალატოსო“.[12]

---

[10] ლ. თავაძე. ბიზანტიური საიმპერიო ტიტულატურა საქართველოში, გვ. 83.

[11] მ. ლორთქიფანიძე, ზ. პაპასქირი. ახალი სამეფო-სამთავროების წარმოქმნა საქართველოში და მათი ადგილი საერთაშორისო ურთიერთობებში. საშინაო დიპლომატია. წიგნში ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები. ტ. I. თბ. 1999, გვ. 198.

[12] გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. IV ნაკვ. II. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბ. 1952, გვ. 283.

იმპერატორ რომანოზ I-ის ბრძანებით ბიზანტიელებმა ციხე დაიკავეს. უმნიშვნელოვანესი ციხის გადასვლამ ბიზანტიელთა ხელში ბაგრატიონთა საგვარეულოს სხვა წევრების აღშფოთება გამოიწვია. გურგენ დიდი და დავით ადარნასეს ძე გაერთიანდნენ კიდეც და იმპერატორს ციხიდან ბიზანტიური გარნიზონის გაყვანა მოსთხოვეს. იმპერატორმა უკან დაიხია, ციხე დათმო. უკან გაბრუნებულმა ბიზანტიელებმა თან დავითის ძმა აშოტი წაიყვანეს, რომელსაც იმპერატორმა კურაპალატობა უბოძა.

სავსებით ვეთანხმებით თვალსაზრისს, რომ „სწორედ აღნიშნული კონფლიქტის ბოლოს გადაწყვიტა იმპერატორმა კურაპალატობა მიეცა არა დავით ქართველთა მეფისთვის, რომელსაც თვით იმპერატორი კონსტანტინე დიდ დავითს უწოდებს მისი უპირატესობის აღსანიშნავად, არამედ აშოტისთვის, რომელიც უფროსი ძმისგან განსხვავებით ნაკლებად აქტიურია ბიზანტიის წინააღმდეგ. აშკარაა, რომ ამ ღონისძიებით იმპერატორს ძმებს შორის შუღლის ჩამოდგება ჰქონდა განზრახული, რადგან მათ საერთო კოორდინაციას მთელი ამ დაძაბულობის განმავლობაში კარგად ამჩნევდა. დავით ქართველთა მეფე, როგორც კონსტანტინე პორფიროგენეტთან ჩანს, მაგისტროსის ტიტულს ფლობს, რომელსაც ის ან ადარნასეს გარდაცვალებამდე ფლობდა, ანდა იმავე 923 წლის ახლო ხანებში უნდა მიეღო იმპერატორისგან. ამ შემთხვევაში არსებითად მნიშვნელოვანი ისაა, რომ კურაპალატის ტიტულს, რომელსაც აშკარად მნიშვნელოვანი წონა აქვს ქართველთა სამეფოს იერარქიაში და ბიზანტიის ფავორიტის მაჩვენებელია, იღებს ის პიროვნება, რომელზედაც იმპერატორი ყველაზე მეტ იმედს ამყარებს სამომავლოდ. ძნელია ზუსტად იმის თქმა, რამდენად მოახერხა იმპერატორმა ძმებს შორის უნდობლობის ჩამოგდება წყაროებში ეს ნათლად არ ჩანს“.[13]

დავით ქართველთა მეფე მხოლოდ მაგისტროსი იყო. ეს ტიტული მას ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში უნდა მიეღო და სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა.[14] ქართველთა მეფობის მიღებამდე დავითი ერისთავის ტიტულს ფლობდა. ერისთავობით მოიხსენიება ის ადიშის ოთხთავის 897 წლის მინაწერში.

საინტერესოა კიდევ ერთი რამ, ბიზანტიამ დავითს დაუპირისპირა არა მარტო ძმა აშოტი, რომელსაც უბოძა კურაპალატობა, არამედ გარკვეულწილად გურგენ დიდიც, რომელსაც მაგისტროსობა მიანიჭა. ბიზანტიური ტიტუ-

[13] ლ. თავაძე. ბიზანტიური საიმპერიო ტიტულატურა საქართველოში, გვ. 91-92.

[14] ლ. თავაძე. მაგისტროსი საქართველოში და ქართველი მაგისტროსები ბიზანტიის იმპერიაში. თბ. 2016, გვ. 71-72.

ლატურის გათვალისწინებით, დავითი და გურგენი თანასწორნი არიან, ორივე მაგისტროსია. ქართულ ტიტულატურას თუ გავითვალისწინებთ, დავითი ერთი საფეხურით მაღლა დგას. ის ქართველთა მეფეა, მაშინ როდესაც გურგენ დიდი მხოლოდ ერისთავთ-ერისთავია. მართალია, არტანუჯის ციხის საკითხში დავითი და გურგენი ერთად იყვნენ, მაგრამ ბიზანტიის საიმპერატორო კარი, ცხადია, მათ შორის ურთიერთობის გაფუჭებას შეეცდებოდა. რა თქმა უნდა, გურგენისთვის, რომელიც კურაპალატობასაც კი ითხოვდა, მაგისტროსობის ბოძების ერთადერთი მიზეზი ეს არ იქნებოდა და, ალბათ, არც მთავარი, თუმცა გარკვეულ როლს, სავარაუდოდ, ითამაშებდა. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ გურგენმა მაგისტროსობა მანამ მიიღო, სანამ ის დავითთან ერთად იმპერატორ რომანოზს დაუპირისპირდებოდა.

არსებობს გარკვეულწილად განსხვავებული მოსაზრებაც. გურგენისთვის მაგისტროსობის ბოძებით იმპერატორი რომანოზი მისი კეთილგანწყობის მოპოვებას ცდილობდა. „კონსტანტი (იმპერატორის წარმომადგენელი – მ. ბ.) ხვდებოდა, რომ გურგენისა და დავითის მხარეები დაპირისპირებულები იყვნენ, ხოლო გურგენი, რომელსაც ახალი მიღებული ჰქონდა მაგისტროსის ღირსება, მისი აზრით, ნაკლებად წავიდოდა იმპერატორის წინააღმდეგ. ხოლო დავით II ქართველთა მეფეს, როგორც ჩანს, კურაპალატობისთვის ამზადებდნენ, ვინაიდან მაგისტროსის ტიტული იმპერატორმა გურგენს გადასცა, მაშინ როდესაც ეს უკანასკნელი კურაპალატობას ითხოვდა. აქედან აშკარაა, რომ კურაპალატობა და სამეფოში უპირატესობა მას უნდა ჰქონოდა, ვინც ადარნასე ქართველთა მეფეს ცვლიდა. იმპერატორი ელოდებოდა დავითის „სწორ“ პოზიციას არტანუჯის საკითხთან დაკავშირებით ... ქართველი მეფე-მთავრები შესაშურ ერთიანობას იჩენენ, მათ დაიცვეს ბიზანტიის იმპერატორის მიერ ბოძებული მაგისტროსის ტიტულები, ასევე, მოსალოდნელი კურაპალატის ტიტულიც და გაერთიანდნენ“.[15]

შესაძლოა ასეც იყო, მაგრამ ჩვენ გვიჩნდება რამდენიმე კითხვა. თუ გურგენს პირდაპირ მიანიჭეს მაგისტროსობა და არ დაელოდნენ მის „სწორ“ პოზიციას არტანუჯის ციხის გამო, რატომ არ იყო იგივე მიდგომა დავითისადმი? დავითისთვის პირდაპირ კურაპალატობის ბოძებით რატომ არ სცადა იმპერიამ მისი კეთილგანწყობის მოპოვება? იმ ფონზე, როდესაც დავითს და მის

[15] ლ. თავაძე. მაგისტროსი საქართველოში და ქართველი მაგისტროსები ბიზანტიის იმპერიაში, გვ. 78.

ძმებს ეშინოდათ, რომ კურაპალატობა გურგენ დიდს არ მიეღო, გურგენისთვის მაგისტროსობის ბოძების პარალელურად დავითისთვის კურაპალატობის მინიჭება ხომ ცალსახად დაადასტურებდა იმპერიის კეთილგანწყობას მისადმი და უფრო პრობიზანტიურად განაწყობდა მას? რეალურად რას და როგორ გეგმავდა იმპერატორი, ძნელი სათქმელია. შესაძლოა, მხოლოდ გარკვეული მოსაზრებების გამოთქმა.

ჩვენი აზრით, იმპერატორი თავიდანვე არ აპირებდა დავითისთვის კურაპალატობის ბოძებას. ერთი პიროვნების ხელში უმაღლესი ქართული და ბიზანტიური (კურაპალატობა იმ დროს ბაგრატიონთათვის უმაღლესი ტიტული იყო) ტიტულების არსებობა ბიზანტიის ინტერესში არ უნდა ყოფილიყო. ასეთი პიროვნება შეიძლება ძალიან გაძლიერებულიყო და იმპერიის გავლენისგან გათავისუფლება მოესურვებინა. აი, გურგენისთვის მაგისტროსობის მინიჭება და ამით მისი დავითთან გათანაბრება კი იმპერიას საშუალებას აძლევდა მათ ურთიერთობაში გარკვეული დაძაბულობა შეეტანა.

გურგენ დიდის სურვილი, მიეღო კურაპალატობა, სრულიად გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ იმ ძალასა და გავლენას, რომელიც მას ჰქონდა. მემატიანე წერს: „გურგენ დიდი ერისთავთა-ერისთავი, ძე ადარნასესი, რომელმან უმეტესნი სიმჴნენი და ბრძოლანი ქმნნა ყოველთა მამათა მისთასა, და დაიმორჩილნა ყოველნი გარემოსნი“.[16] მისი და, დინარი, ჰერეთის მეფის, ადარნასე პატრიკიოსის, მეუღლე იყო. თავად გურგენს ცოლად ჰყავდა არტანუჯელი ბაგრატიონის, აშოტ კისკასის, ქალიშვილი. გურგენს ძე არ ჰყავდა. მისი ერთი ქალიშვილი ცოლად ჰყავდა სომხეთის მეფის ძმას. მეორე სიძე კი აფხაზთა მეფე ბაგრატი იყო, რომელსაც ძმის, გიორგის (მომავალი აფხაზთა მეფე გიორგი II – მ. ბ.), წინააღმდეგ ბრძოლაში სწორედ გურგენი ეხმარებოდა. გურგენ დიდი 941 წლს გარდაიცვალა.[17]

დავით ქართველთა მეფე 937 წელს გარდაიცვალა. მას მემკვიდრე არ ჰყავდა და ქართველთა მეფობა მის ძმას, ბაგრატს, გადაეცა. როგორც ჩანს, ბაგრატიონებმა ჩათვალეს, რომ ქართველთა მეფობის აშოტისათვის გადაცემა, რომელსაც კურაპალატობა უკვე ჰქონდა, ამ უკანასკნელის გავლენას კიდევ უფრო გაზრდიდა. შესაძლოა, გაითვალისწინეს აშოტის ლოიალური პოზიცია ბიზანტიასთან დაკავშირებითაც. აშოტის გაძლიერება, ალბათ, მის უკან მდგომი ბი-

[16] ქართლის ცხოვრება. რედ. რ. მეტრეველი. თბ. 2008, გვ. 368.
[17] ქართლის ცხოვრება, გვ. 368.

ზანტიის გავლენას გაზრდიდა ტაო-კლარჯეთში. ეს კი ბაგრატიონთა დიდი ნაწილისთვის მიუღებელი უნდა ყოფილიყო. ბაგრატს იმპერატორმა მაგისტროსობა უბოძა და ეს მართლაც დავითის გარდაცვალებისთანავე უნდა მომხდარიყო.[18]

გამოთქმულია მოსაზრება, რომ 937 წელს „დავითის გარდაცვალების შემდეგ, რომელსაც კურაპალატობა არ აღირსეს, ქართველთა მეფის ტიტულის მფლობელი კარგავს გვარში მეთაურობას".[19] რთული სათქმელია, რა ვითარება იყო სამეფოში პირველობასთან დაკავშირებით 937-945 წლებში. დავითის ერთი ძმა აშოტი კურაპალატია, მერე ბაგრატი – ქართველთა მეფე. აშოტის პირველობას აღიარებს ბიზანტია, ბაგრატისას, ალბათ, ბაგრატიონთა საგვარეულოს წევრთა უმეტესობა. რეალურად ვის უფრო მეტი გავლენა ჰქონდა, უცნობია და შეიძლება მხოლოდ ვარაუდი გამოვთქვათ. ალბათ, მაინც აშოტს, რადგან მის უკან იმპერია იდგა. ამ პერიოდში კი ბიზანტიის გავლენა ტაო-კლარჯეთზე საკმაოდ გაზრდილი ჩანს. ამას ისიც ადასტურებს, რომ 945-958 წლებში ქართველთა მეფის ტიტულს არავინ ფლობს. ეს ე.წ. „უმეფობის" ხანაა. ამის მიზეზი კი, სავარაუდოდ, ორი რამ არის: ბიზანტიის გავლენის ზრდა ტაო-კლარჯეთში, რომლისთვისაც პრინციპში მიუღებელი იყო ქართული ტიტულატურის არსებობა და ბაგრატიონთა საგვარეულოს შიგნით არსებული დაპირისპირება. ბიზანტიის „შიშით" ვერავინ გაბედა ქართველთა მეფობის მიღება, ანდაც თავად ბაგრატიონებმა არავის შესთავაზეს ქართველთა მეფობა, ისევ და ისევ ბიზანტიის „შიშის" გამო.

როდესაც 945 წელს გარდაიცვალა ქართველთა მეფე და მაგისტროსი ბაგრატი, იმპერატორმა კონსტანტინე პორფიროგენეტმა მაგისტროსობა მის ძეს, ადარნასეს, გადასცა.[20] იმპერატორის ეს ნაბიჯი სავსებით გასაგებია. მამის ტიტული შვილს გადაეცა.

954 წელს გარდაიცვალა აშოტ კურაპალატი. ამ მომენტისთვის ცოცხალი იყო მისი ძმა სუბმატი, რომელიც ერისთავთ-ერისთავი იყო და ანთიპატოს-პატრიკიოსის ტიტულსაც ფლობდა. პირდაპი მემკვიდრე აშოტს არ ჰყავდა და ამიტომ იმპერატორმა კურაპალატობა აშოტის ძმას, სუმბატს გადასცა.[21]

---

[18] ლ. თავაძე. მაგისტროსი საქართველოში და ქართველი მაგისტროსები ბიზანტიის იმპერიაში, გვ. 84.

[19] ლ. თავაძე. ბიზანტიური საიმპერიო ტიტულატურა საქართველოში, გვ. 93.

[20] ლ. თავაძე. მაგისტროსი საქართველოში და ქართველი მაგისტროსები ბიზანტიის იმპერიაში, გვ. 90.

[21] ლ. თავაძე. ბიზანტიური საიმპერიო ტიტულატურა საქართველოში, გვ. 97.

958 წელს გარდაიცვალა საგვარეულოს მეთაური და, შესაბამისად, ტაო-კლარჯეთის ნომინალური უზენაესი მმართველი სუმბატ კურაპალატი. მას ორი ვაჟი დარჩა: ბაგრატი და ადარნასე (შუათანა ძე, აშოტი, ჯერ კიდევ სუმბატის სიცოცხლეშივე გარდაიცვალა). ბაგრატი ერისთავთ-ერისთავი იყო და მამის გარდაცვალების შემდეგ ის ქართველთა მეფე გახდა, ანუ აღადგინა ეს ტიტული. იმპერატორმა კონსტანტინე VII პორფიროგენეტმა მას კურაპალატობა არ უბოძა.

სუმბატის გარდაცვალების შემდეგ კურაპალატი მისი ძმის, ბაგრატის, ძე ადარნასე გახდა. ვეთანხმებით მოსაზრებას, რომ ადარნასესთვის კურაპალატობის ბოძება მნიშვნელოვანწილად ამ უკანასკნელის პრობიზანტიური ქმედებები და იმპერიის აღმოსავლურ სამხედრო კამპანიებში აქტიური მონაწილეობა უნდა ყოფილიყო.[22] თუმცა, ალბათ, იყო კიდევ ერთი მიზეზი. მოყოლებული 923 წლიდან, მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა ქართველთა მეფე და კურაპალატი ადარნასე, ბიზანტიის იმპერია ცდილობდა ერთი პიროვნების ხელში არ ყოფილიყო სამეფოში უმაღლესი ქართული და ბიზანტიური ტიტულები.

არ ჰქონდა მნიშვნელობა, ვინ იყო იმპერატორი (რომანოზ I, კონსტანტინე პორფიროგენეტი, იოანე ციმისხი, ბასილი II) რადგან პრინციპი, რომ კურაპალატობა და ქართველთა მეფობა სხვადასხვა პიროვნებას უნდა ჰქონოდა, უცვლელი იყო 923 წლიდან 994 წლამდე. ბიზანტიის საიმპერატორო კარის გადაწყვეტილება სრულიად გასაგებია. თუ სამეფოში არსებული უმაღლესი ქართული და ბიზანტიური ტიტულები ერთ ადამიანს ექნებოდა, ეს ამ უკანასკნელის გაძლიერებას გამოიწვევდა. ბაგრატიონთა მეთაურის „ზედმეტი“ გაძლიერება არასდროს შედიოდა ბიზანტიის მმართველთა ინტერესებში. თუ ტიტულები სხვადასხვა პიროვნებებს ექნებოდათ, ეს ძველი, მაგრამ ნაცადი ხერხის – „დაყავი და იბატონეს“ – შესაბამისი იქნებოდა. რაც, თავის მხრივ, გამოიწვევდა დაპირისპირებას ბაგრატიონთა საგვარეულოს შიგნით. ამას კი, საბოლოო ჯამში, სამეფოს დასუსტებისა და „მორჩილებაში“ ყოლისათვის უნდა შეეწყო ხელი.

961 წელს ადარნასე კურაპალატი მისივე ძეებმა, ბაგრატმა და დავითმა, ბერად აღკვეცეს და ამით პოლიტიკურ ასპარეზს ჩამოაშორეს. ადარნასე მალევე გარდაიცვალა. ბიზანტიის საიმპერატორო კარს უნდა გადაეწყვიტა,

[22] ლ. თავაძე. მაგისტროსი საქართველოში და ქართველი მაგისტროსები ბიზანტიის იმპერიაში, გვ. 92-93.

თუ ვისთვის მიეცა კურაპალატობა. ჩვენ მიერ ზემოთ ნახსენები პრინციპიდან გამომდინარე ეს არ შეიძლება ყოფილიყო ბაგრატ II ქართველთა მეფე, რეგუენად წოდებული. მაგრამ არც ადარნასე კურაპალატის შვილები წარმოადგენდნენ კონსტანტინოპოლისათვის სასურველ კანდიდატებს, მათ ხომ ბიზანტიის ერთგული მოკავშირე ჩამოიცილეს. ზემოთ დასახელებულ პირთა გარდა, ტაოელ ბაგრატიონებში ერთადერთი ადამიანიღა იყო, ვისთვისაც შეიძლებოდა კურაპალატობის ბოძება, ბაგრატ ქართველთა მეფის ძმა ადარნასე. საინტერესოა, რომ IX საუკუნის ბოლოდან მოყოლებული კურაპალატობა მხოლოდ ტაოელ ბაგრატიონთა შტოს წარმომადგენლებს ეძლეოდათ. რით იყო ეს გამოწვეული, ძნელი სათქმელია.

961-983 წლებში კურაპალატობას სწორედ ბაგრატ ქართველთა მეფის ძმა, ადარნასე, ფლობდა.[23] წყაროთა მონაცემების თუ გავითვალისწინებთ, თითქოს მართლაც გამოდის, რომ „ადარნასე სუმბატის ძის გარდაცვალების შემდეგ ... კურაპალატის ტიტული, ფაქტობრივად, ვაკანტური ჩანს. თუ ვინ ფლობდა მას 983-989 წლებში, ჩვენ არ ვიცით“.[24]

ბერად აღკვეცილი ადარნასეს უფროსი ძე ბაგრატი ერისთავთ-ერისთავი იყო. 966 წელს ის გარდაიცვალა და ერისთავთ-ერისთავი მისი ძმა დავითი გახდა. როგორც ცნობილია, თავის მოღვაწეობის გარკვეულ ეტაპზე დავითი მაგისტროსის ტიტულს იღებს. დავითის მიერ მაგისტროსობის მიღების თარიღთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლის, რომ ეს 973 წელს თუ არა, ოდნავ ადრე უნდა მომხდარიყო.[25] სხვათა აზრით, ბიზანტიამ თავისი უარყოფითი დამოკიდებულება დავითისადმი 967 წლისთვის შეცვალა და მაგისტროსობაც მაშინ მიანიჭა.[26] მაგისტროსობის შემდეგ გადის გარკვეული პერიოდი და დავითი კურაპალატის ტიტულსაც იღებს. ამ საკითხთან დაკავშირებითაც აზრთა სხვადასხვაობაა მეცნიერთა შორის. ზოგი თვლის, რომ დავითმა კურაპალატობა 979 წელს მიიღო ბარდა სკლიაროსის აჯანყების ჩახშობისას იმპერიისათვის გაწეული დახმარების გამო.[27] ზოგიც კი დავითის მიერ კურაპალატობის მიღებას 989/990 წლებში

[23] ლ. თავაძე. ბიზანტიური საიმპერიო ტიტულატურა საქართველოში, გვ. 98.
[24] ლ. თავაძე. ბიზანტიური საიმპერიო ტიტულატურა საქართველოში, გვ. 99.
[25] ვ. სილოგავა. ოშკი X საუკუნის მემორიალური ტაძარი. თბ. 2006, გვ. 120.
[26] ლ. თავაძე. მაგისტროსი საქართველოში და ქართველი მაგისტროსები ბიზანტიის იმპერიაში, გვ. 100.
[27] მ. ლორთქიფანიძე. დავით III – ტაოს მეფე. ტაოს სამეფო. საქართველოს ისტორია ოთხ ტომად. ტ. II. თბ. 2012, გვ. 219.

ვარაუდობს.[28] არსებობს მოსაზრება, რომ დავითმა კურაპალატობა ორჯერ მიიღო, პირველად 979 წელს, შემდეგ დაკარგა და კვლავ მიიღო 989/990 წლებში.[29]

როდის მიიღო დავითმა კურაპალატობა, რთული საკითხია და წყაროთა განსხვავებული მონაცემების გათვალისწინებით თითქოს ცალსახა დასკვნის გაკეთება შეუძლებელია. თუმცა ჩვენ გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ერთ მომენტზე. 983 წლამდე კურაპალატი არის ბაგრატ ქართველთა მეფის ძმა ადარნასე. ჩვენ მიერ ნანახ წყაროებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ არ არის დაფიქსირებული შემთხვევა, როდესაც ბაგრატიონთა საგვარეულოს ორი წარმომადგენელი ერთდროულად ატარებდა კურაპალატის ტიტულს. ასეთივე მდგომარეობაა ქართველთა მეფის ტიტულთან დაკავშირებითაც, განსხვავებით, ვთქვათ, მაგისტროსობისა და ერისთავთ-ერისთავობისაგან. ეს ბუნებრივიცაა. კურაპალატი და ქართველთა მეფეც განიხილებოდნენ როგორც სამეფოს უზენაესი პირები, ერთი ბიზანტიელთა თვალსაზრისით და მეორე ქართველების პოზიციიდან. ერთდროულად ორი უზენაესი პირის არსებობას რეალურად არც ბიზანტიური ტიტულატურა ითვალისწინებდა და არც ქართული. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვთვლით, რომ 983 წლამდე დავითი კურაპალატობას ვერ მიიღებდა. თუ დავითმა კურაპალატობა 989/990 წლებში მიიღო მაშინ მართლაც გამოდის, რომ 983-989 წლებში კურაპალატობა არავის ჰქონდა. მართალია, იაჰია ანტიოქიელი პირდაპირ წერს, რომ ბასილი II-მ დავითს კურაპალატობა მას შემდეგ მისცა, რაც ამ უკანასკნელმა ანდერძი დაწერა,[30] მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ შესაძლოა დავითს ეს ტიტული ცოტა უფრო ადრე მიიღო. თუ 983-989 წლებში კურაპალატობა ბაგრატიონთა საგვარეულოს არც ერთ წევრს არ ჰქონდა გამოდის, რომ იმპერიას არ ჰყავდა თავისი რჩეული. ასეთი ვითარება კი ალბათ არ შედიოდა ბიზანტიის ინტერესებში. არ შედიოდა რადგან ამ შემთხვევაში ტაო-კლარჯეთში ერთი ნომი-

[28] ლ. თავაძე. ბიზანტიური საიმპერიო ტიტულატურა საქართველოში, გვ. 99.

[29] ლ. თავაძე. მაგისტროსი საქართველოში და ქართველი მაგისტროსები ბიზანტიის იმპერიაში, გვ. 99.

[30] «И просил Давид, царь грузин, у царя Василия прощения и пощады и обещал ему повиновение и покорность, и что его владния, после его смерти, будут присоединены к его (Василия) государству, так как сам он дряхлый старик и не имест ни сына ни других наследников, и просил царя разрешить ему прислать своих сановников ко двору его, чтобы царь мог взять с них (клятвы) и заручиться обязательствами с их стороны, что они сдадут города по смерти их государя. И понравился образ действий его царю Василию и сделал он его куропалатом и послал ему платья с драгоценньми украшениями». Император Василий Болгаробойца. Извлечения из летописи Яхъи Антиохийского. Пер. В. Р. Розена. СПб. 1883 (http://www.vostlit.info/Texts/rus/Yahya/text1.phtml?id=1996)

ნალური ლიდერი იქნებოდა – ქართველთა მეფე, რომლის საპირისპიროდაც ბიზანტიას არავინ ეყოლებოდა. ასეთი რამ არ ყოფილა არასდროს IX-X საუკუნეების განმავლობაში. ამიტომ ჩვენ ვვარაუდობთ, რომ, შესაძლოა, ბასილი ბულგართმმუსერელმა კურაპალატობა დავითს 983 წელსვე, ადარნასეს გარდაცვალებისთანავე უბოძა. ყოველ შემთხვევაში, 989/990 წლებში დავითი ნადვილად კურაპალატია. ჩვენი აზრით, ერთი რამ ცხადია, დავითს კურაპალატობა შეეძლო მიეღო მხოლოდ 983 წლის შემდგომ.

994 წელს გარდაიცვალა ქართველთა მეფე ბაგრატ რეგუენი და ქართველთა მეფობა მისმა ბიძაშვილისშვილმა, დავით კურაპალატმა მიიღო. აი, აქ დაირღვა ის პრინციპი, რაზეც ზევით ვსაუბრობდით და რომლის თანახმადაც კონსტანტინოპოლი ცდილობდა, არ დაეშვა კურაპალატობისა და ქართველთა მეფობის ერთი პირის ხელში მოქცევა. თუ რატომ დაუშვა ბიზანტიამ ამ ორი ტიტულის გაერთიანება 994 წელს, ადვილი ასახსნელია. პირველ რიგში, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბიზანტიას არ შეეძლო განესაზღვრა, ვინ უნდა გამხდარიყო ქართველთა მეფე. ეს მთლიანად ბაგრატიონთა ხელში იყო. იმპერია, სავარაუდოდ, იყენებდა გარკვეულ ბერკეტებს გადაწყვეტილების მიმღებებზე ზეგავლენის მოსახდენად, მაგრამ რეალურად ქართველთა მეფობის ბოძება მაინც ბაგრატიაონთა „საშინაო საქმე იყო“. დავითი იმდენად დიდი პიროვნება იყო, იმდენად ძლიერი და გავლენიანი, რომ ალტერნატიული კანდიდატის არსებობა, ალბათ, პრინციპში გამორიცხული იყო. გასათვალისწინებელი ისიც, რომ, სავარაუდოდ, ბაგრატ II და დავით კურაპალატი თანამოაზრეები იყვნენ. ეს კარგად გამოჩნდა იმ კონფლიქტის დროს, რომელიც დავითსა და ბაგრატ III-ს შორის მოხდა 989/990 წლებში. მემატიანე წერს, „მაშინ ჯერეთ ცოცხალ იყო პაპა ბაგრატისი, ბაგრატ ქართველთა მეფე; იგიცა მოვიდა დავით კურაპალატისა წინაშე, რამეთუ ეშინოდა ძისა თჳსისა გურგენისგან წაღებასა მეფობისასა“.[31] კიდევ ერთი მომენტია აღსანიშნავი. 994 წელს ბაგრატი უკვე აფხაზთა მეფეა. აფხაზთა სამეფო ნელ-ნელა ძლიერდება. ეს ბიზანტიის ინტერესებში არ შედის. ბიზანტია სამხრეთ კავკასიის დასავლეთ ნაწილს საკუთარი გავლენის სფეროდ განიხილავს და აქ ძლიერი ადგილობრივი სამეფოები არ აწყობს. ბაგრატის მიერ ქართველთა მეფობის მიღება მას კიდევ უფრო გააძლიერებს. დავითს კი პირდაპირი მემკვიდრეები არ ჰყავს და, გარდა ამისა, უკვე დაწერილი აქვს ანდერძი, რომლითაც მთელ თავის სამფლო-

[31] ქართლის ცხოვრება, გვ. 270.

ბელოებს ბიზანტიას უტოვებს.[32] ამიტომ ბიზანტიისთვის იმ მომენტში უმჯობესი იყო ქართველთა მეფობა მიეღო დავითს და არა ბაგრატს. თუმცა გადამწყვეტი, ალბათ, მაინც თავად დავითის გავლენა და სიძლიერე იყო.

1001 წელს დავით კურაპალატი გარდაიცვალა. ქართველთა მეფობა ბაგრატ III-მ მიიღო. ეს ბუნებრივი იყო, რადგან სხვა კანდიდატურა რეალურად არც არსებობდა. ბაგრატი იყო ყველაზე ძლიერი და გავლენიანი. მასვე უბოძა ბასილი II-მ კურაპალატობა. ქართველი მემატიანე წერს, „და მივიდეს მის წინაშე ბაგრატ, აფხაზთა მეფე, და მამა მისი გურგენ, და მოსცა მათ ბასილი მეფემან პატივად გურგენს მაგისტროსობა და ბაგრატს კურაპალატობა, რათამცა ვითა მტერ ყვნა ერთმანერთისა მიმართ მამა-ძენი ესე, და ამით ღონითა იძმაცუა. ხოლო გურგენ ჭეშმარიტი და წრფელი იყო, და ვერა აღძრა გული მისი ზაკჳთა ამით მიზეზითა და ვერა უძლო ღონისძიებითა“.[33] გამოთქმულია მოსაზრება, რომ ბაგრატისთვის კურაპალატობისა და გურგენისთვის მაგისტროსობის ბოძებით ბასილი ბულგართმმუსვრელმა დაარღვია უხუცესობის პრინციპი.[34] თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ შვილმა უფრო მაღალი ტიტული მიიღო ვიდრე მამამ, უხუცესობის პრინციპი მართლაც დაირღვა. თუმცა კურაპალატობის ბოძებისას ბიზანტია არასდროს ითვალისწინებდა უხუცესობის პრინციპს. ის სხვა პრინციპებიდან გამომდინარე მოქმედებდა. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია, თუ რა მდგომარეობა ეკავათ 1001 წელს რეალურად ბაგრატსა და გურგენს. ბაგრატი იყო მეფე აფხაზთა და ქართველთა. გურგენი კი მეფეთ-მეფის საპატიო ტიტულს ატარებდა, რომელსაც არანაირი რეალური დატვირთვა არ ჰქონდა. ეგებ სწორედ ამ პრინციპით მოქმედებდა ბასილი როდესაც რეალურ მეფეს კურაპალატობა უბოძა, ხოლო გურგენს – მაგისტროსობა. თუმცა აუცილებლად აღსანიშნავია, რომ 1001 წელს ქართულმა საზოგადოებამ ბასილის გადაწყვეტილებაში ცალსახად მამა-შვილს შორის უთანხმოების ჩამოგდების მცდელობა დაინახა.

[32] მ. ლორთქიფანიძე. დავით III – ტაოს მეფე, გვ. 220.
[33] ქართლის ცხოვრება, გვ. 370.
[34] ლ. თავაძე. მაგისტროსი საქართველოში და ქართველი მაგისტროსები ბიზანტიის იმპერიაში, გვ. 99.

Mikheil Bakhtadze

GEORGIAN AND BYZANTINE TITLES AND THEIR INTERRELATION IN BAGRATIONI DYNASTY IN 9TH-10TH CENTURIES

Summary

The representatives of the ruling dynasty of the Kingdom of Tao-Klarjeti had Georgian as well as Byzantine titles. Conferring titles upon Georgian kings was the prerogative of Byzantine emperors.

At the end of the 9th century, the royal dynasty of Tao-Klarjeti created their own titles of nobility that started to exist in parallel to those of Byzantine.

These titles were as follows: King of Georgians, Eristavt-eristavi (duke of dukes), and Eristavi. The existed title "Mampali" (Georgian: მამფალი, i.e. a dynastic title usually held by high-ranking Bagratid princes who did not possess any Byzantine dignities) was abolished. As for the title "King" (Georgian: mefe), we agree with the opinion that it was a general honorary title. In the end of the 10th century, another honorary title "King of Kings" was introduced but it had only a symbolic meaning. As it has already been mentioned, three main titles of nobility in those days were as follows: King of Georgians, Eristavt-eristavi and Eristavi.

Byzantine emperors could not confer Georgian titles upon Georgian kings – only the royal dynasty of Bagrations was entitled to make decisions regarding this issue. However, it is unknown whose prerogative this was and precisely how these titles were conferred. In our opinion, the decision on the bestowal of the title of King of Georgians upon the future ruler was made collectively. It cannot also be ruled out that the heir intended to get the title was named in the will of the former King of Georgians. And afterwards the King of Georgians distributed the titles of Eristavi and Eristavt-eristavi in the country. It is unknown how they chose the future King of Georgians. However, by bestowing this title upon him, they recognized his supremacy. It is presumable that before making the decision on bestowing this title upon candidates they took their personal features and the existed political situation into account. It is interesting to know whether Byzantium recognized Georgian titles of nobility.

Presumably the powers that were in Byzantium did not recognize Georgian titles since the empire pursued its own goals and showed its attitude to Georgian Kings by bestowing their own titles upon them.

It would also be interesting to learn whether any kind of official similarities or connections existed between the Georgian and Byzantine titles.

In the third generation of Ashot Bagrationi's descendants (precisely under his rule, the nobility introduced their own titles in the region), the only holder of both, Georgian and Byzantine titles is Adarnase IV of Iberia, the only son of David I, the prince of Iberia with the Byzantine title of Kouropalates. Hence, this is the case when both, Georgian and Byzantium, recognize supremacy of the same person.

The situation changes when Adarnase's sons come to the throne. His eldest son becomes the King of Georgians, however, the Byzantines give him the title of Magistros, and his brother Ashot became Kouropalates despite him not having the title of the King of Georgians. As regards their successors, Bagrat and Sumbat, the former held title of the King of Georgians, whereas the latter had only Georgian title of Eristavt-eristavi, however, the Byzantine emperor granted him the titles of Anthypatos and Patrikios, as well as Kourapalates.

The deterioration of the political relations between the two countries has its effect on the distribution of titles. In the first and second half of the X century, when the Byzantine nobility and some representatives of the Bagrations confronted each other, the holders of the title of Kouropalates did not hold the title of the King of Georgians in our country and vice versa.

The situation remained unchanged in the successive generation in this regard – Bagrat II was the King of Georgians, but he did not hold Byzantine titles; likewise, his brother Adarnase, the son of Sumbat, and his cousin Adarnase, the son of Bagrat, held the titles of Kouropalates, however, neither of them held the title of the King of Georgians. It is also worth taking into account that Sumbat, father of Bagrat II, was not the King of Georgians; he held the title of Kourapalates, however. The situation is totally different with regard to Adarnase, son of Bagrat – his father was the King of Georgians, but he did not hold the title of Kourapalates. David III is the only ruler who is both the King of Georgians and Kourapalates, and these titles are inherited by Bagrat III later. From our viewpoint, Georgian and Byzantine titles existed separately, in parallel to one another and did not have any kind of connections or official similarities; moreover, in the light of the political situation, Georgian titles of nobility opposed to those of Byzantine.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება.
შოთა მესხია – 100
თბილისი. 2016

გიორგი სოსიაშვილი

შიდა ქართლის ლაპიდარული წარწერები და ტბელთა ფეოდალური საგვარეულო

X საუკუნის ასომთავრული წარწერების დიდი ნაწილი, რომლებიც შიდა ქართლში – დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში – არსებულ ტაძრებზეა შესრულებული, ცნობილი ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენლებს – ტბელებს უკავშირდება. განსაკუთრებით საყურადღებოა ერედვის წმ. გიორგის სახელობის ტაძრის სამხრეთ ფასადის მრგვალი სვეტის ზედა ნაწილზე შესრულებული წარწერა, სადაც მოიხსენიება ქართლის უფალი ივანე ტბელი. წარწერაში ვკითხულობთ:

„[სახ]ელითა ღ(მრთისა)ათა, მ[ამისა, ძისა და] სუ[ლისა წ]მიდის[ათა], მეოხებითა წმ(ი)დ(ი)სა ღ(მრ)თი[სმ[2]შ]ობელისათა, [შეწევნითა წმ(ი)დ(ი)სა გი(ორგი)სითა, ჴელმწიფობასა ღ(მრ)თ(ი)ვდამყარ[ე]ბ[3]ულისა წმიდ[ი]სა კ[ონ]სტანტი[ნე] მეფისასა, რ(ომე)ლ(მა)ნ ბრძანა და ჩავიდა ჰერე[4]თს [შ]ივან, ჰერთა მეფ[ე]ჲცა(ა)[ქ]ცია და მუნით მშუიდობით იქცა, ცისკრად ა[5]ლავერდს ილოცა, [მ]წუხრი ბრქმს გადაჴთა; მეორედ კ(უ)ლა ავიდა, ჳეჯინ[6]ისა ციხე დალეწა; ქართლს შინა უფლობასა ტბელისა ივანესა, მთავარ[7]ე[ბი] სკო[სო]ბასა სანატრელისა ყუარყუარესა (ეს სიტყვა პირობითად აღადგინა ნ. შოშიაშვილმა – გ.ს.), *ჯ(უა)რითა მისითა; გაზრახვითა ნიკოზ[8]ე[ლი]სა – სანატრ[ე]ლისა სტეფანე ეპისკოპოსისათა, ძალითა, შეწევნითა მოყუას/თათა, მე თ(ვედორ)ე თაფლა სძემან დავდე საძირკველი – წელნი იყ(უ)ანეს ხფი, ქრონიკ[ონსა რკვ]“*.[1]

[1] ქართული წარწერების კორპუსი. ლაპიდარული წარწერები. ტ. I. შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა. თბ. 1980, გვ. 172; რ. მეფისაშვილი. ერედვის წმ. გიორგის ეკლესიის საამშენებლო წარწერა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. ტ. V. №10. თბ. 1944, გვ. 44-45; ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია. ტ. I. V-X საუკუნეების ძეგლები გამოსცა, ტაბულები და ლექსიკონი დაურთო ი. იმნაიშვილმა. თბ. 1953, გვ. 3; ი. იმნაიშვილი. ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია. ტ. I. თბ. 1970, გვ. 16. Р. Меписашвили, В. Цинцадзе. Архитектура нагорной части исторической провинций Шида Картли. Тб. 1975, გვ. 52-53. საინტერესოა, რომ ერედვის წარწერას ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს იხსენიებს ეგზარქოს ელადიმირის ქართლში მოგზაურობის მიმომხილველი. იხ. Обозрение Карталинских церквей Высокопреосвященнейшим Владимиром экзархом Грузии, გვ. 20.

ერედვის ტაძრის წარწერა 906-914 წლებით თარიღდება. როგორც ნ. შოშიაშვილი აღნიშნავს: *„1) წარწერაში აღნიშნული თარიღი „ხფი“-6510 (-906 წ.) წარწერის თარიღი კი არ არის, არამედ ეკლესიის მშენებლობის დაწყების. წარწერას კი ამოკვეთდნენ ეკლესიის დასრულების შემდეგ, ე.ი. 906 წლიდან დაახლოებით ათიოდე წლის შემდეგ; 2) წარწერაში აღნიშნული ლაშქრობა „აფხაზთა“ მეფის კონსტანტინეს ჰერეთს, წყაროების ცნობით, მოხდა აბულკასიმის ლაშქრობის (914) შემდეგ“.*[2] ერედვის წარწერაში მოხსენიებული ივანე ტბელი იხსენიება ასევე დოდოთის სამეკლესიანი ბაზილიკის შუა ეკლესიის სამხრეთი კარის მარჯვენა წირთხლზე არსებულ წარწერაში: *„სახელით[2]ა ღ(მრ)თი(სათა) ივანე ე[3]რ[ისთ]ავმ(ა)ნ ტბ(ელ)მ(ა)ნ[4] აღ(ა)შენა ესე წ(მიდა)ი ე[5]კლესიაი სალო[6]ცველად მისთ[7]ის და ხუთთა ძ[8]თ[ა მისთ][9] ათუ[ის]“.*[3]

როგორც ამ წარწერიდან ჩანს, ივანე ტბელს ხუთი ძე ჰყავდა. მისი ძეებიდან დოდოთის ეკლესიის დასავლეთის კარის ტიმპანზე ამოღარულ ოთხსტრიქონიან ასომთავრულ წარწერაში, რომელიც დაახლ. 914 წლით თარიღდება, იხსენიება ქავთარი: *„წ(მიდა)ო ნ(ა)თლ(ისმ)ც(ე)მ(ელ)ო, მ(ეო)[2]ბ ექმ(ე)ნ მ(ო)ნ(ა)სა შ(ენსა)[3] ტბ(ე)ლ(ი)სა ძესა ქ(ა)ვთ(ა)რსა[4] ორსავე ცხ(ო)რ(ე)ბ(ა)სა“.*[4] რაკი ამ დროს, ერედვის წარწერის თანახმად ტბელთა ფეოდალური სახლის ხელმძღვანელი ივანეა, ამიტომ დოდოთის ეკლესიის ამ წარწერაში მოხსენიებული ტბელი, რომლის ძეც ქავთარია, ივანე უნდა იყოს. სწორედ ივანე ტბელის და, სავარაუდოდ, მისი ხუთი ძის (შესაძლებელია სხვა სახლისკაცების მონაწილეობითაც) ბრძანებით და ინიციატივით აიგო ერედვის წმ. გიორგის ტაძარი. ამას ერედვის ტაძრის სამკვეთლოს სარკმლის ორივე მხარეზე ამოღარული ასომთავრული წარწერაც გვაუწყებს: *„აღეშე[ნ]ა[2] წ(მიდა)ი [ეკ](ლესია)ი [ე[3]სე ყოვ(ე)ლ][4]თა [ტ]ბე[ლ]თ[ა][5] ბრძანე[6]ბითა“.*[5]

ერედვის წარწერაში მოხსენიებული ივანე ტბელი ქართლის უფალი (გამგებელი) იყო, ის სათავეში ედგა ტბელთა ფეოდალურ სახლს. სწორედ მისი ბრძანებით აიგო ერედვის ტაძარი, რომლის წარწერაში ჯერ კონსტანტინე „აფხაზთა“ მეფის ჰერეთში ლაშქრობაზეა საუბარი, ხოლო შემდეგ ხაზი აქვს გასმული ივანე ტბელის *„ქართლსა შინა უფლობას“*. ივანეს შემდეგ წარწერა ქართლის მთავარეპისკოპოს ყ˘ე-ს შესახებ გვამცნობს, რომლის ლოცვა-კურთხევით („ჯუარითა მისითა“) აშენდა ერედვის ტაძარი, ყ˘ე-ს მოხსენიების

[2] ქართული წარწერების კორპუსი. ლაპიდარული წარწერები. ტ. I, გვ. 171.
[3] ქართული წარწერების კორპუსი. ლაპიდარული წარწერები. ტ. I, გვ. 176.
[4] ქართული წარწერების კორპუსი. ლაპიდარული წარწერები. ტ. I, გვ. 177.
[5] ქართული წარწერების კორპუსი. ლაპიდარული წარწერები. ტ. I, გვ. 173.

შემდეგ, წარწერა ნიქოზის ეპისკოპოს სტეფანეს შესახებ გვაუწყებს, რომლის „გაზრახვითა“ აიგო წმ. გიორგის ეკლესია. ერედვის წარწერაში ჯერ მთავარეპისკოპოსია მოხსენიებული, ხოლო შემდეგ ნიქოზელი ეპისკოპოსი სტეფანე. ძალზე საინტერესოა, რომ მთავარეპისკოპოსის სახელი დაქარაგმებით „ყ˜ე“ იკითხება, ხოლო ნიქოზელი ეპისკოპოსის სახელი კი სრულად წერია. მთავარეპისკოპოსის დაქარაგმებულ სახელთან დაკავშირებით რ. მეფისაშვილი წერდა: *„ივანე ტბელის შემდეგ წარწერაში იხსენიება მთავარეპისკოპოსი, რომლის სახელს დამწერი ქარაგმით ასე გამოხატავს: „ყ˜ესა“. „მთავარეპისკოპობასა სანატრელისა ყ˜ესა“. როგორ უნდა გაიხსნას აქ ქარაგმა, რაიმე გრაფიკულ შეცდომასთან ხომ არა გვაქვს საქმე, ეს ჯერჯერობით გაურკვეველი გვრჩება“.*[6]

წარწერის ამ ნაწილს ვ. თოფურია შემდეგნაირად კითხულობდა: *„ს(?) ასა სანატრ˜ელისა ყ ///ა ჯ რითა მისითა გაზ(?)რახვითა [სანა]ტრელისა სტეფანე ეპისკოსისათა ძალითა შეწევნითა...“*.[7] ვ. თოფურიასეულ წაკითხვაშიც ქართლის მთავარეპისკოპოსის სახელი შემოკლებით წერია. როგორც არ უნდა იქნას წაკითხული მთავარეპისკოპოსის დაქარაგმებული სახელი, ერთი რამ ცხადია, რომ დამკვეთებმა გარკვეული სუბორდინაცია დაიცვეს, ჯერ მთავარეპოსკოპოსი მოიხსენიეს, შემდეგ კი ნიქოზელი ეპისკოპოსი სტეფანე, მაგრამ როგორც ჩანს, მთავარეპოსკოპოსის გავლენა აღნიშნულ არეალზე, მაშინდელი პოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე, ნომინალური იყო, სხვა შემთხვევაში, მის სახელს სრულად ჩაწერდნენ. შეიძლება ითქვას, რომ ქტიტორებმა სუბორდინაცია ფორმალურად დაიცვეს. რაც შეეხება წარწერაში მოხსენიებულ: *„ძალითა, შეწევნითა მოყუასთაითა“*, როგორც რ. მეფისაშვილი განმარტავს: *„ისინი ალბათ ეკლესიის სხვა მსახურნი იყვნენ“*.[8]

ერედვის ტაძრის მეორე ასომთავრულ წარწერაში ხაზი აქვს გასმული, რომ ეკლესია ყოველთა ტბელთა ბრძანებით აიგო. ამ „ყოველთაში“, იგულისხმება, ან ივანე ტბელი და მისი ხუთი ძე, ან ივანე და მისი სახლისკაცები. არ არის გამორიცხული, რომ წარწერაში მოხსენიებული ნიქოზელი ეპისკოპოსი სტეფანეც ტბელთა ფეოდალური სახლის წევრი იყო. ი. მეგრელიძეს გამოქვეყნებული აქვს ნიქოზის ღვთაების ტაძრის აღმოსავლეთ კედელზე მიკ-

[6] რ. მეფისაშვილი. ერედვის 906 წლის ხუროთმოძღვრული ძეგლი. ჟურნ.: ქართული ხელოვნება. №4. თბ. 1955, გვ. 116-117; ნ. შოშიაშვილმა ქარაგმა პირობითად გახსნა და ყ˜ე მიიჩნია, როგორც ყვარყვარე. იხ.: ქართული წარწერების კორპუსი. ლაპიდარული წარწერები. ტ. I, გვ. 177.

[7] ვ. თოფურია. შიდა ქართლში დაცული ზოგიერთ სიძველეთა წარწერები. საისტორიო მოამბე. ტ. II. ტფ. 1924, გვ. 131.

[8] რ. მეფისაშვილი. ერედვის 906 წლის ხუროთმოძღვრული ძეგლი, გვ. 117.

ვლეული მინაწერები: *„იოვნე სტფნე ზქრ ქე შე“*. მკვლევარი მინაწერს ასე კითხულობს: *„იოვანე, სტეფანე, ზაქარია, ქრისტე, შეიწყალე!“*. იქვეა სხვა მინაწერიც: *„ქე ბი შე ჩ აიღსი წო სტეფნე შე“*. მკვლევარს არ აქვს მოცემული აღნიშნული მინაწერების პალეოგრაფიული დახასიათება, მან, როგორც ჩანს, თავი შეიკავა წარწერების დათარიღებისგანაც.[9]

ნიქოზის ღვთაების ტაძრის პირველი საამშენებლო ფენა თარიღდება V-VI საუკუნეებით და რამდენჯერმე ისეა გადაკეთებული, რომ საამშენებლო ფენების დადგენა ძნელდება.[10] არ არის გამორიცხული, რომ ი. მეგრელიძის მიერ გამოქვეყნებულ მინაწერში მოხსენიებული იოანე, სტეფანე და ზაქარია ტბელთა ფეოდალური სახლის წარმომადგენლები იყვნენ. ხომ არ არის ერედვის წარწერაში მოხსენიებული ნიქოზელი ეპისკოპოსი სტეფანე და ნიქოზის ღვთაების ტაძრის მინაწერში მოხსენიებული სტეფანე ერთი და იგივე პიროვნება? ნიქოზელი ეპისკოპოსი სტეფანე შესაძლებელია, იოანე (ივანე) ტბელის ძმაც იყო, ტბელთა საფეოდალოს ტერიტორიაზე არსებული ნიქოზის ღვთაების ტაძარი, მათ, შესაძლოა, ერთობლივად განაახლეს და ამის აღსანიშნავად აღმოსავლეთ კედელზე წარწერაც გამოსახეს. ნიქოზის საეპისკოპოსო ტბელთა ფეოდალურ სახლთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული, ნიქოზელმა ეპისკოპოსმა სტეფანემ და ივანე ტბელმა ერთად ააგეს ერედვის ტაძარი და წარწერაშიც ერთად არიან მოხსენიებულნი. ნიქოზის საეპისკოპოსო კათედრას სავარაუდოდ ტბელები აკონტროლებდნენ.

საეპისკოპოსო ცენტრების სიძლიერეზე საინტერესო დაკვირვება ჰქონდა აკად. ს. ჯანაშიას. იგი წერდა: *„...წყაროების გულდასმით განხილვა გვარწმუნებს, რომ მიწისმფლობელობის საკონცენტრაციო ცენტრების, ფეოდალურ სენიორიათა პროტოტიპების რიცხვი გაცილებით მეტია, ვიდრე უმაღლეს საბოლოო პატივთა რიცხვი. ამ ცენტრების გათვალისწინება ნაწილობრივ ქართლის ეკლესიის ჰიერარქიულ ფაქტების ნიადაგზეა შესაძლებელი. განსაკუთრებით ნიშანდობლივია ამ მხრივ საეპისკოპოსოების ისტორია. როგორც ყველგან და ყოველთვის, ქართლშიაც საეკლესიო სტრუქტურა სოციალურ და პოლიტიკურ აღნაგობის შესაბამისად იყო აშენებული. საეპისკოპოსო კათედრები, ამიტომ, ბუნებრივად მიუთითებენ და თან ემთხვევიან უმსხვილეს პროტოგენურ ფეოდალურ ცენტრებს“*.[11]

[9] ი. მეგრელიძე. სიძველეები ლიახვის ხეობაში. ტ. I. თბ. 1984, გვ. 149.
[10] საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. ტ. 5. თბ. 1990, გვ. 68.
[11] ს. ჯანაშია. ფეოდალური რევოლუცია საქართველოში. ტფ. 1935, გვ. 18.

ტბელთა ფეოდალური სახლის წარმომადგენლის ეპისკოპოს სტეფანეს მიერ დაწყებული საქმე მომდევნო ეპისკოპოსმა მიქაელმა გააგრძელა. მან ღვთაების ტაძარი კიდევ განაახლა (შესაძლებელია გადააკეთა, ან მოცულობა მოუმატა) და ტაძრის სამხრეთის ფასადის ზემოთ აღმოსავლეთ კუთხეში, კარნიზის ქვემოთ სამსტრიქონიანი საამშენებლო წარწერაც ამოკაკვეთინა. ერედვის წმ. გიორგის სახელობის ტაძრის სამხრეთის ფასადის მრგვალი სვეტის ზედა ნაწილზე არსებულ წარწერაში მოხსენიებული ქართლის მთავარეპისკოპოსის შემოკლებულ სახელს „ყ˜ე“-ს, როგორც აღინიშნა, „ყვარყვარედ“ კითხულობდა ნ. შოშიაშვილი.[12] მეცნიერი, სავარაუდოდ, ასეთივე საკუთარ სახელს კითხულობდა ამავე ტაძრის შიგნით, აღმ. კედელზე, სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, რელიეფური ჯვრის თავზე ამოღარულ ასომთავრულ წარწერაშიც: *„ყ(უარ-ყუარ)ა(ს)/[2] მიწ(აი)(?)/[3] შ(ეიწყალ)ე/[4] ქ(რისტ)ე/[5]-[მ](ო)ნ(ა) /[6] შ(ე)ნი თ(ევ-დორ)ე“*:[13] ნ. შოშიაშვილის დაკვირვებით, ტაძრის დასავლეთის ფასადის სამხრეთის კუთხეში ჩაშენებულ სწორკუთხა ფილაზე ამოკვეთილ ერთსტრიქონიან ასომთავრულ წარწერაშიც, სავარაუდოდ, ასევე *„ყვარყვარე“ იხსენიება: „ქ(რისტ)ე შეიწყ(ა)ლე ყ(ვ)ა(რყ)ვ(არე)(?)“*.[14]

ჩვენი აზრით, წარწერებში დაქარაგმებულად მოხსენიებული „ყ˜ე“-ში, შესაძლებელია მართლაც ყვარყვარე იგულისხმებოდეს, მაგრამ ამ პიროვნების გაიგივება ტაძრის მთავარ წარწერაში მოხსენიებულ მთავარეპისკოპოსის სახელთან, შემოკლებით მოხსენიებულ „ყ˜ე“-სთან არასწორია. თუ მთავარეპისკოპოსი იმდენად დაახლოებული იყო ტბელთა სახლთან, რომ ის ტაძრის სხვა წარწერებშიც მოიხსენიეს და, ამასთანავე, მას აქ მიწაც *„ყ(უარყუარ)ა(ს) მიწ(აი)(?)“* ეკუთვნოდა, მაშინ მის სახელს ტაძრის მთავარ წარწერაში ბოლომდე ჩაწერდნენ. როგორც აღინიშნა, ერედვის წარწერაში ბოლომდეა მოხსენიებული ნიქოზის ეპისკოპოზის – სტეფანეს სახელი, რადგან ის, სავარაუდოდ, ტბელთა ფეოდალური საგვარეულოსთან მჭიდროდ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული.

ტბელთა დაწინაურება პოლიტიკურ ასპარეზზე IX საუკუნიდან იწყება. როგორც მ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს: *„ამ ტბელების აღზევება შიდა ქართლის ერისთავებად IX ს. უკავშირდება. სწორედ IX ს. დასაწყისში გაუქმდა ქართლის ერისმთავრის ხელისუფლება და, შესაძლებელია, ამის შემდეგ იწყება შიდა ქართლის ძლიერი ფეოდალური სახლის, ტბელების, გაძლიერება*

[12] ქართული წარწერების კორპუსი. ლაპიდარული წარწერები. ტ. I, გვ. 172.
[13] ქართული წარწერების კორპუსი. ლაპიდარული წარწერები. ტ. I, გვ. 174.
[14] ქართული წარწერების კორპუსი. ლაპიდარული წარწერები. ტ. I, გვ. 174.

და მათი გაერისთავება“.[15] ტბელები სარგებლობენ „აფხაზთა“ მეფეების შიდა ქართლში ექსპანსიით, გამოდიან მათ მოკავშირეებად და სანაცვლოდ „აფხაზთა“ მეფეებისაგან ქართლის გამგებლობას იღებენ. ტბელების ძლიერება ზენიტს აღწევს ივანეს დროს. ის კონსტანტინე „აფხაზთა“ მეფის მოკავშირეა, ამიტომაც იწყება ერედვის წარწერა ჰერეთში კონსტანტინე „აფხაზთა“ მეფის ლაშქრობის აღწერით.[16] ტბელთა საფეოდალოს დიდ მნიშვნელობას სძენდა ჩრდილოეთ კავკასიასთან დამაკავშირებელი გზა, რომელიც რამდენიმე ციხით იყო გამაგრებული, ასეთი ციხეები იყო: აჩაბეთი, კეხვი და სხვ.[17]

ზუსტად ძნელი დასადგენია, ტბელთა ფეოდალური სამფლობელოს საზღვრები, როგორც რ. მეფისაშვილი აღნიშნავს: *„ტბელთა სამფლობელოს ამ დროს, როგორც ჯერჯერობით ჩვენს ხელთ არსებულ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა მასალა გვიჩვენებს, დაახლოებით მდ. დიდი და პატარა ლიახვის შუა წელის ტერიტორია ეკუთვნოდა. ამ კუთხის ეკონომიკურ და კულტურულ აღმავლობას X-XI საუკუნეთა მანძილზე გვიჩვენებს ფართოდ გაშლილი საალმშენებლო მოღვაწეობა. ტერიტორიულად ერედვთან დაკავშირებული რიგი მნიშვნელოვანი ძეგლებისა X საუკუნისა და XI საუკუნის დასაწყისის ხანით თარიღდება. ასეთებია: ერედვის წმ. გიორგის ეკლესიის გარდა, სოფ. ხეითის სამა-წმინდა (X საუკუნე), ერედვის ე. წ. ბერის საყდარი (X საუკუნე), ზემო-ნიქოზის მცირე გუმბათიანი ტაძარი (X-XI საუკუნეთა მიჯნა), დოდოთის ცხრაკარა, აგებული ერისთავის ივანე ტბელის მიერ (X-XI საუკუნეთა მიჯნა), და ბოლოს, სოფ. ტბეთის დიდი დარბაზული ეკლესია, სადაც ტბელნი იხსენიებიან (X-X საუკუნეთა მიჯნა). ამას გარდა სხვა რიგი ნაკლებად მნიშვნელოვანი ძეგლებისა, დაცულია ერედვის და ტბეთის მიდამოებში“*.[18]

---

[15] მ. ლორთქიფანიძე. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება. თბ. 1963, გვ. 255.
[16] „მეფეთა დივნის“ მიხედვით კონსტანტინე „აფხაზთა“ მეფის – ბაგრატ I ძეა, რომელიც გამეფდა 873 წელს, ხოლო გარდაიცვალა 912 წელს (იხ. რას შეიცავდა ეგრეთ წოდებული აფხაზეთის ისტორია ბაგრატ მეფისა, რომლითაც უსარგებლია იერუსალიმის პატრიარხს დოსითეოსს თავის იერუსალიმის პატრიარხთა ისტორიაში. ძველი საქართველო. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული. ტ. II. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით. ტფ. 1913, გვ. 46). ივ. ჯავახიშვილის აზრით, კონსტანტინე 1914 წლის შემდგომაც ცოცხალია (ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. წ. II. თბ. 1948, გვ. 102). ს. ჯანაშია თვლიდა, რომ კონსტანტინეს ვაჟი გიორგი II მამის სიკვდილის შემდეგ 1915-1916 წლიდან გამეფდა (ს. ჯანაშია. საქართველო ადრინდელი ფეოდალიზმის გზაზე. ტფ. 1937, გვ. 106).
[17] რ. მეფისაშვილი. ზოგიერთი ისტორიული ძეგლი სამხრეთ-ოსეთის ტერიტორიაზე. ჟურნ. „ძეგლის მეგობარი“. №14. თბ. 1968, გვ. 11.
[18] რ. მეფისაშვილი. ზოგიერთი ისტორიული ძეგლი.., გვ. 101. X-XI საუკუნებში აგებული ზემოთ აღნიშნული ძეგლების საშენ მასალად გამოყენებულია ერედვის ღვინისფერი ქვა. იხ. ში-

დოდოთის სამეკლესიანი ბაზილიკის შუა ეკლესიის სამხრეთი კარის მარჯვენა წირთხლზე გამოსახულ ასომთავრულ წარწერაში ივანე ტბელი და მისი ხუთი ძე იხსენიება. იმავე დოდოთის ეკლესიის დასავლეთის კარის ტიმპანზე ამოღარულ ოთხსტრიქონიან ასომთავრულ წარწერაში ტბელის ძე ქავთარია მოხსენიებული.[19] დოდოთიდან 10 კმ.-ის დაშორებით მდებარეობს ტბეთის „ბორცვის ჯვრის“ სახელით ცნობილი დარბაზული ეკლესია, რომლის წარწერებშიც ტბელთა საგვარეულოს წევრები იხსენიებიან.[20]

ერთ-ერთ წარწერაში, რომელიც ბალავრის ქვაზეა გამოსახული[21] ქავთარის ძე პატრიკ ტბელი იხსენიება: *„+სახ(ე)ლ(ი)თა ღ(მრთისაჲ)ა ესე ბ(ა)ლ(ა)ჰვ(ა)რი მე, ტბ(ე)ლმ(ა)ნ პ(ა)ტ(რი)კმ(ა)ნ, ძ(ე)მ(ა)ნ ქ(ა)ვთ(ა)რ(ი)სამან[2] დ(ა)ვდ(ე)ვ, ს(ა)ლ(ო)ც(ველა)დ ს(უ)ლისა ჩ(ე)მ(ი)სა და შვ(ი)ლთა ჩ(ე)მთ(ათუი)ნ. ჯ(უა)რო ბ(ო)რც(ჯსა)ო, მ(ერ)ხ (მე)ქ(მე)ნ“.*[22] ტბეთის ეკლესიის კედელზე X საუკუნის

და ქართლი. პატარა და დიდი ლიახვის ხეობების არქიტექტურული მემკვიდრეობა (ცხინვალის რაიონი). 1981-1983 წლების ექსპედიციის მასალები. თბ. 2002, გვ. 54, 60, 63, 84, 106.

[19] აღსანიშნავია, რომ დიდი ლიახვის ხეობაში ტაძრების მოსაპირკეთებლად ე. წ. „დოდოთის ქვა“ გამოიყენებოდა (კ. ხარაძე. საქართველოს ისტორიული გეოგრაფია. შიდა ქართლი. თბ. 1992, გვ. 130). ამის შესახებ მიუთითებდა გ. სამებელოვ-იევრიელი (კათალიკოსი კირიონ II), რომელსაც „დოდოთის ნაცვლად მითითებული აქვს „დუდეთი“ (Г. Садзаглов-Иверисли. Описание Никозской Михайло-Архангельской церкви в Карталинии. Тб. 1898, გვ 3). „დოდოთს“ ასევე „დუდეთად“ იხსნებს ვახუშტი ბატონიშვილი: „ტბეთს ზეით არს ნაციხარი. ამას ზეით ითხრების ქვა შავი დუდეთს. ამ ქვით ბურვენ ეკლესიებთა, სიბრტყისა და სიმსუბუქისათჳს“ (ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 372).

[20] აღსანიშნავია, რომ ტბეთის ეკლესია დანგრეულ იქნა ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ხელისუფლების მიერ. როგორც ვ. თოფურია აღნიშნავს, ეკლესიის ქვები ცხინვალში აბანოს ასაშენებლად იქნა გამოყენებული. თუმცა, მიღებული ზომების შედეგად წარწერიანი ქვები აბანოში არ ჩაუშენებიათ. წარწერიანი ქვები უყურადღებოდ დაუგრიათ მდ. ლიახვის პირას (ვ. თოფურია. შიდა ქართლში დაცული ზოგიერთ სიძველეთა წარწერები. საისტორიო მოამბე. II. ტფ. 1924, გვ. 134).

[21] იგი სამხრეთის ფასადის კარის თავზე ყოფილა ჩადგმული. გარკვეული პერიოდი, ის სამხრეთის კედელთან მიწაზე ყოფილა. 1954 წელს ქვა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში გადაუტანიათ (ქართული წარწერების კორპუსი. ლაპიდარული წარწერები. ტ. I, გვ. 180).

[22] ქართული წარწერების კორპუსი. ლაპიდარული წარწერები. ტ. I, გვ. 180; კ. დანელია, ზ. სარჯველაძე. ქართული პალეოგრაფია. თბ. 1997, გვ. 48. აკად. ვ. თოფურია წარწერაში არსებულ სიტყვას „პტკნ“ კითხულობდა როგორც „პატკანმან“ (ვ. თოფურია. შიდა ქართლში დაცული ზოგიერთ სიძველეთა წარწერები, გვ. 134). რ. მეფისაშვილი კითხულობს – „პეტრიკმან“ და თვლის, რომ აქ ეს არის არა ტიტული „პატრიკი“, არამედ საკუთარი სახელი „პეტრიკი“ (რ. მეფისაშვილი. ერედვის 906 წლის ხუროთმოძღვრული ძეგლი, გვ. 115). ნ. შოშიაშვილი და ვ. ცისკარიშვილი არ გამორიცხავენ, რომ „პატრიკი“ ივანე ტბელის ტიტულს წარმოადგენდა (ნ. შოშიაშვილი, ვ. ცისკარიშვილი. სოფ. დოდოთის ცხრაკარას ეკლესიის წარწერა. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. XIX-A და XXI-B. თბ. 1957, გვ. 98). მ. ლორთქიფანიძე აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წერს: „ამდროინდელი ტბელების პატრიკი-

II ნახევრით დათარიღებული პატრიკ ტბელის მოსახსენებელიც ყოფილა, წარწერიანი ქვის შესახებ ინფორმაციას მ. ბროსე[23] და ვ. თოფურია გვაწვდიან, ქვა შემდგომში დაკარგულა.[24] წარწერა ასე იკითხებოდა: *„ქ(რისტ)ე, გ(ანუ)ს(უე)ნე ს(უ)ლ(ი)ა ტბ(ე)ლ(ი)სა[2] პ(ა)[ტრ(ი)კ](ი)ს, დ[ღ](ე)სა მას“*:[25] ტბეთის ეკლესიის კედელზე ასევე ყოფილა X საუკუნის შუა წლებით დათარიღებული ოქროპირ ტბელის ძის მოსახსენებელი. აღნიშნული წარწერის შესახებ ინფორმაციას გვაწვდის მ. ბროსე.[26] წარწერა მოგვიანებით უნახავს ვ. თოფურიას.[27]

წარწერა ასე იკითხებოდა: *„ქ(რისტ)ე, ა(დი)დე ოქრ(ო)პირ ძე ტბ(ე)ლ(ი)ს(ა)ი“*:[28] ოქროპირ ტბელი ქავთარ ტბელთან ერთად ტბეთის ბორცვისჯვრის სხვა წარწერაშიც იხსენება, რომელიც ასევე დაკარგულია: *„+ჯ(უა)რო ბ(ო)რცჯს(ა)ო, ა(დი)დ(ე)ნ შე(ი)ლნი მ(ა)თნი: ოქრ(ო)პ(ი)რ, ჰდღ˜დ (ტბელი და?) ქ(ა)ვთ(ა)რ“*:[29]

ოსობასთან დაკავშირებით გვახსენდება ფეოდალური ქართლის პირველი ერისმთავრების პატრიკიოსობა. ხომ არ შეიძლება, რომ ამ ეპოქის შიდა ქართლის ერისთავების, ტბელების „პატრიკიოსობა“, რამენაირად ეხმაურებოდეს ძველი ერისმთავრების პატრიკიოსობას. წყაროების სიმცირის გამო ძნელია გადაჭრით რაიმეს თქმა, მაგრამ მაინც ნიშანდობლივ გარემოებად უნდა მივიჩნიოთ X-XI საუკუნეების საქართველოს სხვადასხვა კუთხეების განმგებელთა შორის ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულების მომრავლება. მაგალითად, X ს. ჰერეთის პატრიკი ადარნასე; კახეთის მეფე კვირიკე მაგისტროსი (აღარას ვამბობ ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებზე). ხომ არ არის ეს ბიზანტიის იმპერიის ერთ-ერთი დიპლომატური სკოლა, მიმართული გაძლიერებული „აფხაზთა“ მეფეების წინააღმდეგ?“ (მ. ლორთქიფანიძე. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, გვ. 254).

[23] ლიახვის ხეობის სიძველეების და აქ არსებული წარწერების შესახებ საინტერესო ცნობები დაგვიტოვა მ. ბროსემ (Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie, Execute en 1847-1848 par M. Brosset. Membre de l'Academie Imperiale des Sciences. 2e livr. VI. St. Petesbourg. 1851). გ. საბაგლიშვილის (კათალიკოზი კირიონ II) ინფორმაციით ფრანგი ქართველოლოგი ლიახვის ხეობაში არ ყოფილა, რადგან იგი ნიქოზის ღვთაების ეკლესიის აღწერაში ცდება (უგუმბათოდ იხსენიებს) (Г. Садзагелов-Ивериели. Описание Никозской.., გვ. 7), რასაც არ ეთანხმება ი. მეგრელიძე. მკვლევრის განმარტებით, მ. ბროსე იმყოფებოდა: ნიქოზში, ბორცვისჯვარში, ტბეთში, წუნარში, ცხინვალში (ი. მეგრელიძე. სიძველეები ლიახვის ხეობაში. ტ. I, გვ. 123). როგორც ი. მეგრელიძე მიუთითებს, ეს ადგილები ფრანგ მეცნიერს 1847 წელს მოუნახულებია (ი. მეგრელიძე. სიძველეები ლიახვის ხეობაში. ტ. I, გვ. 122). ი. ალიმბარაშვილი მიიჩნევს, რომ მ. ბროსე გორში იმყოფებოდა 1848 წლის 7 აპრილიდან 12 აპრილამდე და მან დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის თანხლებით დაათვალიერა გორის სიძველეები. შემდეგ ის იმერეთში გაემგზავრა (ი. ალიმბარაშვილი. დიმიტრი მეღვინთხუცესიშვილი (ცხოვრება და მოღვაწეობა). თბ. 2016, გვ. 35).

[24] ვ. თოფურია. შიდა ქართლში დაცული ზოგიერთ სიძველეთა წარწერები, გვ. 133; M. Brosset. Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie.., გვ. 58.

[25] ქართული წარწერების კორპუსი. ლაპიდარული წარწერები. ტ. I, გვ. 182.

[26] M. Brosset. Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie.., გვ. 57.

[27] ვ. თოფურია. შიდა ქართლში დაცული ზოგიერთ სიძველეთა წარწერები, გვ.133.

[28] ქართული წარწერების კორპუსი. ლაპიდარული წარწერები. ტ. I, გვ. 181.

[29] ქართული წარწერების კორპუსი. ლაპიდარული წარწერები. ტ. I, გვ. 183.

აღნიშნულ წარწერას ვ. თოფურია ასე კითხულობდა: *„ჯ̃რო ბრცსა დნ შვლნი მთ̃ნი ოქრ̃აი სპდ̃ლდ დვ̃თ ქთრ ჯუარო ბორცვისაო ადიდენ შვილნი მათნი ოქროპირი სპდ(?)დავით ქართარ“*:[30] ვ. თოფურიას დაკვირვებით, მას ორსტრიქონიანი წარწერა მოსდევდა: *„ქ̃სე გ̃ნე სლ̃ა ტბ̃ლსა ეპრქს დსა მსსა ქრისტე განუსუნე სულსა ტბელისასა(?) ეპრაქსის(?) დასა(დედასა?) მისსა“*:[31] დისევის ძელიცხოველის ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე ი. მეგრელიძეს აღწერილი აქვს ვერტიკალურად ორ-სამ ასო-ასოდ ჩამოწერილი 6-7 სტრიქონიანი ასომთავრულით შესრულებული წარწერა, რომელიც მკვლევარმა ასე წაიკითხა. *„ირჩევა ასოები: გს (ლიგატურა-გიორგის?)ო (ან-ე)ჰს/ნ ა(ან ე) სლ/სა (სულსა)/ ჩემ(მ თუ ვ?) ა/სა“*[32]

ხომ არ უნდა აღნიშნავდეს „ოპს“ გრაფემების ჯგუფი „ოქროპირს“? რ. მეფისაშვილი და ვ. ცინცაძე დისევის ტაძარს, ვანათის და არბოს ტაძრებთან ერთად, ერთ ქრონოლოგიურ ჩარჩოში განიხილავენ და X საუკუნით ათარიღებენ.[33] თუ ი. მეგრელიძის მიერ გამოქვეყნებულ წარწერაში მართლაც ოქროპირი იგულისხმება, არ არის გამორიცხული, რომ დოდოთის ბორცვისჯვრის წარწერებში მოხსენიებული ოქროპირი და დისევის წარწერის ოქროპირი („ოპს“) ერთი და იგივე პიროვნება იყოს. შესაძლოა, ოქროპირ ტბელს, დისევი ებოძა და ძელიცხოველის ტაძარი სწორედ მისი ინიციატივით აიგო X საუკუნის შუა წლებში (ან II ნახევარში). არც ის არის გამორიცხული, რომ დისევში მცხოვრები ოქროპირიძეთა გვარი სწორედ ოქროპირ ტბელს უკავშირდებოდეს. ტბეთის ეკლესიის კედლებზე ასომთავრულით შესრულებული სხვა მოსახსენებლებიც არსებობდა. მათ შორის X საუკუნის შუა წლებით დათარიღებული ვახტანგის ძეების: *„ქ(რისტ)ე ა(დი)დ(ე)ნ ძ(ე)ნო ვ(ა)ხტ(ა)ნგ(ი)ს(ა)ნი: მ(ი)ქ(აე)ლ სა` რმ` ე (?)“*[34] ასევე ვინმე ცუატასი: *„+ უ(ფალ)ო გ(ანუ)ს(უე)ნე ს(უ)ლ(სა) ც(უა)ტ(ა)სა“*:[35]

---

[30] ვ. თოფურია. შიდა ქართლში დაცული ზოგიერთ სიძველეთა წარწერები, გვ. 133. „ბორცვის ჯვარი“ – „ბორცოის ჯუარი“, როგორც ვ. თოფურიამ შეამჩნია იხსენიება ბაგრატ IV ერთ-ერთ სიგელში (ვ. თოფურია. შიდა ქართლში დაცული ზოგიერთ სიძველეთა წარწერები, გვ. 132; თ. ჟორდანია. საბუთები შიომღვიმის მონასტრისა. ტფ. 1896, გვ. 3, 4, 5).

[31] ვ. თოფურია. შიდა ქართლში დაცული ზოგიერთ სიძველეთა წარწერები, გვ. 133.

[32] ი. მეგრელიძე. სიძველეები ლიახვის ხეობაში. ტ. II. თბ. 1997, გვ. 28.

[33] Р. Меписашвили, В. Цинцадзе. Архитектура нагорной части исторической провинций Грузии Шида Картли, გვ. 100; შიდა ქართლი.., ტ. I, გვ. 54-56.

[34] Р. Меписашвили, В. Цинцадзе. Архитектура нагорной части исторической провинций Грузии Шида Картли, გვ. 181.

[35] Р. Меписашвили, В. Цинцадзе. Архитектура нагорной части исторической провинций Грузии Шида Картли, გვ. 181. გვ. 182; ვ. თოფურია, შიდა ქართლში დაცული ზოგიერთ სიძველეთა წარწერები, გვ. 133. აღსანიშნავია, რომ ანთროპონიმი „ცვატა“ ატენის სიონის ერთ-ერთ

მ. ბროსეს, ასევე ვ. თოფურიას ცნობით, ტბეთის ეკლესიის სამხრეთის ფასადის მარჯვენა სარკმლის ზემოთ, ყოფილა ასომთავრულით შესრულებული წარწერა, სადაც ვინმე თეკლა იხსენიებოდა: *„+ ჯ(უა)რო ბ(ო)რც(ჯ)ს(ა)ო მ(ეო)ბ (ე)ქ(მე)ნ ს(უ)ლ(ს)ა თ(ე)კლ(აე)სა“*:[36] „თეკლა“ იხსენიება ცხინვალიდან 2 კმ.-ის დაშორებით სოფელ კუსირეთის ეკლესიის ჩრდილოეთ კედელზე ერთსტრიქონიან ასომთავრულ წარწერაშიც: *„ქრისტე შეიწყალე თეკლა“*:[37] კუსირეთის ეკლესია სამეცნიერო ლიტერატურაში VIII-IX საუკუნეებით თარიღდება.[38] ტბეთის მოსახსენიებელი და კუსირეთის წარწერა ქრონოლოგიურად განსხვავდებიან, როგორც ჩანს, „თეკლა“ ამ არეალში გავრცელებული სახელი იყო. ჩვენი აზრით, ორივე „თეკლა“ ტბელთა ფეოდალურ გვარს უკავშირდება და არ არის გამორიცხული, აღნიშნული სახელი ორი თაობის წარმომადგენლებს ერქვათ.

ტბეთის ეკლესიის აღმოსავლეთის ფასადის მარცხენა პატარა სარკმლის ზემოთ, ჩუქურთმებში, ასევე ჩუქურთმების ზემოთ დატანილი იყო აბაზასი და მისი ძეების მოსახსენებელი ასომთავრული წარწერები, რომლებიც ერთად გამოაქვეყნა ნ. შოშიაშვილმა: *„[1] ჯ(უა)რო ბ(ო)რც(ჯ)[2] საო ა(დი)დ[3] აბ(ა)ზი/4 +და ძ(ე)ნი მ(ი)სნი: ივ(ა)ნე, ქ(ო)ბუ(ლ)ი“*:[39] გ. ოთხმეზურის აზრით: *„ამ წარწერებში* (იგულისხმება: ვახტანგის ძეების, ცუატას, თეკლას, აბაზას და მისი ძეების მოსახსენებლები – **გ.ს.**) *მოხსენიებულ პირთა ვინაობა ჩვენთვის უცნობია. ტბეთის ეკლესიის ფასადებზე მათი მოსახსენებლების ამოღარვა შესაძლებელს ხდის დავუშვათ, რომ ისინიც ტბელთა საგვარეულოს ეკუთვნიან, ოღონდ რომელ თაობას, ამის დადგენა არ ხერხდება.*[40] *ამიტომ ეს წარწერები, ზოგადად, X ს-ის შუა წლებით და II ნახ-ით თარიღდება“*:[41] ვ. თოფურია ამ წარწერების გაცნობის შემდეგ სვამდა კითხვას: *„ხომ არ არის*

ფრესკულ წარწერაშიც გვხვდება, ეს არის IX საუკუნით დათარიღებული სამსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა: „1. წ(მიდა)ო ღ(მრთისშ(ო)ბელო, 2. შ(ეიწყა)ლე მ(ო)ნ(ა)ს შ(ე)ნი ც(ვა)ტ(ა)ს 3. მეჯუარ[ს]“. იხ.: ქართული წარწერების კორპუსი. ფრესკული წარწერები. ტ. I, გვ. 188.

[36] ქართული წარწერების კორპუსი. ფრესკული წარწერები. ტ. I, გვ. 182.

[37] ი. მეგრელიძე. სიძველეები ლიახვის ხეობაში. ტ. I, გვ. 189.

[38] შიდა ქართლი.., ტ. I, გვ. 139.

[39] შიდა ქართლი.., ტ. I, გვ. 182.

[40] ნ. შოშიაშვილი მიიჩნევს, რომ ერთ-ერთ წარწერაში მოხსენიებული აბაზა და მისი ძეები, შესაძლებელია ყოფილიყო ტბელების მომდევნო თაობა, მათი განშტოება, ან მათი შემცვლელი ფეოდალური საგვარეულო. იხ.: ქართული წარწერების კორპუსი. ლაპიდარული წარწერები. ტ. I, გვ. 179.

[41] გ. ოთხმეზური. შიდა ქართლის მთიანეთის ეპიგრაფიკა. ოსთა საკითხი. ა. ბაქრაძისა და ო. ჩუბინიძის რედ. თბ. 1996, გვ. 137.

ეს ეკლესიის აშენების შემდეგ სხვადასხვა დროს ამოჭრილი?“, თუმცა, პალეოგრაფიული მსგავსებებიდან გამომდინარე, ამ კითხვას თვითონვე სცემდა პასუხს: *„მაგრამ პალეოგრაფიულად ასოები ძალიან ახლოს არიან ერთმანეთთან, ავრეთვე ქარაგმების ერთნაირად გამოყენება, ორთოგრაფია და სხვა მოწმობს იმას, რომ ყველა ეს წარწერა ერთი კაცის მიერაა ამოჭრილი“*.[42]

გ. ოთხმეზურის შეხედულებას ჩვენც ვიზიარებთ, რადგან ტბეთში ტბელთა საგვარეულოს მიერ აგებულ ტაძრის კედლებზე, იმ დროს, როცა აღნიშნული საგვარეულო შიდა ქართლში დიდი გავლენით სარგებლობდა, სხვა საგვარეულოს წარმომადგენლები თავიანთ მოსახსენებლებს ვერ ამოკვეთდნენ. არ არის გამორიცხული, რომ მოსახსენებლებით ცნობილი ვახტანგი, ასევე ცუატა, ბალავრის ქვის წარწერაში მოხსენიებული პატრიკ ტბელის უმცროსი ძმები ყოფილიყვნენ. მართალია, ბალავრის ქვის წარწერის თანახმად, პატრიკს შვილებიც ჰყავდა, მაგრამ ვახტანგი და ცუატა რომ პატრიკის შვილები ყოფილიყვნენ, მაშინ წარწერაში ისინი უსათუოდ ტბელის ძეებად მოიხსენიებოდნენ, როგორც ეს ოქროპირ ტბელის ძის შემთხვევაში გვაქვს. მოსახსენებელ წარწერაში ცნობილი „თეკლა“, ტბელთა ფეოდალური სახლის ერთ-ერთი წევრის, (შესაძლებელია პატრიკის, რადგან ბალავრის ქვის დამდები სწორედ ის იყო) მეულლე იყო.[43]

როგორც აღინიშნა, ტბელთა ფეოდალური სახლის დაწინაურება IX საუკუნიდან იწყება. მათ სხვა ფეოდალურ საგვარეულოებთან შედარებით უპირატესობა მოიპოვეს, როგორც ჩანს, „აფხაზთა“ მეფეებთან ტბელებს გარკვეული ნდობა ჰქონდათ, გარდა ამისა, მათ საფეოდალოს „აფხაზეთის“ მესვეურთათვის კონკრეტული ფუნქცია გააჩნდა. „აფხაზთა“ მეფეები შიდა ქართლს, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს დანარჩენ ნაწილს ტბელთა საფეოდალოზე გამავალი გზით უკავშირდებოდნენ. ერედვის წარწერაში, სადაც საუბარია კონსტანტინე „აფხაზთა“ მეფის ჰერეთში ლაშქრობაზე, აღნიშნულია, რომ *„მუნით (ჰერეთიდან) მშვიდობით იქცა, ციხეკრად აღავერდს იღოცა, მწუხრი ბრეძას გადაჰხდა“*.[44] ე.ი. ალავერდიდან გამთენიისას წამოსული

[42] ვ. თოფურია. შიდა ქართლში დაცული ზოგიერთ სიძველეთა წარწერები, გვ. 134.

[43] აღსანიშნავია, რომ ვახტანგის ძეების, ასევე ცუატას და თეკლას მოსახსენებლებს ნ. შოშიაშვილი პატრიკ ტბელის წარწერის, აგრეთვე პატრიკ ტბელის ძეების ოქროპირის და ქავთარის მოსახსენებლების თანადროულად თვლის, ამის მიზეზად მკვლევარი წარწერათა ამოკვეთის ერთნაირ სიმეტრიას მიიჩნევს. ქართული წარწერების კორპუსი. ლაპიდარული წარწერები. ტ. I, გვ. 179.

[44] ქართული წარწერების კორპუსი. ლაპიდარული წარწერები. ტ. I, გვ. 172.

კონსტანტინე მეფეს ბრეძას შემოაღამდა. ბრეძაში წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი დგას. რ. მეფისაშვილის განმარტებით: *„სოფ. ბრეძა სადგ. გომიდან ჩრდილოეთით 15-ოდე კმ. მანძილზე მდებარეობს. სოფ. ატოცის დას. სოფ. ტკოცას შუა. ბრეძაში დღეს დაცულია ორი ეკლესია, ერთი სოფელში დგას, მეორე კი სოფლის გარეთაა. ის, რომელიც სოფელშია (ზღუდერს უწოდებენ), როგორც თავისი ზოგადი სახით, ისე ცალკეული ნიშნებით, გარკვეულ მსგავსებას იჩენს ერედვის ძეგლთან“*.[45] ბრეძა, ჩვენი აზრით, ტბელთა საფეოდალოში შედიოდა.

დასავლეთ საქართველოდან ბრეძაზე გავლით გზა მოემართებოდა შიდა ქართლში, პატარა ლიახვის ხეობის მეშვეობით ეს გზა ქსნის ხეობაში გადადიოდა და აქედან კახეთ-ჰერეთს უკავშირდებოდა. პატარა ლიახვის ხეობიდან ქსნის ხეობაში გადასასვლელი გზა გვიანდელი პერიოდის არაერთ წყაროში იხსენიება.[46] კონსტანტინე „აფხაზთა“ მეფის უკან დაბრუნების მარშრუტს რ. მეფისაშვილი ასე განმარტავს: *„ვეჯინიდან წამოსული კონსტანტინე გომბორის ულელტეხილის გადავლით ყინვანში უნდა ჩასულიყო, აქედან შესაძლოა, იგი, მლეთაში გაემგზავრა. მლეთიდან გადავიდა ქარჩოხის ხეობაში, სადაც ალავერდი იმყოფება. შემდეგ კონსტანტინეს შეეძლო პატარა ლიახვის ხეობით ერედვის გავლით ცხინვალში ჩასულიყო, ცხინვალიდან კი ბრეძაში გადასულიყო. ალავერდიდან ბრეძამდე დაახლოებით 60-70 კმ და ამ გზის გავლა ერთი დღის განმავლობაში უფრო შესაძლებელია, ვიდრე კახეთის ალავერდიდან ბრეძამდე, მაგრამ ჩვენ არავითარი მონაცემები არა გვაქვს, რომ კონსტანტინეს უკან დაბრუნება ამ გზით ვივარაუდოთ“*.[47]

„აფხაზთა“ მეფეებისათვის ტბელთა საფეოდალოს სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. პატარა ლიახვის ხეობა ქსნის ხეობას ემიჯნებოდა. ცნობილია ის ფაქტი, რომ IX საუკუნეში აშოტ კურაპალატსა და გრიგოლ კახეთის მთავარს შორის ბრძოლა მოხდა „ქსანსა ზედა“, *„მატიანე ქართლისაჲს“* ცნობით: *„და შეიბნეს ქსანსა ზედა აშოტ და გრიგოლ. გააქციეს გრიგოლ, მთავარი კახეთისა, და დაიპყრეს ქუეყანა, რომელი ჰქონდა ქართლისაგან. და დაიპყრა აშოტ კლარჯეთითგან ვიდრე ქსნამდე“*.[48] კახეთის ქორეპისკოპოსებს

[45] რ. მეფისაშვილი. ერედვის 906 წლის ხუროთმოძღვრული ძეგლი, გვ. 114.

[46] გ. სოსიაშვილი. გზები პატარა ლიახვის ხეობაში. ჟურნ. აღმოსავლეთი და კავკასია. №5, თბ. 2007, გვ. 93.

[47] რ. მეფისაშვილი. ერედვის 906 წლის ხუროთმოძღვრული ძეგლი, გვ. 114.

[48] მატიანე ქართლისა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ. 1955, გვ. 252-253.

ქსნის ხეობაში ციხეებიც კი ჰქონდათ აგებული, რომ ქართლი მტკიცედ შეენარჩუნებინათ, ერთ-ერთი ასეთი მათგანი იყო ლოწობნის ციხე, რომლის აგებაც X ს. დასაწყისში კახთა ქორეპისკოპოსს – ფადლა II უკავშირდება. როგორც ჯ. გვასალია განმარტავს: *„ქართლსა ზედა“ ბრძოლის ასპარეზი ლოწობნის გარდა გაიშალა ქსნისპირა სხვა ციხეებზეც, კერძოდ წირქოლსა და გრუზე, რომლებსაც კახელები ფლობდნენ XI ს. შუა ხანებამდე. ასე რომ კახეთის სამთავრო XI საუკუნემდე ვრცელდებოდა ქსნამდე“*.[49]

ტბელთა ფეოდალური სახლის ხელმძღვანელი ივანე ტბელი „აფხაზთა“ მეფეების მოკავშირე გახდა. მის ტერიტორიას „აფხაზთა“ მეფეები თავიანთი პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებდნენ, ამიტომაც ივანეს „აფხაზთა“ მეფეებმა ქართლის გამგებლობა ჩააბარეს. როდიდან დაწინაურდა ივანე ტბელი? საინტერესოა ის ფაქტი, რომ ცხინვალიდან 28 კმ.-ის დაშორებით, ყორნისის რაიონში, სოფელ წორბისიდან 8 კილომეტრზე მდინარე ფრონის მარცხენა ნაპირზე პროფ. ი. მეგრელიძემ აღმოაჩინა წარწერიანი ქვა. წარწერა მან შემდეგნაირად ამოიკითხა: *„ს(ა)ხელითა ღ(მრ)თის(აი)თა ესე კ(ო)ნჭიშ(ე)მნ(ა) ივ(ი)ნე ერ(ი)სთ(ა)ვმან (სალო)ცვ(ე)ლ(ა)დ მ(ა)თდა ქრ(ო)ნიკ(ო)სარს ს(ა)ბაის მ(ა)მ(ა)ს(ა)ხლ(ი)ს(ო)ბ(ა)სა“*.[50] ი. მეგრელიძის წაკითხვით კიდის წარწერა ასე იკითხება: *„(ი)ქ(მ)ნა ჴ(ე)ლ(ი)თა ბარვ(ე)ლის(აი)თა“*.[51] მკვლევარი აღნიშნულ წარწერას 880 წლით ათარიღებდა. თუმცა, ერთი უზუსტობა გაეპარა. ი. მეგრელიძე წერს: *„ამავე წარწერის ივანე მხოლოდ ერისთავია (მხარის მფლობელი). ლიტერატურაში კარგად ცნობილი ცხინვალის რაიონის ერედვის ტაძრის 906 წლის წარწერაში (ე. ი. კონჭის შექმნის 26 წლის შემდეგ) ივანე ეპისკოპოსად იხსენიება, ხოლო ცხინვალიდან წორბისისაკენ მდებარე დოდოთის ე.წ. ცხრაკარას ეკლესიის წარწერით კი იგივე უკვე არის „ივანე ერისთავი ტბელი“, – აქაურივე ტბეთის „ეპარქიის“ გამგებელი“*.[52]

---

[49] ჯ. გვასალია. აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები. თბ. 1983, გვ. 60.

[50] ი. მეგრელიძე. სიძველეები ლიახვის ხეობაში. ტ. II, გვ. 95. როგორც ჩანს, მამასახლისი ერისთავის დაქვემდებარებაში მყოფი მოხელე იყო და იგი უფრო წვრილ ტერიტორიულ ერთეულს განაგებდა. თუმცა, მას იმხელა პრივილეგია ჰქონდა, რომ ერისთავის ინიციატივით ამოკვეთილ წარწერაში მოიხსენიეს. მამასახლისები თვითონაც აგებდნენ ტაძრებს. ამას ადასტურებს მდ. რეხულის ზემო წელზე არსებული 864 წლით დათარიღებული არმაზის ტაძრის წარწერა, სადაც იხსენიება მამასახლისი გიორგი, რომელსაც ეკლესიის მშენებლობა დაუწყია. ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები. I, გვ. 168; ვ. ბერიძე. ძველი ქართული ხუროთმოძღვრება. თბ. 1956, გვ. 22.

[51] ი. მეგრელიძე. სიძველეები ლიახვის ხეობაში. ტ. II, გვ. 95.

[52] ი. მეგრელიძე. სიძველეები ლიახვის ხეობაში. ტ. II, გვ. 95.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერედვის წარწერაში ივანე ტბელი ქართლის „უფლად“, ანუ გამგებლად იხსენიება და არა ეპისკოპოსად, ერედვის წარწერაში მოხსენიებულია ნიქოზელი ეპისკოპოსი სტეფანე, ასევე მთავარეპისკოპოსი ყ˜ე (ყვარყვარე?). არ არის გამორიცხული, რომ ქართლის ერთ-ერთი ფეოდალი, ივანე ტბელი, ჯერ ერისთავად იწოდებოდა, მან წორბისის ეკლესიის კონქი ააშენა, წარწერაში ხაზგასმულია: „სალოცველად მათდა“, საუბარი უნდა ეხებოდეს ტბელთა ფეოდალურ სახლის წევრებს. რამდენიმე წლის შემდეგ ივანემ ქართლის სხვა ფეოდალებზე უფრო მეტი ძალაუფლება მოიპოვა, ამ საგვარეულოებს „მატიანე ქართლისაც“ იცნობს. ცოტა უფრო უფრო მოგვიანებით კონსტანტინე „აფხაზთა“ მეფის ძის – გიორგის მოღვაწეობის დროს ქართლში რამდენი ფეოდალური სახლია, მათ შორის: *„გოდერძი მგდეური, მამა ყანჩაელი, დაჩი კორინთელი, დაჩი და ივანე სჯულოსელნი, სარა და გრიგოლ ფხუენელნი, და მათ თანა ორმოცდაათი აზნაური სხუა“*.[53]

წორბისის წარწერაში მოხსენიებული ივანე ერისთავი, იგივე ტბელი, ქართლის სხვა აზნაურებზე, მათ შორის ფხუენელებზე და ყანჩაელებზე მეტად დაწინაურდა[54] და ქართლის „უფალი“ გახდა. აღსანიშნავია, რომ ტერმინი „უფალი“ X საუკუნის სხვა წარწერაშიც გვხვდება. ბიეთის წარწერაში იხსენიება იოანე ერისთავთ-ერისთავი (ყანჩაელი), „უფალი“. ამაზე ქვემოთ შევჩერდებით. ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, X-XI საუკუნეებში სოციალურ ცხოვრებაში ახალი ტერმინი „პატრონი“ ჩნდება. უფრო ადრე, „პატრონის“ ნაცვლად „უფალი“ გამოიყენებოდა.[55] ტბელთა საგვარეულომ ძლიერების ზენიტს კონსტანტინეს მეფობის დროს მიაღწია. მოგვიანებით, კონსტანტინე „აფხაზთა“ მეფის გარდაცვალების შემდეგ, როგორც ჩანს, ტბელთა ფეოდალურმა სახლმა ქართლის გამგებლობა დაკარგა. ტახტზე კონსტანტინეს ვაჟი გიორგი ავიდა. მან ქართლი თავის უფროს ძეს კონსტანტინეს ჩააბარა.[56]

---

[53] მატიანე ქართლისა, გვ. 269.

[54] სოფელი ფხვენისი, მდ. დიდი ლიახვის მარჯვენა ნაპირზეა, ცხინვალიდან რამდენიმე კმ-ის დაშორებით და ფხუენელთა ფეოდალური სახლის ცენტრი სწორედ აქ უნდა ყოფილიყო. აღსანიშნავია, რომ „ფხუენელი“ ოდნავ განსხვავებული „ფხუენელაის“ ფორმით გვხვდება მეჯუდის ხეობაში აღმოჩენილ ქვის ფილაზე ნუსხურით შესრულებულ 16 სტრიქონიან წარწერაში. წარწერა თარიღდება X საუკუნით. ეს არის „დაწერილი ზაზისა და თუთასი ბაპრამისა და ლომასადმი“. წარწერაში მოხსენიებულია კოლონკელი ფხუენელაისძე. იხ.: ქართული წარწერების კორპუსი. ლაპიდარული წარწერები. I, გვ. 146; კ. დანელია, ზ. სარჯველაძე. ქართული პალეოგრაფია. თბ. 1997, გვ. 52.

[55] იხ. ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. წ. II, ნაკვ. II. – თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. VII. თბ. 1984, გვ. 58.

[56] ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. წ. II. თბ. 1948, გვ. 103.

ჩვენი აზრით, ივანე ტბელს გიორგი „აფხაზთა“ მეფესთან ურთიერთობა დაეძაბა, რის გამოც გიორგიმ ივანეს ქართლის გამგებლობა ჩამოართვა და თავის ძეს კონსტანტინეს გადასცა. თუმცა, გიორგის ქართლის დაუფლება ბრძოლით მოუხდა. ვახუშტი ამის შესახებ აღნიშნავს: „ამანვე გიორგი მეფემან, შემდგომად მეფისა ადარნასე კურაპალატის სიკუდილისა დაიპყრა ქართლი და დასუა ძე თჳსი კოსტანტინე“.[57] გიორგი „აფხაზთა“ მეფის მიერ ქართლის დაპყრობასთან დაკავშირებით აკად. მ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს: *„გიორგი მეფის წინაშე მწვავედ დადგა ქართლის საკითხი. როგორც აღნიშნული გვაქვს, ქართლი გიორგის მამამ, კონსტანტინემ* (რომელიც ერედვის წარწერაში იხსენიება – **გ.ს.**), *დაიპყრო X ს. დასაწყისში. მაგრამ, როგორც ჩანს, აფხაზთა მეფეებმა ქართლი დაკარგეს, რადგან გიორგის ისევ უხდება ქართლისათვის ბრძოლა. აფხაზთა მეფეების მეტოქეები, ქართლისათვის ბრძოლაში, სომეხთა მეფეები და ქართველთა მეფეები იყვნენ. აფხაზთა სამეფოს ქართლი უნდა დაეკარგა ან აბულ-კასიმის შემოსევის, ან აფხაზთა სამეფო სახლში ტახტისათვის წარმოებული ბრძოლის დროს“*.[58]

მ. ლორქიფანიძემ ყურადღება მიაქცია ვახუშტის ცნობას, რომელიც გიორგი „აფხაზთა“ მეფის მიერ ქართლის დაპყრობას ადარნასე ქართველთა მეფის გარდაცვალებას უკავშირებს: *„შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ ვახუშტი გიორგი აფხაზთა მეფის მიერ ქართლის დაპყრობას ადარნასე ქართველთა მეფის გარდაცვალებას უკავშირებს. ვიცით, რომ აბულ-კასიმის შემოსევის დროს, სუმბატ სომეხთა მეფის და კონსტანტინე აფხაზთა მეფის საპირისპიროდ, ადარნასე ქართველთა მეფემ შემოსეული მტრის მხარე დაიჭირა. შესაძლებელია, ქართლი ადარნასე ქართველთა მეფემ სავსი ამირასაგან მიიღო მოკავშირეობისათვის, ან დაიპყრო იმ დროს, როდესაც აფხაზეთში ტახტისათვის ომი მიმდინარეობდა. ეს ძალიან ხელსაყრელი დრო იქნებოდა ქართველთა მეფისათვის“*.[59]

ჩვენი აზრით, სწორია ის მოსაზრება, რომ ადარნასემ „აფხაზთა“ სამეფო კარზე არსებული არეულობით ისარგებლა და ქართლს დაეუფლა. ამ დროს მისთვის მხარი უნდა დაეჭირა ივანე ტბელს, რომელსაც ადარნასე შესაძლებელია ქართლის გამგებლობის შენარჩუნებას დაპირდა. ივანე ტბელი

[57] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 799.
[58] მ. ლორთქიფანიძე. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, გვ. 246-247.
[59] მ. ლორთქიფანიძე. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, გვ. 247.

ადარნასე ქართველთა მეფის ბანაკში აღმოჩნდა.[60] სწორედ ამიტომ, როდესაც ადარნასე გარდაიცვალა, ტბელები მფარველის გარეშე აღმოჩნდნენ და გიორგი „აფხაზთა“ მეფემ ქართლი დაიპყრო. არც ის არის გამორიცხული, რომ საჯი ამირას შემოსევის დროს ადარნასემ მოკავშირეობის გამო ქართლი საჩუქრად მიიღო. ივანე ტბელი, იმის გამო, რომ „აფხაზთა“ სამეფო კარზე ტახტის პრეტენდენტთა შორის დაპირისპირებას ჰქონდა ადგილი, პატრონის გარეშე დარჩა და ადარნასეს ბანაკში აღმოჩნდა. ერთი რამ ცხადია, გიორგი „აფხაზთა“ მეფე ქართლის დაპყრობის შემდეგ ადგილობრივ ფეოდალებს (ტბელებს) აღარ ენდო და ქართლი თავის ვაჟს – კონსტანტინეს ჩააბარა, რომელიც მამას მალე განუდგა. საინტერესოა, რომ კონსტანტინე უფლისწულს მხარს უჭერდნენ ტბელნი და სხვა აზნაურები: *„და ვითარ დაყო სამი წელიწადი, იწყო მტერობად მამისა თჳსისა და ძებნად მეფობისა. და ვითარ გამოცხადნა საქმე მისი, შეიქმნა იგი უფლისციხეს და შეუდგეს თანა ტბელნი და სხუანი მრავალი აზნაურნი“*.[61]

კონსტანტინე ქართლის გამგებლობას არ დაჯერდა. მას აფხაზეთში გამეფება უნდოდა. როგორც ჩანს, ივანე ტბელმა მას დახმარება იმ პირობით აღუთქვა, თუ ბრძოლის წარმატებით დასრულების შემდეგ აფხაზეთში გამეფებული კონსტანტინე ქართლს კვლავ ივანე ტბელს ჩააბარებდა. თუმცა, კონსტანტინე დამარცხდა. ტბელთა ფეოდალურმა სახლმა, ქართლის გამგებლობის იმედი დაკარგა. მათი საფეოდალოს საზღვრები ამ მარცხის შემდეგ მკვეთრად უნდა შემცირებულიყო. ის, რომ ივანე ტბელის მომდევნო თაობის წარმომადგენელთა სახელები, მხოლოდ ტბეთის ბორცვისჯვრის ტაძრის წარ-

---

[60] აღსანიშნავია, რომ ადარნასეს მხარს უჭერდა ვასპურაკანის მეფე სუმბატ ტიეზიკარელი. სომეხი მემატიანის – იოანე დრასხანაკერტელის ცნობით სუმბატმა: „დიდი პატივითა და დიდებით გვირგვინი დაადგა, შესაფერისი ლამაზი სამკაულითა და საჭურვლით შეამკო მეფეთა წესის თანახმად, ქართველთა მეფედ დაადგინა და თავისი სამფლობელოს მეორე პირად [მეფის შემდეგ] დამტკიცა ივი“ (ე. ცაგარეიშვილი. საქართველო VII-X საუკუნეების სომხურ საისტორიო წყაროებში. თბ. 2012, გვ. 69). სუმბატმა და ადარნასემ 904 წელს, უფლისციხესთან ერთობლივად დაამარცხეს კონსტანტინე „აფხაზთა“ მეფე. კონსტანტინე სუმბატმა დაატყვევა, თუმცა მალე გაათავისუფლა, რასაც ადარნასეს უკმაყოფილება მოჰყვა (ე. ცაგარეიშვილი. საქართველო VII-X საუკუნეების სომხურ საისტორიო წყაროებში, გვ. 133). სუმბატის მიერ კონსტანტინე „აფხაზთა“ მეფის დამარცხების ფაქტს განსხვავებულად გადმოგვცემს სომეხი მემატიანე ფსევდო-შაპუჰი, მისი ინფორმაციით, „აფხაზთა“ მეფე ამ დროს იყო თეოდოსი. სომეხთა და „აფხაზთა“ მეფეებს შორის ბრძოლა მოხდა არა უფლისციხესთან, როგორც ამას იოანე დრასხანაკერტელი გადმოგვცემს, არამედ გორთან (ე. ცაგარეიშვილი. ანონიმი ისტორიკოსი (ფსევდო-შაპუჰი) და მისი „ისტორია“. ჟურნ. მრავალთავი. ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი. ტ. V. თბ. 1975, გვ. 162-163).
[61] მატიანე ქართლისა, გვ. 267.

წერებიდან არის ცნობილი, შემთხვევითი არ არის. ქართლის „უფლობიდან“ ტბელები კვლავ ტბეთს და მის შემოგარენ ადგილებს უბრუნდებიან.

კონსტანტინე „აფხაზთა“ მეფის ძის ქართლში გამგებლად ყოფნის შესახებ *„მატიანე ქართლისაჲს“* გარდა, ძალზე საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის მდ. მეჯუდას ხეობაში, სოფ. ჭალისუბანში ნაპოვნი თექვსმეტსტრიქონიანი წარწერა, რომელიც პირველად 1925 წელს გამოქვეყნდა.[62] მასში ვკითხულობთ: *„სახ[ელით]ს ღმრთისაჲთა ესე ჴელი [ჩუენ] რამინ და გიორგი დავწერეთ ოდეს [კოსტა]ნტი ქართლისა გამგებელი იყო, ჩუენ ცხრაზმის ჴევის ჴევისუფლად [ვ]იყუენით, მას ჟამსა ავაგეთ წისქუილნი და ზემოთ სახლი ერთი სამსახოური, ჰკიდავს ჱ კაცი. ქე ა ცისკარ ამინ. ესე ჴელი მე გიორგი დავწერე. ქრისტე განმგებლო ორთავე ცხორებათაო, დაწესე სოლი ფარაისი წიალთა აბრაჰამისთა მიეც განსოენებაო † ამ[ე]“*.[63]

ძალზე საინტერესოა, რომ ჭალისუბნის წარწერაში, რომელიც კონსტანტინეს გამგებლობის დროს არის შექმნილი (923-926 წწ.) ცხრაზმის ხევისუფლები ადგილობრივ, მათზე იერარქიულად მაღლა მდგომ ერისთავს არ იხსენიებენ. ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, ხევისუფლები ერისთავებს ექვემდებარებოდნენ. ამის დასადასტურებლად მეცნიერი, როგორც ა. ბაქრაძემაც შენიშნა, შიომღვიმისადმი გრიგოლ ერისთავთ-ერისთავის მიერ ბოძებულ „დაწერილს“ იმოწმებს.[64] იმ გარემოებას, რომ ჭალისუბნის წარწერაში ადგილობრივი ერისთავები არ იხსენიებიან, ყურადღება მიაქცია ა. ბაქრაძემ. იგი წერს: *„თუ ჴევისუფალნი მართლაც ერისთავებს ემორჩილებიან, ისმება კითხვა, თუ რატომ არ იხსენიებენ ჩვენი წარწერის* (იგულისხმება ჭალისუბნის 923-926 წ.წ. წარწერა — **გ.ს.**) *პირები მას, როგორც თავიანთ უშუალო უფროსს, რატომ იხსენიებენ ისინი ქართლის გამგებელს და არა ადგილობრივ ფეოდალს?“*.[65]

ა. ბაქრაძე ამ ფაქტს შემდეგნაირ ახსნას უძებნის: *„რადგანაც იურიდიული ხასიათის ასეთ იშვიათ საბუთში, როგორსაც წარმოადგენს ჩვენი ძეგლი, არ იხსენიება ადგილობრივი ფეოდალი (ამ შემთხვევაში ერისთავი) უნდა ვი-*

---

[62] საისტორიო მოამბე. წ. I. ტფ. 1925.

[63] ა. ბაქრაძე. X საუკუნის წარწერა მეჯუდის ხეობიდან. აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. XIX-B. თბ. 1956, გვ. 6.

[64] ა. ბაქრაძე. X საუკუნის წარწერა მეჯუდის ხეობიდან, გვ. 7; ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. წ. II, ნაკ. II, ტფ. 1928, გვ. 207; ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თედო ჟორდანიას მიერ. ტ. II. ტფ. 1897, გვ. 15-19.

[65] ა. ბაქრაძე. X საუკუნის წარწერა მეჯუდის ხეობიდან, გვ. 8.

ფიქროთ, რომ ცხრაძმის ჴევში ასეთი თანამდებობა ჯერ კიდევ არ არსებობდა“.[66] ჩვენ ვერ დავეთანხმებით აღნიშნულ მოსაზრებას. ის, რომ წარწერიანი ქვა მეჯუდის ხეობაში, სოფ. ჭალისუბანშია ნაპოვნი, შემთხვევითი არ არის. მეჯუდის ხეობა ცხრაძმის ხევს ემიჯნება, არ არის გამორიცხული, რომ ცხრაძმის ხევისუფალთა რეზიდენცია სწორედ ამ არეალში იყო. როგორც ქვემოთ ვნახავთ, მეჯუდის ხეობაში ბიეთის ტაძრის X საუკუნის საამშენებლო წარწერაში იხსენიება *„ერისთავთ-ერისთავი იოანე ძე ბაკურ ყანჩაელისა, უფალი და პატრონი“*. გამოდის, რომ X საუკუნეში მეჯუდის და მის მეზობლად არსებული ხეობები ყანჩაელთა საკუთრებას წარმოადგენდა და მათ თავიანთი ხევისუფალნიც ჰყავდათ. არ არის გამორიცხული, რომ ყანჩაელები ტბელთა საპირისპიროდ მამისაგან განდგომილი კონსტანტინეს მოწინააღმდეგეები იყვნენ. არც ის არის გამორიცხული, რომ კონსტანტინეს ქართლის ძლიერი ფეოდალების – ყანჩაელების წინააღმდეგ მათ დაქვემდებარებაში მყოფი ცხრაძმის ხევისუფლები წაექეზებინა, რომლებმაც წარწერაში თავიანთ უშუალო „პატრონი“ აღარ მოიხსენიეს. კონსტანტინეს ბანაკის დამარცხების შემდეგ, მას მერე, რაც გიორგი „აფხაზთა“ მეფემ ქართლი დაიკავა, შესაძლებელია მან ქართლი თავის მომხრე ყანჩაელებს გადასცა და ბიეთის წარწერაში ამიტომაც არის მოხსენიებული იოანე ერისთავთ-ერისთავი „უფლად“ და „პატრონად“.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ X ს. დასაწყისში ქართლში ასეთი პოლიტიკური სურათი გვქონდა: კონსტანტინე „აფხაზთა“ მეფის დროს ქართლის „უფალი“ ივანე ტბელია. კონსტანტინე „აფხაზთა“ მეფის გარდაცვალების შემდეგ, „აფხაზთა“ სამეფო სახლში არსებული არეულობის დროს ივანე ტბელი „აფხაზთა“ მეფეებს განუდგა და ადარნასე ქართველთა მეფის ბანაკში გადავიდა. ადარნასეს გარდაცვალების შემდეგ „აფხაზთა“ მეფემ გიორგიმ ქართლი დაიპყრო და იქ გამგებლად თავისი ძე კონსტანტინე დასვა. კონსტანტინე სამი წელი იყო ქართლის გამგებელი. სამი წლის შემდეგ იგი მამას – გიორგი მეფეს განუდგა. ამ დროს ივანე ტბელი კონსტანტინეს მხარეს იბრძოდა, ხოლო ყანჩაელები კონსტანტინეს მოწინააღმდეგენი იყვნენ. ივანე ტბელს, კონსტანტინეს გამეფების შემდეგ ქართლის „უფლობის“ დაბრუნების იმედი ჰქონდა. კონსტანტინეს დამარცხების შემდეგ ტბელებმა სამუდამოდ დაკარგეს ქართლის „უფლობის“ დაბრუნების პერსპექტივა. ქართლის „უფალი“ ტბელთა მოწინააღმდეგე ყანჩაელი გახდა.

[66] ა. ბაქრაძე. X საუკუნის წარწერა მეჯუდის ხეობიდან, გვ. 8.

ჩვენს მოსაზრებას ამყარებს *„მატიანე ქართლისაის“* ცნობა, რომელიც ზემოთაც მოვიყვანეთ: *„და ვითარ დაყო სამი წელიწადი, იწყო მტერობად მამისა თჳსისა და ძებნად მეფობისა. და ვითარ გამოცხადნა საქმე მისი, შეძგა იგი უფლისციხეს და შეუძგეს თანა ტბელნი და სხუანი მრავალი აზნაურნი“*.[67] კონსტანტინეს ბანაკში რომ ყანჩაელიც ყოფილიყო, ამას მემატიანე უსათუოდ აღნიშნავდა. სიტყვებში „სხუანი მრავალნი აზნაურნი“ ტბელთა დაქვემდებარებაში მყოფი სხვადასხვა წვრილი აზნაურები (შესაძლოა ხევისუფალნიც) უნდა იგულისხმებოდეს. გიორგი „აფხაზთა“ მეფისათვის მხარი ბიეთის წარწერაში მოხსენიებულ იოანე ყანჩაელს უნდა დაეჭირა, რომელმაც შემდეგ ერისთავთ-ერისთავობა და ქართლის „უფლობა“ მიიღო.[68]

ყანჩაელების და ტბელების ფეოდალური საგვარეულოების შესახებ აზრი გამოთქვა ჯ. გვასალიამ, მკვლევარი წერს: *„IX საუკუნისათვის ქართლის აზნაურებს შორის აღზევდებიან ყანჩაელები, რაზეც მეტყველებს მეჯუდის ხეობის სოფელ ბიეთში ჩატარებული დიდი მშენებლობა და სამშენებლო წარწერა. აქ იხსენიება ერისთავთ-ერისთავი იოანე ძე ბაკურ ყანჩაელისა. იგი უნდა იყოს ქსნის ერისთავი. ამ დროს ცხრაძმისხევი ქსნის ხევისადმია ადმინისტრაციულად დამორჩილებული. არაა გამორიცხული, რომ ერისთავთ-ერისთავი იოანე იყოს მთელი ქართლის ერისთავი. X საუკუნისათვის ყანჩაელთა განსაკუთრებული მდგომარეობა ქრება და ისინი ქართლის ჩვეულებრივი აზნაურები არიან, წინაურდება ტბელთა სახლი“*.[69]

ყანჩაელების IX საუკუნეში აღზევების დათარიღებისას მკვლევარი ბიეთის საამშენებლო წარწერის რ. მეფისაშვილისეულ დათარიღებას ეყრდნობა.[70]

---

[67] მატიანე ქართლისა, გვ. 267.

[68] აღსანიშნავია, რომ კვირიკე კახთა ქორეპისკოპოსთან დაპირისპირების დროს, ყანჩაელთა ფეოდალური სახლის წარმომადგენელი „მამა ყანჩაელი“ ქართლის სხვა აზნაურებთან ერთად, კვირიკეს ემხრობოდა: „გოდერძი მგდეური, მამა ყანჩაელი, დაჩი კორინთელი, დაჩი და ივანე სხ;ლოსელნი, სარა და გრიგოლ ძმანი ფხუენელნი, და მათ თანა ორმოცდაათი აზნაურნი სხუა“ (მატიანე ქართლისა, გვ. 369). „მატიანე ქართლისაის“ ამ პასაჟს ამ სახით კითხულობს მ. ლორთქიფანიძე (მ. ლორთქიფანიძე. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, გვ. 248). ივ. ჯავახიშვილს „მატიანე ქართლისაის“ ეს ადგილი განსხვავებულად ჰქონდა დამოწმებული: „გოდერძიანი, მგდეური, ყანჩაელი მამა დაჩი, კორინთალი დაჩი და იოანე, სხვლოსელი სარა და გრიგოლ, ძმანი ფხუენელნი და მათთანა ორმოცდაათი აზნაურნი სხუა“ (ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. წ. მეორე, 1948, გვ. 104). ჩვენი აზრით, წყაროში მითითებული „მამა“ საკუთარ სახელს არ უნდა აღნიშნავდეს, რადგან შიდა ქართლში ასეთი ანთროპონიმი არცერთ სხვა ძეგლში არ გვხვდება. ხომ არ იგულისხმება „მამა ყანჩაელში“ ბიეთის წარწერაში მოხსენიებული იოანე ყანჩაელის მამა-ბაკური?

[69] ჯ. გვასალია. აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, გვ. 25.

[70] Р. Меписашвили. Полупещерный памятник IX в. в сел. Биети. ჟურნ. ქართული ხელოვნება, 6-А. თბ. 1963, გვ. 44-45.

თუმცა, ბიეთის წარწერას ნ. შოშიაშვილი X საუკუნით ათარიღებს, რასაც ჩვენც ვეთანხმებით. პალეოგრაფიული ნიშნების გარდა,[71] ამ დათარიღებას მხარს უჭერს *„მატიანე ქართლისაჲ“*: ყანჩაელთა გვარი გიორგი „აფხაზთა“ მეფის დროს (X ს. I ნახევარი). ჩვენი აზრით, ტბელთა ფეოდალურმა სახლმა კი არ ჩაანაცვლა ყანჩაელთა სახლი, როგორც ჯ. გვასალიას მიაჩნია, არამედ პირიქით. ტბელთა საფეოდალოს პირველობა ქართლში, კონსტანტინე „აფხაზთა“ მეფის გარდაცვალების შემდეგ ყანჩაელთა ფეოდალურმა სახლმა წაართვა.

დოდოთის და ტბეთის წარწერებზე დაყრდნობით, ნ. შოშიაშვილი ტბელთა ოთხ თაობას გამოყოფდა და წერდა: *„როგორც ვხედავთ, ტბეთის წარწერებში ჩანს ტბელების 2 თაობა: I პატრიკ ტბელი; II პატრიკის ძეები (ოქროპირი, ქავთარი). ტბელების ამ ორ თაობას წინ უსწრებს ორი თაობა, მოხსენიებული დოდოთის ცხრაკარის ეკლესიის წარწერებში: 1-ივანე ტბელი (914 წ. ახლო) (№80); II-ტბელის ძე (ივანე ტბელის ძე) ქავთარ (№81). ტბეთის წარწერების პატრიკი ძეა ქავთარის (№83). ასე, რომ დოდოთისა და ტბეთის წარწერები იხსენიებენ ტბელთა ოთხ თაობას: ივანე – ქავთარ I – პატრიკ – ქავთარ II“*.[72]

ნიქოზის ტაძრის X საუკუნის II ლაპიდარული წარწერებში ცნობილია ეპისკოპოსი მიქაელი, რომელმაც X საუკუნის II ნახევარში ნიქოზის ტაძარი ააგო. მიქაელი, ჩვენთვის საინტერესო ტერიტორიულ არეალში X საუკუნის ლაპიდარულ წარწერებში გვხვდება ზემოთ მითითებულ ტბეთის ეკლესიის წარწერაში. ეს წარწერა ვახტანგის (სავარაუდოდ, პატრიკ ტბელის ძმის) ძეების მოსახსენიებელია. *„ქრისტე ადიდენ ძენი ვახტანგისანი: მიქაელსა რმ ე(?)“*.[73]

---

[71] ქართული წარწერების კორპუსი. ლაპიდარული წარწერები. ტ. I, გვ. 192.

[72] ქართული წარწერების კორპუსი. ლაპიდარული წარწერები. ტ. I, გვ. 179. აღსანიშნავია, რომ ასომთაერული წარწერები აღმოჩნდა დიცის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე, საქტიტორო წარწერაში მოხსენიებულნი არიან ტაძრის ამგები ძმები: გოდერძი, ჯარიდი და ბეშქენი. ასომთავრული წარწერები აღმოჩნდა ასევე ტაძრის შიდა ინტერიერში სამხრეთ ფასადზე, სადაც რამდენიმე მოსახსენიებელია. ერთ-ერთ მათგანში იხსენიება კონსტანტინე ბაკანაი, რომელიც ჩვენი აზრით, ტაძრის ამგებ პირთა სახლის წევრი უნდა ყოფილიყო. დიცის ღვთისმშობლის ტაძრის საამშენებლო წარწერა, ჩვენი აზრით, IX ს. II ნახევრით თარიღდება. წარწერაში მოხსენიებული პირები ტბელების ფეოდალური გვარის დაწინაურებამდე არსებული ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენლები უნდა ყოფილიყვნენ. მათი სახლი X საუკუნის დასაწყისში ტბელთა გვარმა ჩაანაცვლა (იხ. გ. სოსიაშვილი. ასომთავრული წარწერები სოფელ დიციდან. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის შრომათა კრებული. №13. თბ. 2016, გვ. 16).

[73] ქართული წარწერების კორპუსი. ლაპიდარული წარწერები. ტ. I, გვ. 181.

ამ წარწერიდან ძნელია დაასკვნა მიქაელი, როგორც ვახტანგის ძე, ისეა მოხსენიებული, თუ როგორც წარწერის შემსრულებელი. არ არის გამორიცხული, რომ ის ტბელების ხელოსანი იყო და აღნიშნული წარწერაც მათი დავალებით ამოკვეთა. არც ის არის გამორიცხული, რომ ტბეთის წარწერაში მოხსენიებული მიქაელი ტბელთა ფეოდალურ სახლს ეკუთვნოდა.

როგორც აღვნიშნეთ, ეპისკოპოსი მიქაელი მოხსენიებულია ზემო ნიქოზის მთავარანგელოზის ეკლესიაზე შესრულებულ ასომთავრულ წარწერაში, სადაც ვკითხულობთ: *„1* + [ს] (ა)[ზ](ე)[ლ](ი)თ[ა] [ღ](მრთისათ)ა მე. [მ](ი)[ქ](აე)[ლ] ნ(ი)ქ(ო)[ზ](ე)ლ[ე]ბ/2ეს<ს> კ(ოპო) ზმ(ა)ნ აღვ(ა)შ(ე)ნე წ(მიდა)ჲ ეკლ(ე)ს(ია)ჲ, რ(ომე)ლ[ჲ]ᵝ არს სახლი ღ(მრთი)ს(ა)ჲ და ბჭჱ ცათაჲ,ᵃ საყოფელი წ(მიდი)სა ღ(მრ)თისმშ(ო)ბელის(ა)ჲ და წ(მიდა)თაᵟ მთ(ა)ვ(ა)რ(ა)ნგ(ე)ლ(ო)ზთ(ა)ჲ, ს(ა)ლ(ო)ც(ველა)დ ს(უ)ლისა ჩ(ე)მისათ(ჳ)ს“.*[74] აღნიშნული წარწერა 1890 წელს მოხსენიებული აქვს პ. უვაროვას.[75] ნიქოზის მთავარანგელოზის ტაძრის წარწერას VII-VIII საუკუნეებით ათარიღებდა და განსხვავებულად კითხულობდა გ. საძაგლიშვილი (კათალიკოზი კირიონ II): *„...კათალიკოზმა (კოზმა)? აღვაშენე წმიდაჲ ეკკლესიაჲ, რომელს არს სახლი ღუთისა და ბჭე ცათაჲ, საყოფელი წმიდისა ღუთისმშობელისადა წმიდათა მთავარ-ანგელოზთაჲ სალოცავად სულისა ჩემისათჳს“.*[76] მიქაელი ამავე ტაძრის სხვა წარწერაშიც გვხვდება: *„ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე იოვ(ა)ნე[ᵡ] დ(ი)სწ(უ)ლიმ(ი)ქ(აე)ლ ებ(ის)-კოპოზ(ისა)ჲ“.*[77] მიქაელი ნიქოზის ღვთაების ტაძრის საამშენებლო წარწერაშიც იხსენიება: *„1 [+ ამენ. მ(ი)ქ(აე)ლ] ეპი[ᵡ]სკ(ო)პ(ო)ზმ(ა)ნ აღვ(ა)[ᵡ]შ(ე)ნე წ(მიდა)ჲ ეკლ(ე)ს(ია)ჲ“.*[78] ეს წარწერები სამეცნიერო ლიტერატურაში X საუკუნის უკანასკნელი მეოთხედით არის დათარიღებული.[79]

---

[74] ქართული წარწერების კორპუსი. ლაპიდარული წარწერები. ტ. I, გვ. 186.

[75] Христианские памятники графини Уваровой. Материалы по археологии Кавказа, собранные экспедициями Московского археологического общества (МАК). вып. 4. М. 1894, გვ. 181.

[76] Г. Садзагелов-Иверили. Описание Никозской.., გვ. 7.

[77] Г. Садзагелов-Иверили. Описание Никозской.., გვ. 187; ი. მეგრელიძე. სიძველეები ლიახვის ხეობაში. ტ. I. თბ. 1986, გვ. 135.

[78] Г. Садзагелов-Иверили. Описание Никозской.., გვ. 188.

[79] ი. მეგრელიძე. სიძველეები ლიახვის ხეობაში, ტ. I, გვ. 137. აღსანიშნავია, რომ ნიქოზის მთავარანგელოზის ტაძრის წარწერებს პალეოგრაფიულად გ. საძაგლიშვილი VII-VIII საუკუნეებით ათარიღებდა (იხ. Г. Садзагелов-Иверили. Описание Никозской.., გვ. 7). წარწერებში მოხსენიებულ მიქაელთან დაკავშირებით ი. მეგრელიძე წერს: „დათარიღების საკითხს არ წყვეტს ჯერჯერობით არც მე-3 წარწერაში მოხსენიებული იოვანე, დისწული მიქელ ეპისკოპოზისაი. ვინაიდან ჩვენი ისტორია რამდენიმე იოვანესა და მიქელ ებისკოპოზს იცნობს. ცნობი-

ტბელთა საფეოდალო ნიქოზის სამწყსოში შედიოდა, გავიხსენოთ ერედვის წარწერა, სადაც მოხსენიებულია ნიქოზელი ეპისკოპოსი სტეფანე, რომლის „განზრახვითაც“ აიგო ერედვის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი. როგორც მივუთითებდით, X ს. II ნახევრით დათარიღებული ნიქოზის წარწერების თანახმად ნიქოზელი ეპისკოპოსი მიქაელია, რომელმაც ნიქოზის ტაძარი ააგო, ან განაახლა (ნიქოზის წარწერებში ის იხსენიება, როგორ ტაძრის ამგები). როგორც ჩანს, ის დიდი გავლენის მქონე საეკლესიო იარარქია, ასეთი, შესაძლებელია, იმ დროს მხოლოდ ტბელთა ფეოდალური სახლის წევრი, ან მათთან ძალზე დაახლოებული პირი ყოფილიყო.

X საუკუნის განმავლობაში, (II ნახევარშიც), ტბელები ძალზე გავლენიანი ფეოდალები იყვნენ, ისინი ქართლში პოლიტიკურ ამინდს ქმნიდნენ და ნიქოზის საეპისკოპოსო კათედრას, ისინი სწორედ თავიანთ საგვარეულოს წარმომადგენელს, ან მათთვის სასურველ პირს ჩააბარებდნენ. სტეფანეს გარდაცვალების შემდეგ (სტეფანეს გარდაცვალების თარიღი ცნობილი არ არის. თუმცა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სტეფანე X საუკუნის შუა წლებამდე იქნებოდა ნიქოზის ეპისკოპოსი, არ არის გამორიცხული, რომ ერედვის წარწერის შექმნის დროს სტეფანე ახალი გაეპისკოპოსებული იყო.) ნიქოზელი ეპისკოპოსი მიქაელი გახდა.[80] არ არის გამორიცხული, რომ ეს მიქაელი, რომელიც ნიქოზის წარწერებში ეპისკოპოსის რანგშია მოხსენიებული ტბეთის წარწერაში ვახტანგთან ერთად მოხსენიებული მიქაელია (ტბელთა სახლის წევრი, შესაძლებელია ვახტანგ ტბელის ძე).

ლია, იოანე (შეიძლება იოვანეც), რომელსაც კ. კეკელიძე, მიქელ მოდრეკილის დისწულად თვლის (X ს.), მაგრამ ის ბერი იყო და არა ეპისკოპოზი, არ ჩანს, რომ მას ქართლთან ჰქონდეს კავშირი. ეპისკოპოზი მიქელ I (450-467) ვახტანგ გორგასალის დროსაა ცნობილი. მიქელ II 774-780 წლებშია ცნობილი, მაგრამ ჩვენს ძეგლს ესენი არ ესადაგებიან. მას უფრო მაინც მიქელ III (940-952 წწ. ცნობილი ეპისკოპოზი) შეეფერება, მაგრამ ეს არის?“ (ი. მეგრელიძე. სიძველეები ლიახვის ხეობაში. ტ. I. გვ. 136). რომელ ცნობილ მიქელ III საუბრობს მეცნიერი ამის შესახებ წყარო მითითებული არ აქვს.

[80] სავარაუდოდ, იგი ივანე ტბელის შვილიშვილი იყო, რადგან X ს. II ნახევარში ივანეს შემდეგი თაობა მოღვაწეობდა. საყურადღებოა, ნიქოზის ტაძრის ერთ-ერთი წარწერის თანახმად, მიქაელ ეპისკოპოსის დისწულს იოანე ერქვა, შესაძლებელია ის დიდი პაპის – ივანე ტბელის მოსახელე იყო.

Giorgi Sosiashvili

SHIDA KARTLI LAPIDARIC INSCRIPTIONS AND FEUDAL FAMILY OF THE TBELIS

Summary

The most part of Asomtavruli inscriptions of the 10th century from Shida Kartli area (we mean Didi and Patara Liakhvi Gorges) is connected with the Tbelis, famous feudal family. The Asomtavruli inscription of 906-914 of Eredvi St. Giorgi Church is of great interest, where the lord ("uphali ") of Kartli Ivane Tbeli is mentioned. As it seems at the time the Tbeli family was especially promoted. The Tbeli family is also mentioned in the inscriptions of Tbeti and Dodoti Churches. According to the inscriptions, we have four generations of Tbelis during the 10th century. Based on Shida Kartli inscriptions, the following political situation is fixed for Kartli: Ivane Tbeli is lord of Kartli, Konstantine, king of the Abkhazians (i.e. Western Georgia) – his suzerain. After death of Konstantine, Ivane Tbeli opposed the Western Georgian kings and made Adarnase, king of the Kartvelians (i.e. Eastern, Southern and South-Western Georgia), his suzerain. After death of Adarnase, Giorgi, king of the Abkhazians, conquered Kartli and appointed his son Konstantine as governor of Kartli. Konstantine governed for three years. After three years, Konstantine opposed his own father, king Giorgi. Ivane Tbeli was fighting for Konstantine hoping that Konstantine would become a king and him – lord of Shida Kartli. After Konstantine's defeat, Kanchaelis, opponents of Tbelis, became the lords of Kartli.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება.
შოთა მესხია – 100
თბილისი. 2016

ჯაბა სამუშია

წეფთის ციხე

ისტორიული ტაო-კლარჯეთის მატერიალური ძეგლების შესწავლას თითქმის საუკუნე ნახევრის ისტორია აქვს, თუმცა არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ, ცალკეული გამონაკლისის გარდა, მეცნიერთა ძირითადი ყურადღება ეკლესია-მონასტრების კვლევისაკენ იყო მიპყრობილი და ციხე-სიმაგრეები ერთგვარად ამ ინტერესების მიღმა რჩებოდა. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით განხორციელებული პროექტის – „ტაო-კლარჯეთის ქართული ციხე-სიმაგრეების“ (წევრები: ჯაბა სამუშია (ექსპედიციისა და პროექტის ხელმძღვანელი), ბონდო კუპატაძე, ალექსანდრე ბოშიშვილი, ლერი თავაძე, აკაკი ჩიქობავა, ოქროპირ ჯიქური, მზისა ბუსკივაძე, ლევან სილაგაძე, ნინო სილაგაძე, გიორგი ბაგრატიონი) ფარგლებში მიზნად დავისახეთ ამ ხარვეზის ნაწილობრივ შევსება. ამ მიზნით „თურქეთის საქართველოში“ რამდენიმე ექსპედიცია მოეწყო, მოხდა ძეგლების საფუძვლიანი აზომვა და შესაბამისი წერილობითი წყაროების დამუშავება. ამ სამუშაოს ფარგლებში შესრულდა წინამდებარე ნაშრომიც.

ციხე-სიმაგრის შესწავლა საკმაოდ ბევრ სირთულესთან არის დაკავშირებული. სამწუხაროდ, არცერთ ძეგლს ქართული წარწერა არ ახლავს (ორიოდ გამონაკლისის გარდა, თუმცა, ეს წარწერებიც სამშენებლო შინაარსის არ არიან), რომლის დახმარებით დამატებით ინფორმაციას მივიღებდით. გამომდინარე იქიდან, რომ სამხრეთ საქართველო მუდმივი თავდასხმების ობიექტი იყო, ყველა ციხეს მრავალჯერ გადაკეთების კვალი ამჩნევია, რაც მისი თავდაპირველი სტრუქტურის აღდგენაში დიდ სირთულეს ქმნის და მესამე, ასევე ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი, ეს გახლავთ ადგილობრივ ხელისუფალთა მხრიდან ძეგლის არქეოლოგიური შესწავლისადმი უყურადღებობა. მთლიანობაში, ყველა ეს ფაქტორი გარკვეულ წინააღმდეგობას წარმოადგენდა ჩვენი ექსპედიციისათვის. საზოგადოდ, ქართულ წერილობით წყაროებში სამხრეთ



წეფთის ციხე. საერთო ხედი სამხრეთიდან



წეფთის ციხე. საერთო ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან

საქართველოს მხოლოდ მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრეები იხსენებიან, თუმცა ისტორიულ ტაო-კლარჯეთში ათობით ძეგლია, რომელთა შესახებ, ფაქტობრივად, არაფერია ცნობილი. ამ კუთხით, წეფთის ციხეს ნამდვილად გაუმართლა. იგი ორჯერ არის ნახსენები X-XI საუკუნეების მოვლენების გადმოცემისას და მეტნაკლებად, ეს ცნობები ჩვენთვის ორიენტირს წარმოადგენს განვსაზღვროთ ამ ციხე-სიმაგრის როლი და ადგილი შუა საუკუნეების შავშეთის ცხოვრებაში.

ძეგლის მდებარეობა

წეფთის/წერეფთის ციხე მდებარეობს იმერხევში სოფ. უსტამისის (თანამედროვე თურქული სახელია – Eskikale, ძველი ციხე) იაილას სიახლოვეს.[1] ადმინისტრაციულად სოფელი უსტამისი შავშეთის რაიონში შედის. თანამედროვე მონაცემებით სოფელში 1044 მცხოვრებია. ძეგლამდე მისასვლელი არც ისე რთულია, მიუხედავად იმისა, რომ ციხე მთის მწვერვალზეა აღმართული და მდ. შავშეთისწყლის ხეობიდან მნახველს იგი მიუდგომელად მოეჩვენება. ძველი გზა ციხემდე მიემართებოდა მდ. იმერხევისწყლისა და შავშეთისწყლის შესართავიდან (ადგილობრივები ამ ადგილს შერთულს უწოდებენ). სოფ. უსტამისის ახალი გზის გაყვანის გამო მან ფუნქცია დაკარგა და, ამჟამად, ბილიკიღაა დარჩენილი. ციხესთან ავტომობილით ადვილი მისასვლელია, გზა თითქმის უშუალოდ წეფთის ძირამდე მიდის. შავშეთ-ართვინის გზაზე, შერთულადან რამდენიმე კილომეტრში ხელმარჯვნივ სოფ. უსტამისისაკენ გზა სერპანტინით მაღალ ფერდობს მიუყვება. ერთ მხარეს სოფელს ჩიხორის ხეობა ზღუდავს, ხოლო მეორე მხარეს ახრანთხევი რომელიც ქვემოთ შავშეთისწყლამდე გრძელდება. დასახლება მთაზეა ტერასებად შეფენილი. ქვემოთ მდ. შავშეთისწყლის მიმართულებით საკმაოდ ღრმა ხევია. სოფელს მოშორებით რამდენიმე კილომეტრში აქვს თავისი იაილები. დაახ. 12 კილომეტრის შემდეგ ავდივართ უსტამისის იაილაზე. უცებ მნახველის წინ იშლება ლამაზი და ვრცელი პლატო, რომელსაც ჩრდილო-აღმოსავლეთიდან დაჰყურებს წეფ-

[1] მ. ფაღავას მოსაზრებით ტოპონიმი – უსტამისი უნდა უკავშირდებოდეს ადამიანის საკუთარ სახელს: „ყურადღებას იქცევს თვით ტოპონიმი უსტამისი. იგი ადამიანის საკუთარ სახელთან უნდა იყოს დაკავშირებული. უსტამი საკუთარ სახელად გვხვდება უცნობი ავტორის „ევსტათი მცხეთელის წამებაში“, სადაც ვკითხულობთ: „და უსტამ, ციხისთავმან მცხეთისამან, ისმინა მათი ევსტათისთვის და მიავლინა ერთი მხედართაგანი მოწოდებად ნეტარისა ევსტათისა. და ვითარცა მივიდა მხედარი იგი, მრისხანედ ჰრქვა: – გიწესს შენ ციხისთავი“. „ხოლო უსტამ ციხისთავმან ჰრქვა მას...“. უსტამისი – ადგილი (სოფელი), რომელიც უსტამს ეკუთვნის“ (იხ. მ. ფაღავა. შავშური ჩანაწერები. თბ. 2013, გვ. 87).

თის ციხე. XIX საუკუნეში უსტამისი და წეფთა ჯერ კიდევ ცალ-ცალკე სოფელს შეადგენდა. პოლკოვნიკ ვ. ლისოვსკის მიერ 1887 წელს შედგენილ ჭოროხის ხეობის სოფლების სიაში უსტამისში (ცხრილში მითითებულია შეცდომით – Устамель) უცხოვრია 6 ოჯახს (18 მამაკაცის და 27 ქალს), ხოლო წეფთაში 5 ოჯახს (24 მამაკაცს და 30 ქალს).[2]

სოფელ უსტამისის მოსახლეობა, უპირატესად, ქართულია. რამდენიმე ოჯახში ქალბატონებმა მხოლოდ ქართული იციან და ოჯახის წევრებთან მშობლიურ ენაზე ურთიერთობენ.[3] სოფელში დღემდე შემორჩენილია გადმოცემა წეფთის ციხის თამარ მეფის მიერ აშენების შესახებ: „ქაზიმ მოლლოღლი გვიმტკიცებს: „უსტამისის ყალე თამარა დედოფალმა გააკეთა. ასფალტი არ იყო, იქიდან ხელი-ხელ მუუტანიან, ხელიდან ხელში ქვა მუუცემიან, ისე გუუკეთებიან“.[4]

წეფთის ციხე მდებარეობს 1780 მეტრზე ზღვის დონიდან და მისი კორდინატებია: N-41°17’32.47”; E-42°11’26.09”.

ტოპონიმი

„მატიანე ქართლისას“ Mm ხელნაწერებში იხმარება ორივე ფორმა – წეფთი/წერეფთი. A-ში იხსენიება ციხე „წერბეთისა“.[5] სუმბატ დავითის ძესთან არის ფორმა „წეფთი“.[6] ი. სიხარულიძის მითითებით, უფრო ძველი უნდა იყოს „წერეფთი“, რაც „წარაფთის“ სახენაცვალ ფორმას უნდა წარმოადგენდეს.[7] წარაფი „არს ორთა ველთა შუა წვრილად და გრძლად ტყე ფიჩხოვანი“.[8] XIX-XX საუკუნეში იხმარებოდა ფორმა „წეფთა“. თანამედროვე რუკებზეც „წეფთის ციხეა“. ამ ფორმას ვანიჭებთ ჩვენც უპირატესობას.

---

[2] В. А. Лисовский. Чорохский край (Военно-статистический очерк), Тиф. 1887. იხ. приложение, Список населенных мест Чорохского края

[3] ეს დეტალი შენიშნული აქვს მკვლევარ მ. ფაღავას. იხ. მ. ფაღავა. შავშური ჩანაწერები, გვ. 85. აქვე გვსურს აღვნიშნოთ, რომ ბათუმის უნივერსიტეტის „ქართველოლოგიის ინსტიტუტს“ შავშეთის შესწავლის საქმეში დიდი სამუშაო აქვს ჩატარებული. ამ ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულმა ექსპედიციებმა ფასდაუდებელი მასალა შეაგროვა და გამომზეურა. იხ. კრებ.: შავშეთი. თბ. 2011.

[4] მ. ფაღავა. შავშური ჩანაწერები, გვ. 87.

[5] მატიანე ქართლისაჲ, ქართლის ცხოვრება. რ. მეტრეველის რედაქციით. თბ. 2008, გვ. 270.

[6] სუმბატ დავითის ძე. ცხორება და უწყება ბაგრატონიანთა. ქართლის ცხოვრება. რ. მეტრეველის რედაქციით. თბ. 2008, გვ. 374.

[7] ი. სიხარულიძე. შავშეთ-იმერხეეი. საისტორიო-გეოგრაფიის მასალები. ბათუმი. 1988, გვ. 52-53.

[8] სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. ტ. II. ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილ. აბულაძემ. თბ. 1993, გვ. 365.

შესწავლის ისტორია

წეფთის ციხეზე ცალკე გამოკვლევა არ არსებობს. მართალია, მკვლევარები გადმოგვცემდნენ ციხის ისტორიის ცალკეულ ეპიზოდებს, მაგრამ უკანასკნელ ხანებამდე მისი აზომვა და კომპლექსური (ქართველი მეცნიერის ხელთ არსებული რესურსის გათვალისწინებით) შესწავლა ვერ ხერხდებოდა.

XIX საუკუნის II ნახევარში ქართველ მოგზაურთაგან პირველად წეფთის ციხის ლოკალიზება მოგვცა გიორგი ყაზბეგმა, თუმცა ძეგლი არ უნახავს: „ოპიზის შემოგარენში ერთი საათის სავალ გზაზე არის სოფლები ფორა და ბერთა. როგორც ამბობენ აქ შემონახულია დიდი ეკლესიის ნაშთები. ფორის იქეთ, ფხიკურის გზაზე, არის დიდი, მაგრამ მიუდგომელი ციხის – წეფთის ნანგრევები. ჩვენ ვერ შევძელით დაგვეთვალიერებინა საქართველოს ძველი დიდებისა და ციხეების საოცარი შეთანაწყობა ამართლებს იმათ, ვინც ამ ერს აზიაში ქრისტიანობის ავანაგარდს უწოდებს“.[9] გ. ყაზბეგი ასევე მოგვითხრობს საინტერესო ისტორიას, რომელიც მოხდა XIX საუკუნის შუა პერიოდში აჭარა-შავშეთის რეგიონში და რომელიც უკავშირდება წეფთის ციხეს.

სამწუხაროდ, წეფთის ნანგრევები მხოლოდ შორიდან დაათვალიერა ნ. მარმა. მეცნიერი მოგვითხრობდა თავის დღიურში: „აღმართი შემდეგაც გრძელდებოდა... რაც უფრო მაღლა მივდივართ, მით უფრო საუცხოო ხდება პანორამა, მით უფრო ღია ხდება ხედი ცეფთის (წეფთის) სიმაგრეზე იმერხევითურთ (ეკლესიის ნანგრევებთან, მას ხეები ფარავდნენ). საოცარი პანორამაა აღმართის ბოლო ფართობზე, საიდანაც გადაიშალა უზარმაზარი ჰორიზონტი... მარცხნივ აღმართულია ცეფთის მთა, გვირგვინით, ე.ი. სიმაგრით, რომლის ქვემოთ, მოედანზე სუსტადი სახება სოფ. ცეფთას სახლების სილუეტები. სოფელი უსტამისი, რომელიც კიდევ უფრო დაბლაა გაშენებული, უკვე არ ჩანს“.[10]

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან ტაო-კლარჯეთის მიმართ ინტერესის გაზრდის პარალელურად ქართველი მეცნიერებები აქტიურად ინტერესდებიან შავშეთის სიძველეებით, თუმცა უსტამისელ ქართველებთან ყველაზე ხშირი სტუმარი ეთნოლოგები და ფილოლოგები იყვნენ. მამია ფაღავა მოკლედ აღ-

[9] გ. ყაზბეგი. სამი თვე თურქეთის საქართველოში. ბათუმი. 1995, გვ. 103.

[10] Георгий Мерчул. Житие св. Григория Хандзтийского. Грузинский текст. Введение, издание и перевод Н. Марра с дневником поездки в Шавшию и Кларджию. Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии. Кн. VII. СПб. 1911, გვ. 90; ნ. მარი. შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურები. რუსულიდან თარგმნა რ. დიასამიძემ. ბათუმი. 2015, გვ. 243; შ. ჯაფარიძე. ნიკო მარის მოგზაურობა შავშეთსა და კლარჯეთში. თბ. 1996, გვ. 125-126.

წერს წეფთის ციხეს: „ციხის ქონგურებს მივადექით. უსტამისის ციხიდან თვალწინ იშლება მთელი ხეობა, შორს შავშათიც მოჩანს. საკვირველია, ვინ გეგმავდა ამგვარ სტრატეგიულ ადგილებში ასეთი ციხეების აშენებას. ვინ სწავლობდა ასე დაწვრილებით ხეობებს და ყოველ მარჯვე ადგილას აშენებდა სადარაჯო ციხეებს. შედიხარ ხეობაში და ხედავ, რომ ყოველი კუთხე კონტროლდება. მეციხოვნეთა შეუმჩნეველად ძნელად თუ გაივლიდა ვინმე... კირითა და დულაბითაა ნაშენები ციხე, უფრო – ნაციხარი. საუკუნეებს შეუწირავთ მისი დიდება. ახლა ადამიანმაც გამოუცხადა ომი. ალთუნს ეძებენ და ამ ძიებაში ანგრევენ ჯერ კიდევ გადარჩენილ კედლებს. ოქროს ამაო ძიებაში კი მშობლიურ მიწაზე შლიან წინაპართა ნაკვალევს, შთამომავლობას ართმევენ საამაყოს. მტრისაგან მოტყუებულნი, მტრობენ თავიანთ ისტორიას, სხვის წისქვილზე ასხამენ წყალს... ციხის ქვემოთ რაღაც ნაგებობაა, თაღოვანი გადახურვით, უკვე ჩამოქცეული და გაევერანებული. გვირაბისმაგვარი ნაშენი, სიგრძე 24 ნაბიჯი, შუაზე გატიხრულია. პირველი საკანი შედარებით დიდია – 16 ნაბიჯი, მეორე შედარებით პატარა – 8 ნაბიჯი. სიგანე 6 ნაბიჯია.“[11]

2008 წელს წეფთის ციხე მოინახულა დ. ბერძენიშვილმა: „კლდეზე ციხე მოჩანს. მის ძირში სოფ. წეფთია, ე.ი. ესაა წეფთისციხე... ციხე საკმაოდ შთამბეჭდავია. დიდი მრგვალი კოშკის წყობა საშუალო ზომის ქვებისაა, რეგულარულად. შესასვლელი ჩამონგრეულია. მეორე, O კოშკის S-ით მცირე ეკლესიის ნაშთია დაახლ. 3X2 მ. წყობა აქაც ციხისაა. მის სამხრეთით, ეკლესიის იატაკის დონეზე თაღოვანი სათავსის ნანგრევია, რ-საც კედლები შიგნიდან შელესილი აქვს. წყლის რეზერვუარად ჩავთვალე. SW-ით არის მესამე კოშკის ორმოც. აქედან შესანიშნავად ჩანს ორივე ხეობის სოფლები, იქ გამავალი გზები და, რაც მთავარია, ციხე აკონტროლებს ორი მეზობელი ხევის შემაერთებელ გზას... შერჩენილია თაღოვანი გადახურვის მოგრძო შენობა, უსარკმელოდ, ოღონდ N კედელში ჩანს სათოფეები. პირველი დარბაზიდან შედიხარ მეორეში, სწორკუთხა გასასვლელით. ის უფრო ვრცელი მეჩვენა. ესეც თაღოვანი სათავსია, რომლის ყრუ, მიწაში ჩამჯდარი კედელი ოქროსმაძიებლების მიერაა ჩამონგრეული. ორსავე დარბაზში ჭურების ნატეხები სალტეიანია. ე.ი. პროვიანტისა და სითხის საწყობი უნდა ყოფილიყო მეციხოვნეთათვის, რომელიც გვიან შუა საუკუნეებშიც მოქმედებდა. ქვევით წეფთიბარია.“[12]

[11] მ. ფაღავა. შავშური ჩანაწერები, გვ. 86-87.

[12] დ. ბერძენიშვილი. მეხუთე ექსპედიციის დღიური (ტაო-კლარჯეთის 2008 წლის ექსპედიციის დღიური). კრებ.: ანდრია პირველწოდებულის ნაკვალევზე. თბ. 2009, გვ. 73-74.

წეფთის ციხის მეტ-ნაკლებად სრულყოფილი აღწერა მოგვცა შ. მამულაძემ თავის ნაშრომში – „შავშეთის მატერიალური კულტურის ძეგლები", რომელიც შევიდა კრებულში „შავშეთი".[13] ავტორი მიმოიხილავს როგორც ციხის ადგილმდებარეობას, ასევე გვაძლევს საფორტიფიკაციო ნაგებობის დაწვრილებით აღწერას: „ციხის ტერიტორიიდან ქედი უცებ მკვეთრად ეშვება ფრიალო კლდეებით შავშეთისწყლისაკენ. იგი თავისი ხელსაყრელი ადგილმდებარეობის გამო ბატონობს მთელ ხეობაში. იშვიათად თუ მოიძებნება საფორტიფიკაციო ნაგებობა, საიდანაც ასე კარგად ჩანდეს ხეობა ოთხივემხრივ. აღმოსავლეთით შესანიშნავად ჩანს შავშეთ-იმიერხევის წყალგამყოფი ქედი თავისი ხევ-ხუვებითა და სოფლებით. კარგად ჩანს მთლიანი შავშეთის ხეობა სათავეებამდე, არტაანისაკენ გადასასვლელი გზები, არსიანის მთათა სისტემა. ასევე აჭარა-შავშეთის მთების ფერდობებზე შეფენილი სოფლები ალპური საძოვრების ჩათვლით... შეიძლება ითქვას, იგი მთლიანად აკონტროლებს ისტორიული შავშეთის ქვეყანას. იგი აჭარა-შავშეთის და არსიანის მთებით შექმნილ ქვაბულში არსებულ მთელ ტერიტორიას ფარავს და აქცევს თავის სივრცეში. ციხე შავშეთის ქვეყნის ერთიანი თავდაცვის სისტემის ჯაჭვის ძირითადი ნაგებობაა, საიდანაც კარგად მოჩანს შავშეთის ქვეყნის ყველა ძირითადი ციხე. ციხის გალავნის კედლების წყობა ძირითადად შედგება გრანიტის მსუბუქად დამუშავებული კვადრებისაგან. წყობა რეგულარულია და შემაკავშირებლად კირხსნარის მკვრივი და სქელი მასაა გამოყენებული. ციხის გალავნის შიგნით მოქცეულ ტერიტორიაზე ქვის თუ დუღაბის დიდი ზომის ფრაგმენტებიდან ჩანს, რომ აქ უნდა ყოფილიყო სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობები. ისინი დროთა განმავლობაში დანგრეულა. ზოგიც იქაურ „არქეოლოგებს" – განძისმაძიებლებს დაუნგრევიათ".[14] შ. მამულაძის მითითებით, „ციხე საკმაოდ ადრეული ნაგებობა ჩანს. იგი შეიძლება დაახლოებით VIII-IX საუკუნეებით დათარიღდეს".[15] წეფთის ციხეს მოკლე საენციკლოპედიო სტატია ეთმობა წიგნში: „ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი".[16]

[13] შ. მამულაძე. შავშეთის მატერიალური კულტურის ძეგლები. კრებ.: შავშეთი, გვ. 49-53.
[14] შ. მამულაძე. შავშეთის მატერიალური კულტურის ძეგლები, გვ. 49-51.
[15] შ. მამულაძე. შავშეთის მატერიალური კულტურის ძეგლები, გვ. 53.
[16] გ. გამყრელიძე, ზ. ბრაგვაძე, დ. მინდორაშვილი, მ. კვაჭაძე. ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი. თბ. 2013, გვ. 610.


ციხის გარემო

წეფთის საფორტიფიკაციო ნაგებობა კლდოვან თხემზეა აგებული და შავშეთისწყლისა და იმერხევისწყლის ხეობებს გადაჰყურებს. იგი აღმოსავლეთიდან დასავლეთითა განერცობილი და უკიდურეს წერტილთა შორის 32 მეტრია. ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით კი ყველაზე ფართო ადგილას 29 მეტრია. ციხის გალავანი საკმაო საინტერესო კონფიგურაციისა და მთლიანად მიუყვება თხემს, ისე რომ, ფაქტობრივად, მთელი სივრცე ათვისებულია. უშუალოდ ციხის ტერიტორია 450 მ შეადგენს. მართალია, წეფთის ციხე არქეოლოგიურად შესწავლილი არ არის, მაგრამ „შავი არქეოლოგიის“ „დახმარებით“ ციხის მისასვლელთან, სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ქვედა ტერასაზე ჩანს პატარა ნაშენის კვალი. ასევე თავდაცვითი ნაგებობის ერთი მწკრივი შეიძლება ყოფილიყო ციხის დონიდან ოდნავ ქვემოთ, აღმოსავლეთ მხრიდან მოყოლებული, სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით. ამაზე უნდა მეტყველებდეს ციხის სამხრეთ გალავანში პატარა კარის არსებობა (სიგანე 2,5 მეტრი). ციხის ქვედა ტერასების ათვისება თავდაცვითი თვალსაზრისით იყო ნაკარნახევი.

წეფთის ციხეში მოხვედრა შესაძლებელია ჩრდილო-დასავლეთიდან. ციხის მასშტაბები გვაფიქრებინებს, რომ ეს უფრო დედაციხე უნდა იყო. ამ აზრს ისიც ამყარებს, რომ ციხის გარშემო, მის ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით შეიმჩნევა ცალკე მდგომი შენობის ნანგრევი, ასევე ოდნავ მოშორებით შემორჩენილია კოშკის საფუძველი.

წეფთის ციხე საკმაოდ დანგრეულია, მხოლოდ ფუნდამენტის დონეზე განირჩევა შენობების ნაშთები. არქეოლოგიური კვლევა-ძიება ბევრ საინტერესოს გამოავლენს, თუმცა დღეისათვის „შავი არქეოლოგები“ უფრო აქტიურობენ. ციხის გალავანი მორღვეულია და მისი მასშტაბების წარმოდგენა ჭირს, თუმცა ყველაზე მაღალ წერტილში შემორჩენილი კედლის სიმაღლე 9 მეტრს აღწევს. კედლის სისქე სხვადასხვა მონაკვეთში განსხვავებულია და 1 მეტრიდან 2.1 მეტრამდე მერყეობს. ყველაზე უფრო მასიური ჩანს გალავნის დასავლეთ მონაკვეთი, რომელიც ციხესთან მისასვლელ გზას გადაჰყურებს. სწორედ ამიტომაც ეს სექტორი ყველაზე უფრო კარგად არის დაცული. წეფთის ციხეს რამდენიმე გადაკეთების კვალი ამჩნევია. განსაკუთრებით ციხის გალავნის დასავლეთ ნაწილს, სადაც კედელი გაფართოვებულია და გარედან ნახევარწრიული კოშკის შთაბეჭდილებას ტოვებს. ამიტომაც ამ ნაწილში სხვადასხვა სამშენებლო წყობა შეიმჩნევა. ციხის გადაკეთება ბუნებრივი პროცესია, რამეთუ დროთა განმავლობაში წეფთის ციხე მრავალგზის იქნებოდა დანგრე-

ული და შემდეგ საფუძვლიანად განახლებული. ეს პროცესი უცხო არ არის ზოგადად საფორთიფიკაციო ნაგებობის ისტორიაში. რაც შეეხება დასავლეთ სექტორს აქ საქმე სხვაგვარადაა. ამ მხრიდან უფრო ადვილი მისასვლელი იყო და შესაბამისად, უფრო მეტად გაამაგრეს, თუმცა, ჩვენი აზრით, გალავნის გასქელება უფრო ცეცხლსასროლი იარაღის გამო უნდა მომხდარიყო.



წეფთის ციხე. გეგმა შეადგინა გიორგი ბაგრატიონმა



წეფთის ციხე. გალავნის დასავლეთ მონაკვეთი




წეფთის ციხე. ეკლესიის ნანგრევები


ციხეში შესვლისთანავე აღმოსავლეთით მდებარეობს გალავნის კედელში ჩართული კოშკი. მისი ქვედა სართული მიწით არის ამოვსებული. თავისი მოყვანილობით ის მართკუთხედის ფორმისაა. აღმოსავლეთ ნაწილი, რომელიც ხევს გადაჰყურებს 5.8 მ. სიგანისაა, მაშინ, როცა დასავლეთით კოშკის კედლები 5 მეტრამდე ვიწროვდებიან. ამ მონაკვეთში გალავნის სისქე 1.6-1.8 მ. მერყეობს. კოშკის გარედან აღმოსავლეთის მხარეს პატარა ნაშენის კვალია, რომელიც შეიძლება ყოფილიყო ერთი თავდაცვითი ხაზი, რომელიც წეფთის ციტადელს აღმოსავლეთიდან მიუყვებოდა, რამდენიმე მეტრის ქვემოთ არსებულ კლდოვან ბაქანზე და რომელიც ვრცელდებოდა სამხრეთის მიმართულებითაც. დღეს ამ კედლის ნაკვალევი აღარ არსებობს, მაგრამ შეიძლება თავისი აღმავლობის დროს წეფთის პატრონს ასეთი ორმაგი თავდაცვითი ხაზი ციხის აღმოსავლეთ სექტორში შეექმნა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამ მხარეს ციტადელს ღრმა ხევი აკრავს. ციხის გალავანი ყველგან ერთი სისქის არ არის, მაგრამ მაინც და მაინც დიდი განსხვავება არ შეიმჩნევა და დაახ. 1.3-1.4 მეტრს შორის მერყეობს.

კოშკს სამხრეთით ერთნავიანი ეკლესიის ნანგრევია (3.3-5.5 მეტრი), რომელსაც სამხრეთიდან საძვალე აქვს მიდგმული.

ყველაზე რთული ციხის დასავლეთ ნაწილის რეკონსტრუქცია. აქ გალავანს ისეთი კონფიგურაცია აქვს, რომ შეიძლება წაგრძელებული კოშკის მაგვარი ყოფილიყო, თითქოს ამ აზრს ამყარებს ჩრდილო-დასავლეთ მონაკვეთში გალავნიდან 1.5 მ. მეტი შვერილის არსებობა, მაგრამ გრძელდება თუ არა ის სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, გალავნის მეორე მხარემდე არ ვიცით. თუ დავუშვებთ, რომ ასეთი კედელი არსებობდა, მაშინ დაახლ. 2.6 მეტრის სიგანისა და 10 მეტრის სიგრძის კოშკს მივიღებთ. ყოველ შემთხვევაში ვარაუდის სახით შეიძლება ამის დაშვება. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ შ. მამულაძე ვარაუდობს წეფთის ციხეზე მეორე კოშკის არსებობას სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთში. მის ნარკვევს დართული აქვს გ. ყიფიანის მიერ შედგენილი ციხის გეგმა, სადაც ციხის ეს მონაკვეთი ოდნავ სხვაგვარადაა წარმოდგენილი – თითქოს ციხის დასავლეთ გალავნის ნახევარწრიული კედელი სამხრეთით ვრცელდება და კოშკის მოყვანილობას ქმნის. ჩვენმა ექსპედიციამ ამ კოშკის არსებობა ვერ დაადასტურა. დასავლეთიდან სამხრეთით ციხის გალავანი თხემს მიუყვება და ის არ ქმნის კუთხოვან სივრცეს, რომელიც შეიძლება კოშკად მივიჩნიოთ. წეფთის ციხის დასავლეთ სექტორში, როგორც ითქვა, შეიძლება მთლიანად 10 მეტრის სიგრძის კოშკი ყოფილიყო, მაგრამ არქეოლოგიური შესწავლის გარეშე ამ მოსაზრების გადაჭრით თქმა ჭირს.




წეფთას ციხე. გეგმა შეადგინა გ. ყიფიანმა




წეფთას ციხე. ჭრილი. შეადგინა გიორგი ბავრატიონმა

წეფთის ციხის ტერიტორიაზე შეიმჩნევა სულ მცირე ორი სხვადასხვა ნაგებობის ნაკვალები. სამწუხაროდ მათი ფუნქციური დანიშნულების გარკვევა ვერ ხერხდება.



წეფთის ციხე. სამეურნეო დანიშნულების ნაგებობის ნანგრევები



წეფთის ციხე. სამეურნეო დანიშნულების ნაგებობის ჭრილი.
შეადგინა გიორგი ბაგრატიონმა

წეფთის ციხის გალავნის გარეთ, ჩრდილო-დასავლეთ სექტორში, ათიოდე მეტრით დაბლა ოროთახიანი ნაგებობაა, რომელსაც შ. მამულაძე პირობითად ღვინის სახლად – „მარნად“ მიიჩნევს.[17] მ. ფაღავა კი თვლის, რომ ეს „მეციხოვნეთა საცხოვრებელი იყო, შეიძლება – საკუჭნაო ან სხვა მისთანა დანიშნულების საკნები“.[18] დ. ბერძენიშვილიც მას სამეურნეო დანიშნულების ნაგებობად თვლის – პროვიანტისა და სითხის საწყობად.[19]

ამ ერთსართულიანი დარბაზული ნაგებობის დანიშნულება საკამათოა. აშკარაა, რომ ის სამეურნეო ფუნქციას უნდა ასრულებდეს, მაგრამ მის მარნად მიჩნევა გამორიცხულია. ამის არავითარი კვალი არ შეიმჩნევა. სამშენებლო ტექნიკით მისი დათარიღება შესაძლებელია განვითარებული შუა საუკუნეებით. დარბაზი ორი სათავსისაგან შედგება და მისი საერთო სიგრძეა 18.9 მ (შიდა სივრცე 17.3), ხოლო სიგანის დადგენა ვერ ხერხდება, რამეთუ აღმოსავლეთ კედელი მთლიანად მიწის პირასაა ამოყვანილი. გადახურვა კამაროვანი კონსტრუქციული ელემენტით არის შესრულებული. საყდენ კედლებიდან ნახევარწრიული კამარა გადადის. პირველ დარბაზში (ვგულისხმობთ ჩრდილოეთ ოთახს, რომელიც შედარებით მცირეა) კამარის უმაღლესი წერტილი არსებული მიწის დონიდან 3.3 მეტრზეა, თუმცა იმ დროს, როდესაც ეს ნაგებობა თავის ფუნქციას ასრულებდა იატაკი გაცილებით დაბლა იქნებოდა, რამეთუ ჩამორეცხილმა მიწამ და ნაშალმა ქვამ პირველი ოთახის იატაკი მთლიანად დაფარა. დარბაზის შიდა სივრცის ზომებია: სიგანე 3.2 მ და სიგრძე 7.3 მ. ორ დარბაზს ერთმანეთთან პატარა გასასვლელი აკავშირებს. კარის ღიობის ზღუდარად გამოყენებულია მასიური ლოდი. კარის სიმაღლის დადგენა დღეისათვის ჭირს. ნაშალმა ღიობი თითქმის ამოავსო. გასასვლელის ზომებია: სიმაღლე მერყეობს 1.1-1.25 მეტრს შორის, ხოლო სიგანე 1.25 მეტრი. მეორე დარბაზი უფრო ვრცელია. მისი სიგრძე 9.2 მეტრია, ხოლო სიგანე 5.2 მეტრი.

ამ დარბაზული ნაგებობიდან პატარა ბილიკით გავდივართ ჩრდილოეთით კლდოვან ტერასაზე, სადაც ცალკე მდგომი კოშკი უნდა მდგარიყო, რომელიც იმერხევის ხეობას პირდაპირ გადაყურებს. ციხიდან იგი დაახ. 50-60 მეტრითაა დაშორებული. დღეისათვის მხოლოდ მცირე ნაშენი შეიმჩნევა. გეგმა არ იკითხება, მაგრამ ამ ტერასას იმდენად მნიშვნელოვანი სტრატეგიული ადგილმდებარეობა აქვს, რომ მისი დაცვა აუცილებელი იყო. ეს კოშკი ალ-

[17] შ. მამულაძე. შავშეთის მატერიალური კულტურის ძეგლები, გვ. 52.
[18] მ. ფაღავა. შავშური ჩანაწერები, გვ. 87.
[19] დ. ბერძენიშვილი. მეხუთე ექსპედიციის დღიური, გვ. 74.

ბათ დედა-ციხეს პირდაპირ გალავნით არ უკავშირდებოდა. დღეისათვის ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ იგი ცალკე მდგომი უნდა იყოს, თუმცა კოშკსა და ციხეს შორის არსებული დარბაზული ნაგებობა გვაფიქრებინებს, რომ ზოგადად მთელი ტერიტორია ჩრდილო-დასავლეთ კოშკიდან ციხემდე ერთიანი შეკრული სივრცე შეიძლება ყოფილიყო. ამ შემთხვევაში წეფთის ციხის ტოპოგრაფია იცვლება, მაგრამ საბოლოო დასკვნების გამოტანამდე კომპლექსური არქეოლოგიური კვლევა-ძიებაა საჭირო.

რა იყო წეფთის ციხის დანიშნულება? ის მართალია ბატონობს არემარეზე, მაგრამ ამას გარდა მას ჰქონდა კონკრეტული მისია – ჩაეკეტა ის მაგისტრალები, რომელიც ჭოროხის ხეობიდან გადმოდიოდა იმერხევისა და შავშეთისწყლის მიმართულებით. ეს გზა-ბილიკები დღესაც არსებობს და ადგილობრივების თქმით, ძველად მათი მეშვეობით უკავშირდებოდნენ ჭოროხის ხეობას, მაჭახელას და შავი ზღვის ნავსადგურებს. აქვე ვიტყვით, რომ შუა საუკუნეებში მდინარის პირას გზების გაყვანა ურთულეს საინჟინრო გადაწყვეტას მოითხოვდა და ადვილი არ იყო. ამ დროს, ძირითადად, გზები მიუყვებოდა მთის ფერდობებს და მხოლოდ ხეობიდან ხეობაში გადასვლის მიზნით ეშვებოდა მდინარესთან. ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ მდინარის პირას გზა არ გადიოდა. რა თქმა უნდა, სადაც ამის საშუალება იყო, ბუნებრივია, საგზაო ინფასტრუქტურა შედარებით სწორ რელიეფს მიუყვებოდა, მაგრამ შავშეთ-კლარჯეთ-ტაოს რეგიონში მდინარეები ხშირად კლდოვან კანიონებს შორის მიედინება, სადაც გზის მოწყობა შეუძლებელი იყო. ზოგადად, ჩვენ საკვლევ რეგიონებში გზების შესწავლა მეტად მნიშვნელოვანია ტაო-კლარჯეთის ციხე-სიმაგრეთა სისტემის კვლევისას. რაც შეეხება წეფთის ციხის სამხედრო-სტრატეგიულ დანიშნულებას, ფაქტობრივად, ეს არის ციხე-სიმაგრე, რომელიც არა მარტო ლოკალურ არეალზე ბატონობს, არამედ მისი მეშვეობით შეგიძლია აკონტროლო საკმაოდ დიდი სივრცე, ერთის მხრივ, არტაან-შავშეთის დამაკავშირებელი უღელტეხილიდან, კლარჯეთის საზღვრამდე და, ცალკე, იმერხევის ხეობის მიმართულებით აჭარასა და ჭოროხის ხეობაში გადასასვლელებამდე.

ცალკე უნდა ვისაუბროთ უშუალოდ წეფთის ციხის შემავალი ქვეყნის შესახებ. როგორც ითქვა, დასახლებული პუნქტი ციხის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილშია. რა თქმა უნდა, ეს უნდა ყოფილიყო ადგილობრივი ფეოდალის კუთვნილება და მისი მეურნეობის ნაწილი. თუმცა, უნდა ითქვას, რომ წეფთის მიკროქვეყანა მარტო ამ სოფლისგან არ იქნებოდა შემდგარი. წეფთის ციხე ბატონობს არა მარტო ამ მთის ფერდობებზე შეფენილ სოფლებზე, არამედ მდ. შავშეთის-წყლის გადაღმა მხარეზეც. ამდენად, რამდენიმე სოფელი ქმნიდა წეფთის მიკროქვეყანას, რომელიც ასრულებდა ერთგვარ კარიბჭის როლს შავშეთისათვის.



წეფთის ციხის სამხრეთით არსებული დასახლება



ხედი შავშეთისწყლის ხეობაზე წეფთის ციხიდან

წეფთის ციხის წარსულიდან

წეფთის ციხე, მართალია, X-XI საუკუნის მოვლენებისას იხსენიება, მაგრამ მისი აგება გაცილებით ადრე უნდა მომხდარიყო. ის იმდენად სტრატეგიულ სიმაღლეზეა აღმართული, რომ ამ ადგილას შეუძლებელია საფორტიფიკაციო ნაგებობა უძველეს დროიდან არ ყოფილიყო. არაბთა შემოსევის შემდეგ, ისევე როგორც კლარჯეთ-შავშეთის სხვა გამაგრებული ადგილები გავერანდა და დაიცალა. მათი აღდგენა IX საუკუნეში აშოტ I კურაპალატის მოღვაწეობას უნდა უკავშირდებოდეს და, შესაბამისად, წეფთის ციხეც ამ დროს უნდა აღორძინებულიყო.

წეფთის/წერეფთის ციხეს იხსენიებს „მატიანე ქართლისას“ ავტორი და სუმბატ დავითის ძე. პირველად მაშინ, როდესაც ამ ციხეს გურგენ ბაგრატის ძემ, დავით კურაპალატის ჯარისაგან დევნილმა, შეაფარა თავი და, მეორეჯერ, 1028 წლის მოვლენებისას.

„მატიანე ქართლისას“ მიხედვით აფხაზთა სამეფოსი საქმეების მოგვარების შემდეგ ბაგრატ III-ს გადაუწყვეტია რატი ბაღვაშის დამორჩილება. ბაგრატ III მცდელობა, რომ კლდეკარის ერისთავი შეპყრო, უშედეგოდ დასრულდა. ამან პროცესების კიდევ უფრო მეტი ესკალაცია გამოიწვია. ბაგრატ III-მ თავისი ჯარებით თრიალეთზე ილაშქრა და კარუშეთს დადგა. ამ დროისათვის უმოქმედოდ არც რატი იყო. „მატიანე ქართლისას“ და ასოლიკის ცნობებიდან ჩანს, რომ გარკვეული სამუშაო კლდეკარის ერისთავსაც ჩაუტარებია. პირველი, რაც რატი ბაღვაშმა გააკეთა იყო ის, რომ მან დავით კურაპალატთან მოციქული გაგზავნა და თან შეუთვალა, რომ ბაგრატი „არასადა წარვალს სხუაგან, არამედ განმზადებულ არს სიკუდილად შენდა“.[20] ბაღვაშის სურვილი აბსოლუტურად გასაგებია. მისი მიზანია ბაგრატ III-სთან კონფლიქტში ჩართოს იმიერ ტაოს მეფე დავით კურაპალატი. მართლაც ეს უკანასკნელი აქტიურად გამოეხმაურა რატი ბაღვაშის მოწოდებას და სამხედრო სამზადისს შეუდგა. ქართულ-სომხური წყაროების ანალიზიდან ჩანს, რომ იმიერ ტაოს მეფეს საკმაოდ დიდი კოალიცია შეუდგენია. „მატიანე ქართლისას“ ცნობით დავითის ბანაკში იყვნენ სომეხთა მეფეები და ამიერ ტაოს მეფე ბაგრატ II რეგვენი, ბაგრატ III-ის პაპა. ისტორიკოსის თქმით: „დავით კურაპალატი წარმოვიდა მსწრაფლ, მოუწოდა ლაშქარსა თჳსსა და უკჱმო ყოველთა მეფეთა სომხითისათა. და მაშინ ჯერეთ ცოცხალ იყო პაპაჲ ბაგრა-

[20] მატიანე ქართლისაჲ. ქართლის ცხოვრება. თბ. 2008, გვ. 270.

ტისი, ბაგრატ ქართველთა მეფე; იგიცა მოვიდა დავით კურაპალატისა წინაშე... მოვიდეს და დადგეს დლივს სპითა დიდითა“.[21] სომეხი მემატიანე ასოღიკი უფრო აკონკრეტებს სომეხ მეფეთა ვინაობას – ლაშქრობაში დავითის მხარეზე ყოფილან სუმბატ სომეხთა მეფე, ძმითურთ გაგიკით და კარის (ყარსის) მეფე აბასი.[22] როგორც ვხედავთ, დავითის გარშემო საკმაოდ დიდი კოალიცია შემდგარა. მართალია „მატიანე ქართლისას“ ავტორს სურს ეს დაპირისპირება წარმოაჩინოს, როგორც რაღაც გაუგებრობა, მაგრამ ფაქტი ერთია, ქვეყანა აშკარა სამოქალაქო დაპირისპირების პირას აღმოჩნდა. მიუხედავად ქართველი მემატიანის მცდელობისა, ის მაინც ვერ მალავს, რომ კონფლიქტი შეიარაღებულ დაპირისპირებამდეც მისულა. ბაგრატ III კარუშეთს იდგა. დავით კურაპალატი თავისი კოალიციით კი ჯავახეთში დლივს დაბანაკდა. ამასობაში ბაგრატ III-ს მამა გურგენი, შავშეთიდან ლაშქრით დაიძრა შვილის დასახმარებლად. „მატიანე ქართლისას“ მოგვითხრობს: „და შეკაზმულ იყო გურგენ, მამა ბაგრატისი, მისლვად შვილისა თჳსისა თანა. ხოლო დავით კურაპალატი წარმოვიდა მსწრაფლ, მოუწოდა ლაშქარსა თჳსსა და უჴმო ყოველთა მეფეთა სომხითისათა. და მაშინ ჯერეთ ცოცხალ იყო პაპაჲ ბაგრატისი, ბაგრატ ქართველთა მეფე; იგიცა მოვიდა დავით კურაპალატისა წინაშე, რამეთუ ეშინოდა ძისა თჳსისა გურგენისგან წაღებასა მეფობისასა. მოვიდეს და დადგეს დლივს სპითა დიდითა, რომელთა არა იყო რიცხჳ, და გაგზავნნა ლაშქარნი გურგენს ზედა. მიეგებნეს წინა გურგენს, და შეიბნეს გარდათხრილთა, თავსა შავშეთისასა; გააქციეს გურგენ, და შთაიხუეწა მეოტი და შევიდა ციხესა წეფთისასა“.[23] როგორც ვხედავთ, დავით კურაპალატს გურგენ მეფის წინააღმდეგ ლაშქარი გაუგზავნია. ბრძოლა მოხდა „გადათხრილთა... თავსა შავშეთისასა“.[24] ეს ტოპონიმი დღეისათვის უკვე დაკარგულია. სავარაუდოდ ეს ადგილი უნდა ყოფილიყო შავშეთიდან სამცხისკენ გადამავალ გზაზე. ამას ის გვაფიქრებინებს, რომ დამარცხების შემდეგ დევნილი გურგენი „შთაიხუეწა“ წეფეთის ციხეში. ეს უკანასკნელი პუნქტი კი იმერხევშია, კლარჯეთიასაკენ მიმავალ გზაზე. წეფთა და „გარდათხრილი“ ერთმანეთისგან დაშორებული გეოგრაფიული ადგილებია. სწორედ ამიტომაც, შეიძ-

[21] მატიანე ქართლისაჲ. ქართლის ცხოვრება. თბ. 2008, გვ. 270.
[22] Всеобщая история Степаноса Таронского – Асохика по прозванию, писателя XI столетия. Перевод с армянского и объяснения Н. Эминым. М. 1864, გვ. 181.
[23] მატიანე ქართლისაჲ. ქართლის ცხოვრება. თბ. 2008, გვ. 270.
[24] მატიანე ქართლისაჲ. ქართლის ცხოვრება. თბ. 2008, გვ. 270.

ლება ვივარაუდოთ, რომ ერთი თუ შავშეთის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში მდებარეობდა (წეფთა), მეორე მის მოპირდაპირე აღმოსავლეთ სექტორში „თავსა შავშეთისას“ უნდა ვეძიოთ. კლარჯეთიდან გზა წეფთის ციხის გალით შედიოდა შავშეთში და აქედან ის სხვადასხვა მიმართულებით იტოტებოდა. გზის ერთი განშტოება სამცხეში გადადიოდა, რომლითაც, სავარაუდოდ, უნდა ესარგებლა გურგენს, რომელიც ბაგრატ III დასახმარებლად მიემართებოდა.

„მატიანე ქართლისას“ ეს პასაჟი კარგად მიუთითებს წეფთის ციხის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე, მის შეუვალობაზე. დევნილი გურგენისთვის ამ მომენტში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ყველაზე უსაფრთხო ადგილას შეეფარებინა თავი და ასეთად, მან წეფთის ციხე აირჩია.

მეორეჯერ ამ ციხის შესახებ ცნობები გვხვდება ბაგრატ IV-ს გამეფებისას სამხრეთ საქართველოში დატრიალებული მოვლენების ჟამს, როდესაც წეფთის ციხის პატრონი – არჯევან ჰოლოლას ძე ბიზანტიელთა მხარეზე გადავიდა და ციხე მტერს ჩააბარა. 1028 წელს ბიზანტიელებმა ისარგებლეს ბაგრატ IV-ს გამეფებით და სამხრეთ საქართველოში ილაშქრეს. მტერმა თრიალეთ-ჯავახეთი მოარბია, მაგრამ დიდი წინააღმდეგობის გამო უკან გაბრუნდა. მცირე ხნის შემდეგ დაპირისპირების ეპიცენტრმა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გადაინაცვა – კლარჯეთსა და შავშეთში. „მატიანე ქართლისა“ მოგვითხრობს: „მოვიდა (ბიზანტიელთა სარდალი, ჯ. ს.) თრიალეთს, ციხესა ქუეშე კლდეკართასა; მას ჟამსა ჰქონდეს ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავსა, ძესა ლიპარიტისასა. შემოკრიბნა სხუანიცა აზნაურნი, დაუდგეს განძათა და შეებნეს ციხესა ქუეშე. რაჟამს იხილა პარკიმანოზმან, რომელ ვერას ავნებდა, შეიქცა გარე. მასვე ჟამსა წარვიდა ჩანჩახი ფალელი საბერძნეთს, მისცა ციხე გარყლობისა, მიერთო ბერძენთა, და არჯევან ჰოლოლას ძემან მისცა ბერძენთა ციხე წერეფთისა“.[25] ეს ორი დიდი აზნაური, ჩანჩახი ფალელი და არჯევან ჰოლოლას ძე შავშეთ-იმერხევის საკმაოდ გავლენიანი ხელისუფალნი იყო და მათი ბიზანტიელთა მხარეზე გადასვლა უდავოდ იმოქმედებდა ძალთა თანაფარდობაზე ამ რეგიონში. ამასთანავე საფიქრებელია, რომ წეფთისა და გარყლობის ციხის მფლობელთა გარდა, სხვა წვრილ-წვრილი აზნაურებიც ბევრი გადავიდოდა ბიზანტიელთა მხარეზე. ქართველ ფეოდალთა მიერ ციხეების ბერძნებზე გადაცემის ფაქტი თავისთავად საინტერესოა, მაგრამ უფრო მეტ ნათელს მოჰფენს საკვლევ საკითხს იმის გარკვევა, თუ რაში გა-

[25] მატიანე ქართლისაჲ. ქართლის ცხოვრება. თბ. 2008, გვ. 278-279.

მოიხატა გარყლობისა და წეფთის ციხის ბიზანტიელებისადმი „მიცემა“. გარდა იმისა, რომ თავად ჩანჩახი ფალელი და არჯევან ჰოლოლას ძე გადავიდნენ ბიზანტიელთა მხარეზე და კონსტანტინოპოლში წავიდნენ, მათ თავიანთ ციხეებში ბიზანტიელთა გარკვეული კონტინგენტი უნდა ჩაეყენებინათ. სამხედრო ნაწილს გარყლობის და წეფთის ციხეში თავად პარაკიმომენი დატოვებდა. შავშეთში ბიზანტიელთა წინააღმდეგ ომს სათაეში ჩაუდგა საბა მტბევარი. შავშეთ-კლარჯეთში მომავალ ლაშქარს ბიზანტიელებმა დემეტრე გურგენ კლარჯეთის ძე გამოაყოლეს. დემეტრე უფლისწული იმ კლარჯ ბაგრატიონთა შთამომავალი იყო, რომლებიც 1011-1012 წწ. საქართველოს მეფემ ბაგრატ III-მ ფანასკერტელის ციხეში დაატუსაღა და მოგვიანებით, თმოგვის ციხეში გამოამწყვდია. ეს უკანასკნელნი ბაგრატ III-ს მამიდაშვილები იყვნენ და ქართულ წყაროებში ისინი „კლარჯ ხელმწიფეებად“ იწოდებიან. აქვე უნდა ითქვას, რომ წეფთის ციხის პატრონის გადასვლას ბიზანტიელთა მხარეზე თავისი ახსნა აქვს. შავშეთი, როგორც ჩანს, „კლარჯი ხელმწიფეთა“ სამფლობელოს წარმოადგენდა და, შესაბამისად, არჯევან ჰოლოლას ძემ თავის ძველი პატრონის შთამომავალს დაუჭირა მხარი. 1028 წელს, როდესაც დემეტრე გურგენის ძე წამოუძღვა ბიზანტიელთა არმიას კლარჯეთში, მას ჰქონდა ყველანაირი უფლება, პრეტენზია განეცხადენიმა კლარჯეთზე და შავშეთზე. ლეგიტიმურად ეს რეგიონი „კლარჯ ხელმწიფეთ“ ეკუთვნოდათ, ბაგრატ IV-ს წინაპარს კი მხოლოდ „მიტაცებული“ ჰქონდა. რა თქმა უნდა ეს რეალობა ბრწყინვალედ იცოდნენ ბიზანტიელებმა და მათაც ხელიდან არ გაუშვეს ომის წამოწყების კიდევ ერთი შანსი.

დემეტრე უფლისწულის ჩამოსვლის შემდეგ ბრძოლა კიდევ უფრო გამძაფრდა. კლარჯეთში და შავშეთში ცენტრალური ხელისუფლების მომხრეთა რიცხვი დღითი-დღე მცირდებოდა, მაგრამ ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე VIII-ს გარდაცვალებისა და ახალ იმპერატორთან რომანოზ III-სთან ქართული მხარის მხრიდან მოლაპარაკების დაწყების შემდგ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში პოლიტიკური სიტუაცია დარეგულირდა, თუმცა კლარჯეთ-შავშეთის ზოგიერთ ციხეში, მათ შორის, სავარაუდოდ წეფთაშიც, XI საუკუნის 70-იან წლებამდე ბიზანტიელთა ჯარები იდგა. ამ რეგიონიდან ბიზანტიელთა წასვლა, მოგვიანებით, გიორგი II-ის მეფობის ჟამს უნდა მომხდარიყო.[26]

ამის შემდეგ წეფთის ციხეზე ცნობები აღარ გვხვდება, თუმცა მისი სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულებიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ ის

[26] რ. მეტრეველი, ჯ. სამუშია. გიორგი II. თბ. 2003, გვ. 84-85.

აქტიურად იქნებოდა ჩართული შავშეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. XVI საუკუნის დასაწყისიდან თურქ-ოსმალები აქტიურად ცდილობდნენ სამხრეთ საქართველოს ტერიტორიის დაპყრობას. XVI საუკუნის შუა პერიოდში ოსმალებმა შეძლეს კლარჯეთ-შავშეთში გაბატონება.

XVII საუკუნის I ნახევარში დასრულდა სამხრეთ ქართული მიწების ერთ ვილაიეთში გაერთიანების პროცესი (ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს, რომ ეს გაერთიანება შეიძლება განხორციელებულიყო 1578 ან 1580 წლებში). ევლია ჩელების ცნობით, 1646 წლისათვის ჩილდირის ვილაიეთში უკვე 13 სანჯაყი შედიოდა: ოლთისი, ხერთვისი, არტანუჯი, ჭაჭარაქი, არტაანი, ფოცხოვი, მაჭახელა, ახალციხე, ფერთექრექი, ლივანა, მცირე ლივანა, აჭარა და შავშეთი.[27]

ოსმალები თავიდან შავშეთში რელიგიურ ძალადობას ერიდებოდნენ, რათა ამით მოსახლეობის რისხვა აერიდებინათ თავიდან, მაგრამ მას შემდეგ, რაც სამხრეთ საქართველოში თურქ-ოსმალებმა მძლავრად მოიკიდეს ფეხი, მათ ქართველთა ძალით გამუსულმანება დაიწყეს. ისინი უკვე მოსახლეობის მასობრივ დასჯასაც არ ერიდებოდნენ. წეფთის ციხეში ოსმალთა გარნიზონი ამ პერიოდში უნდა ჩამდგარიყო.

XIX საუკუნეში წეფთის ციხე კიდევ ერთხელ მოექცა შავშეთის პოლიტიკური მოვლენების ეპიცენტრში. გიორგი ყაზბეგი მოგვითხრობს ერთ საინტერესო ფაქტს: „1844 წელს კონსტანტინეპოლში, რუსეთის მტრების მოქმედებით წარმოიშვა მოსაზრება, მოეწყოთ არეულობა ახალციხეში, რათა რუსეთის ჯარის ყურადღება ჩამოეშორებინათ დაღესტანზე, სადაც შამილს ჩაფიქრებული ჰქონდა ანტირუსული საყოველთაო აჯანყება. შამილს საიდუმლო კავშირი ჰქონდა თურქეთთან; ერთერთი თავისი აგენტი გაგზავნა თურქეთის საქართველოში, რათა შეემზადებინა მოსახლეობა ახალციხეში ლაშქრობის მოსაწყობად. ეს მქადაგებელი აღჭურვილი იყო სულთანის ფირმანებით. იგი პირველ რიგში ბეგებს ეახლა, რადგანაც მათს გარეშე ხალხის დარაზმვა შეუძლებელი იყო. ბეგებმაც გადაწყვიტეს ესარგებლათ ამ შემთხვევით და ახალციხეზე გალაშქრების საბაბით შეკრიბეს 10 ათასი კაცი. ამ მოძრაობას სათავეში ჩაუდგა აბდი-ბეგის უფროსი შვილი სელიმ-ბეგ ხიმშიაშვილი, იმ დროისათვის თურქეთის საქართველოს ყველაზე ძლიერი ბეგი. მაშინ სელიმი 15 წლისა იყო. მიუხედავად ამისა, იგი მთელი ლაშქრის სერასკირად დაინ-

[27] ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“. თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გიორგი ფუთურიძემ. ნაკვ. I. ქართული თარგმანი. თბ. 1971, გვ. 299-302.

იშნა. ახალგაზრდა კაცის დაძახილზე წამოვიდნენ აჭარა-ქობულეთის, ფოცხოვის და ლივანის მცხოვრებლები. ხალხმა არ იცოდა საქმის ვითარება: მათ განუცხადეს, რომ იწყებოდა მოძრაობა რუსეთის წინააღმდეგ. სინამდვილეში ბეგებს მიზნად სხვა რამ ჰქონდათ დასახული. ხალხის ამ ჯგუფების მეშვეობით ისინი ამზადებდნენ რევოლუციას, რასაც თანზიმათის გაუქმება უნდა მოჰყოლოდა... ბეგების ჩანაფიქრს არ ჰქონდა არც მტკიცე საფუძველი და არც ნათელი მიზანი. ამიტომ მალე თავად ბეგებს შორის წამოიჭრა უთანხმოება, რის შედეგადაც ყარსის ფაშამ შეძლო ზოგიერთ მათგანთან მოლაპარაკება. ისინი ჩაბარდნენ დასაწყნარებლად გამოგზავნილ რაზმებს. სელიმ-ბეგი დარწმუნდა, რომ დაწყებული საქმე წაგებული იყო და 300 აჭარელის თანხლებით წეფთის ციხეს შეაფარა თავი. თავგადასავლების ახალგაზრდა მაძიებელს აქაც არ დაედგომებოდა და თავისი რაზმით ბათუმისაკენ დაიძრა.“[28]

* * *

წეფთის ციხის დღევანდელი მდგომარეობა მძიმეა. დანგრევის პირას მყოფი ციხე-სიმაგრე სასწრაფოდ საჭიროებს შველას. ძეგლი, ფაქტობრივად, იშლება. ადგილობრივები ადასტურებენ, რომ რამდენიმე ათწლეულის წლის წინ ციხე-სიმაგრე გაცილებით უკეთ იყო შენახული. საკუთრივ სიმაგრის მიდამოებში და სოფელში რამდენიმე ადგილაზე ძველი ნასახლარის კვალია აღმოჩენილი.[29] ამ სიძველეების მიმართ ჯეროვანი ყურადღებაა საჭირო სახელმწიფოს მხრიდან. „ოქროს მაძიებლები“ ძალიან აქტიურობენ და მათმა „კვლევა-ძიებამ“ შეიძლება მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ფენა დააზიანოს.

[28] გ. ყაზბეგი. სამი თვე თურქეთის საქართველოში, გვ. 95-96.
[29] მ. ფაღავა, მ. ცინცაძე. შავშური დიალექტის მასალები. კრებ.: შავშეთი, გვ. 417-418.

Jaba Samushia

TSEPTA FORTRESS

Summary

Tsepta fortress is situated in Imerkhevi (located in Tao-Klarjeti, now in Turkey) near yayla (highland) of village Ustamis (contemporary Turkish name of the village is *Eskikale* that mean old fortress). Despite the study of separate episodes from history of Tsepta fortress the complex research (taking into consideration the resources available to the Georgian researchers) has never been made about this fortress until the recent times.

Tsepta fortification is constructed on rocky ridges and looks over Shavshetistskali and Imerkhevistskali gorges. Territory of the fortress is 450 m^2. It is quite damaged and the remnants of the construction are seen only on foundation level. The wall of the fortress is destroyed and it is hard to imagine the scale of the construction, but in the highest preserved point the height of the wall reaches 9 meters. Thickness of the wall varies from 1 meter to 2.1 meters. Western part of the wall, which looks over the road that leads us to the fortress, seems to be the most massive.

In the northeast section outside the Tsepta's wall, below 10 meters two-room building is constructed. It is obvious that it had an economic function. In the historical records Tsepta fortress is mentioned concerning the events of 10th-11th centuries, but its construction must be dated earlier. Presumably, fortress was constructed during the ancient period, but after the Arab invasions this fortification as well as the other fortresses of Shavshet-Klarjeti were ruined and became empty. The restoration of those fortresses was connected with the rule of Ashot I Kourapalates in the 9th century and Tsepta fortress was presumably reestablished during this period.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება.
შოთა მესხია – 100
თბილისი. 2016

იოსებ ალიმბარაშვილი

კიდევ ერთხელ მეტეხის ოთხთავისა და მისი ანდერძ-მინაწერების შესახებ

ჩვენი ქვეყნის სიძველეთა და სიწმინდეთა შორის ღირსეული ადგილი უკავია მეტეხის ოთხთავს. ძეგლის აღწერით ჯერ კიდევ XIX ს. 90-იან წლებში დაინტერესდნენ ისეთი ცნობილი მკვლევარები, როგორებიც მოსე ჯანაშვილი, პოლიევქტოს კარბელაშვილი, გიორგი საძაგლოვ-ივერიელი (შემდგომში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კირიონ II), თედო ჟორდანია და სხვები იყვნენ.

მოსე ჯანაშვილმა *„მეტეხის ოთხთავის“* აღწერას სამი წერილი მიუძღვნა გაზეთ *„ივერიაში“* 1892 წელს. ივი აღნიშნავდა, რომ *„სახარება მკვიდრ და ლამაზად გამოჭრილ ეტრატზედ ნაწერი ჩანს“*; სიგრძით ორი გოჯი,[1] სიგანით გოჯ-ნახევარი, სულ „240 ფურცელი აქვს“, დაწერილია *„ხუცურად, წვრილის ხელით, დასაწყისი ასოები და სარჩევი ასო-მთავრულით შესრულებული“*.[2]

მ. ჯანაშვილი ფართოდ მიმოიხილავს სახარების შინაარსს მახარებელთა რიგის მიხედვით, მასზე დართულ საძიებელს, აღნიშნავს, რომ *„ამ საძიებელს დასასრულ სტრიქონებს მიჰყვება ავტორსავე ხელით და იმავე მელნით წარწერა“*. მოაქვს სახარების გადამწერ ბესარიონისა და მისი ძმის გიორგის მინაწერი, თანდარული ქორონიკონით („ქკ~ს სჲთ, თუესა ივნისსა იზ, დღესა შაბათსა, დასაბამითგანთა წელთა...“). თუმცა, იგი სქოლიოში წარწერის თარიღს მეცამეტე მოქცევაში სვამს და წარწერას 1049 წლით ათარიღებს (780+269=1049).[3]

[1] გოჯი – მანძილი ცერის ბოლო სახსრიდან ფრჩხილის წვერამდე. ძველებური სიგრძის საზომი საქართველოში – 9 ხორბლის მარცვლის ტოლი (დაახლოებით 3,16 სმ).

[2] მ. ჯანაშვილი. სოფ. მეტეხის ოთხთავი (1049 წლისა). გაზ.: „ივერია“. 14.04.1892. №76, გვ. 2-3.

[3] მ. ჯანაშვილი. სოფ. მეტეხის ოთხთავი (1049 წლისა). გაზ.: „ივერია“. 14.04.1892. №76, გვ. 3.

ზემოხსენებული წარწერის თარიღიდან გამომდინარე, მ. ჯანაშვილი სახარების დაწერის სავარაუდო თარიღსაც გვთავაზობს: *„თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ სახარების მწერალი ბესარიონი ორიოდ წელიწადს მაინც მოანდომებდა თავის სიფაქიზით შესრულებულ შრომას, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ მას გადაწერა დაუწყია არა უგვიანეს 1047 წელსაო“*, გვაუწყებს იგი.[4] მ. ჯანაშვილის მიხედვით, „მწერალ ბესარიონის“ წარწერას სახარებაზე „ხუცურივე, მაგრამ სხვა მელნით“ მოსდევს დიმიტრის „ცოდვილი სულის“ ღვთისადმი შესავედრებელი უთარიღო ანდერძ-მინაწერი, შემდეგ ნიკოლოზ კათალიკოს-პატრიარქის ასევე უთარიღო მხედრული წარწერა, ხოლო ბოლოს „ხუცურად და არა მსგავსად სახარებათა წერილისა“, მწერალ დიმიტრის მინაწერი ანა შერმაზანის ასულ ბარათაშვილისა და მისი შვილების: ქაიხოსროსა და დარეჯანის მოსახსენიებლებით.[5]

როგორც მკვლევარი აღნიშნავს, *„ამ წიგნს (სახარებას) ხის, ტყავ-გადაკრული ყდა აქვს და ვერცხლის ლუსკუმაში ინახება, ლუსკუმიანად შეხვეულია ხავერდის ძოლებ-ფოჩებიან მანდილში. მანდილის შუაგულს ოქრომკერდით მოქარგულია ჯვარი“*. მ. ჯანაშვილი ლუსკუმის აღწერას ვრცელ ადგილს უთმობს, მასზე მოთავსებულ „ბატონიშვილ აშოთანის“ თარიღიან წარწერას („ტჲ“=360) აქაც მეცამეტე მოქცევაში სვამს და, შესაბამისად, 1140 წლით ათარიღებს (780+360=1140 წ.).[6] დამატებით არგუმენტებად იგი ენობრივ პარალელებს ავლებს მეტეხის სახარების „თანამედროვე“ გიორგი მთაწმინდელის მიერ თარგმნილ და ორიგინალურ ნაშრომებთან. მ. ჯანაშვილი ასევე არ გამორიცხავდა წარწერაში მოხსენიებული აშოთან ბატონიშვილის *„ვეფხისტყაოსნის“* ავტორთან (შოთა ორთავაჩოს ძის ძე) იგივეობას.[7]

მოსე ჯანაშვილს მალევე გამოეხმაურა ცნობილი მკვლევარი, სასულიერო და საზოგადო მოღვაწე პოლიევქტოს კარბელაშვილი და ჯანაშვილის მიერ მეტეხის ოთხთავის ანდერძ-მინაწერების ავტორთა იდენტიფიკაციას შეეცადა. პ. კარბელაშვილი სავსებით სწორად უთითებს, რომ კახთა მეფის ლეონის ძე ნიკოლოზ კათალიკოსი, სხვა არავინ შეიძლება იყოს, თუ არა ქართული ეკლესიის მღვდელმთავარი 1585-1591 წლებში, კახთა მეფე ალექსან-

[4] მ. ჯანაშვილი. სოფ. მეტეხის ოთხთავი (1049 წლისა). გაზ.: „ივერია“. 14.04.1892. №76, გვ. 3.
[5] მ. ჯანაშვილი. სოფ. მეტეხის ოთხთავი (1049 წლისა). გაზ.: „ივერია“. 14.04.1892. №76, გვ. 3.
[6] მ. ჯანაშვილი. სოფ. მეტეხის ოთხთავი (1049 წლისა). გაზ.: „ივერია“. 17.04.1892. №79, გვ. 3.
[7] მ. ჯანაშვილი. სოფ. მეტეხის ოთხთავი (1049 წლისა). გაზ.: „ივერია“. 18.04.1892. №80, გვ. 3.

დრე II-ისა და დედოფალ ნესტან-დარეჯანის (სვიმონ I-ის თანამეცხედრის) ღვიძლი დედმამიშვილი.[8]

პ. კარბელაშვილი ასევე ასწორებს „აშოთან ბატონიშვილის" თარიღიან წარწერაში მოქცევის თარიღს და მიანიშნებს იმ ფაქტზეც, რომ ტერმინები „ბატონი" და „ბატონიშვილი" XI საუკუნეში არ იხმარებოდა. პ. კარბელაშვილის აზრით, ნიკოლოზ კათალიკოსი (ბარათაშვილი), საჩინო ბარათაშვილის ძმაა, ხოლო ანა ბარათაშვილის ასული დარეჯანი მუხრანბატონის თანამეცხედრეა. რაც შეეხება ანას ვაჟს – ქაიხოსროს, იგი უნდა იყოს დომენტი კათალიკოსის[9] მამა და მუხრანბატონი თეიმურაზის[10] შემდეგ.[11]

როგორც ვხედავთ, პოლ. კარბელაშვილი, ძირითადად, სწორად ახდენს *„მეტეხის ოთხთავის"* ანდერძ-მინაწერებში მოხსენიებულ პირთა იდენტიფიკაციას XVI-XVII საუკუნეებში. ამ ფონზე, კითხვას ბადებს მისი კომენტარი სახარების გადამწერ ბესარიონთან დაკავშირებით, რომლის შესახებ, მოსე ჯანაშვილის ზემოხსენებული წერილის პასუხად აღნიშნავს: *„აღმწერი წიგნთა სახელით ბესარიონი, ჩვენ ვიცით მხოლოდ ერთი: 744 წელს იყო აღმწერი მეფე არჩილის წამებისა ლეონტი მროველთან ერთად: იგი იყო მთავარეპისკოპოსად მცხეთისა 695-745 წლებში"*.[12]

„მეტეხის ოთხთავს" სპეციალური სტატია მიუძღვნა ცნობილმა სასულიერო და საზოგადო მოღვაწემ, მკვლევარმა გიორგი საძაგლიშვილმა (კირიონ II). იგი გამოთქვამდა ვარაუდს, რომ მეტეხის ოთხთავის ტექსტი წინ უსწრებდა ქართული სახარების გიორგი მთაწმინდელისეული რედაქციის შექმნას.[13]

„მეტეხის ოთხთავის" მინაწერები XI საუკუნეს დაუკავშირეს თედო ჟორდანიამ და კორნელი კეკელიძემაც. კ. კეკელიძეს მიაჩნდა, რომ მეტეხის 1049 წლის სახარება ექვთიმე მთაწმინდელისეული სახარების რედაქციას წარმოადგენდა,[14] აღნიშნულში ეჭვი არ შეუტანია თედო ჟორდანიასაც.[15]

---

[8] პ. კარბელაშვილი. სოფელ მეტეხის ოთხთავის აღწერის შესავსებლად. გაზ.: „ივერია". 24.05.1892, №106, გვ. 3.

[9] იგულისხმება კათალიკოსი დომენტი III (1660-1675 წწ.), ქაიხოსრო მუხრანბატონის ძე და ქართლის მეფე ვახტანგ V-ის ბიძაშვილი.

[10] იგულისხმება ვახტანგ V შაჰნავაზის (ქართლის მეფე 1658-1675 წლებში) მამა.

[11] პ. კარბელაშვილი. სოფელ მეტეხის ოთხთავის აღწერის შესავსებლად, გვ. 3.

[12] პ. კარბელაშვილი. სოფელ მეტეხის ოთხთავის აღწერის შესავსებლად, გვ. 3.

[13] გ. საძაგლოვ-ივერიელი. ძვირფასი ეტრატზედ ხელთნაწერი მეტეხის ოთხთავი 1049-სა წელსა (არხეოლოგიური შენიშვნა). მწყემსი. №18. 1891, გვ. 10.

[14] კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. I. თბ. 1960, გვ. 195.

თუმცა, არც ერთი ზემოხსენებული მკვლევარი არ განმარტავს, სად ნახეს მათ მეტეხის ოთხთავი, უშუალოდ მეტეხის ეკლესიაში, თუ სხვაგან.

1923 წლიდან *„მეტეხის ოთხთავის“* ბედი უცნობი იყო, ვიდრე ბატონმა თემურ ჯოჯუამ არ გამოთქვა ვარაუდი, XIX ს. 90-იან წლებში ზემოხსენებულ ქართველ მკვლევართა მიერ აღწერილი ძეგლის, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ H-2903 ხელნაწერთან ავთენტურობის შესახებ. იგი ასევე მართებულად მიანიშნებს, რომ *„მეტეხის ოთხთავში“* მითითებული ქრონიკონი „269“ უნდა აითვალოს არა XIII მოქცევის 780, არამედ XIV მოქცევის 1312 წლიდან და ოთხთავის გადაწერის ვადაც 1581 (1312+269) წლით უნდა განისაზღვროს.[16]

როდის და როგორ გაჩნდა *„მეტეხის ოთხთავი“* ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში? კოლექციების კატალოგების მიხედვით, იგი ქართლიდან 1923 წელს ჩამოუტანია და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებისათვის გადაუცია აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას, ხოლო 1929 წელს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ხელნაწერთა მთელი ფონდი და მათ შორის, *„მეტეხის ოთხთავიც“*, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს გადაეცა.

ცნობილია, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ეკლესიაზე მასიური შეტევა დაიწყო. უქმდებოდა ეპარქიები, იხურებოდა ტაძრები, რომელთაც სხვადასხვა დანიშნულების ობიექტებად (საწყობებად, თავლებად და სხვ.) იყენებდნენ. სასულიერო ფენის მიმართ დაიწყო ტერორი, რის შედეგად, მათი ნაწილი ფიზიკურად განადგურდა, ვინც გადარჩა, საარსებო საშუალების გარეშე დარჩა და იძულებული გახდა ღვთისმსახურება მიეტოვებინა. მხოლოდ მცირე ნაწილმა იტვირთა ეკლიანი გვირგვინი. ქვეყანაში არსებული საეკლესიო ქონება საერთო სახალხო საკუთრებად გამოცხადდა და მისი დატაცება დაიწყო.[17]

ხელისუფლება მალევე მიხვდა „რეფორმის“ საგანგაშო სიმპტომებს. მთავრობის საგანგებო განკარგულებით, ის საეკლესიო განძეულობა, რომელსაც ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა, სახალხო განათლების სამუზეუმო

[15] ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა. შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თედო ჟორდანიას მიერ. ტ. I. ტფ. 1892, გვ. 203.

[16] თ. ჯოჯუა. მეტეხის ოთხთავი. მრავალთავი. ტ. XXI. თბ. 2005, გვ. 197.

[17] საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20-იანი წლები). დოკუმენტები გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო გიორგი სოსიაშვილმა. თბ. 2013, გვ. 3-8.

დაწესებულებებში უნდა დარჩენილიყო.[18] ამ მიზნით, 1923 წელს შეიქმნა საქართველოს სსრ სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის კომიტეტი, რომლის რწმუნებულად უკვე აღიარებული მეცნიერი სიმონ ჯანაშია დაინიშნა. ხსენებულ უწყებას, გორის მაზრის აღმასრულებელმა კომიტეტმა 1923 წლის 17 მაისს გაუგზავნა ეკლესიათა ჩამონათვალი და იქ არსებულ ქონებათა ნუსხა თხოვნით, ეცნობებინათ იმ ქონების შემდგომი ბედის შესახებ. 11 ივნისს გორის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტს სიმონ ჯანაშიასაგან მოსდის ვრცელი პასუხი, სადაც ნათქვამია:

„თანახმად ზემოხსენებული კომიტეტის თქვენდამი ა/წ მაისის 17-ის მოთხოვნისა, მაქვს პატივი მოგახსენოთ უწყებისა და შესრულებისათვის შემდეგი:

1) თქვენდამი რწმუნებული მაზრის ქვემოდხსენებული ეკლესიები (ჩამოთვლილია ეკლესიები დასახლებული პუნქტების მიხედვით) ...ახალქალაქის თემში ...მეტეხისა, ერთაწმინდისა და რკონისა ...წარმოადგენენ მაღალი ისტორიული მნიშვნელობის მქონე ძეგლებს ძველი ქართული ხელოვნებისა და მათი რაიმე გარეშე მიზნის გამოყენება ყოვლად დაუშვებელია...

5) რუისის, ურბნისის, ნიქოზის, არბოს, ერგნეთის, მეტეხის ...ეკლესიებში დაცულია უძვირფასესი საისტორიო და სამეცნიერო მნიშვნელობის ნივთეულობა, რომელიც ადგილობრივ უნდა იქნეს დატოვებული საგანგებო კომიტეტის სპეციალურ განკარგულებამდის".[19]

ამავე მოწერილობის მე-8 მუხლიდან ჩანს, რომ საგანგებო კომიტეტის დავალებით და მისთვისვე გადასაცემად, სიმონ ჯანაშიას სათანადო ხელწერილით ჩაუბარებია ზემოაღნიშნულ ეკლესიებში არსებული სხვადასხვა სიწმინდეები. მეტეხის ეკლესიიდან ჩამონათვალში მითითებულია: *„ერთი ქართული ხელნაწერი და პატარა გატეხილი ხის ჯვარი, ვერცხლით მოჭედილი".*[20]

როგორც თემურ ჯოჯუა აღნიშნავს, *„მეტეხის ოთხთავის"* ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ H-2903 ხელნაწერთან შედარება მხოლოდ ქართულ პრესაში 1891-1892 წლებში დაბეჭდილ მასალებთან იყო შესაძლებელი. თუმცა, ზემოხსენებული ქართველი მკვლევრები არ იყვნენ პირველნი, რომელთაც *„მეტეხის ოთხთავი"* ჰქონდათ შესწავლილი და მისი აღწერილო-

[18] საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში, გვ. 11.

[19] გორის სახელმწიფო არქივი. ფონდი №3. საქმე 23, გვ. 44-45.

[20] გორის სახელმწიფო არქივი. ფონდი №3. საქმე 23, გვ. 44.

ბა მათთან შედარებით, ჯერ კიდევ 45 წლით ადრე (1848 წელს) მოგვცა დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილმა.

დ. მელვინეთხუცესიშვილის მიერ მეტეხის ტაძრის, მისი წარწერებისა და ოთხთავის აღწერილობა, ავტორის სხვა ნაშრომებთან ერთად, ინახება პეტერბურგში, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში, მარი ბროსეს ფონდში და მოიცავს სამ გვერდს (69-72, იხ: დანართი 1,2,3). ნაწერია მოყავისფრო ჭვირნიშნიან ფურცელზე, ლამაზი, გაკრული ხელით, ადვილად იკითხება, საწერად გამოყენებულია ფურცლის ორივე გვერდი, რასაც სათანადო ადგილას „V"-თი მივანიშნებთ.

მეტეხის ტაძარი და მისი სიწმინდეები მელვინეთხუცესიშვილს დაუთვალიერებია 1848 წლის 22 ოქტომბერს, როგორც თვითონ აღნიშნავს ტაძრის შესახებ: *„არს დიდი ეკკლესია საარხიმანდრიტო კეთილნაშენი, გუმბათიანი, თლილის ქვისა ოთხ სვეტზედ დადგმული ყ˘დ წ˘ს სახელსა ზედა"*. იგი ვრცელ მიმოხილვას უძღვნის ტოპონიმ „მეტეხის" წარმომავლობას, ვახუშტი ბატონიშვილის თვალსაზრისს თავდაპირველი ტაძრის ვახტანგ გორგასლის მიერ აშენების შესახებ, განიხილავს ტაძრის წარწერებს და სხვ.[21] მიუხედავად წარწერების ამოკითხვისას დაშვებული გარკვეული ხარვეზებისა,[22] ეს აღწერილობა მაინც საყურადღებო და მნიშვნელოვანია, რადგან გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ტაძრის, მისი წარწერებისა და იქ არსებული სიწმინდეების იმდროინდელი მდგომარეობის შესახებ.

ამ შემთხვევაში, ჩვენი ინტერესის საგანი *„მეტეხის ოთხთავია"*; ამასთან, მხოლოდ მის გარეგნულ მხარეს, ანუ, ანდერძ-მინაწერებს შევეხებით. ოთხთავი, დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილის აღწერით წარმოადგენდა პატარა სახარებას, „სიგრძით ორი ვერშოკი და სიგანით მცირე, ეტრატზე წმინდა ნაწერი მშვენიერის ხელოვნებით, რომელშიც ბოლოს პირველს ფურცელზე ფ˘დ წვრილის და ძნელად ამოსაკითხველ მიმქრალებულის ასოებით ამისსა მწერალსა ბესარიონს და დედა მამასა შვილს[23] შეუნდნეს ღმერთმან აწ ვინცა ბძანოთ თქუმნცა შეგინდნეს ღმერთმან ამინ ამინ: აღიწერა წიგნი ესე ქო-

[21] Институт восточных рукописей Российской академии наук (შემდგომ – ИВР РАН). ფონდი H-78, საქმე: "Voyages de M. Dimitri de Gori 1848-1850", გვ. 69-72.

[22] გ. ოთხმეზური. „მეტეხის წარწერები". კლიო. №18. თბ. 2003, გვ. 3-12; ი. ალიმბარაშვილი. დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილი (ცხოვრება და მოღვაწეობა). თბ. 2016, გვ. 52-53.

[23] „შვილის" ნაცვლად მოსე ჯანაშვილი კითხულობს „ძმასა მისსა გიორგის" (იხ: მ. ჯანაშვილი. სოფ. მეტეხის ოთხთავი (1049 წლისა). გაზ.: „ივერია", 14.04.1892. №76, გვ. 3).

რონიკონსა ѕ҃ѳ თვესა ივნისსა ѯѣ[24] (=1581 წლის 17 ივნისი – ი.ა.) დღესა შაბათსა".[25]

ნიკოლოზ კათალიკოსის მხედრულ წარწერას დ. მელვინეთხუცესიშვილი შემდეგნაირად კითხულობს: *„ქ. ჩვენ ქრისტეს ღთის მიერ კურთხეულმან ძემან მეფისამან ლევანისმან ქართლისა კათოლიკოზმან პატრიარხმან ნიკოლოზ შემოგწირე ოთხთავი ესე შენ დიდებულსა და საშინელსა მეტეხთა ღთის მშობელსა სულისა ჩვენისა სახსრად და ცოდვათა ჩვენთა შესანდობლად და ვინცა ესე ჩვენგან შემოწირული ოთხთავი გამოგწიროს ჩვენსამცა ცოდვასა და კანონსა ქვეშე არის დღესა მას დიდსა განკითხვისასა და წყეული და შეჩვენებული იყოს ჩვენ ჯვარისა[26] და ორფორისავან სჯულის ქრისტიანობისავანამცა შეიცვლების[27] ამინ"*.[28]

რაც შეეხება, ანა შერმაზანის ასულ ბარათაშვილისა და მისი შვილების მოსახსენებელ წარწერას, იგი მელვინეთხუცესიშვილს შემდეგნაირად გადმოუწერია: *„დიდება ღმერთსა სრულმყოფელისა ყოვლისა კურთხეულისასა,*[29] *გავაკეთე წმინდა და სულითა განმანათლებელი ოთხთავი ესე მე მწირველ-*

[24] გ. საძაგელოვ-ივერიელი. ძვირფასი ეტრატზედ ხელთნაწერი მეტეხის ოთხთავი 1049-სა, გვ. 10.

[25] მოსე ჯანაშვილი მითითებულ ადგილას არ ასრულებს წარწერას და აგრძელებს: „დასაბამითგანთა წელსა (მ. ჯანაშვილი. სოფ. მეტეხის ოთხთავი (1049 წლისა). გაზ.: „ივერია". 14.04.1892. №76, გვ. 3).

[26] მ. ჯანაშვილი კითხულობს: „ჯარისა" (მ. ჯანაშვილი. სოფ. მეტეხის ოთხთავი (1049 წლისა). გაზ. „ივერია". 14.04.1892. №76, გვ. 3).

[27] მ. ჯანაშვილი კითხულობს: „შეიძულების" (მ. ჯანაშვილი. სოფ. მეტეხის ოთხთავი (1049 წლისა). გაზ.: „ივერია". 14.04.1892. №76, გვ. 3).

[28] ИВР РАН, Н-78, გვ. 71-V. მიუხედავად იმისა, რომ წარწერა დათარიღებული არ არის, მიახლოებით მაინც შეიძლება მისი დადგენა. XVI ს. II ნახევარში ნიკოლოზის სახელით ცნობილია ორი კათალიკოსი: ნიკოლოზ VI (1561-1584 წწ.) და ნიკოლოზ VII (1584-1589 წწ.) (საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი. ენრიკო გაბიძაშვილისა და ექვთიმე კოჭლამაზაშვილის რედ. თბ. 2007, გვ. 683-684). ამ ორი ნიკოლოზიდან პირველი ბარათაშვილია და მისი მეფის ძეობა უნდა გამოვრიცხოთ. რაც შეეხება ნიკოლოზ VII-ს, იგი მართლაც ბაგრატიონია და მისი მშობლები კახთა მეფე ლევანი (1520-1574 წწ.) და თინათინ გურიელი იყვნენ (ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები. შეკრებილი თ. ჟორდანიას მიერ. ფოთი 1903, გვ. 191, დოკ. 246). ამდენად, კათალიკოს ნიკოლოზ ლეონის ძეს სახარებაზე წარწერა 1584-1589 წლებში უნდა გაეკეთებინა. აღსანიშნავია, რომ ოთხთავის გარდა, ნიკოლოზ კათალიკოსი მეტეხის ტაძრის სხვა სიწმინდეებშიც არის მოხსენიებული (ი. ალიმბარაშვილი. დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილი (ცხოვრება და მოღვაწეობა), გვ. 52-54). ამასთან, გამოვთქვამთ საკმაოდ ფრთხილ ვარაუდს იმასთან დაკავშირებით, რომ ქართულ დოკუმენტურ და საისტორიო წყაროებში „კათალიკოს-პატრიარქის" ტიტულით, ერთ-ერთი პირველი სწორედ ნიკოლოზ VII მოხსენიებული.

[29] მ. ჯანაშვილი კითხულობს: „ქეთილისასა" (მ. ჯანაშვილი. სოფ. მეტეხის ოთხთავი (1049 წლისა). გაზ.: „ივერია". 14.04.1892. №76, გვ. 3)

მან[30] *მღუდელმან დიმიტრი უფალო იესო ქრისტე და წმინდაო მეტეხთა ღ˜თის მშობელო დაიცევ და დაიფარე გულმოდგინედ მჴედრებელი შენი და ძისა შენისა ბარათაშვილის შერმაზანის ასული ბატონი ანა და მეოხ ექმენ დღესა მას დიდსა განკითხვისასა და განუმზადე სულითა მისთა საყოფელად სოფელი*[31] *დაიცევენ ორთავე შინა ცხოვრებათა წმინდაო ღთის მშობელო ძენი და ასულნი მისნი ქაიხოსრო და დარეჯან და ნუ განაშორებ საფარველსა შენსა მათგან ამინ“.*[32]

ზემოხსენებულ წარწერას მოსდევს დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილის კომენტარი: *„ვგონებ სახარებისა ამის შემკვრელი და ყდებზედ ტყავ გარდამკვრელი იყო მღუდელი ვინმე დიმიტრი, ვითარცა სწერს იგი ზემორე, სახარება არის ჩასმული ვერცხლის ბუდეში, რომელზედაც სწერია: „ღმერთო დაიცევ ორსავე შინა ცხოვრებასა ბატონისშვილი აშოთან*[33] *მეტეხთა ღთის მშობელო მეოხ ექმენ დღესა მას დიდსა განკითხვისასა აშოთანს ამინ ქრონიკონსა ტჲ* (=1672 წ. – ი.ა.)“.[34]

რა მნიშვნელობა აქვს დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილის მიერ *„მეტეხის ოთხთავის“* აღწერილობას? ჯერ ერთი, დ. მელვინეთხუცესიშვილი მკვლევართაგან პირველი იყო, რომელმაც აღწერა, მარი ბროსეს პეტერბურგში გაუგზავნა და სამეცნიერო ბრუნვაში შემოიტანა *„მეტეხის ოთხთავის“* ანდერძ-მინაწერები, რაც ქართული ისტორიოგრაფიისათვის მანამდე უცნობი იყო; მეორე – მისი დღიურებიდან ვიგებთ, რომ 1848 წელსაც სახარება მეტეხის ღვთისმშობილის ტაძარში (კასპის რაიონში) ინახებოდა; და მესამეც, მიუხედავად იმისა, რომ მელვინეთხუცესიშვილი მეტეხის ოთხთავის ანდერძ-მინაწერებს ანალიზისა და კომენტარების გარეშე გვთავაზობს, მისი აღწერილობა, კიდევ ერთ მყარ არგუმენტს იძლევა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში H-2903 ხელნაწერის ავთენტურობის შესახებ.

---

30 მ. ჯანაშვილი კითხულობს: „მწერალმან“ (მ. ჯანაშვილი. სოფ. მეტეხის ოთხთავი (1049 წლისა). გაზ.: „ივერია“. 14.04.1892. №76, გვ. 3).


31 მ. ჯანაშვილი კითხულობს: „სასუფეველი“ (მ. ჯანაშვილი. სოფ. მეტეხის ოთხთავი (1049 წლისა). გაზ. „ივერია“. 14.04.1892 წ. №76, გვ. 3).

32 ИВР РАН, H-78, გვ. 72.

33 აშოთან ბატონიშვილი, როგორც მეფის ძე, ძმასთან – თეიმურაზთან და ნიკოლოზ ქართლის კათალიკოსთან ერთად, მოხსენიებულია გიორგი XI-ის (ქართლის მეფე 1675-88; 1703-1709 წწ.) მიერ საბერძნეთის პატრიარქ დოსითეოზისათვის მონასტერთა გამოსყიდვის სიგელში (იხ: Акты, собранные Кавказской археографической комиссией. т. I. Тифл. 1866, გვ. 26-27).

34 ИВР РАН, H-78, გვ. 72-V.

დანართი 1.



დანართი 2

დანართი 3

Ioseb Alimbarashvili

ONCE AGAIN ABOUT METEKHI GOSPEL AND ITS TESTAMENTS AND COLOPHONS

Summary

Article deals with very important Georgian religious monument, Metekhi Gospel. There is an attempt to identify persons mentioned there.

Famous researchers like Mose Janashvili, Polievktos Karbelashvili, Giorgi Sadzagelov-Iverieli (future Catholicos-Patriarch Kirion II), Tedo Zhordania and others were interested in above mentioned issue in the 90s of 19th century.

However, most of them mistakenly dated testaments and colophons by the 16th century instead of the 11th century.

The track of Metekhi Gospel was lost from 1923, when, after establishing Soviet authority in Georgia, Orthodox Church faced massive oppression and robbery of religious sanctuaries.

In 2005 researcher Temur Jojua expressed opinion that the monument described by the above mentioned researchers in 90s of 19th century is manuscript H-2903 preserved in the National Centre of Manuscripts.

However, first who studied Metekhi Gospel and described it in October 22, 1849 was Georgian researcher Dimitri Meghvinetkhutsesishvili. This description together with author's other works are preserved in St. Petersburg, at the Institute of Oriental Studies, department of the manuscripts, Marie Brosset fund. This description, according to the author, proves authenticity of manuscript H-2903.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება.
შოთა მესხია – 100
თბილისი. 2016

მამუკა წურწუმია

შუა საუკუნეების არმიების ლოგისტიკა

ცნობილი სამხედრო თეორეტიკოსის, ჟომინის, განსაზღვრებაზე დაყრდნობით ლოგისტიკა შეიძლება განვიხილოთ, როგორც არმიების მოძრაობისა და მომარაგების ხელოვნება.[1] ნებისმიერ ეპოქაში ძნელია გადაჭარბებულად შეაფასო არმიის მომარაგების მნიშვნელობა. როგორც მართებულად წერს ჯ. როთი, ყოველ გადაწყვეტილებაზე, ძირითადი სტრატეგიული გეგმიდან დაწყებული და უმნიშვნელო ტაქტიკური გადაადგილებით დამთავრებული, მოქმედებს და ხშირად განაპირობებს კიდეც, მომარაგების პრობლემები.[2]

ანტიკური თუ ახალი ხანის ლოგისტიკასთან შედარებით ფეოდალური არმიების მომარაგება ნაკლებად ცენტრალიზებული იყო და გარკვეული თავისებურებით ხასიათდებოდა, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ შეკრებილი ლაშქარი ვალდებული იყო გარკვეული დროის განმავლობაში თავისი თავი თავად უზრუნველეყო[3] და თავისი ბატონის (სენიორის, მეფის) ქისას ნაკლებ ხარჯად აწვებოდა[4] (ფეოდალს იშვიათად თუ შეეძლო თავისი ვასალების ნაღდი

---

[1] H. Gaffney. Superiority of Numbers: Methodologies for Modelling the Behaviour of Armies. General Issues in the Study of Medieval Logistics: Sources, Problems and Methodologies. Ed. by J. F. Haldon. Leiden. 2006, გვ. 252.

[2] J. P. Roth. The Logistics of the Roman Army at War (264 B.C. – A.D. 235). Leiden. 1999, გვ. 2-3. როგორც ქართულ, ისე უცხოურ ისტორიოგრაფიაში ლოგისტიკას ნაკლები ყურადღება ეთმობოდა. ამ ტიპის მიდგომის ნიმუშია ასეთი უცნაური განცხადება: „შუა საუკუნეებისათვის ლოგისტიკას არ ჰქონდა ისეთი დიდი მნიშვნელობა, როგორც ახალ დროში“ და შემდეგ, დაით აღმაშენებლის ბრძოლების განხილვისას, „ისე ქართველებს ლოგისტიკის პრობლემა არ შეექმნებოდათ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ისინი თავიანთ ტერიტორიაზე იბრძოდნენ“ (კ. კაციტაძე. სტრატეგიის საფუძვლები. თბ. 2007, გვ. 350), თითქოსდა, საკუთარ ქვეყანაში ჯარის მომარაგებას სწორი და საფუძვლიანი ორგანიზება არ სჭირდებოდეს. საკუთარ ტერიტორიაზე მოქმედი არმიის წინაშე მდგომი ლოგისტიკური პრობლემები ნაჩვენებია ქვემოთ, ბაგრატ IV-ის ლაშქრის მაგალითზე.

[3] ევროპაში ეს დრო, ჩვეულებრივ, 40 დღეს შეადგენდა.

[4] საწყის ეტაპზე მეფეს თუ ყოველ სენიორს მხოლოდ თავისი ტაძრეულის შენახვის ვალდებულება ეკისრებოდა.

ფულით დაკმაყოფილება). თუმცა ხანგრძლივი დროის განმავლობაში ველზე ყოფნა დამატებით რესურსებს მოითხოვდა და თავდაპირველი მარაგის ამოწურვის შემდეგ არმიის შემდგომი მომარაგება იყო აუცილებელი.

შუა საუკუნეების არმიის ნორმალური ფუნქციონირების სურათის აღსადგენად საჭიროა დადგინდეს მის რიგებში მყოფი ადამიანებისა და პირუტყვის ყოველდღიური საჭიროებები და მისი ნორმები;[5] განისაზღვროს იმდროინდელი არმიების სატრანსპორტო შესაძლებლობები და ლიმიტები; საბოლოოდ კი, არმიის მოთხოვნილებისა და მისი დაკმაყოფილების სხვადასხვა მეთოდების შეჯერებით დადგინდეს მისი ოპერატიული შესაძლებლობები.

ცეცხლსასროლი იარაღის შემოღებამდე არმიის მომარაგებაში ძირითადი ადგილი ეკავა და 90%-ს შეადგენდა საკვები, ფურაჟი და შეშა.[6] საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ იარაღი და აღჭურვილობა მხოლოდ მეორე ადგილს იკავებდა.[7] ჯ. ჰალდონი 1.3 კგ. საკვებს ანგარიშობს მძიმე სამუშაოს შესრულების დროს ადამიანის საკვებ ნორმად.[8] რომაელი ჯარისკაცის დღიური რაციონიც (ხორბალი, ხორცი და სხვ.) 1.3 კგ-ს შეადგენდა.[9] შუა საუკუნეების 4 დოკუმენტის მიხედვით (ორი მათგანი ითვალისწინებს გალერის ნიჩბოსნების და ორიც ჯვაროსნული ექსპედიციების სურსათით მომარაგებას), ნორმალური ფიზიკური კონდიციების შესანარჩუნებლად დღე-ღამეში 1 კგ. საკვები მაინც იყო საჭირო.[10] შემდგომი გამოთვლებისათვის საკვების უფრო დაბალი ნორმა, დღეში 1 კგ, საკმაოდ ადეკვატურად შეიძლება ჩაითვალოს. ჯარისკაცის დღიურ ულუფას, ძირითადად, ხორბალი და მისგან გამომცხვარი პური ან ორცხობილა შეადგენდა.

---

[5] არმიის საჭიროებისათვის აუცილებელი მრავალი სხვადასხვა ნივთიდან თვალსაჩინო მაგალითად მოვიყვან ერთ მათგანს, რომელსაც, სამხედრო ისტორიკოსების გარდა, ჩვეულებრივ, არც არავინ აქცევს ყურადღებას: 1066 წელს ინგლისში გადასასხდომად მზადებისას ვილჰელმ დამპყრობლის 2-3 ათას ცხენს 8 ტონა მხოლოდ რკინა დასჭირდა ცხენის ნალებისა და მისი ლურსმნებისათვის (იხ. B. S. Bachrach. Logistics in Pre-Crusade Europe. Feeding Mars: Logistics in Western Warfare from the Middle Ages to the Present. Ed. by J. A. Lynn. Boulder. 1993, გვ. 72.

[6] საკვების მოსამზადებლად ყოველდღიურად დიდი რაოდენობის შეშა იყო საჭირო და მისი სიმცირე ნახევრად მომზადებულ საკვებს ნიშნავდა, რაც დაავადებებს იწვევდა. არმიისათვის შეშის მნიშვნელობაზე ერთხმად მიუთითებენ იულიუს კეისარი, ტაციტუსი, ფრონტინუსი, ვეგეციუსი და სხვ. (J. P. Roth. The Logistics of the Roman Army at War, გვ. 59).

[7] J. P. Roth. The Logistics of the Roman Army at War, გვ. 2-3.

[8] J. Haldon. Introduction: Why Model Logistical Systems. General Issues in the Study of Medieval Logistics: Sources, Problems and Methodologies. Ed. by J. F. Haldon. Leiden. 2006, გვ. 5.

[9] J. P. Roth. The Logistics of the Roman Army at War, გვ. 43.

[10] J. H. Pryor. Introduction: Modelling Bohemond's March to Thessalonikē. Logistics of Warfare in the Age of the Crusades. Ed. by J. H. Pryor. Aldershot. 2006, გვ. 9-13.

მომარაგების თვალსაზრისით განსაკუთრებულ პრობლემებს ქმნიდა ცხენებისა და სასაპალნე პირუტყვის გამოკვება, რასაც მათი მაღალი მოთხოვნილება განაპირობებდა.[11] პირუტყვისათვის აუცილებელი ფურაჟის, განსაკუთრებით მწვანე ფურაჟის,[12] წონისა და დიდი მოცულობის გამო არმია, რომელიც დიდი რაოდენობით ცხენებს მოითვლიდა, ლაშქრობისას საძოვრების გამოყენებით ცდილობდა ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.[13]

ცხენი, რომელიც მონღოლურ პონიზე დიდი იყო, ბალახის ძოვის გარდა, დღეში 2.5 კგ-მდე მარცვლეულს საჭიროებდა.[14] მარცვლეულის გარდა, ცხენი საჭიროებს, სულ მცირე, 12.5 კგ. ბალახს, რომლის ძოვასაც დღე-ღამის მნიშვნელოვანი ნაწილი სჭირდება: ბალახისა და მისი სიმჭიდროვის მიხედვით ყოველი კილოგრამის ძოვას ცხენი ანდომებს 45-65 წუთს. ამას ემატება მარცვლეულის ჭამისა და წყლის სმის დრო. საბედნიეროდ, ცხენს ხანმოკლე ძილიც ჰყოფნის. ერთი აკრი (4045 კვ.მ.) ფართობის საძოვარი დღეში 50 ცხენს ჰყოფნიდა ანუ 1 ჰა. დაახლ. 125 ცხენისათვის იყო საკმარისი, რაც იმას ნიშნავს, რომ ცხენოსანი არმიების ბანაკი გარშემო ათეულობით ჰექტარ საძოვარს საჭიროებდა.[15] საერთო ჯამში, ცხენს დღეში სჭირდება 2.5 კგ. მარცვლეული და 7 კგ. თივა ან თითქმის 2-ჯერ მეტი ბალახი.[16] ჯორი საჭიროებს ცხენის რაციონის 75%-ს, თუმცა მუშაობა შეუძლია უფრო ნაკლები საკვების დროსაც, როგორიცაა 2.3 კგ. მარცვლეული და 4.5 კგ. ჩალა.[17]

გასათვალისწინებელია, რომ ადამიანისაგან განსხვავებით ცხენისა და სასაპალნე პირუტყვის დაქვეითებული ფიზიკური კონდიცია დასვენებით ვერ

[11] საერთოდ, სასაპალნე პირუტყვის მიერ სურსათის ტრანსპორტირება შეზღუდულია მისივე მოხმარებით, რაც დაახლოებით 1/10-ს უდრის, ანუ პირუტყვის მიერ გადაზიდული ტვირთის მეათედს ის თავად მოიხმარს (D. W. Engels. Alexander the Great and the Logistics of the Macedonian Army. Berkeley. 1978, გვ. 128).

[12] ფურაჟი ტრადიციულად სამ კატეგორიად იყოფა: მყარი ფურაჟი, მწვანე ფურაჟი და საძოვარი. მყარ ფურაჟს მიეკუთვნება მარცვლეული (ქერი, შვრია), მწვანეს კი – თივა, ჩალა, ნამჯა (იხ. J. P. Roth. The Logistics of the Roman Army at War, გვ. 61).

[13] J. A. Lynn. The History of Logistics and Supplying War. Feeding Mars: Logistics in Western Warfare from the Middle Ages to the Present. Ed. by J. A. Lynn. Boulder. 1993, გვ. 16.

[14] J. H. Pryor. Introduction: Modelling Bohemond's March to Thessalonikē, გვ. 15-18.

[15] J. H. Pryor. Introduction: Modelling Bohemond's March to Thessalonikē, გვ. 21-22.

[16] J. Haldon. Roads and Communications in the Byzantine Empire: Wagons, Horses, and Supplies. Logistics of Warfare in the Age of the Crusades. Ed. by J. H. Pryor. Aldershot. 2006, გვ. 145. ცხენს 1 საათში 1.36 კგ. თივის ჭამა შეუძლია (J. M. Smith. Ayn Jālūt: Mamlūk Sucess or Mongol Failure. Harvard Journal of Asiatic Studies. Vol. 44. 1984, გვ. 336-337).

[17] J. Haldon. Roads and Communications in the Byzantine Empire: Wagons, Horses, and Supplies, გვ. 145.

აღდგება. თუკი მათ მძიმე მუშაობით და არადამაკმაყოფილებელი კვებით ქანცი აქვთ გაცლილი, ისინი უსარგებლონი ხდებიან სამხედრო მიზნებისათვის.[18] სწორედ ამიტომ არმიის შემადგენლობაში მყოფი პირუტყვისათვის რაციონის შემცირება სავალალო შედეგებს იწვევს. აქლემიც კი, რომელსაც 3-4 დღე უწყლოდ შეუძლია გაძლება, ამის შემდეგ ორმაგ ულუფა წყალს საჭიროებს.[19]

საკვების გარდა, ყველა არმიის უმთავრეს საჭიროებას წყალი წარმოადგენს. არმიის ყოველ წევრს დღეში 2 ლ. წყალი სჭირდებოდა.[20] კლიმატური პირობებიდან გამომდინარე (ცხელ დღეებში მეტი), ცხენს სჭირდება დღეში 15-30 ლ. წყალი,[21] ჯორს – 20 ლ.[22] და ხარს – 30 ლ.[23] პრაიერი და ჰალდონი უფრო მეტით, 36 ლ.-ით, განსაზღვრავენ ცხენის საჭიროებას.[24] ისიც გასათვალისწინებელია, რომ დღევანდელობასთან შედარებით შუა საუკუნეებში უფრო იოლი იყო წყლით არმიის მოთხოვნილების დაკმაყოფილება: მოსახლეობა უფრო მცირე იყო, წყლის მოხმარება – ნაკლები, გარემო – უფრო ჯანსაღი და გრუნტის წყლებიც დაუბინძურებელი.[25]

არმიის გადაადგილება მისი აღალის, ანუ სურსათისა და ფურაჟის, საბრძოლო იარაღის, ტექნიკური საშუალებებისა და სხვადასხვა ინვენტარის ტრანსპორტირებას მოითხოვდა,[26] რაც სასაპალნე ცხოველებისა (ცხენები, ჯორები, აქლემები) და საზიდრების მეშვეობით ხორციელდებოდა.

სახმელეთო ტრანსპორტი ორი ძირითადი კატეგორიისაგან შედგებოდა: სასაპალნე და გამწევი (საჭაპანო) პირუტყვისაგან. სასაპალნე პირუტყვს საზიდრებთან შედარებით ნაკლები ტვირთი გადაჰქონდა, მაგრამ შეეძლო უფრო

[18] D. W. Engels. Alexander the Great and the Logistics of the Macedonian Army, გვ. 129.
[19] D. W. Engels. Alexander the Great and the Logistics of the Macedonian Army, გვ. 18.
[20] J. P. Roth. The Logistics of the Roman Army at War, გვ. 119.
[21] J. P. Roth. The Logistics of the Roman Army at War, გვ. 62.
[22] J. P. Roth. The Logistics of the Roman Army at War, გვ. 66.
[23] J. P. Roth. The Logistics of the Roman Army at War, გვ. 67.
[24] J. H. Pryor. Introduction: Modelling Bohemond's March to Thessalonikē, გვ. 20; J.Haldon. Warfare, State and Society in the Byzantine World, 565-1204. London. 1999, გვ. 168-169.
[25] Y. Lev. Infantry in Muslim Armies During the Crusades. Logistics of Warfare in the Age of the Crusades. Ed. by J. H. Pryor. Aldershot. 2006, გვ. 204.
[26] ბიზანტიის იმპერატორი ლეონ VI თავის „ტაქტიკაში" ჩამოთვლის მრავალფეროვან ინვენტარს, რომელთაც არმია თან ატარებდა: მუსიკალური ინსტრუმენტები, კარვები, ხელის წისქვილი, სამეურნეო იარაღი (ხერხი, ნაჯახი, ურო, ნიჩაბი, წერაქვი, წერაყინი, ნამგალი, ცელი, კალათი), საბრძოლო იარაღი (საალყო მანქანები, საველე არსენალი), ხის კიბეები, მდინარეთა გადალახვის საშუალებები, დურგლებისა და მჭედლების იარაღი (იხ. The Taktika of Leo VI. Text, translation, and commentary by G. T. Dennis. Washington. 2010, პარ. 5.4-8).

შორს, სწრაფად, ხანგრძლივად და უგზოზე სიარული. სასაპალნე პირუტყვი უფრო იაფი ჯდებოდა და ნაკლებ ადგილს იკავებდა კოლონასა და ბანაკში.[27] მთაგორიან ლანდშაფტსა თუ ცუდ გზებზე ცხენი და ჯორ-აქლემი უფრო მობილური იყო, ვიდრე საზიდარი. ამ გარემოებების გამო ტრანსპორტირებისათვის სასაპალნე პირუტყვი უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე საზიდრები.[28]

შუა საუკუნეების ცხენს, რომელიც სიმაღლეში თხუთმეტი ხელის დადება იყო და 550 კგ-ს იწონიდა, შეეძლო 110 კგ. ტვირთის ტარება. ხანგრძლივი მარშის დროს ჯორს შეეძლო 90 კგ. ტვირთის ზიდვა.[29] ჯორს შეეძლო 135 კგ. ტვირთის წაღებაც,[30] მაგრამ ცხენისა და ჯორის საშუალო ტვირთამწეობას დაახლოებით თანაბრად და 100 კგ-ის ფარგლებში ანგარიშობენ. აქლემის ტვირთამწეობა 175 კგ. იყო, თუმცა გამონაკლის შემთხვევებში მას შეეძლო 270 კგ-მდე ტვირთის წაღებაც.[31] კონსტანტინე პორფიროგენეტი, რომელიც ბიზანტიის იმპერატორის სალაშქრო სამზადისს აღწერს, მიუთითებს, რომ ცხენს, რომელზეც მხედარი იჯდა, 40 კგ. ქერი უნდა წაეღო, უნავირიანს – 80 კგ. საბარგო ცხენს კი – 100 კგ.[32] ცხენის დატვირთვის ეს ნორმები გათვლილია კამპანიის მსვლელობისას მათ შეუფერხებელ ქმედებაზე და მეტად ყურადსაღებია იმდროინდელი ლოგისტიკური სურათის აღსადგენად.

არმიის აღალში მყოფი დიდი და მოცულობითი ნივთები, როგორიცაა თუნდაც საალყო მანქანების ნაწილები, ტრანსპორტირებისათვის საზიდარს საჭიროებდა. ბ. ბაქრაქის დაანგარიშებით, რასაც როთიც ეთანხმება, ოთხთვლიანი საზიდრის ტვირთამწეობა 650 კგ. იყო, ორთვლიანის კი – 500 კგ. და მას უფრო ხშირად იყენებდნენ შუა საუკუნეებში.[33] ნაკლები მობილურო-

[27] J. P. Roth. The Logistics of the Roman Army at War, გვ. 202. ორთვლიანი საზიდარი 25 კვ.მ. (10X2.5) მართკუთხა ფართობს იკავებდა. B. S. Bachrach. Crusader Logistics: From Victory at Nicaea to Resupply at Dorylaion. Logistics of Warfare in the Age of the Crusades. Ed. by J. H. Pryor. Aldershot. 2006, გვ. 56.

[28] W. E. Kaegi. Byzantine Logistics: Problems and Perspectives. Feeding Mars: Logistics in Western Warfare from the Middle Ages to the Present. Ed. by J. A. Lynn. Boulder. 1993, გვ. 43-44.

[29] J. H. Pryor. Introduction: Modelling Bohemond's March to Thessalonikē, გვ. 18.

[30] J. P. Roth. The Logistics of the Roman Army at War, გვ. 206.

[31] J. P. Roth. The Logistics of the Roman Army at War, გვ. 207-8.

[32] Constantine Porphyrogenitus. Three Treatises on Imperial Military Expeditions. Ed. and trans. by J. F. Haldon. Wien. 1990, გვ. 129.

[33] B. S. Bachrach. Animals and Warfare in Early Medieval Europe. Settimane di Studio del Centro Italiano di sull'alto Medioevo. 31. 1985, გვ. 717. იხ. აგრეთვე, D. W. Engels. Alexander the Great and the Logistics of the Macedonian Army, გვ. 15, შენ. 15.

ბის გარდა, საზიდრების აღალში ყოლას სხვა სირთულეებიც მოსდევდა. ქსენოფონტის თანახმად, საზიდრები საჭიროებდნენ ხის მარაგ ნაწილებს, დურგლებსა და ხელსაწყო-იარაღს შესაკეთებლად.[34] ამასთანავე, ისეთი გამწევი პირუტყვი, როგორიცაა ხარი, მოძრაობს ნელა (3.34 კმ/სთ.) და ნაკლები გამძლეობა ახასიათებს – დღეში მხოლოდ 5 სთ-ს მუშაობს, მაშინ როდესაც ცხენსაც და ჯორსაც 8 სთ. მუშაობა შეუძლია.[35]

მახლობელი აღმოსავლეთის სხვა არმიების მსგავსად ქართული ლაშქრის სატრანსპორტო ქარავანს ცხენი, ჯორი და აქლემი შეადგენდა. ლიტერატურული წყაროები სხვადასხვა ჯიშისა და წარმოშობის პირუტყვზე მოწმობენ: „არაბული ცხენნი და მისრულნი ჯორნი და ბასრულნი აქლემნი“.[36] ადგილზე მოშენებისა და უცხოეთიდან შემოყვანის გარდა, ჯიშიანი პირუტყვის შევსების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო წარმატებული ომები გახლდათ, რომელთა შედეგად ქართველთა ხელთ თავს იყრიდა არაბული ცხენები და აქლემები, თურქმენული ცხენები და სირიული ჯორები. თავისი მნიშვნელობის გამო, ასეთი ნადავლი ყოველთვის პოულობდა ასახვას მატიანის ფურცლებზე. დავითის ისტორიკოსი დიდგორში სხვა ნადავლთან ერთად საგანგებოდ აღნიშნავს სირიულ ჯორებს: „ხოლო სპანი ჩუენნი და უფროსად ყოველი სამეფო აღიესო ოქროთა და ვეცხლითა, არაბულითა ცხენებითა, ასურულითა ჯორებითა, კარვებითა...“.[37] იგივე მემატიანე მოგვითხრობს, რომ 1116 წელს ტაოს ჩამომდგარი თურქების დამარცხების შემდეგ „აღიღეს დედა-წული მათი, ცხენები, ცხოვარი, აქლემები და ყოველი ნაქონები მათი“.[38] უხვ ნადავლზე მოგვითხრობენ „ისტორიანის და აზმანის“ ანონიმი ავტორი და ბასილი ეზოსმოძღვარიც: გიორგი III-მ ანისთან გამარჯვების შემდეგ ხელში ჩაიგდო „სიმრავლე... აქლემთა, ცხენთა და ჯორთა“;[39] შამქორში გამარჯვების შემდეგ 20 ათას ცხენთან ერთად ქართველებს ხელში ჩაუვარდათ 7 ათასი ჯორი და 15 ათასი აქლემი;[40] ბასიანის ბრძოლაში გამარჯვებულებს

[34] Xenophon. Cyropaedia. Ed. by W. Miller. London. 1914, პარ. 6.2.33-37.

[35] D. W. Engels. Alexander the Great and the Logistics of the Macedonian Army, გვ. 15.

[36] ქაიხსრო ჩოლოყაშვილი. ომაინიანი. გამოსაცემად მოამზადა ლ. კეკელიძემ. თბ. 1979, გვ. 118.

[37] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I თბ. 1955, გვ. 341.

[38] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, გვ. 334.

[39] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბ. 1959, გვ. 9.

[40] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 73.

დარჩათ „ცხენ-ჯორისა და აქლემებისა სიმრავლე“.[41] ქართულ აღალში მყოფ სხვადასხვა პირუტყვს ჩამოთვლიან მუსლიმი ავტორებიც. სადრ ად-დინ ალ-ჰუსაინის მიხედვით, 1163 წელს გიორგი III-ის დამარცხების შემდეგ მუსლიმთა კოალიციამ ქართველთა ბანაკში ხელთ იგდო „ჯიშიანი ცხენები და შესანიშნავი ჯორები“.[42] ჯუვეინი აღნიშნავს ქართულ ლაშქარში აქლემების ყოფნას. ის წერს, რომ ბოლნისის ველს ქართველთა „რაზმებმა მოაწიეს... მამალი და დედალი აქლემებით“.[43] აღსანიშნავია, რომ ლაშქრობაში დავით აღმაშენებლის პირად ბიბლიოთეკას ჯორ-აქლემი დაატარებდა: „წიგნები ეტჯრთა სიმრავლესა ჯორთა და აქლემთასა“.[44]

საქართველოში საზიდრებს ხარები ეწეოდნენ, როგორც ეს დამოწმებულია ოშკის X საუკუნის სამშენებლო წარწერაში, საიდანაც ვიგებთ, რომ ტაძრის აშენებისათვის საჭირო ქვებს 30 ხარი ეზიდებოდა.[45] ამავე დროს, შუა საუკუნეების ქართულ ლაშქარში ხარები არ იხსენიება,[46] რაც შეიძლება იმას ნიშნავდეს, რომ მათ დაბალი სიჩქარისა და რიგი სხვა შეზღუდვების გამო არც იყენებდნენ სამხედრო მოქმედებების დროს. შესაძლოა, ქართული ჯარი დიდი ნივთების გადასაზიდად ჯორშებმულ საზიდრებს იყენებდა, რომელიც ხართან შედარებით ნაკლებ სიმძიმეს ატარებდა, მაგრამ უფრო სწრაფად მოძრაობა შეეძლო.

ლაშქრის უზრუნველყოფის საკითხში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქვეყნის ლოგისტიკურ ინფრასტრუქტურას, იმას თუ რამდენად მოწყობილი იყო მისი გზების სისტემა. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი გაკვრით მოგვითხრობს მეფის მიერ გატარებულ ღონისძიებებზე საგზაო კომუნიკაციების მოწესრიგების მიზნით, რომლის დროსაც გზები დაიგო და ხიდები აშენდა: „რაოდენნი ჴიდნი მდინარეთა სასტიკთა ზედა, რაოდენნი გზანი, საწყინოდ

---

[41] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 98; ბასილი ეზოსმოძღუარი. ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბ. 1959, გვ. 139.

[42] Садр ад-Дин Али ал-Хусайни. Сообщения о Сельджукском государстве. Сливки летописей, сообщающих о сельджукских эмирах и государях. Издание текста, перевод, введение, примечания и приложения З. М. Буниятова. Москва. 1980, გვ. 140.

[43] ჯუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსულ ტექსტს შესავალი წაუმძღვარა, ქართული თარგმანი და შენიშვნები დაურთო რ. კიკნაძემ. თბ. 1974, გვ. 35.

[44] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, გვ. 348.

[45] ვ. ჯობაძე. ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში. თბ. 2006, გვ. 157.

[46] მათ არც მუსლიმური წყაროები ახსენებენ, რომლებიც ქართველთა დამარცხების დროს აღებულ ალაფს აღწერენ.

სავალნი, ქვა-ფენილ ყვნა“.[47] იმ ეპოქაში ხიდის მნიშვნელობაზე საუბარი ზედმეტია, რადგანაც ლაშქრის მოძრაობის მარშრუტზე მდინარის არსებობა ყოველთვის საგრძნობი დაბრკოლებაა. განსაკუთრებით საინტერესოა გზების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, რომელიც არა მხოლოდ გრუნტის გზების გაყვანა-მოწესრიგებას გულისხმობდა, არამედ მათი ქვით მოკირწყვლას. ეს კი გაცილებით დიდ ხარჯსა და დროს მოითხოვდა. ამგვარი ფაქტები მეტყველებს იმ დიდ სახსრებსა და ყურადღებაზე, რომელთაც დავით IV ლოგისტიკურ პრობლემებს უთმობდა. შედეგად იზრდებოდა გზის გამტარუნარიანობა, რაც, თავის მხრივ, ზრდიდა არმიის მოძრაობის სიჩქარეს. გარდა ამისა, მოკირწყლულ გზებზე საზიდრები იოლად გადაადგილდებოდნენ, რაც არმიის ტვირთამწეობას გაზრდიდა. ამინდის ცვალებადობა (წვიმა, თოვლი) ნაკლებად მოქმედებდა ქვაფენილზე და მასზე გადაადგილება შემოდგომა-ზამთარშიც შეიძლებოდა, რაზეც აღმაშენებლის არმიის ზამთარში ჩატარებული ლაშქრობებიც მეტყველებს.[48] გზების მდგომარეობას ყურადღებას აქცევდა ვახტანგ VI-ც (1675-1737), რომელმაც *დასტურლამალში* საგანგებო კარი უძღვნა სამეფოში გზების შენახვას და მარშრუტების მიხედვით სამუშაოს შემსრულებლებიც გააპიროვნა.[49]

ახლო და ნაცნობ ტერიტორიებზე ლაშქრობა შედარებით ნაკლებ ლოგისტიკურ პრობლემებს ქმნიდა, მაგრამ უფრო შორეული კამპანიები სერიოზული დილემის წინაშე დააყენებდა იმდროინდელი ქართული არმიის კვარტირმაისტერებს. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ჩვენ არ მოგვეპოვება არც ერთი ცნობა, რომელიც ჩრდილოეთ სომხეთში ან არანში ლაშქრობის დროს ლოგისტიკურ სიძნელეებზე მეტყველებდეს ან არაკმარი მომარაგების გამო რაიმე წარუმატებლობაზე მოგვითხრობდეს. ამ მხრივ განსაკუთრებით სანიმუშოა 1209 წლის ლაშქრობა ირანში, როდესაც მუსლიმურ ტერიტორიაზე ღრმად შეჭრილ ქართულ ლაშქარს მომარაგების პრობლემა არ შექმნია და წარმატების მიღწევის შემდეგ, მხოლოდ ალაფის სიუხვემ აიძულა უკან გამობრუნე-

[47] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, გვ. 353. დავით აღმაშენებლის ამ ღონისძიების შედეგს, არმიის გადაადგილების სისწრაფის გაზრდას, ლოგისტიკურ კონტექსტში ყურადღება მიაქცია ს. მარგიშვილმა (იხ. ს. მარგიშვილი. მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ: ომი სელჯუკთა სამყაროს წინააღმდეგ. თბ. 2006, გვ. 183).

[48] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, გვ. 333, 338, 339.

[49] ქართული სამართლის ძეგლები. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. ტ. II. თბ. 1965, გვ. 278.

ბულიყო.[50] ამაღე ლაშქრობაში მოწინააღმდეგის ციხე-ქალაქთა წარმატებული ალყაც სათანადო ლოგისტიკური ორგანიზაციის არსებობაზე მოწმობს.

არმიის მომარაგებაში დიდ როლს თამაშობდა მტრის მიწების ძარცვა, როდესაც მოწინააღმდეგის რესურსების ხარჯზე ხდებოდა მიმდინარე მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. მტრის ხარჯზე საკუთარი არმიის შენახვის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ქართული ლაშქრის მოქმედება ყარსის პროვინციაში. ყარსის ციტადელის 5 წლიანი ალყის პერიოდში ქართული ლაშქარი ადგილობრივი რესურსების ხარჯზე ინახავდა თავს: იბნ ალ-ასირი მოგვითხრობს, რომ ქართველებს ყარსისათვის „დიდი ხნის მანძილზე ჰქონდათ ალყა შემორტყმული... ავიწროებდნენ, ვინც მასში იყო და იღებდნენ [ამ] ვილაიეთის შემოსავალს მრავალი წელი".[51] რა თქმა უნდა, აქ დიდ როლს თამაშობდა ის ფაქტორი, რომ ქართველებს არ ემუქრებოდა მოწინააღმდეგის საველე არმია, რაც ქართველ ფურაჟირებს მოქმედების თავისუფლებას აძლევდა.

თუმცა, რაც არ უნდა შედეგიანი ყოფილიყო ფურაჟირება,[52] მასზე სტრატეგიული გათვლების გაკეთება შეცდომა იქნებოდა. ბ. ბაქრაქის შენიშვნით, „მხოლოდ ფურაჟირების იმედზე ყოფნა სამხედრო კატასტროფის წინაპირობა იყო".[53] ფურაჟირება საგრძნობლად ანელებს არმიას და აქვეითებს მის როგორც შეტევით შესაძლებლობებს, ასევე, მტრის ქმედებებზე დროული პასუხის უნარს.[54] მწირ, დაუსახლებელ მიწებზე მოძრაობისას და იმ შემთხვევაში, როდესაც მოწინააღმდეგე წინასწარ მიზანდასახულად აჩანაგებდა საკუთარ ტერიტორიას, მომარაგების ერთადერთ წყაროდ თან წაღებული საკვები და ფურაჟი რჩებოდა.[55]

საბრძოლველად დაძრული ქართული ლაშქრის ლოგისტიკური მოთხოვნილებები რომ განვსაზღვროთ, მისი შემადგენლობა უნდა განვიხილოთ და ამის მიხედვით დავადგინოთ თუნდაც მინიმალურად აუცილებელი საჭიროებები. ლაშქრის ორი ძირითადი ნაწილიდან, ცხენოსანი და ქვეითი, ყველაზე დიდ სიძნელეებს ცხენოსანი კომპონენტის მომარაგება ქმნიდა. ქართულ ცხე-

[50] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 107.

[51] The Chronicle of Ibn al-Athīr for the Crusading Period from al-Kāmil fī'l-ta'rīkh. Part 3. Translated by D. S. Richards. Aldershot. 2008, გვ. 123; გ. ჯაფარიძე, საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში. თბ. 1995, გვ. 162.

[52] *ფურაჟირება* გულისხმობს არმიის მიერ არა მხოლოდ პირუტყვის საკვების, არამედ საერთოდ სურსათ-სანოვაგის მოპოვებას.

[53] B. S. Bachrach. Animals and Warfare in Early Medieval Europe, გვ. 715.

[54] J. P. Roth. The Logistics of the Roman Army at War, გვ. 294.

[55] ასეთ შემთხვევებზე საგანგებოდ უთითებს ლეონ VI. The Taktika of Leo VI, პარ. 17.28.

ნოსან ლაშქარს მასში გაერთიანებული აზნაურები და მსახურები შეადგენდა. ყოველ მხედარს საკუთარი ამალა ახლდა, რომლის რიცხოვნობას მისივე შესაძლებლობა განსაზღვრავდა. სწორი სურათის შესაქმნელად ლაშქრის შემადგენელი ძირითადი საბრძოლო ერთეულის მოთხოვნილებების რეკონსტრუირება უნდა მოვახდინოთ. ცხენოსანი ჯარის ძირითადი ერთეული კი აზნაური ან მსახურია, თავის მეაბჯრეებთან და ცხენებთან ერთად.

ქართველ მოყმეს ოთხი სახის ცხენი გაჰყავდა სალაშქროდ: *ჰუნე*,[56] ანუ კარგი, საბრძოლო ცხენი[57] (ევროპული *destrier*), მისი შემცვლელი *მარქაფა* ცხენი, ანუ *ჯინიბი*[58] (ევროპული *courser* ან *rounsey*), სამგზავრო ცხენი – *სხედარი*[59] (ევროპული *palfrey*) და საბარგო, ანუ *სატალახე* ცხენი[60] (ევროპული *sumpter*). ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, XVIII საუკუნის დამცრობილ საქართველოშიც კი, აზნაურს ორი ცხენი, საბრძოლო და სათადარიგო (მარქაფა), უნდა ჰყოლოდა,[61] რომელსაც ემატებოდა მესამე ცხენიც – სატვირთო (სატალახე), რომელიც აღჭურვილობა-კარვის საზიდად იყო აუცილებელი.

---

[56] *„ონე (ჰუნე)* – ცხენი გვარიანი“ (სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ი. აბულაძემ. ტ. I. თბ. 1991, გვ. 603). *„ჰუნე* – გვარიანი და კეთილად წვრთილი ცხენი“ (სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული, II, თბ. 1993, გვ. 468).

[57] განძელებთან ბრძოლიდან დაბრუნებული გიორგი IV „ჰუნისაგან ჩამოხდა“ (იხ. ჟამთააღმწერელი. ასწლოვანი მატიანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო რ. კიკნაძემ. თბ. 1987, გვ. 40). ცხადია, რომ *ჰუნე* საბრძოლო ცხენია, რადგანაც ბრძოლაში მეფე სწორედ ასეთ ცხენზე იჯდებოდა. ასევე, ჰუნეზეა ამხედრებული მამლუქებთან ბრძოლაში დემეტრე II: „მოიკლა ყარა-სუნღურისა მიერ შუბითა ჰუნე მეფისა“ (იხ. ჟამთააღმწერელი. ასწლოვანი მატიანე, გვ. 170).

[58] *„მარქაფა* – (ოთხფ.) ჯინიბი, მეორე ცხენი აკაზმული“ (სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული, I, გვ. 443); *„ჯინიბი* – მარქაფა ცხენი; ცხენი გვარიანი, გინა მარქაფა“ (სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული, II, გვ. 457).

[59] „საჯდარი – ცხენი ნიადაგ საჯდომელი“ (სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული, II, გვ. 79, 345).

[60] ხელშწიფის კარის გარიგების მიხედვით, მეფის ძღვენი დადიანისადმი არის „სამი ცხენი: ორი უკეთესი და ერთი სატალახე“ („გარიგება ჴელმწიფის კარისა“. ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 94). „საბარგო ცხენები“ მოხსენიებულია ლევან დადიანის დის მარიამის მზითვის ჩამონათვალშიც (იხ. მასალები საქართველოს სოციალურ-ეკონომიური ისტორიისათვის (მზითვის წიგნები). ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო მ. იაშვილმა. თბ. 1974, გვ. 14).

[61] „აზნაურსა... ძალ-ედვას გამოსლვა მარქაფითა... და თჳნიერ ამისა არა იწოდებოდა აზნაურად“ (იხ. ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 17-18).

მაშასადამე, შეძლებულ ქართველ აზნაურს (მოყმეს) ლაშქრობაში 4 ცხენი მიჰყავდა: საბრძოლო ცხენი, მისი შემცვლელი მარქაფა ცხენი, სამგზავრო ცხენი და საბარგო ცხენი. აქ ტიპურ შემთხვევას ვიხილავთ, თორემ მეფე-დიდებულებს რამდენიმე საბრძოლო ცხენიც ჰყავდათ.[62] მას თან ახლდა, სულ მცირე, ორი მოსამსახურე (რეალურად, ალბათ, მეტიც) – მეაბჯრე და „მემარქაფე მსახური", რომელსაც სათადარიგო ცხენი მოჰყავდა. აზნაური ამხედრებული იყო სამგზავრო ცხენზე, მეაბჯრე და მემარქაფეც თავიანთ ცხენებზე ისხდნენ. ხანგრძლივი ლაშქრობისათვის, სულ მცირე, ორი საბარგო ცხენია აუცილებელი: ერთი კარვით, ტანსაცმლითა და სხვა სამეურნეო მოწყობილობებით არის დატვირთული, მეორე – სურსათით.[63]

საბოლოო ჯამში, სრულად აღჭურვილი ოთხცხენიანი მხედრისათვის, რომელსაც ორი თანმხლები ჰყავს, ასეთ სურათს ვიღებთ: 3 ადამიანს (აზნაური, მეაბჯრე, მემარქაფე) ახლავს 7 ცხენი (საბრძოლო, სამარქაფო, სამგზავრო, 2 საბარგო, მეაბჯრის და მემარქაფის). კონსტანტინე პორფიროგენეტის მონაცემებით თუ ვისარგებლებთ, აზნაური, მეაბჯრე და მემარქაფე თავიანთი ცხენებით 40 კგ. სურსათს ზიდავენ, საბრძოლო ცხენი, რომელსაც ყველაზე მეტად უფრთხილდებოდნენ, მხოლოდ იარაღსა და თავის საკეებს ატარებს, სამარქაფო ცხენი 80 კგ, საბარგო კი – 100 კგ. სურსათს.[64] ეს ნიშნავს, რომ მათ შეეძლოთ (40+40+40+40+40+80+100) 380 კგ. საკეების ტარება. ამ საბრძოლო ერთეულის დღიური მოხმარებაა ადამიანებისათვის (3X1) 3 კგ. და პირუტყვისათვის (2.5X7) 17.5 კგ. მარცვლეული. ყოველი 18 დღის შემდეგ მათ საკეების შევსება დასჭირდებოდათ. რა თქმა უნდა, ეს გათვლები მინიმალურია და იმ შემთხვევას ითვალისწინებს, როდესაც წყალი, ბალახი და შეშა ადვილად იშოვება და მარცვლეულის გარდა, ცხენები თავიანთ მოთხოვნილებას ბალახის ძოვით იკმაყოფილებენ.

აქვე ერთი ფაქტორიც მოვიხსენიოთ, რომელსაც თავისი ლოგისტიკური მნიშვნელობა აქვს. ცხენის სიგრძე 2.5 მეტრია და კოლონაში მას კიდევ 2.5 მ. დისტანცია სჭირდება: წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთის წაფორხილებას ან

---

[62] მაგალითად, ერწუხის ბრძოლა დავით აღმაშენებელმა მეოთხე ცხენით დაასრულა (დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, გვ. 329).

[63] ჯ. პრაიერი რიგითი რაინდის თანმხლებებთათვის (მეაბჯრე, მეჯინიბე და 3 ქვეითი) ოთხ საბარგო ცხენს ითვალისწინებს (J. H. Pryor. Introduction: Modelling Bohemond's March to Thessalonikē, გვ. 7).

[64] შდრ. J. H. Pryor. Introduction: Modelling Bohemond's March to Thessalonikē, გვ. 19.

წაქცევას უკანმიმყოლების დაცემა მოჰყვება.[65] 7 ცხენის შემთხვევაში აზნაურის საბრძოლო ერთეულის კოლონის სიგრძე 35 მეტრს შეადგენს. ეს სიდიდე დაახლოებით მაინც წარმოდგენას გვიქმნის იმ სიძნელეებზე, რასაც განიცდიდა მრავალრიცხოვანი არმიის კილომეტრებზე გაჭიმული სამარშო კოლონა.

საინტერესოა, ზემოგანხილულ საბრძოლო ერთეულს შევადაროთ მსახურის (ან სულაც, ღარიბი აზნაურის) სალაშქრო პოტენციალი, რომელსაც საბრძოლო და სამგზავრო ცხენი გააჩნია და თან მხოლოდ მეაბჯრე ახლავს ერთი საბარგო ცხენით. მოლაშქრე მსახური სამგზავრო ცხენზეა ამხედრებული, მეაბჯრე თავის ცხენზე, მათ მისდევთ საბრძოლო და საბარგო ცხენი. სულ სახეზეა 4 ცხენი (სამგზავრო, საბრძოლო, საბარგო და მეაბჯრის) და ორი კაცი, რომელთაც შეეძლოთ (40+40+40) 120 კგ. საკვების ტარება. დღიური მოხმარება ადამიანებისათვის (2X1) 2 კგ. და პირუტყვისათვის (2.5X4) 10 კგ. მარცვლეულს შეადგენს. ყოველი 10 დღის შემდეგ მათ საკვების შევსება დასჭირდებოდათ. ამ გათვლებიდანაც ჩანს, რომ ნაკლები შესაძლებლობის მქონე მებრძოლს ნაკლები სალაშქრო პოტენციალი გააჩნდა. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ასეთი სურათი ტიპური იქნებოდა გვიანდელი ხანის საქართველოსათვის, რომლის რესურსებიც საკმაოდ შეზღუდული იყო.

მხედართან და მის ცხენებთან შედარებით ქვეითის მოთხოვნილებები, ისევე როგორც მისი ლოგისტიკური პოტენციალი, ნაკლები იყო. ფეხოსანი თან თავის აღჭურვილობას (ძირითადად, ქსოვილის აბჯარი, ზოგჯერ ლითონის მუზარადი, ფარ-შუბი, ხმალი ან მშვილდ-ისარი) და საკვების თავდაპირველ მარაგს ატარებდა. შუა საუკუნეების ქვეითი რომაელი ლეგიონერი არ იყო, რომელსაც წვრთნის შედეგად 45 კგ-მდე ტვირთის ტარება შეეძლო და რომელსაც გაიუს მარიუსის რეფორმის შემდეგ „მარიუსის სახედარს“ ეძახდნენ.[66] ქვეითს შეეძლო 25 კგ. ტვირთი ეტარებინა,[67] რომლიდანაც, სულ მცირე, 10 კგ-ს მისი სამოსი (მოსასხამითურთ 3 კგ) და აღჭურვილობა (ტყავის აბგა სურსათისათვის, ტიკჭორა წყლისათვის, ქვაბურა საჭმლისათვის, ქვეშსაგები და სხვა, სულ 7 კგ-მდე)[68] შეადგენდა; შეიარაღების წონა 5 კგ. მაინც იყო. გამოდის, მათ გარდა, ქვეითს თან 10 კგ. საკვები შეეძლო წაეღო, რომელიც 10 დღის მარაგს შეადგენდა.

[65] J. H. Pryor. Introduction: Modelling Bohemond's March to Thessalonikē, გვ. 7.
[66] J. P. Roth. The Logistics of the Roman Army at War, გვ. 71-77.
[67] J. H. Pryor. Introduction: Modelling Bohemond's March to Thessalonikē, გვ. 19.
[68] J. P. Roth. The Logistics of the Roman Army at War, გვ. 71-77.

ქვეითისათვის აუცილებელ სხვა ნივთებს, როგორიცაა კარავი, ხორბლის საფქვავი ხელის წისქვილი, დამატებითი საკვები და სხვ. არმიის აღალი ატარებდა. რომაული კარავი, რომელიც 8 კაცისათვის იყო გათვალისწინებული, დაახლოებით 40 კგ-ს იწონიდა.[69] რამდენ ქვეითს იტევდა ქართული კარავი, უცნობია, თუმცა მისი წონაც საგრძნობი იქნებოდა. ცოტას არ იწონიდა ხელის წისქვილიც, რომლის წონა 27 კგ-ს შეადგენდა.[70] რომაულ არმიაში ყველაზე დაბალი ორგანიზაციული ერთეულის 8 კაციანი კონტუბერნიის კარავს, წისქვილს, სამზარეულო მოწყობილობასა და ხელსაწყო-იარაღს 1 ჯორი ატარებდა.[71] იმპერატორი ლეონ VI ერთ სასაპალნე პირუტყვს ანგარიშობს 3-4 ქვეითი ჯარისკაცის საჭურვლისა და კარავისათვის, ხოლო მათი 8-10 დღის სურსათისათვის საკმარისად მიიჩნევს 1 პირუტყვს ყოველ 16 ჯარისკაცზე.[72] ალბათ, არ შევცდებით, თუ ქართული ჯარის შემთხვევაშიც მსგავსი ნორმით ვისარგებლებთ და ჩავთვლით, რომ ყოველ 8 ქვეით ჯარისკაცს 1 სასაპალნე პირუტყვი ემსახურებოდა.

როგორც ვხედავთ, მხედარსაც და ქვეითსაც მხოლოდ შეზღუდული მარაგის წაღება შეეძლო თან, რომელიც ხანგრძლივი კამპანიის შემთხვევაში შევსებას საჭიროებდა. ცხადია, 10 ან 18 დღის შემდეგ ლაშქრობას არავინ წყვეტდა, ქართული ჯარის აღალს ის დამატებითი ტვირთი და სურსათი მიჰქონდა, რომელიც თავდაპირველი მარაგების ამოწურვის შემდეგ აუცილებელი იყო კამპანიის განგრძობისათვის. თუმცა, გარემოებათა მიხედვით, ადრე თუ გვიან ისიც შევსებას საჭიროებდა.

ალბათ, არაფერი ისე არ მოწმობს არმიის ლოგისტიკურ შესაძლებლობებს, როგორც მის მიერ ხანგრძლივი ალყის წარმოების უნარი. ამ მხრივ, XI საუკუნეში ქართული ლაშქრის მიერ ჩატარებული გარემოცვები შეიძლება მაგალითად მოვიყვანოთ, როგორც კარგად გამართული ლოგისტიკური სისტემის ნიმუში. XI საუკუნის დასაწყისში ბაგრატ III-ის არმიას ერთწლიანი გარემოცვა დასჭირდა ბოჭორმის ასაღებად.[73] კიდევ უფრო ძნელი იქნებოდა

[69] J. P. Roth. The Logistics of the Roman Army at War, გვ. 77.

[70] J. P. Roth. The Logistics of the Roman Army at War, გვ. 77.

[71] D. W. Engels. Alexander the Great and the Logistics of the Macedonian Army, გვ. 17. კონტუბერნიის საერთო საჭიროებას ჯ. როთი 2 ჯორით ანგარიშობს (J. P. Roth. The Logistics of the Roman Army at War, გვ. 83).

[72] The Taktika of Leo VI, პარ. VI.15, VI.24; J. Haldon. Roads and Communications in the Byzantine Empire: Wagons, Horses, and Supplies, გვ. 147.

[73] მატიანე ქართლისა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ. 1955, გვ. 279.

თბილისის ალყა, რომელიც ბაგრატ IV-მ კახელ მოკავშირეებთან ერთად 1037/8 წელს დაიწყო და ორ წელს გაგრძელდა.[74]

შევეცადოთ გავარკვიოთ, თუ რა ლოგისტიკური პრობლემების წინაშე იდგებოდა ბაგრატ IV თბილისის ორწლიანი ალყის დროს. ჩავთვალოთ, რომ მოალყეთა რიცხვი, სულ მცირე, 10 ათასს აღწევდა, რაც მისაღები რიცხვია XI საუკუნის შუახანების ქართული სამეფოების პოტენციალის გათვალისწინებით. იმდროინდელ არმიებში ცხენოსნისა და ქვეითის თანაფარდობიდან გამომდინარე, 10 ათას კაცში მინიმალური რიცხვი, 2 ათასი მხედარი მაინც უნდა ვიანგარიშოთ. მინიმალურად ვიანგარიშოთ თითოეული მხედრის ხელთ არსებული ცხენებიც – მხოლოდ 3 ცხენი ყოველ მხედარზე. 8 ათას ქვეითს 1000 სასაპალნე პირუტყვი ესაჭიროებოდა. არმიის აღალში იქნებოდა საზიდრები საალყო მანქანებისათვის, საბრძოლო იარაღის მარაგისა და სხვა ტექნიკური ინვენტარისათვის (საველე სამჭედლოები, სამედიცინო სამსახური, სხვ.), ასევე, სურსათისათვის, რაც დამატებით 1000 სასაპალნე პირუტყვს მოითხოვდა. ჯამში, გარემომცველ ჯარს 10 ათასი კაცი და 8 ათასი ცხენი (6000 + 1000 + 1000) შეადგენს.[75]

ცნობილია, რომ ადგილზე მყოფი არმია, რაც არ უნდა ნაყოფიერ და მჭიდროდ დასახლებულ ადგილზე იმყოფებოდეს, საკმაოდ სწრაფად ამოწურავს ადგილობრივ რესურსებს და საჭიროებს უწყვეტ მომარაგებას.[76] ბაგრატ IV-ის არმიის დღიური მოხმარება იქნებოდა ადამიანებისათვის (10000X1 კგ) 10 ტონა სურსათი, ცხენებისათვის (8000X2.5 კგ) 20 ტ. მარცვლეული და (8000X12.5 კგ) 100 ტ. ბალახი ან (8000X7 კგ) 56 ტ. თივა. წყლის პრობლემა არ იქნებოდა, რადგანაც მტკვარი სრულად დააკმაყოფილებდა არმიის მოთხოვნილებას. რადგანაც 125 ცხენისათვის 1 ჰა. საძოვარია საჭირო, არმიის ცხენები დღეში (8000/125) 64 ჰა. მოძოვდნენ. მას შემდეგ, რაც წაღებული მარაგებისა და ახლომახლო საძოვრების რესურსი ამოიწურებოდა, არმიას ყოველდღე დასჭირდებოდა (10 ტ. ადამიანის საკვები + 20 ტ. პირუტყვის მარცვლეული + 100 ტ. მოთიბული ბალახი) 130 ტ. ან (10 ტ. ადამიანის საკვები + 20 ტ. პირუტყვის მარცვლეული + 56 ტ. თივა) 86 ტ.

---

[74] მატიანე ქართლისა, გვ. 297.

[75] რადგან საბარგო ცხენისა და ჯორის ტვირთამწეობა თითქმის თანაბარია, გამოთვლების გასამარტივებლად ჯორის ნაცვლად, რომელიც აუცილებლად იქნებოდა ბაგრატის არმიის აღალში, ყველგან ცხენი იგულისხმება.

[76] D. W. Engels. Alexander the Great and the Logistics of the Macedonian Army, გვ. 45-46.

სურსათი და ფურაჟი. ამ მოცულობის თივა წელიწადის ყველა დროს არ იქნებოდა ხელმისაწვდომი, რაც ნიშნავს, რომ საკმაოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე არმიის ლოგისტიკურ სამსახურს მაქსიმალური დატვირთვით უნდა ემუშავა და მოთიბული ბალახი უნდა მიეწოდებინა პირუტყვისათვის. დღეში 130 ტ. ტვირთის გადასაზიდად 1300 სული სასაპალნე პირუტყვია საჭირო, მაგრამ მათი საბოლოო რიცხვი დამოკიდებული არის მოზიდვის მანძილზე, რადგან პირუტყვი საკვებს თავადაც მოიხმარდა და თან ორივე გზაზე (მომარაგების ადგილიდან თბილისამდე და უკან). საკმაოდ ახლო მანძილი რომ ავიღოთ და ჩავთვალოთ, რომ არმია მარაგდებოდა თბილისიდან მაქსიმუმ 80-100 კმ. რადიუსით დაშორებული ადგილებიდან, ეს პირუტყვისათვის 4 დღის სავალს ნიშნავს. დანიშნულების ადგილზე მისასვლელად და უკან დასაბრუნებლად ცხენს თავად დასჭირდება 8 დღის მარცვლეულის მარაგი (8X2.5 კგ) და ტვირთის 20%-ს (100 კგ-დან 20 კგ-ს) ის თავად მოიხმარს.[77] ჩავთვალოთ, რომ 4 დღიდან სამს პირუტყვი ისეთ ტერიტორიაზე გაატარებს, რომლის გაჩანაგებაზე არმიას ხელი არ მიუწვდება,[78] ანუ 8-დან 2 დღის ბალახის მარაგიც უნდა ატაროს, რაც კიდევ უფრო ამცირებს მის სასარგებლო დატვირთვას (100 კგ. - 8X2.5 კგ. - 2X12.5 კგ. = 55 კგ), ანუ ერთ ცხენს მხოლოდ 55 კგ. სურსათის მიწოდება შეუძლია. აქედან გამომდინარე, არმიას ყოველდღიურად დასჭირდება 2364 ცხენი. 9 დღიანი ციკლის განმავლობაში კი, სანამ პირუტყვი თავიდან შეასრულებდა რეისს (8 დღე მგზავრობა + 1 დღე დასვენება),[79] ეს მოითხოვს 21276 ცხენს და ესეც იმ შემთხვევაში, თუ არ გავითვალისწინებთ პირუტყვის დაცემის კოეფიციენტს. საზიდრების გამოყენება გარკვეულწილად შეამსუბუქებდა მდგომარეობას. ორხარშებმული საზიდარი 500 კგ. ტვირთს ატარებდა. ხარი დღეში მოიხმარს 22 კგ. ბალახს ან 11 კგ. თივას და 7 კგ. მარცვლეულს.[80] წყვილი უღელი ხარისათვის ეს რიცხვი ორმაგდება; ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ნელი მოძრაობის

[77] შდრ. დ. ენგელსის გამოთვლებს: D. W. Engels. Alexander the Great and the Logistics of the Macedonian Army, გვ. 56, შენ. 16.

[78] არმიის გადაადგილებისას ფურაჟირება 64 კმ. სიგანის დერეფანში ხდებოდა, რაც ნიშნავს რომ ცხენოსან ფურაჟირებს ერთი მიმართულებით 32 კმ-ის მანძილზე შეეძლოთ საქმიანობა (J. Haldon. Introduction: Why Model Logistical Systems, გვ. 18).

[79] ხანგრძლივი მუშაობის დროს ცხენსაც და ჯორსაც 6 დღეში 1 დღე დასვენება ესაჭიროებათ, ზურგზე და ფეხებზე წყლულები და სხვა დაზიანებები რომ არ განუვითარდეთ (J. Haldon. Roads and Communications in the Byzantine Empire: Wagons, Horses, and Supplies, გვ. 144).

[80] J. P. Roth. The Logistics of the Roman Army at War, გვ. 66-67; D. W. Engels. Alexander the Great and the Logistics of the Macedonian Army, გვ. 15, შენ. 15.

გამო ხარშებმულ საზიდარს ერთ გზობაზე 5 დღე დასჭირდებოდა და არმიის მოქმედების რადიუსშიც უფრო ხანგრძლივად, (2+2) 4 დღის განმავლობაში დარჩებოდა. საბოლოოდ, საზიდრის სასარგებლო დატვირთვა (500 კგ. - 4X22X2 კგ) 324 კგ. იქნებოდა.[81] ეს ნიშნავს, რომ ერთ საზიდარს თითქმის 6 სასაპალნე პირუტყვის ჩანაცვლება შეეძლო. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ინტენსიური მუშაობისას დატვირთული საზიდარი ხშირად ზიანდება და შეკეთებას საჭიროებს, ეს რიცხვი კიდევ უფრო დაიწევს. ასე რომ, თუნდაც 1000 საზიდრის, 2000 ხარისა და ამდენივე მეურმის მობილიზება და შეუფერხებელი მუშაობა მოხერხებულიყო, ქართული ლაშქრის მომარაგებას 15 ათასი სასაპალნე პირუტყვი (ცხენი და ჯორი) მაინც დასჭირდებოდა.

თავისთავად ცხადია, რომ ჩვენ მიერ მიღებული რიცხვები ჰიპოთეტურია, მაგრამ უკვე აპრობირებულ მეთოდიკას ემყარება, რომელსაც წარმატებით იყენებენ სამხედრო-ისტორიული კვლევების დროს და ვარგისია პირველადი გათვლების ჩასატარებლად.[82] ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს რიცხვები საკმაოდ ოპტიმისტურია და ერთგვარ ლოგისტიკურ მინიმუმზეა გათვლილი, რეალობა კი უფრო მძიმე იქნებოდა. მითუმეტეს, რომ აქ არ არის გათვალისწინებული არმიის თანმხლები პირები, უბრალო მოსამსახურეები და ა.შ. რომლებიც კიდევ უფრო გააძნელებდნენ მის მომარაგებას. მიუხედავად ამისა, ჩატარებული გათვლები საკმარისია ზოგადი წარმოდგენის შესაქმნე-

[81] ხარს შეეძლო მარცვლეულის გარეშე, მხოლოდ ბალახით ან თივით შეენახა თავი (B. S. Bachrach. Animals and Warfare in Early Medieval Europe, გვ. 718).

[82] პირველი ქართველი ავტორი, ვინც ასე თუ ისე შეეხო შუა საუკუნეების არმიების ლოგისტიკის საკითხს, გახლავთ სოსო მარგიშვილი (იხ. მისი, შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნება და საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორია IX-XV საუკუნეებში. ნაწ. I. თბ. 2008, გვ. 126-127, 130). მხოლოდ, მის მიერ მოყვანილ რიცხვებს ფრთხილად უნდა მოვეპყრათ: რიგ შემთხვევებში მკვლევარი სწორად გადმოცემს საქმის ვითარებას (მაგალითად, ცხენის მიერ მოხმარებული წყლის ოდენობა, გვ. 130), მაგრამ ხშირად ცდება და არასწორი მონაცემები მოჰყავს ცხენის დღიური კვების ნორმისა (დღეში 4-5 კგ. ბალახი, თივა ან ქერი, გვ. 130) თუ საზიდრის ტვირთამწეობის შესახებ (900 კგ, გვ. 126). მის მიერ დამოწმებული ჯ. ფრანსი სინამდვილეში მხოლოდ მსჯელობს ცხენის შესაძლებლობაზე, რომელსაც გაუმჯობესებული შებმულობის წყალობით 900 კგ. შეეძლო გაეწია და იქვე უთითებს, რომ საზიდარს დაახლ. 450 კგ. შეეძლო წაეღო (იხ. J. France. Western Warfare in the Age of the Crusades, 1000-1300. London, 1999, გვ. 36). არც მისეული მეთოდიკაა სწორი: მკვლევარი არ ასხვავებს ცხენის მიერ მარცვლეულის, ბალახისა და თივის მოხმარების ნორმებს და არასწორად უთითებს მათ ჯამურ ოდენობას (გვ. 130); არმიისათვის ერთი კვირის თუ ერთი თვის პურის მარაგის საჭიროების დადგენისას, არ ითვალისწინებს გამწევი პირუტყვის საჭიროებას (გვ. 127). აქედან გამომდინარე, არ არის სწორი ის დასკვნებიც, რომლებიც ტვირთამწეობისა (გვ. 127) თუ ცხენების საჭიროების (გვ. 130) შესახებ აქვს გამოყვანილი.

ლად და იმ სიძნელეების გასაზრებლად, რომლებიც მხედართმთავრის წინაშე იდგა საომარი მოქმედებების დაგეგმვისას.

სრულიად გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ თბილისის ორწლიანი ალყის წარმოება არის შთამბეჭდავი მიღწევა, რომელიც სამეფოს დიდი ფინანსური რესურსის გარდა, ნათლად მოწმობს ბაგრატ IV-ისა და ქართული ლაშქრის შტაბის ადმინისტრაციულ-ორგანიზაციულ შესაძლებლობებზე.

საბოლოოდ კი, დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ისეთ ფაქტორებთან ერთად, როგორიცაა იმდროინდელი სოციალური წყობა, შეზღუდული ადამიანური რესურსები, ნაკლებად განვითარებელი სოფლის მეურნეობა, განუვითარებული საგზაო ინფრასტრუქტურა და სხვა, მომარაგების სირთულეები დიდწილად განაპირობებდა შუა საუკუნეების არმიების მცირერიცხოვნობას.

Mamuka Tsurtsumia

THE LOGISTICS OF MEDIEVAL ARMIES

Summary

The present paper discusses the logistics of the medieval Georgian army, the question that was always neglected. For reconstructing the picture of the medieval logistics the daily consumption rates for humans and beast of burdens are particularized and the transport capabilities and limits of medieval armies are determined. While marching army has to transport his baggage train consisting of food and fodder, weapon and different inventories, which requires various pack animals (horses, mules, camels) and wagons.

In order to estimate logistical requirements of medieval Georgian army during campaign, its composition is determined and according to those minimum daily demands are listed. The main combat unit of the army is established (knight with squires and horses) and the daily requirement of food and forage for rider and infantryman are calculated.

The two years' siege of Tbilisi by Bagrat IV is used as an example to discuss the needs of the army during the long stay and its estimated volume is figured out.

The data presented are based on the proven methodology that has been successfully used in military historical studies and is suitable for the initial calculations.

It is concluded that, along with such factors as feudal social order, limited manpower, poor developed agriculture, undeveloped road systems and etc., logistical difficulties were one of the main reasons for small numbers of medieval armies.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება.
შოთა მესხია – 100
თბილისი. 2016

ელდარ მამისთვალიშვილი

საქართველო-რომის ურთიერთობა XIII საუკუნის მეორე ნახევარში

XIII საუკუნის II ნახევარი აღინიშნა მთელი რიგი მნიშვნელოვანი მოვლენებით, რომელმაც თავის გავლენა მეტ-ნაკლებად მოახდინა საქართველოზე. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ჯვაროსნული ლაშქრობების დასრულების შემდეგ პაპის კურიის გააქტიურება აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიების გაერთიანებისა და ახალი ჯვაროსნული ლაშქრობის მომზადებისათვის.

მიხეილ პალეოლოგმა 1261 წელს დაამხო ლათინთა იმპერია და ბიზანტიის იმპერია აღდგენილად გამოაცხადა. იმპერატორი მიხეილ VIII-ისათვის (1258-1282) ნათელი იყო, რომ მისი პატარა და სუსტი სახელმწიფო, რომელსაც უჭირდა თურქების, სერბებისა და ბოლგარების თავდასხმებისაგან თავდაცვა, იძულებული გახდა დახმარებისათვის მიემართა მათთვის ვინც 1204 წელს კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ ბიზანტიის იმპერია მოსპეს და თავიანთი ლათინთა იმპერია დაარსეს. მას მიაჩნდა, რომ გუშინდელი დამპყრობლების გულს იმით მოიგებდა, რომ აღმოსავლეთის მართლმადიდებლურ ეკლესიას შეუერთებდა დასავლეთის კათოლიკურ ეკლესიას. გაერთიანებული ეკლესიის სათავეში იქნებოდა რომის პაპი, როგორც მთელი ქრისტიანული სამყაროს მეთაური.

იმპერატორი ჯერ დაუკავშირდა პაპ ურბან IV-ს, შემდეგ კლიმენტი IV-ს და სთხოვა რომთან შერიგებას და კავშირს, სამაგიეროდ ის მხარს დაუჭერდა უნიას. მაგრამ ამ მოლაპარაკებებმა ვერ მოიტანა დადებითი შედეგი, რადგან პაპები არ ენდობოდნენ იმპერატორ მიხეილს. მხოლოდ 1271 წელს, როდესაც პაპის ტახტი დაიკავა გრიგორი X-მ, რომელსაც ძლიერ სურდა ეკლესიების შეერთება, მოლაპარაკება წარიმართა უფრო ნაყოფიერად.

გრიგორი X-მ ეკლესიების შეერთების საკითხის გადასაწყვეტად წელს მიხეილ პალეოლოგი მიიწვია ლიონის საეკლესიო კრებაზე. ბერძენთა დელე-

გაცია ლიონში ჩავიდა მაშინ, როდესაც იქ უკვე შეკრებილი იყვნენ პაპი და ლათინთა წარგზავნილები.[1] ყველაფერი მოფიქრებული და გადაწყვეტილი იყო. არ უნდა მომხდარიყო ორ ეკლესიას შორის არსებული განსხვავებების განსჯა. ბიზანტიის დიდმა ლოგოფეტმა გეორგი აკროპოლიტმა მიხეილ პალეოლოგის სახელით დასდო ფიცი, რომ ის არ დაუშვებდა რომის ეკლესიისგან გამოყოფას. ასეთნაირად დაიფიცეს ბერძენი ხალხის სახელით იმ საეკლესიო პირებმა, რომლებიც იმყოფებოდნენ ლიონში. ასეთნაირად შეიქმნა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიების უნიის დოკუმენტი.[2]

მიხეილ პალეოლოგი თავგამოდებით ცდილობდა აღნიშნული გეგმისადმი დადებითად განეწყო თავისი ქვეშევრდომები დარწმუნებით და მკაცრი ძალდობრივი ღონისძიებებით, მაგრამ ძლიერ წინააღმდეგობას შეხვდა ხალხის, სამღვდელოებისა და განსაკუთრებით ათონის მთის მონასტრების მხრიდან, რომლებშიც ამ დროს ბერძნების გარდა იმყოფებოდნენ ქართველი, სერბი, ბულგარელი და რუსი ბერები.

ათონის მთის მონასტრების მამებმა ერთობლივად გაუგზავნეს იმპერატორს წერილი, რომელშიც ამტკიცებდნენ, რომ არც პაპის პირველობა და მეთაურობა, არც მისი მოხსენიება ეკლესიებში, არც უმარილო ხმიადით ზიარება, არც რწმენის სიმბოლოსათვის დამატება „დაძესაგან“, არ იქნება მოთმენილი. მათ წერილში იმპერატორი ერეტიკოსად მოიხსენიეს და ურჩევდნენ თავი დაენებებინა სახიფათო წამოწყებისათვის. იმპერატორი არ იწყნარებდა მათ აზრს. *„ამიტომ მან* [იმპერატორმა] *ხელი აიღო დარწმუნებაზე და სხვა*

[1] გ. მაჭარაშვილი. ლიონის უნია და საქართველო. თბ. 2007; მ. პაპაშვილი, 1274 წლის ლიონის კრება და საქართველო. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული. №14. თბ. 216; А. Катанский. История попыток к соединению церквей Греческой и Латинской в первые четыре века поихразделении. СПб. 1868, გვ. 146; П. Успенский. История Афона. ч. III. отд. 2. СПб. 1892, გვ. 82; Э. Суттнер. Христианство Востока и Запада в поисках зримого проявления единства. М. 1999, გვ. 76-77; Георгий Пахимер. История о Михаиле и Андронике Палеологах. Рязань. 2004, გვ. 243-244; С. Рансимен. Сицилийская вечерня. История Средниземорья в XIII веке. СПб. 2007; Н. Тальберг. История христианской Церкви. М. 2008, გვ. 163-164; А. Пападакис. Христианский Восток и возвышение папства. Церковь в 1071-1453 годах. Изд. ПСТГУ. 2010, გვ. 319-320; D. J. Geanacoplos. Emperor Michael Paleologues and the West. 1258-1282. A Study in Bizantine-Latin. Cambridge. Massachusets. 1959, გვ. 258-26, 298; D. M. Nicol. The last centuries of Byzantium 1261-1453. Cambridge University Press. London-New York-Melburne. 1994, გვ. 41-55, 60-70.

[2] А. А. Соколовский. Обречённая Лионская уния (http://www.blagobor.by/article/history/lionskaya).

გზას დაადგა: ეს იყო ძალადობის გზა...“.[3] იმპერატორისგან დევნილებმა *„მხრებზე გადაიდეს შალის წამოსასხამები... და მსოფლიოს სხვადასხვა ადგილას დაიწყეს ყველგან, სადაც კი შეიტყეს ქრისტიანი ტომები არიანო: მე ვგულისხმობ პელოპონესს და თესალიას, კოლხიდას და იმ ადგილებს საერთოდ, სადაც კეისრის ძალაუფლება არ აღწევდა... არ სურდათ მშვიდობა დაეცვათ არც დასავლეთის მიმართ, არც ერთმანეთში“.*[4]

თუ როგორ დაისაჯნენ წმ. ათონის მონასტრების ბერები ლათინების მიერ, ამის შესახებ მოგვითხრობს *„ამბავი პაპისტების წმინდა ათონის მთაზე თავდასხმისა“.*

„საბერძნეთის მეფე მიხეილ პალეოლოგის მეფობის დროს ლათინებმა დიდი ჯარით დაიპყრეს ბერძნების მრავალი ქალაქი და სოფელი. იმავე დროს ბულგარელები დიდ ხარკს იღებდნენ ბერძენთა იმპერიიდან და სხვადასხვა სადაო საკითხების გამო არ იყვნენ ბერძნებთან მშვიდობიან ურთიერთობაში. ბერძნებმა ასეთ კრიტიკულ ვითარებაში ბულგარელებს აღუთქვეს ყველა მათი მოთხოვნის დაკმაყოფილება იმ პირობით, რომ ისინი დაეხმარებოდნენ ლათინების წინააღმდეგ. ბულგარელების მეფე კალო-იოანე მოვიდა ბერძნების დასახმარებლად, დაეუფლა ფრიგიას და გაანთავისუფლა ბერძნები ლათინებისაგან. ეს გამარჯვება დიდი ზეიმით აღნიშნა ორივე მეფემ. ამის შემდეგ იმპერატორს არ უნდოდა რა ბულგარელელების მეფის მოთხოვნების დაკმაყოფილება, მისი სიცოცხლე ხელჰყო. მაგრამ კალო-იოანე გადაურჩა პალეოლოგის ყველა მზაკვრობას და თავის ქვეყანაში დაბრუნდა, ჩაქრო მის სამეფოში იმ დროს მომხდარი აჯანყება და ელოდა ხელსაყრელ შემთხვევას ცბიერ და უკანონო მეფე პალეოლოგზე შურისძიებისათვის. მან შეარჩია დრო და დიდი ჯარით შეიჭრა ბერძენთა იმპერიის საზღვრებში და მრავალი ქალაქი გაანადგურა, მცხოვრებნი ტყვეებად წაიყვანა, მოაოხრა ოლქები: პროპონდიტა, თრაკია, მაკედონია, თესალია და ელადა პელოპონესამდე. ბერძენთა იმპერია იმყოფებოდა საცოდავ მდგომარეობაში. ყოველი მხრიდან შევიწროებულმა მიხეილ პალეოლოგმა ელჩები გაგზავნა შესანიშნავი წერილებით იტალიაში (პაპთან), რომლებშიც, სხვათა შორის ეწერა: „ის რაც თქვენ ბულგარელებმა დაგმართეს, ამაში ჩვენ უდანაშაულოები ვართ, მათ თვითონ ჩაიდინეს ყოვე-

[3] ნიკიფორე გრიგორასი. ისტორია. გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. VII. ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და კომენტარები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. თბ. 1967, გვ. 133.

[4] ნიკიფორე გრიგორასი. ისტორია, გვ. 134.

ლიევე; ჩვენ დიდ შიშში ვიმყოფებით მათგან. ვართ რა რომის ეკლესიის მიმდევარნი, ჩვენ არც წინათ უარვყოფდით რომ გვწამდეს, ვაღიარებდეთ და ვაზროვნებდეთ ისევე, როგორც თქვენ. გთხოვთ დაგვეხმაროთ თქვენს ერთმოაზროვნეებს, რადგან ვიღუპებით ამ ბილწი ბარბაროსების – ბოლგარელებისგან. თუ არ იჩქარებთ ჩვენ საშველად და თქვენი თანამოაზრეების დასახმარებლად, მაშინ მოისპობა ჩვენი სახელი დედამიწაზე, თქვენ კი დაისჯებით ყოვლისმპყრობელი ღმერთის მიერ ჩვენი დაღუპვის გამო“.

როცა ელჩებმა იტალიას მიაღწიეს, დასავლეთის ყველა კათოლიკე ხელმწიფე ამხედრდა და გადაწყვიტა კონსტანტინოპოლზე გალაშქრება, არა იმდენად დასახმარებლად, რამდენადაც „მათი თანამზრახველი“ მიხეილ პალეოლოგის დასაღუპავად. კონსტანტინეპოლისკენ მიმავალი [ლათინები] შეიჭრნენ ათონის მთაზე, წმინდად წოდებულზე და დაიწყეს იქ მყოფი [ბერების] დევნა. პირველად ისინი მივიდნენ წმ. ათანასეს ლავრაში, რომლის [ბერები] დათანხმდნენ მათ მიმხრობოდნენ... ლათინები ივერიელთა ლავრაში წავიდნენ და იქ მყოფ ბერებს სთხოვეს მათ შეერთებოდნენ. მაგრამ ბერებმა არ ინებეს და აბრალეს ბიწიერნი... ურჯულოებმა კი მოისმინეს რა ეს, გამძვინვარდნენ, შეურაცხყოფილ [ბერები] გამოიყვანეს სავანიდან, დასხეს მონასტრის დაძველებულ გემზე და მათთან ერთად ჩაძირეს. ამ ნეტარმა მამებმა, ურჯულოებისადმი დაუმორჩილებლობის გამო მიიღეს აღმსარებლისა და წამებულის გვირგვინი. შედარებით ახალგაზრდა ბერები, წარმოშობით იბერიელები (ე.ი. ქართველები), ღირსნი იუდეური ხვედრისა და მისი ზნეობის დარნი, მონასტრის ქონებასთან ერთად, იტალიაში გაგზავნეს ტყვეებად, სადაც გახდეს ბერული სამოსელი და იუდეველებს მიჰყიდეს“.[5]

ივერიელთა ლავრიდან წასული ლათინები მივიდნენ ვატოპედის სავანეში, რომლის ბერები ჩამოახრჩვეს. შემდეგ ლათინები გადავიდნენ მთის მეორე მხარეს, სადაც ნახეს წმ. გიორგის სავანე, რომელსაც ერქვა ზოგრაფი. აქაური ბერები ცეცხლში გამოსწვეს. ლათინებს მიემხრნენ კსიროპოტომის სავანის ბერები“.[6]

„ამბავი“ სლავურ ხელნაწერში დათარიღებულიაა 1276 წლით, ხოლო პროტატში (წმინდა მთის საკრებულო ტაძარი) დაცული ბერძნული ხელნაწერის მიხედვით, ივერიის და ვატოპედის სავანეებში ბერების ამოწყვეტა მოხდა

[5] Повѣсть о нашествіи папистовъ на Святую гору Аѳонскую. Аѳонскій патерикъ или жизнеописаніе святыхъ, на Святой Аѳонской горѣ просіявшихъ. Часть II-я. Изданіе седьмое, исправленное и переработанное, иждивеніемъ Русскаго Пантелеимонова монастыря на Аѳонѣ. М. 1897, გვ. 233-250. (http://www.krotov.info/acts/13/3/1276_afon.htm). იხ. აგრეთვე: П. Успенский. История Афона. ч. III. отд. 2. Петербург. 1892, გვ. 82.

[6] Повѣсть о нашествіи папистовъ на Святую гору Аѳонскую, გვ. 233-250.

ერთდროულად – 1280 წ. 10 ოქტომბერს. ათონზე ამოწყვეტილ ადამიანებიდან წმინდანად შეირაცხა 22 ბერი და 4 საერო პირი. საეროთა სახელები არ არის ცნობილი. ბერების სახელები შემდეგია: თომა, ბარსანოფია, კირილე, მიხეი, სიმონი, ილარიონი, იაკობი, კიპრიანე, საბა, იაკობი, მარტინიანე, კოზმა, სერგე, მინა, იოსები, იოანიკი, პავლე, ანტონი, ევთიმი, დომეტიანი და პარფენი.[7] შეუძლებელია გაირკვეს, დასახელებული ბერებიდან ვინ იყვნენ ქართველები.

1278 წელს მოწინააღმდეგეებმა საეკლესიო კრებაზე დაგმეს როგორც კეისარი, ისე პაპი.[8] იმისათვის რათა, პაპი და დასავლეთის სახელმწიფოთა მესვეურები უნიისადმი ერთგულებაში დაერწმუნებინა, კეისრის ნებართვით, 1280 წელს, ათონის მონასტრებს ლათინები შეესიენ და მათგან უნიის აღიარება მოითხოვეს. ბერძენთა ზოგიერთმა მონასტრებმა ლათინთა მოთხოვნა დააკმაყოფილეს, ზოგმა კი უარი განაცხადა. ლათინებთან კავშირზე სასტიკი უარი განაცხადა ივერთა მონასტერმა რის გამო, როგორც *„მოთხრობაჲ უმშუენიერესი მონასტრისათჳს ივერთაჲსა, რომლისა თანა-მდებ არიან ცნობად ყოველნი მონაზონნი“* იმავე ისტორიულ ფაქტს შემდეგნაირად გადმოგვცემს: *„ქრისტესით უკუე ჩსნთ...*[9] *გავლილთა ცხოვრებათა, საფრანგეთით მომავალნი ავაზაკებრ ზემოთქმულსა მონასტერსა ზედა დაესხნენ და მოაოხრეს და თუ ითქუმის, უმკჳდროდ და იავარყოფილად დაუტევეს და ყოველნიე სამღვდელონი ჭურჭელნი და შეწირულობანი და ანუ რაჲცა სამსახურებლად მონაზონთა იყვნენ ნატყუენავ-ყვეს და არაჲსა დამტევებელნი უწარჩინებულესსა ამას მონასტერსა შინა, გარნა მხოლოდ საყოფელისა უდაბნო და იავარ-მყოფელნი წარვიდენ. მონაზონნი უკუე ვიეთნიმე მოაშთვეს და სიკუდილისა საქმე ყვეს, ხოლო სხუანნი დევნნეს და მეოტ-ყვნეს, რომლისა მიერ ყოველივე მდგომარეობაჲ უკუქცეულ იქმნა“.*[10]

როგორც ზემოთმოყვანილი ერთი ამბის ამსახველი ორი ამონარიდიდან ირკვევა, ივერთა მონასტრის ბერები, რომლებიც მუდამ იყვნენ ქართულ ერ-

[7] წამებულთა ხსოვნა აღინიშნებოდა ყოვლადწმინდის შემდგომი კვირის განმავლობაში ყველა იმ წმინდანთან ერთად, ვინც ათონზე მოღვაწეობდნენ. ცალ-ცალკეც აღინიშნებოდა – ივერიელ წამებულთა ივერონში (13 მაისი), ვატოპედისა ვატოპედში (4 იანვარი).

[8] Ф. И. Успенский. История Византийской Империи XI-XV вв. Восточный вопрос. М. 1997, გვ. 514-517, 520.

[9] კ. კეკელიძემ გამოიკვლია, რომ ეს თარიღი (1259 წ.) მცდარია, უნდ აიყვეს 1280 წელი. იხ.: კ. კეკელიძე. მიტაცება ბერძენთა მიერ ქართული ლიტერატურული კერისა ათონზე და მისი მდგომარეობა მე-16-17 საუკუნეებში. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ. III. თბ. 1955, გვ. 76-77. 1280 წელს ათონის მონასტრების აკლება ლათინების მიერ აღნიშნულია, როგორც ზემოთ ითქვა „ამბავის“ ბერძნულ ხელნაწერში.

[10] კ. კეკელიძე. მიტაცება ბერძენთა მიერ ქართული ლიტერატურული კერისა ათონზე.., გვ. 82.

ოვნულ იდეის ერთგულნი, არ შეიძლებოდა ქართული ეკლესიასთან მჭიდრო კავშირში და მართლმადიდებლური ქართული პრიორიტეტების დამცველნიც არ ყოფილიყვნენ. ისინი უნიის უარყოფისათვის თავს სწირავდნენ და ამით ქართული ეკლესიისადმი ერთგულებას გამოხატავდნენ.

ვფიქრობ, არავითარ ეჭვს არ უნდა იწვევდეს ქართული ეკლესიის უარყოფითი პოზიცია, ზოგადად, საქართველო-რომის ურთიერთობის მთელი დროის განმავლობაში (ამ საკითხს მრავალჯერ შევეხები წინამდებარე მონოგრაფიაში) და კონკრეტულად ლიონის უნიის მიმართ. უნიით უკმაყოფილო ბიზანტიელების თავშეფარება კოლხეთში (საქართველოში), რასაც გვამცნობს ნიკიფორე გრიგორასი და ივერონის მონასტრის აკლება ლათინების მიერ ნათელს ხდის ქართული ეკლესიის ანტიუნიატურ განწყობილებას.

ისტორიკოსმა გიორგი მაჭარაშვილმა სცადა არაპირდაპირი და თანაც საეჭვო წყაროთი დაემტკიცებინა, რომ ქართული ეკლესია უნიის წინააღმდეგ გამოდიოდა ასეთივე განწყობილების მქონე იერუსალიმის მართლმადიდებელ საპატრიარქოსთან ერთად.[11] ის ემყარება გრიგოლ ფერაძის მიერ გამოქვეყნებულ ე.წ. იერუსალიმის საპატრიარქოს 1200-1308 წლების „ოფიციალურ“ ანგარიშს, რომელშიც ქართველებთან დაკავშირებით ვკითხულობთ შემდეგს: *„ქართველები პალესტინაში დაახლოებით 1200 წელს მოვიდნენ მაძლუქებისა და ჩერქეზების შემწეობით. ისინი დიდად დაეხმარნენ ბერძნულ საპატრიარქოს, რისთვისაც ბერძნებმა ჯერ წმ. ნიკოლოზის მონასტერი უბოძეს, მოგვიანებით კი – ჯვრის მონასტერი. ვინაიდან ქართველნი ძალზე ბევრნი იყვნენ, ჩვენგან* (ბერძნებისაგან – **ე.მ.**) *მიღეს წმ. იაკობის, წმ. იოანე ღვთისმეტყველის, წმ. თევდორეს, წმ. დემეტრეს, წმ. თეკლას, წმ. ეკატერინეს მონასტერი, ხოლო 1308 წელს – გოლგოთა“.*[12]

ციტირებულ „ანგარიშში“ რამდენიმე წინასწარ განზრახვით დაშვებული „შეცდომაა“. რა თქმა უნდა, ქართველები XIII საუკუნიდან არ მიუდნენ პალესტინაში. ქართველების კვალი წმ. მიწაზე უკვე ჩანს ქრისტიანული წელთაღრიცხვის დასაწყისში, როდესაც იქ მამლუქებისა და ჩერქეზების ხსენება ჯერ არ იყო. ის კი მართალია, რომ ქართველები დიდად ეხმარებოდნენ ბერძნებს, ამას აღნიშნავდა იერუსალიმის პატრიარქი დოსიდეოს II, მეფე ერეკლე I-სათვის

[11] გ. მაჭარაშვილი. ლიონის უნია და საქართველო, გვ. 5.

[12] გრ. ფერაძე. უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრის შესახებ. გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი და დამატებითი შენიშვნები დაურთო გოჩა ჯაფარიძემ. თბ. 1995, გვ. 36.

გაგზავნილ ეპისტოლეში 1700 წელს: „*ბავრატიონთა გვარი და მათი მეფეები, ე.ი. ღვთისმოსავი იბერიის მეფეები, ოდითვანვე დამცველნი და ქტიტორნი წმინდა და ცხოველმყოფელი [უფლის] საფლავისა და სხვა ყოვლად უწმინდესი სათაყვანებელი ადგილებისა. დამცველნი იმიტომ, რომ როცა ბერძენი მეფეების ეგვიპტის სულთნებთან ომის დროს, წმ. იერუსალიმის მონასტრებს სრული განადგურების საფრთხე ემუქრებოდა, იბერიის მეფეებმა, რომლებიც ეგვიპტის სულთნების მეგობრები იყვნენ, დაიცვეს ეს წმინდა მონასტრები და ჩვენც [ბერძნებმა] დროზე მივუსწარით. ქტიტორნი, რადგან ბერძნების და ფრანკების არაბებთან და ეგვიპტის სულთნებთან ომის დროს მონასტრები უალრესად მოძველდა და დანგრევამდე მივიდა,*[13] *იბერიის მეფეები დაეხმარნენ მათ*“.[14]

რაც შეეხება „ანგარიშში“ დასახელებულ იმ ეკლესია-მონასტრებს, რომლებიც ბერძნებმა გადასცეს ქართველებს ჰუმანიურ-ქველმოქმედებითი მოსაზრებით, განსაკუთრებით აქ გამოჩნდა ისტორიული ფაქტების დამახინჯება. წმინდა ნიკოლოზის ქართული მონასტერი აშენდა XVI საუკუნეში;[15] ჯვრის მონასტერი არსებობდა V საუკუნიდან, მისი განახლება მოხდა XI საუკუნეში;[16] იაკობის მონასტერთან დაკავშირებით ცნობილია, რომ ქართველები სხვადასხვა დროს ფლობდნენ იაკობ ზებედის ძის და იაკობ ალფესის მონასტრებს: პირველს XI-XII საუკუნის 40-იან წლებამდე, ხოლო მეორეს XII-XVI საუკუნის დასაწყისამდე. ცნობილი წყაროებიდან არ ჩანს ორ უკანასკნელ ეკლესიასთან იერუსალიმის საპატრიარქოს კავშირი;[17] წმ. თევდორეს მონასტერი ელ. მეტრეველის მიხედვით, უკვე არსებობდა XV საუკუნეში. ბაადურ და ბეჟან ჩოლოყაშვილებმა მეორედ ააგეს 1635 წელს;[18] წმ. დემეტრეს მონასტერი აგებული უნდა იყოს XIV საუკუნეში, გიორგი V ბრწყინვალეს დროს;[19] წმ. თეკლას

[13] დოსითეოსი ჯვაროსნულ ომებს გულისხმობს.

[14] ე. მამისთვალიშვილი. საქართველო-იერუსალიმი. თბ. 2008, გვ. 211.

[15] იხ. ე. მამისთვალიშვილი. იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი. თბ. 2014, გვ. 166-168.

[16] ე. მამისთვალიშვილი. იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტერი, გვ. 35-122.

[17] იხ. ლ. ჯეჯელავა. წმ. იაკობის ქართული მონასტერი იერუსალიმში. ამიერკავკასიის ისტორიის პრობლემები. თბ. 1991; ე. მამისთვალიშვილი. ქართველები და ბიბლიური სამყარო. გორი. 1998, გვ. 148-149; ვლ. კეკელია. იაკობის მონასტრის საკითხი და ჯვაროსანთა ურთიერთობა ქართულ-სომხურ კოლონიებთან იერუსალიმის წმინდა მიწაზე XII საუკუნეში. ქართული დიპლომატია. წელიწდეული. 11. თბ. 2004, გვ. 69-86.

[18] ელ. მეტრეველი. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს.). თბ. 1962, გვ. 232 ე. მამისთვალიშვილი. ქართველები და ბიბლიური სამყარო, გვ. 147.

[19] ტიმოთე გაბაშვილი. მიმოსლვა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა. თბ. 1956, გვ. 81; ე. მამისთვალიშვილი. ქართველები და ბიბლიური სამყარო, გვ. 146.

მონასტერი, აგებულია XV საუკუნეში ჯვარისმამა ქრისტოფორეს მიერ;[20] გოლგოთაზე ქართველებს გარკვეული უფლებები ჰქონდათ უკვე 1048 წლიდან.[21]

ბერძენი სამღვდელოება ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ რაც სხვა მართლმადიდებლებს წმ. ადგილები გააჩნდათ წარსულში თუ იმჟამად, ყოველივე მიღებული ჰქონდათ იერუსალიმის ბერძენი პატრიარქებისგან.[22] ამ მოსაზრებისათვის წონის მისანიჭებლად ბერძნები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და ეყრდნობოდნენ 1200-1308 წლების იერუსალიმის საპატრიარქოს „ოფიციალური“ ანგარიშს.

ე. მეტრეველის აზრით, დოკუმენტი „სააგიტაციო მიზნით“ გვიან შეთხზული უნდა იყოს, კერძოდ, XVIII საუკუნეში პატრიარქების – ხრიზანთოს და დოროთეოს დროს, როცა ბერძნული საპატრიარქო სიტყვიერად თავგამოდებით ცდილობდა ქართველი მეფეებისათვის დაემტკიცებინა, რომ იერუსალიმში ქართველებს მონასტრები და უფლებები ბერძნებმა შეუნარჩუნეს და ამით სურდათ გაემართლებინათ ქართველების მთელი ქონების საპატრიარქოს ხელში გადასვლა.[23] დასაზუსტებელია ბერძნული დოკუმენტის შემდეგნაირ შეფასება: *„უდავოა, რომ მას „სააგიტაციო მიზანი“ აქვს და ბერძენთა როლის განსაკუთრებულად წარმოჩენას ემსახურება, მაგრამ თვითონ ფაქტების დათარიღების მხრივ ცნობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რადგან არარეალური ინფორმაციის ჩადებას მათი მხრიდან არავითარი აზრი არ ჰქონდა“.*[24] პირიქით, როგორც აღინიშნა ფაქტების დათარიღებაც საეჭვოა და ინფორმაციაც არარეალური.

პატრიარქ დოსითეოსს (1669-1707), იერუსალიმის საპატრიარქოს ისტორიის უბადლო მცოდნეს, არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა „ოფიციალური“ ანგარიშის არსებობა და ის თუნდაც ერთხელ მაინც არ ეხსენებინა იერუს-

[20] ტიმოთე გაბაშვილი. მიმოსლვა, გვ. 81; ელ. მეტრეველი. შეჰანის უდაბნო – XI საუკუნის უცნობი ქართული სკრიპტორიუმი პალესტინაში. მრავალთავი. ტ. V. 1975, გვ. 39-40; ე. მამისთვალიშვილი. ქართველები და ბიბლიური სამყარო, გვ. 148.

[21] А. А. Цагарели. Помятники грузинской старины в св. Земле и на Синае. Православный Палестинский Сборник. IV. 1888, გვ. 44-45; ე. მამისთვალიშვილი. ქართველთა ბრძოლა გოლგოთისათვის XV-XVI საუკუნეებში. ქართული დიპლომატია. წელიწდეული. 5. თბ. 1998, გვ. 81-97; დ. ნინიძე. წმინდა ადგილნი და XIII-XV საუკუნეთა ქართული დიპლომატია (ნაწილი I). ქართული დიპლომატია. წელიწდეული. 5. თბ. 1998, გვ. 98-117.

[22] Рассказ Неофита Кипрского о находяшихся в Иерусалиме христианских вероисповедования и ссорах их между собой по поводу мест поклонения. Материалы для истории Иерусалимской Патриархии XVI-XIX века. т. 1. СПб. 1901, გვ. 7-8.

[23] ელ. მეტრეველი. იერუსალიმის რამდენიმე ხელნაწერის დათარიღების ცდა. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე. 5. თბ. 1963, გვ. 233-234.

[24] დ. ნინიძე. გოლგოთის საკითხი XIV-XV სს. ქართულ დიპლომატიაში. ქართული დიპლომატია. წელიწდეული. 2. თბ. 1995, გვ. 206.

ალიმში მოღვაწე ქართველებსა მათ მონასტრებზე საუბრისას. ის ხშირად ასახელებს ანგარიშში ჩამოთვლილ ქართულ მონასტრებს, მაგრამ არც ერთ მათგანს არ თვლის ბერძნების მიერ ქართველებისათვის ბოძებულად, პირიქით, აღნიშნავს ქართველებმა რომელი მონასტერი აჩუქეს ბერძნებს. ანგარიშში ჩამოთვლილი მონასტრები, გარდა წმ. იაკობის მონასტრისა, ის მონასტრებია, რომლებიც ბერძნების ხელში აღმოჩნდა XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნაზე. ბერძნებს წმ. იაკობის მონასტრის დაუფლებაც უნდოდათ, მაგრამ სომხებმა იმარჯვეს. ამის შემდეგ, ალბათ, გასაგებია, როდის და რა მიზნით შეიქმნა „ოფიციალური“ ანგარიში. ბერძენ ისტორიკოსებს სურდათ დაემტკიცებინათ იერუსალიმის ორთოდოქსული საპატრიარქოს მიერ ქართული მონასტრების თავის იურისდიქციის ქვეშ მოქცევა და ამ მოქმედების კანონიერება.

ამგვარად, 1200-1308 წლების იერუსალიმის საპატრიარქოს „ოფიციალური“ ანგარიში ვერ გამოდგება იმის დასამტკიცებლად, რომ ქართული ეკლესია იერუსალიმის საპატრიარქოსთან ერთად გამოდიოდა ლიონის უნიის წინააღმდეგ.

გვაქვს პაპ ნიკოლოზ IV-ის 1289 წლის ორი ეპისტოლე (7 და 11 ივლისი), რომლის ადრესატები არიან საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი და საქართველოს ორი მეფე – დემეტრე და დავითი. ამ დროს კათალიკოს-პატრიარქი იყო (ეპისტოლეში აღნიშნული არ არის მისი სახელი) აბრაჰამ I (1282-1310), რომელსაც მინორიტების მონაზონ ივანე მონთეკორბინოს ხელით პაპისათვის ეპისტოლე გაუგზავნია. სამწუხაროდ, არ ვიცით, რას სთხოვდა პატრიარქი პაპს, რის სამაგიეროდაც, როგორც პაპის ეპისტოლედან ჩანს, ის ქართველებისგან რომის ეკლესიასთან შეერთების აუცილებლობაზე სწერს: *„ამიტომ იესო ქრისტეს მიერ მამობრივის სიყვარულით გიწვევთ და შეგაგულიანებთ დასაცველად კათოლიკე სარწმუნოებისა, რომელიც, როგორც უკვე ვსთქვით, აღიარებს რომის ეკლესია. სძლიეთ ყოველ სიძნელესა, რაც კი მასთან* (რომის ეკლესიასთან – ე.მ.) *შეერთების დროს გაგიჩნდესთ, გულმოდგინებით მოისწრაფეთ, ნებით და დაუყოვნებლივ მომართეთ მზნედ მოუახლოვდით და ეცადეთ სხვების მოზიდვასაც... თქვენის მაგალითით ბევრს შემოუერთებთ, ვინაიდან უწყით, რომ ქვეშევრდომნი ადვილად მიჰბაძვენ თავიანთი მწყემსების მაგალითსა. იმედი გვაქვს და დარწმუნებულიც ვართ, ჩვენი სურვილი კარგად დააკმაყოფილოთ და თქვენი ერი წარმართოთ ერთობის გზასა...“*.[25] პაპს პატრიაქისათვის ლათინთა სარწმუნოების მუხლებიც გამოუგზავნია, რომელიც დარ-

[25] მ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. ტფ. 1902, გვ. 20.

თული ყოფილა წერილის ბოლოს, მაგრამ მ. თამარაშვილს მათი საჭიროება ვერ დაუნახავს და ეპისტოლეს თარგმანში გამოუტოვია.

რაც შეეხება პაპ ნიკოლოზ IV-ის მეორე ეპისტოლეს, მისი ადრესატები არიან – დემეტრე I და დავით VI ნარინი. როდესაც ეპისტოლემ საქართველომდე მოაღწია (ეპისტელე დაწერილია 1289 წ. 11 ივლისს), ამ დროისათვის დემეტრე უკვე მოწამებრივად იყო აღსრულებული.

მეფეებისათვის განკუთვნილი ეპისტოლეც განმსჭვალულია ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ლათინურ ეკლესიასთან შეერთების მოწოდებით: *„რადგან კათოლიკე სარწმუნოება, რომელსაც აღიარებს და ასწავლის რომის ეკლესია, ამზადებს ზეცის გზასა და ულებს ცხოვრების კარსა მორწმუნეთა, ამიტომ იესო ქრისტეს სახელით გულმოდგინედ შევაგულიანებთ და ვიწვევთ თქვენს ხელმწიფებას, რათა მიაქციოთ ყურადღება უფალს... დაიცვათ სარწმუნებით ქრისტეს სხეული, გულმხურვალებით და მართლმკვეთელობით განაგრძოთ ეკლესიის ერთობა“*:[26]

პარადოქსულად ჟღერს, მაგრამ ფაქტია, რომ ე.წ. მონღოლთა ბატონობის პერიოდში საქართველო ხასიათდება შედარებითი სტაბილურობითა და სამხედრო ძლიერებით. მიუხედავად იმისა, რომ იგი მონღოლთა შემოსევებმა დაშალა და წარმოიშვა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამეფოები და ერთი მსხვილი სამთავრო სამცხეში. ამ პერიოდში დასავლეთი ევროპა, უპირატესად პაპის კურია, საქართველოს მიიჩნევს, როგორც პოტენციურ მოკავშირეს ისლამის ქვეყნებთან თავისი პრობლემების მოსაგვარებლად.მათთვის კარგად იყო ცნობილი, რომ ქართული სახელმწიფო ჯერ კიდევ XI ს. დასასრულიდან, ყოველთვის მზადყოფნას აცხადებდა დასავლეთთან ერთად მონაწილეობა მიეღო საერთო ქრისტიანული პრობლემების გადაწყვეტაში.

ამ პერიოდში ნათლად გამოჩნდა საქართველო-რომის ინტერესთა სხვადასხვაობა. საქართველოს სამეფო კარს რომის საშუალებით სურდა დასავლეთში სამხედრო-პოლიტიკური მოკავშირე შეეძინა, მაგრამ მიზნის განხორციელებისას ***ქართველი პოლიტიკოსებისა და დიპლომატების უმთავრესი საზრუნავი ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობისა და თვითმყოფადობის ხელუხლებლად შენარჩუნება იყო.*** რომში ესმოდათ ქართველი სახელმწიფო მოღვაწეების საგარეო-პოლიტიკური კურსი და ამიტომაც სამხედრო-პოლიტიკური დახმარების წინა პირობად სამეფო ხელისუფლებისა და ეკლესიისაგან

[26] მ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 19.

კათოლიკობისა და პაპის უზენაესობის აღიარებას მოითხოვდნენ. ასეთი მოთხოვნა რელიეფურად ჩანს პაპის, ნიკოლოზ IV-ის 1291 წლის ეპისტოლეში, როდესაც ჯვაროსანთა უკანასკნელი დასაყრდენის აკრას დაცემის შემდეგ, რომის პაპი და მისი სახით დასავლეთი ევროპა დაინტერესებულია ქართული სამხედრო ძალის გამოყენებით. პაპის განზრახვაა გამოაცოცხლოს ჯვაროსნული ომი ახლო აღმოსავლეთში.

1291 წ. 13 აგვისტოს პაპმა ნიკოლოზ IV-მ სპეციალური წარმომადგენლები – ორი მინორიტი – გულიელმო დე კიერი და მატეო და კიეტი თავისი ეპისტოლეებითა და სარეკომენდაციო წერილებით გაგზავნა აღმოსავლეთის მთელ რიგ მბრძანებლებთან: ტრაპიზონის იმპერატორთან, ილხან არღუნთან, კილიკიის სომხეთის მეფესთან, ბიზანტიის იმპერატორთან და საქართველოს მეფეებთან. პაპი მათ მოუწოდებდა შეერთებოდნენ იმ ჯვაროსნულ ლაშქრობას, რომელიც მზადდებოდა მუსლიმების მიერ აკრის აღების შემდეგ.[27]

პაპის მიერ გაგზავნილი წერილები საქართველოს მეფეებისათვის – დემეტრესა და დავითისათვის უნდა გადაეცათ გვილელმო ხერიოელსა და მათე თიათინელს, მინორიტების წესის მონაზონებს, რომლებსაც დავალებული ჰქონდათ, აგრეთვე, სიტყვიერად მოეხსენებინათ მეფეებისათვის პაპის აზრი განზრახული საქმის შესახებ.

ეპისტოლეში იყო მოწოდება: *„იესო ქრისტეს სახელით და მისი პატივისათვის შევაგულიანებთ, ვთხოვთ და ვევედრებით თქვენს უმაღლეს ხელმწიფებას, ვითარცა ღვთის საყვარელს შვილსა, რათა თქვენც მიიღოთ მონაწილეობა ხსენებულ საქმეში, განეძადოთ მთელის თქვენის სამეფოთი და ქვეშევრდომებით და, ესრეთ თქვენის ცდით და ეგრეთვე სხვა კათოლიკე მეფეების დახმარებით, კეთილად და ბედნიერად დაბოლოვდეს ეს საქმე, ღვთის სადიდებლად“*.[28]

ა. ბრაიერის მიერ დამოწმებული წერილი შედგენილია 13 აგვისტოს, ზემოთციტირებული კი 1 სექტემბერს. უნდა ვივარაუდოთ, რომ გულიელმო დე კიერი და მატეო და კიეტი იყვნენ აღმოსავლეთში გაგზავნილი დელეგაციის საერთო ხელმძღვანელები, სხვა წევრებს კი განაწილებული ჰქონდათ ზემოჩამოთვლილი ქვეყნები და ისინი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მოგზაურობდნენ. მათთვის მიცემული დავალებებიც განსხვავდებოდა ამა თუ იმ ქვეყნის თავისებურებების გათვალისწინებით.

---

[27] A. Bryer. Trebizond and Rome. Αρχείον Πόντου. t. 26. 1964, გვ. 295; С. Г. Карпов. История Трапезундской империи. СПб. 2007, გვ. 320.

[28] მ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 21.

ბუნებრივია ჩნდება კითხვა: რა შედეგი შეიძლებოდა ჰქონებოდა პაპების მიერ ქართველი მეფეებისათვის გაგზავნილ ზემოაღნიშნულ ეპისტოლეებს? მონღოლების მიერ დაპყრობილ აღმოსავლეთ საქართველოს (ლიხთამერი) სამეფო ხელისუფლება იმდენად იყო შთანთქმული ჯერ ოქროს ურდოსთან, შემდეგ ილხანთა სახელმწიფოსთან ურთიერთობაში თავისი სტატუსის საკითხის გარკვევით, გადასახადების სიმძიმის შემსუბუქებით და დამპყრობლის დაპყრობით ომებში მონაწილეობით, რომ მას არც დრო და არც შესაძლებლობა ჰქონდა მონაწილეობა მიეღო რომის მიერ დაგეგმილ იმ პოლიტიკურ და სამხედრო აქციებში, რომლითაც იგი ილხანების ახლოაღმოსავლური პოლიტიკის კონკურენტობის სურვილს ამჟღავნებდა.

XIII ს. მიწურულიდან მონღოლთა გავლენის შესუსტების კვალობაზე თანდათანობით აქტიურდებოდა აღმოსავლეთ საქართველოს საგარეო პოლიტიკური ინტერესები და მისი დიპლომატიური უზრუნველყოფა.

ცნობილი დოკუმენტები, რომლებიც XIII-XIV საუკუნეების რომისა და საქართველოს დიპლომატიურ ურთიერთობას ასახავს, ამჟღავნებს საინტერესო ტენდენციებს:

1. **როდესაც ქართველები რაიმე თხოვნით მიმართავენ პაპს, ამ უკანასკნელის პასუხში აუცილებლად ჩნდება ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნა: მართლმადიდებლური ქართული ეკლესია შეუერთდეს რომის კათოლიკურ ეკლესიას და აღიაროს პაპის პრიმატი.**
2. **როდესაც პაპს თვითონ აქვს სათხოვარი, ეპისტოლეებში ასეთ მოთხოვნა ქრება და აქცენტი გადატანილია საქართველოდან სამხედრო დახმარების მიღებაზე. ეს ტენდენცია გამოკვეთილად ძლიერდება შემდგომი პერიოდის მიმოწერაში.**
3. **XIII-XIV საუკუნეებში, განსხვავებით შემდეგი პერიოდისგან, ქართველები როგორც გაცნობილი წყაროებიდან შეიძლება დავასკვნათ, პაპებს არ ჰპირდებიან, რომ ქართველები კათოლიკობას მიიღებენ და ქართული ეკლესია კათოლიკურ ეკლესიას შეუერთდება.**

Eldar Mamistvalishvili

GEORGIA AND THE HOLY SEE IN THE SECOND HALF OF THE 13th CENTURY

Summary

After the restoration of the Byzantine Empire (1261), the Emperor Michael Palaeologus asked the Pope to help to defend his weak state from the Turkish and Bulgarian attacks, and in return, he offered to unite the Eastern and Western churches. In order to solve the important issue, the Pope convened an ecclesiastical council in Lyon in 1274. The Union of Lyon was recognized, but the Byzantine Orthodox Church opposed it. As it is clearly seen from the sources, the Georgian Church and the number of monasteries, together with the Georgian Monastery of Iveron at the monastic state of Mount Athos were also against the Union. That is why, the Latins killed the old monks, and the young ones were sold to Italy as slaves.

We have two epistles of Pope Nicolas IV from July 7 and 11, 1289, where the Pope asks Georgians to unite with the Roman Church.

In the discussed period, the difference of Georgia and the Holy See interests is vividly seen. The Georgian royal court wished to get a military and political ally in the West with the help of Rome, but Georgian political figures and diplomats wished to reach the goal without losing the independence and originality of the Georgian Church.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება.
შოთა მესხია – 100
თბილისი. 2016

კახა კვაშილავა

გიორგი XI სპარსეთში (1700-1709). ბრძოლა საქართველოსათვის

XVIII საუკუნის დასაწყისი სპარსეთისათვის მეტად რთული აღმოჩნდა. შაჰ აბას I დიდის მეცადინეობით და ძალადობით გაძლიერებულმა სეფიანთა იმპერიამ მის გარდაცვალებასთან ერთად დასუსტებადაცემა დაიწყო. ქვეყანა მძიმე ეკონომიკურ და პოლიტიკურ კრიზისს განიცდიდა და ამიტომ სპარსეთის შემდგომი შაჰებისათვის იმპერიის ერთიანობის შენარჩუნება ადვილი საქმე არ იყო.

ბუნებრივია, სეფიანთა იმპერიაში სეპარატიზმისა და სეცესიის პროცესები, რაც, არსებითად, სპარსელთა მიერ დაპყრობილ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას წარმოადგენდა, განსაკუთრებით ქვეყნის განაპირა რაიონებში გააქტიურდა. ამ მხარეებში, ძირითადად, ქართველები, სომხები, დაღესტნელები, ქურთები, ავღანელები და თურქმანები ცხოვრობდნენ, რომლებიც სპარსელთაგან ორმაგი სახის ჩაგვრას განიცდიდნენ: რელიგიური (რაც შუა საუკუნეებში, იმავდროულად, ეთნიკურობასაც გულისხმობდა) და ეკონომიკური.

ეს ვითარება საქართველოშიც მშვენივრად შენიშნეს. ამიტომ ქართლის სამეფოს მესვეურებმა XVII ს. უკანასკნელ მეოთხედში განსაკუთრებით ცხოველი მუშაობა გააჩაღეს სპარსული უღლის მოსაშორებლად. ეს ქართული პოლიტიკური ერთეული, რომელიც ეკონომიკურად და კულტურულად წინ მიდიოდა, რაც მის გავლენას მეზობელ ქართულ სამეფო-სამთავროებზე ზრდიდა, ანტიირანული ბრძოლის სათავეში იდგა.[1] ქვეყანაში ანტიმაჰმადიანური პროპაგანდა გაჩაღდა, ქრისტიანობის ანუ „ქართველობის“ დასაცავად.[2]

ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა გიორგი XI ანუ გურგინ ხანი, რომელსაც გამუსლიმების შემდეგ ქართლის მეფობა მისცეს. გიორგის სპარ-

[1] ნ. ბერძენიშვილი. ბრძოლა ქართლ-კახეთის დამოუკიდებლობისათვის. საქართველოს ისტორიის საკითხები. წ. VI. თბ. 1973, გვ. 276.

[2] ვ. გაბაშვილი. ვახუშტი ბატონიშვილი. თბ. 1969, გვ. 15.

სეთის ხელმწიფისათვის ურჩობის გამოხატვასაც კი არ ერიდებოდა.[3] როგორც იეზუიტი ბერი თ. კრუშინსკი აღნიშნავდა, ქართლის მეფე ცდილობდა ესარგებლა სპარსეთის გარკვეული დასუსტებით და აღედგინა მისი სახელმწიფოს სრული სუვერენიტეტი.[4] ვახუშტის დახასიათებით, ის იყო *„მკნე, ახოვანი, ენატკბილი, უხჳ და მრისხანე, მოისარ-მოასპრეზე უებრო“*.[5] ქართლის მეფე საკმაოდ მტკიცე ხასიათის პოლიტიკოსი იყო, რომელსაც საქართველოს დამოუკიდებლობა და გაერთიანება მიზნად ჰქონდა დასახული. შესაბამისად, გიორგი, ბუნებრივია, ვერ ეგუებოდა დიდებულთა ცენტრიდანულ ტენდენციებს.[6]

უკვე თითქმის ერთი საუკუნე იყო გასული, რაც კავკასიით რუსეთის სახელმწიფოც დაინტერესდა.[7] მართალია, რეგიონში პოზიციების დასაჭერად მისი შემართება ჯერ კიდევ საკმაოდ სუსტი იყო, თუმცა ამ მიმართულებით არც მისი უშუალო მოწინააღმდეგეებიც – ოსმალეთი და სპარსეთი – იმყოფებოდნენ ძლიერების ზენიტში. ამასთან, იმ ხანად, როგორც გ. ჟორჟოლიანი შენიშნავს, საქართველოსათვის *„საყრდენ ძალას არც ევროპის ქვეყნები წარმოადგენდნენ“*.[8] ამიტომ, გასაგებიცაა, რომ რთული საგარეო და საშინაო მდგომარეობიდან გამომდინარე, მისი უფროსი ძმის, არჩილ II-ს მსგავსად, გიორგიც ქვეყნის ხსნას ერთმორწმუნე რუსეთისგან ელოდა.[9] მან 1687 წელს მოსკოვში, არჩილთან ერთად, ელჩობა მიავლინა.[10]

---

[3] გ. ჯამბურია. ვახტანგ V დასავლეთ საქართველოს გაერთიანების ცდები. ფეოდალური ანარქია დასავლეთ საქართველოში (60-90-იანი წლები). საქართველოს ისტორია ოთხ ტომად (უძველესი დროიდან XX საუკუნიდან). ტ. III. საქართველო XIII საუკუნიდან XIX საუკუნემდე. თბ. 2012, გვ. 256.

[4] The History of the Late Revolutions of Persia: Taken from the Memoirs of Father Krusinski, Procurator of the Jesuists at Ispahan. Done Into English, from the Original, Just Published with the Royal License at Paris by Father Du Cerceau. In Two Volumes. Vol. I. The Second Edition. London. 1733, გვ. 150.

[5] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით. ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 457.

[6] ლ. მენაბდე. ვახტანგ VI. დიდი ქართველები. ტ. VI. თბ. 2011, გვ. 12.

[7] კ. კვაშილავა. ისტორიული სამურზაყანოს წარსულიდან. XVII-XVIII საუკუნეების მიჯნა - 1840 წელი. თბ. 2011, გვ. 102; კ. კვაშილავა. საქართველო რუსეთ-ოსმალეთის დაპირისპირებაში XVIII საუკუნის I მესამედში. საქართველო და თურქეთი: კულტურულ ურთიერთობათა ისტორია, დღევანდელობა და პერსპექტივები. აპმედ ოზჩან მელაშვილის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის მასალები. არქიმანდრიტ ადამ ახალაძის საერთო რედაქციითა და წინასიტყვაობით. თბ. 2012, გვ. 199; კ. კვაშილავა. საქართველო რუსეთ-ოსმალეთის დაპირისპირებაში XVIII საუკუნის I მესამედში, წგნ.: კ. კვაშილავა. ეტიუდები აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიიდან. თბ. 2013, გვ. 9.

[8] გ. ჟორჟოლიანი. საქართველო XVII საუკუნის 30-50-იან წლებში (ქართლ-კახეთი). თბ. 1987, გვ. 9.

[9] თ. ტიკაძე. საქართველო და რუსეთ-ირანის პოლიტიკური ურთიერთობა XVII საუკუნის მეორე ნახევარში. თბ. 1977, გვ. 177-178.

[10] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 460.

კავკასიის გადაღმა ქართველი ძმები-მეფეების ცქერამ ძმებს ვერანაირი სარგებელი ვერ მოუტანა. მ. ქიქოძის სამართლიანი შენიშვნით, *„რუსეთი, თავის მხრივ, დაპირებებით აკვებდა ქართველ პოლიტიკოსებს, მაგრამ გასათვალისწინებელი იყო, რომ რუსეთი ირან-თურქეთთან ურთიერთობის დაპირისპირებას მოერიდებოდა და ამდენად დაპირებები შეუსრულებელი რჩებოდა“*.[11]

გიორგი მეფის ანტისპარსულ პოლიტიკას იმდროინდელ საფრანგეთში, კერძოდ კი – პარიზში, თვალყურს ადევნებდნენ. ამას მოწმობს სახელგანთქმული და პოპულარული პარიზული ჟურნალის *"Gazette de France"*-ს 1680-1692 წლების მასალები, რომელშიც ამ გამოცემის მკითხველს (სამეფო კარი და განათლებული წრეები) ქართლში მიმდინარე სამხედრო და პოლიტიკური პროცესები საკმაოდ დაწვრილებით იყო გადმოცემული.[12] საბოლოოდ, ქართლის მეფემ, მისი აქტიური ანტისპარსული პოლიტიკის გამო, ოფიციალური ისპაჰანის რისხვაც დაიმსახურა. როგორც ნ. ბერძენიშვილი შენიშნავდა, *„შაჰი ჩქარა დარწმუნდა, რომ გიორგი ქართლის მეფე კიდევ უფრო ნაკლებად აპირებდა ირანის მორჩილებას, ვიდრე შაჰნავაზი“* (იგულისხმება ვახტანგ V – კ.კ.).[13]

გიორგიმ აჯანყება წამოიწყო და საამისოდ სათანადო მოლაპარაკებებიც აწარმოა კახელებთან, მაგრამ ბოლო წუთს შინაგამცემლობამ ეს წამოწყება ჩაშალა.[14] ამჯერად უკვე წინააღმდეგობის გაწევას ნამდვილად აზრი აღარ ჰქონდა: *„სჯა ღონე აღარ იყო“*, გვამცნობს მემატიანე.[15] გიორგი XI კი მაინც ჯიუტად განაგრძობდა ქართლისათვის ბრძოლას. ქართველთა შეუთანხმებლობამ და შინაომმა მძიმე დარტყმა მიაყენა სამშობლოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლ მეფეს და, საბოლოოდ, მაინც ის 1697 წელს იძულებული გახდა ბრძოლა შეეწყვიტა და ისპაჰანში აწ უკვე ახალ შაჰ სოლთან-ჰოსეინთან გამგზავრებულიყო.[16] როგორც თ. ჭიჭინაძე ფიქრობს,

---

[11] მ. ქიქოძე. გიორგი XI-ს მოღვაწეობა და თ. კრუზინსკის ცნობების მის შესახებ. ანალები. №1, 2000, გვ. 34-35.

[12] ამის შესახებ დაწვრილებით იხილეთ ლუიზიანას შტატის (აშშ) უნივერისტეტის პროფესორ ალ. მიქაბერიძის ინტერვიუ (საქართველო XVII საუკუნის ფრანგულ პრესაში. ჟურნ.: „ისტორიანი“. დეკემბერი. 2014, გვ. 51).

[13] ნ. ბერძენიშვილი. ბრძოლა ქართლ-კახეთის დამოუკიდებლობისათვის, გვ. 280.

[14] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 461; თ. კრუშინსკის ცნობით, სპარსელებმა შეძლეს ქართლის დიდგვაროვნების მოსყიდვა, რომლებმაც ამის შემდეგ მეფის მხარდაჭერა მიატოვეს (The History of the Late Revolutions of Persia. Vol. I, გვ. 150).

[15] სეხნია ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება. ქართლის ცხოვრება. დასაბამითგან მეათცხრამეტე საუკუნემდის. ნაწ. II: ახალი მოთხრობა, 1469 წლიდგან, ვიდრე 1800 წლამდე. გამოცემული მ. ჩუბინოვისაგან. სანქტ-პეტერბურღი. 1854, გვ. 309.

[16] გ. ჯამბურია. ვახტანგ V და საქართველოს გაერთიანების ცდები, გვ. 257.

ირანის ახალ მმართველს ურჩიეს გიორგისთან შერიგება და არც ეს უკანასკნელი უნდა ყოფილიყო ახალ შაჰთან ურთიერთობის მოწესრიგების წინააღმდეგი.[17] პორტუგალიელი გრეგორიუ პერეირა ფიდალგუს ცნობით, 1697 წ. მარტში გიორგი 50 მხედრის თანხლებით ისპაჰანს გაემგზავრა.[18]

ამიერიდან გიორგი XI ველარ დაუბრუნდება სამშობლოს, რომლის თავისუფლებისთვის ბრძოლას საკუთარი თავი და საკუთარი შვილიც კი შესწირა. ასეთივე ბედი ეწევა მთელს მის საახლობლოს (ძმები – ალექსანდრე, ლუარსაბი, ლევანი; ძმისშვილები: ალექსანდრე ლუარსაბის ძე და ლევანის შვილები: ქაიხოსრო და როსტომი), რომელიც ბედმა იმ ხანებში ირანში ჩაიყვანა.

სპარსეთის ახალი მმართველის დროს კიდევ უფრო გაღრმავდა ქვეყნის შინაგანი კრიზისი. ის მამამისზე მეტად სუსტი მონარქი აღმოჩნდა. ირანელი მეცნიერის რიზა შა'ბანის შენიშვნით, სოლთან-ჰოსეინი სუსტი და უნებისყოფო ადამიანი იყო.[19]

სპარსეთში ჩასული გიორგი დიდი საჩუქარი იყო შაჰისათვის, რადგან ისპაანში კარგად უწყოდნენ, რომ ქართლის ვალის პოზიციების განმტკიცება მის სამკვიდროში სეფიანთა სახელმწიფოსათვის საკმაოდ საშიში იყო. როგორც მ. ხუბუა შენიშნავს, *„სეფიანთა დინასტიის მესვეურებს ძალიან კარგად ჰქონდათ წარმოდგენილი, თუ რაოდენ საშიშ ძალას წარმოადგენდნენ აღორძინებული საქართველოს შვილები, მზნეობითა და სამხედრო ნიჭიერებით აღჭურვილნი, უკეთუ ისინი მტრულად იქნებოდნენ განწყობილი შაჰის მიმართ. განსაკუთრებით საშიში უნდა ყოფილიყო ასეთი მხედრობა, თუ მას სათავეში ჩაუდგებოდა მეფე გიორგი,...როგორც იშვიათი სამხედრო ნიჭიერებითა და საოცარი მზნეობით აღჭურვილი პიროვნება“*.[20]

სწორედ მისი ამ დიდი გავლენის შედეგი იყო ის, რომ შაჰმა ერეკლე I ნაზარალიხანს გიორგის მომხრეთათვის მათი მამულების დაბრუნება უბრძანა.[21] ამით ოფიციალური ისპაჰანი, თავის მხრივ, გეგმავდა შეესუსტებინა ქართლში

[17] თ. ჭიჭინაძე. უცხოელი ავტორები საქართველოსა და საქართველო-ირანის ურთიერთობის შესახებ (XVII ს. უკანასკნელი მეოთხედი - XVIII ს. I მეოთხედი). თბ. 1983, გვ. 44.

[18] R. Matthee. Gorgin Khan. Encyclopaedia Iranica. Edited by Ehsanyarshater. Center for Iranian Studies. Vol. XI. Columbia University. New York. 2003, გვ. 164 (http://www.iranicaonline.org/articles/gorgin-khan).

[19] Р. Ша'бани. Краткая история Ирана. СПб. 2008, გვ. 213.

[20] მ. ხუბუა. ქართულ-ირანული ურთიერთობიდან. აკადემიკოსს ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის 40 წლისთავზე (1899-1939). აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე. ტ. V-VI. თბ. 1940, გვ. 240-241.

[21] სეხნია ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება, გვ. 312.

არსებული ნაზარალიხანის ოპოზიცია, რომელიც გიორგისადმი ერთგულებას ინარჩუნებდა.

ისპაჰანში თავი მოიყარა ქართველთა ძალიან დიდმა რაოდენობამ – 600 ადამიანი,[22] რამაც სპარსელები ძალიან დააფიქრა. ქართველთა ასეთი რაოდენობა, ბუნებრივია, გარკვეული დესტაბილიზაციის საფრთხე იყო. ამიტომ შაჰმა ნაწილი ქართლში გაისტუმრა, ნაწილი კი – გაამაჰმადიანა.[23] როგორც ჩანს, ამის შემდეგ ირანში დარჩენილები სხვადასხვა თანამდებობებზე განამწესეს. თუმცა, სპარსეთში გადასახლებულ-ჩასახლებულ ქართველთა ყოფა-ცხოვრება ადვილი არ იყო.[24] მიუხედავად ამისა, ქართველები ძალიან დიდი გავლენით სარგებლობდნენ ირანში.[25]

სოლთან-ჰოსეინის გარემოცვას გიორგის იმპულსური და ფიცხი ხასიათიც აფიქრებდა.[26] მიუხედავად გიორგის მარცხისა, ქართლის დამშვიდება მაინც შეუძლებელი გახდა. ამას ამძაფრებდა ყიზილბაში მეციხოვნეებით ზურგგამაგრებული ერეკლე I-ს სუსტი პოზიციები ქართლში, რაც მის ოპოზიციას კიდევ უფრო ზრდიდა ადგილობრივი მოსახლეობის ყველა ფენაში.[27] ბუნებრივია, ირანში დაასკვნეს, რომ გიორგის დატოვება საქართველოს სიახლოვეს, სპარსეთის ინტერესებისათვის მიზანშეწონილი ნამდვილად არ იყო. ლათინი მისიონერის ამადეო ბრეშელის 1698 წლის რელაციიდან ჩანს, რომ გიორგის ჯერ კიდევ ეიმედებოდა სამშობლოში დაბრუნება.[28]

ამიტომ, ბუნებრივია, გადაწყდა მისი და მასთან მყოფი ქართველების სამხედრო ნიჭი, *„ლომგულობა“*[29] ირანის სასარგებლოდ გამოეყენებინათ და *„დაუძახა მეფეს გიორგის ხელმწიფე-მან* [შაჰ სოლთან-ჰოსეინი], *ქორონიკონს ტკპზ, გიორგობის-თვის კ* [1699წ. 20 ნოემბერი],... *დახუდა მოციწარითა პირითა, დაისვა ახლოს თავისა და ... უბოძა ქირმანის ბეგლარ-ბეგობა და დაარქვა სახელი მამისა, შაჰნაზ* [შაჰნავაზ II]*“*.[30] გიორგისათვის ქართლის ჩამო-

[22] სეხნია ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება, გვ. 313.
[23] სეხნია ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება, გვ. 313.
[24] ზ. ჭიჭინაძე. ქართველები სპარსეთში. საქართველოში მოსული სპარსელი ქართველი ათამონიკაშვილი. თბ. 1895, გვ. 33.
[25] R. Mathee. Administrative Stability and Change in Late-17th-Century Iran: The Case of Shaykh 'Ali Khan Zanganah (1669-89). International Journal of Middle East Studies. Vol. 26. No. 1 (Feb. 1994). Cambridge University Press, გვ. 87.
[26] R. Matthee.Gorgin Khan, გვ. 163-165.
[27] გ. ჯამბურია. ვახტანგ V და საქართველოს გაერთიანების ცდები, გვ. 257.
[28] თ. ნატროშვილი. მაშრიყით მაღრიბამდე. ხელახალი გამოცემა. თბ. 1991, გვ. 452.
[29] სეხნია ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება, გვ. 316.
[30] სეხნია ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება, გვ. 313.

შორება ირანის სახელმწიფო იერარქიის თვალსაზრისითაც დაქვეითებას წარმოადგენდა, რადგან ვალის თანამდებობა, რომელიც მას ამ სისტემაში ეჭირა, ბეგლარბეგზე მაღალი იყო.[31]

XVIII საუკუნის დასაწყისში ქერმანის ბეგლარბეგობა ძალიან რთული თანამდებობა იყო. ეს იყო რთული რეგიონი როგორც ეთნიკური, ისე – რელიგიური შემადგენლობითაც. სპარსელების გარდა, იქ ცხოვრობდნენ, ქურთები და, ასევე, ცეცხლთაყვანისმცემლები (ზოროასტრები), რომელთაც ისლამი ურწმუნოებად მიიჩნევს.[32] ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ამ დროს ირანი აჯანყებების ქარ-ცეცხლში იყო გახვეული და ეს პროცესი განსაკუთრებით მძიმედ სწორედ სპარსეთის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილებში ვითარდებოდა.

ქერმანი უშუალოდ ესაზღვრებოდა მაქრანის (მოქრანის) პროვინციას, რომელიც ბელუჯთა სამოსახლოს – ბელუჯისტანის – სამხრეთ ნაწილსაც მოიცავდა.[33]. ეს ხალხი კი, მონათესავე და ერთმორწმუნე[34] ავღანელ ტომებთან ერთად, აჯანყებული იყო სპარსეთის წინააღმდეგ: *„ქერმანის ქვეყანა ბელუჯთაგან აოხრებულიყვნენ“*.[35] 1698 წელს ბელუჯები, მირ ხოსრო შაჰის მეთაურობით, თავს დაესხნენ სპარსეთის აღმოსავლეთ პროვინციებს.[36] ვახუშტი უფრო აკონკრეტებს: *„ხოლო რაჟამს აღდგნენ ბულუჯ*[37]*-ა ზარანი*[38] *და აღანნი, ესენი მეკობრობით არბევდნენ ქერმანით იეზდამდე..“*.[39] ისინი თავისუფლად არბევდნენ და ძარცვავდნენ ქერმანისა და იეზდის პროვინციებს.[40] ბელუჯთა საკმაოდ აქტიური ანტიირანული ქმედებები დიდ მოღოლთა მიერ

---

[31] დ. კაციტაძე. ირანის ისტორია. III-XVIIIსს. თბ. 2009 გვ. 454.

[32] R. Matthee. Kerman. VII: In the Safavid Period. Encyclopaedia Iranica (http://www.iranicaonline.org/articles/kerman-07-safavid-period).

[33] R. Matthee. Kerman. VII: In the Safavid Period...; C. E. Bosworth. Makrān. Encyclopaedia Iranica (http://www.iranicaonline.org/articles/makran).

[34] ბელუჯებიც, ავღანელების მსგავსად, მიეკუთვნებიან სუნიტური ისლამის ჰანაფიტურ მაზჰაბს (В. Бояджян. Афганский элемент в белуджских племенах. Iran and the Caucasus. Research Papers from the Caucasian Centre for Iranian Studies. Edited by G. Asatrian. Vol. 1. Yerevan-Tehran, 1997, გვ. 82).

[35] სეხნია ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება, გვ. 314.

[36] გვ. 214, **مولیانی ،سعید** جایگاه گرجی ها در تاریخ وفرهنگ و تمدن ایران

[37] ბელუჯები.

[38] ხაზარეველები (Hazbra) – მონღოლური და ირანული წარმოშობის სპარსულენოვანი ხალხი.

[39] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 476.

[40] D. M. Lang. Georgia and the Fall of Safavi Dynasty. Bulletin of Shool of Oriental and Africa Studies. University of London. Vol. 14. #3. Studies Presented to Vladimir Minorsky by His Colleguaes and Friends. 1952, გვ. 527.

იყო მხარდაჭერილი.[41] თუმცა, ბელუჯების თავდასხმები ირანისთვის ახალი არ იყო. ჯერ კიდევ X საუკუნის II ნახევარში სახელოვანმა ბუიდმა შანაჰ-შაჰმა აზუდ ად-დოულე ფენა ხოსროვმა (949-983) დაამარცხა ბელუჯები, რის შემდეგაც ამ უკანასკნელებმა კარგა ხნით ხელი აიღეს რეგიონის დარბევასა და ქარავნების ძარცვაზე.[42]

ქერმანში მშვიდობის დამყარება და რეგიონის უსაფრთხოებას სხვა მხრივაც ჰქონდა დიდი მნიშვნელობა. ამ რეგიონს მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებელი მოჰქონდა სეფიანთა სახელმწიფოსათვის. კერძოდ, ევროპაში დიდი გასავალი ჰქონდა ქერმანულ მატყლს და ძვირადაც ფასობდა.[43] ეს ვაჭრობა განსაკუთრებით XVIIს. შუახანებიდან გააქტიურდა და ჟან ბატისტ ტავერნიესაც კი შეუძენია ქერმანში ადგილობრივი მატყლი.[44] ქერმანში არასტაბილური ვითარება ზიანს აყენებდა როგორც მატყლით ვაჭრობას (პროდუქციაზე ფასები ეცემოდა),[45] ასევე, ბუნებრივია, სახაზინო შემოსავალიც მცირდებოდა. ირანის სამხედრო პოტენციალი უსუსური აღმოჩნდა ამ პრობლემის საკუთარი ძალებით მოსაგვარებლად. როგორც დ. ლენგი შენიშნავს, ვერცერთმა სპარსელმა გენერალმა ვერ შეძლო ირანის აღმოსავლეთ საზღვრებთან წესრიგის აღდგენა.[46] ამიტომ ქართლის მოუსვენარი მეფის მთელი ენერგია, ისპაჰანის კარის გადაწყვეტილებით, ამ პრობლემის მოგვარებას უნდა მოხმარებოდა.

გიორგიმ, რომელიც *„საქართველოს პატრონი იყო“*,[47] უარი თქვა ამ „წყალობაზე“, რადგან ირანის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეში მდებარე ამ ქალაქამდე ისფაჰანიდან 20 დღის სავალი იყო.[48] სამშობლოს საზღვრებიდან საკმაოდ მოშორებულს კიდევ უფრო შორს წასვლა არ უნდოდა ერთი-ერთი ირანული პროვინციის ბეგლარბეგად დანიშნულ ქართლის მეფეს. თუმცა, როგორც

[41] M. Sicker. The Islamic World in Decline: From the Treaty of Karlowitz to the Desintegration of the Ottoman Empire. Greenwood Publishing Group. 2001, გვ. 43.

[42] В. В. Бартольд. Работы по исторической географии и истории Ирана. Подготовили к изданию Е. В. Зеймель и В. А. Лившиц. Ответсвтенный редактор И. П. Петрушевский. М.. 2003, გვ. 141.

[43] R. Matthee.The East India in Kerman Company Trade Wool. 1658-1730. Etudes Safavides. Sous la direction de J. Calmard. Institute Française de recherche en Iran. Paris-Téhéran. 1993, გვ. 345.

[44] R. Matthee. The East India in Kerman Company Trade Wool. 1658-1730, გვ. 344; The Six Voyages of John Baptista Tavernier. A Noble Man of France now living, through Turky into Persia and the East-Indies, Finished in the Year 1670. Made English by J. P. London. 1678, გვ. 40-41.

[45] R. Matthee. The East India in Kerman Company Trade Wool. 1658-1730, გვ. 371.

[46] D. M. Lang. The Last Years of the Georgian Monarchy, გვ. 98.

[47] სეხნია ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება, გვ. 313.

[48] სეხნია ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება, გვ. 314.

ვახუშტი გვამცნობს, შაჰს პირობა მიუცია, თუკი გიორგი ქერმანის პროვინციაში ვითარებას მოაწესრიგებდა, კვლავ ქართლში დააბრუნებდა.[49] აქედან გამომდინარე, ქართველებსაც უთხოვიათ მეფისათვის, რომ ის ამ წინადადებას დათანხმებოდა.[50] მოლაპარაკების ამ დეტალებზე სეხნია არაფერს ამბობს. ის უბრალოდ აღნიშნავს, რომ შაჰის გადაწყვეტილება უცვლელი იყო.[51] როგორც ჩანს, გიორგიმ სპარსეთის შაჰის პირობა, სამშობლოში მის აუცილებელ დაბრუნებაზე, დაიჯერა და დათანხმდა ქერმანში გამგზავრებას: როგორც ჯ. ჰანვეი აღნიშნავს, *ქართლის მეფე „ცდილობდა, ესარგებლა თავისი მდგომარეობით, რათა სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის მიეღწია“*:[52] შაჰნავაზ II უდიდესი უფლებებით აღიჭურვა და მას დაემორჩილა ირანის მთელი აღმოსავლეთი ქაბულამდე.[53]

ამდენად, საკუთარი სამშობლოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლ მეფეს სხვა სახელმწიფოს სიმშვიდისათვის უნდა ებრძოლა. ქერმანში საქმე იმდენად გართულებულიყო, რომ სასწრაფო რეაგირებას საჭიროებდა. სპარსელთა ყველა მცდელობა, ჩაეხშოთ მათი აჯანყებები, მარცხით მთავრდებოდა.[54] უკვე 23 ნოემბერს გიორგიმ მისი ძმა ლევანი, რომელსაც ქერმანის ნაიბობა ებოძა, ქართველ-სპარსელთა (40 ქართველი, 600 სპარსელი) ლაშქართან ერთად ქერმანში გააგზავნა.[55] ქართველებს პირველი ბრძოლის გამართვა მტერთან მალევე მოუწიათ. 1700 წლის იანვრის დასაწყისში[56] მათ დაამარცხეს ბელუჯთა მარბიელი 2000-იანი ლაშქარი.[57] ამ დროისათვის კი, ბელუჯებს სამჯერ ჰყოლიათ დამარცხებული სპარსელი სარდალი მამადალი-ხანი (მოჰამედ-ალი ხანი), რომელიც რეგიონის მმართველად იყო დანიშნული,[58] და ირანელთა შიში არ ჰქონიათ.[59] პირიქით, ირან-

[49] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 476.
[50] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 476.
[51] სეხნია ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება, გვ. 313.
[52] J. Hanway. The Revolutions of Persia. Containig the Reign of Shah Sultan Hussein, with the Invasion of the Afghans, and the Reigns of Sultan Mir Maghmud and His Successor Sultan Ashreff. Vol. 1. London. 1753, გვ. 28.
[53] R. Matthee. Kerman. VII: In the Safavid Period...
[54] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 476.
[55] სეხნია ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება, გვ. 314.
[56] სეხნია ჩხეიძე თარიღს არ ასახელებს, მაგრამ მითითებული აქვს დღეთა რაოდენობა ისპაჰანიდან გასვლიდან ბელუჯთა ლაშქართან პირველ შეტაკებამდე (სეხნია ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება, გვ. 314).
[57] სეხნია ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება, გვ. 314-315.
[58] R. Matthee. Kerman. VII: In the Safavid Period...
[59] სეხნია ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება, გვ. 314.

ელები უფრთხოდნენ კიდევაც ბელუჯ-ავღანელებთან შეტაკებას და ყოფილა შემთხვევა, როცა 15 სპარსელი 4 ბელუჯს გაქცევია.[60]ამ ბრძოლაში თავი გამოუჩენია შაჰნავაზ I-ის (ვახტანგ V) ვეზირის შვილის – ჯაფარ-ბეგს, რომელსაც სეხნია *„ვაჟ-კაცობის იადგარს“* უწოდებს.[61]

ამდენად, ქართველთა საბრძოლო ხელოვნება სახელგანთქმული იყო და ამის შესახებ კარგად უწყოდნენ, ასევე, ისეთ შორეულ მხარეში, როგორიც იმჟამინდელი აღმოსავლეთი სპარსეთი იყო. ამიტომაც ბელუჯ-ავღანელები ქართველებთან შეტაკებას ძალიან უფრთხოდნენ. ლევანი ხუთი თვის მანძილზე იყო რეგიონში მისი ბეგლარბეგი ძმის წარმომადგენელი და ამ დროის მანძილზე ბელუჯ-ავღანთა სამი მარბიელი ლაშქარი დაამარცხა.[62]

ქერმანის ბეგლარბეგად „დაწინაურებული“ ქართლის მეფედყოფილი გიორგი XI ქერმანში მხოლოდ 1700[63] წლის 5 მაისს ჩავიდა.[64] ამ ხნის მანძილზე გარკვეული სამუშაოებიც ჩატარებული იყო ქერმანის ციხის გასამაგრებლად.[65] მტერთაგან შეშინებული ადგილობრივი მოსახლეობა, რომელმაც უკვე კარგად იცოდა ქართველ მებრძოლთა შემართება მომხდურ ბელუჯ-ავღანებზე მომავალი გამარჯვებების იმედად შეხვდა გიორგის: *„კურთხეულ არს ღმერთი, რომ ჩვენად მეშველად გამოგაჩინაო და დავგიხსენ მტერთა ხელთა-განო“*.[66] თან ისფაჰანიდან ქერმანამდეც დიდი პატივით იმგზავრა შაჰ ნავაზ II-მ, რომელსაც *„სრულიად სპარსნი“* ძღვენს სწირავდნენ.[67]

ივნისის დასაწყისში გიორგის აცნობეს, ბელუჯ-ავღანთა ახალი მარბიელი ლაშქრის გამოჩენა. სეხნია წერს, რომ მტერს მათ ტერიტორიაზე ისე

---

60 სეხნია ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება, გვ. 317.

61 სეხნია ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება, გვ. 315.

62 ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 477.

63 R. Matthee. Kerman. VII: In the Safavid Period...

64 სეხნია ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება, გვ. 316; სეხნია კონკრეტულ წელს არ ასახელებს, თუ როდის ჩავიდა შაჰ-ნავაზ II ქერმანში. ის მხოლოდ წერს, რომ „გამოხდა ხანი მცირედი“-ო. თუმცა, შემდეგ ის მოგვითხრობს უდაბნოში ბელუჯ-ავღანთა ლაშქრის განადგურების ამბავს. ამ გამარჯვების შემდეგ კი, 1703 წელს გიორგი ყანდაარის ბეგლარბეგად დანიშნეს. ამიტომ რ. მეთზი მიიჩნევს, რომ ის ჩავიდა არა 1700 წელს, არამედ – 1702-ში (R. Matthee. Kerman. VII: In the Safavid Period...). დ. ლენგიც, ეყრდნობა რა სეხიას ცნობებს, ფიქრობს, რომ ეს ფაქტი მართლაც 1700 წელს მოხდა (D. M. Lang. Georgia and the Fall of Safavi Dynasty, გვ. 527). მიუხედავად იმისა, რომ ზუსტი თარიღი გაურკვეველია, მემატიანის მინიშნება „მცირედ“ დროზე, ალბათ, გულისხმობს პერიოდს 1699 წლის ნოემბრიდან 1700 წლის მაისამდე. 1702 წელი უკვე ნამდვილად არ არის „გამოხდა ხანი მცირედი“. აგრეთვე, ისიც საეჭვოა, რომ შაჰს ამდენი ხანი დაეტოვებინა ქერმანის გამგებელი ისპაანში.

65 R. Matthee. Kerman. VII: In the Safavid Period...

66 სეხნია ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება, გვ. 316.

67 ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 477.

„გაეცლოთ, ვერა ვსცანით-რა“.[68] ბელუჯ-ავღანნი 4 თვის მანძილზე არბევდნენ *„ქვეყანასა ქაშანისასა“*,[69] რომელიც ცენტრალურ ირანში, ისპაჰანთან ახლოს მდებარეობდა. სპარსეთის ხელისუფლება სრულიად უძლური აღმოჩნდა ქაშანის გასათავისუფლებლად.[70] მაგრამ იმთავითვე გიორგიმაც თავი არ გამოიდო „მოწყალე“ შაჰის დასახმარებლად. 4 თვის შემდეგ კი, როცა ქაშანი ფაქტობრივად გაძარცვ-მოარბიეს, ისე, რომ *„პასუხის მიმცემი არა-ვინ ჰყვანდათ“*,[71] ბელუჯები სამშობლოსაკენ, ბელუჯისტანისკენ, დაიძრნენ. ვინაიდან გზად ქერმანის პროვინციაც უნდა გაევლოთ, ამიტომ სოლთან-ჰოსეინმა გიორგის მათთვის გზის მოჭრა და განადგურება უბრძანა.[72]

როგორც ჩანს, ბელუჯ-ავღანთა ლაშქარი საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო და ამიტომ, გიორგიმ დახმარებისათვის მეზობელი პროვინციის – სისტანის – მმართველს უხმო, რომელიც, ბრძანებისამებრ, უმალ გამოცხადდა.[73] *„მეფემან* (გიორგი XI – კ.კ.) *... კლო უდაბნოძნელი და უწყლო“*[74] და, ვიდრე მტერი მაქრანში გადავიდოდ, იქვე უდაბნოში, მძიმე ბრძოლების შემდეგ, გაანადგურა.[75] მიუხედავად იმისა, რომ გიორგის ლაშქარი[76] „კოალიციური“, ქართულ-სპარსული იყო, გამარჯვებაში ლომის წვლილი მაინც ისევ ქართველებმა შეიტანეს.[77] ამდენად, ქართველების თავგანწირვით ქერმანში მშვიდობამ დაისადგურა: *„შეიქმნა ამა ქვეყანასა სიმშვიდე და ნაოხართა შენობა* (შენება – კ.კ.) “.[78]

5 თვის შემდეგ ავღანელები ისევ დაესხნენ ქერმანს. როგორც ჩანს, ამ დროისათვის მნიშვნელოვნად შეთხელებულიყო გიორგის მხლებელ ქართველთა რიცხვი[79] და ამიტომ თუმცა გიორგიმ მათ წინააღმდეგ საბრძოლველად

---

[68] სეხნია ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება, გვ. 316.
[69] სეხნია ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება, გვ. 316.
[70] სეხნია ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება, გვ. 316.
[71] სეხნია ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება, გვ. 316.
[72] სეხნია ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება, გვ. 316.
[73] სეხნია ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება, გვ. 317.
[74] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 477.
[75] სეხნია ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება, გვ. 316-318; ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 477.
[76] ამ ლაშქრის ერთ ნაწილს ლევანი სარდლობდა (სეხნია ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება, გვ. 316; ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 477).
[77] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 477.
[78] სეხნია ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება, გვ. 319.
[79] სეხნია წერს, ცოტანი იყვნენ ქართველებიო (იგი თარიღს არ ასახელებს, მაგრამ მითითებული აქვს დღეთა რაოდენობა ისპაჰანიდან გასვლიდან ბელუჯთა ლაშქართან პირველ შეტაკებამდე (სეხნია ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება, გვ. 319).

ქერმანის ქართველმა გამგებელმა ბამელი უსეინ ბეგი მიავლინა, რომელმაც პირნათლად შეასრულა დავალება: *„არცერთი ცოცხალი არ მორჩომოდა“*.[80]

მაგრამ გიორგი მხოლოდ მომხდურ ბელუჯ-ავლანთან წინააღმდეგ ბრძოლით არ იყო დაკავებული ქერმანში. ბუნებრივია, რომ ადგილობრივი წარჩინებულები მათ ბეგლარბეგად დანიშნულ არასპარსელს, თუნდაც ის სამეფო სისხლისა ყოფილიყო, არ მიიღებდნენ. როგორც ჩანს, ასეთი ოპოზიციური დაჯგუფების ლიდერი ყოფილა ადგილობრივი მსხვილი ფეოდალი ხოსრო შაჰი. როგორც ჩანს, ქართველთა სამხედრო წარმატებები იმდენად შთამბეჭდავი აღმოჩნდა ქერმანელებისათვის, რომ ხოსრო შაჰი იძულებული გახდა ელიარებინა გიორგის ხელისუფლება და მას დამორჩილებოდა.[81] *„ხოლო მეფემან დაამშუდნა ყოველნი ურჩნი, რამეთუ ხოსროშა და შადადა, მპყრობელნი ბელუჭისანი, მოვიდნენ წინაშე მისსა შიშით შეძრწუნებულნი და თაყვანისმცემელნი“*, წერს ვახუშტი.[82]

ქართველი მეფის ამ წარმატებულმა სამხედრო-პოლიტიკურმა მოღვაწეობამ 1701 წელს პირველი ნაყოფი გამოიღო: გიორგის ძმა – ლევანი, რომელსაც შაჰ-ყულიხან უწოდეს, ირანის დივანბეგად დააწინაურეს,[83] ხოლო ამ უკანასკნელის შვილი ქაიხოსრო კი ისპაჰანის ტარუღა (მოურავი) გახდა.[84] უნდა აღინიშნოს, რომ ქერმანში ვითარების დამშვიდებისაკენ წარმართვამ სასიკეთო გავლენა იქონია მატყლით ვაჭრობაზეც: უკვე 1702 წლიდან ამ პროდუქციაზე ფასების ზრდა იწყება, რამაც 1712-1713 წლამდე გასტანა.[85]

ამდენად, სპარსეთში მამა-შვილმა მნიშვნელოვანი პოლიტიკური თანამდებობები დაიჭირა,[86] რაც, თავისთავად ცხადია, შაჰის კარზე ქართველთა გავლენის შემდგომ ზრდაზე მიანიშნებდა. *„მუხრანელ ბატონთა შეუპოვრობამ,*

---

[80] სეხნია ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება, გვ. 319.

[81] სეხნია ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება, გვ. 319.

[82] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 478.

[83] სეხნია ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება, გვ. 319; საინტერესოა, სეხნია ჩხეიძის შენიშვნა, რომ სპარსეთის სატახტო ქალაქში მისული ლევანი იმავე დღეს მიუღია შაჰს (სეხნია ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება, გვ. 319). როგორც ჩანს, თავად სოლთან-ჰოსეინი ძალიან ელოდებოდა ამ შეხვედრას ქართველ უფლისწულთან, რაც სეფიანთათვის ქართველთა საკმაოდ მნიშვნელოვან და სერიოზულ პოზიციაზე მიანიშნებს.

[84] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 477.

[85] R. Matthee. The East India in Kerman Company Trade Wool, 1658-1730, გვ. 371-372.

[86] დივანბეგი, გავლენითა და კომპეტენციით, ფაქტობრივად, მხოლოდ დიდვეზირს უთმობდა პირველობას. ის უმაღლესი მეჯლისის შემადგენლობაში შედიოდა. (დ. კაციტაძე. ირანის ისტორია, გვ. 448-449). დამატებით, აგრეთვე, იხ.: R. M. Savory. Dīvānbegī. Encyclopaedia Iranica (http://www.iranicaonline.org/articles/divanbegi-#pt2).

ძლიერმა ბრძოლებმა და წინააღმდეგობამ სპარსეთის შაჰის კარი აიძულა გარკვეულ დათმობაზე წასულიყო და აღმოსავლელ მბრძანებელს დაანახვა, რომ მას ანგარიში უნდა გაეწია ქართველი პოლიტიკოსებისათვის. ქართველი პოლიტიკური მოღვაწენი თვითონ გახდნენ სპარსეთის სახელმწიფო სამხედრო თუ საერო პოლიტიკის მესვეურები. თავისი ქვეყნის ფიზიკური გადარჩენის მიზნით მათ მიაღწიეს იმას, რომ მონაწილეობა მიიღეს სპარსეთის სახელმწიფოს მართვაში და გავლენა მოიპოვეს შაჰის კარზე“.[87] რა თქმა უნდა, გიორგისა და მისი ოჯახის ეს წარმატება ისპაანში ყველას არ სიამოვნებდა და ისედაც მტერმრავალ შაჰნავაზ II-ს კიდევ უფრო უმრავლებდა მტრებს და, რომლებმაც, ფაქტობრივად, საკუთარი შურითა და ბოლმიდან გამომდინარე, ყველაფერი გააკეთეს ქართველი მეფის განადგურებლად. ეს კი, სხვათა შორის, ძალიან ძვირად დაუჯდა სეფიანთა სახელმწიფოს.

ბუნებრივია, ლევანიც გამოიყენებდა ამ მდგომარეობას სამშობლოს საკეთილდღეოდ და ეს ასეც მოხდა. მან მისი შვილისათვის, ვახტანგისათვის, რომელიც იმერეთს აფარებდა თავს, შაჰისაგან, ფაქტობრივად, ქართლი გამოითხოვა.[88] თუმცა, ეს საკმაოდ გონებამახვილურად გააკეთა: ლევანი, ალბათ, ბოლომდე დარწმუნებული არ იყო, რომ შაჰი ნაზარალი-ხანს ქართლს ჩამოართმევდა და ამიტომ რუსეთის „ფაქტორი“ მოიშველია: *„რამეთუ მწირ არს ძე ჩუენი ვახტანგ იმერეთს და, უკეთუ არარა ეყოს შეწევნა ჩუენ მიერ, წარვალს იგი რუსეთს და ამისთჳს ჩუენ უვნო ვიყვნეთ წინაშე შენსა“*:[89] თუმცა, ლევანი უსაფუძვლოდ მართლაც არ მიანიშნებდა რუსეთზე: ვახტანგს უკვე რუსეთთან კონტაქტებიც კი დაემყარებინა და მოსკოვში წასვლაც ჰქონდა გადაწყვეტილი.[90]

ამასთან, კავკასიელი ქრისტიანები ისევ აქტიურად ცდილობდნენ ურთიერთობების დაჭერას ერთმორწმუნე რუსეთთან, რომელმაც სულ რამოდენიმე წლის წინ (1696 წ.) ოსმალეთს შავი ზღვის მისადგომებთან მდებარე აზოვის ციხე წაართვა, რაც მოსკოვისათვის პირველი სერიოზული წარმატება იყო სტამბოლთან სამხედრო ჭიდილში. ეს წარმატება პეტრე I-მა (1682-1725) დიპლომატიურადაც გაამყარა 1700 წ. 3 ივლისს კონსტანტინოპოლის ხელშეკრულების გაფორმებით. ამასთან, შაჰ სოლთან-ჰოსეინმა გაითვალისწი-

[87] მ. ქიქოძე. ვახტანგ VI-ის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა (პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული საქმიანობა). თბ. 1988, გვ. 8-9.

[88] სეხნია ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება, გვ. 319.

[89] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 477.

[90] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 477.

ნა ისიც, რომ გიორგი და ლევანიც მოსკოვის სამეფოს დახმარების მოიმედენნი იყვნენ და, შესაბამისად, ბუნებრივია, ასეთი პოლიტიკური ორიენტაცია ექნებოდა ვახტანგისაც. ამიტომ მან არჩია მასთან მყოფი ბაგრატიონ-მუხრანელი ძმები არ გაენაწყენებინა და ნაზარალი-ხანს უბრძანა, ვახტანგი იმერეთიდან დაებრუნებინა და მისი კუთვნილი საუფლისწულოები დაებრუნებინა. მართალია, ერეკლე I-ს ძალიან არ უნდოდა ამ ბრძანების შესრულება, მაგრამ ურჩობაც ვერ გაბედა.[91] მან იცოდა, რომ ვახტანგის ქართლში დაბრუნება იმ დროს, როცა მამამისი ირანის დივანის წევრი გახდა, ხოლო ქართლის მეფედყოფილი ბიძამისი ქერმანში მდგომარეობას წარმატებით აწესრიგებდა, მომავალში ამ მხარის ბაგრატიონ-მუხრანელთათვის დაბრუნებას, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავდა. 1701 წელს ვახტანგი ქართლში დაბრუნდა.

მიუხედავად იმისა, რომ ქერმანში ვითარება ასე თუ ისე მოწესრიგდა, აღმოსავლეთ სპარსეთში, ზოგადად, მდგომარეობა მაინც რთული რჩებოდა. ეს განსაკუთრებით ავღანელებით დასახლებულ რეგიონებს ეხებოდა, სადაც ანტისპარსულმა აჯანყებამ ახალი ძალით იფეთქა. შაჰ სოლთან-ჰოსეინის უზომო ხარჯების უზრუნველსაყოფად გაზრდილი გადასახადები[92] მძიმე ტვირთად აწვა ავღანელებს. 1698-1701წწ. არსებული გადასახადები 2-3-ჯერ გაიზარდა და არსებულს კიდევ სამი ახალიც (აბიქურენი, შაჰზადეს ახრაჯათი, შეშდინარი) დაემატა.[93]

გაეზარდათ გადასახადები მომთაბარეებსაც და ამ ასპექტში ის ბინადარი გლეხი-რაიათების მდგომარეობას მიუახლოვდა, რაც კიდევ უფრო ამძიმებდა ნომადთა ცხოვრებას.[94] ვითარებას ართულებდნენ სოლთან-ჰოსეინის საჭურისებიც, რომლებმაც ძალიან გააძვირეს საფასური ბეგლარბეგთა თანამდებობის დასაჭერად, ვინაიდან გამოსაღები თანხა მთლიანად მოსახლეობისაგან იკრიბებოდა.[95] ალაგ-ალაგ ამბოხების ახალი კერა კვლავ ჩნდებოდა ხოლმე. ამ ურთულეს მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა სპარსელ გუბერნატორთა გა-

[91] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 478.

[92] ესაი ჰასან ჯალალიანცი. აღვანთა ქვეყნის მოკლე ისტორია. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, თარგმნა და კომენტარები დაურთო კ. კუციამ. თბ. 1971, გვ. 17-18; მართალია, მემატიანე, ძირითადად, სომხებზე საუბრობს, მაგრამ იქვე შენიშნავს, რომ ასეთივე მდგომარეობაში იმყოფებოდა ირანს დაქვემდებარებული „ყველა მოდგმის“ ხალხი.

[93] ესაი ჰასან ჯალალიანცი. აღვანთა ქვეყნის მოკლე ისტორია, გვ. 19; И. П. Петрушевский. Очерки по истории феодальных отношений в Азербайджане и Армении в XVI - начале XIX века. Л. 1949, გვ. 268.

[94] დ. კაციტაძე. ირანის ისტორია, გვ. 463.

[95] დ. ჯანელიძე. საქართველო და აღმოსავლეთი. XVIII საუკუნე. თბ. 1984, გვ. 9.

უმაძღარი სიხარბეც.[96] აქედან გამომდინარე, თუკი XVII საუკუნის დასაწყისში ყანდაარის რეგიონი ეკონომიკურად მოღონიერებული იყო, XVIIIს. დასაწყისისათვის, ამ მხრივ, ვითარება რადიკალურად შეიცვალა: ინდოეთიდან ევროპისაკენ სავაჭრო მარშრუტი,[97] ძირითადად, საზღვაო გახდა, რის გამოც სპარსეთის ეს ტრანზიტული ფუნქცია, ერთგვარად, მინელდა, რამაც, შესაბამისად, მნიშვნელოვნად დაამძიმა ამ მხარის ეკონომიკური ვითარება.[98]

ამ ხანებში ყანდაარის ბეგლარბეგად ასლამაზ ყაფლანიშვილი (ორბელიანი)[99] იყო. მისი მოვალეობა იყო ავღანეთში წესრიგის შენარჩუნება და შიიზმის გავრცელება.[100] როგორც ჩანს, მისი ქმედებები ძალიან მკაცრი და შეუწყნარებელი აღმოჩნდა, რამაც კიდევ უფრო გაამწვავა ავღანელებთან სპარსელების ურთიერთობები: *„ეს იყო ხარბი კაცი. თუ იგი ავღანებს დაუნახავდა ცხენს, ჯორს, აქლემს, რომელიც მას მოეწონებოდა, მაშინვე წაართმევდა, საძოვრის უფლებისათვის და მეათედისათვის იგი ბევრად მეტს ახდევინებდა, ვიდრე სხვა გუბერნატორი. რაც კი მათ გააჩნდათ, ძალით ართმევდა. მან იქამდე მიიყვანა თავისი მტარვალობა, რომ უბიძგა ავღანებს განთავისუფლებაზე ეფიქრათ...“*.[101]

აჯანყებულ ავღანელებს სამხედრო მხარდაჭერას ბელუჯები უზრუნველყოფდნენ, რომელთაც წოდების მატარებელი ყალათის[102] ხანი მირ სახი სამან-

[96] იოსებ ქართველის „სამახსოვრო ბარათი სპარსეთში უკანასკნელი სამოქალაქო ომის შესახებ. 1723 წლის 31 იანვარი“. იღ. ტაბაღუა. მასალები XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს ისტორიისათვის. თბ. 1982, გვ. 90.

[97] ეს მარშრუტი პარალიზებული იყო ასევე, მარათხებისა და სიქჰების ანტიმოღოლური აჯანყებების გამო (И. М. Рейснер. Развитие феодализма и образование государства у афганцев. М. 1954, გვ. 306). ამ სახმელეთო-სავაჭრო გზებს, რომელისაც ძალიან მნიშვნელოვანი მოგება მოჰქონდა ქვეყნის ეკონომიკისათვის, ირანი დიდ ყურადღებას აქცევდა. ხდებოდა მათი კეთილმოწყობა, გზებზე შენდებოდა ფუნდუკები და ქარვასლები ვაჭრებისათვის. ასე, მაგალითად, ჟ. შარდენი, სპარსეთში მოგზაურობისას, ასახელებს დაუდ-ხან უნდილაძის მიერ საგანგებოდ ინდოელ ვაჭართათვის აგებულ 200-ოთახიან ქარვასლას (ვ. გაბაშვილი. უნდილაანთ ფეოდალური სახლი XVI-XVII სს. ირანში (ქართული წყაროების მიხედვით). მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები. ტ. II. თბ. 1972, გვ. 75).

[98] М. Р. Арунова. Афганистан в среднис века. История Афганистана. Ответственный редактор Ю. В. Ганковский. М. 1982, გვ. 115.

[99] გიორგი მეფეს ბიძაშვილად ეკუთვნოდა.

[100] St. Tanner. Afghanistan: A Military History from Alexander the Great to the War Against the Taliban. Revised edition. Published by Da Capo Press. 2009, გვ. 114.

[101] თურქული სამახსოვრო ბარათის თარგმანი ფრანგულად სპარსეთში მომხდარი რევოლუციის წარმოშობის შესახებ. იღ. ტაბაღუა. მასალები XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს ისტორიისათვის, გვ. 155.

[102] ნახევარდდამოუკიდებელი ბელუჯური სახანო. არსებობდა 1666-1955 წლებში. ამჟამად პაკისტანის ისლამური რესპუბლიკის შემადგენლობაშია. იხ. ავრეთვე: Baluchistan. The Imperial Gazetteer of India. Vol. 6: Argaon to Bardwān. New Edition. Published Under the Authority of His Ma-

დარ (1698-1714) თავკაცობდა:[103] *„ყანდაარის ხანს აღუდგნენ ბელუჯნი და უფრო მირსამანდარ და აოკრებდიან ყანდაარის გარემოთა“*:[104] ბელუჯთა წინამძღოლს სპარსელები საკმაოდ კარგად იცნობდნენ და მისგან სერიოზული მარცხიც კი იწვნიეს.[105]

ამბოხებულთა დასაშოშმინებლად ყანდაარის მმართველის ბიძა – სარდალი თამაზი (ადრევე გამუსლიმანებულები თამაზი და მისი ძე კაცია ირანში გაწვევის შემდეგ ყანდაარშივე მიავლინეს[106]), რომელიც გიორგი მეფის ბიძა (დედის – როდამის – ძმა[107]) იყო, გაიგზავნა. თამაზ ყაფლანიშვილი (ორბელიშვილი) სომხით-საბარათიანოს, მეწინავე სადროშოს, პირველი სარდალი იყო. მან ეს თანამდებობა ვახტანგ V-ს მეფობაში მიიღო და 1696 წლამდე ეჭირა, როცა ნაზარალი-ხანმა მას ეს სახელო წაართვა და სპარსეთში გააგზავნა.[108]

ქართველმა სარდალმა თავდაპირველად სძლია ამბოხებულებს, მაგრამ, საბოლოოდ, ბელუჯ-ავღანელთა 30 ათასიანმა ლაშქარმა მაინც შეძლო თამაზის ჯარის დამარცხება ქად ქუჩას მახლობლად (თანამ. პაკისტანის ტერიტორიაზე)[109] 1701 წელს[110] და სარდალიც მოკლეს.[111] მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა, რადგან ყანდაარი, ფაქტობრივად, ალყაში მოექცა, *„რამეთუ ვერღარა გამოვიდის ხანი ციხიდამ“*:[112] 1703 წელს აჯანყებული ავღანელ-ბელუჯები, მირ სამანდარის თაოსნობით, ისევ დაესხნენ თავს ყანდაარს და ქალაქის გაძარცვაც მოახერხეს.[113]

საკმაოდ ძლიერი მოწინააღმდეგის შესაჩერებლად სასწრაფო ზომები იყო მისაღები. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ოფიციალურმა ისპაჰანმა დახმარება

jesty's Secretary of State for India in Council. Oxford. Clarendon Press. 1908, გვ. 277; V. Boyajian. On Baluchi Separatism. Jurn.: Iran and the Caucasus. Research Papers from the Caucasian Centre for Iranian Studies. Edited by G. Asatrian. Vol. 3-4. Yerevan-Tehran. 1999-2000, გვ. 389.

103 N. Dashti. The Baloch and Balochistan. A Historical Account from the Beginning to the Fall of the Baloch State. Trafford Publishing, 2012, გვ. 165.

104 ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 478.

105 N. Dashti. The Baloch and Balochistan, გვ. 165.

106 მ. ხუბუა. ქართულ-ირანული ურთიერთობიდან, გვ. 241.

107 ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 461.

108 გ. ჯამბურია. სომხით-საბარათიანოს სათავადოების ისტორიისათვის (XV-XVIII სს.). ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი. თბ. 1950, გვ. 240.

109 N. Dashti. The Baloch and Balochistan.., გვ. 165.

110 გ. ჯამბურია. სომხით-საბარათიანოს სათავადოების ისტორიისათვის.., გვ. 240.

111 ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 478.

112 ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 479.

113 გვ. 215, مولیانی ،سعید، جایگاه گرجی ها در تاریخ وفرهنگ و تمدن ایران

გიორგი XI-ს სთხოვა. შაჰს ახსოვდა, რომ ქერმანში გამგზავრებამდე ქართლის მეფედყოფილს მისი სამეფოსა და გვირგვინის ხელახლა დაბრუნებას შეჰპირდა. გიორგიც ამას ელოდა, რადგან ქერმანიც დააწყნარა და მით უფრო, რომ მისი ოჯახის წევრები სოლთან-ჰოსეინმა მნიშვნელოვნად დააწინაურა საიმპერატორო კარზე. შაჰის კარზე კი ჯერ სამშობლოში შაჰნავაზ II-ის დაბრუნება არ ეჩქარებოდათ. პირიქით, არც სურდათ და როგორც ფრანგი მოგზაური ჟან ოტე შენიშნავს, ყანდაარში გიორგი იმიტომ გაეგზავრა, რომ ის საქართველოდან შორს ყოფილიყო.[114]

ამასთან ვითარებას ისიც ამძიმებდა, რომ ირანის აღმოსავლეთში გართულებული ვითარებით ისევ მოღოლებმა გადაწყვიტეს სარგებლობა და აურან-გზებმა თავის სპარსელ ვიზავისთან, შაჰ სოლთან-ჰოსეინთან, ელჩობაც გაამწესა, რომელსაც დაავალა სპარსეთის ხელისუფლებისაგან ყანდაარის უკან გამოთხოვა, რომელიც ადრე მის სამფლობელოს შეადგენდა.[115] პ. საიკსი აღნიშნავს, რომ სეფიანთა დედაქალაქში სავსებით სამართლიანად ფიქრობდნენ, რომ ავღანელების აჯანყებები ოფიციალური დელის მხრიდან იყო მხარდაჭერილი.[116] ამ ვითარებაში ყოვლად გაუგებარია ბ. ომრანის მსჯელობა, რომელიც რატომღაც ფიქრობს, რომ მოღოლებს მსგავსი სურვილი არ ჰქონიათ და ეს მხოლოდ ისპაჰანის პარანოიდული წარმოსახვები იყო.[117]

სპარსეთის ხელისუფლება დიდი საფიქრალის წინაშე დადგა: ისპაჰანში ინდოელებთან ახალი ომის საფრთხე შეიგრძნეს. სოლთან-ჰოსეინმა დივანი მოიწვია, რათა შეემუშავებინათ შესაბამისი მოქმედება: ელჩი უმალ, ყოველგვარი პასუხის გარეშე გაებრუნებინათ სამშობლოში, გაეჭიმათ დრო და ამ ხნის მანძილზე მიეღოთ სათანადო გადაწყვეტილება.[118] თუმცა, ირანში ამ მნიშვნელოვანი პუნქტის დათმობას არ აპირებდნენ, მაგრამ აშკარა უარის თქმაც უჭირდათ, რადგან დელისთან ვითარების გამწვავება არ სურდათ იმ

[114] იხ. ტაბალუა. საქართველო-სპარსეთის ურთიერთობა. 1675-1722 წწ. იხ. ტაბალუა. მასალები XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს ისტორიისათვის, გვ. 22.

[115] The History of the Late Revolutions of Persia. Vol. 1, გვ. 151; J. Hanway. The Revolutions of Persia. Vol. 1, გვ. 27.

[116] A History of Afghanistan. By Brig.-Gen. Sir Percy Sykes. K.C.I.E., C.B., C.M.G. Vol. 1. London. Macmillan & Co. Ltd. 1940, გვ. 325.

[117] B. Omrani. Afghanistan and the Search for Unity. Asian Affairs. Vol. XXXVIII. #2. July, 2007, გვ. 146.

[118] G. N. Mitford. The Chronicles of a Traveller or, a History of the Afghan Wars With Persia, in the Beginning of the Last Century, From Their Commencement to the Accession of Sultan Ashruf. Being a Translation of the "Tareekh-I-Skeah", from the Latin of J. C. Clodius, Prof. Arab. at Leipzig. London. James Ridgway. Piccadilly. 1840, გვ. 32.

დროს, როცა სპარსეთის აღმოსავლეთ რეგიონებში (ინდოეთის საზღვართან) სტაბილურობა არ იყო.[119] ირანის ხელისუფლებისათვის ნათელი იყო, რომ ყანდაარის დათმობა არ შეიძლებოდა, მაგრამ არსებული საფრთხის გამო, აუცილებელი იყო ციხე-სიმაგრის დამატებითი შეიარაღებით გამაგრება.[120]

დიდი მოღოლისაგან მომდინარე რეალური საფრთხით შეშინებულმა სეფიანთა ხელისუფლებამ გადარჩენის გზად ქირმანის სახელოვანი ბეგლარბეგი შაჰნავაზ II დასახა, რადგან *„არავინ იყო* [იმხანად სპარსეთში] *სხვა, რომელსაც შეეძლო საზღვრების უსაფრთხოების დაცვა მოღოლთა ქმედებებისაგან“*.[121] ამასთან შაჰის კარზე ისევ მნიშვნელოვანი და შორსმიმავალი გათვლა გააკეთეს.[122] როგორც ი. კრუშინსკი შენიშნავს: *„ეს გამოცდილი მხედართმთავარი* [გიორგი XI – კ.კ.] *უნდა გამხდარიყო სპარსეთის იმპერიის უშიშროების გარანტია და მოაცილა რა იმპერიას თავის მხრიდან საშიშროება* [იგულისხმება გიორგი XI-ს ქართლიდან გამოწვევა – კ.კ.], *თავისი ძლიერი ავტორიტეტით ახლა უნდა შეეჩერებინა დიდი მოღოლი, რათა* [დიდი მოღოლი – კ.კ.] *სპარსეთის წინაალმდეგ არ წასულიყო“*.[123] სხვაგან იეზუიტი ბერი კიდევ უფრო დაწვრილებით განმარტავს ოფიციალური ისპაჰანის მიზნებს: *„მისი გავზავნა ყანდაარში მიზნად არ ისახავდა ომის წამოწყებას* [დიდ მოღოლებთან – კ.კ.],*არამედ მოღოლთა პრეტენზიისა და სურვილის მოსპობას მასზე* [ყანდაარზე – კ.კ.], *მას* [ასევე] *უნდა ეზრუნა, ერთის მხრივ, პროვინციის გულში კარგი მართველობის დამყარებაზე, რათა მოღოლებს არანაირი იმედი არ ჰქონოდათ მის* [ყანდაარის – კ.კ.] *წართმევაზე; მეორე მხრივ კი, დაუკეებელი ავღანელები მისი* [გიორგი XI – კ.კ.] *მბრძანებლობის ქვეშ ყოფილიყვნენ პროვინციის საზღვრებში და ხელი შეეშალა მათთვის მოულოდნელი თავდასხმების ორგანიზებაში მოღოლთა სამფლობელოების წინააღმდეგ, რასაც* [მოღოლთა – კ.კ.] *მმართველი გამოიყენებდა* [ყანდაარის – კ.კ.] *პროვინციის წინაალმდეგ ლაშქრობის მოწყობის პროვოცირებისათვის“*.[124]

როგორც ზემოთ ვნახეთ, ოფიციალურ ისპაჰანს ქართლის მეფედყოფილის ქერმანში გამგზავრებაზე თანხმობის მიღება გაჭირდა და ახლა ახალ „დაწინაურებაზე“ (ყანდაარის ბეგლარბეგობის „უმადური მისია“, როგორც დ.

119 თ. ჭიჭინაძე. უცხოელი ავტორები საქართველოსა და .., გვ. 46.
120 G. N. Mitford. The Chronicles of a Traveller or, a History of the Afghan Wars.., გვ. 32.
121 The History of the Late Revolutions of Persia. Vol. 1, გვ. 151.
122 The History of the Late Revolutions of Persia. Vol. 1, გვ. 151.
123 თ. ჭიჭინაძე. უცხოელი ავტორები საქართველოსა და.., გვ. 48.
124 The History of the Late Revolutions of Persia. Vol. 1, გვ. 152.

ლენგმა აღნიშნა[125]) დაყოლიება, ძველი პირობის შეუსრულებლობის გარეშე, ბუნებრივია, კიდევ უფრო გართულდებოდა. არადა, ისპაჰანისათვის ამჯერადაც, როგორც ზემოთ ვთქვით, ერთადერთი იმედი ისევ მხოლოდ გიორგი XI იყო.[126] ამიტომ სოლთან-ჰოსეინის კარზე მზაკვრული გადაწყვეტილება მიიღეს, რომელიც შაჰმა გიორგის დივანბეგ ლევანის პირით აცნობა, რომ მას ებოძა *„...ქართლი და ერანის სპასალარობა, ყანდაარის ბეგლარბეგობა, გირიშკი“*.[127] ეს უკანასკნელი მნიშვნელოვანი სტრატეგიული ციხე იყო, რომელიც ყანდაარიდან ჰერათისაკენ მიმავალ გზაზე მდებარეობს მდ. ჰილმენდის ნაპირებზე და, ამასთან, საკუთრივ ყანდაარსაც იცავდა.[128] შესაბამისად, გირიშკის კონტროლსაც დიდი ყურადღება ექცეოდა. როდესაც ალი-მარდან ხანის მეშვეობით მოღოლები ყანდაარს დაეუფლნენ თავის დროზე, მათი შემდგომი ნაბიჯი სწორედ გირიშკის დაჭერა იყო.

ამდენად, ცბიერმა სოლთან-ჰოსეინმა ერთდროულად ორი კურდღელი დაიჭირა: „შეასრულა“ პირობა და შაჰნავაზ II-ს ქართლი დაუბრუნა, მაგრამ ამჯერად ქერმანიდან ყანდაარის გზასაც გაუყენა. პროფესორ ს. მულიანი სავსებით სამართლიანად შენიშნავს, რომ გიორგის გასაყანდაარებლად ისპაჰანს რამდენიმე მიზეზი ჰქონდა: 1) შორეულ ყანდაარში გიორგი თან გაიყოლებდა ქართველთა ლაშქარს; 2) ქართლის ვალი კიდევ უფრო ეფექტურად შეეცდებოდა ისპაჰანის საქმის გაკეთებას სამშობლოში დასაბრუნებლად; 3) გურგინ-ხანი გამბედავი და დიდი სარდალია.[129] ეს აქტი მაინც დიდი წარმატება იყო ბაგრატიონთა ქართლის შტოსათვის. ნ. ბერძენიშვილის შეფასებით, „გიორგისა და მისი სახლისადმი ქართლის მმართველობის დაბრუნება შაჰის მხრივ დათმობა იყო ... ამავე დროს „ქართველობისადმიც“, რომლის რაინდად გიორგი მეფე სამართლიანად ითვლებოდა“.[130]

გასაგებია, რომ ქართლში დაბრუნების მომლოდინე გიორგისათვის ეს სასიხარულო და ნანატრი ამბავი არ უნდა ყოფილიყო. ამიტომაც, ბუნებრივია, ყანდაარში გამგზავრებას არ აპირებდა. ყურადღებას იმსახურებს ისიც,

---

125 D. M. Lang. The Last Years of the Georgian Monarchy, გვ. 98.

126 D. M. Lang. The Last Years of the Georgian Monarchy, გვ. 98.

127 სეხნია ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება, გვ. 319-320; ვახუშტიც თითქმის იგივეს გვამცნობს, მაგრამ გირიშკიზე არაფერს საუბრობს: „...მიიღოს გიორგი მეფემან კუალად ქართლი და სპასალარობა ერანისა და განაგოს საქმე ყანდაარისა“ (ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 479).

128 В. В. Бартольд. Работы по исторической географии и истории Ирана, გვ. 91.

129 გვ. 215, ایران و تمدن در تاریخ و فرهنگ جایگاه گرجی ها ،**سعید مولیانی**

130 ნ. ბერძენიშვილი. ბრძოლა ქართლ-კახეთის დამოუკიდებლობისათვის, გვ. 282.

რომ შაჰი, ცდილობდა რა გიორგის გამოყენებას ირანის სასარგებლოდ, ამავდროულად, მის ღირსებასაც ლახავდა. კერძოდ, საქმე იმაშია, რომ ირანის სპასალარობა (*„სიფაჰსალარი-ი ყული-ი ირან“*[431]) ანუ ჯარების მთავარსარდლობა მაღალი სახელმწიფო და სამხედრო თანამდებობა კი იყო,[132] მაგრამ ის, განსხვავებით დივანბეგისა,[133] მეჯლისის[134] მუდმივ წევრად არ ითვლებოდა. სპასალარს იქ მხოლოდ იმ შემთხვევაში იბარებდნენ, როცა იქ ჯარის, საზღვრების დაცვისა და მოსალოდნელი ომის საკითხები განიხილებოდა.[135] ამდენად, უფროსმა და თანაც გვირგვინოსანმა ძმამ – გიორგიმ შედარებით დაბალი თანადებობა მიიღო, ვიდრე მისმა უმცროსმა ძმამ – ლევანმა. ამიტომ, ჩანს, რომ ისპაჰანში ძმებს შორის დაპირისპირებასაც გეგმავდნენ. თუმცა, შაჰის კარზე, როგორც ჩანს, ქართველ ძმებს არ იცნობდნენ და ამ მზაკვრულმა ჩანაფიქრმა შედეგი არ გამოიღო: გიორგისა და ლევანის ურთიერთობებზე მას სპარსელთათვის სასურველი გავლენა არ მოუხდენია.

გარკვეული ფიქრის შემდგომ, გიორგიც დათანხმდა მის გაყანდაარებას. მაგრამ მისი ეს თანხმობა შაჰის მხრიდან გარკვეული ახალი პირობის შესრულებას გულისხმობდა. გიორგი კი გახდა ქართლის მეფე და, ასევე, *„სრულიად ერანის სპასალარისა, ყანდაარისა და ქირმანის ბეგლარბეგისა, გირიშკისა და ჰაიალათის მჭირავი“*,[136] მართალია ჯერ მხოლოდ სიტყვიერად, და

---

131 დ. კაციტაძე. ირანის ისტორია. III-XVIII სს., გვ. 448.

132 „დასთურ ალ-მულუქის“ (მეფეთა ინსტრუქცია) თანახმად, სეფაჰსალარი ომისა და ლაშქრობების დროს ფართო უფლებებით იყო აღჭურვილი. მის კომპეტენციაში შედიოდა როგორც სამხედრო მოხელეებისა და მეომრების, ასევე პროვინციათა მმართველთა (ჰაქემები, სულთნები) მოხსნა-დანიშვნა, ასევე ომთან დაკავშირებული ყოველგვარი განკარგულების გაცემა (ნ. სურგულაძე. სეფიანთა ირანის ცენტრალური მმართველობა. თბ., 1990, გვ. 250); „დასთურ ალ-მულუქის“ შესახებ იხ. ასევე: M. Ismail Marcinkowski. Mīrzā Rafī'ā's Dastūr ol-Molūk. A Prime Source on Administration, Society and Culture in Late Ṣafavid Iran. – Zeitschrift der Deutschen Morgenländischen Gesellschaft. Vol. 153, No. 2, 2003, გვ. 281-310.

133 დივანბეგი, დიდვაზირთან, მაჯლისნევისთან, ყორჩიბაშთან, ყულარაღასთან, ეშიკაღასთან და თოფანგჩიაღასთან ერთად ამირათა საბჭოს შემადგენლობაში შედიოდა (ნ. სურგულაძე. სეფიანთა ირანის ცენტრალური მმართველობა, გვ. 80).

134 ნ. სურგულაძის მოსაზრებით, უმაღლესი სათათბირო ორგანოს აღსანიშნავად სპარსულ წყაროებში უფრო „დივანი“, ვიდრე – „მაჯლისი“. ამ, მნიშვნელობით გამოიყენებოდა ეს ტერმინი შაჰ მოჰამედ ხოდაბენდეს ზეობაში, XVIIს. II ნახევარსა და XVIIIს. დასაწყისში (ნ. სურგულაძე. სეფიანთა ირანის ცენტრალური მმართველობა, გვ. 91-97, 98).

135 დ. კაციტაძე. ირანის ისტორია. III-XVIII სს., გვ. 448.

136 „ყმისა და მამულის წყალობის წიგნი, მიცემული ვახტანგ VI მიერ ქალაქის მოურავის ავთანდილისადმი“. ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები. ტექსტი დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო ვ. ფუთურიძემ. თბ. 1955, გვ. 424. ნ. სურგულაძის შენიშვნით, სეფიანთა ეპოქის წყაროებში, „აიალათ“ ზოგჯერ ვალის (მაგ., არაბისტანის ვალი) მიემართება, მაგრამ

მისი ძმისშვილი ვახტანგიც დაბრუნდა მამულში, მაგრამ იქ მუხრანბატონთა პოზიციები მაინც სუსტი იყო ნაზარალი-ხანის მეფობის პირობებში. ამიტომ, როგორც ჩანს, გიორგიმ სპარსეთისაგან მოითხოვა ქართლიდან ერეკლე I-ს გაწვევა: *„...მისცეს აწვე გამგეობა ქართლისა ვახტანგს და მერმე წარავლინოს ლევან ქართლს, რათა მან განაგოს საქმენი დაშლილნი მანდაურნი და წარუგზავნოს სპანი ქართლისანი* [გიორგის – კ.კ.]“.[137] საკმაოდ სერიოზული და თან, გარკვეულ წილად, ანტისპარსული მოთხოვნაც კი იყო, განსაკუთრებით ფრაზა *„განაგოს საქმენი დაშლილნი მანდაურნი“*, რადგან ლევანს და შემდგომ კი ვახტანგს ნაზარალი-ხანის მიერ სპარსულ ყაიდაზე გარდაქმნილი ქართლის მართვა-გამგეობა ისევ ქართულზე უნდა გადმოეყვანა.[138] ყურადღებას იქცევს სხვა წინადადებაც *„წარუგზავნოს სპანი ქართლისანი“*. ამით გიორგი, თითქოს, შაჰს ანიშნებს, რომ ის ემზადება ყანდაარზე გასალაშქრებლად, მაგრამ, მეორე მხრივ, ცდილობს განიმტკიცოს საკუთარი მდგომარეობა გარკვეული ძალის შექმნით.

გიორგი საკმაოდ გონიერი და ძლიერი პიროვნებაა. იოსებ ქართველის თქმით, გურგინ ხანი მამაცი ჯარისკაცი და ნიჭიერი მხედართმთავარი იყო.[139] სხვა წყაროში მის შესახებ ნათქვამია, რომ გურგინ ხანი – სპარსეთის ერთერთი ყველაზე უკეთესი სარდარი – *„ძუნებით მეტად გულწრფელ ადამიანად იყო დაბადებული“*.[140] XIX საუკუნის ფრანგი მკვლევარი ჟოზეფ პ. ფერიე მას სწორედ ასეც აფასებს: „ჭკვიანი და ენერგიული ადამიანი“ (*"...a clever and energetic man..."*).[141] მ. ბროსეც აღფრთოვანებულია მუხრანბატონთა შტოს ამ ბრწყინვალე წარმომადგენლით: *„იგი იყო მამაცი, ენერგიული ადამიანი, რო-*

ის, იმავე წყაროების თანახმად, ასევე, ზოგადად მაღალი რანგის პროვინციის მმართველსაც აღნიშნავს (ნ. სურგულაძე. სეფიანთა ირანის ცენტრალური.., გვ. 253). ამდენად, ზემოთ მოტანილ ციტატაში „ჰაიალათის მჭირავი“ ვალის სახელოს პყრობას ნიშნავს.

137 ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 479.

138 ლ. ტუხაშვილი. პოლიტიკური ვითარება XVIIIს. პირველ ოცეულში, გვ. 399; მ. სამსონაძე. საქართველო XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში. საქართველოს ისტორია ოთხ ტომად (უძველესი დროიდან XX საუკუნიდან). ტ. III, თბ. 2012, გვ. 287.

139 იოსებ ქართველის „სამხსოვრო ბარათი..“. ილ. ტაბაღუა. მასალები XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს ისტორიისათვის, გვ. 90.

140 მოხსენებითი ბარათი სპარსეთში უკანასკნელი რევოლუციის შესახებ დაწყებიდან 1724 წლის ბოლომდე, გაგზავნილი კონსტანტინოპოლიდან პარიზში. ილ. ტაბაღუა. მასალები XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს ისტორიისათვის, გვ. 125.

141 History of the Afghans. By J. P. Ferrier. Translated from the Original Enpublished Manuscript by Captain William Jesse. London, 1858 History of the Afghans. By J. P. Ferrier. Translated from the Original Unpublished Manuscript by Captain William Jesse. London, 1858, გვ. 24.

მელსაც დიდი სულიერი და ფიზიკური ძალა გაანჩნდა; ლამაზი და წარმოსადეგი, მომღიმარი სახის, სასიამოვნო მოსაუბრე, გულუხვი, მაგრამ ფიცხი. ყარჯიშობის ყველა სახეობაში შეუდარებელი მზედარი და მსროლელი“.[142] ქართლის მეფემ მშვენივრად იცის, რომ შაჰის ბრძანებას უნდა დამორჩილდეს, მაგრამ, ამასთანავე, ისიც ესმის, რომ სეფიან მონარქს ქართლის ვალი ძლიერ მტერთან საბრძოლველად სჭირდება და ამიტომაც გიორგი, როგორც ვხედავთ, მაინცდამაინც მორიდებული არაა თავის მოთხოვნებში.

ისპაანში ჯეროვნად ჰქონდათ გათავისებული, რომ ყანდაარის დაკარგვა ირანს უფრო დიდ საფრთხეს უქმნიდა, ვიდრე ქართლში ბაგრატიონ-მუხრანბატონთა შტოს პოზიციების განმტკიცება და პროსპარსი ნაზარალი-ხანის გაწირვა. ამიტომ შაჰი იძულებული გახდა ეს პირობაც მიეღო.[143] შაჰმა საქართველოში წლების მანძილზე პროსპარსული პოლიტიკის ერთგულ გამტარებელ ერეკლე I-ს პრესტიჟი მაინც შეუნარჩუნა და, გაითვალისწინა რა მისი დამსახურებები ისპაჰანის წინაშე, მას ყულარაღასობა უბოძა. ეს სახელო კი, განსხვავებით, სპასალარობისაგან, „უმაღლესი მეჯლისის“ მუდმივ წევრობას გულისხმობდა, თუმცა, იერარქიაში დივანბეგს მაინც ჩამორჩებოდა. ამგვარად, შაჰის კარმა გარკვეული ბალანსი შეინარჩუნა ბაგრატიონთა ორ შტოს შორის. სპარსეთში გაწვეული ნაზარალი-ხანი მისმა შვილმა დავითმა (იმამ-ყული ხანმა) შეცვალა.[144]

1703 წელს, შაჰ სოლთან-ჰოსეინმა, გიორგის მოთხოვნისამებრ, ირანის დივანბეგს საქართველოს ნაიბობაც (ჯანიშინინობა[145]) დააკისრა, ხოლო დივანბეგის მოვალეობის შესრულება ანუ ნაიბობა ისპაჰანის ტარუღა ქაიხოსროს დაევალა.[146] ეს უკანასკნელი შესანიშნავად გაუძღვა მის ახალ თანამდებობასაც, საოცარი განსწავლულობა გამოავლინა (*„...ცოდნის იადგარი... რომე დიდი და მცირე გააკვირვა: შეიქმნა ხელმწიფისა კარგი ყმა, და სდევდა პატივსა უშურველსა“*), მიუხედავად ძალიან ახალგაზრდა ასაკისა.[147] აქედან გამომდინარე, ყოველივე ეს, ბუნებრივია, ქართლში მუხრანბატონ-ბაგრატიონ-

[142] იხ. ტაბაღუა. საქართველო-სპარსეთის ურთიერთობა. 1675-1722 წწ. იხ. ტაბაღუა. მასალები XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს ისტორიისათვის, გვ. 13.

[143] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 479.

[144] ლ. მენაბდე. ვახტანგ VI, გვ. 30.

[145] ჯანიშინის მეთვალყურეობა შაჰის მოხელეებს (ვეზირი, მუსტოფი, მუწში) ევალებოდათ (ვ. გაბაშვილი. ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში (შედარებითი შესწავლის ცდა). თბ. 1958, გვ. 387).

[146] სეხნია ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება, გვ. 320.

[147] სეხნია ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება, გვ. 320.

თა ხელახალ აღზევებასა და მათი პოზიციების კიდევ უფრო მეტად განმტკიცებას ნიშნავდა.

ეს მდგომარეობა კიდევ უფრო განმტკიცდა 1705 წელს, როცა ქართლის ჯანიშინმა, ლევანის ძემ, ვახტანგ VI-მ საეკლესიო კრება მოიწვია, რომელმაც ქართლის კათალიკოსად ლევან დივანბეგის სხვა შვილი – რუსეთიდან ახლად დაბრუნებული დომენტი (ერისკაცობაში – დამიანე)[148] – აირჩია.[149] 1707-1708 წლებში კათალიკოსი შაჰის კარზე იმყოფებოდა, რათა კახეთში არსებული საკათალიკოსო მამულებზე მფლობელობის აღსადგენად სოლთან-ჰოსეინის მხარდაჭერა მოეპოვებინა.[150] ირანის დივანბეგის კათალიკოსმა ძემ ოფიციალური ისპაანის დასტური მალევე მოიპოვა.[151] კახეთის მეფე – იმამყულიხანი (დავით II), ძე ისპაჰანის ტარუღა ნაზარალი ხანისა (ერეკლე I), იძულებული გახდა, უავგუსტოეს გადაწყვეტილებას დამორჩილებოდა და კათალიკოსისათვის მისი მამულები გადაეცა.[152]

ეს მორიგი გამარჯვება იყო ქართული ეროვნული ძალებისა, რადგან კახეთი, რომელსაც ბაგრატიონთა დინასტიის პროსპარსულად განწყობილი წარმომადგენლები მართავდნენ და ხელს უწყობდნენ ისლამისა და სპარსული წეს-ჩვეულებების დანერგვას ამ მხარეში, პატრიარქ დომენტის წინამძღოლობით, რომელსაც კახეთი იერარქიულადაც დაემორჩილა, მოხდებოდა ამ ერის თვითმყოფადობისა და დამოუკიდებლობისათვის საზიანო პროცესების განეიტრალება-მოსპობა. თ. ნატროშვილი სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ *„ქირმანის უდაბნოში დაღვრილ „მცირე სისხლს“ არანაკლები სარგებლობა მოაქვს სამშობლოსათვის, ვიდრე იმ სისხლის მდინარეებს, ზოგიერთ სასტიკ ომში რომ წაულეკავთ საქართველოს გულ-მინდვრები“.*[153]

აურანგზების ელჩს საკმაოდ დიდხანს მოუწია სეფიანთა მთავარ ქალაქში დარჩენა. შაჰის კარი, ცდილობდა რა დროის გაყვანას, თითქმის ყოველდღე აიმედებდა პასუხის გაცემაზე.[154] როგორც კი გიორგი ყანდაარის ბეგლარბეგო-

[148] კათალიკოს-პატრიარქი დომენტი IV (1705-1741). ამ მღვდელმთავრის მოღვაწეობის შესახებ იხ.: ი. (ს.) ალიმბარაშვილი. კათალიკოსი დომენტი IV. საისტორიო ძიებანი. ტ. 12. თბ. 2013-2015, გვ. 88-118.

[149] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 481.

[150] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 482.

[151] სეხნია ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება, გვ. 323.

[152] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 482.

[153] თ. ნატროშვილი. მაშრიყით მაღრიბამდე, გვ. 439.

[154] G. N. Mitford. The Chronicles of a Traveller or, a History of the Afghan Wars.., გვ. 32.

ბაზე დაითანხმეს, ელჩს მოღოლი იმპერატორისადმი წერილი გაატანეს, სადაც მისი მოთხოვნა ყანდაარის დაბრუნებაზე, ბუნებრივია, უარყოფილი იყო.[155]

დიდი ხნის განშორების შემდეგ, 1703 წ. 15 ივლისს[156] სამშობლოში დაბრუნებული ლევანი – *„ქართველთა მეფისა და ერანის სპასალარისა, ყანდააარისა და ქირმანის ბეგლარ ბეგისა, და მაგიერად მყოფმან ერანის მდივან-ბეგმან და საქართველოს ჯანიშინმან, პატრონმან შაჰყულიხან“*[157] – შეუდგა ერეკლეს მიერ მოშლილი საქმეების მოწესრიგებას: *„გარიგება ქართლისა, როგორცა თვით პირველად ყოფილ-იყო“*.[158] მაგრამ სამშობლოში დარჩენა დიდხანს არ მოუწია (ერთი წლის შემდეგ ის შაჰმა ისევ ისპაჰანში გაიწვია[159]) მშობლიურ მიწას მონატრებულ მამულიშვილს, მაგრამ მაინც მოასწრო გარკვეული საქმეების გაკეთება: *„განავნა ყოველნი საქმენი ქართლისანი“*.[160] ლევანმა პოლიტიკური შორსმჭვრეტელობაც გამოავლინა და ქართლის მომავალ პატრონს, მის ძეს – ვახტანგს მოკავშირეთა რიგი გაუზარდა იმით, რომ *„არცალა ვის მიავო ბოროტებისა წილ ქმნულთა მათთა, რომელნი უყვეს მეფესა გიორგის“*.[161]

ქართლიდან 1703 წ. 10 სექტემბერს ლევანმა გიორგის ქართველთა რჩეული ლაშქარი გაუგზავნა ვახუშტი ყაფლანის-შვილის (სულხან-საბას ძმა)[162] სარდლობით. მებრძოლთა რაოდენობაზე სეხნია და ვახუშტი სხვადასხვა ცნობებს გვაწვდიან: ათასამდე[163] და 2000[164]. მათი მეშვეობით შაჰნავაზ II-მ სპარსულ ლაშქარში ქართული შემადგენელი გააძლიერა.[165] ვა-

---

155 G. N. Mitford. The Chronicles of a Traveller or, a History of the Afghan Wars.., გვ. 32.

156 საქართველოს ისტორიის ქრონიკები. XVII-XIX სს. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები დაურთო პროფ. ავთ. იოსელიანმა. თბ. 1980, გვ. 45.

157 1704 წ. 3 აპრილით დათარიღებული სიგელიდან იხ.: საქართველოს სიძველენი. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა. ექ. თაყაიშვილის რედაქტორობით. ტ. I. ტფ. 1899, გვ. 81; საქართველოს სიძველენი. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა. ექ. თაყაიშვილის რედაქტორობით. ტ. I. წ. I. მე-2 გამოცემა. თბ. 1920, გვ. 77.

158 სეხნია ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება, გვ. 320.

159 სეხნია ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება, გვ. 321. მ. ქავთარია ფიქრობს, რომ სეხნიას ეს ცნობა უნდა გავიგოთ ისე, რომ ლევანი ზუსტად ერთი წლისთავზე ხელახლა გაიწვიეს სპარსეთში, ანუ ჯანიშინად ის იყოდა 1703 წ. ივლისიდან 1704 წ. ივლისამდე. მკვლევარი სათანადო საბუთების მოშველიებით, ლევანის მიერ ქართლის მართვა-გამგეობის ქრონოლოგიას 1704 წ. ოქტომბრამდე აგრძელებს (მ. ქავთარია. ლევანი – ქართლის ჯანიშინი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. ტ. 25, №4. ძირითადი, ქართული გამოცემა. 1960, ოქტომბერი, გვ. 511).

160 ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 479.

161 ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 479-480.

162 სეხნია ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება, გვ. 320.

163 სეხნია ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება, გვ. 320.

164 ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 480.

165 სეხნია ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება, გვ. 320.

ხუშტი წერს, რომ როგორც კი დამატებითი ლაშქარი ქერმანს ჩავიდა, გიორგი მაშინვე გაუდგა ყანდაარის გზას.[166] მაგრამ სეხნიასთან განსხვავებულ სურათს ვხდებით: შაჰ ნავაზ II ავღანეთში მხოლოდ 1704 წ. 2 მაისს გაემგზავრა მას შემდეგ, რაც ქერმანში ჩავიდა ლევანისაგან გამოგზავნილი სეხნია ჩხეიძე, რომელმაც *„იცოდა ამბავი მის ქვეყანისა“*![167] როგორც ჩანს, გიორგი საგანგებოდ იცდიდა ამდენი ხანი, რომ მიეღო დაწვრილებითი ინფორმაცია მის სამეფოში მიმდინარე პროცესების შესახებ და თან სეხნიას, როგორც მათი ოჯახის ახლობელს, სავარაუდოდ, ლევანისაგან გარკვეული კონფიდენციალური ცნობებიც ექნებოდა შაჰ-ნავაზისათვის გადასაცემად. დამხმარე ლაშქრის ჩამოსვლიდან ამდენი ხნის დაყოვნება და სეხნიას დალოდება, ჩანს, შაჰთან მიღწეულ შეთანხმებაში შედიოდა, რათა გიორგი დარწმუნებულიყო, რომ სპარსეთი ასრულებდა პირობას და ქართლის ხელისუფლებაში მის ოჯახს აბრუნებდა.

ყანდაარში ჩასვლამდე გიორგიმ ჰერათისაკენ აიღო გეზი. ამ პუნქტისაკენ ლაშქრობა მისთვის ადვილი არ იქნებოდა, იქ ხომ მისი მძევლად მყოფი შვილი – ბაგრატი – გარდაიცვალა. ამ ექსპედიციის დროს სპარსელ-ქართველთა ლაშქარმა ციხესიმაგრე ყალაი-იქთიირუდინი[168] დაიკავა და იქ რამოდენიმე დღე გაატარა.[169] როგორც ილ. ტაბაღუა შენიშნავდა, ადგილობრივ მოსახლეობას XX ს. II ნახევარშიც კი ახსოვდა გურგინ-ხანის სახელი.[170] ყანდაარში გიორგი 24 ათასიანი ჯარით ჩავიდა, საიდანაც 20 000 სპარსელი და 4 000 კი ქართველი იყო.[171] თუმცა მანამდე, ერთი თვით ადრე, იქ სისტანის ხანი და სარდალ თამაზის შვილი კაცია გააგზავნა.[172] ავღანყებული ავღანელებისათვის გიორგი მეფის სახელი იმდენად შიშის დამცემი იყო, რომ სისტანის ხანისა და კაცია ყაფლანისშვილის (ორბელიანის) რაზმის მისვლაც საკმარისი აღმოჩნდა, რომ ავღანელები მშვიდობისაკენ მიბრუნებოდნენ.[173]

---

166 ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 480.

167 სეხნია ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება, გვ. 320-321.

168 სპარს.: قلعه اختيار الدين (Qal'a-i Ikhtiyar al-Din, Ghale-e Ekhtiaraddin). ციხესიმაგრის ნანგრევები დღემდე შემორჩენილია. 1976-1979 წლებში იგი იუნესკო-მ აღადგინა (089. Herat: Qal'a-i Ikhtiyar al-Din (Citadel). – http://www.cemml.colostate.edu/cultural/09476/afgh05-089.html).

169 ილ. ტაბაღუა. საქართველო-სპარსეთის ურთიერთობა. 1675-1722 წწ., გვ. 22.

170 ილ. ტაბაღუა. საქართველო-სპარსეთის ურთიერთობა. 1675-1722წწ., გვ. 22, სქ. 33.

171 იოსებ ქართველის „სამახსოვრო ბარათი..“. ილ. ტაბაღუა. მასალები XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს ისტორიისათვის, გვ. 90.

172 ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 480.

173 ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 480.

ყანდაარში ჩასვლისთანავე, გიორგიმ გაამაგრა ციხე სპარსული გარნიზონით (ჩამოყვანილი სპარსელების ნაწილი უკან გააბრუნა[174]), თუმცა 4 000 ქართველისაგან „მოძრავი ბანაკი“ შექმნა.[175] როგორც ჩანს, ეს მისი პირადი დაცვაც და მისი ლაშქრის უმთავრესი ბირთვიც იყო, რადგან სპარსელები, როგორც ზემოთ ვნახეთ, დიდი სიმამაცით და თავდადებით არ გამოირჩეოდნენ ავღანყებული ავღან-ბელუჯების წინააღმდეგ. თუმცა, თ. სოიმონოვის ცნობით, სპარსელთა გაწვევის მიზეზი ყოფილა ქართველ და ირანელ მოლაშქრეთა შორის ხშირი უთანხმოებანი. ამ დავაში კი, ჯიურჯი ხანმა (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ასე მოიხსენიებს ის გიორგი მეფეს) თანამემამულეთა მხარე დაიჭირა და შაჰი დაარწმუნა, რომ ირანელი თუფენგჩიები ყანდაარიდან გაეწვია.[176]

სიმშვიდის დამყარება გურგინ ხანს არ გაჭირვებია. ავღანელებისათვის საამისოდ მხოლოდ მისი სახელიც კი საკმარისი აღმოჩნდა: *„ამ ახალი გუბერნატორის დანიშვნით გაოცებულ ავღანებს, რომლებმაც ამ პიროვნების მხოლოდ დიდი სიმამაცე და სიმკაცრე იცოდნენ, არც კი უფიქრიათ სამეფოში[177] მისი შემოსვლისათვის წინააღმდეგობა გაეწიათ და გაუხსნეს მაშინვე დედაქალაქის – ყანდაარის კარები“*.[178] გიორგიმ ავღანყებულებს დანებება-დამორჩილება შესთავაზა. ამის სანაცვლოდ კი მათ პატიებას დაჰპირდა: *„ყოველნი მორჩილნი ბრძანებისანი მოვიდნენ წინაშე ჩემსა და მივანიჭო ღირსნი პატივნი მათნი; უკეთუ არა ინებონ, მოსრნე მახვილითა უწყალოდ“*.[179] თუმცა, ამან რეპრესიების გარეშეც ვერ ჩაიარა და განსაკუთრებით ურჩნი გიორგიმ მკაცრად დასავა.[180]

---

[174] ვახუშტიც არაა დიდი წარმოადგენის ყიზილბაშთა სამხედრო მამაცობაზე და მათ პირდაპირ „მდედრგულებს“ უწოდებს (ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 483).

[175] იოსებ ქართველის „სამახსოვრო ბარათი..“. ილ. ტაბაღუა. მასალები XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს ისტორიისათვის, გვ. 90.

[176] Описание каспийскаго моря и чиненных за оном Российских завоеваний, яко часть истории Государя Императора Петра Великаго, трудами Тайнаго Советника, Губернатора Сибири и Ордена Святаго Александра Кавалера, Федора Ивановича Соймонова, выбранные из журнала его Превосходительства, в бытность его службы морским Офицером, и с внесенными, где потребно было, дополнениями Академии Наук Конференц-Секретаря, Профессора Истории и Историографа Г. Ф. Миллера. СПб., 1763, გვ. 137.

[177] ავღანელებს 1704 წელს დამოუკიდებელი სახელმწიფო ჯერ არ ჰქონდათ. ავტორი, ამ შემთხვევაში, მისი დროისათვის (1723 წ.) არსებული რეალობიდან გამოდის, როცა ავღანელებს უკვე საკუთარი დამოუკიდებელი საამიროც აქვთ (თუმცა, ამ ეტაპზე, არცთუ ხანგრძლივი ვადით) და თან სპარსეთიც დაიპყრეს.

[178] იოსებ ქართველის „სამახსოვრო ბარათი..“. ილ. ტაბაღუა. მასალები XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს ისტორიისათვის, გვ. 90.

[179] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 480.

[180] იოსებ ქართველის „სამახსოვრო ბარათი..“. ილ. ტაბაღუა. მასალები XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს ისტორიისათვის, გვ. 90.

როგორც ჯ. ჰანვეი წერს, გიორგიმ ამასთანავე კარგად შეისწავლა ადგილობრივი ვითარება და ადგილობრივი მოსახლეობის ხასიათი და დაასკვნა, რომ საკითხის მოგვარება შეუძლებელი იქნებოდა მკაცრი ღონისძიებების გარეშე.[181] მიზეზი კი ამისა, თ. კრუშინსკის შენიშვნით იყო ის, რომ ავღანელები *„იყვნენ დაუცხრომელი* [და] *დაუმორჩილებელი ხალხი, ბუნებით მეომარი, რომელიც მანამდე არ მშვიდდებოდა, სანამ მეზობლებს არ დაესხმოდნენ თავს“*.[182] ამიტომ, როგორც სეხნია გვამცნობს, *„...საითკენაც ურჩნი იყო გაუსვლის ჯარსა და უყეის ყათლამი“*.[183] აქედან გამომდინარე, შაჰნავაზ II-მ საკუთარ შეიარაღებულ ძალებს ფართო უფლებები მიანიჭა.[184] ახალი ქართველი გამგებლის ამ ღონისძიებების შედეგად *„შეშინდა ყანდაარის ქვეყანა და შეიქნა უშენთა შენება“*.[185] რა თქმა უნდა, გიორგი მშვენივრად უწყოდა, რომ მხოლოდ სამხედრო რეპრესიებით ვითარებას ვერ მოაწესრიგებდა. საჭირო იყო, რომ ავღანელებს ახალი ხელისუფლების კეთილგანწყობილებაც ეგრძნოთ. ამისათვის შაჰ ნავაზ II *„სამართლობდის, განისვენებდის, ყოველსა შაფათსა ჭნის მეჯლიში*[186] *ქართველთა, სამშაფათს თათრისა“*.[187]

ყანდაარში ვითარების მოწესრიგებამ ხელსაყრელად იმოქმედა ეკონომიკურ მდგომარეობაზეც. ი. კრუშინსკის ცნობით, სეფიანთა ხაზინაში მარტო ყანდაარის საბაჟო მოსაკრებლებიდან ყოველ დღე ძალიან დიდი თანხა – 12 გირვანქა ოქრო შედიოდა.[188] შეიძლება ეს მონაცემები ოდნავ გაზვიადებულიცაა, მაგრამ ის, ალბათ, მაინც ასახავს იმ მნიშვნელოვან ეკონომიკურ სარგებელს, რაც შაჰის ხაზინას ყანდაარიდან ჰქონდა.

მალე, გაყანდაარებულ ქართველთა რიგი ახალი სისხლით შეივსო. შაჰმა გიორგისთან მიავლინა ბატონიშვილი იესე[189] ლევანის ძე, რომელმაც მისი

---

181 J. Hanway. The Revolutions of Persia. Vol. 1, გვ. 28.

182 The History of the Late Revolutions of Persia. Vol. 1, გვ. 153.

183 სეხნია ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება, გვ. 321 (Katletmek – (თურქ.) მოკლა, მოსპობა, განადგურება; „ყათლე ამ“ (სპარს.) – ამოხოცვა – კ.კ.).

184 J. Hanway. The Revolutions of Persia. Vol. 1, გვ. 28.

185 სეხნია ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება, გვ. 322.

186 „მეჯლიში – სპარსთა ენაა, ქართულად ნადიმი ჰქვიან“ (სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. ლექსიკონი ქართული. ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ. ტ. I. თბ. 1991, გვ. 471).

187 სეხნია ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება, გვ. 321.

188 И. М. Рейснер. Развитие феодализма и образование государства у афганцев, გვ. 68.

189 გამუსლიმებული იესე ორჯერ მეფობდა ქართლში: პირველად – 1714-1716 წწ., როგორც შიიტი მუსლიმი ალი-ყული-ხანი, ხოლო მეორედ – 1724-1727 წლებში, უკვე როგორც სუნიტი მუსლიმი მუსტაფა-ფაშა (ნ. ჯავახიშვილი. აფშართა დინასტიის წარმომადგენლებზე ქართველთა ქორწინებების ისტორიიდან. საისტორიო კრებული. წელიწდეული. ტ. I, გვ. 77).

შვილი ქართლიდან სპარსეთში წაიყვანა.[190] ირანის დივანბეგი დიდხანს არ დატოვა სპარსეთმა მის სამშობლოში და იმავე 1704 წლის მიწურულს ისპაანში იბარებს. როგორც ჩანს, გამოცდილი და გონიერი პოლიტიკოსისა და სახელმწიფო მოღვაწის ქართლში დაყოვნება სოლთან-ჰოსეინის კარმა ირანის ინტერესებისათვის იმაზე საზიანოდ მიიჩნია, ვიდრე ახალგაზრდა ვახტანგისა, რომელიც ჯანიშინად დანიშვნის დროისათვის 28 წლის იყო. შაჰს *„იამა ნახვა“* იესესიო, გვამცნობს სეხნია, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, გადაწყვიტა, ყანდაარში, ბიძამისთან გაეშვა.[191] ლევანის ოჯახის დიდი ნაწილის თავმოყრა ისპაჰანში სპარსეთის ეჭვიანი გამგებლისათვის ისეც საფრთხის შემცველი იყო, ამიტომაც მუხრანბატონ-ბაგრატიონთა ოჯახის ახალი მძევალი არცთუ ძალიან უსაფრთხო მხარეში იქნა გაგზავნილი.

იესესაც მალე მოუწია ბრძოლაში ჩართვა. ავღანელთა ნაწილი კვლავ ავჯანყდა: *„არა ინებეს სამსახური მეფისა“*.[192] გიორგიმ მათ წინააღმდეგ ქართველთა და სპარსელთა ლაშქარი გაგზავნა, რომელსაც ლევანის ძე უწინამძღვრა. ამბოხებულები თავს მედგრად იცავდნენ. *„შეიქმნა ომი ფიცხელი“*.[193] თუმცა, იესე ბატონიშვილმა მაინც შეძლო მათი დამარცხება და ქართველთა მხედრობაც ასახელა. შაჰ ნავაზ II გამარჯვებით დაბრუნებული ძმისწული და ქართველთა ლაშქარი დააჯილდოვა, ხოლო იესეს, ამასთან ერთად, ვექილობაც[194] უბოძა: *„რა ბიძამ იხილა შექმნა სიამოვნე უსაზომო, უყო მეჯლიში, შარტყა წელთა ხმალი მურასა და დამისა დიდნი და მცირენი ვინცა-ვინ იახლა, მისცა ვექილობა ძმის-წულსა მისსა“*.[195] შექმნილ ვითარებას მირ სამანდარმა მალევე ალღო აუღო და წინააღმდეგობის გაწევაზეც უარი თქვა. გიორგი ამ ვითარებას ხელსაყრელად იყენებს და ახერხებს მიაღწიოს მნიშვნელოვან დიპლომატიურ წარმატებას: მოღოლები ამიერიდან უარს ამბობენ ყანდაარზე.[196]

ყანდაარში მყოფი გიორგი XI, მიუხედავად იმისა, რომ სამშობლოში დაბრუნება არ ეღირსა, მაგრამ მაინც ზრუნავდა მის სამეფოში არსებულ

190 სეხნია ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება, გვ. 321.
191 სეხნია ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება, გვ. 321.
192 სეხნია ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება, გვ. 322.
193 სეხნია ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება, გვ. 322.
194 „ვექილის“ ინსტიტუტის რაობის შესახებ იხ.: კ. ტაბატაძე. ფეოდალური საზოგადოების ზედაფენა სპარსული საბუთების მიხედვით (ვექილი). ახლო აღმოსავლეთი და საქართველო. თბ. 1991, გვ. 270-286.
195 სეხნია ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება, გვ. 322.
196 დაწვრ. იხ.: კ. კვაშილავა. სეფიანთა ირანისა და დიდ მოღოლთა ურთიერთობები XVIII ს. დასაწყისში და გიორგი XI: ყანდაარის პრობლემა. „საისტორიო კრებული“. ტ. 5. თბ. 2015, გვ. 77-96.

პრობლემებზეც.[197] კერძოდ, მას ძალიან აფიქრებდა ქართული ენის ლექსიკონზე მუშაობა, რომელიც ჯერ კიდევ ქართლში ყოფნისას მან 1685 წელს სულხან ორბელიანს[198] დაავალა.[199] სულხან-საბამ ლექსიკონის სამუშაო ვარიანტი 1707 წელს ყანდაარში მყოფ მის ძმას – სარდალ ვახუშტის – გაუგზავნა, თუმცა, ამანათმა ადრესატამდე ვერ მიაღწია, რადგან სარდალი ავადმყოფობამ იმსხვერპლა.[200] ხელნაწერს ქართლის მეფე გაეცნო და შესრულებული სამუშაოთი კმაყოფილიც დარჩა: *„დიაღ კარგი წიგნია“*.[201] დიდი ნუგეში იყო სამშობლოს მოცილებული მეფისათვის ამ წიგნის წაკითხვა. 10 წლის წინ დატოვა მან ქართლი და მას შემდეგ მხოლოდ მამულში დაბრუნებას ლამობდა. ამ ხნის მანძილზე სპარსულ ენობრივ გარემოში (რამაც თეიმურაზ I-ს[202] თავის დროზე ათქმევინა მისი ცნობილი სიტყვები: *„სპარსთა ენისა სიტკბომან მასურვა მუსიკობანი, მძიმეა ენა ქართველთა – ვერ ძალმიც მისებრ თხრობანი“*[203]) მყოფისათვის ქართულად კითხვა, ალბათ, ფუფუნებად იყო ქცეული.[204] ამასთან ერთად, დიდი იმედიც იყო შაჰნავაზად ქცეული გიორგისათვის *„ლექსიკონი“*, რადგან კალმით კეთდებოდა ის დიდი საქმე, რასაც, თავის დროზე, მან ავჯანყებით ვერ გაართვა თავი.

„გამუსლიმებულ“ გიორგი მეფეს ქრისტიანულ სიწმიდეებზე ზრუნვაც არ ავიწყდებოდა. ყანდაარიდან ის სამცხეში დაგირავებულ ოქონის ხატის გამოხსნას ახერხებს: *„კუალად წარმოვზავნა ხატი ოქონისა და ნაწილნი და*

---

197 გ. ჯამბურია. სომხით-საბარათიანოს სათავადოების ისტორიისათვის.., გვ. 269.

198 სულხანი 1698 წელს ბერად აღიკეცა დავით გარეჯის უდაბნოში. მან, შესაბამისად, სახელიც შეიცვალა და „საბა“ დაირქვა (ს. ცაიშვილი. ბოლოსიტყვა. ქართული მწერლობა. ოცდაათ ტომად. ტ. 7. შემდგენელნი ა. ბაქრაძე, რ. თვარაძე. თბ. 1989, გვ. 603).

199 სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. ტ. I. გვ. 27.

200 მეფე გიორგი XI-ს წერილი სულხან-საბა ორბელიანისადმი. საქართველოს სიძველენი. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა. ექ. თაყაიშვილის რედაქტორობით ტ. II. ტფ. 1909, გვ. 223.

201 მეფე გიორგი XI-ს წერილი სულხან-საბა ორბელიანისადმი. ქართული ეპისტოლური წყაროების კორპუსი. ტ. I. ქართული ეპისტოლური წყაროები. XV ს. - 1762 წ. შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო მამისა ბერძნიშვილმა. თბ. 1989, გვ. 223; (წერილი მეფე გიორგი XI-ისა სულხან-საბა ორბელიანისადმი. 1707 წ. ქართული ეპისტოლური წყაროების კორპუსი. ტ. I, გვ. 38).

202 კახეთის მეფე 1606-1648წწ., ქართლ-კახეთის მეფე – 1625-1632 წწ.

203 თეიმურაზ პირველი. ლეილ-მაჯნუნიანი. თეიმურაზ პირველი. თხზულებათა სრული კრებული. ტექსტი, გამოკვლევა, ლექსიკონი. ალ. ბარამიძის და გ. ჯაკობაის რედაქციით. ტფ. 1934, გვ. 24.

204 მეფე გიორგი XI-ს წერილი სულხან-საბა ორბელიანისადმი. ქართული ეპისტოლური წყაროების კორპუსი. ტ. I, გვ. 223; „ასრე მიამა და გაგეწყვე, რომე თათრულს წიგნზედ მივდგარვარ და კიდეც ვისწავლე, ლამის ის გამაშობინოს ამის კითხვამა“ (წერილი მეფე გიორგი XI-ისა სულხან-საბა ორბელიანისადმი. 1707 წ. ქართული ეპისტოლური წყაროების კორპუსი. ტ. I, გვ. 38).

ჯუარნი, რომელნი წინდად ეყო სამცხეს და მესხმან მან მუნ მიულო ყოველნი და მეფემან[205] *მას მიანიჭნა უზომონი ნიჭნი*".[206] ი. ალიმბარაშვილის მოსაზრებით, ეს ფაქტი აშკარად მიუთითებს იმაზედ, რომ ოსმალთა ბატონობისა და ისლამის მოწოლის მიუხედავად, მყოფ სამცხეში ქრისტიანობა მაინც არ იყო მოშლილი, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთ დიდ სიწმიდეს იქ არავინ გადააბარებდა.[207] მეფემ ჯანიშინ ძმისწულს დაავალა სიწმიდის მიღება და ხატის სადღესასწაულო დღის დადგენა: *„ხოლო ვახტანგს რა მოუთუალნა ნაწილნი და ხატი ოქონისა, თთუესა იგლისა ლ*[208] *განუმწესა დღესასწაული*".[209] ვახუშტის მიხედვით, ეს 1708 წელს მომხდარა.[210]

ამ ფაქტთან ერთად, ჩვენი მემატიანე აღნიშნავს, რომ *„ხოლო მეფემან წარგზავნა იერუსალიმს ორიათასი თუმანი საკრძალად გოლგოთისა და ჯუარის მონასტრისა და სხუანი მრავალნი შესამკონი მათნი*".[211] ამასაც ვახუშტი 1708 წლით ათარიღებს. თუმცა, თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს დათარიღება სადაოდაა მიჩნეული. კერძოდ, პროფ. ე. მამისთვალიშვილი, სათანადო წყაროებზე დაყრდნობით, მიიჩნევს, რომ ჯვრის მონასტრის გამოსახსნელი თანხები გიორგი მეფემ, მომავალი კათალიკოსის ძმისშვილის, დომენტის, ხელით გაცილებით ადრე – 1684 წელს – გააგზავნა.[212] პროფ. ს. ალიმბარაშვილი, ერთგან, იზიარებდა ვახუშტისეულ ქრონოლოგიას და ამას 1707-1708 წლებში ისპაჰანში მყოფ კათალიკოს დომენტის ფაქტორთან აკავშირებდა,[213] თუმცა, ამ სულიერ წინამძღვრისადმი მიძღვნილ ერთ უახლეს წერილში ამ ფაქტს ერთგვარი სიფრთხილით ეკიდება.[214] მართლაც, როგორც 1702 წლით დათარიღებული ერთი საბუთიდან ჩანს, ქართველებს ამ დროისათვის დაფარული ჰქონიათ ჯვრის მონასტრის ვალები.[215] თუმცა, ვახუშტის

[205] იგულისხმება გიორგი XI.
[206] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 482.
[207] ი. (ს.) ალიმბარაშვილი. ოქონის ხატ[ებ]ისა და ტაძრ[ებ]ის ისტორიიდან. თბ. 2012, გვ. 18.
[208] ქართული ანბანის „ლას"-ის რიცხვითი მნიშვნელობაა – 30.
[209] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა.., გვ. 482-483.
[210] თუმცა, ამ ქრონოლოგიასთან დაკავშირებით არის სხვა მოსაზრებებიც. ამის შესახებ დაწვრ. იხ.: ი. (ს.) ალიმბარაშვილი. ოქონის ხატ[ებ]ისა და ტაძრ[ებ]ის ისტორიიდან, გვ. 23-24.
[211] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 482.
[212] ე. მამისთვალიშვილი. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ისტორია (ქართული პერიოდი). გორი. 2002, გვ. 29; ე. მამისთვალიშვილი. საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ურთიერთობის ისტორიიდან.., გვ. 126; ე. მამისთვალიშვილი. იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი. მეორე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა. გორი. 2014, გვ. 156.
[213] ი. (ს.) ალიმბარაშვილი. ოქონის ხატ[ებ]ისა და ტაძრ[ებ]ის ისტორიიდან, გვ. 19.
[214] ი. (ს.) ალიმბარაშვილი. კათალიკოსი დომენტი IV, გვ. 90.
[215] ე. მამისთვალიშვილი. იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი, გვ. 280.

თზზულებიდან ზემოთ მოტანილი ამონარიდი, ვფიქრობთ, მთლად ანაქრონიზმი არ უნდა იყოს (ვგულისხმობთ იმას, რომ XVII ს. 80-იან წლებთან დაკავშირებული მოვლენების XVIII ს. პირველ 10-წლეულთან მიბმა). ვინაიდან, მემატიანე მაინც ამ აღწერილი მოვლენების თანამედროვეა, წარმოუდგენელია, რომ ზემოთ მოხმობილი ცნობები ასე შეშლოდა დათარიღებაში.

როგორც ჩანს, ამონარიდში თავმოყრილი უნდა იყოს რამდენიმე ცნობა: 1. ჯვრის მონასტრის გამოხსნა; 2. მონასტრისათვის დამატებითი შესაწირავების გაგზავნა (*„სხუანი მრავალნი შესამკონი მათნი“*). როგორც ჩანს, 1708 წელს (ან მასთან ახლოს) გიორგიმ ჯვრის მონასტერს, რომელიც ქართული ქრისტიანობისათვის ახლო აღმოსავლეთში მნიშვნელოვანი სულიერი, კულტურული და, ასევე, გარკვეულ წილად, დიპლომატიური მისიონიც კი იყო, გაუგზავნა შესაწირავები, რისიც კაპიტალიზაციაც, პერსპექტივაში, ერთგვარად, დასაშვები იყო.[216] ამ ვარაუდს უნდა ამაგრებდეს სეხნიას ერთი ცნობა: *„ქორონიკონს ტჟე* [1707 წელს – **კ.კ.**], *ფებერვალს დ* [4 თებერვალს – **კ.კ.**], *გაისტუმრა ჩხეიძე სეხნია,*[217] *ფეშქაშის მაგიერი ახლო ძმასა მისსა მდივანბეგს შაჰ-ყულიხანს თეთრად თუმანი ათასი, ფარჩას გარეითად, ძმისწულსა, საქართველოს გამგებელს* [ვახტანგ VI – **კ.კ.**] *ორი ყათარ*[218] *აქლემი, აკიდებული, მოფენილობა და ფარჩა, თოფი, ოქროსა ზარნიშანით შემკული, ოქროსა იარაღითა, საპირისწამლე მურასა“.*[219]

ამდენად, ორი მემატიანის (მათ შორის, სეხნია უშუალო თვითმხილველი და მეფის ამ განკარგულების აღმსრულებელია) ცნობა ერთმანეთს ემთხვევა. შესაბამისად, ვახტანგმა მართლაც მიიღო ჯვრის მონასტრისათვის განკუთვნილი შესაწირავები. ამ გზის და არა პირდაპირ პალესტინაში მათი

---

[216] შაჰ ნავაზ II-სათვის უცხო არ იყო ქრისტიანული ცენტრებისათვის დახმარების გაწევა. კერძოდ, ტიმოთე გაბაშვილის ცნობით, გიორგი მეფეს ათონის წმიდა მთაზე მდებარე კარაკალოს მონასტრის შეკეთებაში მიუღია მონაწილეობა: „გუმბათი და პალატი დაქცეულა და გაუახლებიათ და ტყვეით გარდაუჭედიათ არჩილს, იმერელთ მეფეს, გიორგის, ძმასა მისსა, და ვახტანგს, ქართველთა ბატონს, და აშოთანს“ (ტიმოთე გაბაშვილი. მიმოსვლა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა. თბ. 1956, გვ. 38).

[217] არც მისი და სამშობლოსადმი ერთგული სეხნიას პატივისცემა დავიწყნია გიორგი მეფეს: „სეხნიას უბოძა საბოძვარი მრავალი და ქართლის მოლარეთ-უხუცესობა“ (სეხნია ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება, გვ. 322).

[218] „ყათარი სხვათა ენაა, ქართულად სტრატული ჰქვიან“ (სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ. ტ. II. თბ. 1993, გვ. 262); „სტრატული ჯორთ შვიდეული“ (სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. ტ. II, გვ. 112).

[219] სეხნია ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება, გვ. 322.

გადაგზავნა, ალბათ, პირადი უსაფრთხოებით იყო განპირობებული. შაჰნავაზ II მაინც მუსლიმად ითვლებოდა და, ამასთან, არც პირადი მტრები აკლდა, რომლებიც შაჰთან სიამოვნებით ჩაარბენინებდნენ აუგს ქართველი ვალის შესახებ. საკუთარი ქრისტიანი ძმისშვილისათვის კი საჩუქრების გაგზავნა, რაც მიღებული პრაქტიკა იყო, არ აღძრავდა არასასურველ ეჭვებს, ხოლო მართლმადიდებელი ვახტანგი კი თავად გააგზავნიდა მართმადიდებლურ ჯვრის მონასტერში ძღვენს, რაც, ასევე, ისპაჰანისათვის გაუგებრად არ იქნებოდა აღქმული.

საქართველოსათვის პალესტინაში (და ასევე სხვა რეგიონებშიც) არსებული სასულიერო ცენტრების შენარჩუნება უდიდესი მნიშვნელობის საკითხი იყო. ზემოთ აღნიშნულ ფაქტორებთან ერთად, ისეთი უძველესი ქრისტიანული სახელმწიფოსათვის, როგორც ჩვენი ქვეყანა იყო, წმიდა მიწაზე უძველესი მონასტრის ფლობა-შენახვა, ერთგვარად, საქართველოს მაღალ საერთაშორისო სტატუსს ანიჭებდა. ამდენად, სავსებით მოსალოდნელია, რომ ჯვრის მონასტრისადმი გაწეული გიორგი XI-ს ეს ორი ქმედება (სხვადასხვა დროს განხორციელებული) მემატიანემ ერთ ქრონოლოგიურ სივრცეში მოათავსა. თუკი მან ოქონის ხატი ქართლში დააბრუნა და დღესასწაულიც დაუდგინა, ბუნებრივია, შაჰნავაზ II არც წმიდა მიწაზე მდებარე ჩვენს სიწმიდეებს დაივიწყებდა და, ბუნებრივია, არც ავიწყდებოდა. სულიერი მხარდაჭერაც სჭირდებოდა სამშობლოსათვის თავგანწირულ და სახიფათო გარემოში მყოფ მეფეს. საქართველოში ხომ ლოცულობდნენ მისთვის: *„მეფის გიორგის ყანდაარს ბრძოლის გასამარჯვებლად და მშვიდობით მოსვლელად გიორგი მეფის სულისა და ცოცხლივ გამოხსნისათვის“*.[220] ასე ევედრებოდნენ, ალბათ, შაჰ ნავაზ II-სათვის წმიდა მიწაზეც. მისთვის ათონის მთაზეც ლოცულობდნენ: *„და არს დღითი-დღე მათი მოჴსენება“*.[221]

გიორგი მეფესთან ყანდაარში ქართლიდან სამემკვიდრეო და სხვა სახის სამართლებრივი დავების გადასაწყვეტადაც ჩადიოდნენ. ტკოცელებისა[222] და წაღვლელების[223] დავას ჭალის გარშემო იმდენად რთული სახე მიუღია, რომ

[220] თ. ნატროშვილი. მაშრიყით მაღრიბამდე, გვ. 450.

[221] ტ. გაბაშვილი. მიმოსვლა, გვ. 38.

[222] ტკოცა – სოფ. ხაშურის მუნიციპალიტეტში (საქართველოს ისტორია ტოპონიმიაში (საქართველოს ისტორიული ტოპონიმიების კორპუსი). ტ. 2. შემდგენლები: დ. ბერძენიშვილი, მ. კანდელაკი, დ. მუსხელიშვილი, მ. სურგულაძე, ნ. შიოლაშვილი, გ. ჭეიშვილი. რედაქტორი დ. მუსხელიშვილი. თბ. 2012, გვ. 192, 423).

[223] წაღვლი – სოფ. ხაშურის მუნიციპალიტეტში (ჯ. გვასალია, დ. თუშაბრამიშვილი. წაღვლი. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 11. თბ. 1987, გვ. 301; საქართველოს ისტორია ტოპონიმიაში (საქართველოს ისტორიული ტოპონიმიების კორპუსი). ტ. 2, გვ. 400, 423).

სამართლის საძიებლად ისინი გიორგისთანაც ჩასულან. მეფემ საქმის მოგვარება გიორგი (გოგია) ყორღანაშვილს დაავალა.[224]

ყანდაარში მყოფი ქართლის მეფეს, როგორც ზემოთ ვნახეთ, მის სამეფოში არსებულ ვითარებას მეტ-ნაკლებად თვალ-ყურს ადევნებდა და, შესაბამისად, სხვადასხვა საქმეების მოგვარებაშიც ღებულობდა მონაწილეობას. ბუნებრივია, ადგილობრივად ვითარების დარეგულირებას ის მის ჯანიშინ ძმისწულს ავალებს. საინტერესოა, რომ ავღანეთში მასთან ჩადიან კიდევაც გარკვეული საგვარეულო-საოჯახო ურთიერთობების მოსაწესრიგებლად. კერძოდ, ყანდაარში საგანგებოდ ჩასულმა პაპუა თურქისტანიშვილმა მეფეს „ამოვარდნილი“[225] ბიძამისის – ბახუტა თურქისტანისშვილის (თურქისტანიშვილი) – წილი მამული სთხოვა, რაც ქართლის ვალიმ დააკმაყოფილა კიდევაც და ამ ვალდებულების აღსრულება ქართლის გამგებელს – ვახტანგ VI-ს დააკისრა.[226] ანალოგიური პრობლემა შეემთხვა მისი ბიძაშვილებსაც (დედის ძმისშვილებს) – ორბელიანებსაც, რომელიც, ასევე, გადაწყვეტას მოითხოვდა. მეფემ სულხან-საბას მისწერა ყანდაარიდან: *„სულ ქვეყანამ იცის, როგორც გარიგებულა, ისრე უნდა იქნებს და არც მოიშლება უსაცილოდ...“*:[227]

ამრიგად, ავღანელებთან მებრძოლი გიორგი შეძლებისდაგვარად ცდილობდა სამშობლოში მიმდინარე საქმეებისათვისაც მიედევნებინა თვალი. მტრის თვალის ასახვევად რჯულშეცვლილი მეფე მაინც ქრისტიანად რჩებოდა და ქრისტიანული სიწმიდეებისათვის ზრუნვას აგრძელებდა. მოგვიანებით, ავჯანყებულ ავღანელთა თავკაცი მირ ვეისი შაჰთან გურგინ-ხანს სწორედ ქრისტიანობის ერთგულებას დააბრალებს. 1709 წ. აპრილში, დიდ ხუთშაბათს, ყანდაარის ქალანთარმა მუხანათურად მოკლა ქართველი ბეგლარბეგი: *„და აჰყარნა ბატნი და ჯუარნი მეფესა მირვეიზ და ფსალმუნი, რომელსა იკითხვიდა ყამსა*

---

224 განჩინება წაღლელთა და ტკოცელთა მამულის საქმეზე (1704-1709 წწ.). ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VI. სასამართლო განჩინებანი (XVIII-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ. თბ. 1977, გვ. 635.

225 უმემკვიდრეოდ გარდაცვლილი: „თუ... კაცი ამოვარდეს და არ დარჩეს (ძე – კ.კ.) და, არცა ასული“ ([წყალობის წიგნი ვახტანგ VI-ისა ტფილისის მოსახლეობისადმი] [1722 წ.]. ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II. საერო საკანონმდებლო აქტები (X-XIXსს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1965, გვ. 389.

226 წერილი შაჰნავაზ II-ისა (გიორგი XI-ისა) თავის ძმისწულ ვახტანგ ბატონიშვილისადმი. 1703-1709 წწ. ქართული ეპისტოლური წყაროების კორპუსი. ტ. I, გვ. 32.

227 მეფე გიორგი XI-ს წერილი სულხან-საბა ორბელიანისადმი. ქართული ეპისტოლური წყაროების კორპუსი. ტ. I, გვ. 223; წერილი მეფე გიორგი XI-ისა სულხან-საბა ორბელიანისადმი. 1707 წ. ქართული ეპისტოლური წყაროების კორპუსი. ტ. I, გვ. 38.

მას“.[228] არცერთ სხვა წყაროში, გარდა თ. კრუშინსკის ცნობისა,[229] ამგვარი რამ არ გვხვდება. როგორც ჩანს, იეზუიტ ბერსა და ჩვენს მემატიანეს ერთი საერთო ინფორმატორი ჰყავდათ. ხელთჩაგდებული „კომპრომატი“ მირ ვეისმა ისპაჰანში გააგზავნა: *„ესრეთ გაცდუნებდა მეფე* (გიორგი XI – **კ.კ.**) *“*.[230]

ქართველთა წყალობით, ირანის აღმოსავლეთ საზღვრებზე, მეტ-ნაკლებად, მშვიდობამ დაისადგურა და იმ სირთულის გართულებები აღარ ჰქონიათ იქ სეფიანებს, როგორც ეს წინა წლებში იყო. სამშობლოდან შორს სამშობლოსათვის მისი შვილები თავს დებდნენ. ყველა მათგანის სახელი არ შემოგვინახეს საისტორიო წყაროებმა.

1707 წელს ყანდაარში გიორგი მეფის ბიძაშვილი – ვახუშტი ორბელიანი, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ავადმყოფობამ იმსხვერპლა. შაჰნავაზმა სამძიმრის წერილი გაუგზავნა ვახუშტის ძმებს – სულხან-საბასა და დარბაზის მდივანბეგ[231] ერასტის.[232] გარდაცვლილი მამიდაშვილის მთელი ქონება, რაც მას ყანდაარში გააჩნდა, მეფემ ერთიანად აღწერა და ქართლში, მის მემკვიდრეებს გამოუგზავნა: *„...რაც საქონელი ქონდა, ყველა ამიწერია. სეხნია ციციშვილი ბძანდებოდა და ეს ზაალ კაკონაშვილი და ამ ზალისათვის თავილად*[233] *დამიწერია და წუსხას*[234] *ნახავთ, ჩემის ბეჭდით არის... თეთრი მოქალაქენს მივეცით და ზაალს თავილად აწერია, თამასუქები მოგივათ. ამიტომ ვქენით, რომ აქაური თეთრი მანდ არ გავიდოდა. ახლა მანდ სარგებლით მოგართმევენ“*.[235] ორმოცდღიანი გლოვის შემდეგ, შაჰნავაზმა ბიძაშვილს, მდი-

---

228 ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 484.

229 გიორგი „ქრისტიანედ დარჩა და კათოლიკედ მიიცვალა, როგორათაც მოგვითხრობენ. როდესაც მოჰკლეს, მას გულზე უპოვეს ჯვარი, ერთი ჯვარიც თავის დროშის ბურთში (? – კ.კ.) ჩაეტანებინა“ (მ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე. ტფ. 1902, რეპრინტული გამოცემა. თბ. 2011, გვ. 288).

230 ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 484.

231 წერილი ბატონიშვილის ლევანისა, სპარსეთიდან მოწერილი. საქართველოს სიძველენი. ტ. II, გვ. 240.

232 სამძიმრის წიგნი მიწერილი მეფის შაჰნავაზის მიერ ყანდაარიდგან საბა-სულხან ორბელიანისადმი საბას ძმის ვახუშტის გარდაცვალების გამო. საქართველოს სიძველენი. ტ. II, გვ. 220; სამძიმრის წერილი შაჰნავაზისა საბა და ერასტი ორბელიანებისადმი. 1707 წ. ქართული ეპისტოლური წყაროების კორპუსი. ტ. I, გვ. 35.

233 „თავილი – სახარჯოდ გაცემული თანხა; გარკვეული პირის პასუხისმგებლობაში გადაცემული თანხა ან ქონება“ (ქართული ეპისტოლური წყაროების კორპუსი. ტ. I, გვ. 119).

234 სია ვახუშტი ორბელიანის მოძრავი ქონებისა. საქართველოს სიძველენი. ტ. II, გვ. 210-215.

235 სამძიმრის წიგნი მიწერილი მეფის შაჰნავაზის მიერ ყანდაარდიდგან საბა-სულხან ორბელიანისადმი საბას ძმის ვახუშტის გარდაცვალების გამო. საქართველოს სიძველენი. ტ. II, გვ. 221.

ვანბეგ ერასტის კიდევ ერთი სამძიმრის წერილი გაუგზავნა და, ამასთან ერთად, ხალათიც აახლა: *„ვიცით, მწუხარებით იწვებით და შავითა. შავის გამოსაცვალად ხალათი მიახლებია... თუ ჩვენი თავი გინდა, ეს ჩაიცვით, რა ვქნათ, თქვენ გტკივს და ჩვენთვისაც მწველ სატკივარია მის ამ გვარად საქმე“*:[236]

1708 წელს ძმისწული იესე გიორგიმ ქირმანის ნაიბად დააწინაურა და ყანდაარიდან გაამგზავრა, მის ნაცვლად კი მისი სხვა ძმისშვილი – ალექსანდრე მიიწვია.[237] ცოტა ხანში, 1709 წ. 21 აპრილს გიორგი მუხანათურად მოკლეს ავღანეთში. სამწუხაროდ, ის, რომელიც საკმაოდ გონიერი და შორსმჭვრეტელიც იყო, საბოლოოდ ცბიერი მირ ვეისის გავლენის ქვეშ მოექცა, რითაც ამ უკანასკნელს, ფაქტობრივად ხელი გაუხსნა თავისუფალი მოქმედებებისაკენ.

შორეულ ავღანეთში ჰპოვა მისი აღსასრული ბაგრატიონთა ერთ-ერთმა გამოჩენილმა წარმომადგენელმა – გიორგი XI-მ, რომელსაც მაღალი შეფასება მისმა თვით დაუძინებელმა მტერმაც – მირ ვეისმაც – კი მისცა: *„მას სამართლიანად მიიჩნევდნენ ერთადერთ უნარიან მინისტრად და საუკეთესო მხედართმთავრად, რომელიც კი გააჩნდა ირანის მონარქიასო“*:[238] აქვე გვერდს ვერ ავუვლით ერთ მოსაზრებას ჩვენი მეფისადმი. როგორც ფრანგი ბერი მობერ გუვე თავის რომანში – *„სახელგანთქმული გლეხი“* – წერს, გიორგი XI-ს ირანის დაპყრობისა და შაჰის ტახტის თავად დაჭერის სურვილი ჰქონია.[239] მატიანეები ქართლის მეფის ამ სურვილის შესახებ არაფერს გვამცნობენ. ერთდაერთი, რაც ცნობილია, ესაა მირ ვეისის ცილისწამება, რომ ყანდაარის გუბერნატორს რუსეთის მეფე პეტრე I-თან ჰქონდა კავშირი და მასთან ერთად გეგმავდა ირანის წინააღმდეგ სამხედრო კამპანიას. სხვა რამ გიორგის ზრახვების შესახებ, ისტორიამ არ იცის.

მაშ საიდან მოიტანა მ. გუვემ ეს ცნობები? იქნებ ეს მისი ფანტაზიაა, როგორც ამას დ. ჯანელიძე ფიქრობს. შეიძლება, მართლა უფიქრია კიდევაც მზით გადახრუკულ ყანდაარში ზუთი წლის მანძილზე ყოფნისას მეფეს, რომ დაერაზმა მისი ერთგული ქართველები, ჯანიშინ ძმისწულსაც გამოიხმობდა ლაშქრით ქართლიდან, დაუკაშირდებოდა მოღოლ ფადიშაჰს, რომელსაც ყან-

---

236 სამძიმრის და საჩუქრის წიგნი შაჰნავაზ მეორისა მდივანბეგის ერასტი ორბელიანისადმი, ყანდაარიდგან მოწერილი. საქართველოს სიძველენი. ტ. II, გვ. 221; სამძიმრის წერილი შაჰნავაზისა ერასტი ორბელიანისადმი. 1707 წ. ქართული ეპისტოლური წყაროების კორპუსი. ტ. I, გვ. 37.

237 სეხნია ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება, გვ. 324.

238 იოსებ ქართველის „სამახსოვრო ბარათი სპარსეთში...“. იღ. ტაბაღუა. მასალები XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს ისტორიისათვის, გვ. 93.

239 დ. ჯანელიძე. საქართველო და აღმოსავლეთი, გვ. 10.

დაარის უკან გამობრუნების საკითხი მოსვენებას არ აძლევდა და შეუტევდა ირანს. არც სუნიტი ოსმალები და უზბეკები დარჩებოდნენ გვერდით და ისინიც შეესეოდნენ ერეტიკოს შიიტებს. სოლთან-ჰოსეინის სპარსეთი კი ისედაც ინგრეოდა და მის საბოლოო ჩამოშლას ერთი ხელის კვრაღა აკლდა, რაც მოგვიანებით, რამდენიმე წელიწადში მირ ვეისის მემკვიდრეებმა განახორციელეს.

იქნებ მართლა ფიქრობდა ამაზე, მით უფრო, რომ მისი ოჯახის წევრები ირანის მმართველობის სათავეებში იდგნენ, თავად კი ამირსპასალარი იყო სპარსეთის არმიისა და, ზოგადად, ქართველები დიდკაცობდნენ სეფიანთა სახელმწიფოში; ამასთან ერთად, ქრისტიანებიც მრავლად იყვნენ ირანში. ამიტომ, თუკი ასეთი გეგმა უტრიალებდა გაყანდაარებულ ქართლის მეფეს, ის ნამდვილად არ ჩანდა რთული განსახორციელებელი. ძნელი წარმოსადგენია, რომ გიორგის გონებაში ეს აზრები არ დატრიალებულიყო, მით უფრო, რომ მასთან მყოფი ქართველთა მცირე რაზმიც კი შიშის ზარს სცემდა ავღანელებსაც და სპარსელებსაც. შეიძლება, სწორედ ამგვარი ლოგიკით განავითარა გუვემ გიორგის სპარსეთის შაჰობის შესახებ. ალბათ, სხვას ვერც იფიქრებდა ფრანგი ბერი რომანისტი, რომ ამგვარი სახელმოხვეჭილი მეფე, რომელიც მთელი ცხოვრება მისი სახელმწიფოს დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა და რომლის შესახებაც წლების მანძილზე ფრანგული გაზეთები აქტიურად აქეყნებდნენ ცნობებს, უმოქმედოდ მჯდარიყო ყანდაარში და დალოდებოდა იმ მშვენიერ საათს, როცა შაჰი მას ქართლში დააბრუნებდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გიორგისა და მისი თანმხლები ქართველების ბრძოლა სპარსეთში, ავღანეთში მათ სამშობლოს სასიკეთოდ უბრუნდებოდა. შაჰ სოლთან-ჰოსეინი ცდილობდა რა ქართველებით მოეწესრიგებინა აწეწილი მდგომარეობა მისი იმპერიის აღმოსავლეთ საზღვრებთან, სამაგიეროდ ის თვალს ხუჭავდა ქართლის ჯანიშინის – ვახტანგ VI-ის აღმშენებლობით მოღვაწეობაზე, რომელიც მიზნად აქ ადრე დანერგილი სპარსული ზნე-ჩვეულებებისა და სპარსული ენის მოშლას ითვალისწინებდა. მან დიდი ხნის პაუზის შემდეგ მონეტაზე ქართული წარწერაც ამოჭრა. ქართველი მემატიანეები აღფრთოვანებით აღწერენ ქართლის მეფის მამულიშვილურ საქმიანობას, რომელიც, ალბათ, ვერ შედგებოდა მხოლოდ და მხოლოდ ვახტანგისვე მოქმედებებით, რომ მას გიორგი და, ირან-ავღანეთში მყოფი, სხვა ქართველთა თავდადებას არ გაემაგრებინა ზურგი.

Kakha Kvashilava

GIORGI XI IN PERSIA (1700-1709): FIGHT FOR GEORGIA

Summary

Fighting for independence and sovereignty of Kingdom of Kartli, Giorgi XI (Shahnavaz II) had to go to Shah Soltan Hossein's court in 1697. His throne passed to pro-Iranian Nazarali-khan (Erekle I), king of Kakheti. Internal crisis of Persia became deeper during Shah Soltan Hossein's rule. Iranian Scientist Reza Sha'bani remarked that this Shahinshah was weak and lacking willpower. So, Shah was glad to have Giorgi in Iran, and not in Georgia.

Shah's environment was puzzled by Giorgi's impulsive character. That is why they decided to send him to the Eastern regions. Giorgi became Beglarbegi of Kerman. Shahnavaz II's new ruling region was restless by often raids of Afghan and Balochi tribes. Giorgi went to Kerman in 1700. Soon local situation gradually started to stabilize by Georgians energetic military actions. Shah marked it and therefore gave new "mercy" to Georgian royal family of Giorgi XI: his brother Leon named Shahkuli-khan was appointed Divanbegi of Iran and Leon's son Kaikhosrow became Daruga of Ispahan. In a short time, Shah gave Kartli back to Giorgi as to King but he did not return to his Kingdom. On the contrary, Shahnavaz II was sent to Kandahar as this region's Beglarbegi. Instead of him, Kartli had been ruling by Leon's other son – Prince Vakhtang VI, as regent (Janishin).

In 1704-1709 years, Giorgi-Gurgin-khan calmed rebelled Kandahar down. Georgian King's and his attendants struggle in Kandahar had its influence on Kartli. Shah Soltan Hossein tried to stabilize rebelled East frontier of his Empire, at the same time turned a blind eye to anti-Persian policy of Janishin Vakhtang.

In the present paper, based on the newest researches, it is shown Giorgi's military, political and diplomatical activities in Persia and their positive influence on political, economic and cultural life of Kartli.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება.
შოთა მესხია – 100
თბილისი. 2016

ევგენი ჭანიშვილი

ნადირ შაჰის ახალი საფასე

XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველო უკიდურესად მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა. დასავლეთიდან საქართველოს ოსმალეთის იმპერია, ხოლო აღმოსავლეთიდან ახლად გაძლიერებული ირანი (სპარსეთი) უტევს, რის გამოც საქართველო ორ ცეცხლს შუა აღმოჩნდა. ვითარებას ის ფაქტიც ართულებდა, რომ ქვეყანაში არ იყო ერთობა და შიდაპოლიტიკური ბრძოლები მიმდინარეობდა. 1555 წელს ამასიაში დადებულმა ირან-ოსმალეთის საზავო ხელშეკრულებამ საბოლოოდ გაავლო საზღვარი და საქართველო ორ ნაწილად გახლიჩა.[1] აღმოსავლეთი საქართველო ირანის უღელქვეშ მოექცა, ხოლო დასავლეთი – ოსმალეთის იმპერიის. თავდაპირველად საქართველოს მოსახლეობა იძულებული იყო ოსმალეთიდან და ირანიდან შემოტანილი მონეტებით ესარგებლა. მაგრამ, შემდგომი ნუმიზმატიკური მასალები საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ საქართველოს ზარაფხანებმა, კერძოდ, თბილისის ზარაფხანამ არ შეწყვიტა მუშაობა და აქტიურად აგრძელებდა მონეტების მოჭრას, როგორც ვერცხლის, ასევე სპილენძის, ძალიან იშვიათ შემთხვევებში – ოქროსი.

თბილისური ვერცხლის სპარსული მონეტები იჭრებოდა ირანის შაჰების სახელით.[2] XVII-XVIII საუკუნეებში ზარაფხანაში მოჭრილ საფასეებზე საკუთარი სახელი ირანის სამმა მმართველმა დინასტიამ დატოვა: სეფიანებმა, ავშარებმა და ზენდებმა.

ავშარიანთა ხანის თბილისური მონეტები დროთა განმავლობაში აქტიური კვლევის საგანი იყო,[3] რომელიც დღემდე დასრულებული არ არის, რასაც

[1] გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. II ნაწილი. თბ. 2011, გვ. 102.

[2] Е. А. Пахомов. Монеты Грузии. Тб. 1970, გვ. 234.

[3] ი. ფაღავა. თბილისური მონეტების წონითი სტანდარტი, ნომინალთა სისტემა და მოჭრის ტექნიკა (ავშარიანთა დინასტიის პერიოდი). ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები. №1(7). თბ. 2010, გვ. 515.

ჩვენი წერილის მონეტაც ადასტურებს. ნადირ-შაჰმა (1736-1747 წწ.) მმართველობის პერიოდში თავისი სახელით თბილისის ზარაფხანაში შემდეგი ნომინალების ვერცხლის მონეტები მოჭრა: ნადირი (11,5გრ.), ნახევარი ნადირი (6 შაჰი), ერთი აბაზი, ერთი მაჰმუდი, ერთი შაჰი (შაური). სანამ უშუალოდ ჩვენი წერილის მონეტის განხილვასა და აღწერაზე გადავალთ, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ნადირ შაჰმა ძველ სამონეტო სისტემასთან ერთად შემოიღო ახალი სისტემაც,[4] რომელიც ინდურიდან იყო ნასესხები, შესაბამისად, ნადირი (1 რუფია) და 6 შაჰი(1/2 რუფია) ინდური რუფიის სტანდარტზე იყო მოჭრილი.

რაც შეეხება ჩვენს მონეტას, მისი ნომინალური ერთეული ერთი შაჰია (შაური), რაც ¼ აბაზს უდრის. აქამდე ცნობილი იყო, რომ აღნიშნული ნომინალი უკანასკნელად ჰიჯრით 1152 წელს მოიჭრა 6 შაჰიანის მსგავსი სიქით (იხ. სურ. 3). ჩვენი წერილის მონეტა კი სრულიად განმარტოვებით დგას წინათ ხსენებული 6 შაჰიანის სიქის შაურისგან. მონეტა მოჭრილია ერთი ნადირიანის მსგავსი სიქებით, რის გამოც ის ნადირ შაჰის ერთ შაჰიანის მეორე განსხვავებულ ტიპს წარმოადგენს. ამ მონეტის უნიკალურობა ასევე მოჭრის თარიღში მდგომარეობს. ევგ. პახომოვს კარგად აქვს აღნიშნული, რომ 1152 წლის მერე მოჭრილი მონეტები ზოგადად დიდ იშვიათობას წარმოადგენს.[5]

[4] დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა. თბ. 1969, გვ. 145.
[5] Е. А. Пахомов. Монеты Грузии. Тб. 1970, გვ. 233.

მონეტის აღწერილობა:

შემთხვევით აღმოჩენილია მარნეულის რაონის სოფელ იმირჭალაში. Ar. ჰიჯრ. 1156 წ. (1743 წ.), წონა – 0,9 გრ., შაჰი.



სურ.1

შუბლი: ناطل[س] /[تشه]/ [خان] نيطل[ر]/ [اشه]/ [خبقران] صا ر[د]نا ن[شاه]
ერთნაღირის შუბლის ანალოგიურია.

ზურგი: ١١٥٦ ضرب تفليش
იჭედა თფილისს 1156 (1743 წ.)

ჩვენ მიერ აღმოჩენილი მონეტა, როგორც აღმოჩნდა, მოჭრილია ნადირიანის სიქით ჰიჯრის 1156 წელს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ 1152 წლიდან იცვლება სიქების სტილისტიკა და ერგება ახალ სტანდარტს.



სურ. 2
ნადირ-შაჰის ნადირიანი (რუფია), 1159 წელი ჰიჯრით



სურ. 3

ნადირ-შაჰის ჰიჯრ. 1152 წლის ერთშაჰიანი

ჩვენი მონეტა საინტერესოა იმითაც, რომ იგი შემდგომ პერიოდში გამოყენებული იყო, როგორც საყოფაცხოვრებლო ნივთი. ავერსის 5 საათზე შესამჩნევია შედუღების კვალი (სურ.1). სამწუხაროდ, მონეტის ბოლო პატრონმა მოხსნა შენადუღარი ყუნწი. როგორც ჩანს, იგი გამოიყენებოდა, როგორც მოსართავი. ვერცხლის მცირე ნომინალების ამგვარად გამოყენება საკმაოდ ხშირი შემთხვევაა მეთვრამეტე საუკუნის საქართველოში. ცნობილია ასევე ვერცხლის მაჰმუდიანების ღილებად გამოყენების ფაქტებიც.

აღნიშნული მონეტით დადგინდა, რომ ნადირ შაჰის სახელით თბილისის ზარაფხანაში იჭრებოდა კიდევ ერთი ახალი ქვეტიპი, ასევე აქამდე უცნობი თარიღით (1156 წ. ჰიჯრით). ნადირ შაჰის სახელით თბილისში მოჭრილი საფასეების ახალი ცხრილი კი შემდეგნაირად გამოიყურება:

Ar.	ნომინალი	მოჭრის თარიღი	წონა	იშვიათობა
1	აბბასი	1149 (1736წ.)	4,6 გრ.	იშვიათი
2	აბბასი	1150 (1737წ.)	4,6 გრ.	იშვიათი
3	მაჰმუდი	1149 (1736წ.)	2,6 გრ.	იშვიათი
4	შაჰი	1152 (1739წ.)	1,2 გრ.	იშვიათი
5	შაჰი	1156 (1743წ.)	0,9გრ.	უნიკ.
6	6 შაჰი	1150 (1737წ.)	6,8 გრ.	ხშირი
7	6 შაჰი	1151 (1738წ.)	6,8 გრ.	ხშირი
8	6 შაჰი	1152 (1739წ.)	6,8 გრ.	იშვიათი
9	ნადირი (რუფია)	1152 (1739წ.)	11,5 გრ.	იშვიათი
10	ნადირი(რუფია)	1159 (1746წ.)	11,5 გრ.	იშვიათი
11	ნადირი(რუფია)	1162 (1749წ.)	11,5 გრ.	იშვიათი

Evgeni Chanishvili

NEW COIN OF NADIR SHAH

Summary

In the 17th-18th cc. Tbilisi mint produced the coins of the Persian pattern. Three ruling dynasties left their names on these silver coins: the Safavids, Afsharids and Zands.

Coinage during the Afsharid dynasty was the subject of active research, which is not still completed. Here we introduce new shahi (shauri), ¼ abbasi, of Nadir Shah struck at Tbilisi in 1556 AH. (1743).

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება.
შოთა მესხია – 100
თბილისი. 2016

ელენე გოგიაშვილი

ჰერმან ჰენრიხსის „მოკლე ამბავი პრინც ჰერაკლიუსისა და საქართველოს თანამედროვე მდგომარეობისა“ და მისი პირველწყარო

ჰერმან ჰენრიხსის (1763-1829) წიგნი „მოკლე ამბავი პრინც ჰერაკლიუსისა და საქართველოს თანამედროვე მდგომარეობისა“ [Kurze Geschichte des Prinzen Heraclius und des gegenwärtigen Zustandes von Georgien] 1793 წელს დაიბეჭდა გერმანიის ქალაქ ლაიპციგში, კორტენის გამომცემლობაში. ეს გამოცემა წარმოადგენს 54 გვერდიან ისტორიულ ქრონიკას, თუმცა მისი ჟანრის ზუსტი განსაზღვრა რთულია. წიგნი უფრო სამეცნიერო-პოპულარულ ლიტერატურას მიეკუთვნება, რომელშიც სამოგზაურო წიგნისთვის დამახასიათებელი თხრობაც გვხვდება და ბიოგრაფიაც. თხზულებაში მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა ერეკლე მეორის სამხედრო გამოცდილებაზე მსჯელობას და მისი ევროპული ორიენტაციის დასაბუთებას. წიგნი იწყება XVIII საუკუნის საქართველოს მდგომარეობის აღწერით, რომელშიც შედის: ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური ვითარება და ერეკლე მეორის (1744-1798) მეფობა. მიუხედავად იმისა, რომ წიგნი ძირითადად პოლიტიკურ ამბებს ეხება, ავტორი საგანგებო ყურადღებას უთმობს საქართველოს მოსახლეობის წეს-ჩვეულებებსაც.[1]

უნდა აღინიშნოს, რომ 1793 წელს ევროპელი მკითხველი ჯერ კიდევ არ იცნობს იაკობ რაინეგსის წიგნს „კავკასიის ზოგადი ისტორიულ-ტოპოგრაფიული აღწერა“, რომელიც 1797 წელს გამოვიდა,[2] ჰენრიხსის წიგნის გა-

[1] ტექსტის შესახებ იხ. ე. გოგიაშვილი. შორეული ქვეყნის მმართველის შეფასება მე-18 საუკუნის გერმანულ სამოგზაურო ლიტერატურაში. მესხეთი (საისტორიო კრებული). X. თბილისი-ახალციხე. 2008, გვ. 11-18; E. Gogiaschwili. Reiseliteratur als Medium zwischen Europa und dem “fremden” Land Georgien im 18. und 19. Jahrhundert. Georgica. Zeitschrift für Kultur, Sprache und Geschichte Georgiens und Kaukasiens. 31/2008, გვ. 75-82.

[2] Jacob Reineggs. Allgemeine historisch-topographische Beschreibung des Kaukasus. Aus dessen nachgelassenen Papieren gesammelt und herausgegeben von Friedrich Enoch Schröder. Gotha und St. Petersburg, bei Gerstenberg und Dittmar. 1796-1797.

მოსვლიდან ოთხი წლის შემდეგ. ჰერმან ჰენრიხსის წიგნი საქართველოსა და მისი მეფის შესახებ ადასტურებს, რომ საქართველო, როგორც ევროპული ორიენტაციის მქონე შორეული უცხო ქვეყანა, ევროპელი მკითხველისთვის ინტერესის საგანია. XVIII საუკუნის გერმანელი მკითხველი მეტად დაინტერესებულია უცხო ქვეყნებით. „მოკლე ამბავი პრინც ჰერაკლიუსისა და საქართველოს თანამედროვე მდგომარეობისა“ საკმაოდ მოთხოვნადი უნდა ყოფილიყო. მისი ტირაჟის მრავალრიცხოვნებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ეს წიგნი დასავლეთ ევროპის უამრავი ქალაქის ბიბლიოთეკაში ინახება.

„მოკლე ამბავი პრინც ჰერაკლიუსისა და საქართველოს თანამედროვე მდგომარეობისა“ გამოცემულია გრაფ იეკას (Graf Jeka), იმავე ელიას ჰაბესკის (Elias Habesci) დოკუმენტური მასალების საფუძველზე. ისტორიკოს დალი კანდელაკის მოსაზრებით, გრაფი იეკა ფსევდონიმი უნდა იყოს იაკობ რაინეგსისა (1744-1793), რომელიც თბილისში 1778 წელს ჩამოვიდა.[3] ეს თვალსაზრისი ეყრდნობა 1930 წელს ჟურნალ “Caucasica”-ში ფრიდრიხ ბაუმჰაუერის მიერ გამოქვეყნებულ სტატიას „ერთი ანონიმური თხზულება საქართველოს პრინც ჰერაკლიუსის შესახებ“.[4]

ჰერმან ჰენრიხსის მიერ 1793 წელს გამოცემული წიგნის პირველწყაროსა და ავტორის ვინაობის დასადგენად თანმიმდევრობით მივყვეთ ტექსტშივე არსებულ მითითებებს.

ჰერმან ჰენრიხსი შესავალში განმარტავს, რომ გამოყენებული აქვს მასალები ელიას ჰაბესკის, ანუ გრაფ ალექსანდერ გიკას ნაწერებიდან. ეს განცხადება გამომცემლის მხრიდან ორ მნიშვნელოვან მიზანს ემსახურება: 1) მკითხველი დაარწმუნოს წყაროს სანდოობაში და 2) წიგნის წარმატებით გაყიდვა უზრუნველყოს. ამის გარანტიას კი ელიას ჰაბესკის სახელის ხსენება აძლევს. წიგნი ამ სიტყვებით იწყება:

„პრინც ჰერაკლიუსის მოკლე ისტორიისა და საქართველოს თანამედროვე მდგომარეობის აღწერის მასალები შეკრებილია გრაფ იეკას დოკუმენტები-

[3] დ. კანდელაკისა და ე. რაისნერის მოხსენება „პრინც ერეკლეს ცხოვრება და ღღევანდელი საქართველოს მოკლე ისტორია“ წაკითხულ იქნა 2008 წლის 11 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენციაზე (მიძღვნილი შალვა ნუცუბიძის 120 წლის იუბილესადმი).

[4] Friedrich Baumhauer. Eine Anonyme Schrift über den Prinzen Heraklius von Georgien aus dem Jahre 1793. Caucasica 6,1 (1930), გვ. 20-24. გერმანელი მეცნიერი რაინეგსის პიროვნების ამოცნობას დაჟინებით ცდილობს ყველა სახელის მიღმა, რომელიც მოხსენიებულია ჰერმან ჰენრიხსის წიგნში: 1) თვით ავტორი გრაფი იეკა, 2) მოლარტ რეგნი (Mollart Regney), ერეკლე მეორის მინისტრი და 3) შეიხი მანსური, კავკასიაში საღვთო ომის იდეოლოგი.

დან, რომელიც ელიას ჰაბესკის სახელითაც არის ცნობილი ფრანგულ ენაზე დაწერილი სხვადასხვა ნაშრომით, მაგალითად: Traduction d´un Manuscrit tres ancien de la langue Siro Caldaique retrouvé a Orfa, imprimé au mont Liban.[5] L'Origine de Druses habitants du mont Liban, leur Gouvernement &c.[6] De la comparaison de la porte Ottomane avec la porte Romaine.[7] და მრავალი სხვა.

ამ ამბების ავთენტურობაში ეჭვს ნუ შევიტანთ, რადგან გრაფი გარკვეული დროის განმავლობაში რუსეთის, ოსმალეთის, სპარსეთისა და საქართველოს სამეფო კარზე იმყოფებოდა, უამრავი შემთხვევის თვითმხილველი იყო და თავისი თანამდებობის წყალობით შესაძლებლობა მიეცა, ისეთ გარემოებათა მომსწრე გამხდარიყო, რაც რიგითი პირისთვის უცნობი დარჩებოდა. იმის გამო, რომ ჩვენ მწირი ინფორმაცია გვაქვს საქართველოს თანამედროვე მდგომარეობაზე, ეს პატარა თხზულება გერმანელი საზოგადოებისთვის არცთუ ინტერესმოკლებულია. მასში, სხვათაშორის, ერთი უმნიშვნელო თვითნებური ჩამატებაც კი არ არის და დაწერილია შეულამაზებლად".

თუ ელიას ჰაბესკის ბიბლიოგრაფიას გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ მისი წიგნები დიდი პოპულარობით სარგებლობს XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. ამ ეპოქაში მოგზაურთა ქრონიკები ევროპელი მკითხველისთვის მიმზიდველი ლიტერატურული ჟანრია. ელიას ჰაბესკის თხზულებები სხვადასხვა ენაზე იბეჭდება. 1769-1783 წლებში მას ფრანგულ ენაზე გამოცემული აქვს ვრცელი ნაშრომები ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისა და ხალხების შესახებ. 1784-1793 წლებში მისი თხზულებები ინგლისურ და გერმანულ ენაზე ქვეყნდება.

ელიას ჰაბესკი ფსევდონიმია გრაფ ალექსანდერ გიკასი (გვხვდება გვარის სხვადასხვაგვარი ტრანსკრიფციაც: ინგლისურად Gika, Ghika, Ghiga, გერმანულად Jeka). ავტორის ვირტუალური სახელი სიტყვათა თამაშისგან არის ნაწარმოები. მის განმარტებას მისი ერთ-ერთი წიგნის „ოსმალეთის თანამედროვე მდგომარეობის" წინასიტყვაობაში ვხვდებით:

„Elias Habesci არის შემდეგი ანაგრამა: Sahib-el-Sicia, არაბულად მეგობარი უიღბლობაში, იგივე ალექსანდერ გიკა". მისივე განცხადებით, ის მოლდაველი პრინცის, გრეგორი გიკა III-ის ვაჟია, დაბადებული კონსტანინო-

[5] სირო კალდეკის ენის უძველესი ხელნაწერის თარგმანი, აღმოჩენილი ორფაში, დაბეჭდილი ლიბანის მთაზე [1769].

[6] ლიბანის მთის მოსახლე დრუზების წარმოშობა, მათი ხელისუფლება და სხვ. [1769].

[7] ოსმალეთისა და რომის იმპერიათა შედარებიდან [1775].

პოლში 1743 წლის ახლო ხანებში. მას დიდვეზირის მდივნის თანამდებობა ეკავა ოსმალეთში სულთან მუსტაფა მესამის დროს. რუსეთ-ოსმალეთის ომის (1768-1774) შემდეგ გრაფი გიკა განუწყვეტლად მოგზაურობდა ევროპაში, აზიასა და ამერიკაში: რუსეთის, საფრანგეთის, ავსტრიის, ინგლისის ქალაქებში. ევროპული ენების გარდა, ფლობდა თურქულს, არაბულს და ქალდეურს. თავად ჰაბესკის ცნობით, ოსმალეთის იმპერიის აზიურ ნაწილში არ დარჩენილა დიდი ქალაქი, რომელიც არ მოენახულებინა და თარჯიმნად არ ემუშავა მაღალ საზოგადოებაში. იგი აქვე განმარტავს, რომ მისი მასალების უმეტესობა არაბულ ენაზე იყო დაწერილი და ფრანგულად ითარგმნა ევროპელი მკითხველისთვის.[8]

ელიას ჰაბესკის წიგნების თემატიკა ფართოა:

1) ოსმალეთის თანამედროვე მდგომარეობა. ელიას ჰაბესკის ფრანგული ხელნაწერიდან თარგმნილი ინგლისურად [ლონდონი, 1784].[9]

2) ოსმალეთის თანამედროვე მდგომარეობა: თურქების რელიგიის, მმართველობის, სამხედრო საქმის, წეს-ჩვეულებებისა და გართობის რეალური და სალაღობო აღწერა არსებული დოკუმენტების მიხედვით; სულთნის სასახლის კარის განსაკუთრებული აღწერითა და ბევრი სასიამოვნო ანეკდოტითურთ. ელიას ჰაბესკის ფრანგული ხელნაწერიდან თარგმნილი ინგლისურად, ინგლისურიდან კი გერმანულად ალბრეხტ ვიტენბერგის მიერ [ლიუბეკი, 1785].[10]

3) პაპის ძალაუფლების განაწილება ოსმალეთის იმპერიაში და მოსაზრებები საქართველოს მმართველ პრინც ჰერაკლიუსზე. სამ წიგნად. თარგმნილი ელიას ჰაბესკის ფრანგული ხელნაწერიდან [კალკუტა, 1790].[11]

---

[8] The present state of the Ottoman Empire. Translated from the French manuscript of Elias Habesci. London: printed for R. Baldwin. 1784, გვ. iv.

[9] The present state of the Ottoman Empire. Translated from the French manuscript of Elias Habesci. London: printed for R. Baldwin, 1784.

[10] Der gegenwärtige Zustand des ottomanischen Reichs: worinn eine richtigere und unterhaltendere Nachricht von der Religion, der Regierung, dem Kriegswesen, den Sitten, Gewohnheiten und Zeitvertreiben der Türken, als in den bisher davon vorhandenen Schriften geliefert wird; Nebst einer besondern Beschreibung des Hofes und Serail des Großherrn, und vielen besondern und angenehmen Anekdoten / Aus einer französischen Handschrift des Elias Habesci, der sich viel Jahre zu Constantinopel im Dienste des Großherrn aufgehalten, ins Englische, und aus dem Englischen ins Deutsche übersetzt von Albrecht Wittenberg. Lübeck: Donatius. 1785.

[11] The partition of the dominions of the Pope, preceded by that of the Ottoman Empire, and by considerations on Heraclius, the reigning Prince of Georgia. In three books. Translated from the French manuscript of Elias Habesci. Calcutta: from the press of Joseph Cooper, 1790.

4) ოსმალეთის თანამედროვე მდგომარეობა. თარგმნილი ინგლისურიდან მ. ფონტანელის მიერ [პარიზი, 1792].[12]

5) ინგლისელი ერისთვის საინტერესო საგნები [კალკუტა, 1793].[13]

ელიას ჰაბესკის წიგნები გამოცემისთანავე ითარგმნებოდა გერმანულ და ინგლისურ ენებზე, იბეჭდებოდა რეცენზიები. „ოსმალეთის თანამედროვე მდგომარეობის“ შესახებ იმავე, 1784 წლის ჟურნალში "Critical review or annals of literature", გამოქვეყნებულია რეცენზია, რომელიც წიგნის მიმოხილვასთან ერთად ინფორმაციას გვაწვდის ელიას ჰაბესკიზე, როგორც საიდუმლო აგენტზე.[14]

სამეცნიერო ლიტერატურაში ელიას ჰაბესკის შესახებ დღემდე არ არსებობს მონოგრაფიული ნაშრომი. ამჟამად მის ბიოგრაფიაზე რუმინელი მეცნიერი ლივიუ ბორდასი მუშაობს. მისი მოხსენება „ბრიტანული ძალაუფლების იდეოლოგი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში: ელიას ჰაბესკი“[15] ნათელს ფენს ამ ავტორის მოღვაწეობის მნიშვნელოვან საკითხებს.

ლივიუ ბორდასის გამოკვლევით, ელიას ჰაბესკიმ, ანუ ალექსანდერ გიკამ ცხოვრების უკანასკნელი ხანები ინდოეთში გაატარა (1789-1811). იქ ის მოგზაურობდა, წერდა, დაკავებული იყო კომერციული თუ საიდუმლო მისიებით და მონაწილეობდა ინგლის-მარათჰას მეორე ომში, როგორც ჯარის მეთაური. ბორდასის მოხსენების მეორე ნაწილში განხილულია ალექსანდერ გიკას იდეები სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების კულტურაზე, რელიგიასა და წეს-ჩვეულებებზე, აგრეთვე მისი პოლიტიკური შეხედულებები ამ ქვეყნების მომავლის შესახებ. ალექსანდერ გიკა თავისი დროისთვის უჩვეულო „მობილობას“ ამჟღავნებს რელიგიების მიმართ, თუმცა ის დარჩა ქრისტიან ლიბერალად, რომელსაც საკმაო სიმპათიები ჰქონდა ისლამისადმი. იგი ინტერესით აკვირდებოდა სხვადასხვა რელიგიას (ბუდიზმი, ტაოიზმი, შივაიზმი, სიხიზმი, იანიზმი) და მოსწონდა მათი კონცეფციები. მიუხედავად ამისა, ალექსანდერ გიკას დამოკიდებულება მათდამი ევროპული ძალაუფლების პოზიცი-

[12] Elias Habesci. Etat actuel de l'Empire ottoman. Traduit de l'anglois par M. Fontanelle. Paris: Lavillette, 1792.

[13] Objects interesting to the English nation. By Elias Habesci. Calcutta: pointed for the author, at the Oriental Star-office, 1793.

[14] Critical review or annals of literature. Volume 58. By the society of Gentlemen. London: printed for A. Hamilton. 1784, გვ. 33-37.

[15] Liviu Bordas. An early ideologist of British supremacy in South and South-East Asia: Elias Habesci (1783). 5th International Convention of Asia Scholars, Kuala Lumpur. 2-5 August 2007.

იდან გამომდინარეობდა. ის დაჟინებით ამართლებდა ბრიტანულ კოლონიალიზმს სამხრეთ და აღმოსავლეთ აზიაში, ადგენდა რა პრაქტიკულ გეგმებს მის განსახორციელებლად. მისი პოლიტიკური პროექტები არა იმდენად გეოსტრატეგიული ნააზრევის მანიშნებელია, არამედ უფრო საიდუმლო აგენტის ინტრიგებისა. ლივიუ ბორდასი მიიჩნევს, რომ ალექსანდერ გიკამ დასავლეთ აზიის მომავლის შესაქმნელად რამდენიმე პროექტი მოხაზა: ოსმალეთის იმპერიის დაშლა (რუსებისა და ავსტრიელებისთვის) და შენარჩუნება (ფრანგებისა და ინგლისელებისთვის).

ელიას ჰაბესკის თხზულებებიდან საქართველოს შესახებ მიმოხილვა გვხვდება წიგნში „პაპის ძალაუფლების განაწილება ოსმალეთის იმპერიაში და მოსაზრებები საქართველოს მმართველ პრინც ჰერაკლიუსზე“ [კალკუტა, 1790].[16] შესავალში ელიას ჰაბესკი წერს, რომ თხზულება სამ პატარა წიგნად დაყო, რომელთაგან პირველი პრინც ჰერაკლიუსსა და მასთან დაკავშირებულ ამბებს ეხება (გვ. 1-48). „შეიძლება ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვიოს, თუ რა ყურადღებას ვუთმობ ამ პრინცს, მაგრამ მკითხველებს ვურჩევ, არად ჩააგდოს ეს მითქმა-მოთქმა“, – ამბობს ავტორი.

ჰერმან ჰენრიხსის წიგნი „მოკლე ამბავი პრინც ჰერაკლიუსისა და საქართველოს თანამედროვე მდგომარეობისა“ ალექსანდერ გიკას მასალებს ეყრდნობა, როგორც თვითონვე აცხადებს წინასიტყვაობაში. ჰენრიხსი არ მიუთითებს, რომელი დოკუმენტები გამოიყენა წყაროდ – ფრანგული თუ ინგლისური ვერსიები. ერთნაირად საფიქრებელია, რომ მას მთლიანად ამოღებული ჰქონდეს ცალკე თავი ერეკლე მეორეზე ზემოთნახსენები ინგლისური გამოცემიდან, და, ასევე, სავარაუდებელია, ფრანგული ხელნაწერიც ჰქონოდა ხელთ. ჩვენ მხოლოდ ინგლისური და გერმანული გამოცემები გვაქვს ხელთ, რომლებიც სრულად შეესაბამებიან ერთმანეთს. ტექსტში ჩართული ფრანგული გამოთქმებიც კი ერთსა და იმავე ადგილას გვხვდება.

თავად ჰერმან ჰენრიხსი სამხედრო პირი და სამხედრო ისტორიის შესახებ დაწერილი ნაშრომების ავტორია.

საფრანგეთის ნაციონალური ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზის ცნობით, ჰერმან ჰენრიხსი დაიბადა ბრემენში 1763 წელს. 1781-1792 წლებში მსახურობდა ინგლისური ჯარის ოფიცრად მადრასში, აღმოსავლეთ ინდოეთის კომ-

[16] The partition of the dominions of the Pope, preceded by that of the Ottoman Empire, and by considerations on Heraclius, the reigning Prince of Georgia. In three books. Translated from the French manuscript of Elias Habesci. Calcutta: from the press of Joseph Cooper, 1790.

პანიაში. სამსახურიდან გადამდგარი 1793-1795 წლებში გერმანიაში, ქალაქ კილში, ცხოვრობდა, 1796-1797 წლებში კი პარიზში გადავიდა. საგარეო ურთიერთობათა მინისტრის, ტალეირანის საგანგებო მიწვევით ჰერმან ჰენრიხსი თარჯიმნად მუშაობდა. ის იყო მთარგმნელი და დიპლომატი. 1799 წელს ჰერმან ჰენრიხსმა გამომცემლობისა და სტამბის ბიბლიოთეკა იყიდა. მას განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის საფრანგეთში გერმანული ლიტერატურისა და სამეცნიერო ნაშრომების პოპულარიზაციისათვის. ამ საქმიანობას ჰენრიხსი თავის პარიზელ კომპანიონებთან ერთად ეწეოდა.

ჰერმან ჰენრიხსმა გამოსცა ორიგინალური შრომები და მრავალრიცხოვანი თარგმანები ფრანგულად, მათ შორის, „ჰანოვერის ელექტორატის სტატისტიკური მიმოხილვა თანამედროვე მდგომარეობითა და პრუსიის მეფის სამეფოებთან გაერთიანებითურთ“ (1801)[17] და „ევროპის ლიტერატურული არქივები“ (1804-1806).[18] ჰერმან ჰენრიხს მკითხველთა ფართო წრე ჰყავდა ლიტერატურულ სალონში იტალიელების ბულვარზე, №30, ტორტონის სახლში, ტუა-ბუს ქუჩის კუთხეში. სხვა ნაშრომებთან ერთად გამოქვეყნებული აქვს „ტაქტიკური სახელმძღვანელო მსუბუქი ინფანტერიისთვის“ (1795).[19] ამ დროს იგი 32 წლის იყო და უკვე დაწინაურებული სამხედრო პირი უნდა ყოფილიყო, რამდენადაც კავალერიის ან არტილერიის ოფიცრის დაწერილ სახელმძღვანელოს, სავარაუდოდ, მყიდველი არ ეყოლებოდა.

ჰერმან ჰენრიხსის განსაკუთრებული ინტერესი ერეკლე მეორის მიმართ, ვფიქრობთ, სწორედ იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ ის სამხედრო ექსპერტი და ინფანტერიის ოფიცერი იყო.

„მოკლე ამბავი პრინც ჰერაკლიუსისა და საქართველოს თანამედროვე მდგომარეობისა“ იმ ღირებულებებს ასახავს, რომლებიც ერეკლე მეორის ევროპელ თანამედროვეებში აღფრთოვანებას იწვევს: სწავლისადმი ადრეულ ასაკში გამოვლენილი მიდრეკილება, ევროპული განათლებისკენ მისწრაფება, პატრიოტული სულისკვეთება, სიმამაცე და ბრძოლისუნარიანობა, სამხედრო ნიჭი, სამართლიანობა, განათლების ფინანსური ხელშეწყობა, პროგრესული პოლიტიკური გეგმები.

[17] Aperçu statistique de l'Electorat de Hanovre dans son état actuel et de se qu'l deviendrait par sa reunion aux États du roi de Prusse, 1801.

[18] Archives littéraires de l'Europe ou Melanges de Litterature, D´Histoire et de Philosophie. Par une Société de Gens de Letters. Tome second. Paris/Tubingue 1804-1806.

[19] Anweisung zu Neuen Evolutionen oder Entwurf eines Tactischen Lehrbuchs für leichte Infanterie. Flensburg: in der Kortenschen Buchhandlung, 1795.

მაგალითისთვის მოვიყვანთ მხოლოდ ერთ ფრაგმენტს წიგნიდან, რომელშიც, ვფიქრობთ, ნათლად ჩანს ევროპელი ავტორის, თუნდაც საიდუმლო აგენტის, აღტაცება ერეკლე მეორის პიროვნებით:

„ერეკლე ახალგაზრდებს ნიჭით არჩევდა, საკუთარი ხარჯებით ნაწილს ევროპის სამეფოთა კარზე, ნაწილს აკადემიებში სასწავლებლად აგზავნიდა. სხვადასხვა თანამდებობას შორის გარკვეული ჯილდოებისთვის დააწესა სამი ორდენი: ერთი – წარმოშობის, მეორე – დამსახურების, მესამე – მამაცობისა და სამხედრო ოსტატობისთვის. ცრურწმენებს ებრძოდა, ყველა რელიგიას იწყნარებდა და ზრუნავდა, რათა თავის ქვეშევრდომებს უფლებამოსილებისათვის არ გადაემეტებინათ. თავის სამეფო კარზე ყოველივე ზედმეტი მოიშორა, თუმცა ამით საჭირო ბრწყინვალება არ მოკლებია. თბილისი, რომელიც ცოტა ხნის წინ პატარა ქალაქი იყო, ახლა თავისი რანგით ევროპის მეორე ქალაქებს უტოლდება. მისი სახალხო მოედნები, მისი ქანდაკებები, კოშკები, ბაღები და სასეირნო ბილიკები, ყველა ეს მეფე ერეკლეს შემოქმედებაა. მან დაარღვია ქალაქის საზღვრები, გააფართოვა და საუკეთესო თავდაცვით ქალაქად აქცია იგი“.[20]

ჰერმან ჰენრიხსისთვის ორმხრივ საინტერესო იქნებოდა ამ წიგნის გამოცემა, როგორც ავტორისთვის და როგორც გამომცემლისთვის. როგორც სამხედრო პირისთვის, მისთვის მნიშვნელოვანი იყო უცხო ქვეყნის მმართველის სამხედრო გამოცდილების აღწერა, როგორც გამომცემელს კი მკითხველისთვის სიახლის შეთავაზება სურდა. ამისთვის კი უცხო ქვეყანა, რომელმაც მოკლე ხანში ეფექტურ ეკონომიკურ წინსვლას მიაღწია ერეკლე მეორის მეფობის დროს, სწორედ რომ შესაფერისი თემა იყო.

[20] Hermann Henrichs. Kurze Geschichte des Prinzen Heraclius und des gegenwärtigen Zustandes von Georgien. Flensburg und Leipzig (in der Kortenschen Buchhandlung) 1793, გვ. 31-32.

Elene Gogiashvili

THE PRIMARY SOURCE OF "THE SHORT CHRONICLE ON THE PRINCE HERACLIUS AND CONTEMPORARY STATE OF GEORGIA" BY HERMANN HENRICHS

Summary

"The Short Chronicle on the Prince Heraclius and Contemporary State of Georgia" [Kurze Geschichte des Prinzen Heraclius und des gegenwärtigen Zustandes von Georgien] by Hermann Henrichs, printed in Leipzig in1793, presents a 54-page historical chronicle. The author claims that he used the papers by count Alexander Jeka, i.e. Elias Habesci. This announcement of the author aims for (1) reader's belief in authentic narratives and (2) best-selling book.

Hermann Henrichs' primary source is the following work: "The Partition of the Dominions of the Pope, Preceded by that of the Ottoman Empire, and by Considerations on Heraclius, the Reigning Prince of Georgia". In three books. Translated from the French manuscript of Elias Habesci. Calcutta: from the press of Joseph Cooper, 1790.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება.
შოთა მესხია – 100
თბილისი. 2016

Михаил Чореф

БИСТИ ГИОРГИЯ XII ИЗ ЮГО-ЗАПАДНОГО КРЫМА

Сравнительно недавно в Крыму, в окрестностях г. Бахчисарая,[1] местным жителем была найдена весьма интересная и редкая для этого региона монета[2] (рис. 1). На ее лицевой стороне, в точечном и двух линейных обрамлениях, размещена легенда в пять строк на грузинском и арабском языках:

ᲒᲔᲝᲠᲒᲘ		«*Гиоргий*
ب	–	
ضر		*чекан*
تفليس		*Тифлиса*
١٢١٣		*1213*»

Над именем правителя заметно украшение. Вернее всего, это цветочный орнамент. Полагаем, что завитки служили для обозначения стеблей и листьев растений, а точки – бутонов. Также искусно украшено поле надписи: правее первого გ в имени правителя и под ر в слове ضرب заметны крупные точки.

На оборотной стороне монеты выбито изображение рыбы,[3] плыву-

[1] Монета Грузии. URL: http://rasmircoins.ucoz.ru/forum/28-10889-1.

[2] Ее описание приведено в соответствии с Е. А. Пахомов. Монеты Грузии. Тб. 1970, с. 268. Правда, исследователь описал только полубисти и пули (Е. А. Пахомов. Монеты Грузии, с. 268, № 160, 161).

[3] На реверсе монет Ираклия II, выпущенных после подписания Георгиевского трактата, оттискивали изображение двуглавого орла (Е. А. Пахомов Монеты Грузии, сс. 263-266, № 147-157). Е. А. Пахомов полагал, что причиной тому было разрешение Екатерины II чеканить в Тбилиси монеты с гербом России (Е. А. Пахомов. Монеты Грузии, с. 260). Примечательно, что в 1796 г. на монетах Ираклия II появился одноглавый орел (Е. А. Пахомов. Монеты Грузии, с. 266). Есть все основания увязывать этот факт с набегом Ага-Мухаммед-хана, разорившего Тбилиси в 1795 г. (Е. А. Пахомов. Монеты Грузии, с. 266). Дело в том, что основа-

щей влево. Сверху и снизу ее обрамляет растительный орнамент, составленный из двух зеркально отраженных цветков. Композиция реверса, как и легенда аверса, также вписана в точечный и в два линейных круга.

Диаметр монеты – 2,3 см, вес – 16,8 гр.

Основываясь на прочтении надписи, атрибуции изображений и учитывая физические параметры, заключаем, что объект нашего исследования – бисти последнего царя Картли-Кахетии Гиоргия XII (1213-1215 г.х., 1798-1800).

Попытаемся объяснить факт обнаружения этой монеты в Крыму. Начнем с того, что его денежное обращение активно усваивало не только полноценное золото и серебро, но и билон иностранного чекана.[4] Ситуация не изменилась и в первые десятилетия нахождения полуострова в составе Российской империи. Судим по тому, что жители Крыма использовали в расчетах неполноценную монету османского чекана.[5] Однако до недавнего времени нам не были известны факты обнаружения на полуострове иностранной медной монеты, выпущенной в кон. XVIII в.

Мы находим это обстоятельство очень важным. Дело в том, что в Российской империи к тому времени было налажено массовое производство собственной медной монеты, которая, став основным средством размена ассигнаций, вытеснила из обращения золото и серебро имперского чекана.[6] И, действительно, факты обнаружения в Крыму медных монет Екатерины II (1762-1796) и Павла I (1796-1801) отнюдь не единичны. Так что у нас нет оснований полагать, что бисти Гиоргия XII использовалось в Крыму как платежное средство. Но, в таком случае, чем объяснить сам факт его обнаружения?

тель династии Каджаров обещал повторить свой набег, если союз Картли-Кахетии с Россией будет сохранен (Е. А. Пахомов. Монеты Грузии, с. 266). Однако сохранение орла означало надежду на возобновление поддержки России. Также показательно и то, что Гиоргий II чеканил медь с изображением рыбы на реверсе. Напомним, что впервые это изображение появилось на выпусках Ираклия II в 1190 г.х. (1776-1777 г.) (Е. А. Пахомов. Монеты Грузии, с. 263, № 144-146). Тогда оно заменило герб Грузии (Е. А. Пахомов. Монеты Грузии, с. 263). Полагаем, что этот факт убедительно свидетельствует о восстановлении в Картли-Кахетии *status quo* до подписания Георгиевского трактата.

[4] М. М. Чореф. К вопросу об обращении иностранной монеты в Крыму в XVI-XIX вв. Материалы по археологии и истории античного и средневекового Крыма. 2011. Вып. 3, сс. 359-370.

[5] М. М. Чореф. К вопросу об обращении иностранной монеты в Крыму в XVI-XIX вв., сс. 362-367.

[6] Энциклопедический словарь. ред. И. Е. Андриевский. Т. II. Араго-Аутка. СПб. 1890, сс. 315-317.

Начнем с краткой исторической справки о жизни и правлении вышеупомянутого грузинского государя. Этот представитель рода Багратионов родился в 1746 г. С 1760-х г. он активно участвовал в управлении государством. Он был третьим сыном последнего царя Кахетии и первого государя Картли-Кахетии Ираклия II (1744-1762/1762-1798). Принц показал себя милосердным, но, в тоже время волевым и справедливым человеком. Так, в 1765 г. он не поддержал решение Ираклия II наказать участников антиправительственного заговора. В результате их отношения были надолго испорчены. Однако заметим, что значительную роль в этом сыграла борьба за власть между потенциальными наследниками Ираклия II. Однако отец счел возможным оставить престол принцу Гиоргию.

Его царствование было недолгим. Дело в том, что к моменту восхождения на престол, Гиоргий XII был серьезно болен. Однако это не помешало ему проявить себя энергичным правителем. Так, он восстановил Тбилиси, разрушенный иранцами в 1795 г. При этом он руководствовался не запросами своих родственников и придворных, а интересами народа. Введя налог на восстановление дворцов, он потратил собранные деньги на обустройство церквей. Полагаем, что таким образом он стремился заручиться народной поддержкой в борьбе с принцами, а также с иранцами. Вероятно, с той же целью он добивался принятия армянами православия. Ведь только объединение сил всех христианских народов Закавказья позволило бы освободить их от гнета шахского Ирана и Османской империи.

С этой же целью он настаивал на выполнении Россией условий Георгиевского трактата,[7] в частности – введения на территорию Картли-Кахетии русских войск.[8] Однако он столкнулся с крайне досадной, но, в тоже время обычной для России того времени проблемой – с самодурством ее самодержавных государей. Дело в том, что правивший тогда империей Па-

[7] Заметим, что православная Грузия была готова стать верным союзником России (Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии. ред. А. А. Цагарели. Тб. 1891. Т. I. С 1768 по 1774 год. Санкт-Петербург, № 1, 2). Однако империя в таком не нуждалась. Дело в том, что имперское правительство не видело в ее царях равноправных партнеров. Наоборот, грузины должны играть роль оружия в его руках (З. Авалов. Присоединение Грузии к России. СПб. 1901, с. 101). Н. И. Панин сформулировал этот так: «*была бы душа здешняя, а тело грузинское*» (Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, №64). Неудивительно, что грузинские государства ничего не получили: Кючук-Кайнарджийский трактат всего лишь восстановил в регионе status quo (Кючук-Кайнарджийский мирный договор между Россией и Турцией. http://www.hist.msu.ru/ER/Etext/FOREIGN/kuchuk.htm).

[8] Договор о признании царем Карталинским и Кахетинским Ираклием II покровительства и верховной власти России (Георгиевский трактат). http://www.hist.msu.ru/ER/Etext/georgia.htm.

вел I, ненавидящий свою мать, все ее свершения, по приходу к власти приказал вывести войска из Грузии.[9] В результате она осталась беззащитной перед иранцами и турками. Ситуация усугубилась в результате усобиц принцев, боровшихся за престол слабеющего государя.

Понимая весь ужас сложившегося положения, Гиоргий XII пошел на крайний шаг. Он упросил императора ввести в Картли-Кахетию войска для ее умиротворения и защиты. Полк русских войск вошел в Тбилиси в 1799 г. Этот, на первый взгляд, логичный шаг, вызвал цепь весьма неблагоприятных для Картли-Кахетии событий.

Начнем с того, император, учитывая усиление влияния России в регионе, счел возможным утвердить наследником Гиоргий XII его сына Давида.[10] Это решение возмутило принцев дома Багратионов – сторонников другого претендента на престол – Юлона, сына Ираклия II.

Опасаясь за свой престол и за жизнь наследника, Гиоргий XII, после совещания в узком кругу, принял решение об изменении ключевых пунктов Георгиевского трактата. По-сути, планировалось зафиксировать status quo. Так, Россия получала право контролировать внутренние дела Картли-Кахетии.[11] Взамен же Георгий XII настаивал на гарантиях сохранения у власти представителей его семьи, правда, лишенных всех прерогатив царствующих особ. По этому проекту Багратионы должны были только царствовать, но не править. Все рычаги влияния в их царстве переходили в руки представителей императора.[12]

---

[9] Екатерина II планировала оказать помощь Картли-Кахетии, разоренной Ага-Мухаммедханом. При деятельном участии братьев Зубовых готовился поход на Иран. Целью его было низложение *«похитителя власти в сем государстве»* (З. Авалов. Присоединение Грузии к России, сс. 160-162) – так называли недавнего разорителя Тбилиси. Планировалось усиление Грузии и восстановление Армении (З. Авалов. Присоединение Грузии к России, с. 162). Однако Павел I не только отменил эту экспедицию, но и вывел русские войска из Восточной Грузии. К 1797 г. их там уже не было (З. Авалов. Присоединение Грузии к России, с. 164).

[10] Впервые об этом было объявлено уже в 1799 г., когда Гиоргий II получил инвеституру (З. Авалов. Присоединение Грузии к России, сс. 174-175). Это было сделано в результате явного нарушения Георгиевского трактата.

[11] По Георгиевскому трактату она до этого момента контролировала внешнюю политику. Это выражалось в том, что: *«обещает его светлость* (Ираклий II – М. Ч.) *без предварительного соглашения с главным пограничным начальником и министром Е.И.В., при нем аккредитуемым, не иметь сношения с окрестными владетелями»* (Договор о признании царем Карталинским и Кахетинским Ираклием II покровительства и верховной власти России (Георгиевский трактат)).

[12] З. Авалов. Присоединение Грузии к России, сс. 196-197. Страна должна была жить по российским законам. Русские войска составили бы ее гарнизоны. Финансы Картли-Кахетии попадали под контроль императорских чиновников. Багратиды, оставаясь царями, должны бы-

Собственно, предложенная Тбилиси схема взаимодействия с Петербургом не выглядела критичной. Более того, она была определенно взаимовыгодной. Ведь сохранение и укрепление дружественного империи, фактически – колониального Грузинского царства позволяло не только закрепиться в Закавказье, но и получить деятельного союзника в борьбе с Ираном и Османской империей. Однако решение Гиоргия XII и его окружения позволило Павлу I, в свою очередь, пересмотреть положения Георгиевского трактата. В результате император стал готовиться к упразднению Картли-Кахетского царства и к присоединению Восточной Грузии к России.[13] Георгий XII скончался 28 декабря 1800 г. Тотчас населению было объявлена воля императора о судьбе его престола.[14] Последний царь Картли-Кахетского царства был похоронен в Светицховели. Его наследник Давид хоть и опубликовал 15 января 1801 г. воззвание о своем восхождении на трон, но получить власть в своем родовом царстве так и не смог.[15]

Заметим, что напрашивается прямая аналогия с присоединением к России Крымского ханства и герцогства Курляндии. Власти империи использовали сложное положение вокруг этих государств, а в случае с первым из них – распрей между представителями правящей династии.

Собственно, это обстоятельство позволяет дать ответ на вопрос, как бисти Гиоргия XII оказалась в Крыму. Вполне возможно, что она была привезена на полуостров одним из участников похода как сувенир.

Итак, изучив редкую для Крыма монету Гиоргия XII, мы, тем самым, получили возможность пополнить сведения о захвате Картли-Кахетского царства, с нашей точки зрения, немаловажным фактом.

ли жить на содержании (З. Авалов. Присоединение Грузии к России, сс. 196-197). Они должны были стать наследственными, правда бесправными наместниками Грузии.

[13] З. Авалов. Присоединение Грузии к России, сс. 201-202.

[14] З. Авалов. Присоединение Грузии к России, с. 203.

[15] З. Авалов. Присоединение Грузии к России, сс. 203-294.



Рис. 1. Бисти Гиоргия XII из Юго-Западного Крыма.

Mikhail Choref

BISTI OF GIORGI XII FROM SOUTH-WESTERN CRIMEA

Summary

The object of our study was extremely rare for Crimea coin – bisti of last king of Kartli-Kakheti, Giorgi XII. It was found in the southwestern part of the peninsula, near the town of Bakhchisaray. Obviously, this coin could not participate in the monetary circulation of the region. After the annexation of Crimea to the Russian market it was full of copper coins of imperial coinage. The population of the Crimea needed if only imported gold and silver. We believe that discussed coin was brought to Crimea as a trophy by participant of Georgia's accession to Russia. Thus, bisti of Giorgi XII from Crimea is an important, symbolic monument of the era.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება.
შოთა მესხია – 100
თბილისი. 2016

ნოდარ შენგელია

რამდენიმე დოკუმენტი შავშეთის, იმერხევისა და მაჭახლის ლივების შესახებ

წარმოდგენილი დოკუმენტები ინახება ანკარის თაფუსა და კადასტრის არქივში, მისი შიფრია: 324; ზომა: 10X30 სმ. წყაროს თარიღი არსად არ უზის, მხოლოდ ერთ პატარა მინაწერშია თარიღი, ჰიჯრის 1175 წლის 20 საფარი, რაც ევროპული წელთაღრიცხვით 1761 წლის 20 სექტემბერს შეესაბამება. ძეგლი ალბათ ამ პერიოდშია შედგენილი, სხვა ცნობა წყაროს დაწერის თაობაზე ჩვენ არ გაგვაჩნია. შავშეთის, იმერხევისა და მაჭახლის მოკლე დავთარი ძალიან საინტერესოა აღნიშნული რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის არა ერთი საკითხის გასათვალისწინებლად. მასში მრავალი საყურადღებო ცნობაა შავშეთის, იმერხევისა და მაჭახლის ისტორიის გასათვალისწინებლად. წყაროში ჩამოთვლილია დღემდე სრულიად უცნობი სოფლების სახელები, მათზე შეწერილი გადასახადებით. მნიშვნელოვნადაა წარმოდგენილი ოსმალური ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელი ფეოდალური ტერმინოლოგია, როგორიცაა შემოსავალი ბეით ალ მალიზე, მალი გაიფზე, საუბარია ვაკუფების მფლობელებზე, მალი მეფკუდზე, იავასა და კაჩკუნზე, ჯამი შერიფის ნაკვეთებსა და იმერხევის მირლივების ხასებზე. საუბარია გარეულ ცხოველებზე და ფრინველებზე, მათზე გაწერილ შემოსავლებზე.

ნაშრომში ასევე გაწერილია გადასახადები შამი ხანეზე, შირაზე, სამღებროებზე, ბოლოს დაჯამებულია მათი საერთო რაოდენობა, იგი შეადგენს 60000 ახჩას. შემდეგ საუბარია შავშეთის ნაჰიეზე. ჩამოთვლილია თითოეული სოფელი მათზე შეწერილი გადასახადებით. სოფელთა საერთო რაოდენობაა 37. აქვეა ნაჩვენები თითოეული სოფლისადმი შეწერილი გადასახადების ოდენობა. ირკვევა, რომ შავშეთის ნაჰიეს სოფლებზე შეწერილი ოსმალური გადასახადების და ვალდებულებების საერთო რაოდენობაა 397620.

შემდეგ, ქვემოთ საუბარია იმერხევის ნაჰიეზე იმერხევის ლივაში, წყაროში ჩამოთვლილი სოფლების სახელწოდება დღემდე ჩვენთვის სრულიად

უცნობი იყო. ჩვენ არ ვიცოდით მათი არც სახელები და არც მათზე შეწერილი გადასახადების ოდენობა.

წყაროში მომდევნო გვერდებზე საუბარია იმერხევის ლივაზე, მაჰმად ბეგის ხასებზე, მიწის ნაკვეთებზე და იმ შემოსავლებზე, რომლებიც გაწერილია ბეით ალ მალის, მალი გაიფის, მალი მეფკუდის, იავასა და კაჩკუნის გადასახადებზე ვაკუფების ნაკვეთების გამორიცხვით. აქვე დადგენილია გადასახადები სამღებროებზე, შავ დამღაზე, ბაზარზე გასატანი საქონლის ბაჟზე, ქერის ბაჟზე, საგანგებოდაა საუბარი ფოცხვერის ტყავზე ხსენებულ ლივაში და სხვ.

შემდეგ საუბარია იმერხევის ლივაში არსებული ნაჰიეს სოფლების რაოდენობასა და მათზე შეწერილ გადასახადებზე. უცნობია თუ რა სახის გადასახადებზეა საუბარი. პირდაპირ ჩამოთვლილია თითოეულ სოფელზე შეწერილი გადასახადების ოდენობა, ჩვენ არ ვიცით თუ რაზეა ეს გადასახადები შეწერილი, აქ პირდაპირ საუბარია საერთო გადასახადებზე და არა რომელიმე სახეობის გადასახადზე. აქვე ჩამოთვლილია 23 სოფელი მათზე შეწერილი გადასახადებით. არ ვიცით, თუ რა სახის გადასახადებზეა საუბარი. ამ გადასახადთა საერთო რაოდენობაა 125862 ახჩა.

შემდეგ საუბარია შავშეთის ლივაში შემავალ ნაჰიეზე. მასში წარმოდგენილია 13 სოფელი მათზე შეწერილი გადასახადების ოდენობით. წყაროში მითითებული სოფლების სახელები აქამდე ჩვენთვის სრულიად უცნობი იყო, ამჯერადაც შავშეთის ლივაში შემავალი სოფლების გადასახადთა საერთო რადენობაა 67196 ახჩა.

ბოლოს, საუბარია აჰმედ ბეგის ხასებზე მაჭახლის მირლივაზე. აქვე საუბარია მიწის ჩამონაჭრებზე აღნიშნულ ლივაში. აღნიშნულია შემოსავალზე ბეით ალ მალის, მალი გაიფის, სავაკუფო მამულების, მალი მეფკუდის, იავასა და კაჩკუნის თაობაზე მათზე ვაკუფების ხარჯის გამოკლებით და ჯამი შერიფის გადასახადის გამოკლებით. იგი შეადგენს 2000 ახჩას. აქვეა რეგისტრირებული გადასახადების რაოდენობა სამღებროებზე, შავ დამღაზე, ბაზარზე გასაყიდ და გატანილ საქონელზე. იგი შეადგენს 2000 ახჩას. აქვეა მითითებული შემოსავალი ფოცხვერის ტყავზე. ასევე არაა დავიწყებული შემოსავლის რაოდენობა გარეულ ფრინველებზე, მათი რაოდენობაა 500. აქვე ჩამოთვლილია 19 სოფელი მათზე შეწერილი გადასახადების ოდენობით. ბოლოს შეჯამებულია მათი საერთო რაოდენობაც. იგი შეადგენს 105791 ახჩას. აქვე წარმოდგენილია შავშეთის ლივაში შემავალი შავშეთის ნაჰიეს სოფლებიც. მათი რაოდენობა სულ 9 სოფელია. აქედან ზოგიერთი სოფლის შემოსავალთან ერთად მი-

თითებულია გადასახადების წილი. აქვე მოცემულია ლივანას ლივაში შემავალი ლივანას ნაჰიეს სოფელთა სახელწოდებანიც. იგი სულ ოთხი სოფლითაა წარმოდგენილი. მათი საერთო ჯამია 150900 ახჩა, იგი შეადგენს 203229 ახჩას. ასეთია ძალიან მოკლედ ხსენებული რეგიონების არქიტექტონიკა.

უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე ჩვენ არ გვქონია ხსენებული რეგიონის შესახებ რაიმე ინფორმაცია. ზემოთ მოტანილი ცნობები უთუოდ მეტად საყურადღებოა აღნიშნული რეგიონის ისტორიის შესახებ. ჩანს, რომ ჩამოთვლილი ცალკეული სოფლები მათზე შეწერილი გადასახადებითა და შემოსავლებით მეტად ღირებული ძეგლია. მსგავსი ხასიათის წყარო დღემდე თითქმის არ გაგვაჩნდა, გარდა ორიოდე ნაშრომისა, რომლებიც ორიოდე ნაშრომისა, რომლებიც XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე გამოქვეყნდა.[1] ამდენად, აღნიშნული წყაროს მონაცემთა შემოტანა ჩვენს სამეცნიერო მიმოქცევაში უთუოდ დიდი შენაძენია ქართული ისტორიოგრაფიისათვის.

ჩვენს მიერ მოძიებული და გამოსაქვეყნებლად წარმოდგენილი წყარო ბევრ საინტერესო საკითხს მოფენს შუქს. წინამდებარე პუბლიკაციაში წარმოდგენილია რამდენიმე ათეული სოფლის სახელწოდება; მათზე შეწერილი გადასახადების რაოდენობა და სხვა მონაცემები. წყაროში ნათლადაა ნაჩვენები ოსმალური ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელი ფეოდალური ინსტიტუტები. სამწუხაროა, რომ ჯერ-ჯერობით თურქეთის არქივებში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა მასალას ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ, თუმცა მომავალში სავსებით შესაძლებელია ახალი მასალების მოძიება.

[1] ზ. ჭიჭინაძე. ევფრატისა და იმერხევის გათათრება. თამარ მეფე და ევფრატის ტაძარი. ივერია. №129. 1895 წ. 13 ივნისი. სამაჰმადიანო საქართველო შავშეთ-იმერხევი. სახალხო საქმე. №3. 1918 წ. 4 მარტი.

ქართული თარგმანი

შავშეთის ლივა

მეჰმედ ბეგის ხასები ხსენებულ მირლივაში

მიწის ნაკვეთი ხსენებულ ლივაში

შემოსავალი ბეით ალ მალისა თუ ის 10000-ზე ნაკლებია და მალი გაიფის, მალი ვაკუფის მფლობელია, მალი მეფკუდის, იავასა და კაჩკუნის თაობაზე ხსენებულ ლივაში. ვაკუფის გარდა ჯამი შერიფის ნაკვეთებისა და იმერხევის მირლივას ხასები. 10000

შემოსავალი ლომბისა ხსენებულ ლივაში 2000

ასა ჰაფირისა და ბალაბანისა ხსენებულ ლივაში ვაკუფების გამოკლებით 3000.

შემოსავალი სასაკლაოსი სათლეთის ციხის რაბათში. წელიწადში 35000.

შემოსავალი საქონლის შეფასებითი ღირებულებისა შავ დამღაზე, ბაზრის ბაჟზე და ქილის ბაჟზე ხსენებულ რაბათში

შემოსავალი შამი ხანეზე, შირა ხანეზე, სამღებროებზე ხსენებულ რაბათში 6000

საერთო ჯამი 60000.

ჯაბლითის ციხის რაბათის ნახევარი შემოსავალი 23329.

სოფელი მურულილი ახლოსაა სათესველ ღაკლასლანთან, ექვემდებარება ხსენებულს.

შემოსავალი 16987

სოფელი მალუდრა ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 4225

სოფელი სამხილი ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 14985

სოფელი მახარლია ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 5357

სოფელი ბარლითი ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 2000

სოფელი თალიბანი ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 2943

სოფელი ასსუსა ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 6643

სოფელი ფირ აღილეთი ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 3275

სოფელი გელია ბილი ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 7375

სოფელი ვაფკა ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 4214

სოფელი დვაბირლისი ახლოსაა დერ აქსილთან, გუსლილთან და ჰარბუნლოსთან, ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 25593

სოფელი გურხანილი ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 4932

სოფელი შეიხთუბანი ახლოსაა სათესველ ურბვალთან ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 8000

لواث خوشاد
حاسها بخام محمد بك ميرلواث م
المقاطعت در لواث مزبور
محصولت بيت المال عوام اون بيكدن اقل و مال غايب و مال موقوف و مال موقوف
و بيوه و قاچقون در لواث م غير از اوقاف جامن شريف مقطع با و وحاسهاث
ميرلواث امرحو
عادت ۱۰۰۰۰

محصول لومت قديمه در لواث م ۲۰۰۰
اسا ث حاضر و بالايان از واجح در لواث م غير از اوقاف م ۳۰۰۰
محصول بويه خانه در رباط قلعه ث حاليت فى سنه ۳۵۰۰۰
محصول احسان و احتاريه و تمغاث سياه و باج بازار باج كيك در رباط م
۱۵۰۰۰
محصول ضمن خانه و غيره خانه ق بويه خانه در رباط م ۵۰۰۰
يكون ۱۰۰۰۰

ناحيه خوشاد در لواث م
نصف رباط قلعه ث جاپلليت حصيك ۲۳۳۲۹
قريه موروعيك من مزرعه عاقلاسان تابن م حصيك ۱۶۹۸۲
قريه هالوداره تابن مزبور حصيك ۷۲۲۵
قريه صاحصيك تابن م حصيك ۱۷۹۸۵
قريه ماخارليه تابن م حصيك ۵۴۵۷
قريه ياكلت تابن م حصيك ۲۰۰۰
قريه طالبياك تابن م حصيك ۲۳۹۵۲
قريه اسقوسه تابن م حصيك ۶۶۷۲
قريه پير اغيلت تابن م حصيك ۲۲۷۵
قريه كليابيك تابن م حصيك ۲۳۷۵
قريه واپكه تابن م حصيك ۷۲۱۷
قريه دوابيرلر من دركسيك و كوسليك و ماريوندلى تابن مزبور حصيك ۲۵۵۹۲
قريه كورخانيك تابن م حصيك ۷۹۲۲
قريه خوج تويان من مزرعه اوربواك تابن م حصيك ۸۰۰۰
قريه كوچك تابن م حصيك ۲۲۰۰۰

قریه سلامت تابن م حصیل ٤٢٠٢
قریه شیخ تویان سفلا تابن م حصیل ٨٩٩٩
قریه ذوریل تابن مزبور حصیل ١٥٥٢٠
قریه عاول من مزرعه ث داقلن تابن م حصیل ٩٩٨٢
قریه سمکول تابن م حصیل ٢٢٠٠٠
قریه سراسکول تابن م حصیل ٢١٢٧٤
قریه خواریتی من مزرعه ث قره وان تابن م حصیل ١٢٠٠٠
قریه ساقیه تابن م حصیل ٥٢٠٠
قریه مودویان تابن م حصیل ٦٤٠٠
قریه امیامور تابن م حصیل ٨٥٠٠
قریه مسکیل تابن م حصیل ٢ ٨٤٢
قریه راجه تابن م حصیل ٢٩٥٧
قریه شیخ تویان کوچك تابن م حصیل ٢٨٥١
قریه موکیه تابن م حصیل ٢٩٢٨٢
قریه جلوت تابن م حصیل ٥٨٢٩
قریه سیدویان تابن م حصیل ٩٢٢٤
قریه دورسیل تابن م حصیل ٩٢٩١
قریه کاپریل من مزرعه ث قصر ایدواك سیمان تابن م حصیل ٨٤٥٤
قریه ماریاروز تابن م حصیل ٩٢٥٢
قریه موروتول تابن م حصیل ٣٣٥٨
قریه دراپر من مزرعه ث ابقان که ار تابن مزبور و قوبلوك و پراسیخو تابن م حصیل ٤٣٩١

یکون ٢٩٧٦٢٠

ناحیه ث ایمرخو در لواث ایمرخو

قریه سخالسپر تابن م حصیل ٨٢٠٠
قریه سیرام تابن م حصیل ٨٠٥٥

یکون ١٦٢٥٥

قریه ساسناد من مزرعه تابن اردنوج حصیل ٢٠٠٠٠

قریه ابارك من مزرعه ث اردنوج حصیل ١٥٠٠٠ حصیل حصه ١٢٠٠٠

یکون ٣٢٠٠٠

جمعان ٥٠٥٨٥٢
تیمار علی ولد عیدن
قریه یاپاتلمر تابن م حصیل ٥٩٩٩

იმერხევის ლივა
მაჰმად ბეგის ხასები ხსენებულ მირლივაში

მიწის ნაკვეთები ხსენებულ ლივაში
შემოსავალი ბეით ალ მალის, მალი გაიფის, მალი მეფკუფის ვაკუფების მფლობელის, მალი მეფკუფის, იავა და კაჩკუნისა ხსენებულ ლივაში, ვაკუფების ნაკვეთების გამოკლებით 5000
შემოსავალი სამღებროებზე წელიწადში 2400
შემოსავალი საქონლის შეფასებით ღირებულებაზე, შავ დამღაზე, ბაზარზე გასატან საქონლის ბაჟზე და ქერის ბაჟზე 2500
შემოსავალი ფოცხვერის ტყავზე ხსენებულ ლივაში 1000
შემოსავალი ასამ ხავზე, ბალაბანზე და ანჯაზე ხსენებულ ლივაში 1000
ჯამი 12000

იმერხევის ნაჰიე ხსენებულ ლივაში
სოფელი კალებარი ახლოსაა სათესველ დიქლუსთან და ხსენებული ციხის რაბათთან ჯამი 5000
სოფელი ჯვარსღავ ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 1500
სოფელი ავბიკილერე ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 4982
სოფელი კირკლაური ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 4300
სოფელი დაბჰური ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 6800
სოფელი კაბანი ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 1600
სოფელი დასმინლი ახლოსაა სათესველ კარავანთან, ლაბუნილთან და დულალთან ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 5275
სოფელი ქვემო ადიე ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 5100
სოფელი მარბელი ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 800
სოფელი რალუს ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 4582
სოფელი ბარქუნილი ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 4766
სოფელი რაქილი ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 8038
სოფელი ბილე ბილი ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 1088
სოფელი კულუ ვირზელი ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 2057
სოფელი ბარლუჯი ახლოსაა სათესველ კუდნასთან ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 4112
სოფელი ბურავაკი ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 31333
სოფელი ზილითი ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 3029
სოფელი აგარა ახლოსაა ზემოსთან ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 2332
სოფელი სვარსკაკი ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 6062
სოფელი დარბანი ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 13900
სოფელი აგრაველი ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 10000

სოფელი ნუკადი ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 5306
სოფელი მამასი ახლოსაა სათესველ აგარნიასთან და ხსენებულ სილაკასალთან ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 2631
საერთო ჯამი 125862

შავშადის ნაჰიე შავშადის ლივაში

ჩილდირის იჯმალ დავთრის დაწვრილებითი აღწერის მიხედვით, აჭარაში საზარდოს ნაჰიეში 20000 ახჩიანი ფეხოსნების ყოფნა საჭიროა. შავშეთის ლივაში მოიყარონ თავი.
სოფელი კანდია ახლოსაა სათესველ ზაკალისკავთან ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 6000
სოფელი დიღარზნეთი ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 2000
სოფელი თავზილი ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 2000
სოფელი აგარა ახლოსაა სათესველ სავებედ მაბიქთან ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 2068
სოფელი სივასი ახლოსაა სათესველ სურსა ვარკილთან ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 6439 წილი 2147
სოფელი კურალითი ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 4293 წილი 1431
სოფელი სიმლა ახლოსაა სათესველ დითვარნიესთან და რასიჰადთან ჯამი 10000
სოფელი დინეთი ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 10000
სოფელი ბებიავილი ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 2000
სოფელი ქარღლუთი ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 7000
სოფელი კიბალი ექვემდებარება ხსენებულს, ხასლეთი ახლოსაა კასულ სიმაკარისთადთან ჯამი 14332
სოფელი ბალკამი ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 3248 წილი 1624
სოფელი ჩეკურ სირასპი ახლოსაა სათესველ ჩიკარ დასილავჯიკთან ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 5504
სოფელი კაკიალუთი ექვემდებარება ხსენებულს კიავფა 1100
საერთო ჯამი 67196
ჯამი 20058

ექვსი ათასი ახჩა მშენებლობისთვის იხარჯება, ხსენებული მუსტაფა ფაშას უდიდებულესობით არზრუმის მშენებლობისთვის და შესაბამისად არსებული ფაქტების თაობაზე. ცნობა მივიღე ასეთი მოვლენების დროს იმერხევის სანახებიდან. ხსენებული კაზას გამოსწორება აუცილებელია. დაიწერა 20 საფარს 1175 წლისა.

لواد ایمرخو

حاصبا بنام محمود بك میر لواد مذكور

المقاطعا در لواد مزبور

محصول بیت المال و مال غایب و مال موقوف و مال مفقود و بوا و تاجئون در لواد مذكور غیر از اوقاف كه مستثنیست ۵۰۰۰
محصول بویه خانه فی سنه ۲۵۰۰
محصول احتساب مع اجاریه و تمغا سیاه و باج بازار و باج كیك ۲۵۰۰
محصول پوست وغد در لواد م ۱۰۰۰
اسام علو و بالایان و انجه در لواد مذكور ۱۰۰۰
بكرت ۱۲۰۰۰
ناحیه د ایمرخو در لواد م


قریه قلج بار مع مزرعه د دكلو و ریاط قلج مزبوزه حصیل ۵۰۰۰
قریه جوارسقاو تابع م حصیل ۱۵۰۰
قریه اویه‌یلره تابع م حصیل ۴۹۸۲
قریه قرقلاور تابع م حصیل ۴۲۰۰
قریه طیحور نام دیكر حصیل ۶۸۰۰
قریه قبان تابع م مزبور حصیل ۱۶۰۰
قریه داسمیل مع مزرعه د قره وان و لیونیس و حولا تابع م حصیل ۵۲۷۵
قریه اطیه د سفلا تابع م حصیل ۵۱۰۰
قریه مریك تابع م حصیل ۸۰۰
قریه زلوس تابع م حصیل ۴۵۸۲
قریه یاركوتك تابع م حصیل ۴۷۶۶
قریه راكیك تابع م حصیل ۸۰۲۱
قریه بلهیك تابع م حصیل ۱۰۸۵
قریه قولو ورزیك تابع مزبور حصیل ۲۰۵۲
قریه یارلوج مع مزرعه د قودنر تابع م حصیل ۴۶۶۲
قریه بوزه‌واق تابع م حصیل ۳۱۲۲۲
قریه زیلیت تابع م حصیل ۲۰۲۹
قریه اكاره مع علیا تابع مزبور حصیل ۲۲۲۲

قریه سوارسقاد تابع م حصیل ۶۰۶۲
قریه داریان تابع م حصیل ۱۲۹۰۰
قریه اکراول تابع م حصیل ۱۰۰۰۰
قریه نوفاد تابع م حصیل ۵۴۰۶
قریه ماماسی من مزرعه ث اکارنیه و سلاشاد مزبوره تابع م حصیل ۲۶۳۱
یکون ۱۲۵۸۶۲

ناحیه عوفاد در لواد عوفاد

جلدر اجمالنده تفصیل و مفرح اولدوقی اوزره اجاره ویردو ناحیه‌سنده یکیرمی بیك
اقچه یمادغی اولان بولدقده میسلی عوفاد ناحیه‌سنده مراسه ...
قریه قاندیه من مزرعه ث زقاستاو تابع م حصیل ۶۰۰۰
قریه طلعارزنت تابع م حاصل ۴۰۰۰
قریه طاوزیك تابع م حصیل ۲۰۰۰
قریه اکاره من مزرعه‌ث ساوید بیك تابع م حصیل ۲۰۶۸
قریه سیواس من مزرعه ث موریما وارتیك تابع مزبور حصیل ۶۶۲۹ حصه ۲۱۶۷
قریه قورالیت تابع م حصیل ۱۴۳۳ حصه ۱۶۲۱
قریه سیمنا من مزرعه‌ث بطوارنیه و رسیحاد حصیل ۱۰۰۰۰
قریه دنت تابع م حصیل ۱۰۰۰۰
قریه ریساویك تابع م حصیل ۲۰۰۰
قریه کارغلیت تابع م حاصل ۷۰۰۰
قریه فیال تابع م حصلت من قصول تیلك ارستاد ۱۶۲۲۲
قریه یالقام تابع م حصیل ۲۲۱۸ حصه ۱۶۲۱
قریه چلور سیرلسنی من مزرعه ث چلار و سماووجید تابع م حصیل ۵۵۰۴
قریه قاقیه‌لوت تابع م حصیل ۱۱۰۰
یکون ۱۷۱۹۱
جمعی ۲۰۰۵۸

التی بیك اقچه اولان بناسنه قهرلر و مذکور مصطفی پاشا حضرتلریدك
ارضروم‌دن بنا و اجناسنه موقوف اولدقلرنده خبرلر ایلدیهم وقف اولمسی اوزره ...
اجابنده و امیر خون جواردندن ای افراز و تفکیك اولمسنه رخیر و قصه مقارالمسنه
تصحیح اولندقدن فی ۲۰ صفر سنه ۱۱۷۵



მაჭახლის ლივა

აჰმედ ბეგის ხასები ხსენებულ მირლივაში

მუკატაა / ნაკვეთები /10 ხსენებულ ლივაში

შემოსავალი ბეით ალ მალისა, რომელიც 10000-ზე ნაკლებია, მალი გაიფისა, მალი მეფკუფისა, მალი მეფკუდისა და იავასა და კაჩკუნისა ხსენებულ ლივაში, ვაკუფების ხარჯის გამოკლებით და ჯამი შერიფის გადასახადის გამოკლებით 2000

შემოსავალი სამღებროებიდან, შავ დამღაზე, ბაზარზე გასაყიდად გატანილი საქონლისა და ლიალის ბაჟისა ხსენებულ ლივაში 2000

შემოსავალი ფოცხვერის ტყავზე ხსენებულ ლივაში

ჰასან ჰაკირისა და ბალაბანზე და ალიმაჯზე ალვარე სამვანიეს ვაკუფზე 500

საერთო ჯამი 5100

მაჭახლის ნაჰიე ხსენებულ ლივაში

სოფელი აკდამი ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 5500

სოფელი სამედ ბილი ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 6600

სოფელი დირლუსი ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 6690

სოფელი ზირფაქი ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 4500

სოფელი აბრადი ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 2993

სოფელი აღუდბილი ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 10000

სოფელი ჰუქუბილი ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 4500

სოფელი აგარბილი ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 3000

სოფელი ბადკუბილი ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 1000

სოფელი ადარნასე ღუმირეთი ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 10000

სოფელი გვაკსამილი ახლოსაა სათესველ ბიკასღურთან და აგრამთან ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 3280

სოფელი აგარა ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 5550

სოფელი სემიდბილი ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 11000

სოფელი კვარა ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 4389

სოფელი ჰაჯლისირი ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 3000

სოფელი მილქული ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 5500

სოფელი ავჯინილი ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 8895

სოფელი მალისი ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 3400

ჯამი 105791

შავშეთის ნაჰიე შავშეთის ლივაში

სოფელი თბილი ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 29660

სოფელი ოგრე ბექილი ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 2500

სოფელი სულლისი ახლოსაა სათესველ სურბია ვარკილთან ექვემდებარება

ხსენებულს ჯამი 6439, წილი 4293
სოფელი კურალითი ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 4293, წილი 2862
სოფელი ზემო შეიხთუბანი ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 18000
სოფელი შიჰარიზ ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 5000
სოფელი მუბარეთი ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 7000
სოფელი აგრანა ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 3248, წილი 1624
სოფელი დაკამი ავკილი ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 5500
76438

ლივანას ნაჰიე ლივანას ლივაში
ჩიფთი აჰმედისას სოფლიდან ექვემდებარება ხსენებულს 8000
სოფელი გვარა სიჰანი ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 9000
სოფელი არღუნი სეფერ ბეგის კაზადან ჯამი 2000
სოფელი კარინდათური ახლოსაა სათესველ აბრამთან ექვემდებარება ხსენებულს ჯამი 3000
ჯამი 150900
საერთო ჯამი 203229

لواء ماجحل

حاصلات بنام احمد بك مير لواء م

المقاطعات در لواء مذكور

محصول بيت المال عولم كه اون بيكدن اقل العدد و مال غايب و مال موقوف و مال موقود و يوا و قاچقون در لواء مزبوره غير از اوقات جامع غريف مقطع باسا ۲۰۰۰

محصول بويه خانه و تمغا دسماه و باج بازار و باجي لمال در لواء مذكور ۲۰۰۰

محصول پوست وحش در لواء م ۴۰۰
اسلام سافر و بالبان و الجيع در لواء م اوزره سوداوه اوتاق م ۵۰۰
يكون ۵۱۰۰


ناحيه ماجحل در لواء م

قريه اكدم تابع م حصل ۵۵۰۰
قريه سمد بيك تابع م حصل ۶۶۰۰
قريه ديرلوس تابع م حصل ۶۶۹۰
قريه ذندك تابع م حصل ۴۵۰۰
قريه ابراد تابع م حصل ۲۹۹۳
قريه حفوديمل تابع م حصل ۱۰۰۰۰
قريه حكويمل تابع م حصل ۴۵۰۰
قريه اكاريد تابع م حصل ۲۰۰۰
قريه باد قويمل تابع م حصل ۱۰۰۰
قريه ادارنسه غوميرت تابع م حصل ۱۰۰۰۰
قريه كواقسامل من مزرعه بقاسنوري و اكرام تابع م حصل ۲۲۸۰
قريه اكاره تابع م حصل ۵۵۵۰
قريه بيقاكيمل تابع م حصل ۵۰۹۴
قريه سعيديمل تابع م حصل ۱۱۰۰۰
قريه قواره تابع م حصل ۴۳۸۹
قريه با حجلسير تابع م حصل ۲۰۰۰

قریه میلکول تابع م حمیل ۵۵۰۰
قریه اوجدل تابع م حمیل ۸۸۹۵
قریه ملمیر تابع م حمیل ۲۴۰۰
یکون ۱۰۵۲۹۱
ناحیه عوعاد در لواد عوعاد

قریه طبیل تابع م حمیل ۲۹۱۱۰
قریه اوکرو بکیل تابع م حمیل ۲۵۰۰
قریه سولیمر مع مزرعه د موریبا وارقیل تابع م حمیل ۶۴۲۹ حصه ۴۲۹۳
قریه نورالمت تابع م حمیل ۴۲۹۳ حصه ۴۲۶۲
قریه عبدجوبان علیا تابع م حمیل ۱۸۰۰۰
قریه مقیمارین تابع م حاصل ۵۴۵۵
قریه میارت تابع م حمیل ۳۰۰۰
قریه اگرانه تابع م حمیل ۲۲۱۸ حصه ۱۱۲۶
قریه طلاق من وقیل تابع م حمیل ۵۵۰۰
یکون ۲۱۸۲۸
ناحیه لوانه در لواد لوانه

جلشه من قریه د احمصه تابع م ۸۰۰۰
قریه کواره سیحان تابع م حمیل ۹۰۰۰
قریه ارقون غیر از قمیه د سلر بك حمیل ۳۰۰۰
قریه قرنداور من مزرعه ابرام تابع م حمیل ۳۰۰۰
یکون ۱۵۰۹۰۰
جمعان ۲۰۳۲۲۹



შენიშვნები:

1. ლივა – იგივეა, რაც სანჯაყი.

2. ხასები – სახელმწიფო მიწების კატეგორია, რომელიც სამხედრო ან ადმინისტრაციული სამსახურის პირობით ეძლეოდათ სულთნის საგვარეულო წევრებს /ხასი სელათინ/, სულთანს/ ხასი ჰუმაიუნ/, სულთნის საგვარეულოს ქალებს მზითვად და სარჩენად /ბაშმაქლიქ/.

3. ბეით ალ მალი – ბეით სახლი, მალი ქონება, ე.ი. სიმდიდრის სახლი; ხაზინა ბეით ალ მალი ეწოდებოდა უმემკვიდრეოდ გარდაცვლილთა და საერთოდ უპატრონოდ დარჩენილი ქონების შემნახველ დაწესებულებას. იხ. **ს. ჯიქია.** XVIII ს-ის თურქული დოკუმენტი ოქროს ციხის შესახებ. *თსუ შრომები.* ტ. 91. აღმოსავლეთმცოდნეობის სერია. თბ. 1960, გვ. 176.

4. მალი გაიფ – სიტყვა-სიტყვით ნიშნავს დაკარგულ საქონელს, ჩამოწერილ თანხას, იგი საფინანსო უწყების მიერ ხშირად იხმარებოდა დოკუმენტების შედგენისას და გარკვეული თანხის უქონლობის, დანაკლისის გამომხატველი ტერმინი იყო.

5. მირ ლივა – სანჯაყის/ლივას/ ბეგი, ერთთუღიანი ფაშას სამხედრო წოდება.

6. რაბათი – ციხის გამაგრებული ნაწილი. იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა თავდაცვითი საქმიანობის დროს. რაბათში იყო კონცენტრირებული ძირითადი ძალები, რაბათის არსებობა რომელიმე ციხეში აუცილებელი იყო მისი თავდაცვისუნარიანობისთვის.

7. შამი ხანე – თაფლის სანთლის დამამზადებელი სახლი. ადგილი, სადაც ხდებოდა თაფლის სანთლის წარმოება.

8. შირა ხანე – ადგილი, სადაც მზადდებოდა ტკბილეული. სახლი, სადაც აწარმოებდნენ ყოველგვარ ტკბილეულს.

9. 1175 წლის 20 საფარი – 20 სექტემბერი 1761 წლისა.

10. მუკატაა – მიწის ნაკვეთი, რომლის შემოსავალი სახელმწიფოს მიერ ფისკალური მიზნით გარკვეული დროით იჯარის წესით გაიცემოდა სამხედრო და სამოხელეო თანამდებობის პირზე. მუკატაას მფლობელს სახელმწიფოს მიერ ბოძებული სათანადო დოკუმენტების საფუძველზე ევალებოდა გადასახადის აკრეფა და გარკვეული წილის სახელმწიფოსთვის ჩაბარება.

Nodar Shengelia

SEVERAL DOCUMENTS ABOUT SHAVSHETI, IMERKHEVI AND MACHAKHELA LIVAS

Summary

The documents are kept at Ankara Tapu and Kadaster Archive, №324. Defter regarding the villages of Shavsheti, Imerkhevi and Machakhela is interesting in terms of the socio-economic history of the region. The sources reflect the names of some unknown villages and the taxes they were imposed. They also provide the terms used in the Ottoman Empire during Feudalism.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება.
შოთა მესხია – 100
თბილისი. 2016

როლანდ თოფჩიშვილი

საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები

საქართველოს თითოეული ეთნოგრაფიული რეგიონი, ძირითადად, ერთი სამეურნეო-ეკონომიკური ერთეული იყო. ზოგიერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული (ისტორიულ-გეოგრაფიული) მხარე გამოკვეთილი ბარი იყო, ზოგი მთიანეთი, ზოგიც კი ზეგანს (მთისწინეთს) წარმოადგენდა. ზოგიერთი მათგანი სამივე გეოგრაფიული ნიშნის შემცველი იყო. საქართველოს მთელი ისტორია იმას ადასტურებს, რომ არა მარტო მთიანეთი და ბარის კუთხეები, არამედ ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე ერთმანეთთან იყო დაკავშირებული შესაბამისი გზებით, ბილიკებით და მათ შორის მიმოსვლა, კავშირი ხორციელდებოდა იმ დროისათვის არსებული სატრანსპორტო საშუალებით.

საქართველოს ერთი ეთნოგრაფიული ჯგუფის წარმომადგენლებს თუ პურეული კულტურები ჰქონდათ მეტი რაოდენობით, სხვებს – მევენახეობის პროდუქტები, ხილეული, მესაქონლეობისა და მეცხვარეობის პროდუქტები. ასე რომ, საქართველოს ეთნოგრაფიული ერთეულები დანაკლისს სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ერთმანეთთან სამეურნეო-ეკონომიკური კავშირებით ივსებდნენ. საერთოდ „საქართველოს მიწა-წყალი მთლიან ერთეულს წარმოადგენდა, რომელიც ბუნებრივი ზღუდეებითაც (მთებითა და მდინარეებით) არის შემოფარგლული და თანაც, ვითარცა მტკვრისა, რიონისა და ჭოროხის აუზების შემცველი გეოგრაფიულად და ეკონომიურად ურთიერთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული“.[1] მან ეს ფაქტი მიიჩნია ქართველთა განსახლების არეალის, ქვეყნის ერთიანობისა და მთლიანობის საფუძვლად და რომ პოლიტიკური ერთიანობა, სახელმწიფოებრიობა, პირველ ყოვლისა, ბუნებრივ-გეოგრა-

[1] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს საზღვრები ისტორიული და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული. ტფ. 1919, გვ. 49.

ფიული, ლანდშაფტური და კლიმატური და აქედან გამომდინარე სამეურნეო მრავალფეროვნებით იყო განსაზღვრული.

ივანე ჯავახიშვილმა მოგვცა მეურნეობრივი სხვაობის მქონე საქართველოს სხვადასხვა ნაწილის აუცილებელი ისტორიული ურთიერთკავშირის იდეა: განსხვავებული სასოფლო-სამეურნეო და ბოტანიკური არეების წყალობით ყოველ თემს (ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეს) ყველაფერი, რაც მის მცხოვრებლებს სჭირდებათ, არც ჰქონდათ და არც შეიძლებოდა ჰქონოდათ. ივანე ჯავახიშვილის ზემოხსენებული სიტყვები ქართული წყაროებისა და ეთნოლოგიური მონაცემების ღრმა ცოდნას ეფუძნებოდა. ივანე ჯავახიშვილამდე საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეთა მჭიდრო სამეურნეო-ეკონომიკური და კულტურული კავშირების შესახებ ვახუშტი ბაგრატიონმა მიუთითა. ივანე ჯავახიშვილის მეცნიერულ მემკვიდრეობას აღნიშნილი თვალსაზრისით სათანადო ყურადღება მიაქცია ეთნოლოგმა მიხეილ გეგეშიძემ. ძნელია მის სიტყვებს არ დაეთანხმო: „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ დიდი ორტომეული ... ფართო ტილოს წარმოადგენს მრავალი მეცნიერული ასპექტით, რომელთაგან მთავარია, ღერძეულია საქართველოს ბუნებრივ-სამეურნეო პირობების მრავალფეროვნება, სირთულე, დანაწევრება და ამით შეპირობებული საქართველოს სამეურნეო განვითარების თავისებურებანი. ბუნებრივ-სამეურნეო პირობების თავისებურებებთან მეურნეობის განვითარების დაკავშირება ივანე ჯავახიშვილისათვის ერთ-ერთი მთავარი საფუძველთაგანი იყო საერთოდ საქართველოს ისტორიის შესასწავლად. აშკარად ჩანს, რომ ჩვენი ქვეყნის ბუნება და ხალხის ისტორია ივანე ჯავახიშვილს მჭიდრო, განუყრელ კავშირში წარმოედგინა“.[2]

„...ბარელს მთა სჭირდებოდა და მთიელს კიდევ ბარი. უერთმანეთოთ მათ არსებობა არ შეეძლოთ. ამ ბუნებრივი პირობების წყალობით საქართველოს შუა ნაწილი, ბარი ეკონომიურად ჩრდილოეთისა და სამხრეთის ნაწილების თემებთან ისევე, როგორც წინაუკმოც მთა ბართან უმჭიდროესად იყო დაკავშირებული. გეოგრაფიული პირობების გამო საქართველოს მთა ადგილების მაღლობი თემების ყველა, მიმოსვლისა და აღებ-მიცემობის, გზებიც შუაში მდებარე ბარისაკენ მიიმართებოდა“.[3] სხვათა შორის, ივანე ჯავახიშვილმა

[2] მ. გეგეშიძე. აკად. ივ. ჯავახიშვილი საქართველოს შინაგანი სამეურნეო-კულტურული კავშირურთიერთობის შესახებ. „მაცნე“. ისტორიის... სერია. №2. თბ. 1973, გვ. 34.
[3] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. წ. I. თბ. 1930, გვ. 317.

საქართველოს საზღვრები ისტორიულ-ეკონომიკური მიმოხილვითაც განიხილა და დაასაბუთა.

საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებს შორის სამეურნეო-ეკონომიკური კავშირების არსებობის არაერთი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ (მთიელთა გარე სამუშაოზე სიარული; მთიელ მეცხვარეთა მიერ ბარის საზამთრო საძოვრების გამოყენება და პირიქით; აღებმიცემობა სხვადასხვა რეგიონებს შორის და სხვ). მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული (ისტორიულ-ეთნოგრაფიული) ერთეულები XVI საუკუნის ბოლოდან სხვა სახელმწიფოს შემადგენლობაში აღმოჩნდნენ, ისტორიის სიღრმეში ჩამოყალიბებული სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები თითქმის არ დარღვეულა. ისტორიკოს პაპუნა ორბელიანზე დაყრდნობით ივანე ჯავახიშვილი ხაზს უსვამდა, რომ „XVIII საუკუნეშიაც, როდესაც მესხეთი ახალციხის საფაშოს სახით ოსმალეთის სახელმწიფოს ეკუთვნოდა და საქართველოს პოლიტიკურად ჩამოშორებული იყო, მაშინაც კი მთელ მესხეთს, განსაკუთრებით კი ჯავახეთს და სამცხეს საქართველოსთან ჰქონდა მჭიდრო ეკონომიკური დამოკიდებულება და იქაური სასოფლო-სამეურნეო ნაწარმი, სანოვაგე, განსაკუთრებით კი პური ტფილისში და გორში ჩამოჰქონდათ გასაყიდად“.[4] ამავე დროს, ის იმაზედაც მიუთითებდა, რომ ეს მხარე მარტო მიწათმოქმედების მხრივ არ იყო დანარჩენ საქართველოსთან დაკავშირებული, რომ არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა მესაქონლეობის მეურნეობრივ ფორმასაც. აქ, თვით ბუნების მიერ შექმნილ საზაფხულო საძოვრებზე მთელი საქართველოს საქონელი, ცხვარი იყრიდა თავს.

1769 წლის ერეკლე მეფის ერთ-ერთ წერილში ვკითხულობთ: „ქალაქს პურს ფასი დაედეა. ყველგან ხმა მოაგდევით, ვისაც პური აქნდეს გასასხიდელი დაფქვან და ფქვილი ჩამოიტანონ, აქ კაის ფასად გაუვათ. ზემო ქართლში წიგნები გვიწერია და ეს ხმა მიგვიგდია. ქარავანი ერთმანეთს შემოეყარნენ და ისე წამოვიდნენ სიფრთხილისათვის“.[5]

ეთნოლოგი თეიმურაზ ჩიქოვანი წერდა: „საგანგებოდ უნდა ითქვას ნარიანის ველის შესახებაც. 2.800 ჰექტარის ფართობზე სიგრძეში გაშლილ ნოყიერბალახიან და ყვავილოვან ვაკეზე, რომელიც ირგვლივ დაბალი სერები-

[4] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს საზღვრები, გვ. 42.

[5] დ. მეგრელაძე, მ. ლორთქიფანიძე, გ. აკოფაშვილი, ო. სოსელია. ნარკვევები ფეოდალური საქართველოს გლეხობის ისტორიიდან. თბ. 1967, გვ. 116.

თაა შემოზღუდული, მოედინება ქვემო ქართლში ხრამის სახელწოდებით ცნობილი მდინარე ქცია. ნარიანის ველი ტაბაწყურის ტბიდან იწყება და თრიალეთის მიმართულებით ვითარდება. აი, ამ ველზე ვახუშტი ბატონიშვილის „გეოგრაფიით“, ზაფხულობით თავს იყრიდა უამრავი წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონელი, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს ბარის სხვადასხვა კუთხიდან, შიდა ქართლიდან, ქიზიყიდან და ბორჯომის ხეობიდან მოემართებოდა. სხვათა შორის, დღესაც ასეა“.[6]

ამას შეიძლება სხვა ეთნოგრაფიული მონაცემებიც დავამატოთ: სამცხიდან თბილისში ტივების საშუალებით ხე-ტყეც შემოდიოდა. მესხურ ხილს დიდი გასავალი ჰქონდა თბილისის ბაზარზე. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში სამცხედან იმდენი ხილი შემოდიოდა, რომ ქალაქის მოურავს მასზე სპეციალური გადასახადიც კი დაუწესებია.[7]

ასე რომ, მიუხედავად იმისა, რომ სამცხის ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონი და მთლიანად სამხრეთ-დასავლეთი საქართველო თურქეთის გამგებლობაში აღმოჩნდა, გვიან შუა საუკუნეებში აღნიშნული მხარის მოსახლეობას არ შეუწყვეტია სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები, არა მხოლოდ აღმოსავლეთ, არამედ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობასთანაც. სხვათა შორის, სამცხეს ანალოგიური სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები ჩრდილოეთის მიმართულებით, უპირატესად, იმერეთთან ჰქონდა; ისინი ერთმანეთის შემვსები ეკონომიკური მხარეები იყო. ამ ურთიერთობის გარეშე მათი ცხოვრება, ფაქტობრივად, წარმოუდგენელიც იყო. ეს დადასტურდა 1811 წელს, როდესაც რუსეთმა რუსეთ-თურქეთის ომის დროს ზეკარის გადასასვლელი გადაკეტა. ამის გამო, ხალხი გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა. ახალციხელებმა რუსებს სთხოვეს, რომ იმერეთთან აღედგინათ თავისუფალი მიმოსვლა და სავაჭრო ურთიერთობა.[8]

ნ. ბერძენიშვილიც წერდა: „მსხვილი და წვრილფეხა საქონელი (მუშა-საქონელი, ხორცი, მატყლი, ტყავი, რძის ნაწარმი), სელი (ზეთი), თაფლი, სანთელი, შინაური ფრინველი და თევზი, ქერი იყო ჯავახეთის მოსახლეობის დოვლათი, რის გარდანამეტსაც ის სააღებმიცემო საქმედ აქცევდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებთან“.

[6] თ. ჩიქოვანი. ზემო ქართლი. თბ. 1987, გვ. 112-113.

[7] საქართველოს მეხილეობა. თბ. 1965, გვ. 135.

[8] შ. ლომსაძე. სამცხე-ჯავახეთი (XVIII საუკუნის შუა წლებიდან XIX საუკუნის შუა წლებამდე). თბ. 1975, გვ. 461-462.

იმერხეველებს მჭიდრო სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები ჰქონიათ კოლა-არტაანის მოსახლეობასთან. აქ, ძირითადად, სათიბად დადიოდნენ. თიბვას 10-12 დღე უნდებოდნენ. სათიბად ჯგუფურად ძირითადად ხუთი-ექვსი ან ათი კაცი მიდიოდა. კოლაში სათიბად წასულები გასამრჯელოდ მატყლს ან ცხვარს იღებდნენ. გოლაში/კოლაში წასულებს იმერხევიდან გოდრებით მიჰქონდათ ხილი (ვაშლი, მსხალი, ბალი, ქლიავი). კოლიდან და არტაანიდანაც ტრადიციული იყო მოსახლეობის იმერხევში ხე-ტყეზე სიარული. ყველაფერს ამას ცხენზე აკიდებულ გოდრებში ყრიდნენ. მატყლის დეფიციტის გამო (რომლისაგანაც ძირითადად სამოსს ქსოვდნენ), ის იმერხეველები, რომლებიც კოლა-არტაანში გარე სამუშაოზე ვერ მიდიოდნენ, ბალიშში ფუჩეჩს ჰყრიდნენ. ხშირი იყო ტაოს პარხლის ხეობელთა მურღულის ხეობაში სამუშაოდ გადასვლა. მურღულის ხეობასთან კი ამ მხრივ ლაზებიც იყვნენ დაკავშირებულნი.

1890-იან წლებში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებს შორის სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები დაუდასტურებია ზაქარია ჭიჭინაძეს, კერძოდ, შავშელები სავაჭროდ დადენილან ერუშეთში, კოლაში, არტაანსა და თორთომ-ოლთისში.

საყოველთაოდ ცნობილია მაჭახლური როგორც ცივი, ისე ცეცხლსასროლი იარაღი. გარდა იმისა, რომ მაჭახლელები რკინას ადგილობრივ მოიპოვებდნენ, ის – ,,კუნძების ნაირი კონა“ და ფოლადი – შავშეთის სოფელ ნიგვზევანიდან შემოჰქონდათ.[9] თოფი „მაჭახელა“ და აქაური დამბაჩები არა მხოლოდ დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც იყო ცნობილი. ისიც ცნობილია, რომ ამ იარაღების მომხმარებელი ქართველი თავადაზნაურობა იყო. მაჭახელი ადრიდანვე იყო მოქცეული სავაჭრო და გაცვლით ურთიერთობებში. „გასული საუკუნის 80-იანი წლების ცნობით მარადიდის ბაზარზე, სადაც განსაკუთრებული ხალხმრავლობა ყოფილა, ყოველ პარასკევობით მაჭახლის ქვედა ზოლის მოსახლეობას გაჰქონდა სოფლის მეურნეობისა და რძის ნაწარმი, რომელსაც ბათუმიდან აქ ჭოროხის გზით ნავებით მოტანილ მანუფაქტურულ და სხვა საჭირო ნაწარმზე ცვლიდნენ“.[10] ისიც ცნობილია, რომ მაჭახლ-ური ჯამ-ჭურჭელი (გობი, სუფრა) შავშეთის სოფლებშიც მიჰქონდათ გასაყიდად, ან მას ცვლიდნენ რძის პროდუქტებზე.

[9] ნ. კახიძე. მაჭახლის ხეობა. ბათუმი. 1974, გვ. 57.
[10] ნ. კახიძე. მაჭახლის ხეობა, გვ. 52.

აჭარაში ხისაგან დამზადებულ რძის ჭურჭელზე მოთხოვნილება ყოფილა სამცხე-ჯავახეთში, სადაც გაჰქონდათ კიდევაც გასაყიდად.[11] აჭარული ხის მეჭურჭლეების მიერ დამზადებული გარეგნულად ლამაზი და გამძლე ჭურჭელი დიდი მოწონებით სარგებლობდა „ბაზარზე". მარითისა და მერეთის ხეობათა მეჭურჭლეების ნახელავი შავშეთ-იმერხევშიც გაჰქონდათ, ხოლო ჭვანის ხეობის ოსტატები ჭურჭელს გურია-სამეგრელოს სოფლებში ჰყიდდნენ.[12] თედო სახოკიას მოწმობით, ზემო აჭარის სოფელ ბაკოს მკვიდრებს ხის ჯამ-ჭურჭელი არტაანში გაჰქონდათ. აგრეთვე, „აქ (აჭარაში – რ. თ.), ალაგობრივ მოდიან არტაანელები, მოაქვთ თან მარილი, საქალამნე გაუკეთებელი ტყავები და ხილზე ცვლიან".[13]

აღსანიშნავია კიდევ ერთი ეთნოლოგიური ფაქტი. ცნობილია, რომ სამეგრელოში სულუგუნის შესანახად ორგვარი ჭურჭელი ჰქონდათ – ხისაგან გაკეთებული და სამეთუნეო ნაწარმი. ხის ჭურჭელს – „გვარდას" ძირითადად სულუგუნის გადატანის დროს, საზაფხულო საძოვრებზე გამოიყენებდნენ. გვარდას კი მეგრელი მეჯოგეები აჭარელი ოსტატებისაგან იძენდნენ. ღორჯომელი, ჭვანელი, ინწკირვეთელი, ბრილელი და სხვა სოფლის ჭურჭლის ოსტატები მეგრელი მესაქონლეებისათვის საგანგებო *გვარდებს* ამზადებდნენ. აჭარელ ხელოსანთა ნახელავი სამცხესა და ჯავახეთშიც ბევრი საღდებოდა. ის, ძირითადად, მარცვლეულზე (პური, ქერი, ჭვავი, ფეტვი) იცვლებოდა.[14]

ამრიგად, ბუნებრივ-ისტორიული არეების დანაწევრებისა და სხვაობის პირობებში ჩამოყალიბებული ისტორიულ-ტერიტორიული ჯგუფების მჭიდრო კავშირურთიერთობა საქართველოს ერთიან კულტურულ-ეკონომიკურ ორგანიზმს ქმნიდა. მათ სხვა მხრივი კავშირებიც ჰქონდათ. თავი რომ დავანებოთ მუდმივ მიგრაციულ კავშირებს, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების წარმომადგენლებს შორის მჭიდრო საქორწინო კავშირებიც არსებობდა. მაგალითად, ასეთი საქორწინო კავშირები ჰქონდა რაჭის მოსახლეობას ზემო იმერეთის, ოკრიბისა და ლეჩხუმის მკვიდრებთან. XVIII საუკუნის ერთ საბუთში საუბარია თრიალეთიდან ჯავახეთში (რომელიც ოსმალეთის შემადგენლობაში იყო) ქალის გათხოვებაზე. ხშირი იყო საქორწინო ურთიერთობები მაჭახლე-

[11] ნ. კახიძე. ხელოსნობა აჭარაში. თბ. 1990, გვ. 64.

[12] ალ. დავითაძე. ქართული მატერიალური კულტურის ისტორიიდან (ხის დამუშავება და გამოყენება აჭარის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით). ბათუმი. 1974, გვ. 72-73.

[13] თ. სახოკია. მოგზაურობანი: გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი. ბათუმი. 1985, გვ. 221.

[14] ალ. დავითაძე. ქართული მატერიალური კულტურის ისტორიიდან, გვ. 91-92.

ლებსა და იმერხეველებს შორის, რომელთა საკონტაქტო არე კარჩხლის მთების საზაფხულო საძოვრები, იაილები იყო.

საქართველოს ამა თუ იმ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში არსებულ ეკლესია-მონასტრებს ყმა-გლეხები ჰყავდათ სხვა მხარეებში. მაგალითად, XIV საუკუნეში ხაჟიგ დადიანმა სამეგრელოს სოფელ წოუშხევში მცხოვრები გლეხები სვანეთის სეტის **მთავარმოწამეს** შესწირა. ასე რომ, საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე მისი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები კარჩაკეტილი არ ყოფილა და მათ ერთმანეთთან მჭიდრო კულტურული, სამეურნეო, ეკონომიკური და სოციალური ურთიერთობანი ჰქონდათ.

ქართულ ეთნოლოგიურ ლიტერატურაში საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების სამეურნეო-ეკონომიკური კავშირების შესახებ მონაცემები საკმაო რაოდენობითაა მოცემული, აქ მხოლოდ ზოგიერთი მათგანის გახსენება დავჭირდება. მიუხედავად იმისა, რომ ხევსურეთი შედარებით კონსერვატიული მხარე იყო, მის მკვიდრებსაც ინტენსიური მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ ბართან. აღინიშნა, რომ ხევსურები ღვედების შესანიშნავი დამწვნელები იყვნენ, მაგრამ დაბლობში ჩამოსულნი სხვა სამუშაოსაც ასრულებდნენ. ერთ-ერთი ასეთი იყო ქართლის ბოსტნებში მიტანილი ნაკელის კვლებში შეტანა. ეთნოლოგი ჯუანშერ სონღულაშვილი ამის შესახებ აღნიშნავდა: „ბოსტანში მიტანილ ნაკელს კვლებში შეზიდავდნენ გოდრებით, რაზედაც დაქირავებულ მუშებს იყენებდნენ. მასალებიდან ირკვევა, რომ ხევსურები, რომლებიც სამუშაოდ ჩამოდიოდნენ ბარში დღიურ მუშად, გოდრებით ნაკელსაც ეზიდებოდნენ დღეში ხუთ-ექვს შაურად“.[15]

მიუხედავად იმისა, რომ ხევსურეთი საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებთან შედარებით კონსერვატული იყო, მის მკვიდრებსაც გარკვეული სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები გააჩნდათ ბართან – დადიოდნენ სამუშაოდ, ღვედებს ყიდდნენ ბარის სოფლებში, „გროვ-გროვად, მხარზე ცელგადებულიები, მიდიოდნენ კახეთში სათიბად; ცოცხებითაც კი ვაჭრობდნენ. კალოობას არყის ხის ცოცხები ბარში პურზე გასაცვლელად მიჰქონდათ. როგორც ვაჟა-ფშაველა წერდა, „ცოცხებით მოვაჭრეთ 40-60 კაცსა ჰნახავთ ერთად. ხევსურის ნახვა ამ დროს საცინელია: ჯორს იმდენი ცოცხები ჰკიდია, რომ ყურის წვერების მეტი აღარაფერი უჩანს. ... ხევსურები განთქმული

[15] ჯ. სონღულაშვილი. მებოსტნეობა თბილისის სანახებში (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით). თბ. 1959, გვ. 20-21.

არიან კახეთში, როგორც ჯამბარის მწნელები...“.[16] ჭაპნებით ამარაგებდნენ ქართლსა და კახეთს. ბარში ამ მიზნით ჩამოსვლას „ჯამბრობას“ უწოდებდნენ. ამ საქმიანობას ზამთარში ეწეოდნენ. ღვედის დაწვნაში ერთ კოდ პურს და ტყავის „ანაგულას“ (ტყავის დაჭრის დროს დარჩენილი ნაწილი, რომელშიც ერთი წყვილი ქალამანი გამოდიოდა) აძლევდნენ.[17] მთისა და ბარის ამ სამეურნეო-ეკონომიკური კავშირების შესახებ ეთნოლოგი გიორგი ჯალაბაძე აღნიშნავდა: „...დაწყებული ქარელის რაიონიდან მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების გასწვრივ გარე კახეთის, თეთრი წყაროს რაიონის სოფლების ჩათვლით, ღვედის მოხელეებად ხევსურები გვევლინებიან. ... ხევსური ღვედის მოხელეები ორი სამი კაცი ერთად ცხენებით გადმოდიოდნენ. მათი ჩამოსვლის ჩვეულებრივი დრო ზამთარი იყო. ისინი სოფლიდან-სოფელში დადიოდნენ და მუშაობდნენ. მუშაობის დამთავრების შემდეგ ხელფასად აღებულ ჭირნახულს შეკრებდნენ და უკან ბრუნდებოდნენ“.[18] შეიძლება საქმეში ჩაუხედავ ადამიანს შეკითხვა გაუჩნდეს: ქართლელები და კახელები თავად ვერ დაწნავდნენ ღვედებს? რატომ ჭირდებოდათ ხევსურების დახმარება? გიორგი ჩიტაია თავის დროზე გაარკვია, რომ დიდი გუთნისათვის საჭირო ღვედ-ჯამბარას დამზადება მოითხოვდა შვიდი კამეჩის ტყავს და 9,5 კოდის პურს. ასე რომ, ამ მხრივაც იყო მემინდვრეობა მესაქონლეობაზე დამოკიდებული. ხევსურები არა მხოლოდ ბარად ჩამოსვლის დროს წნავდნენ ღვედებს, არამედ მთაშიც.

ზემოთ აღინიშნა, რომ ხევსურეთში უაღრესად მცირე რაოდენობით ჰქონდათ სახვნელ-სათესი მიწა. არც სათიბების დიდი რაოდენობით იყვნენ ამ ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის მკვიდრნი განებივრებულნი, მაგრამ აქ იალაღები, ანუ საზაფხულო საძოვრები საკმარისზე მეტი რაოდენობით გააჩნდათ. დანაკლისს ხევსურები საზაფხულო საძოვრების დაბლობში მცხოვრებლებზე გაქირავებითაც ივსებდნენ: „ხევსურების შემოსავლის ძირითად წყაროს იალაღებიდან აღებული ქირა შეადგენდა. აქ ამ მიწებს აქირავებდნენ ერწო-თიანეთისა და დუშეთის რაიონის მოსახლეობაზე, ივკარით გაცემულ მიწაზე კი იღებდნენ გადასახადს ცხვრის რაოდენობის მიხედვით“.[19] ეთნოგრა-

[16] ვაჟა-ფშაველა. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტ. IX. თბ. 1964, გვ. 46.

[17] მ. გეგეშიძე. ეკოლოგიის კულტურულ-ისტორიული და სოციალური პრობლემები საქართველოში. თბ. 1982, გვ. 28.

[18] გ. ჯალაბაძე. აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან. თბ. 1960, გვ. 59-60.

[19] მ. კანდელაკი. ხევსურეთის ტრადიციული ყოფის ზოგიერთი სოციალური ასპექტი. ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული შტუდიები (1987 წ.). თბ. 1990, გვ. 143.

ფიულად ხელმისაწვდომი დროისათვის (XIX საუკუნე) ხევსურები ხშირად ჩამოდიოდნენ თიანეთის, დუშეთისა და დედაქალაქის ბაზრებში – აქ ისინი კარაქსა და ყველს მათთვის საჭირო მარილზე, ქერზე, არაყსა და ღვინოზე ცვლიდნენ. ეს ფაქტი ყურადღებამისაქცევია იმ თვალსაზრისითაც, რომ ყველაზე მეტად ბარსმოწყვეტილ და კონსერვატიულ მთიან ხევსურეთსაც კი არ შეეძლო არსებობა ღვინის გარეშე. და კიდევ ერთი რამ, XIX საუკუნეში დადასტურებული ამ ეთნოგრაფიული ფაქტის სათავეები, რა თქმა უნდა, შორეული წარსულიდან მოდის. სამეურნეო-ეკონომიკური ურთიერთობები ხევსურეთს მეზობელ ფშავთანაც კი გააჩნდა. გაცვლა-გამოცვლის გარდა, სოფელ შუაფხოდან მსხვილფეხა საქონელი გადასარეკად მიჰყავდათ ბუღე ხევსურეთის სოფლებში: დათვისი, მოწმაო, აკუშო, გველეთი.[20]

კახეთში ბეღლის არ ქონის შემთხვევაში იყენებდნენ კოდებს (მრგვალი ფორმის გულამოღარული დიდი მორი, რომელსაც ძირი აქვს ჩადგმული). კოდებს ფშაველ მზვეწლებს აკეთებინებდნენ. კოდების მკეთებელ ფშაველთა ჯგუფებს თან გასაცვლელად ერბო და ყველი მოჰქონდათ.[21]

ფშაველების ბართან ურთიერთობას ყურადღება მიაქცია ვერა ბარდაველიძემაც: „ფშავი მთისა და ბარის საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური მჭიდრო კავშირის ცოცხალი მაგალითი იყო. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია დავასახელოთ მეცხოველეობის დარგში ბარისა და მთის საძოვრების გამოყენების საჭიროება როგორც ერთი, ასევე, მეორე მხრივ, ან კიდევ მევენახეობა-მელვინეობის ხაზით მთიელთა საქმიანობა, მთის როლი და მონაწილეობა კახეთის მეურნეობაში. კარგადაა ცნობილი მათი მნიშვნელობა სამშობლოს დაცვის საქმეში. საყურადღებო ფაქტია, რომ ფშავის ხატები ბარის საქართველოს ავბედობის ხანაში დატყვევებული ქართველების ტყვეობიდან გამოსახსნელად თავიანთი საგანძურიდან სახსრებს აძლევდნენ დამპყრობლებს".[22] ვერა ბარდაველიძემ ათობით დოკუმენტიც გამოავლინა, რომლითაც ირკვევა, რომ ქართველი მეფეები სამშობლოს წინაშე დამსახურებისათვის ფშავის ხატ-სალოცავებს/თემებს ბარში ვენახებს სწირავდნენ, საიდანაც მიღებული კულუხი მთაში მიჰქონდათ.[23]

---

[20] მ. კანდელაკი. ხევსურეთის ტრადიციული ყოფის ზოგიერთი სოციალური ასპექტი, გვ. 144.
[21] გ. ჯალაბაძე. მემინდვრეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში. თბ. 1986, გვ. 256-258.
[22] ვ. ბარდაველიძე. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები. ტ. I. თბ. 1974, გვ. 9.
[23] ვ. ბარდაველიძე. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები. ტ. I, გვ. 40-50.

მთისა და ბარის ურთიერთობის შესახებ ავტორთა ციტირება შეიძლება გავაგრძელოთ, მაგრამ აქ მხოლოდ ივანე ჯავახიშვილს დავიმოწმებთ: „წვრილფეხა საქონელს მაღლობი ადგილების სუსხიანი ზამთრისა და თოვლიანი, უბალახო პირობების ატანა არ შეეძლო. ამიტომ მესაქონლეობის მიმდევარი მთის მცხოვრები ფარას ზამთრობით თავის თემში ვერ დასტოვებდა. მას თავისი საქონლისათვის ბარის თბილი და ზამთრის საძოვრიანი ადგილები აუცილებლად სჭირდებოდა. თავის მხრით ბარის მცხოვრებსაც საკუთარი წვრილფეხა საქონლის ზაფხულობით ბარად დატოვება არ შეეძლო, რადგან ცხვარს არც იქაური სიცხის ატანა შეეძლო და არც საკმაო საძოვარი ექნებოდა. ამის გამო, ბარელს ზაფხულში თავისი ცხვრის ფარა უნდა მაღლობ, გრილ და კარგ-საძოვრიან თემში წაესხა, რომ იქ გამოეკვება“. ის აგრძელებს: „ბარელს მთა სჭირდებოდა და მთიელს კიდევ ბარი. უერთმანეთოთ მათ არსებობა არ შეეძლოთ. ამ ბუნებრივი პირობების წყალობით საქართველოს შუა ნაწილი, ბარი ეკონომიურად ჩრდილოეთისა და სამხრეთის ნაწილების თემებთან ისევე, როგორც წინაუკმოც მთა ბართან უმჭიდროესად იყო დაკავშირებული. გეოგრაფიული პირობების გამო საქართველოს მთა ადგილების მაღლობი თემების ყველა, მიმოსვლისა და აღებ-მიცემობის, გზებიც შუაში მდებარე ბარისაკენ მიიმართებოდა“.[24]

„იმერლების ქართლისაკენ სამუშაოდ ლტოლვა შუა საუკუნეებში ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ამას ადასტურებს ეთნოგრაფიულ ყოფაში შემონახული ფაქტებიც. მაგალითად, იმერეთში არსებობდა ტერმინი „ნაქართლი“. „ნაქართლში“ ის კაცი იგულისხმებოდა, რომელიც ქართლში სამუშაოდ დაიარებოდა ხოლმე“.[25] ეთნოლოგების მიერ არაერთი ფაქტია დაფიქსირებული იმერელი მეჭურეების სეზონურ სამუშაოზე წასვლის შესახებ. მაგალითად, გიორგი ჩიტაიას აღნიშნული აქვს, რომ „ს. ბიწმენდში იმერლებს ჰქონდათ გამართული ქვევრების საწვავი ქურები, სადაც დიდი ზომის ქვევრებს წვავდნენ. აქვე იყო ქვევრის „ასაშენებელად“ გამოსადეგი თიხაც. სოფელში ამჟამად მრავლად იპოვება იმერლების მიერ ადგილობრივად დამზადებული ქვევრები. ქვევრებს მოხელის დამღებიც აქვს.[26] მოყვანილი ციტატიდან ირკვევა, რომ შროშიდან საქართველოს სხვადასხვა მხარეში არა მხოლოდ კერამიკული ნაწარმი დაჰქონდათ გასაყიდად, არამედ თავად მეჭურეები მიდიოდნენ

[24] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. წ. I. ტფ. 1930, გვ. 316, 217.
[25] გ. ჯალაბაძე. მეჭინდრეობის კულტურა საქართველოში. სადოქტორო დისერტაცია. თბ. 1971, გვ. 343-344.
[26] გ. ჩიტაია. შრომები ხუთ ტომად. ტ. I. თბ. გვ. 210.

სხვაგან, იქ სადაც *თიხა მიწა* მოიპოვებოდა ქვევრების გასაკეთებლად და ადგილზევე აკეთებდნენ საღვინე ჭურჭელს. რა თქმა უნდა, სამეურნეო-ეკონომიკური ურთიერთობების ეს მხარე უფრო მოსახერხებელი იყო, ვიდრე დიდი ქვევრების გადატანა შორ მანძილზე. უფრო მეტი, ბიწმენდში იმერეთიდან დროებით გადმოსულები სხვა საქმიანობასაც ეწეოდნენ. იმავე სოფელ ბიწმენდში სანახშირეებიც ჰქონიათ; ნახშირი თბილისში უზიდიათ გასაყიდად.[27]

დადასტურებულია იმერელი ხელოსნების კახეთში სეზონურ სამუშაოზე სიარულიც, კერძოდ, სოფელ აკურაში „იმერლები მოდიოდნენ როგორც ხელოსნები – მეწისქვილეები და ქვევრების მკეთებლები – სეზონურ სამუშაოზე, რომელთაგან ზოგიერთი აქ ქორწინდებოდა კიდეც ადგილობრივ ქალებზე, უმთავარესად ზესიძედ შედიოდნენ უკაცო ოჯახში“.[28] იმერელი ხელოსნის მიერ ქვევრის აშენება დამოწმებული აქვს ეთნოლოგ გიორგი ჯალაბაძეს სოფელ ლამისყანაში: „ყოფილა შემთხვევა, როცა მექვევრეები რომელიმე სოფელში ამა თუ იმ მეურნეობის დაკვეთით რამდენიმე დიდი ზომის ქვევრს ადგილზე აშენებდნენ და ადგილზევე ახდენდნენ მათ გამოწვას. სოფ. ლამისყანაში საქვევრე მიწა ყოფილა. მის მამა-პაპას იმერელი მექვევრეები მოუყვანია, ქვევრები ადგილზე აუშენებიათ და იქვე გამოუწვიათ. იგი ახლაც ასახელებს იმ ქურის ნადგომ ალაგს თავისი სახლის ახლოს, სადაც ქვევრები გამოუწვიათ“.[29]

ეთნოლოგ ც. კაკაბაძეს მოუპოვებია ეთნოგრაფიული მასალა, რომლის მიხედვითაც, კახეთის მექვევრეობის ცენტრებში ქვევრების კეთება მათ წინაპრებს იმერლებისაგან უსწავლიათ. ასახელებენ მათ გვარებსაც: ჩუბინიძე, კაპანაძე. მასვე კახეთში ცნობილი მეჭურჭლისაგან გიგლა ვანოს ძე დევიძისაგან ჩაუწერია, რომ „იმერელი მეჭურჭლე“ სარდიონი ქვევრის კეთებას ასწავლიდა მეჭურჭლეებს სოფელ ვარდისუბანში. იმერელი ხელოსნის გაკეთებული დამღიანი ქვევრი დაუფიქსირებია ძველ შუამთაში: „საყდრის ეზოში, შესასვლელში არის საზედაშე ქვევრი. ადგილობრივთა გადმოცემით, იგი ძველთაძველია. ქვევრს თავი მოტეხია და მისი აღდგენა იმერეთიდან ჩამოსული ხელოსნისათვის დაუვალებიათ. ქვევრის ფარფლს ამკობს ჭდეული და ოთხკუთხედი დამღა გვარით (კაპანაძე)“.[30] არქეოლოგ იულონ გაგოშიძეს ქვევრის ფარფლის ნატეხი დამღით

[27] გ. ჩიტაია. შრომები ხუთ ტომად. ტ. I. თბ. გვ. 210.

[28] ჯ. რუხაძე, ა. ლეკიაშვილი, ი. ჭყონია. სოფელი აკურა. თბ. 1964, გვ. 13.

[29] გ. ჯალაბაძის ხელნაწერი ნაშრომი „ზემო იმერეთის 1971 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოკლე ანგარიში“. ციტირებულია წიგნიდან: ც. კაკაბაძე. შროშული კერამიკა. თბ. 1982, გვ. 95.

[30] ც. კაკაბაძე. შროშული კერამიკა, გვ. 95-96.

„სოსიკა კაპანაძე“ 1971 წელს კასპის რაიონის სოფელ იდლეთში უპოვნია. შროშელი შველიძეები საუკეთესო ხელოსნებად იყვნენ ცნობილი. ერთ-ერთი მათგანი გარე კახეთში, სოფელ ლილოში გადასახლებულა და თავისი საქმიანობა აქ გაუგრძელებია. საერთოდ დასავლეთ საქართველოდან აღმოსავლეთ საქართველოში დროებითი შრომითი მიგრაციები საკმაოდ ხშირი იყო. დროებით სამუშაოზე წასვლას შემდეგ მუდმივი გადასახლებაც მოსდევდა.

ისმის კითხვა მევენახეობა-მეღვინეობის კლასიკურ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში კახეთში, სადაც მეთუნეობისათვის ვარგისი *თიხა მიწა* დიდი რაოდენობით მოიპოვებოდა, ადგილობრივი მექვევრეები არ იყვნენ? საუკუნეების განმავლობაში ამ საქმის მცოდნენი ვერ გაიზარდნენ და დაოსტატდნენ? პასუხი მარტივია: თუ გავიხსენებთ კახეთის ტრაგიკულ ისტორიას XVII საუკუნის დასაწყისში, როდესაც კახეთი დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე დადგა (შაჰ-აბასის მიერ მოსახლეობის ძალიან დიდი რაოდენობით აყრა) და კიდევ XVII-XVIII საუკუნეებში ლეკიანობის ტრაგიკულ შედეგებს, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ კახეთში მექვევრეობის ტრადიცია აღნიშნულ მოვლენებს შეეწირა. საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეთა სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები კი მუდმივად მომქმედი იყო, ერთი მხარე მეორეს გადამრჩენელად გვევლინებოდა. იმერლები ფაქტობრივად კახელებს დაეხმარნენ ჯერ დროებითი მიგრაციის გზით ქვევრების კეთებაში და შემდეგ ამ საქმიანობის ხელახლა შესწავლაში.

„XVIII საუკუნეში დადასტურებულია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც გლეხი თავს ანებებს მიწას, მან ხელობა იცის და საბაზროდ ქმნის საქონელს. თავისი საქმიანობით იგი ოჯახსაც არჩენს და იხდის საბატონო ვალდებულებასაც. „საგარეჯოს აღებ-მიცემაზე გახლავარ და ბატონს ჩემსსაც იმითი ვემსახურები და ჩემს ხიზანსაც იმით ვარჩენ; თითო-ოროლა ქოშსა ვკერავ“, – წერდა თარხნიშვილის ყმა ფარსადან ნაზარიშვილი 1790 წელს“.[31]

იმერელთა აღმოსავლეთ საქართველოში საშოვარზე წასვლის ფაქტები XVIII საუკუნის საბუთებშიც არის დადასტურებული. სამეურნეო სამუშაოსაგან თავისუფალ დროს გლეხი საშოვარზე წასასვლელად იყენებდა. სამეურნეო სამუშაოზე გლეხის წასვლით მებატონეც ყოფილა დაინტერესებული, რადგან გლეხის ნაშოვნის მეხუთედი მას ეკუთვნოდა. აღმოსავლეთ საქართვე-

[31] დ. მეგრელაძე, მ. ლორთქიფანიძე, გ. აკოფაშვილი, ო. სოსელია. ნარკვევები ფეოდალური საქართველოს გლეხობის ისტორიიდან, გვ. 118.

ლოში სეზონურად სამუშაოდ სიარულს „ქართულ მოგებასაც“ უწოდებდნენ. ისინი ძირითადად ხელოსნობასა და ვაჭრობას ეწეოდნენ.[32]

რაჭაში ღვინის შესანახი ჭურჭელი, ქვევრი, ზემო იმერეთიდან შეჰქონდათ, რასაც „ნიკორწმინდის დაწერილიც“ ადასტურებს: „ნიკოლაოსწმიდას ... დავჰფალ შიგან ჭური ნავარძული“. ნავარძეთი კი ზემო იმერეთის სოფელია, სადაც ჭურებს ამზადებდნენ.

მცირემიწიანობის გამო რაჭის მოსახლეობისათვის ტრადიციული იყო გარე სამუშაოზე სიარული (ვახუშტი რაჭველების დახასიათებისას აღნიშნავდა „გარეთ მავალნიო“), რასაც „მოსაგებში“ წასვლას უწოდებდნენ. სხვათა შორის, ეს ტერმინი XI საუკუნის რაჭაშიც ფრიად გავრცელებული იყო: „მოვიგე ყანაჲ“, „მოვიგე მიწაჲ“. აქ „მოგება“ უდავოდ შოვნას, ყიდვას ნიშნავს (ამავე მნიშვნელობითაა ეს სიტყვა ნახმარი მელქისედეკის „დაწერილში“: „...კლარჯეთს მოვიგე სოფელი ერთი სხლოვანი და შავშეთს მოვიგე სოფელი დიდი სხლობანი“). გარე სამუშაოზე რაჭველი გლეხები გვიან შემოდგომაზე მიდიოდნენ და გაზაფხულზე, მიწის სამუშაოების დაწყების დროისათვის ბრუნდებოდნენ. რაჭველები სხვადასხვა დარგის საუკეთესო მოხელეებად იყვნენ ცნობილი. მოხელეობა და ხელოსნობა რაჭველებს შემოსავლის დამატებით წყაროდ ჰქონდათ ქცეული. XX საუკუნის დასაწყისის ერთ-ერთი ავტორი ამის შესახებ წერდა: „ორი წილი რაჭის მცხოვრები სულ გარედ არის სხვადასხვა კუთხეებისაკენ გადახვეწილი: ზოგი მეპურედ, ზოგი მეზვრედ, მებაღე-მებოსტნედ, ზოგი მენახშირედ, მეკურტნე მუშად, მზარეულ-ფარეშად, ხურო-დურგლად, მხერხავად, ვაჭრად და ვინ ჩამოთვლის რა და რა ხელობას არ მისდევს რაჭველი“.[33] ძირითადი ხელობა რაჭაში მაინც დურგლობა იყო. „შინამრეწველობის მასალებშიც“ ქვემო რაჭის შესახებ შენიშნულია: „მოსახლეობის საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს ხე-ტყის დამუშავება. აქაური შინამრეწველობიდან უპირველესად თვალში გეცემათ ხეზე მუშაობა – დურგლობა. თითქმის ყველა სოფელში შეხვდებით ათამდე მაინც კარგ დახელოვნებულ დურგალს. ხალხში ეს დურგლები *ოსტატის* სახელს ატარებენ. დიდი ხანია, რაც დურგლობა ადგილობრივ საჭიროებას გასცილებია და დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებს შეხიზნია. რაჭველი დურგლები სწორედ ამ რაიონიდან არიან ცნობილი დასავლეთ საქართველო-

[32] დ. მეგრელაძე, მ. ლორთქიფანიძე, გ. აკოფაშვილი, ო. სოსელია. ნარკვევები ფეოდალური საქართველოს გლეხობის ისტორიიდან, გვ. 175.
[33] ს. მერკვილაძე. რაჭა. ტფ. 1904, გვ. 6.

ში. მთელი სამეგრელოს, გურიისა და ქვემო იმერეთის ოდები ხომ ამ დურგლების აშენებულია. ... სამუშაოდ ზამთრის პირზე გადიან, როცა მოსავალი დიდი ხნის მილაგებული აქვთ და მარტის ბოლო რიცხვებში ბრუნდებიან უკან, როცა თავიანთ „საცხოვრებელზე“ უწევთ ხვნა-თესვა და ვენახში მუშაობა“.[34] ასე რომ, მამაკაცების დიდი ნაწილი მოსავლის აღებისა და დაუნჯების შემდეგ, შუა დეკემბრიდან საქართველოს სხვადასხვა მხარეში (აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიაში) მიდიოდა გარე სამუშაოზე, სადაც გაზაფხულამდე რჩებოდა. საღდგომოდ, საგაზაფხულო ხვნა-თესვის ალოს დაწყების დროისათვის კი ბრუნდებოდნენ შინ. რაჭველთა ეს მდგომარეობა ეთნოლოგ ნელი ბრეგაძის მიერ 1950 წელს ჩაწერილ ერთ ხალხურ ლექსშიცაა გადმოცემული:

„გამცილდა წუთისოფელი, ცოდვით აივსო ქვეყანა.
იმერეთსა და რაჭაში, მითხარ, რით უნდა მეხარა?
ხიდისკარსზემოთ მცხოვრებნი სულ უმამულო შეგყარა.
არა გვაქვს ბარად სახნავი, არცა სათიბი მთაშია;
ისე გაივლის ზამთარი, ორ კაცს ვერ ნახავ სახლშია.
ზამთარ მიდიან ჩერქეზსა, გაზაფხულ – ზემო ქართლშია“.[35]

XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან რაჭველების გარე სამუშაოზე სიარული საქართველოს ფარგლებს გასცდა. ისინი ჩრდილოეთ კავკასიაში და უფრო შორსაც მიდიოდნენ.

სვანეთში ნატურალური მეურნეობის პირობებში კანაფის ნათესებს საკმაოდ დიდი ფართობი ეკავა. საკუთარ მოთხოვნილებას გადარჩენილი კანაფი კი ადგილობრივ ბაზარზე გაცვლის ან ყიდვა-გაყიდვის საგანი იყო. კანაფის ნაწარმი სვანეთს გარეთაც კი გაჰქონდათ. დადასტურებულია, რომ ხონის ბაზარზე მუდამ იყიდებოდა სვანეთიდან ჩამოტანილი კანაფის ნართის ქსოვილები: პირსახოცები, „საწყლეები“, ტომრები და სხვ. მათვე გაჰქონდათ კანაფი ცაგერის და სენაკის ბაზრებზეც.[36] XVII საუკუნის პირველ ნახევარში დასავლეთ საქართველოში ნამყოფი არქანჯელო ლამბერტი წერდა: „ქუთაისი კარგი სავაჭრო ქალაქია, რადგან იმისთანა ადგილზე დგას, სადაც ყოველი მხრით ადვილად მოდიან ვაჭრები თავიანთი საქონლით, მთებიდან ჩამოდიან სვანები, რომელთაც ჩამოაქვთ თავიანთი შინაური ნაწარმი, ნაბდები და მსხვი-

[34] მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის. აკად. ივანე ჯავახიშვილის საერთო რედაქციით. 5 ტომად. ტ. I. თბ. 1976, გვ. 325-326.

[35] ნ. ბრეგაძე. მთის მიწათმოქმედება დასავლეთ საქართველოში (მემინდვრეობა რაჭა-ლეჩხუმის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით). თბ. 1969, გვ. 18.

[36] ჯ. რუხაძე. ხალხური კულტურა დასავლეთ საქართველოში. თბ. 1976, გვ. 82-83.

ლი შალები, ქართლიდან მოდიან ქართლელები... სამცხის მხრიდან მოდიან და ბლომად მოაქვთ თავიანთი სავაჭრო...“.[37]

სვანთათვის ნიშანდობლივი იყო გარე სამუშაოზე სიარული. მოსახლეობის ერთი ნაწილი – შრომისუნარიანი მამაკაცები დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ რეგიონში მიდიოდნენ სამუშაოდ. სვანების გარე სამუშაოზე წასვლა გვიანდელი მოვლენა კი არ იყო, არამედ ის ისტორიის სიღრმეში წარმოიქმნა და არც სხვა მთიანი ეთნოგრაფიული მხარეებისათვის იყო უცხო. ეს ბუნებრივია, რადგან მთა საზნავ-სათესი მიწების ნაკლებობას განიცდიდა და მთიელები (ჩვენს შემთხვევაში, სვანები) ცდილობდნენ ოჯახის გამოკვებისათვის სხვადასხვა გზები ეძებნათ, რომელთაგანაც ერთ-ერთი გარე სამუშაოზე, ბარში სიარული იყო. სვანები გარე სამუშაოზე საქართველოს ბარის სხვადასხვა რაიონში სისტემატურად და ძველთაგანვე რომ დადიოდნენ, ამას ქართული საისტორიო საბუთებიც მოწმობენ.

სვანები სამუშაოდ რეგულარულად დადიოდნენ არა მარტო მეზობელ რაჭასა და ლეჩხუმში, არამედ ისეთ დაშორებულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებშიც კი, როგორებიცაა გურია (დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირა რეგიონი), კახეთი (საქართველოს უკიდურესი აღმოსავლეთი მხარე), სამცხე (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს პროვინცია). ისიც ირკვევა, რომ გამომუშავებული ფულით სვანები ბარში ძირითადად ღვინოსა და მარილს ყიდულობდნენ. 1503 წლის სასისხლო სიგელი პირდაპირ მიუთითებს, რომ სვანები ბარში საჯამაგიროდ დადიოდნენ, საიდანაც გვარიანი „მონაგებით“ ბრუნდებოდნენ. საჯამაგიროდ წასვლა კი იმ ფაქტზე მიუთითებს, რომ მთიელები საქართველოს ბარის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში არა მხოლოდ საქონელგაცვლის მიზნით მიდიოდნენ, არამედ ცარიელი ხელებით, ე. ი. ფიზიკურ ძალას აქირავებდნენ. ბარიდან ისინი ჯამაგირით ბრუნდებოდნენ და თუ რაიმე მოჰქონდათ დაბლობიდან ეს მარილი და ღვინო იყო. ამას პირდაპირ ის ფრაზა მიუთითებს, რომელიც აღნიშნულ საისტორიო ძეგლშია – ისინი არა მხოლოდ საჯამაგიროდ, არამედ – „სამუჩიროდაც“ დადიოდნენ. როგორც დარეჯან მეგრელაძემ გაარკვია, სამუჩიროდ წასვლა ღვინის (ღვინის ტკბილის) მოტანას გულისხმობდა.[38] სვანეთი ამ მხრივ გამონაკლისი როდი

[37] დ. ბერძენიშვილი. უცხოელები საქართველოსა და ქართველების შესახებ. თბ. 2008, გვ. 23.
[38] დ. მეგრელაძე, მ. ლორთქიფანიძე, გ. აკოფაშვილი, ო. სოსელია. ნერკვევები ფეოდალური საქართველოს გლეხობის ისტორიიდან, გვ. 88.

იყო. როგორც ცნობილია, მთის იმ მხარეებში, სადაც მევენახეობა-მეღვინეობას არ მისდევდნენ, მეცნიერებს ბევრი მარანი და ცალკეული ქვევრები აქვთ მიკვლეული. მთიანი რაიონების მცხოვრებთ ბარიდან ღვინო და ყურძნის წვენი აჰქონდათ და წლიურ მარაგს ინახავდნენ.

საშოვარზე გასული სვანები ბარავდნენ ბაღებსა და ვენახებს, ჭრიდნენ თხრილებს, ამზადებდნენ სამშენებლო მასალებსა და ხე-ტყეს. ჩვეულებრივ, სვანების გარე სამუშაოზე გასვლის ვადა ოქტომბრის ბოლო იყო, მთაში კი აპრილის თვის დასაწყისში ბრუნდებოდნენ. ე.ი. როცა სვანეთში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები იწყებოდა.

ამრიგად, გარე სამუშაოზე სიარულის შედეგიც იყო ის, რომ სვანეთი ბარისაგან მოწყვეტილი, „უძრავი და ერთ წერტილზე გაყინული არ ყოფილა“ (ნ. ბერძენიშვილი). გარე სამუშაოზე წასულ სვანს ბარიდან ცოდნა-გამოცდილება მოჰქონდა, რასაც მთაში ამკვიდრებდა. ბართან ასეთი სამეურნეო-ეკონომიკური კავშირების კიდევ ერთი დადებითი შედეგი სვანების დანარჩენ ქართველებთან მტკიცე ინტეგრაციაც იყო.

სამეცნიერო ლიტერატურაში ხის ჭურჭლის ერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარიდან მეორეში შეტანისა და რეალიზაციის არაერთი ფაქტია დადასტურებული. ცნობილია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანთში ძირითადად ხის ჭურჭელს ამზადებდნენ. ერთი მხრივ, თუშეთს, ფშავსა და ხევსურეთს და, მეორე მხრივ, მთიულეთსა და გუდამაყარს ჭურჭლის გაცვლა-გაყიდვის საქმეში ცხოველი ურთიერთობა რომ ჰქონდათ, ამას ეთნოლოგ მადონა ხაზარაძის გამოკვლევა ადასტურებს. გუდამაყარში ფშავიდან და კახეთიდან შეჰქონდათ ჭურჭელი, პირაქეთ ხევსურეთსა და მიღმა-ხევს ფშავლები ამარაგებდნენ. ფშავურ მოხვეწილ ჭურჭელზე კი კახეთში იყო მოთხოვნილება. ამის დამადასტურებელს ფშავური კაფიაშიც ვხვდებით: „ცხენებს დასწყვიტეთ წელები // კახეთს ნახვეწის ზიდვითა; // დიდი ხვნა-თესვის პატრონო, // სიმინდ რად მოგაქვს იქითა“.[39]

ეთნოლოგ ნელი ბრეგაძეს ასეთი ფაქტი აქვს დაფიქსირებული: „კარგ მკელს რაჭაში *თაბაგარს* უწოდებდნენ. გადმოცემით ეს თაბაგრები ქართლიდან ან ტყიბულის რაიონიდან იყვნენ მოსული. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში „თავ მომკალს“, მკაში მოთავეს მართლაც *თაბაგარი* ჩქმევია“.[40] ჩვენი მხრით მოყვანილ მასალას იმას დავუ-

[39] ქართული ხალხური პოეზია. ტ. IX. თბ. გვ. 179.

[40] ნ. ბრეგაძე. მთის მიწათმოქმედება დასავლეთ საქართველოში, გვ. 130.

მატებთ, რომ ქართლში თაბაგრები იმერეთიდან იყვნენ გადმოსული. რატომ უწოდებდნენ მკაში მოთავეს, საუკეთესო მომკელს „თაბაგარს“ რაჭაშიც და აღმოსავლეთ საქართველოშიც? იმიტომ, რომ იმერეთიდან თაბაგრები სამკალად აღნიშნულ მხარეებში დადიოდნენ და ამ თავისი საქმიანობით სახელგანთქმული იყვნენ.

მთიულეთსა და გუდამაყარში ქსნისხეველებს შეჰქონდათ არა მარტო ხის, არამედ მოწნული ჭურჭელიც. საყურადღებოა, ერთ-ერთი მთიული მთხრობელს ნათქვამიც, რომ „ქსნელები უფრო ღარიბი ხალხია და უფრო „დასჰეცებული“ ჭურჭლის კეთებაში. მთიულეთს ჭურჭლით დიდი ლიახვის ხეობის მოსახლეობაც ამარაგედა. ამ თვალსაზრისით გარკვეული ურთიერთობა ჰქონიათ ქართველ მთიელებთან ჩრდილოეთ კავკასიის მოსაზღვრე მთიელებსაც. ხის ჭურჭელი იცვლებოდა ქერზე, სვილზე, ერბოზე, კარაქზე, ყველზე, მატყლზე. მარცვლეულზე გადაცვლის შემთხვევაში ჭურჭლის ღირებულების ტოლფასი იყო მასში ჩატეული მარცვლეული. ზოგიერთ ჭურჭელს კი ორჯერ ავსებდნენ. სადღვებელის ღირებულება კი ერთი ცხვარი ან ექვსი კილოგრამი ერბო ყოფილა, ან – ექვსი საწყაო (ფუთი) ქერი.[41]

ქართველ მთიელებს ვენახები ისტორიულად ბარის სხვადასხვა მხარეში რომ ჰქონდათ ამას ეთნოგრაფიულ მასალებთან ერთად, საისტორიო წყაროები და დოკუმენტებიც გვიდასტურებენ. ყველა ფაქტის გახსენება არცაა საჭირო, შეიძლება მხოლოდ რამდენიმე ფაქტი მოვიხმოთ. ამის შესახებ ისტორიკოსი მამისა ბერძნიშვილიც წერდა „ნიკორწმინდის დაწერილის“ შესახებ გამოკვლევაში: „ყურძნის ადგილზე დაწურვა და შემდგომ სხვაგან დაღვინება ჩვეულებრივი ყოფილა საქართველოს იმ მთიან რაიონებში, რომელთა მცხოვრებლებს ვენახები სხვაგან, კლიმატურად უფრო ხელსაყრელ ადგილებში ჰქონდათ გაშენებული. ასეთი სურათი აქვს დადასტურებული ვახუშტის თრიალეთის სინამდვილეშიც: „ხოლო ესე თრიალეთი არს ზაფხულ ფრიად შვენიერი... ვენახი და ხილნი და მტილოვანნი არარაი არს აქვს, და მთის ხილნი მრავალნი. ტკბილს მოიტანენ ბარიდან, ჩაასხამენ აქა და დადგების ღვინო კეთილი და გემოიანი“. ვენახების მეორე ნაწილი ნიკორწმინდელს, როგორც ჩანს, იმერეთში აქვს. საბუთით იგი ვენახს მხოლოდ საწირეში ყიდულობს, მაგრამ უნდა დავუშვათ, რომ იმერეთში მას სხვაგანაც ექნებოდა ვენახები. საბუთის გამცემი საწირეში აგებს მარანს და შიგ 10 ქვევრს აგდებს; ცხა-

[41] მ. ხაზარაძე. ქართული ხალხური ხის ჭურჭელი (აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით). თბ. 1988, გვ. 82-83.

დია, რომ ეს მარანი საწირეში შეძენილი მხოლოდ ერთი ვენახის მოსავლის შესანახად არ იქნებოდა განკუთვნილი. აშკარაა, რომ ეს მარანი აგრეთვე ემსახურებოდა ჩვენი ნიკორწმინდელისაგან აქ ადრე შეძენილ ვენახებსაც. ... საწირე ნიკორწმინდელის იმერეთის მეურნეობის გამაერთიანებელი პუნქტია".[42]

ცნობილია, რომ ქართველი ხალხი არაერთი კულტურული მიღწევის ავტორია, კერძოდ, მან გამოიყვანა ისეთი ჯიშები, როგორიცაა თუშური (კახური) ცხენი, მეგრული ცხენი, ხევსურული ძროხა, კოლხური ძროხა, თუშური ცხვარი, მეგრული თხა, კვარაცხელია ჯიშის ძროხა... თითოეული ეს ჯიში კარჩაკეტილი ცხოვრების შედეგად კი არ შექმნილა, არამედ შიდა და გარე სამეურნეო-კულტურული ურთიერთობის შედეგად. საამისოდ ეთნოგრაფიული მასალა უნდა მოვიხმოთ კვარაცხელიას ჯიშის ძროხის შესახებ. განთქმული „კვარაცხელიას ჯიშის" საქონელი ხალხური სელექციის შედეგად იქნა მიღებული. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი აღმოჩნდა კუროს ფაქტორი. საკუთარ ჯოგში ნებიერად გაზრდილ კუროებს, რომლებიც მესამე წელს ბუღად გამოდგებოდნენ, საქართველოს სხვა რეგიონებში ყიდდნენ. საკუთარი ჯოგისათვის კი სხვა მხარეებში სხვის ჯოგში იგივე პრინციპით არჩევდნენ მოზვერებს და თვალყურს ადევნებდნენ მათ წოვება-წველისა და ზრდა-განვითარების პროცესებს. ჯოგში სისხლის აღრევის აკრძალვა ჯანმრთელობისა და ჯიშის გაუმჯობესების პირობა იყო – ადგილობრივი კურო თავისსავე ჯოგს „მოაბიჭებსო" – გადააჯიშებსო. ასე რომ, ახალი, „კვარაცხელიას ჯიშის" საქონლის გამოყვანა მოხდა „გაუმჯობესებილი კოლონისტების საქონლის სისხლის ჩართვით, შერჩევით, აგრეთვე მოვლისა და ნამატის გამოზრდისათვის გაუმჯობესებული პირობების შექმნით".[43] ზაფხულობით მეგრელებს საქონლის ჯოგი არა მარტო სამეგრელოს მთებში, არამედ რაჭაში, იმერეთში (ბაღდათი) და გურიაშიც გაყავდათ. სწორედ აქ არჩევდნენ კვარაცხელიები კუროებს.

მეგრელებს საქონლის ჯოგი ზაფხულობით გურიის მთებში დაყავდათ. თედო სახოკიას 1897 წელს გურიაში მეგრელი მეჯოგე ხვდება, გვარად კვარაცხელია, რომელიც აუწყებს, რომ გურიის „მთებში ზაფხულობით სულ ჩვენი საქონელი ბალახობს".[44] „მწყემსობა აქაურს მთებზე მეგრელების მონოპოლია გამხდარა. უმეტესობა მწყემსებისა ზუგდიდის მაზრიდანაა წამოსული,

[42] მ. ბერძნიშვილი. XI საუკუნის ქართული საისტორიო წყაროები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის შესახებ (ნიკორწმინდელის „დაწერილი"). თბ. 1979, გვ. 61.
[43] ნ. კვარაცხელია. მსხვილფეხა მესაქონლეობის ტრადიციები სამეგრელოში. „კლიო". საისტორიო ალმანახი. №14, თბ., 2002, გვ. 144-155.
[44] თ. სახოკია. მოგზაურობანი, გვ. 30.

საკუთრივ შემდეგის სოფლებიდან: ჯგალიდან, წალენჯიხიდან, კორცხელიდან, ესე იგი იმ ადგილებიდან, სადაც მკვიდრნი საქონლის მოშენებას მისდევენ. განსაკუთრებით აქ ბევრ მწყემსს შეხვდებით კვარაცხელიას გვარიდან".[45] გურიაშივე ზამთრობით სამეგრელოდან თხის ჯოგებიც მოჰყავდათ. ისინი თედო სახოკიას სოფელ გომის ტყეებში უნახავს. აქვე გარეშემო სოფლელებისათვის ხის ჯამ-ჭურჭელს ამზადებდნენ აჭარიდან ჩამოსული გლეხები.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბარის მესაქონლეობა მთის საზაფხულო საძოვრებს იყენებდა. მთისა და ბარის მესაქონლეთა მიერ საზაფხულო და საზამთრო საძოვრების შენაცვლებითი გამოყენება ქართველ მეცნიერებს უკვე კარგა ხანია დადასტურებული აქვთ. მთაბარული მესაქონლეობა კი რამდენიმე საუკუნის წინ წარმოქმნილი ფაქტი არაა. ის ისტორიის სიღრმეშია წარმოქმნილი. საამისოდ „ქართლის ცხოვრებაში" აღნიშნული ფაქტის მოხმობაც კი საკმარისია. ჯავახეთში მოსული წმიდა ნინო ფარვანის ტბასთან ქართლიდან ამოსულ მწყემსებს ხვდება. ის მწყემსებს ეკითხება: „რომლისა სოფლისანი ხართ? ხოლო მან მიუგო და რქუა, ვითარმედ: „დაბნით ელარბინით და საფურცლით, და ქინძარელნი, რაბატელნი დიდისა ქალაქისა მცხეთისანი".[46]

1123 წლის დავით აღმაშენებლის მიერ შიომღვიმის მონასტრისადმი მიცემული სიგელიც ადასტურებს, რომლის მიხედვითაც თრიალეთში საზაფხულო საძოვარზე იდგა „სასეფო მონასტრისაჲ" ცხვარი. ამრიგად, ტრადიციულად ქართლის ბარი ძველთაგანვე თრიალეთისა და ჯავახეთის საზაფხულო საძოვრებს იყენებს.

აჭარელ ოსტატებს სახლების ასაშენებლად აჭარის გარეთაც იწვევდნენ. აჭარლები ადრე შუა საუკუნეებში შესანიშნავი ქვითხუროებიც იყვნენ. მაგალითად, ტბელ აბუსერიძის თხზულებიდან ჩანს, რომ აჭარელი ხელოსანი – ქვითხური *ბოლოკ-ბაშილი* „მოსარეწლად" დაიარებოდა; ის ეკლესიებისა და ციხეების ასაშენებლად ჯერ თბილისსა და მის მიდამოებში დადიოდა, შემდეგ კი ოპიზაში ხელოსნობდა, ბოლოს კი თავის მხარეში, აჭარაში ხიხათა ეკლესიას აშენებს. ქვითხუროობა, ეკლესიების მშენებლობა აჭარელთა გარე სამუშაოზე გასვლის ერთ-ერთი ფორმა იყო. ისინი „სიგლახაკისა მთის მოსარეწლისათჳს" ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მუშაობდნენ. აჭარა მთიანი, ნაკლებმოსავლიანი მხარე იყო, რამაც განაპირობა ხუროობის მაღალი დონე

[45] თ. სახოკია. მოგზაურობანი, გვ. 131.

[46] ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ. 1955, გვ. 85-86.

და გარე სამუშაოზე სიარული. XIX საუკუნეში ჭვანელი და ღორჯომელი გლეხები ხარითა და ცხენით ქირაზე სამუშაოდ ჭიათურის მაღაროებშიც დადიოდნენ (ვ. შამილაძე).

ქართველ მთიელთა ეთნოგრაფიული ყოფიდან საყოველთაოდ ცნობილია, რომ ისინი – თუშები, ფშავლები, მთიულები, გუდამაყრელები – საზამთრო საძოვრებად ოდითგანვე იყენებდნენ კახეთისა და ქართლის მინდვრებს. ვახუშტი ბაგრატიონი ხაზგასმით აღნიშნავდა თუშების მიერ ცხვრის კახეთში ძოვების შესახებ: „... არამედ კახეთის თუშნი ინახავენ ცხოვართა სიმრავლესა, ვინაითგან აქუთ ზაფხულს თვისთა მთათა შინა საძოვარი და ზამთარს ჩამოვლენ გაღმა-მხარს შინა და ამით უმეტეს მორჩილებენ კახთა“.[47] მაგრამ თუშები მხოლოდ გაღმა მხარს ხომ არ იყენებდნენ ცხვრის საზამთრო სადგომად. ისინი ცხვარს აძოვებდნენ ავრეთვე ალვანის მინდორზე, პანკისისა და ლოპოტის ხეობებში, შირაქში. ქართველი მთიელები ამით ბარზე, საქართველოს სამეფო კარზე იყვნენ დამოკიდებული. ბარის გარეშე მათ ცხოვრებას აზრი არ ჰქონდა. სწორედ ასეთი აუარებელი ფაქტი იყო საქართველოს გადამრჩენი, და არა მხოლოდ ერთიანი საქართველოს გადამრჩენი, არამედ ცალ-ცალკე ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეებისაც. ფშავლებმა სხვა ქართველ მთიელებთან ერთად (ხევსურები, თუშები) დიდი როლი ითამაშეს 1659 წელს ბახტრიონის ბრძოლაში, რითაც ფაქტობრივად კახეთი ეთნიკურ გადაგვარებას გადაარჩინეს. ფშაველებისა და სხვა ქართველი მთიელებისათვის უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლას ის მნიშვნელობაც ჰქონდა, რომ კახეთის ბარში უცხო ძალის გაბატონებით ხელი ეშლებოდა ტრადიციული სამეურნეო დარგის – მთაბარული (გადარეკვითი) მეცხოველეობის შემდგომ განვითარებას. ვახუშტი ბაგრატიონი წერდა: „არამედ ამას წინათთა კახთა მეფეთა არღარა მორჩილებდნენ ფშავ-ხევსურნი და თუშნი და ამან ლევან დაიპყრა არა ძალითა, არამედ აღუთქვა, რათა ცხოვარნი მათნი უვნოდ მძოვარ იყვნენ კახეთს, და მისცა შეწირულობა ლაშას ჯუარსა თიანეთსა შინა და მიერითგან მოსცემდნენ ლაშკარსა და ბეგარასა“.[48] ფშავ-ხევსურთა ბარზე დამოკიდებულების შესახებ ვახუშტის ცნობას სათანადო კომენტარს უკეთებდა ივანე ჯავახიშვილი და აღნიშნავდა, რომ „ფშავ-ხევსურეთი ვახუშტის „მთითა და კლდითა და ტყითა“ გამაგრებულ-მოზღუდულ, მაგრამ მწირ ქვეყნად

[47] ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1973, გვ. 554.
[48] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 573.

აქვს წარმოდგენილი. ამავე ავტორის სიტყვით, ფშავ-ხევსურნი თავიანთი ქვეყნის სწორედ ამ თვისებისათვის „სიმწრისთვის მონებენ, ვისცა უპყრავსთ თიანეთი, რამეთუ იზრდებიან მუნიდამ“. მეცნიერი განსაკუთრებით ხაზს უსვამს ვახუშტის ფრიად საგულისყურო დაკვირვებას, რომელშიც პირდაპირ საუბარია საარსებო კავშირის აუცილებლობაზე. ქვეყნის სიმწირე მთიელებს აიძულებს მჭიდრო კავშირში იყვნენ თიანათთან, სულ ერთია ვინც არ უნდა იყოს მისი მფლობელი. თიანეთის „ქვეყანა“ ასაზრდოებდა მათ, ე. ი. საუბარია მუდმივ კავშირზე. ფშაველებს და ხევსურებს, პირველ რიგში, აქ ჩამოჰქონდათ მეცხოველეობის პროდუქტები.

თუში და ფშაველი მეცხვარეები თრიალეთის ზეგნურ ვაკესაც იყენებდნენ საზაფხულო საძოვრებად, რაც ერთ ხალხურ ლექსიდანაც კარგად ჩანს:

„მთა გაშრა, მიწა გამოჩნდა, გამწვანდა მთა და ბარია,
სათრიალეთოდ დაიძრა თუშისად ფშაველის ცხვარია,
ქალაქის პირში მოდგების როგორც ნუგბარ წყალია,
ამოვა ჯოჯიანშია, შამაათეთრა მთანია“.

მთიელებს გარდა ბართან სამეურნეო-ეკონომიკური ურთიერთობისა, ერთმანეთს შორისაც გააჩნდათ ეს კავშირები, მაგალითად, ფშავის სოფელ შუაფხოდან მსხვილფეხა საქონელი გადასარეკად მიჰყავდათ ბუდე ანუ მირგვალ ხევსურეთის სოფლებში.[49]

მთიელებმა ხომ კახეთი იხსნეს სამუდამო დაკარგვისაგან, ეთნიკური გადაგვარებისაგან ბახტრიონის აჯანყების დროს. ამისაკენ კი მათ მთისა და ბარის მჭიდრო სამეურნეო-ეკონომიკურმა კავშირებმა უბიძგა. შემდეგი ნაბიჯი კი იყო სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეებიდან კახეთისაკენ მოსახლეობის მიგრაცია – მთამ და დასავლეთ საქართველომ აქ თავისი ნამატი მოსახლეობა გადმოისროლა. მთისა და ბარის მჭიდრო სამეურნეო-ეკონომიკური ურთიერთობა კარგად ჩანს აგრეთვე იმ მიწისმფლობელობაში, რომელიც მათ ბარში ჰქონდათ. ამ მხრივ განსაკუთრებით ფშაველები გამოირჩეოდნენ. ფშაურ თემებს კახეთში არა ერთი და ორი ვენახი ეკუთვნოდათ. აქ მოწეულ ყურძენს ადგილზე წურავდნენ და მხოლოდ ტკბილი გადაჰქონდათ მთაში და ის არა რომელიმე ერთი პიროვნების საკუთრებას წარმოადგენდა, არამედ ის საერთო საფშავლო და სათემო ღვთაებების იყო.

სამეფო-სამთავროებად დაშლილი საქართველო მაინც ერთიანი სამეურნეო-ეკონომიკური ერთეული იყო და გვიანი შუა საუკუნეების ქართლ-კახე-

[49] მ. კანდელაკი. ხევსურეთის ტრადიციული ყოფის სოციალური ასპექტი, გვ. 144.

თის დედაქალაქი – თბილისი არა მხოლოდ მიმდებარე და ქართლის სხვა სოფლებიდან მარაგდებოდა, არამედ საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეებიდანაც. ამ თვალსაზრისით ის საქართველოს ცენტრის ფუნქციას კვლავ ასრულებდა. საამისო მონაცემები პაპუნა ორბელიანსაც მოეპოვება, როდესაც ის ლეკთა თარეშების შესახებ საუბრობს, რომლებიც თავიანთი ქმედებით ზიანს აყენებდნენ შინაგან სამეურნეო-ეკონომიკურ კავშირებს, ახდენდნენ ქვეყნის პარალიზებას: „მცირეთა ხნითა შინა წამოვიდა ჯარი ისევ ლეკისა განჯიდამ და დადგა სომხითის ქვეყანაში და დაუწყო ცემა აქა-იქ და დადგა გზებზე, მრავალი მიმსვლელ-მომსვლელი ქარავანი წაახდინა, დიმიტრი ეშიკაღაბაშს ორბელიანს უბოძეს ჯარი, დააყენეს მონაპირედ. წავიდა ეს ლეკის ჯარი და ჯავახეთის მთებზე ავიდა, შეკრა გზები“.[50] ივივე ავტორი ლეკების ხაშმის გზაზე ქარავანზე დაცემის, თრიალეთზე დიდი ქარავნის წახდნის შესახებ გვაწვდის ინფორმაციას.

როდესაც საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული კავშირების სამეურნეო-ეკონომიკური კავშირების შესახებ ვსაუბრობთ, ბუნებრივია, ისმის კითხვა: ისტორიულ საქართველოში კომუნიკაციის ისეთი საშუალება, როგორიცაა გზები, ამის საშუალებას იძლეოდა? ივანე ჯავახიშვილმა ამ პრობლემასა – გზებსა და გზების მიმართულებასაც – მიაქცია ყურადღება. აქ ეთნოლოგ მიხეილ გეგეშიძეს დავესესხები: მართალია, „მთაში მუდმივი გზები ფიზიკურად ნაკლებია, მაგრამ შინაგანსა და გარეგან კავშირურთიერთობებზე ეს არც თუ ისეთ დიდ გავლენას ახდენს, როგორც ეს საერთოდ მოსალოდნელი იყო. მუდმივი გზების ნაკლებობა ადგილობრივი პირობებით არის გამოწვეული, ისევე, როგორც დროებითი გზების, სიმრავლეც. აქ ისტორიულად დაწინაურებულა და განვითარებულა მთის ტრანსპორტის მთავარი კომპონენტი – საკიდარი და შესაჯდომი ცხოველები, განსაკუთრებით ცხენი. ... ეთნოგრაფიულმა დაკვირვებამ გამოავლინა, რომ მთის პირობებში სამიმოსვლო ურთიერთობათა ტრადიციულ თავისებურებას წარმოადგენს სივრცითი ორიენტაცია და ადრე გამოცდილი მიმართულებით გზის – ძირითადად ცხენის ბილიკის, სწრაფად შექმნა, ძნელსავალი ადგილების, უღელტეხილებისა და გადასასვლელების, მთის წყლების დაძლევა-გადალახვის ჩვევები. აქაც, როგორც დანარჩენ საქართველოში გზების მიმართულებას უმთავრესად წყლის მდინარება განსაზღვრავს“.[51]

[50] პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი. ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და სახელები დაურთო ელენე ცაგარეიშვილმა. თბ. 1981, გვ. 225.

[51] მ. გეგეშიძე. აკად. ივ. ჯავახიშვილი საქართველოს შინაგანი სამეურნეო-კულტურული კავშირურთიერთობის შესახებ, გვ. 44-45.

მთიანეთის სოფლები და ხეობები, – როგორც მიხეილ გეგეშიძე აღნიშნავს, – ზამთრის თვეების გარდა, წლის მთელ დროში ერთმანეთთან ახლო თუ შორეულ მეზობელ კუთხეებთან საკმაოდ მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული შესაჯდომი და სასაპალნე ტრანსპორტის საშუალებით. მან ხევსურეთში სატვირთო ცხოველების 35 მარშრუტი დააფიქსირა, აქედან – 16 გზა ხევსურეთს გარე სამყაროსთან აკავშირებდა.[52] ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებაც უნდა გავეცნოთ: „თუმცა ეს ადამიანს ეუცხოვება, მაგრამ უტყუარი ჭეშმარიტებაა, რომ ძველად საქართველოში უფრო მეტი და მრავალმხრივი გზები ყოფილა, ვიდრე ამ უკანასკნელ დრომდე იყო და მოიპოვება“.[53]

შეიძლება დავასკვნათ, რომ აღებ-მიცემა-ვაჭრობაში საქართველოს ყველა კუთხე იყო ჩაბმული. ივანე ჯავახიშვილი საქართველოს ერთიანობის გაგებაში არსებით მნიშვნელობას ანიჭებდა ტერიტორიულ მთლიანობას, ენის ერთობას და შინაგან ეკონომიკურ კავშირურთიერთობას, რომ პოლიტიკურ გაერთიანებამდე საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები, ქართველთა განსახლების სხვადასხვა არეალები ერთ სამეურნეო ერთობას წარმოადგენდნენ. „როგორც საერთოდ დღეს აღიარებულია, სამეურნეო კავშირები და სამეურნეო ცხოვრების ერთობა ყველაზე საიმედო დასაყრდენია მყარი ტერიტორიული ერთობისა. საქართველოს რთულ ისტორიაში ეს მიგნება ივ. ჯავახიშვილს ეკუთვნის, ისე როგორც ის, რომ ქართველი ხალხი – მისი გაგებით ერთი სამეურნეო ერთეულიცაა“.[54]

როდესაც საკომუნიკაციო საშუალებებზე ვსაუბრობთ, შეუძლებელია ისტორიულ საქართველოში არსებული და დღემდე შემორჩენილი თაღოვანი ხიდების დიდი რაოდენობა არ გავიხსენოთ, რომელთა შენების კულტურა ქართველებს ძველი რომაელებისაგან ჰქონდათ ნასწავლი. კიდევ ერთი გარემოების შესახებ – ძველ საქართველოში სამიმოსვლო გზა ყოველთვის ღრმა ხეობებს არ მიუყვებოდა, კონკრეტულად თუ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებს ავიღებთ, აქ გზები მთების თხემებზე გადიოდა. ასე გადადიოდნენ აჭარიდან კლარჯეთსა და შავშეთში, შავშეთიდან – არტაანსა და ერუშეთში და ა. შ.

---

[52] მ. გეგეშიძე. აკად. ივ. ჯავახიშვილი საქართველოს შინაგანი სამეურნეო-კულტურული კავშირურთიერთობის შესახებ, გვ. 45.

[53] ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. წ. II. თბ. 1965, გვ. 68-69.

[54] მ. გეგეშიძე. აკად. ივ, ჯავახიშვილი საქართველოს შინაგანი სამეურნეო-კულტურული კავშირურთიერთობის შესახებ, გვ. 46.

***

ზემოთ ზოგადად მიმოვიხილეთ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ერთეულები (მხარეები), სადაც შესაბამისი ეთნოგრაფიული ჯგუფის წარმომადგენლები ცხოვრობდნენ და დღესაც ცხოვრობენ. აშკარაა რომ საქართველოს მთელი ისტორიის განმავლობაში ეს მხარეები მჭიდრო სამეურნეო, ეკონომიკური და კულტურული კავშირებით იყვნენ დაკავშირებული. ეს კი ხელს უწყობდა სხვადასხვა მხარის ქართველთა ურთიერთშეკავშირებულობას, ერთიანი ქართული ეთნიკური/ეროვნული ორგანიზმის განმტკიცებას, სხვადასხვა ეთნოგრაფიული ჯგუფის წარმომადგენელთა მიერ საერთო ქართული კულტურის შექმნას. ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, ქართველი ერის ჩამოყალიბების საკითხის გარკვევა ამ საკითხის გვერდის ავლის გარეშე წარმოუდგენელია. მართალია, ივანე ჯავახიშვილს ამის შესახებ კონკრეტულად არაფერი უთქვამს, მაგრამ მისი ნაღვაწი ამ მხრივ იმაზე მიუთითებს, რომ ამ საკითხებს ის ერთმანეთთან აკავშირებდა. ივანე ჯავახიშვილი ქართველთა პოლიტიკური გაერთიანების საფუძველსაც სწორედ სხვადასხვა თემების (ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების) მჭიდრო სამეურნეო-ეკონომიკრ კავშირში ხედავდა: „...გასაკვირველიც არაფერია, თუ რომ ამ გეო-ბოტანიკური და ეკონომიური ფაქტორების ზეგავლენით, ქართველთა ტომობრივი ნათესაობის ნიადაგზე, უპირველესად სწორედ მესხეთი და ქართლი, ვითარცა მტკვრის აუზის ასპარეზი და ბარისა და მთის ურთიერთ ნაკლულოვანების ჰარმონიულად შემავსებელი არეები, ჩამოინაკვთნენ ერთ სახელმწიფოებრივ სხეულად და ერთ სამეფოდ იქცნენ და მხოლოდ შემდეგში დასავლეთ-აღმოსავლეთი საქართველოც გაერთიანდა“.[55]

ამდენად, უადგილოა მსჯელობა ქართველი ხალხის კონსოლიდაციის შესახებ სხვადასხვა ეპოქებში, თუნდაც XI-XIII საუკუნეებში, ან XIX საუკუნეში (რაოდენ სავალალოა, რომ ზოგიერთი კი ამ კონსოლიდაციას მხოლოდ თანამედროვეობას უკავშირებს). მტკიცე და კონსოლიდირებული ქართული ეთნიკური ერთობის ანუ ერის ადრე შუა საუკუნეებში არსებობის დამადასტურებელია „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ავტორის გიორგი მერჩულეს სიტყვები: **„არამედ ქართლად ფრიადი ქვეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ აღესრულების“. „ფრიადი ქვეყანაში“ ერთიანი საქართველო იგულისხმება მისი ისტორიულ-**

[55] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. წ. I, გვ. 316, 217.

ეთნოგრაფიული მხარეებით. ამ „ქვეყნების“ შინაგან სამეურნეო-ეკონომიკურ კავშირებს 326 წელს ქრისტიანობის გავრცელება მოყვა, რამაც ეს კავშირები კულტურული თვალსაზრისით უფრო მაღალ დონეზე აიყვანა და სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში მცხოვრებნი, განსხვავებულ ლადშაფტში მკვიდრნი უფრო მტკიცე და ერთიან კულტურულ ერთობად/ერად აქცია. განა ერთიანი ქართველი ერის არსებობის დამადასტურებელი არაა ცოტნე დადიანის ქმედება, რომელმაც თავი საქართველოს სხვადასხვა მხარეების მეთაურების გადასარჩენად რომ გაწირა? განა იგივეს არ ადასტურებს გიორგი ხუცეს-მონაზონის სიტყვები: „ნათესავი ქართველთა წრფელ და უმანკო არს“? დიახ, აქ მოხმობილი ტერმინი – „ნათესავი ქართველთა“ შუა საუკუნეებში „ქართველი ერის“ ცნების გამომხატველი იყო. განა თამარის დროს საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნიკურ ერთობებსა და რელიგია-კონფესიების მიმდევრებს ერთმანეთისაგან რომ არ ასხვავებდნენ და წარმომავლობას მნიშვნელობას რომ არ ანიჭებდნენ და რომ ისინი მაღალ სახელმწიფოებრივ თანამდებობებზე რომ ინიშნებოდნენ, ეს ერთიანი ქართველი ერის არსებობას არ ადასტურებს? იმდრინდელ საქართველოში მთავარი მოქალაქეობა რომ იყო და არა კუთხურობა, ან სხვა ეთნოსისადმი მიკუთვნებულობა, ეს ქართველი ერის („ნათესავით ქართველის“) არსებობის დამადასტურებელი არაა? ტერმინმა „ნათესავით ქართველმა“ შინაარსი რომ შეიცვალა ადრე შუა საუკუნეებში და სისხლით ქართველის ნაცვლად ახლა უკვე ყველას რომ აღნიშნავდა, მისი წარმომავლობის მიუხედავად, ვინც კი ქართულად ლოცულობდა და ამ ქვეყნის მოქალაქე იყო, ეს ქართველი ერის მაშინ არსებობის დამადასტურებელი არაა? საქართველოს განაპირა მხარეების წარმომადგენლები ქართლისაკენ რომ მოიწევდნენ (აზო, ტაო-კლარჯეთის ქართველთა სამეფო, აფხაზეთის დასავლეთ ქართული სამეფო), რომლებსაც სამეურნეო-ეკონომიკური კავშირის გააჩნდათ, პოლიტიკური გაერთიანებისათვის რომ იბრძოდნენ, ეს ქართველი ერის არსებობის დამადასტურებელი არაა? დასავლეთ საქართველოს ბიზანტიაზე დამოკიდებული ეკლესია, ამ უკანასკნელთაგან თავს რომ იხსნის და ერთიანი ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ნაწილი ხდება, ეს ქართველი ერის არსებობის დამადასტურებელი ფაქტი არაა? ქართული ენა მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში რომ არა მხოლოდ საეკლესიო ენა, არამედ სახელმწიფო ენაც რომ იყო, ეს ფაქტი ერის არსებობის დამადასტურებელი არაა? საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების მკვიდრნი მუდმივად რომ ერთმანეთს ერეოდნენ და რომ მუდმივი იყო შიდა მიგრაციული პროცესები, ეს ქართველთა კონსოლიდაცია-

ინტეგრაციის, ერის არსებობის დამადასტურებელი ფაქტი არაა? უფრო ისტორიის სიღრმეში რომ წავიდეთ და ეგრისის მმართველის ქუჯის სიტყვები გავიხსენოთ ქართლის პირველი მეფის ფარნავაზისადმი ნათქვამი – „შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა და შენ გმართებს უფლობა ჩემი. შენ ხარ უფალი ჩუენი და მე ვარ მონა შენი“ **(თუნდაც რომ ეს სიტყვები მემატიანის შეთხზული იყოს) – არ ადასტურებს იმას, რომ ქართველთა სხვადასხვა ეთნოგრაფიულ ჯგუფებს ჰქონდათ მისწრაფება და ტენდენცია ერთად ცხოვრებისაკენ, კონსოლიდაციისაკენ და ერად ჩამოყალიბებისაკენ? შუა საუკუნეებში სვანეთის მკვიდრნი პირველ რიგში „ერთობილი საქართველოს“ ლოცვას რომ აღავლენდნენ, განა ეს ქართველი ერის არსებობის დამადასტურებელი არაა? ქართველი მთიელები საქართველოს ავბედობის ხანაში დატყვევებულ ქართველებს ტყვეობიდან რომ იხსნიდნენ, განა ეს ფაქტიც ქართველი ერის არსებობის დამადასტურებელი არაა? ფაქტები დაუსრულებლად შეიძლება მოვიყვანოთ ჩვენი ქვეყნის ისტორიიდან. იქნებ სჯობს როდესაც ქართვლი ერის წარმოქმნაზე ვსაუბრობთ საქართველოს ისტორიის ფაქტები გავიხსენოთ და არა ზოგიერთი დასავლური თეორიის გადმომღერება მოვახდინოთ?**

მჭიდრო სამეურნეო-ეკონომიკური და კულტურული კავშირების გამო იყო, რომ ქართველებს, საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში მცხოვრებთ ყოველთვის ჰქონდათ მისწრაფება პოლიტიკურად კვლავ გაერთიანებისაკენ. მაგრამ მოწინავე ქართველი პოლიტიკოსებისა და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ასეთი ცდები ფეოდალური სისტემისა და საგარეო ფაქტორთა გამოისობით უშედეგოდ მთავრდებოდა. ასეთი მნიშვნელოვანი მცდელობა XVIII საუკუნეში ჰქონდა დიდ ქართველ ეროვნულ მოღვაწეს *სოლომონ ლიონიძეს* (ლიონიძეების გვარი წარმოშობით იმერხევიდან სოფელ „ლიონიძედან“ იყო) ***„მოყვანა ერთობასა მტკიცეთა ერთნათესაობა ქართველთა“*** და ***„შინაკავშირითა გაეუქმებინა გარეკავშირი“***. რუსეთის იმპერიის შემადგელობაში შესვლას ერთი პოზიტიური მხარე ის ჰქონდა, რომ *„თემნი თვით ქართველთა სამეფოისა დაგლეჯილნი და დანაწევრებულნი გაუქმდნენ და მცხოვრებნი თემთა ამათ: იმერელნი, მეგრელნი, გურულნი, სვანნი და სამცხენი ათაბაგთა, შეიქმნენ და იწოდნენ ქართველებად“*.[56]

სიტყვამ მოიტანა და ისიც უნდა ითქვას, რომ რუსების მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ არსებული კატასტროფიული დემოგრაფიული მდგომა-

[56] პლატონ იოსელიანი. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. ტფ. 1936, გვ. 247.

რეობის შემობრუნებაც მოხერხდა, რადგან აღიკვეთა ორი ისეთი მოვლენა როგორიცაა ჩრდილოეთ კავკასიელთა თარეშები და ტყვეთა სყიდვა. გააქტიურდა საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეთა შორის ისტორიულად არსებული მოსახლეობის მიგრაცია, მოხდა ქართველების მთელ რიგ განაპირა მხარეებშიც ჩასახლება. დაიწყო ქვეყნის ევროპეიზაცია – „ერთიანმა“ საქართველომ განაპირობა ილია ჭავჭავაძისა და „ივერიის“, აკაკი წერეთელისა და ვაჟა-ფშაველასი, იაკობ გოგებაშვილისა და „დედაენის“, დიმიტრი ყიფიანისა და მიხაკო წერეთლის, აკაკი ჯორჯაძისა და ივანე ჯავახიშვილის გაჩენა... ქართველები კონსოლიდაციასა და წინსვლას რუსეთის იმპერიის კოლონიური ზეწოლის ფარგლებში ახერხებდნენ, ცარიზმის მხრიდან გარუსების მცდელობა უფრო მეტ ეთნიკურ/ეროვნულ კონსოლიდაციას განაპირობებდა. რუსები არც მალავდნენ, რომ მათ მხოლოდ საკუთარი ინტერესი ამოძრავებდათ. საამისოდ რუსი ისტორიკოსის პ. კოვალევსკის სიტყვები შეიძლება მოვიხმოთ, რომ რუსეთმა საქართველო შეიერთა «Не для прекрасных глазок грузинок, а для пользы, мощи и славы России».[57] ამიტომაც იყო, რომ რუსეთის იმპერია მიზანმიმართულად ეთნიკურად აჭრელებდა საქართველოს, ქართველთა ეთნოგრაფიულ ჯგუფებს ხალხებად (народность-ებად) აცხადებდა და შემოერთებული სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეებიდან ქართველთა მუჰაჯირად წასვლას აქეზებდა.

ქართველთა ეთნოგრაფიულ ერთეულთა შორის კულტურული გაცვლა ყოველთვის მიმდინარეობდა და ის, ფაქტობრივად არასდროს არ შეწყვეტილა. უფრო მეტი, ასეთი კულტურული კავშირები და გაცვლა ქართველ ხალხს დღიდან ჩამოყალიბებისა ყველა მეზობელთანაც ჰქონდა.

„ივ. ჯავახიშვილის ფართო კვლევა-ძიებიდან გამომდინარეობს ის დასკვნა, რომ საქართველოს თითოეულ თემს სამეურნეო-კულტურული ხასიათის საკუთარი მიღწევები ჰქონდა, რომელთაგან უმეტესობა საერთო ქართული კულტურის ფონდში შედიოდა და მის დაწინაურებასა და განვითარებას უწყობდა ხელს“.[58] ივანე ჯავახიშვილი იმასაც ხაზს უწვამდა, რომ საქართველოში არ არსებობდნენ ერთმანეთს მოწყვეტილი და მეურნეობრივ-კულტურულად ჩამორჩენილი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები და რომ შინაარსობრივად სულ

[57] П. Ковалевский. Двенадцатый год на Кавказе (Сборник общества Ревнителей Истории, вып. I, 1914, გვ. 65.

[58] მ. გეგეშიძე. აკად. ივ. ჯავახიშვილი საქართველოს შინაგანი სამეურნეო-კულტურული კავშირურთიერთობის შესახებ, გვ. 53.

სხვადასხვაა მოცემულ ბუნებრივ-სამეურნეო პირობებში მეურნეობის გაძღოლის კულტურა და მეურნეობის მასშტაბური შესაძლებლობანი. **სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეთა მჭიდრო კავშირები საქართველოს ერთიან სამეურნეო-ეკონომიკურ ორგანიზმს ქმიდა. ფაქტობრივად საქმე გვქონდა ისტორიულად საქართველოს ტერიტორიაზე მეურნეობრივ-დარგობრივ განაწილებასთან.** შესაბამისად, ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეს (ივანე ჯავახიშვილის ტერმინით – თემს) შესაძლო და შესაფერისი წვლილი შეჰქონდა საერთო ქართული სამეურნეო-კულტურულ განვითარებაში. ამდენად, ისტორიულად საქართველოს მხარეები არასდროს კარჩაკეტილი არ ყოფილან.

ზემოთაც აღვნიშნეთ და აქაც გვინდა გავიმეოროთ, რომ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული // ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეები, სხვადასხვა დროს ჩამოყალიბდა ბუნებრივ-გეოგრაფიული და ისტორიული მოვლენების შედეგად. ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფები XIX საუკუნეში ცარიზმს ცალ-ცალკე ხალხებად (ნაროდნოსტებად) ჰყავდა წარმოდგენილი, რაც ერთიანი ქართული ეროვნული ორგანიზმის დაშლისაკენ მიმართული ქმედება იყო. მხოლოდ ქართლელებსა და კახელებს მიაკუთვნებდნენ ქართულ ეთნოსს. ცალკე აღირიცხებოდნენ იმერლები (იმერლებში შეჰყავდათ რაჭველები და ლეჩხუმელები), მეგრელები (სამურზაყანოელი მეგრელები ცალკე ხალხად იყვნენ გამოცხადებულნი), სვანები, ფშავლები, ხევსურები, თუშები, გურულები, აჭარლები (1910 წლის „კავკასიის კალენდარში“ აჭარლები ქართველ მაჰმადიანებად არიან ჩაწერილები). რაც შეეხება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მცხოვრებ ქართველთა ეთნოგრაფიულ ჯგუფებს (შავშელებს, კლარჯელებს...) 1886 წელს ისინი ქართველ მაჰმადიანებად იყვნენ ჩაწერილები. აღნიშნული ფალსიფიკაცია დასავლეთის სამეცნიერო გამოცემებში ამჟამადაც გრძელდება. საკმარისია მოვიხსენიოთ აშშ-ში დასტამბული მრავალტომეულის – „მსოფლიოს ხალხები და კულტურები“ VI ტომი. ხშირად ქართველთა ეთნოგრაფიულ ჯგუფებს ეთნოსებად, ეთნიკურ ჯგუფებად მოიხსენიებენ, რაც დიდი შეცდომაა. ქართველი ხალხი არის ერთი და ერთიანი ეთნოსი, რომელიც ერად (ნაციად) საუკუნეების მიღმა ჩამოყალიბდა, რომელმაც შექმნა ერთიანი დიდი ეროვნული (ეთნიკური) კულტურა, სალიტერატურო ენა და რომელსაც აქვს ჩამოყალიბებული მყარი ეროვნული თვითშეგნება, ეროვნული ხასიათი, რომლის შესახებ ჯერ კიდევ შუა საუკუნეების ქართველი მწერლები წერდნენ.

საქართველოს შიდა სამეურნეო-ეკონომიკურ კავშირებთან უშუალოდ დაკავშირებული უნდა იყოს ქართველთა განვითარების ერთგვარი გზა. მხედვე-

ლობაში გვაქვს ვაჭრობის არა ისეთი მასშტაბებით განვითარება როგორც ჩვენს მეზობელ ეთნოსში. სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებს შორის სამეურნეო-ეკონომიკური ურთიერთობები, მათ შორის არსებული აღებ-მიცემობა, გაცვლა-გამოცვლა ყოველმხრივ უზრუნველყოფდა სხვადასხვა ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოსა, ლანდშაფტსა და კლიმატურ პირობებში მცხოვრებ ქართველთა ეთნოგრაფიულ ჯგუფებს. ვაჭრობის სხვა ფორმების, მისთვის უფრო დიდი მასშტაბების მიცემა მათ აღარ სჭირდებოდათ. კაპიტალიზმამდელ ფორმაციაში ვაჭრობის განვითარება, მისთვის საერთაშორისო მასშტაბის მიცემა უფრო მონოტონური ლანდშაფტის მქონე ქვეყნებს, ეთნოსებს სჭირდებოდათ.

Roland Topchishvili

ECONOMIC TIES OF GEORGIA'S HISTORICAL-ETHNOGRAPHIC REGIONS

Summary

Each ethnographic region of Georgia was mainly one economic unit. Some historical-ethnographic/geographic regions were distinctly lowland, some – highland, some others – upland (foothills). Representatives of one ethnographic group of Georgia had more crops; others had products of vinegrowing, fruits, products of cattlebreeding and sheepbreeding. Therefore, ethnographic groups of Georgia filled their deficit of agricultural products by economic relations with one another. Ivane Javakhishvili considered this fact to be the basis for a settlement area of Georgians, unity and integrity of the country and that political unity, statehood, first of all, was determined by natural-geographic, landscape and climatic and, proceeding from this, economic diversity.

The present work presents historical data and ethnographic materials proving economic relations historically existing between different historical-ethnographic regions of Georgia. From the concrete facts of economic ties between the different historical-ethnographic units of Georgia we can name: outside work of the highlanders; use of lowland pastures by highland shephards and vice versa; trade relations between different regions, etc. Despite the fact that the historical-ethnographic units of South Georgia from the end of the 16th century turned to be within the Ottoman Empire, the economic relations established in the depth of history were not broken. The regions, politically separated from Georgia, brought agricultural products, food products, especially bread, to Tbilisi and Gori for sale. Here, cattle and sheep from entire Georgia gathered on the spring pastures. In the late Middle Ages the population of the mentioned region did not suspend economic ties with the population of not only East, but of West Georgia as well. The facts are stressed that the higlanders brough to the lowland not only cattle and sheep to the winter pastures, but they also were given lands there (vineyards) into ownership.

All the historical-ethnographic groups of Georgia were engaged in trade relations. The Georgian people represent one economic system. Ivane Javakhishvili saw the basis of political unity of Georgians just in close economic relations between the different historical-ethnographic regions.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება.
შოთა მესხია – 100
თბილისი. 2016

როზეტა გუჯეჯიანი

დადეშქელიანთა სამთავრო რეზიდენცია ეცერში – ისტორია და კულტურულ-სოციალური ასპექტები

საქართველოს ერთ-ერთ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში – სვანეთში – შემონახულია უნიკალური ისტორიული ძეგლი – დადეშქელიანების სამთავრო რეზიდენცია. იგი მდებარეობს ზემო სვანეთის ბალს ქვემო ნაწილში, ეცერის თემის სოფელ ბარშში (მესტიის მუნიციპალიტეტი).

ეცერის თემი სამი მხრიდან შემოსაზღვრულია მთებით (ზედა ბაშის ქედით და მისი განტოტებით), ხოლო სამხრეთიდან – ენგურის ხეობით, რომლის მარცხენა ნაპირას ქვემო ბაშის ქედია აღმართული. ეცერის ტერიტორიაზე ორი მდინარე (დახშარ, კუდრულა) მიედინება. არის წყაროები და მინერალური წყლები. ეცერი მოზრდილ, სამხრეთისკენ დაქანებულ ვაკობზეა დაქანებული და, შედარებით, თანაბარი კლიმატური პირობებით გამოირჩევა, რაც სვანურ ფოლკლორშიც არის ასახული: „ყველგან თოვს, ყველგან წვიმს, თეთრ ეცერში მზე ანათებს“.[1] ეცერის ნიადაგი მაღალი სამეურნეო თვისებებით ხასიათდება, როსიქაურობა ძველთაგანვე კარგ სამოსახლო ადგილად ითვლებოდა. ეცერის ერთ-ერთ გორა-ნამოსახლარზე აღმოჩენილ ხელსაფქვავს, ფეტვისა და ხორბლის მარცვლებს არქეოლოგები ძვ. წ-აღ. I ათასწლეულის შუახანებით ათარიღებდნენ.[2] ეცერის თემი მდიდარი ისტორიის მქონეა. ვახუშტი ბაგრატიონი ორჯერ იხსენებს ეცერს, როგორც სვანეთის ერთ-ერთ მთავარ ადმინისტრაციულ ცენტრს. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა 1334 წლის მოვლენების ვახუშტისეული აღწერა: „ავკანყებული სვანების დასამორჩილებლად ბაგრატ მეფე პირველად მიდის სვანეთში „ეცერსა ზედა“,

[1] სვანური პოეზია. ტფ. 1939, გვ. 114-115.

[2] შ. ჩართოლანი, ა. ქალდანი. სვანეთის 1975 წლის სადაზღვევო არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში. კრებ.: საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში. თბ. 1975.

იქ სჯის დამნაშავეებს, გადააყენებს ვარდანიძეს და მის ნაცვლად სვანეთის ერისთავად გელოვანს დანიშნავს.[3]

ერთიანი საქართველოს დაშლის შედეგად ეცერი ინარჩუნებს თავის ადმინისტრაციულ მნიშვნელობას და „ჯაფარიძეთა სასისხლო სიგელის“ (XV-XVI სს.) მიხედვით კვლავ სვანეთს ერთ-ერთ მთავარ პუნქტად წარმოგვიდგება: „ვიყუენით სრულიად ეცერს აქეთ რაც სუანეთი არის თორმეტს წელიწადს ასრე შეწყუდეულნი... და მერმე შევიყარენით სრულიად სუანთ ჩენილები და ვქენით ვაზირობა. მოველით **ეცერს**, რუჩაგიანსა და **დადეშქელიანსა** შევეხუეწენით და დადიანთან გავგზავნეთ... ამისი აჯა ესთხოეთ, რომ მეფეთა-მეფეს პატრონს ალექსანდრესთან აჯა ეთხოვნა“.[4] ამ წყაროს მიხედვით **დადეშქელიანის** გვარი (რუჩაგიანითან, იგივე, რუჩეგიანი, როჩაგიანი, რიჩგვიანი) ერთად, ყოველგვარი წოდების გარეშე იხსენიება, მაგრამ, როგორც ჩანს, სერიოზული ძალა და გავლენა უკვე ჰქონიათ მოპოვებული, რადგან სწორედ მათ ეავლება ბალს ზემო სვანეთის მოსახლეობა დადიანთან შუამდგომლობას და შემდგომ, დადიანთან ერთად, მეფის წინაშე წარდგომას. გერონტი გასვიანის დასკვნით, ეს ფაქტი რუჩეგიანთა და დადეშქელიანთა მაღალი სოციალური წრისადმი მიკუთვნებულობის ადასტურებს: „მათ ამის გარეშე მათ დადიანთან შუამავლად არავინ გამოარჩევდა. ცხადია, ისინი, როგორც ფეოდალური გვარეულობა, დადიანთან ურთიერთობის ღირსნი იყვნენ“.[5]

უკვე ამ დროიდან მოყოლებული, ნარატიული წყაროებით, ეცერის ისტორია გადაჯაჭვულია დადეშქელიანთა ისტორიასთან: რუჩეგიანთა და, შესაძლოა, დადეშქელიანთა („დადისშვილი“, „დადიშგელა“-ს ფორმით) რამდენიმე ოჯახს იხსენიებს უფრო ადრეული, XII-XIV სს. ძეგლიც – „მატიანე სუანეთისა კრებისაჲ“,[6] ხოლო XVII-XVIII საუკუნეების ძეგლში, „სვანეთის საეკლესიო კრებათა მეორე მატიანე“-ში, დადეშქელიანებს წინ უძღვით „ბატონისა“ და „დიდებულის“ ეპითეტები.[7]

ცნობილია, რომ დადეშქელიანთა გვარის შესახებ შემონახულ ლეგენდათა უმრავლესობა, დადეშქელიანებს ჩრდილო კავკასიიდან გადმოსულებად მი-

[3] ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 261, 787.

[4] ვ. სილოგავა. სვანეთის წერილობითი ძეგლები. ტ. I. თბ. 1986, გვ. 114.

[5] გ. გასვიანი. ნარკვევები შუა საუკუნეების სვანეთის ისტორიიდან. თბ. 1991, გვ. 11.

[6] პ. ინგოროყვა. სვანური საისტორიო ძეგლები. ტ. I. თბ. 1941.

[7] გ. გასვიანი. სვანეთის საეკლესიო კრებათა მეორე მატიანე. ჟურნ.: „მაცნე“. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების სერია. №2. თბ. 1972.

იჩნევს. ვფიქრობ, რომ საყურადღებოა სხვა გადმოცემაც, რომლის მიხედვითაც, დადეშქელიანის გვარი სვანეთის უკანასკნელი ერისთავის დადეშ გელოვანის გვარ-სახელის შეერთების შედეგად წარმოქმნილა.[8]

როგორც ჩანს, ამ დროისათვის უკვე წარმოქმნილია ბალს ქვემო სვანეთის ფეოდალური ერთეული (ბალის ქედიდან მდ. ეცამდე, დღევანდელი დაბა ჯვარის მისადგომები), რომლის გამოჩენილ საგვარეულოთა – რუჩეგიანთა და დადეშქელიანთა რეზიდენციები ისევ ეცერში მდებარეობს.

ეცერის დაწინაურებულ მდგომარეობაზე მიუთითებს ამ XVII საუკუნის მკვლევარი ი. გიულდენშტედტიც: „მე დამისახელეს სვანეთის მთავარი სოფლები, ციხეები: ლენტეხი, ჩოლური, კალაში და ლაშხეთი და **ეცერი**".[9]

მოგვიანებით, დადეშქელიანებმა თანდათანობით შეავიწროვეს და დაამარცხეს სხვა დაწინაურებული საგვარეულოები (გელოვანები, რუჩეგიანები, სხვ.) და ბალს ქვემო სვანეთის ერთპიროვნულ მმართველებად ჩამოყალიბდნენ. გერონტი გასვიანის აზრით, „დადეშქელიანებმა მთავრის ადგილი ანუ სხვა გაბატონებულ-წარჩინებულ გვართა შორის პირველობა მხოლოდ XVIII ს-ის II ნახევარში მოიპოვეს, კერძოდ, მას შემდეგ, რაც მათ რიჩგვიანები დაამარცხეს".[10]

XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან **დადეშქელიანთა სამთავრო შტო** ორ ნაწილად იყოფა: **თათარყანის შტო** დარჩა **ეცერის რეზიდენციაში** და ფლობდა ეცერის, ცხუმარის, ბეჩოს თემებს; ხოლო **ციოყის შტო – ჩუბეხევს** მდ. ეცამდე (დღევანდელ დაბა ჯვარამდე). ციოყმა აიგო სასახლე სოფელ **ფარში.**

XIX საუკუნის 30-იან წლებში დადეშქელიანთა ორივე შტოს მეთაურმა რუსეთთან ქვეშევრდომობის აქტები გააფორმა. **თათარყანის შტოს** გამრავლების შემდეგ დადეშქელიანთა ამ შტოს **ახალი რეზიდენციები აგებულ იქნა ბეჩოსა (მაზერი) და ცხუმარის თემებშიც.** ჩუბეხევის დადეშქელიანთა რეზიდენცია კი არსებობდა **ფარის თემში,** ფარის შუაგულში, სადაც ნანგრევების სახით ახლაც არის შემორჩენილი. ამ შტოს ბოლო წარმომადგენელი სვანეთში გახლდათ **კონსტანტინე (შურზაყან) დადეშქელიანი** (1826-1857), რომელიც მკვეთრად ეწინააღმდეგებოდა რუსეთის იმპერიის გაბატონებას სვანეთში. კონსტანტინეს დამარცხების შემდეგ ფარში ბანაკდება რუსის ჯარი და მისი მიწები ხდება სახაზინო კუთვნილება (1857 წელი). დღეისათვის ეს რეზი-

[8] ე. გაბლიანი. ძველი და ახალი სვანეთი. ტფ. 1925, გვ. 63.

[9] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გია გელაშვილმა. ტ. I. თბ. 1962, გვ. 325.

[10] გ. გასვიანი. სავნეთის საეკლესიო კრებათა მეორე მატიანე, გვ. 103.

დენცია სავალალო დღეშია და საშურია მისი გაწმენდა, გამაგრება და კონსერვაცია. მომდევნო წელს **1857-1858 წლებში რუსეთის ხელისუფლებამ ორივე სამთავრო გაუქმებულად გამოაცხადა**. ზემო სვანეთი ცაგერის საბოქაულოდ გამოყვეს ლეჩხუმის მაზრის შემადგენლობაში. 1871 წელს ამ ნაწილში საგლეხო რეფორმა გატარდა.

უკანასკნელი მეპატრონე **ეცერის ბარშის დადეშქელიანების რეზიდენციისა** და მამულებისა გახლდათ **ჯანსუღ (//ჯანსოღ, ჯანსოხ) თენგიზის ძე დადეშქელიანი (1858-1921)**. ჯანსუღი ცნობილი სახელმწიფო მოხელე იყო, რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი, დაღესტნისა და ყარსის გუბერნატორი, ქუთაისის ვიცე-გუბერნატორი სხვადასხვა წლებში. მისი მეუღლე იყო ანეტა დადიანი (1872-1922), თავად ალექსანდრე (ვამეხ) დადიანისა და მატა (მავრა) წერეთლის ასული. ანეტა იყო აკაკი წერეთლის დისწული. ჯანსუღს და ანეტას ორივე ვაჟიშვილი (ალექსანდრე და თათარყანი) პირველ მსოფლიო ომში დაეღუპათ და უმემკვიდრეოდ დარჩნენ.

რევოლუციის შემდგომ 1917 (ან 1918 წელს) წელს სოციალ-დემოკრატთა წაქეზებით ეცერის გლეხობას დაურბევია დადეშქელიანთა ბარშის რეზიდენცია და ამით კულტურის შესანიშნავი ძეგლის ნგრევაც დწყებულა.[11]

ეცერის თემის ბარშის დადეშქელიანთა რეზიდენცია იყო ყველაზე გრანდიოზული ნაგებობა სვანეთში. ის წარმოადგენს მაღალი გალავნით შემოსაზღვრულ კომპლექსს, რომელშიც მოქცეულია აწ უკვე ნანგრევებად ქცეული რამდენიმე ქვის სახლი, სამეურნეო ნაგებობა და უმაღლესი კოშკი მთელ სვანეთში. გარკვეული დროიდან ამ კომპლექსის სიახლოვეს თენგიზ დადეშქელიანს აუგია ახალი ტიპის საცხოვრებელი და სახლი. ეს ნაგებობები სრულად განადგურებულია, მათ ადგილას მთელი საბჭოთა პერიოდის განმავლობაში არაფერი არ იყო, მოსახლეობა იყენებდა სალეწ კალოდ. ამჟამად მიმდებარედ ეკლესიაა აგებული.

მოსახლეობაში გავრცელებულია გადმოცემა, რომ ეს რეზიდენცია დადეშქელიანებამდელია და რუჩეგიანებს, უფრო ძველად კი ვარდანიძეებს ეკუთვნოდათ. ეცერის თემში დღეისათვის უკვე აღარ არსებობს რუჩეგიანთა საცხოვრებელი ნაგებობანი. ეთნოგრაფიული მასალით, ეცერში რუჩეგიანები სახლობდნენ ლადრერისა და ისკარის ტერიტორიებზე. ამ მოსაზრებას იზიარებდნენ მაქსიმე ქალდანი, რუსუდან ხარაძე, ალექსი რობაქიძე და ანზორ

[11] ა. დავითიანი. განახლებული სვანეთი. ჟურნ.: „მნათობი“. №11. თბ. 1957.

ქალდანი.[12] ეცერთან ერთად რუჩეგიანები ცხოვრობდნენ და მამულებს ფლობდნენ ჩუბეხევში, ბეჩოს თემში, ცხუმარის თემში, ლატალის თემში და სხვ. „ისინი მძლავრობდნენ ცხუმარშიც, ფარშიც და ბეჩოს ზოგიერთ სოფელშიც“.[13] რუჩეგიანთა საგვარეულო ისტორიისა და განსახლების არეალის შესახებ არსებობს სხვა ნაშრომებიც.[14]

დადეშქელიანთა რეზიდენციის ეცერში არსებობა დიდ გავლენას ახდენდა ამ თემის კულტურულ იერსახეზე.

ეცერის თემი მდიდარია მატერიალური კულტურის ძეგლებით. მკვლევართა დაკვირვებით, ეცერის ხალხური ხუროთმოძღვრება არ იყო ერთგვაროვანი, აქ ერთმანეთის გვერდით თანაარსებობდა სხვადასხვა ტიპის საცხოვრებელი, სამეურნეო და თავდაცვითი ნაგებობები, რომლებიც საცხოვრებლის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იქმნებოდა და რომელთა მეტნაკლებად სახეცვლილი ფორმები გვიან პერიოდამდეც გვხვდება.[15]

ეცერში სვანეთისათვის დამახასიათებელი ყველა ტიპის საცხოვრებელი და თავდაცვითი ნაგებობაა დაფიქსირებული. აქ გვხვდება მურყვამიანი, სვანირიანი, სანცხვირიანი და შდუროიანი სახლები. მაგრამ არსებობს რამდენიმე ნიშანი, რომლებიც ეცერს სხვა სვანური სოფლებისაგან განასხვავებს და როგორც მართებულადაა მიჩნეული, ამის გამომწვევი მიზეზი იქ დადეშქელიანთა ციხე-კომპლექსის არსებობაა. უპირველესი განმასხვავებელი ნიშანია კოშკების მეტისმეტი სიმცირე, თუმცა, ძველად, დადეშქელიანთა გაბატონებამდე, კოშკიანი (მურყვამიანი) სახლი ეცერისათვისაც უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი. XIX საუკუნისათვის ეცერში რამდენიმე მურყვამი მაინც ყოფილა შემორჩენილი და ისიც ბარშის დადეშქელიანთა რეზიდენციასთან ყველაზე დაშორებულ ქვემო ეცერში. XIX საუკუნის მკვლევარ-მოგზაურები ერთხმად ამჩნევენ ამ სხვაობას და მას შემდეგი გარემოებით ხსნიან, რათა „ყმებს კოშკებიდან წინააღმდეგობა არ გაეწიათ ბატონებისათვის, დადეშქელიანებს კოშკები უნგრევიათ. აი, ეს არის მიზეზი, რომ დღეს ეცერს მარტო დადეშქელიანის კოშკი გადმოჰყურებს“.[16]

---

[12] რ. ხარაძე, ა. რობაქიძე. სვანეთის სოფელი ძველად. თბ. 1961, გვ. 107; სვანური პროზაული ტექსტები. ტ. II. ბალსქვემოური კილო. ტექსტები შეკრიბეს ა. დავითიანმა, ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა. თბ. 1957; ა. ქალდანი. კოშკების სამყაროში. თბ. 1978.

[13] რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე. სვანეთის სოფელი ძველად, გვ. 107.

[14] რ. გუჯეჯიანი. ქართულ ფეოდალურ საგვარეულოთა ისტორიიდან (ჩეგიანები, რუჩეგიანები). კრ.: სვანეთის ისტორიის ფურცლები. თბ. 2011, გვ. 31-40.

[15] რ. ხარაძე, ა. რობაქიძე. სვანეთის სოფელი ძველად, გვ. 46.

[16] ბ. ნიჟარაძე. ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები. ტ. II. თბ. 1964, გვ. 95.

ამგვარი აკრძალვის შედეგად ეცერში გაბშირდა სანცხვირიანი სახლების მშენებლობა. ამ ტიპის სახლი, მართალია, უკოშკოა, მაგრამ მას მეორე სართულის ერთ-ერთ კუთხეზე აქვს მინაშენი, რომლის კედლებზეც საისრე-სათოფური ხვრელებია დატანებული. ეცერში მდგარა სვანირიანი სახლები. სვანირი სამსართულიანია, მისი მესამე სართული თავდაცვითი მნიშვნელობისაა. თავდაცვისათვის ყველაზე ნაკლებად ვარგისია შდუროიანი სახლი. რადგანაც ძირითადი საფრთხე დადეშქელიანებს სამხრეთიდან ემუქრებოდათ, მათ უზრუნიათ იმისათვის, რომ თავიანთი კოშკი ჯერ სანცხვირიან სახლებს დაეფარა, შემდეგ კი სვანირებს.[17]

სამწუხაროდ, ამ სანცხვირიანი და სვანირიანი სახლების უმეტესობა დღეს სრულიად დანგრეულია. ზოგის მხოლოდ ფრაგმენტებია შემორჩენილი.

დადეშქელიანების კომპლექსის დასავლეთით მოლის მთაზე აღმართულია კოშკი, რომლის გვერდით საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობებიც მდგარა, მაგრამ დანგრეულა. იქაურობა დემეტრიანების სამოსახლო იყო. „სვანეთის სულთა მატიანეში“ ამ გვარის რამდენიმე წარმომადგენელი იხსენიება. ხალხი ამ მთას დღესაც ჯგირაგ მოლაშ-ს უწოდებს, რადგან იქვე წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაც ყოფილა. ბოლო დემეტრიანები, ფიზიკურად და ფსიქიკურადაც უძლურნი ყოფილან და მათი მოვლა-პატრონობა დადეშქელიანებს უკისრიათ, მათვე დაუმარხავთ და დიდი ქელეხიც გადაუხდიათ. კოშკი დგას სოფელ ლანტელიშიც, მას თამარისეული კოშკს უწოდებენ, კოშკი სანახევროდ ჩამონგრეულია. კოშკი დგას ისკარშიც. ჭელირის, ბარშის, ლადრერის ტერიტორიებზე აღმართული კოშკები ჩვენი დროისათვის მხოლოდ ნანგრევების სახითაა შემორჩენილი.

ეცერი მდიდარია სხვა ისტორიული ძეგლებითაც. იქ დაცული ფასეულობების მეტ-ნაკლებად სრული აღწერილობები შემოგვინახეს დიმიტრი ბაქრაძემ (1860 წ.), გრაფინია პრასკოვია უვაროვამ (1895 წ.), მღვდელმა პოლიევქტოს კარბელაშვილმა (1903 წელი), ექვთიმე თაყაიშვილმა (1910 წ.) და სხვებმა.[18] XX საუკუნის 30-იანი წლებიდან სვანეთში შემონახული ისტორიული

[17] ა. ქალდანი. კოშკების სამყაროში, გვ. 90.

[18] Д. Бакрадзе. Сванетия. Записки Кавказского отдела Императорского русского географического общества (ЗКОИРГО). т. VI. Тиф. 1864; Поездка в Пшавию, Хевсуретию и Сванетию графини Уваровой. Материалы по археологии Кавказа, собранные экспедициями Московского археологического общества (МАК). вып. 10. М. 1904; მ. პოლიევქტოს კარბელაშვილი. სვანეთში ორი კვირით. გაზ.: „ივერია“. №258. 11 ნოემბერი. 1904; გაზ.: „ივერია“. №268. 23 ნოემბერი, 1904; ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს. ქართული ეპიგრაფიკული ლიტერატურა. „დაბრუნება“. მრავალტომეული გ. შარაძის საერთო რედაქციით. ტ. II. თბ. 1991.

ღირებულებების აღნუსხვისა და დაცვის ინიციატორად გიორგი ჩუბინაშვილი გვევლინება. იგი გულისტკივილით აღნიშნავს 1936 წელს ეცერში მომხდარ სავალალო შემთხვევას, როცა ბოროტმოქმედებს გაუძარცვავთ ფხუტერის მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია.[19] ეს ეკლესია ხალხის მეხსიერებაში თამარ მეფესთან არის დაკავშირებული, თუმცა ბევრად ძველია, მეათე საუკუნისაა, მოხატულია XI-XII საუკუნეებში და უფრო გვიან. ფხუტერის ეკლესია მნიშვნელოვანია თავისი მოხატულობით, წარწერებით, ზარით, მოჩუქურთმებული კარით, იონა წინასწარმეტყველის (XI ს.) ხატით და ა.შ. სოფელ ქურაშში დგას წმიდა გიორგის ეკლესია საყურადღებო ფრესკებითა და წარწერებით. იქვე ინახება ქურაშის ოთხთავი. წმიდა გიორგის ეკლესია დგას უღვაწშიც. მის ფრესკაზე გამოსახულია ქტიტორების ანტონ და მიქაელ უფრიანების გამოსახულებები. ეცერში არის წმიდა ბარბარეს რამდენიმე ეკლესია (ისკარი, ჰერბუთი, ლანტელი, ბარში...), ჭელირიდან მთის საზაფხულო საძოვრებისაკენ მიმავალი ბილიკის სიახლოვეს შეინიშნება ძველი ნაგებობის კვალი, ხალხი ამ ადგილს „მთის მთავარანგელოზს“ უწოდებს. საყურადღებოა გადმოცემა დაცული სოფელ ლადრერის მახლობლად, ტყის პირას შემორჩენილ ნანგრევებთან, აქ. წმიდა ბარბარეს მონასტერი მდგარა. მისთვის „დიდი ომიანობის“ დროს მტერს ალყა შემოურტყამს და სასტიკად აუოხრებია.

კულტურის ძეგლებია სვანეთის სასოფლო მოედნებიც, რომელთაც „სვიფ“-ებს უწოდებენ. ეს ტერმინი ქართულ „სუფელს“ უკავშირდება. ს. ჯანაშიას დაკვირვებით, „აქ დაცულია ის მომენტი, როცა სასოფლო თემს ჯერ კიდევ შენარჩუნებული აქვს თავისი ძირითადი ორგანო – სასოფლო ერის კრება: კოლექტივთან ერთად „სუფელი“ ამ ერის კრებასაც აღნიშნავს, შემდეგ ეს ტერმინი უკავშირდება, როგორც ეს სვანურშია წარმოდგენილი იმ ადგილს, სადაც ჩვეულებრივ თავს იყრის მთელი სოფელი“.[20] ამგვარი, მთელი სოფლის შესაკრები ადგილი, ყველა მოგზაურის შენიშვნით, გამართული ყოფილა სოფელ ბარშში, **დადეშქელიანთა ახალი საცხოვრებლის** (ოდა-სახლები) წინ აღმართული იფნის მიდამოებში. თუმცა, სოფელ ბარშს მხოლოდ თავისი სვიფი წმიდა ბარბარეს ეკლესიასთან აქვს. თითქმის ყოველი სვიფის სიახლოვეს ძველი სასაფლაოებიც შეინიშნება.

[19] Г. Чубинашвили. О работе по учету и охране культурно-исторических памятников Сванетии. ჟურნ.: „ძეგლის მეგობარი“. №31-32. თბ. 1973 წელი.

[20] ს. ჯანაშია. საქართველო ადრეული ფეოდალიზაციის გზაზე. შრომები. ტ. I. თბ. 1949.

დადეშქელიანების თავდაპირველი სამარხები ქურაშის წმიდა გიორგის ეკლესიის მახლობლად არის დაფიქსირებული. ამჟამად შეინიშნება მხოლოდ ფრაგმენტები. მოგვიანებით დადეშქელიანები თავიანთ მიცვალებულებს ფხუტრერის ეკლესიასა და მის ეზოში მარხავდნენ.

დადეშქელიანთა ციხე-სიმაგრე აღმართულია სტრატეგიულად მოხერხებულ, შემაღლებულ ადგილას, სოფელ ბარშის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. მართალია, რეზიდენცია დანგრეულია, მაგრამ ძველი ჩანაწერების, აღწერილობებისა და ფოტო თუ ნახატი მასალების მიხედვით მკვლევარმა ანზორ ქალდანმა აღადგინა ციხე-დარბაზის გეგმა. მისი ვარაუდით, კომპლექსი აშენდა **XVI საუკუნის დასაწყისში ადრე არსებული ნაგებობების ბაზაზე.**[21] ვალერი სილოგავა დადეშქელიანთა ციხის მშენებლად ერთ-ერთ საეკლესიო მოსახსენებელში მოხსენიებულ **ივანე და პორტი მარგიანებს** მიიჩნევს.[22] რეზიდენცია მოიცავდა მაღალ გალავანშემოვლებულ ვრცელ სივრცეს, რომელიც აერთიანებდა ციხე-კოშკს, საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობებს. გალავანს შიგნით იყო მოქცეული მდინარე კედრულა, რომელიც ეცერის თემს სასმელი წყლით ამარაგებდა. ამ მდინარეზე გამართული ჰქონიათ წისქვილებიც.

ქართულ თუ რუსულ პრესასა და უცხოელ მოგზაურთა ჩანაწერებში უამრავჯერ იხსენიებიან დადეშქელიანები და მათი ციხე-კომპლექსი, რადგან ყოველი მეცნიერი, სახელმწიფო მოხელე თუ სასულიერო პირი სწორედ დადეშქელიანებთან ჰპოვებდა თავშესაფარს და გულუხვ მასპინძლობას.

ბარშის დადეშქელიანთა რეზიდენციის ჩვენ ხელთ არსებული პირველი აღწერილობა ეკუთვნის **მღვდელ მჭედლიძეს** და საგაზეთო პუბლიკაცია გამოქვეყნებულია 1869 წლის „დროებაში“. წერილის ავტორია ეცერის თემში მოღვაწე მღვდელი მიხეილ მჭედლიძე. ვვარაუდობ, რომ იგი გახლდათ წმიდა სვიმონ მჭედლიძის მამა. საარქივო მასალის თანახმად, მღვდელი მიხეილი ეცერის თემის სოფელ ფხუტრერის მთავარანგელოზების ეკლესიაში მსახურობდა 1865-1867 წლებში.[23] მისი წერილის მიხედვით, „დადეშქელიანების მდგომარეობა ძველებური მეფის ან მებატონის მდგომარეობას შეესაბამებოდა; ციხე-დარბაზი ზღუდეებით იყო შემოფარგლული და შიგნიდან ზღუდის კედ-

[21] ა. ქალდანი. დადეშქელიანების ციხე-დარბაზი სოფ. ბარშში. ჟურნ.: „ძეგლის მეგობარი“. №43-44. თბ. 1976-1977. გვ. 59.

[22] ვ. სილოგავა. სვანეთის წერილობითი ძეგლები. ტ. I, გვ. 267.

[23] მ. კეზევაძე. ეგზარქოსობის დროინდელი ღეჩზუმისა და სვანეთის ეკლესიები და მღვდლები, ქუთაისი. 2007, გვ. 27.

ლებზე სხვადასხვა ნაგებობანი იყო მიდგმული. მთავარი ალაყაფის კარი რკინის ფრთებიანი ყოფილა, რომლის გასაღები ფეოდალის ერთგულ ყმას ებარა. ციხე-დარბაზის დასავლეთის კედელზე ურიცხვი სათოფური ხვრელი ყოფილა განლაგებული რამდენიმე რიგად“.[24]

არსებობს დადეშქელიანთა რეზიდენციის რამდენიმე სხვა აღწერილობაც, უფრო გვიანი ხანისა. სვანეთში ასული თითქმის ყველა სახელმწიფო მოხელე, სასულიერო პირი, მკვლევარი და მოგზაური აუცილებლად სტუმრობდა თავად დადეშქელიანებს და ხშირ შემთხვევაში იქაურობის აღწერილობასაც გვიტოვებდა **(გაბრიელ ეპისკოპოსი, ალექსი სტოიანოვი, მაქსიმ კოვალევსკი, გრაფინია პრასკოვია უვაროვა, ნიკო მარი, ექვთიმე თაყაიშვილი..)**. შესაბამისად, მოგვეპოვება რეზიდენციაში დროთა ვითარებაში მომხდარი ცვლილებების ამსახველი მასალაც. ეს ინფორმაცია საყურადღებოა არა მარტო რეზიდენციის ისტორიის დინამიკის წარმოჩენისათვის, **არამედ სოციუმზე დადეშქელიანთა კულტურული და სოციალური გავლენისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სურათების რეკონსტრუირებისათვის.**

ერთ-ერთი პირველი აღწერილობა დაგვიტოვა **წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსმა.** ცნობილია, რომ მან სვანეთში ორჯერ იმოგზაურა. პირველი მოგზაურობის (1864 წელი) დროს დადეშქელიანები გალავანს გარეთ აშენებდნენ საზაფხულო სახლს, იმერული ტიპის ოდას. „მიველით საღამოს ეცერში. შუაში დგას კოშკი, ყველაზე მაღალი სვანეთში. საოცარია, რომ ახალი თავადი გამოირჩევა ასეთი მორიდებული ხასიათით... თენგიზი და მისი მეუღლე, აფხაზეთის თავადთა საგვარეულოდან, არიან მორწმუნენი, ზნეობრივნი... თენგიზის ცოლი და შვილები ამ დრს ცხოვრობდნენ სხვა სოფელში – ცხომარეთში...[25] კეთილმა მეუღლეებმა დიდი სიყვარულით მიგვიღეს. ძველი სტუმართმოყვარული ტრადიციის თანახმად, თვითონ თენგიზი და მისი ძმა ფეხზე იდგნენ და გვემსახურებოდნენ. მას ძვირად უჯდება თავისი გვარის სიძველე და მნიშვნელობა. ადათი აიძულებს მას განაგრძოს თავის გვარის მნიშვნელობის ჩვენება – დიდძალი სტუმრის მიღება, გამასპინძლება და დასაჩუქრება. ყოველდღიურად მისი სტუმრები მიირთმევენ მთელ ძროხას, რამდენიმე ცხვარს. ამიტომაც თენგიზი ღარიბი მემამულეა“.[26] ხოლო მეორე მოგზაურ-

[24] მღ. მჭედლიძე. წერილი სვანეთიდგან. გაზ.: „დროება“. №66. 1869.

[25] იგულისხმება ცხუმარი, სადაც დასახლდა თენგიზის ძმა ბექირბი.

[26] Православие на Кавказе. Обозрение сванетских приходов. Из записок преосвященного Гавриила, епископа имеретинского. Православное обозрение. т. XXII. М. 1867.

ობის დროს (1873) ბარშის ახალი სახლი უკვე აგებული ყოფილა და თენგიზი ოჯახთან ერთად ბარშში ცხოვრობდა.[27]

გვაქვს შემდგომი პერიოდის ინფორმაციაც, საიდანაც ვიგებთ, რომ თავად თენგიზს მეორე ოდაც აუგია, რადგან დიდძალი სტუმრიანობის გამო მეორე ოდის საჭიროებაც წარმოქმნილა. ალექსი სტოიანოვის მოგზაურობის მასალებიდან ყურადღებას იპყრობს თავად დადეშქელიანთა და გლეხთა გასაკვირად გულთბილი ურთიერთობა. ალექსი სტოიანოვი ქუთაისის გიმნაზიის მასწავლებელი იყო და სვანეთს ესტუმრა თავის მოწაფესთან ერთად, რომელიც თავად თენგიზ დადეშქელიანის შვილი გახლდათ. სოფელ ბარშში შესვლისას მათ მთელი სოფელი გამოეგება, ქალიც, კაციც, მოხუცებიც, ახალგაზრდებიც. სტოიანოვი აღწერს: „სოფელში შევედით ცოცხალი ხეივნის გავლით. ეს ერთგვარი ხეივანი წარმოქმნეს ადგილობრივებმა, რომელთაც შეუტყვიათ, რომ თენგიზის შვილი მოდიოდა და მას ეგებებოდნენ. საწყალი ყმაწვილი იძულებული იყო ყველა შემხვედრს გდახვეოდა და გადეკოცნა ყოველი მათგანი. განსაკუთრებით დამღლელნი მოხუცი ქალები იყვნენ, რომლებიც ხანგრძლივად ლოცავდნენ ყმაწვილს“.[28] სტოიანოვი აღწერს ორ სასტუმრო სახლს, ერთს, უკეთ, ხოლო მეორეს შედარებით ღარიბულად მოწყობილს, რომელშიც დაბალი სოციალური წრის წარმომდგენლებს აბინავებდნენ, აგრეთვე, მოსოსტრ დადეშქელიანის ახალ სახლს. თავისუფლად დარჩენილი სივრცის შესახებ კი წერს, რომ აქ თავადი თენგიზი დიდი სახლის ჩადგამს გეგმავსო. სტოიანოვი ადის კოშკზეც და აგვიწერს მის აგებულებსა, სართულების დანიშნულებას, ისტორიას.[29]

სხვა მასალით ვიცით, რომ თანდათანობით ტრადიციად ჩამოყალიბებულა სასტუმრო ოდის კედლებზე სტუმართა მიერ ავტოგრაფების ამოკვეთა ან წარწერების შესრულება.[30]

ბარშისა და რეზიდენციის საუცხოო აღწერილობას გვაწვდის მღვდელი პოლიევქტოს კარბელაშვილი, რომელმაც 1903 წელს იმოგზაურა სვანეთში. მღვდელ პოლიევქტოსის მასალა მრავალმხრივ მნიშვნელოვანია, რადგან ავტორი დეტალურ ინფორმაციას გვიტოვებს როგორც ძველი ციხე-კომპლექსის,

[27] Отчет общества восстановления православного христианства на Кавказе за 1873 год. Тиф. 1875.

[28] А. И. Стоянов. Путешествие по Сванетии. ЗКОИРГО. Кн. X. Вып. 2. Тиф. 1876, გვ. 302.

[29] А. И. Стоянов. Путешествие по Сванетии, გვ. 304-305.

[30] Н. Я. Марр. Из поездок в Сванию (летом 1911-1912 гг.). «Христианский Восток». т. II. вып. 2. СПб. 1913.

ასევე, მის დასავლეთით აშენებული ახალი სახლისა და კარ-მიდამოს შესახებ: „შევუდექით ხიფათიანს მთის ბილიკებსა. დაბინდდა. ბილიკი გაბმით მშვენიერ თხილნარზედ მიდიოდა. 10 საათზე **ეწერის**[31] საზოგადოებასაც მივახწიეთ. ჩრდილოეთის მხრივ შორიდგან გამოჩნდა დიდი სინათლე და ჩვენც იქით მივეშურებოდით".[32] იგულისხმება ეცერის თემის სოფელ ბარშში არსებული დადეშქელიანების რეზიდენცია. მოგზაურები სწორედ თათარყან დადეშქელიანის სტუმრები იყვნენ. საგულისხმოა, რომ ბარშიდან დანახული ეცერის სანახები მხატვრულად და ექსპრესიულადაა აღწერილი: „მეორე დილით რომ ავდექით და გავიხედ-გამოვიხედეთ: აღმოსავლეთით მშვენიერი სერი დაშვებულა, დასავლეთით უფრო მაღლობი საძოვრიანი მთა აწოლილა, ჩრდილოეთით ტყიანი უღელტეხილია კავკასიის უმთავრეს ქედისაკენ. სამხრეთით ვრცელ ფერდობზედ მოფენილია ეწერის საზოგადოების სოფლები, რომელთა დაბლა ღრმა ხევში მოღლიალებს ენგური. გაღმა კი ამართულა ტყიანი მთა... ჩვენს გარშემო ვრცელი ეზო ახლად აბიბინებულიყო ხასხასა მწვანით. ეზოს საშუალს დგას ჩვენის გულ-უხვის მასპინძლის ორ-სართულიანი სახლი – დაბლა ქვითკირისა, მაღლა – ფიცრული, ყავრით გადახურული. აღმოსავლეთის მხრივ გადგმული აქვს თითქმის ოცი ადლის სიგრძე და განიერი აივანი. სახლის გასწვრივ სამხრეთ-აღმოსავლეთით, ასე ოც საჟენზედ უზარმაზარი იფნის ხეა ამართული. იფნის ძირზედ დაყუდებულია ერთიანის ქვისაგან გამოქანდაკებული სახელოვანის ოთარ დადეშქელიანის სახე (XVII საუკუნის დამდეგს). ამ იფნის ჩრდილში გატარებული დრო ყველას სამახსოვროდ დარჩება. სახლს უკან გამოჩუხჩუხებს ანაკარა, მთის საწისქვილო წყალი და სიგრილის სიოს ჰფენს მთელს ეზოს ... აივანზე რომ გავიარ-გამოვიარეთ, მთელის სახლის კედელი და სხვა წარწერებით მოფენილი აღმოჩნდა: ინგლისელი ფრეშფილდი, გერმანელი, შვეიცარელი, რუსი, სხვა... ეზოს აღმოსავლეთით გზა ჩაუდის და გზას იქით ამართულია ძველი ციხე-დარბაზი დადეშქელიანებისა. დიდი მაღალი ციხე თითქოს დაღონებული დაჰყურებს ეწერის საზოგადოებას და წარსულ სისხლის წვიმების დროთა დაუნდობლობას არ ივიწყებს. ციხეს გარს ავლია ქვითკირის მაგარი გალავანი, ასე შვიდი ადლის სიმაღლე".[33] მღვდელმა პოლიევქტოსმა

[31] იგულისხმება „ეცერი".

[32] მღვდელი პოლიევქტოს კარბელაშვილი. სვანეთში ორი კვირით. გაზ.: „ივერია". №163, 18 ივლისი. 1904 წელი.

[33] მღვდელი პოლიევქტოს კარბელაშვილი. სვანეთში ორი კვირით. გაზ.: „ივერია". №258. 11 ნოემბერი. 1904 წელი.

აღწერა დადეშქელიანთა სახლში არსებული სიძველებიც: „ამ ოჯახშივე დაცულია ძველი დიდი ხის სკივრი, მშვენიერი ჩუქურთმებით აჭრელებული. უწინდელი ძვირფასი იარაღი ხომ მრავლად არის სათუთად ინახავენ“.[34]

მღვდელ პოლიექტოსის მიერ აღწერილი ოდები არ შემორჩენილა. სასტუმრო სახლები და თვით გალავანს შიგნით არსებული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების ნაწილი, როგორც ზემოთ ითქვა, დაინგრა 1917 წელს (ან 1918 წელს). ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ სვანეთში არსებული ქაოსის დროს სოციალ-დემოკრატთაგან შეგულიანებული ეცერის გლეხები „შეესიენ შენობებს და დაანგრიეს. კოშკით გამაგრებული მაღალგალავნიანი და რკინით მოსალტული, მუხის კარებიანი საფეოდალო ფუძე, ქვითკირის სახლის დირეები ციდაციდა სიგრძეზე დაჭრეს და ნაჭრები ოჯახებში გაანაწილეს; ერთი წილი მასწავლებლებსაც არგუნეს, რომ, ვინიცობაა, დრო შებრუნებულიყო, ყველა ყოფილიყო ხვედრის თანამოზიარე“.[35]

არსებული საისტორიო წყაროების შეჯერებისა და ადგილზე ჩატარებული ხანგრძლივი კვლევის შედეგად ეთნოლოგმა და არქიტექტორმა **ანზორ ქალდანმა შექმნა რეზიდენციის რეკონსტრუქციის პროექტი,** რომლის ძირითადი არსი ასეთია: გალავანის მაღალ კედლებს შიგნით მოქცეული ტერიტორია მოიცავს დაახლოებით 1400 მეტრს. გალავნის კედლები რამდენიმე ადგილას საცხოვრებელი და დამხმარე ნაგებობების კედლებადაც არის გამოყენებული. გალავანს დატანილი ჰქონდა ორი კარი: დიდი კარი, ალაყაფის კარი და პატარა კარი – სამეურნეო დანიშნულებისათვის. ეს პატარა კარი რეზიდენციას მდ. კედრულაზე გამართულ წისქვილთან აკავშირებდა. ციხე-დარბაზის ეზოს სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი ძირითადად სამეურნეო ფუნქციის მქონე ყოფილა (წისქვილი, კალო, არყის სახდელი, საშეშე ფარდულები...). შიდა ეზოში განლაგებული იყო საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები. მათგან უძველესად მიჩნეულია განსაკუთრებით დიდი გაბარიტების მქონე ორსართულიანი ქვის სახლი. დღეისათვის ამ სახლის საძირკვლებიღაა შემორჩენილი. მისი პირველი სართულის ფართობი 164 კვ. მეტრს შეადგენს. ეს სახლიც XX საუკუნის დასაწყისიდან ინგრევა. ამ სახლის ფართობი ძირითადად შინამოსამსახურეებზე ყოფილა გადანაწილებული. სახლის ოთხსავე კედელს თაღებიანი საბრძოლო პარაპეტი აგვირგვინებდა. ამ სახლის სამხრეთის კედელზე მიდგმული იყო მე-

[34] მღვდელი პოლიექტოს კარბელაშვილი. სვანეთში ორი კვირით. გაზ.: „ივერია“. №268. 23 ნოემბერი. 1904 წელი.

[35] ა. დავითიანი. განაზლებული სვანეთი. ჟურნ.: „მნათობი“. №11. თბ. 1957.

ორე ქვის სახლი: ესეც ორსართულიანი. პირველი სართული საქონლის სადგომი ყოფილა, მეორე კი – მუშახელის საცხოვრებლად განკუთვნილი. ალაყაფის კარის ახლოს იდგა მესამე ორსართულიანი ქვის სახლი. ამ სახლის მეორე სართულის ფუნქცია ალაყაფის კარის დაცვა იყო. ციხე-დარბაზის სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან დგას მეოთხე ქვის სახლი. ამ სახლის პირველი სართული საქონლის სადგომი ყოფილა, მეორე – კი თავდაცვით და სამეურნეო მიზნებს ემსახურებოდა. რეზიდენციის ყველაზე შემაღლებულ ადგილზე კოშკია აღმართული. ეს კოშკი ყველაზე მაღალია მთელ სავნეთში. დაახლოებით 30 მეტრია. ხუთსართულიანია. საძირკველთან მისი ზომებია 6,60 × 6,55 მ. პირველი სართულის სათავსი მიწიდან 8,40 მეტრ სიმაღლეზეა. ამ სიმაღლემდე კოსში მთლიანია. კოშკი ენტაზისიანია. მისი ტანი სიმაღლის ერთ მესამედამდე სწორად ადის, შემდგომ კი თანდათან ვიწროვდება. კოშკს თაღებიანი პარაპეტი აგვირგვინებს, საიდანაც საკმაოდ შორ მანძილის გაკონტროლება შეიძლებოდა. კოშკის ჩრდილოეთის კედელზე მიდგმულია ორსართულიანი ნაგებობა, რომლის პირველი სართული კოშკის აღმოსავლეთით მდებარე ორსართულიანი სახლის პირველი სართულის სათავსში შესასვლელ დერეფანს წარმოადგენდა. სარდაფში მარცვლეულის შესანახი უზარმაზარი კიდობნები მდგარა. სარდაფის ნაწილი კი მარანი ყოფილა. დერეფნის მეორე სართულის სათავსიდან კოშკის აღმოსავლეთით აგებული სახლის მეორე სართულის სათავსში შედიოდნენ, სადაც დადეშქელიანების ოჯახი ცხოვრობდა. აქედან კოშკში გადასასვლელი დაკიდული აივანი იყო მოწყობილი. ციხე-დარბაზის აღმოსავლეთის კედელთან ორი მომცრო ზომის სახლი მდგარა: ეს სახლები საქონლის სადგომად და საქონლის საკვების შესანახად გამოიყენებოდა. სასმელი და სამეურნეო წყალი გალავანს შიგნით ყოფილა შემოყვანილი მდინარე კედრულადან, იქვე ყოფილა გამართული წისქვილი. მკვლევარის დაკვირვებით, კოშკი და მთლიანი რეზიდენცია გარდა ყველაზე დიდი ზომის სახლისა, XV საუკუნის მეორე ნახევარსა და XVI საუკუნეში უნდა აშენებულიყო.[36]

დღეისათვის დადეშქელიანთა სამთავრო ციხე-კომპლექსი განადგურების პირასაა, უკიდურესად მძიმე მდგომარეობაშია. მართალია, ძეგლს ოფიციალურად იცავს სახელმწიფო, მაგრამ ციხე-დარბაზის თანამედროვე მდგომარეობა მოითხოვს გადაუდებელ დახმარებას. XX საუკუნის 80-იან წლებში კოშკს ჩაუტარდა გამაგრებითი სამუშაოები, შემოავლეს რკინის სალტე, გადახურეს,

[36] ა. ქალდანი. დადეშქელიანების ციხე-დარბაზი სოფელ ბარშში, გვ. 55-59.

აღადგინეს სართულები. მაგრამ გავიდა ათწლეულები და კოშკის სახურავი კვლავ ჩაიქცა, ინგრეოდა ქონგურები. რამდენიმე წლის წინ ადგილობრივი ძალებით კოშკი კვლავ გადაიხურა, თუმცა კოშკის ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის კედლებზე ღრმა ბზარებია გაჩენილი, ინგრევა დამხმარე და საცხოვრებელი ნაგებობების შემორჩენილი ნაშთები. თვალსა და ხელს შუანადგურდება გალავანი. ძეგლის ტერიტორიაზე შეჭრილია უცხო, კერძო ნაგებობები და ამით ძეგლის სტატუსი დარღვეულია.

ეცერის დადეშქელიანთა კომპლექსის გადარჩენა ბევრი საინტერესო პერსპექტივის გაჩენის იმედს იძლევა: ქართული კულტურული მემკვიდრეობის ამ უნიკალური ძეგლის კონსერვაციის ან ნაწილობრივი რესტავრაციის შემთხვევაში ეს ადგილი გადაიქცევა მნიშვნელოვან მუზეუმად – ღია ცის ქვეშ არსებულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ცენტრად. ამ ძეგლს და მის გარშემო მოწესრიგებულ ინფრასტრუქტურას აქვს რეალური პოტენციალი, ჩამოყალიბდეს კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრად, რომელსაც ექნება შემეცნებითი დანიშნულება და გახდება ახალგაზრდობისა და ქართული კულტურით დაინტერესებული მეცნიერებისა და მოგზაურების დაინტერესების ობიექტი. ყოველივე ეს, ცხადია, უმნიშვნელოვანესია კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენის თვალსაზრისით და ასევე, პრესპექტიულია ადგილობრივი სოციალური გარემოს გაუმჯობესებისა და მოსახლეობის ადგილზე დმაგრების მხრივაც.

პროექტის შექმნა და შესრულება რეალურია: არსებობს მდიდარი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალა ამ ძეგლის ისტორიისა და აქ მოღვაწე თავად დადეშქელიანების გარშემო. არსებობს ძეგლის სამეცნიერო ანაზომები და დიაგნოსტიკა, რომელიც გარკვეული დროის გასვლის გამო მოითხოვს განახლებას. ამ მასალის სრულად მოძიებისა და გაანალიზების შედეგად შესაძლებელია ძეგლის ისტორიული სახის მომცველი ინფორმაციული პროექტის შედგენა და დაიტერესებული საზოგადოებისათვის წარდგენა.

ამ რეზიდენციას ბევრი ისტორიული ფაქტი უკავშირდება. საბჭოთა პერიოდში თავად დადეშქელიანთა ცხოვრება და საქმიანობა, ძირითადად, მკვეთრად უარყოფითად ფასდებოდა. რეალობა კი სხვაგვარი კვლევის საშუალებასაც გვაძლევს, მაგალითად, ცნობილია, რომ თავად თათარყანის უშუალო მცდელობით და კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების მისიონერ-ინსპექტორის მამინაიშვილის აქტიური მონაწილეობით 1899 წელს ეცერში სკოლა გახსნილა. ერთი წლის მანძილზე სკოლა განთავსებული ყოფილა თავად მოსოსტრ დადეშქელიანის სახლში, მომდევნო წელს კი სკო-

ლისათვის ადგილი გამოუყვია სვანეთის სკოლების საპატიო მზრუნველს თავად თათარყან დადეშქელიანს. სკოლის დაარსების პირველსავე წელს შეკრებილ მოსწავლეთა შედარებითმა სიმრავლემ აფიქრებინა სკოლის მესვეურებს, გადაეკეთებინათ იგი ორკლასიან სასწავლებლად.[37] თათარყან, ლევან, მოსოსტრ დადეშქელიანები მხარში ედგნენ ილია ჭავჭავაძის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და, ცნობილია, რომ სვანეთში რუსიფიკაციის წინააღმდეგ გადადგმულ საპროტესტო გამოსვლებში დადეშქელიანებს დიდი წვლილი მიუძღოდათ. მაგალითად, ადგილობრივი მოსახლეობის დიდ უკმაყოფილებას იწვევდა რუსიფიკატორული პოლიტიკა – სკოლებიდან ქართული ენის განდევნა. ამ საკითხზე უმსჯელიათ ლეჩხუმის მაზრის თავად-აზნაურთა კრებაზეც, რომელსაც გადაწყვეტილება თავად ლევან ბექირბის ძე დადეშქელიანის თხოვნით მიუღია, რათა მომავალ საგუბერნიო კრებაზე „შუამდგომლობა აღიძრას იმის შესახებ, რომ სვანეთში არ მოისპოს პირველდასაწყის სკოლებში ქართული ენა“.[38] თავადი თათარყანი იყო ახლო მეგობარი ექვთიმე თაყაიშვილისა. მას სამეცნიერო წერილიც კი აქვს გამოქვეყნებული.[39] დადეშქელიანები ქმნიდნენ ადგილობრივ კულტურულ-განმანათლებლურ სივრცეს, ისინი აცნობდნენ მოგზაურებს, მოხელეებს, სასულიერო პირებს და მეცნიერებს სვანეთის ყოფას და კულტურას. მოსოსტრ დადეშქელიანი ერთ-ერთი ლიდერი იყო სვანეთის ანტისაბჭოთა აჯანყებისა და ა. შ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, აუცილებელია ამ ძვირფასი ისტორიული ძეგლის კონსერვაცია, სასურველია რეაბილიტაციაც, რადგან:

1. ნაგებობა დიდი ისტორიული ღირებულებისაა – ასახავს საქართველოს ისტორიის გრძელ მონაკვეთს – XV საუკუნიდან 1917 წლამდე.
2. ნაგებობა კომპლექსურია და მოიცავს კოშკს, საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობებს, შემოსაზღვრულია გალავნით.
3. მთელი XIX საუკუნის განმავლობაში და XX საუკუნის 20-იან წლებამდე სამთავრო რეზიდენცია წარმოადგენდა სვანეთში ასული მოგზაურების, ალპინისტების, მკვლევარ-მეცნიერებისა და სახელმწიფო მოხელეების თავშეყრის ადგილს, საიდანაც სტუმრები ეცნობოდნენ ადგილობრივ

[37] გაზ.: „ივერია“. №1267. 1888 წელი; გაზ.: „ცნობის ფურცელი“. №1588. 21 სექტემბერი. 1901 წელი.


[38] გაზ.: „ივერია“. №177. 10 აპრილი. 1903.

[39] თ. დადეშქელიანი. შენიშვნა შესახებ სიტყვისა „დასტაგისა“. კრ.: ძველი საქართველო. ტ. II. ტფ. 1913.

ქართულ კულტურას. შესაბამისად, მათ ჩანაწერებსა და სამეცნიერო კვლევებში დიდი ადგილი ეთმობა ამ ძეგლის აღწერილობასა და გარშემო არსებული ქართული ტრადიციული ყოფის ამა თუ იმ ელემენტს.

4. დადეშქელიანთა სამთავრო სახლი (XIX საუკუნის შუახანებამდე) მართავდა ზემო სვანეთის ვრცელ მონაკვეთს დაბა ჯვარის მიმდებარედ აღმართული საგუშაგო კოშკიდან ვიდრე ბალის ქედამდე. რუსეთის მიერ სვანეთის სამთავროს გაუქმების შემდეგ თავადი დადეშქელიანები ხდებიან სახელმწიფო მოხელეები და კვლავაც სვანეთის საზოგადოებრივი ცხოვრების ავანგარდში არიან მოქცეულნი. მათ შორის რამდენიმე მოღვაწე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. მათი სახელები დაკავშირებულია სვანეთში პირველი სკოლების გახსნასთან, ანტისაბჭოურ აჯანყებებთან და სხვა ეროვნულ-კულტურული მნიშვნელობის მოვლენებთან.




Ю. РЕНАРЬ.





Rozeta Gujejiani

DADESHKELIANI PRINCIPALITY RESIDENCE IN ETSERI – HISTORY AND CULTURAL-SOCIAL ASPECTS

Summary

Residence of the Dadeshkeliani family in the village Barshi of the Etseri community (the region of Mestia) is unique monument preserved in Svaneti – one of the historical-ethnographic regions of Georgia.

The building is unique and outstanding with various signs:

1. Only few residences are preserved in Georgia. Barshi castle is a rare exception.

2. The building is of great historical value – it represents a long period in the history of Georgia – from the 15th century up to 1917.

3. The building is complex and it involves a tower, dwelling and farming constructions. It is encircled with the fence of the castle. Within the entire 19th century and till the 20s of the 20th century this residence has been a gathering place for travellers, alpinists, researcher-scientists and state officials during their visits to Svaneti, from where the guests were familiarized with the local Georgian culture. Correspondingly, in their notes and scientific research a great place is attributed to the description of this monument and elements of the Georgian traditional life.

4. Dadeshkeliani family (till the mid-19th c.) governed a vast section of Zemo (Upper) Svaneti from the village Jvari watch-tower to the Bali ridge. After Russia abolished Svaneti principality, princes from Dadeshkeliani family became state officials. Some of them performed important role in the national liberation movement of Georgia. Their names are associated with the opening of the first schools in Svaneti and with some other important national-cultural events.

History: residence of the Dadeshkeliani family is located in the village Barshi of the Etseri community. It is situated at the end of the village, on the north-west side up on the hill. The residence included highly fenced vast area, which united the castle, dwelling and farming constructions. River Kedrula, which supplied the Etseri community with drinkable water, is located inside the fence.

The first description of these combined buildings known to us is published

in 1869 in "Droeba". The author of this letter is the priest of Etseri community, Mikheil Mchedlidze. According to his notes, the conditions of Dadeshkeliani family were equal to the conditions proper for the ancient kings and landlords; the castle was surrounded by the fence and various constructions were attached to the walls inside the fence. The main gates were decorated with the iron wings and the keys were handed to the devoted servant of the feudal lord. There were lots of embrasure holes disposed in several rows on the western wall of the castle.

There are some other later descriptions of the residence. Almost all of the state officials, priests, researchers and travellers visited Dadeshkeliani family during their trip to Svaneti and in most cases, they left their own descriptions of the area (bishop Gabrieli, Maksim Kovalevski, countess Praskovia Uvarova, Niko Marr, Akaki Shanidze). Correspondingly, we have the materials that describe the changes in the residence during some period of time. For example: it is known that during bishop Gabrieli's first trip to Svaneti, the Dadeshkeliani family was building the summer residence, Imeretian wooden house outside the fence. Further materials show us that prince Tengiz built the second guest house as well. According to some other materials, it slowly became a tradition for the guests to cut out their autographs and some other inscriptions on the walls of the guest-house. These guest-houses do not exist anymore. The houses and part of the dwelling and farming constructions inside the fence were destroyed in 1917. After the October Revolution, during the chaos in Svaneti, the peasants, incited by the social-democrats, destroyed the buildings. The feudal foundation decorated with iron, strengthened with the tower with oak doors, and the logs of the houses of lime were cut into length and distributed to families; part of them were given to the teachers so that everyone were participants of this crime.

The Main Essence of the Reconstruction Made by Anzor Kaldani:

The territory inside the tall walls of the fence is about 1400 square metres. The walls of the fence were used as the walls of the dwelling and auxiliary buildings. The fence had two doors: the bigger one was used as gates and the smaller door – for farming purpose. This door connected the residence with the mill on the river Kedrula.

The south-eastern part of the castle was mostly used for farming function (mill, threshing-floor, places for making vodka, stalls for firewood, etc.).

The dwelling and farming constructions were situated inside the yard. The big, two-storeyed stone house is considered to be the oldest building. This house is destroyed nowadays. The first-floor area is about 164 square metres. This house was destroyed at the beginning of the XX century. The house space

was distributed mainly among the servants. The walls of the house were decorated with the arched parapets.

The second two-storeyed stone house was attached to the southern wall of this house. The first floor was used as a dwelling for cattle and the second floor was used for workmen as a place for living.

There was the third two-storeyed stone house near the gates as well. The second function of this house was protecting the gates.

The fourth stone house is situated near the south-west corner of the gates. The first floor of this house was used for cattle and the second floor was used for defensive and farming purposes.

The five-storeyed tower located at the upper side of the residence, is the tallest tower in Svaneti. Its hight is about 30 metres. The size of it near the foundation is 6,60*6,55 metres. The receptacle of the first floor is 8,40 metres high from the ground. The body of the tower stays straight up to the third part of the whole building, then it narrows. The tower is crowned with arched parapet from which there was the apportunity to control quite a vast area.

The two-storeyed constraction is attached to the northern wall of the tower. The first floor was used as the corridor to the receptacle of the two-storeyed house situated at the eastern part of the tower. There were huge bins of cereals in the basement. Part of the basement was used for storing wine. The receptacle on the second floor was connected to the other basement situated on the second floor of the house at the eastern part of the tower. That was where Dadeshkeliani family lived. There was a balcony connected to the tower as well.

There were two small houses near the eastern wall of the castle: these houses were used for keeping cattle and their food.

The territory was supplied with drinkable and farming water from the river Kedrula; the mill was built there as well.

According to researchers, the tower and the whole residence, except the biggest house in the territory, must have been built in the second half of the 15th century or in the 16th century.

Problems: residence of the Dadeshkeliani family is in extremely poor condition at present. The state officially protects the monument, its present condition demands urgent assistance. Some reconstructive works were made in the 1980s – the tower was bordered with iron hoop, it was roofed as well and the storeys were reconstructed. But nowadays the situation is regrettable: the fence is falling down and is being damaged, there are some deep cracks on the northern and eastern walls of the tower, the remaining parts of dwellings and facilities are

being destructed. Some private buildings are cut into the territory of the monument, this fact violates its status.

Perspectives: In case of conservation or partial restoration of this unique monument of the Georgian culture, this place can become an important museum – an open air historical-ethnographic centre. This monument and the regulated infrastructure around it have real potential for being established as cultural-educational centre of comprehensive character and will become the object of interest for youth, scientists and travellers interested in Georgian culture. All this, surely, is of considerable importance from the viewpoint of saving the cultural heritage and is also prospective for improving the local social environment and for assisting the local population stay in their living-places.

Real Potentials: There are rich historical-ethnographic materials on the history of the monument and the representatives of the princely family of the Dadeshkeliani. There are also some scientific measurements and diagnostics of the monument, which require renewal. In the result of research for these materials and the full analysis, it is possible to compile informational project on the history of the monument and to present it to the interested public.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება.
შოთა მესხია – 100
თბილისი. 2016

Иа Джичонаия, Бежан Хорава

Завоевание Россией западного Кавказа и Абхазия

В августе 1859 года завершился один из важных этапов Русско-Кавказской войны (1763-1864): русскому командованию сдался предводитель национально-освободительной борьбы горцев Кавказа имам Шамиль. Россия завоевала Северо-Восточный Кавказ – Чечню и Дагестан. Сразу после завершения войны на Северо-Восточном Кавказе горцы убедились, что возобновление борьбы с Российской империей является бессмысленным и решили уклониться от неприемлемого для них вновь установленного колониального режима. Часть чеченцев и дагестанцев, а также небольшое число осетин, всего до 100 тысяч горцев переселились в Турцию.

После завоевания Россией Северо-Восточного Кавказа, борьбу против царизма продолжали горцы Западного Кавказа – многочисленные адыгские (черкесские) этнографические группы и абазинские общины. Поэтому русское командование перебросило сюда основные части 200-тысячной Кавказской армии. Александр II (1855-1881) требовал от командования скорейшего завершения *«Кавказской войны, которая затянулась на полвека и поглощала огромные средства»*. Быстрая победа в войне нужна была России, также, для восстановления в глазах Европы авторитета, поколебленного поражением в Крымской войне (1853-1856).[1]

Покорение Российской империей Северо-Восточного Кавказа и пленение Шамиля, большое влияние оказали на горцев Западного Кавказа. В ноябре 1859 года русским покорились абадзехи. Сдался один из руководителей борьбы западнокавказских горцев, предводитель абадзехов Мухаммед Эмин,[2] а в декабре 1859 г. умер один из предводителей горцев Запад-

[1] Р. А. Фадеев. Письма с Кавказа к редактору «Московских ведомостей». СПб. 1865, с. 58.
[2] Акты, собранные Кавказскою археографическою комиссиею (далее – АКАК). т. XII. ч. I. Тифлис. 1904. №705, с. 827-829.

ного Кавказа Сефер-бей Зан.[3] В январе 1860 года русским покорились и направились к Турции натухайцы, махошевцы, бесленеевцы.[4] Летом истёк срок, данный абазинским общинам на обдумывание, и башильбаевцы, баговцы, баракаевцы, кизилбековцы, тамовцы, часть шахгиреевцев в назначенное им время переселились в Турцию. Таким образом, обширный край между р. Белая и р. Лаба полностью очистился от горцев.[5]

В борьбе за завоевание Западного Кавказа русское командование большое значение придавало Абхазии. Для русского командования было очевидным, что пока они владели лишь прибрежной полосой в Абхазии, влияние России в этом крае не было бы прочным. В начале 1860 года русское командование обострило внимание на проведение дороги, связывающей Абхазского владетельного княжества с Северным Кавказом, что не только имело военное и административное значение, но было и важным средством для окончательного завоевания страны. Было решено, в первую очередь, провести вьючный путь от побережья Абхазии до Псху, абхазской общины в верховьях р. Бзыбь. Одновременно была осуществлена рекогносцировка путей, ведущих к перевалам Главного Кавказского хребта.[6] Русское влияние в Псху было незначительным. Псхувцы все также нападали на абхазские села, русские крепости, уводили пленных. Поэтому было решено провести экспедицию для того, чтобы не задерживать проведение пути и окончательно покорить Псху.[7]

В августе 1860 года командующий войсками в Абхазии генерал-майор Иосиф Корганов провел карательную экспедицию в Псху. В ней участвовало и 3 тысячное абхазское народное ополчение. Одновременно, русские военные корабли провели рейд на джикское и убыхское побережье и создали такое впечатление, будто собирались высадить десант. Целью этой операции было напугать джиков и убыхов и тем самым пресечь возможность их помощи псхувцам. Однако, псхувцам все же протянули руку помощи как прибрежные общины джиков, так и горные общины – Ахчипсы и Аибга. Несмотря на упорное сопротивление, псхувцы потерпели по-

[3] Б. К. Хорава. Черкесы. Тб. 2012, с. 69.
[4] АКАК. т. XII. ч. I. №723, с. 844; Т. Макаров. Племя адыгэ. III. «Кавказ». №31.1862.
სოციალურ მოვლენათაგან ყველაზე გადამწყვეტი ფაქტორი საზოგადოებისათვის – ენაა. ეს ფაქტორი იმდენად მნიშვნელოვანია მიხაკო წერეთლის აზრით, იმდენად ნათელი, რომ მასზე მსჯელობა, „მისი ჩათვლა განცალკევებულ სოციალურ მოვლენად არც კი არის საჭირო“. ამას მოსდევს კასკადი შედარებებისა, ადგილისა, როლისა, მნიშვნელობისა და სხვა თვისებათა აღნიშვნისა, რაც ენას ახასიათებს: ყოველ ენას თავისი განსაკუთრებული სახე აქვს; ენა არის საუკეთესო, უწმინდესი, შეუმწიკლელი თავისუფალი „კონტრაქტი“; ადამიანების განწყობილებათა გამოთქმის საუკეთესო და უმაღლესი საშუალება; ენით მყარდება ურთიერთობა სხვებთან, ენით ევედრება ადამიანი თავის იმედს – ღმერთებს; მღერის, იგონებს წარსულს, ადიდებს ძველ გმირებს; უმღერის სიყვარულს, ჰქმნის ისტორიას, აზროვნებს, სწავლობს, წერს; პირველ ყოვლისა კი ენა გამომხატველია ადამიანის საზოგადოებრიობისა, საზოგადოებისადმი მისი მიკუთვნებულობისა და უარმყოფელი მისი მარტოობისა. ზოგჯერ თეორიულ და მეცნიერულ მსჯელობას, ავტორისეული მეამბოხური თავისუფლებისმოყვარული ემოცია სძლევს ხოლმე: განა საკვირველია რომ „კაცი ამ ენისათვის კვდებოდეს, მტერს ზედ აკლავდეს თავსა გმირულად, თუ მას ამ ენას ართმევენ და სხვა ენით უნდათ ძალით აამეტყველონ“

ისევე როგორც არჩილ ჯორჯაძე, მიხაკო წერეთელიც იმხანად პოპულარული ლუდვიგ გუმპლოვიჩის თეორიას იზიარებს და ეყრდნობა. ამ თეორიის მიხედვით, ერის წარმოქმნის პროცესი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას უკავშირდება. სახელმწიფოს წარმოქმნა ხშირად ხდებოდა იქ და მაშინ, როდესაც ადამიანთა ერთი ჯგუფი, „ურდო“ მეორეს იპყრობდა ან მაშინ როცა ერთი ეთნიკური ჯგუფის ფარგლებში უმცირესობა გაბატონდებოდა უმრავლესობაზე და იქცეოდა კლასობრივი ბატონობის ორგანიზაციად. წერეთლის დასაბუთების მიხედვით, სახელმწიფო არის ან ერთი ეთნიკური ჯგუფის მეორეზე ბატონობის ორგანიზაცია, ან ერის ორგანიზაციის ფორმა,როდესაც ხალხი კოჰეზიის მაღალ ხარისხს აღწევს.

სახელმწიფო ცდილობდა სასტიკი ბრძოლის გზით, დამორჩილებული ეთნიკური ელემენტების ერთნაირ ორგანიზმად გარდაქმნას. ხან ისეც ხდებო-

და, რომ დამპყრობელი ეთნოჯგუფი, თვითონ იღებდა დაპყრობილი, მაგრამ უფრო განვითარებული ჯგუფის ენას, კულტურას. ამის შემდეგ მ. წერეთელი რამდენიმე მაგალითს მიმართავს, ძველი მსოფლიოს ისტორიიდან.

„ფაქტია, რომ არსებობდა ბერძენთა და ლათინთა ერები, რომელთაც ჰქონდათ თავიანთი წარმოშობის ისტორია სხვა რასათა და ენათა შერევისაგან“. არსებობდა ბერძენთა რესპუბლიკები, ხან ცალ-ცალკე და დამოუკიდებლად, ხან თავისუფალი კავშირით შეკრული; არსებობდა ძლიერი ბერძენთა სახელმწიფოც კი, რომელმაც მთელი მაშინდელი ქვეყანა დაიპყრო და სცდილობდა მის ელლინიზაციას“. მათ შეიმუშავეს ერთი ლიტერატურული ენა, ერთი სჯული, ერთი რასიული ტიპი, ერთი ზნე-ჩვეულება, შექმნეს „უმშვენიერესი ნაციონალური სული“ რომლის გამოხატულებაც იყო მათი ლიტერატურა, მეცნიერება, ხელოვნება და ფილოსოფია. „დიახ, ბერძნები წარმოადგენდნენ **ერს**, და უდიდეს ერსაც მთელს ისტორიაში...“.[6]

პირველ ქართველ სოციოლოგს ეჭვი არ ეპარება, რომ ასეთივე ისტორია ჰქონდა ძველ რომს. რომაელებმა დაიმორჩილეს არაერთი ხალხი, ქვეყნები. „ჟამთა ვითარებაში აქაც შემუშავდა ერთი ერი, საერთო ლათინური ენითა, განსაზღვრული სჯულითა, განსაზღვრული ზნე-ჩვეულებითა, ხასიათითა და ტიპითა, – და აგრეთვე უძლიერესი სახელმწიფო, რომელმაც აგრეთვე მთელი ქვეყანა დაიპყრო. რომიც იყო უძლიერესი ერი...“.[7] ასეთივე ერები არიან დღეს ფრანგები, ინგლისელები, გერმანელები, რუსები და სხვანი.

მიხაკო წერეთელი უამრავი ავტორის ნააზრევს იცნობს, იყენებს, ეთანხმება, იზიარებს, მაგრამ ის მწვავე კრიტიკოსიცაა და ავტორიტეტებს არ ცნობს. ის აღიარებს სახელმწიფოს დიდ როლს ერების ფორმირებაში, მაგრამ გვაფრთხილებს, რომ „აქედან ის დასკვნა სრულიადაც არ გამოდის, თითქოს სახელმწიფო შემქმნელი და ერთადერთი შემქმნელი ყოფილიყოს ერისა“. ერების ფორმირებაში თავის როლს ასრულებენ: აღებ-მიცემობის მუდმივი ეკონომიკური ურთიერთობანი; კულტურული გავლენები, საერთო რელიგიის შემუშავება პროპაგანდა, ქადაგება, ურთიერთკავშირი მტრის მოსაგერიებლად და სხვა მრავალი ფაქტორი, რომლებსაც რა თქმა უნდა ხელს უწყობდა სახელმწიფო და წარმართავდა“. რასაკვირველია სახელმწიფო ხელს უწყობდა ამ ერის ნაწილთა ურთიერთთან უფრო მჭიდრო კავშირის დამკვიდრებას. ხში-

[6] მ. წერეთელი. ერი და კაცობრიობა (სოციოლოგიური ანალიზი), გვ. 76.
[7] მ. წერეთელი. ერი და კაცობრიობა (სოციოლოგიური ანალიზი), გვ. 78.

რად, ...იგი ხელს უწყობდა ეროვნების შედგენას ძალით, სხვა რასის ნაწილთა ან სხვა ერის სრულიად ჩანთქმითა.," და ა. შ.

წერეთელი ცდილობს „ხალხი" გამოყოს, განაცალკევოს „ერისაგან" და მათ განსხვავებული მახასიათებლები მოუძებნოს. რასები, ტომები და ხალხები მისი მსჯელობით, სოციალური პროცესის ნაყოფნი არიან, ხოლო „ერი კი ხალხის სოციალური კოჰეზიის ნაყოფია". მაშ, მთავარი განმასხვავებელი ხალხსა და ერს შორის, წერეთლის მიხედვით, ადამიანთა ჯგუფის შეერთების, შეკრულობის, ერთობა-ერთიანობის ხარისხი ყოფილა. ხალხი – ადამიანთა გაერთიანების დაბალი ხარისხია, ხოლო – ერი, ერთობის მაღალი საფეხური. ხალხი არაა „მჭიდრო სოციალური ორგანიზმი, ხალხს შეუძლია და ცდილობს გარკვეულ პირობებში შექმნას „დიდი და რთული, ცოცხალი და მგრძნობიარე, შეგნებული და მოქმედი სოციალური ორგანიზმი – ერი".

პირველი ქართველი სოციოლოგი მიიჩნევს რომ ერი არაა ერთხელ და სამუდამოდ მოცემული და უცვლელი კატეგორია, რომელიც მუდამ არსებობდა ან ერთნაირი ფორმით მუდამ იარსებებს. ერი მუდმივ ცვლილებებს განიცდის და ის მომავალშიც ტრანსფორმაციას ექვემდებარება

მიხაკო წერეთელი გვთავაზობს ერის განსაზღვრებას: **„ერი არის ერთი სოციალური სუპერ-ორგანიზმი ანუ ჰიპერ-ორგანიზმი (ტარდის სიტყვით), შემდგარი ერთგვარ ანუ მრავალ-გვარ ეთნიურ და სოციალურ მასალისაგან, რომელსაც შეუძლია ჟამთა ვითარებაში შექმნას ერთი გარეგნულად მოწესრიგებული საერთო ცხოვრება თავის შემადგენელ ერთეულთა, ერთი საზოგადოება ყველა თავისი ორგანოებითა: ენითა, სარწმუნოებითა, მეცნიერებითა, ზნეობითა, ხელოვნებითა, სამართლითა და პოლიტიკითა, – საზოგადოება განსაკუთრებული ისტორიითა, ტიპითა და თვითშეგნებითა, სრულის ინდივიდუალობითა".**

იმის თქმას არ ვაპირებთ, რომ ერის წერეთლისეული განსაზღვრება ზუსტია ან ამომწურავი. ამისი პრეტენზია არც ავტორს ჰქონია და დანანებით აღნიშნავდა კიდეც, დღემდეო, „ერის ნამდვილი მეცნიერული განსაზღვრაც კი ძვირად მოიპოვება".

ამ სიტყვების დასადასტურებლად მიხაკო წერეთელს საილუსტრაციოდ მოჰყავს ერის ორი განსაზღვრება, რომლებიც ევროპელ ავტორებს ეკუთვნის. რამდენადაც წინამდებარე წერილი ერების წარმოშობის პრობლემას ეხება, მოვიყვანთ ამ განსაზღვრებებს, როგორც გარკვეულ ცდებს, ერის ადრეული დეფინიციისა. ერთი მათგანი ეკუთვნოდა ცნობილ ფრანგ ფილოსოფოს-პოზი-

ტივისტ ემილ ლიტტრეს: „ერი არის კრებული ადამიანთა, რომელნიც ერთ ტერიტორიაზედ სცხოვრობენ, რომელთაც შეიძლება ჰყავდეთ და არა ჰყავდეთ საკუთარი მთავრობა, რომელთაც იმდენად საერთო ინტერესები აქვთ, რომ შეიძლება იგინი ერთს რომელიმე რასას მივაკუთვნოთ“. იქვე: „ეროვნული პრინციპი ის არის, რომ ერთი რასის ნაწილი მიისწრაფის შეადგინოს პოლიტიკური ორგანიზმი“. (ე. ი. სახელმწიფო – დ. შ).

აქვე, მიხაკო წერეთელს მოჰყავს იმხანად ცნობილი სამართალმცოდნის ერნესტ ნისის მოსაზრება: ერი წარმოსდგა და განვითარდა თემისაგან, თემთა კავშირისაგან, რომელიც თანდათან იჭერდა განსაზღვრულ ტერიტორიას, – ამ სივრცეზე განვითარდა ეროვნული საზოგადოება. სახელმწიფო ერის იურიდიული „გაპიროვნებაა“.[8]

მიხაკო წერეთელმა პირველად ქართულ რეალობაში, შეისწავლა და მოკლედ გადმოსცა ერის შესახებ არსებული ევროპული სამეცნიერო და პოლიტიკური ლიტერატურა, ავტორები, მათ მიერ ფორმულირებული ერის განსაზღვრებები და ნიშან-თვისებები. იმის გამო, რომ თანამედროვე ქართველ ავტორთა აბსოლუტური უმრავლესობა, თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევს, უგულვებელყოფს ან უბრალოდ არ იცნობს XIX და XX საუკუნის დასაწყისის არც ევროპულ და არც ქართულ თეორიულ მემკვიდრეობას, საჭიროდ მიგვაჩნია, მოკლედ მაინც გადმოვცეთ მ. წერეთლის მიერ განხილული ევროპელ ავტორთა ნააზრევი, ერების შესახებ. ამ საკითხს მ. წერეთელი, თავის წიგნში ცალკე თავს უძღვნის, სათაურით: „ერის თეორიები“.

პირველი ევროპელი ავტორი, რომელმაც მ. წერეთლის აზრით, ერის თეორია ჩამოაყალიბა იტალიელი იურისტი და პუბლიცისტი პასკუალე სტანისლაო მანჩინი (1817-1888) გახლდათ. თავის ნაშრომში: „ერი, როგორც ერების უფლებათა საფუძველი“, მანჩინიმ ჩამოთვალა ერის მახასიათებლები: ტერიტორია, რასა, ენა, ზნე-ჩვეულება, ისტორია, „რელიგია, რომელიც ჰქმნის ერის ბუნებას“ და „ერთი უმთავრესი მოქმედი ელემენტი – თვით სული, რომელიც აცხოველებს ერის არსებას; ეს არის ეროვნული შეგნება, გრძნობა...“. ამგვარადო, განაგრძობს მ. წერეთელი, მანჩინის განსაზღვრებით: ერი არის „ადამიანთა ბუნებრივი საზოგადოება, რომელსაც აქვს ერთობა ტერიტორიისა, სისხლისა, ზნე-ჩვეულებათა, ენისა, – თანახმად მისი სიცოცხლისა და საზოგადოებრივ შეგნებისა“.

[8] მ. წერეთელი. ერი და კაცობრიობა (სოციოლოგიური ანალიზი), გვ. 162.

იმისათვის რომ შევამოკლოთ სათქმელი, მოკლედ გადმოვცემთ ავტორებს, მათ მიერ ჩამოთვლილ ერის მახასიათებელ ნიშან-თვისებებს და განსაზღვრებებს.

იოან კასპარ ბლუნჩლი (1808-1881), შვეიცარიელი იურისტი, ფუნდამენტური ნაშრომების ავტორი საერთაშორისო სამართლის სფეროში.[9] ეს ავტორი ერის წარმოშობის პროცესს აღწერს და ჩამოთვლის იმ «ძალებს", რომლებიც დროთა განმავლობაში ჰქმნიდნენ ერს: რჯული, ენა, ტერიტორია, ზნე-ჩვეულება, პოლიტიკა, საერთო სული – შეგნება. ბლუნჩლი განარჩევს ერთმანეთისაგან ხალხს და ერს: „ხალხია საერთო სულისა და საერთო შთამომავლობის შეგნების მქონე არსი, ხოლო ერი არის სახელმწიფოსაგან შეკავშირებული და მოწესრიგებული ხალხი. უსახელმწიფოდ არ არსებობს ერიო, დაასკვნის წერეთელი, რომელიც თავისი სიტყვებით გადმოგვცემს შვეიცარიელი იურისტის აზრს.

მ. წერეთელი ერის თეორიებს შორის „ერთ უმნიშვნელოვანესთაგანს" უწოდებს ფრანგი ფილოსოფოსისა და მეცნიერის ერნესტ რენანის მიერ ჩამოყალიბებულ კონცეფციას, რომელიც ამ უკანასკნელმა მოხსენების სახით წაიკითხა სორბონას უნივერსიტეტში, 1882 წლის 11 მარტს. მ. წერეთელი განიხილავს რენანის მიერ 1887 წელს გამოქვეყნებულ ოცგვერდიან წიგნაკს, რომელიც სორბონაში წაკითხული მოხსენების მცირედ გადამუშავებულ-დაზუსტებული ვარიანტია. რენანის განსაზღვრებით: „ერი ჩვენთვის არის სული, – სულიერი ოჯახი, რომელიც წარსულში ნაყოფია მოგონებათა მსხვერპლთა, სახელოვან საქმეთა, ხშირად საერთო გლოვათა, და საერთო სინანულთა, აწმყოში კი იგი ნაყოფია საერთო ცხოვრების განგრძობის სურვილისა, ერთისა და იმავე ეთნოგრაფიულ ჯგუფისადმი კუთვნილებისა; იგი მოგონებაა წარსულში დიდთა საქმეთა აღსრულებისა და სურვილი მომავალში კვლავ დიდთავე საქმეთა ჩადენისა".

მორიგი ავტორი – ტარდი, ორგანიცისტული მიმართულების წარმომადგენელია. მას შედარებით მეტ ადგილს უთმობს მ. წერეთელი, მაგრამ ჩვენ ტარდის მიერ ჩამოთვლილი ერის მახასიათებლები უფრო გვაინტერესებს. ტარდის აზრით, „ეროვნული ჯგუფები" ძნელად განისაზღვრება, „მაგრამ იგულისხმებს ორიგინალურ კომბინაციას სჯულისას, ენისას, სამართლისას, ზნე-ჩვეულებათა, – თუ შესაძლებელია ერთ ადგილზედ, ბუნებრივ საზღვართა შორის".

[9] https://ru.wikipedia.org/wiki/Блюнчли,_Иоанн_Каспар.

საერთოდ, წერეთელი თითქმის ყველა ზემოჩამოთვლილ ავტორს აკრიტიკებს და ბოლომდე არ ეთანხმება, თუმცა მათ მიერ წამოყენებულ ბევრ თეზისს იზიარებს. მათი დამსახურება ისაა რომ ყველა მათგანმა წვლილი შეიტანა ერის რაობისა და წარმოშობის გარემოებების დადგენაში და ესაა მთავარი. იგივე დამსახურება მიუძღვით ერის რაობის შესწავლაში, მ. წერეთლის მიერ დასახელებულ ორ სოციალ-დემოკრატ ავტორს – ოტო ბაუერს და რუდოლფ შპრინგერს. წერეთელი არ იზიარებს ავტორთა მარქსისტულ დებულებებს და მეთოდოლოგიას, განსაკუთრებით ეკონომიკური ფაქტორის გადამწყვეტი მნიშვნელობის თეზისს, ერის ჩამოყალიბების პროცესში.

წერეთელს არ მოსწონს ოტო ბაუერისეული ერის მინიატურული განსაზღვრება: „ერი არის კრებული ადამიანთა, რომელნიც შეკავშირებულნი არიან ხასიათის ერთობით ბედ-იღბლის ერთობის ნიადაგზედ“. მაგრამ ის სარწმუნოდ მიიჩნევს ბაუერის მიერ ჩამოთვლილ ერის ნიშან-თვისებებს: საერთო ტერიტორია, შთამომავლობა, ენა, ზნე-ჩვეულება, ისტორიული წარსული, საერთო კანონები, სარწმუნოება.

როგორც ჩანს, მიხაკო წერეთლის აღიარება ყველაზე მეტად, ცნობილი ავსტრიელი სოციალ-დემოკრატი თეორეტიკოსის რუდოლფ შპრინგერის განსაზღვრებას დაუმსახურებია, რადგან წერს ამ განსაზღვრების შესახებ – „დაახლოებით ნამდვილიაო“. ვნახოთ: „ერები არიან ეთნოლოგიური მხრით სუმმანი (ჯამნი – დ. შ) ინდივიდთა, ხშირად გამოურკვეველ რასიულ ტიპისა, სოციალური მხრით კი, – კრებული ინდივიდთა, რომელთაც აქვთ ჩვეულებრივად საერთო ენის წყალობით გრძნობისა და აზროვნების მსგავსება. იგინი განვითარების განსაზღვრულ საფეხურზედ გარდიქცევიან ხოლმე ერთის ნების მქონე საზოგადოებად და მიისწრაფიან ეროვნულ კულტურის დასაცველად შეჰქმნან პოლიტიკურად განკერძოებულნი და დამოუკიდებელნი ძალანი“.

ბაუერსა და შპრინგერს ფართო აღიარება ჰქონდათ ევროპაში და ევროპულ სოციალ-დემოკრატიაში. მათ კარგი თვალით უყურებდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატი-მენშევიკებიც. მაგრამ ორივე ევროპელი ავტორი მიუღებელი იყო ბოლშევიკებისათვის და ამიტომაც გახდნენ ორივენი იოსებ სტალინის მწვავე კრიტიკის საგანნი, თუმცა ამ საკითხს მომავალში შევეხებით.

მიხაკო წერეთელმა დაასაბუთა, რომ ევროპულ ინტელექტუალურ სივრცეში ეროვნულ პრობლემატიკას სერიოზული თეორიული მემკვიდრეობა გააჩნდა. იმ დროისათვის, როცა ქართველი სოციოლოგი თავის ნაშრომს წერდა, ევროპულ მეცნიერებას ჩამოყალიბებული და შემუშავებული ჰქონდა

ფუნდამენტური მიდგომები ერის რაობის, წარმოშობის, ფუნქციონირებისა და მახასიათებლების შესახებ. შექმნილი იყო თეორიული საფუძველი, რომელზეც მთელ შემდგომ პერიოდებში უნდა გაგრძელებულიყო სამეცნიერო კვლევა იმ ცვლილებათა და გამოწვევათა შესაბამისად, რომელიც ხდებოდა მსოფლიოში და იწვევდა ერების ბუნებრივ ტრანსფორმაციასაც.

ახლა უკვე, თეორიული საფუძვლის კრიტიკული გააზრებისა და გათვალისწინება-წარმოდგენის შემდეგ, მიხაკო წერეთელს შეეძლო თავისი ნაშრომის დასკვნითი ნაწილისა და მთავარი მიზნის ჩამოყალიბებაზე და დასაბუთებაზე ეზრუნა. ასეც მოიქცა – „ერისა და კაცობრიობის“ უკანასკნელ თავს ეწოდება – „ქართველი ერი“. ამ თავში სწორედ იმ პრობლემის შესახებაა საუბარი, რომელიც ჩვენ უშუალოდ გვაინტერესებს – როდის და რა პირობებში წარმოიშვა ქართველი ერი„ მიხაკო წერეთლის აზრით.

ავტორი აანალიზებს ჩვენი ქვეყნის სამიათასწლოვან ისტორიას და ისე გამოდის რომ მას ორ პერიოდად განიხილავს. პირველი პერიოდი – ქართველი ხალხის უძველესი წარსულია. ამ დროს ქართველთა წინაპარ თუ ქართველურ ტომებს უძველეს ცივილიზაციებთან ჰქონდათ კონტაქტი: ასურელებთან, ხეთებთან, ურარტუელებთან და სხვ. წერეთლისა და მაშინდელი მეცნიერების მონაცემებით, ქართველური ტომები უფრო სამხრეთით ცხოვრობდნენ და ძვ. წ. აღ-ით XI-V საუკუნეებში „ჩრდილოეთით და შავი ზღვის ნაპირებზე ამოუწევიათ“ და დაუკავებიათ თანამედროვე საქართველოს ტერიტორიები.

მაგრამ ის რაც ავტორს აინტერესებს – ქართველი ერის წარმოშობა, მისი აღიარებით, ამ პერიოდში არ მომხდარა, თუნდაც ერთი მიზეზის გამო – რადგან „არავითარი ნახსოვრობა არ არსებობს“ ანუ არ არსებობს სათანადო წყაროები, რომელიც დაადასტურებდა უძველესი დროის ქართველობის, ერისათვის დამახისიათებელ ნიშან-თვისებების არსებობას. წერეთლის აზრით, შეიძლება უძველეს ქართველებს ჰქონდათ „მთლიანი ეროვნული ცხოვრება“ და შეთანხმებულადაც მოქმედებდნენ, იქნებ საკუთარი მწერლობაც გააჩნდათ და ა. შ. მაგრამ „ჩვენ მაინც არ შეგვიძლია ამ ძველ წინაპართა ისტორია მივითვისოთ, არავითარი ნახსოვრობა არ არსებობს, გარდმოცემული იმ სოციალური ორგანიზმის მიერ ახალ საქართველოს სოციალურ ორგანიზმისადმი“.

ახალი ეტაპი, „ეს ახალი ორგანიზმი“ ანუ ქართველი ერის ჩამოყალიბების პროცესი, მიხაკო წერეთლის აზრით, ქრისტიანობის დამკვიდრების პერიოდიდან იწყება. ამ დროიდან წარმოიქმნება ახალი ქრისტიანული კულტურა, ქართულ ენაზე იქმნება მდიდარი ლიტერატურა, ერთიანდებიან ქართველური ტომები.

სწორედ ამ „საქრისტიანო ეპოქაში“ ყალიბდებოდა ქართველ ხალხში ერის მახასიათებელი ნიშან-თვისებები, რომელთა შესახებაც მ. წერეთელი ვრცლად მსჯელობს. ის ასახელებს ამ მახასიათებლებს, რომლებიც განსაკუთრებით გამოიკვეთა „საქრისტიანო ეპოქაში“: ჩვენ განვავითარეთ ქართული ენა; შევქმენით ორი საკუთარი ანბანი, ხუცური და მხედრული; მდიდარი საეკლესიო და საერო ლიტერატურა; ვეწაფებოდით უცხოურ ბერძნულ, სომხურ, არაბულ კულტურას, მეცნიერებას, ფილოსოფიას; ვავითარებდით საკუთარ ხელოვნებას, არქიტექტურას, მუსიკას; გვქონდა დამოუკიდებელი ეკლესია; რაც მთავარია გვქონდა სახელმწიფო – „ჩვენი სამეფო“ და ა. შ. რომლის შემდეგაც დაასკვნის პირველი ქართველი სოციოლოგი: „ჩვენ ერი ვიყავით, ერთი კონკრეტული სოციალური ორგანიზმი, ყველა ეროვნული ორგანოებით“.

„საქრისტიანო ეპოქაში“ მ. წერეთელი თავდაპირველად IV-XI საუკუნეებს გულისხმობს და ეს კონტექსტიდან გამომდინარეობს. მისი საერთო მსჯელობიდან ჩანს, რომ „საქრისტიანო ეპოქას“ ის წარმოიდგენდა სამ პერიოდად დაყოფილს. პირველი პერიოდი IV-XI საუკუნეები იყო, რომლის განმავლობაში ჩამოყალიბდა ძირითადად ქართველი ერი, ერისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით, მაგრამ სამწუხაროდ, მისივე სიტყვებით, „არასოდეს დაგვცლია ხანგრძლივი სახელმწიფოებრივი ცხოვრება“. ასე იყო ამ პერიოდშიც. არ დაგვკლებია ბერძენთა, სპარსთა, თურქთა, და არაბთა შემოსევები.

„ერისა და კაცობრიობის“ ავტორი რა თქმა უნდა განსაკუთრებულად აღნიშნავს საქართველოს ისტორიის „ოქროს ხანას“, რომელიც ასევე განსაკუთრებული აღმოჩნდა ქართველი ერის სრული ფორმირებისათვის. „ქვეყანას აჩვენა მაშინ საქართველომ, თუ როგორი ნიჭის პატრონი იყო მისი ერი და რა შეეძლო კულტურულად, როცა ბატონი არა ჰყავდა და თავისუფალ განვითარებას ეძლეოდა. მაშინ განვითარდა კოჰეზია ქართველი ერისა“. საქართველო პოლიტიკურად შეერთებული იყო, აგრეთვე კულტურულად იგი კიდევ უფრო ერთდებოდა, თუმცა მთელი მისი კულტურული განვითარება წინადაც ეროვნული იყო, და ყოველი მიმართულება მრავალმხრივი კულტურისა, წამბაძველობითი იყო თუ ორიგინალური, ერთ ეროვნულ კალაპოტში მიდიოდა და საერთო ქართულ ეროვნულ საუნჯედ ჩამოისხდა“.[10]

ცალკე გამოიყოფა XV-XVIII საუკუნეები, როცა სხვა უამრავ ფიზიკურ-მატერიალურ დანაკარგთან ერთად, სუსტდება და ქვეითდება ქართველი

[10] მ. წერეთელი. ერი და კაცობრიობა (სოციოლოგიური ანალიზი), გვ. 234.

ხალხის, როგორც ერის მახასიათებელი ნიშან-თვისებები. ამ გარემოებას ზუსტად ჩვენი ფორმულირებით არ აღნიშნავს მ. წერეთელი, მაგრამ ცხადია ამას გულისხმობს, როცა წერს, რომ საქართველო პოლიტიკურად დანაწილდა, დაქვეითდა კულტურა, შეირყვნა ენა, დაქვეითდა ზნეობა, სამართალი, მოკლედ „ყოველმხრივი დაქვეითება“ „გახრწნა და დაცემა“ დაიწყო და გაქრობა გვემუქრებოდა.

მიუხედავად ყველაფრისა, ვახტანგ მეექვსისა და ერეკლე მეორის ეპოქაში კვლავ დაიწყო აღმავლობის პროცესი, რაც მთავარია, საქართველოს ერთიანობის იდეა არ გამქრალა, ანუ მ. წერეთლის სიტყვებით: „საერთო მიმდინარეობაც კი არსებობდა საქართველოს პოლიტკურ ერთობის აღდგენისა“. სწორედ ამისკენ „მისწრაფების“ განხორციელებას ცდილობდნენ სოლომონ ლიონიძე და სხვა ქართველი პოლიტიკური მოღვაწენი. მიხაკო წერეთელი ამ ელემენტარულ საისტორიო ეპიზოდებს იმიტომ იხსენებდა, რათა თავისი სოციალ-დემოკრატი და სხვა ჯგურის ეროვნული ნიჰილისტებისათვის ჩაეგონებინა, რომ დაქსაქსულ საქართველოშიც კვლავ არსებობდა ერის მახასიათებლები, ქართველი ერი, როგორც მთლიანობის იდეა მოუშლელი იყო და ქართული პოლიტიკური ელიტის გონებას არ სტოვებდა.

მცირე ხნით კვლავ დავუბრუნდეთ წერეთლის მიერ ერნესტ რენანის ნააზრევის შეფასებას. ჩვეი ავტორი აღფრთოვანებულია ფრანგი ფილოსოფოსის „უკეთილშობილესი პროტესტით“ ერთი ერის მიერ მეორის დაჩაგვრის გამო და იმედს გამოთქვამს, რომ საერთაშორისო სამართალი ოდესმე გაიზიარებს რენანის მიერ წამოყენებულ პრინციპს და აღიარებს დაჩაგრული ერების უფლებას – იყვნენ თავისუფალნი.

მაგრამ ქართველი ავტორი მკაცრად აკრიტიკებს რენანის თვალსაზრისს, თითქოს ერები ახალი მოვლენა იყოს და ისინი მხოლოდ ბოლო საუკუნეებში გაჩნდნენ მსოფლიოში. „ამ აზრით, – მოახსენებდა ფრანგი მოაზროვნე 1882 წლის 11 მარტს სორბონას უნივერსიტეტში შეკრებილ საზოგადოებას, – ნაციები, ნაწილობრივ ახალი მოვლენაა ისტორიაში. ძველი სამყარო არ იცნობდა მათ. ეგვიპტე, ჩინეთი, ძველი ქალდეა სულაც არ იყვნენ ნაციები“.[11] მიხაკო წერეთელი არ ეწინააღმდეგებოდა რენანის ამ ფორმულას. მაგრამ როდესაც, როგორც იტყვიან, ფრანგმა ფილოსოფოსმა და ისტორიკოსმა,

[11] Э. Ренан. Что такое нация? Доклад, прочитанный в Сорбонне 11-го марта 1882 года. www.hrono.ru/statii/2006/renan_naci.php.

ნარეცხს ბავშვიც გადააყოლა და უნაციო ქვეყნებს ძველი საბერძნეთი და ძველი რომიც მიათვალა, ამან ქართველი ავტორის მწვავე კრიტიკა გამოიწვია: „რენანის აზრი, თითქოს ერი ახალი ცნება იყოს, თითქოს იგი ცნობილი არ იყო ძველ დროს, შემცდარია, რადგაანაც, მაგალითად, საბერძნეთი თავისი ენით, რასით, რელიგიით, ერთობ კულტურით – განსაკუთრებულ სოციალურ პიროვნებას წარმოადგენდა...“.[12]

ქართველი მეცნიერი კარგად ხვდება რენანის ჩანაფიქრს, რომ ძველი და ახალი დროის ნაციები ხარისხობრივად ბუნებრივია განსხვავდებოდნენ მაინც ერთმანეთისაგან. მაგრამ ეს არ ნიშნავდა რომ საკითხი ფრანგული რადიკალიზმის მანერით გადაწყვეტილიყო და ნაციების არსებობა უარყოფილიყო ძველ დროში.

ეს გარემოება გაითვალისწინა მიხაკო წერეთელმა და ქართულ სამეცნიერო ბრუნვაში შემოიტანა საინტერესო ტერმინი – „ისტორიული ერი“, „ისტორიული ერები“. სწორედ ამგვარ „ისტორიულ ერს“ უწოდებს მ. წერეთელი ქართველ ერს და აცხადებს: „ქართველი ერი ისტორიული ერია... იგი ისტორიული და კულტურული ერია... მან შექმნა უკვე საუკუნოდ დამკვიდრებული თავისებური სოციალური ორგანიზმი, შექმნა განსაზღვრული სამშობლო, რომელსაც საუკუნეთა განმავლობაში ვეტრფოდით და დღესაც გვიყვარს იგი. ქართველმა ხალხმა შექმნა თვით სახელი „საქართველო“...[13]

სხვათა შორის, ჩვენც დავამატებთ მიხაკო წერეთლის დასაბუთებას: თვით რენანიც მერყეობდა, თითქოს გრძნობდა რომ გადააჭარბა. ჯერ ერთი ძველ რომზე საუბრისას ის წერდა: „კლასიკურ ძველ სამყაროში იყო რესპუბლიკები მუნიციპალური სახელმწიფოები, ადგილობრივი რესპუბლიკების კონფედერაციები, იმპერიები, მაგრამ არ იყო ნაციები, იმ აზრით, როგორც ჩვენ ეს გვესმის“. და იქვე: „დაწყებული რომის იმპერიის დასასრულიდან, ან, უფრო სწორედ, კარლოს დიდის იმპერიის დაშლიდან, დასავლეთ ევროპა დაიყო, როგორც ჩანს, ნაციებად, რომლებიდანაც , ზოგიერთი მათგანი ცნობილ ეპოქებში ცდილობდნენ ხელთ ეგდოთ ჰეგემონობა სხვა ნაციებზე...“.[14]

დიახ, რა თქმა უნდა, ძველი საბერძნეთი, რომი, ან მით უფრო, შუა საუკუნეების ერები განსხვავდებოდნენ, ახალი და თანამედროვე ერებისაგან,

[12] მ. წერეთელი. ერი და კაცობრიობა (სოციოლოგიური ანალიზი), გვ. 210.
[13] მ. წერეთელი. ერი და კაცობრიობა (სოციოლოგიური ანალიზი), გვ. 226.
[14] Э. Ренан. Что такое нация? გვ. 90.

მაგრამ ისინი არსებობდნენ და მათ ჩვენ სავსებით სამართლიანად შეიძლება ვუწოდოთ მიხაკო წერეთლის მიერ ხმარებული ტერმინი – ისტორიული ერები, ისტორიული ნაციები.

სწორედ ამგვარ სტატუსს აკუთვნებდა შუა საუკუნეების ქართველ ერს, მიხაკო წერეთელი – ისტორიული ერი.

Dimitri Shvelidze

MIKHAKO TSERETELI ABOUT ORIGIN OF GEORGIAN NATION

Summary

The paper focuses on two issues: how did Mikhako Tsereteli understand the concept of nation and what he thought about origin of the Georgian nation. These issues are discussed and examined in his book: "Nation and Humanity" (Tbilisi, 1910). M. Tsereteli studied European theoretical heritage and based on it he elaborated his definition of nation – high level of cohesion with a common language, religion, customs, culture, law, history, self-identity, statehood or aspiration to it. Formation of the Georgian nation took place in the "era of Christendom" in the 4th-11th cc., and this process was completed in the "Golden Age" (12th-13th cc.).

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება.
შოთა მესხია – 100
თბილისი. 2016

კემალ გამახარია

წმინდა მღვდელმოწამე კირიონ III (II) (საძაგლიშვილი) 1908-1910 წლების გადასახლების პერიოდში

1908 წ. 28 მაისს დაუდგენელი პირების მიერ განხორციელებულ ტერორისტულ აქტს, როგორც ცნობილია, საქართველოს ეგზარქოს ნიკონის (სოფიისკი) სიცოცხლე ემსხვერპლა. მომხდარ ტრაგედიას იმპერიის მასშტაბით დიდი რეზონანსი მოჰყვა. მას იმპერატორი ნიკოლოზ II-ც გამოეხმაურა. მეფისნაცვალ ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვისთვის 1908 წ. 2 ივნისს გამოგზავნილ დეპეშაში იგი წერდა: *„ღრმად აღშფოთებული ვარ საქართველოს ეგზარქოს ნიკონის საზიზღარი მკვლელობით. დარწმუნებული ვარ, რომ კავკასიის კეთილმოაზროვნე მოსახლეობა ამ ბოროტმოქმედებით ისევეა დამწუხრებული, როგორც მე. მადლობას მოვახსენებ იმათ, ვინც თქვენ გეახლათ გულისწყრომის გამოსახატავად. ნიკოლოზი“*.[1]

ქართულმა საზოგადოებამ, მათ შორის სამღვდელოებამ, დაგმო განხორციელებული ტერორისტული აქტი, გამოხატა ღრმა მწუხარება და *„გულისწყრომა ამ საზიზღარი ბოროტმოქმედების ჩამდენთა მიმართ“*.[2] რუსეთის იმპერია კი ანტიქართულმა ისტერიამ მოიცვა. შავრაზმელები ეგზარქოს ნიკონის მკვლელობაში ავტოკეფალიის აღდგენისთვის მებრძოლ ქართულ სამღვდელოებას ადანაშაულებდა. უმაღლესი საერო და საეკლესიო ხელისუფლებაც იგივე პოზიციას იზიარებდა. ქართველი ავტოკეფალისტების მიერ ეგზარქოსის შესაძლო მკვლელობა იყო ის ერთადერთი ვერსია, რომელსაც თბილისის საოლქო სასამართლო პალატა, საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველო, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის თბილისის რაიონული გან-

[1] საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა). ფონდი. 13. აღწერა. 3. საქმე. 808. ფურც. 34.
[2] სცსა. ფ. 488. აღწ. 1. ს. 22737, ფურც. 27.

ყოფილება (ე. წ. „ოხრანკა“) და სხვა ორგანოები ამუშავებდნენ. ეგზარქოსის მკვლელობის საქმის გამოძიებით დაკავებული იყვნენ თბილისის საოლქო სასამართლო პალატის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი ი. გ. მალინოვსკი, თბილისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი პოლკოვნიკი ა. მ. ერიომინი, საოლქო სასამართლო პალატის პროკურორი ნ. პ. ფიოდოროვი. გამოძიების მიმდინარეობაზე საერთო ზედამხედველობას რუსეთის იუსტიციის მინისტრი ი. გ. შჩეგლოვიტოვი ახორციელებდა, რომელიც თანამდებობრივად გენერალ-პროკურორის ფუნქციასაც ითავსებდა.

ეგზარქოს ნიკონის მკვლელობის მესამე დღეს, 1908 წ. 1 ივნისს, საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის პროკურორმა გ. ნ. ლევიცკიმ უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორ ა. ა. შირინსკი-შიხმატოვს კანტორის საქმის წარმოების რევიზიის ჩატარების წინადადებით მიმართა. ახალმა ობერ-პროკურორმა პ. პ. იზვოლსკიმ, რომელიც ამ თანამდებობაზე 1908 წ. 27 ივლისს დაინიშნა, აღნიშნული წინადადება გაიზიარა და იმავე წლის 3 სექტემბერს იგი უწმინდეს სინოდს განსახილველად წარუდგინა. 1908 წ. 10 სექტემბერს სინოდმა მიიღო № 6111 გადაწყვეტილება *„საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორისა და საეგზარქოსო კანცელარიების საქმისწარმოების რევიზიის შესახებ“*.[3] ამ გადაწყვეტილების შესაბამისად, სარევიზიო კომისია უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორის კანცელარიის ვიცე-დირექტორის (1910 წლიდან – დირექტორის) ვ. იაცკევიჩის თავმჯდომარეობით თბილისში ჩამოვიდა. პეტერბურგიდან მოვლინებული რევიზიის ამოცანას, გარდა საქმისწარმოების შემოწმებისა, ეგზარქოსის მკვლელობის გარემოებათა შესწავლა, დანაშაულში ავტოკეფალური მოძრაობის ლიდერების შესაძლო მონაწილეობის დადგენა, საეგზარქოსოს რეორგანიზაციასთან დაკავშირებით წინადადებების შემუშავება და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები წარმოადგენდა.

სასამართლო გამოძიებისა და რევიზიის პარალელურად, საყოველთაო ანტიქართული ფსიქოზის ფონზე ქართული სამღვდელოების თვალსაჩინო წარმომადგენლებისა და საეგზარქოსო დაწესებულებების ჩინოვნიკთა დიდი ჯგუფის დევნა მიმდინარეობდა. მათ შორის იყვნენ იმჟამად უკვე პენსიაზე მყოფი ეპისკოპოსი კირიონი (საძაგლიშვილი), რომელიც ხარკოვის ეპარქიის კურიაჟის ფერისცვალების მონასტერში ცხოვრობდა, აგრეთვე საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის წევრი, იოანე ნათლისმცემლის მონასტრის

[3] Российский Государственный Исторический Архив (РГИА). ф. 796. оп. 189. д. 807, лл. 1-3.

წინამძღვარი არქიმანდრიტი ამბროსი (ხელაია), ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, სინოდალური კანტორის მდივანი სოფრომ მგალობლიშვილი (საარქივო დოკუმენტებში მგალობელოვის გვარით იხსენიება) და სხვები. აღნიშნული საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში ჯერ სათანადოდ არ გაშუქებულა, რის ერთადერთ მიზეზად შესაბამისი წყაროთმცოდნეობითი ბაზის უქონლობა უნდა დასახელდეს. ნაკლებად შესწავლილ საკითხთა წრეს მიეკუთვნება ეგზარქოს ნიკონის მკვლელობასთან შესაძლო კავშირში მთავარი ეჭვმიტანილის ეპისკოპოს კირიონის მიმართ განხორციელებული კონკრეტული სადამსჯელო ზომები, 1908-1910 წლებში მისი ცხოვრების ამსახველი მნიშვნელოვანი ეპიზოდები. ინტერესი კი აღნიშნული თემის მიმართ ჯერაც არ განელებულა, მათ შორის რუსეთშიც. ამაზე მიუთითებენ ბოლო წლებში განხორციელებული პუბლიკაციები, რომელთა ავტორები არიან ი. ე. მელნიკოვა, ვ. ვ. ოლევსკაია, მ. ხიჟი და სხვები.[4] ეგზარქოს ნიკონის მკვლელობასთან ეპისკოპოს კირიონის შესაძლო კავშირის გამო მისი გადასახლების თემამ ასახვა ჰპოვა ქართველი მღვდელმთავრისადმი მიძღვნილ ვრცელ წერილში, რომელიც *„პრავოსლავნაია ენციკლოპედიას“* XXXIV ტომშია მოთავსებული.[5]

სამწუხაროდ, ამ საკითხზე მომუშავე რუსი მეცნიერები ჯერ კიდევ სრულად ვერ განთავისუფლებულან XX საუკუნის დასაწყისში ეპისკოპოს კირიონის აშკარა მტრების, სხვადასხვა ჯგურის შავრაზმელების მიერ მის წინააღმდეგ შეთხზული და საზოგადოებისთვის თავსმოხვეული ცილისწამებების გავლენისაგან, რაც ისევ და ისევ წყაროთმცოდნეობითი ბაზის სიმწირით აიხსნება. იმავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეული ავტორების, განსაკუთრებით ი. მელნიკოვასა და ვ. ოლევსკაიას მითითებულ ნაშრომებში გამოყენებულია ადრე უცნობი წყაროები, რომლებიც შეიცავენ ახალ ინფორმაციას 1908-1910 წლებში ეპისკოპოს კირიონის გარშემო განვითარებული მოვლენებისა და სხვა საკითხების შესახებ.

[4] И. Е. Мельникова. К истории восстановления автокефалии Грузинской Церкви. XIX Богословная конференция ПСТГУ: Материалы. т. I. М. 2009, გვ. 398-404; И. Е. Мельникова, В. В. Олевская. Из истории пребывания епископа Кириона (Садзаглишвили) на покое в период 1908-1910 гг. Вестник ПСТГУ II: История. История Русской Православной Церкви. 2011. Вып. 6(43), გვ. 50-57; М. Л. Хижий. Из истории возрождения автокефалии Грузинской Православной Церкви в начале XX века (жизнь и смерть Экзарха Грузии, архиепископа Никона (Софийского). http://studentgpdu.cerkov.ru.

[5] Кирион III (II) (Садзаглишвили). Православная Энциклопедия. т. XXXIV. М. 2014, გვ. 726-728.

წინამდებარე სტატიის მიზანია საკვლევ თემაზე ისტორიოგრაფიაში არსებული ხარვეზების ნაწილობრივ გამოსწორება, რისი მიღწევაც სამეცნიერო მიმოქცევაში ახალი ისტორიული წყაროების შემოტანით ხდება შესაძლებელი. მხედველობაში გვაქვს რუსეთის სახელმწიფო ისტორიული არქივიდან (ქ. პეტერბურგი) ამასწინათ ასლების სახით ოფიციალურად მიღებული საარქივო საქმე შემდეგი სახელწოდებით: *„უწმინდესი სინოდის საქართველო-იმერეთის კანტორის რევიზიის შესახებ“*.[6] მასში თავმოყრილია ეგზარქოს ნიკონის მკვლელობასთან და ამ საქმის გამოძიებასთან დაკავშირებული დიდძალი დოკუმენტაცია. აღნიშნული საქმისა და თბილისში წარმოებული გამოძიების მასალები, სხვა წყაროებთან ერთად, შეიცავენ ადრე უცნობ მნიშვნელოვან ინფორმაციას 1908-1910 წლებში ეპისკოპოს კირიონის გადასახლებისა და დევნის შესახებაც.

ეგზარქოს ნიკონის დაღუპვის პირველი დღეებიდანვე რეაქციული გაზეთი *„გოლოს კავკაზა“*, რომელიც თბილისში გამოდიოდა, ტერორისტული აქტის ჩადენაში ავტოკეფალისტებს ადანაშაულებდა. *„ყველა მონაცემით,* – წერდა იგი, – *„ავტოკეფალისტები“ დღისით, მზისით კლავენ მღვდელმთავარს!... კლავენ მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლეს წარმომადგენელსა და მადლმოსილ იერარქს“*. მომხდარი ფაქტი გაზეთმა, არც მეტი, არც ნაკლები, რუსული სახელმწიფოებრიობის ყველაზე თავხედურ დამცირებად მიიჩნია და დასძინა: *„ათასწლოვანი არსებობის მანძილზე უფრო თავისმომჭრელი და სამარცხვინო დღეები რუს ხალხს არ განუცდია“*.[7] ვრცელდებოდა ხმები კონკრეტული „დამნაშავეების“ შესახებაც, რომელთა შორის, პირველ რიგში, ეპისკოპოსი კირიონი სახელდებოდა.

ყოველივე ამის შესახებ ქართველმა მღვდელმთავარმა პირველად იოსებ ჩიჯავაძის 1908 წ. 30 მაისის წერილიდან შეიტყო. მასში ვკითხულობთ: *„გუშინ გამოვიზავნე წერილი, რომელშიც დაწვრილებით გწერდი ეგზარქოს ნიკონის მოკვლის ამბავს. დღეს ვიყავ წირვაზე, ეპოსკოპოსი პეტრე იყო მწირველი, ძალიან დაღონებულია მოხუცი. ვიყავ პანაშვიდებზე და სინოდალურ კანტორაში კრება გვქონდა ქართულ სამღვდელოებას, იმასაც დავეს-*

[6] РГИА. ф. 796. оп. 189. д. 807, лл. 1-199. აღნიშნული საქმის მასალების ასლის მიღება შესაძლებელი გახდა ჭყონდიდელი მიტროპოლიტის პეტრეს (ცაავა), აგრეთვე ამ სტრიქონების ავტორის თანაკურსელის, მოსკოველი ჟურნალისტის ტატიანა ეროხინასა და რიაზანის ოლქის სახელმწიფო არქივის დირექტორის ტატიანა სინელნიკოვას ხელშეწყობით.

[7] «Голос Кавказа». 30 мая 1908 г.

წარ. დიდძალი ხალხი დადის პანაშვიდებზე. ჯერაც ვერ მიუგნიათ მკვლელებზე. სასტიკი ბრძანებები არის... ვაი ჩვენი ბრალი, რომ «Голос Кавказа» პირდაპირ აცხადებს, რომ «автокефалист»-ები არიან მკვლელებიო. ამ სიმართლით იარონ მაგ მოსისხლე მტრებმა. რა გაეწყობა თითქმის გვასმენენ. სხვათა შორის შენ, პეტრე ეპისკოპოსი, მე, კარბელაანთ (მძებს პოლიეევტ და ვასილ კარბელაშვილებს – **ჯ.გ.**) *და კიდევ სხვებს ასახელებენ... ამ სამ დღეში თითქმის 20 კაცი მოკლეს... აირია ყველაფერი, ძალი პატრონს ვეღარ სცნობს. ძნელი საცხოვრებელია საქართველო, ფრთხილად იყავ“.*[8]

ეგზარქოსის მკვლელობის შემდეგ შექმნილი ვითარება და ამ ფაქტისადმი ქართული სამღვდელოების დამოკიდებულება ნათლად ჩანს აგრეთვე იოსებ ჩიჯავაძის 1908 წ. 4 ივნისის წერილიდან კირიონისადმი: *„აი მეოთხე წერილს გწერ მას შემდეგ, რაც საწყალი ნიკონი მოკლეს. მკვლელები ჯერაც ვერ აღმოუჩენიათ. იმ შეჩვენებულებს მიწამ უყო პირი, წყალმა ჩაყლაპა, რა იქმნენ არავინ იცის... უგუნურ „გოლოს კავკაზას“ ჰგონია, რომ ავტოკეფალისტები მაგ სიმდაბლეს ჩაიდენდნენ, ან ხელს უწყობს ჩვენს საქმეს მაგნაირი საქმეები? ჩვენი საქმე შეფერხდა და სულ გაფუჭდა ნიკონის სიკვდილის შემდეგ“.*[9]

1908 წ. 21 ივნისს რიგით მეხუთე წერილში იოსებ ჩიჯავაძე ეპისკოპოს კირიონს ამცნობს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლის ი. მალინოვსკის მიერ მისი ოთხსაათიანი დაკითხვის შესახებ. *„დაწვრილებით მკითხა ავტოკეფალიის საქმე, კრებებისა, სამღვდელოების ცემისა* (1905 წლის 31 მაისს – **ჯ.გ.**), *ნიკოლოზის* (ეგზარქოსი – **ჯ.გ.**) *ჩამოსვლა, მითომ და ბოიკოტი, მერე ნიკონისა, კრებაზე 12-14 ოქტომბრისა* (1906 წლის – **ჯ.გ.**) *და ბოლოს დამოკიდებულებამდის ეგზარქოს ნიკონთან, – წერდა ი. ჩიჯავაძე, – ყველაფერი დაწვრილებით ვუამბე, რაც მოხდა. სხვათა შორის ვუთხარი, მომკვლელები ეგზარქოს ნიკონისა ჩვენი მტრები იყვნენ მეთქი, რადგანაც მოკვლით დაიმარხა და მოკვდა ავტოკეფალიის საქმე სამუდამოდ მეთქი. თუ აქამდის სიმპატია ჰქონდა ვისმეს საქართველოს ეკლესიაზე, ეხლა ყველა გზას აუხვევს მეთქი. მერე მკითხა შენ ჩამოსვლაზე შედარებით ცოტა. მე ვუთხარი, იმ კაცს აქვს მამული, ჩამოვიდა ნახა, ჩემთან ჩამოხტა როგორც მეგობართან, ნათლიასთან; ეგ ეჭვები იმის სპეტაკ პიროვნებას ვერ შე-*

[8] კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ხეც.). კირიონის ფონდი. ს. 1230.

[9] ხეც. კირიონის ფონდი. ს. 1231.

ეხება. ის სწავლული კაცია, ისტორიკოსი, მაგგვარი მდაბალი საქმეები არ შეჰფერის იმის არც კაცობას და არცა ხარისხს. – სად იყავით სიკვდილის დროსო. მე ვუთხარი, ეგ ზამენებზე – თავმჯდომარე“.[10]

ამრიგად, კურიაჟის მონასტერში მყოფი ეპისკოპოსი კირიონი ფლობდა საკმარის არაოფიციალურ ინფორმაციას ნიკონის საქმესთან დაკავშირებით მის მიმართ არსებული ცრუ ბრალდებების შესახებ. 1908 წ. 18 ივნისს კურიაჟის მონასტრიდან ნ. დურნოვოს თავადაც წერდა: *„აქაც არ მასვენებენ. 23 აპრილიდან გაუსვლელად აქ ვცხოვრობ, თბილისში კი ხმებს ავრცელებენ, თითქოს ეგ ზარქოს ნიკონის მკვლელობის დღეს მე იქ ვიმყოფებოდი“.*[11]

ოფიციალური ხელისუფლება მთლიანად იზიარებდა ნიკონის მკვლელობის მომზადებაში ავტოკეფალისტების მონაწილეობის ვერსიას. მათთვისაც მთავარი ეჭვმიტანილი ავტოკეფალისტთა ლიდერი ეპისკოპოსი კირიონი იყო. 1908 წ. 30 მაისს მეფისნაცვლის კანცელარიის უფროსმა ნ. პ. პეტერსონმა, პირადად მეფისნაცვალ ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვის დავალებით, თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსს ა. მ. ერიომინს აცნობა ეგზარქოსის მკვლელობის წინა დღეებში ეპისკოპოს კირიონის თბილისში შესაძლო ჩამოსვლის შესახებ და ამ საკითხის დამუშავება სთხოვა.[12] აღნიშნულ თემაზე 1908 წ. 7 ივნისს თბილისის გუბერნატორმა მ. ა. ლიუბიჩ-იარმოლოვიჩ-ლოზინა-ლოზინსკიმ ჟანდარმთა სამმართველოს უფროსს უაღრესად საინტერესო ინფორმაცია მიაწოდა. გუბერნატორი წერდა: *„ჩემს ამა წლის 1 ივნისის დეპეშაზე იმის თაობაზე, თუ როდის დაბრუნდა ეპისკოპოსი კირიონი კურიაჟის მონასტერში და ამჟამად სად იმყოფება, ხარკოვის გუბერნატორისგან ამა წლის 6 ივნისს პასუხი მივიღე, რომ ეპისკოპოსი კირიონი მონასტერშია და სამსახურებრივ საქმეზე, გარდა ხარკოვისა, არსად გამგზავრებულა“.*[13]

ხარკოვის იმჟამინდელი გუბერნატორის ნ. ნ. პეშკოვის პასუხმა სასამართლო და სამძებრო ორგანოები, როგორც ჩანს, ბოლომდე ვერ დააკმაყოფილა. 1908 წ. 31 ივლისს თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორმა ნ. ფიოდოროვმა ჟანდარმთა სამმართველოს სთხოვა ეგზარქოსის მკვლელობის წინა დღეებში ეპისკოპოს კირიონის თბილისში სავარაუდო ჩამოსვლის შესახებ არსებული ინფორმაციის გადამოწმება.[14] აღნიშნულ საკითხზე პოლკოვ-

[10] ხეც. კირიონის ფონდი, ს. 1232.
[11] ხეც. კირიონის ფონდი, ს. 191.
[12] სცსა. ფ. 94. აღწ. 1. ს. 85, ფურც. 11.
[13] სცსა. ფ. 94. აღწ. 1. ს. 85, ფურც. 32.
[14] სცსა. ფ. 94. აღწ. 1. ს. 85, ფურც. 113.

ნიკი ა. მ. ერიომინი თვეების განმავლობაში უშედეგოდ მუშაობდა. 1908 წ. 20 ივნისს მან გორის მაზრის უფროსს დ. ბაქრაძეს, ხოლო 21 ივნისს, 4 და 8 აგვისტოს ხარკოვის ოხრანკას ეპისკოპოს კირიონის საქართველოში საიდუმლოდ ყოფნის შესახებ მათ ხელთ არსებული ცნობების მოწოდება სთხოვა.[15] კონკრეტული და დამაჯერებელი, თანაც სასურველი პასუხი ჟანდარმთა შეფმა ვერც გორიდან და ვერც ხარკოვიდან მიიღო. გორის მაზრის უფროსის ცნობით, ეპისკოპოსი კირიონი 1908 წ. აპრილში ქვემო ნიქოზში იმყოფებოდა, თუმცა ჩამოსვლისა და გამგზავრების დღე მისთვის უცნობი იყო.[16] 1908 წ. 31 ივლისს ხარკოვის ოხრანკიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, ეპისკოპოსი კირიონი მხოლოდ კურიაჟის მონასტერთან ახლოს მდებარე სააგარაკო დასახლებებს სტუმრობდა, რამდენიმე დღე ხარკოვშიც იმყოფებოდა.[17] როგორც ვხედავთ, ხარკოვის გუბერნატორისა და ოხრანკის პასუხები ძირითად საკითხში ერთმანეთს ემთხვეოდა.

1908 წ. 26 აგვისტოს თბილისის ოხრანკისაგან ა. ერიომინი მოითხოვს *„ჩაატაროს ამა წლის მაისში ეპისკოპოს კირიონის თბილისში ჩამოსვლის შესახებ არსებული ცნობების გულმოდგინე დამუშავება – ზუსტად დადგინდეს ჩამოსვლისა და გამგზავრების დღე, საცხოვრებელი ადგილი, კავშირები“*.[18] იმავე დღეს, 26 აგვისტოს, ა. ერიომინმა თბილისის საოლქო სასამართლო პალატის პროკურორს ნ. ფიოდოროვს ოხრანკისთვის მოცემული დავალებისა და ა. წ. აპრილში კირიონის ნიქოზში ჩამოსვლის შესახებ შეატყობინა და დასძინა: *„ეს ჩამოსვლა საიდუმლო იყო, რადგანაც საცხოვრებელი ადგილიდან – კურიაჟის მონასტრიდან ეპისკოპოს კირიონის გამომგზავრების თაობაზე ხარკოვის ოხრანკის უფროსს ცნობები არ გააჩნია“*.[19]

ასეთი ცნობები ხარკოვის ოხრანკას არც შეიძლებოდა ჰქონოდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ 1908 წ. აპრილში ეპისკოპოსი კირიონი საქართველოში ჩამოვიდა არა ხარკოვიდან, არამედ პეტერბურგიდან. იმპერიის დედაქალაქში იგი კოვნოდან 9 მარტს გაემგზავრა და იქ სამი კვირის განმავლობაში იმყოფებოდა. 1908 წ. 17 მარტს კირიონმა უწმინდეს სინოდს 20

[15] სცსა. ფ. 94. აღწ. 1. ს. 85, ფურც. 61, 62, 120.
[16] სცსა. ფ. 94. აღწ. 1. ს. 85, ფურც. 166.
[17] სცსა. ფ. 94. აღწ. 1. ს. 85, ფურც. 116.
[18] სცსა. ფ. 94. აღწ. 1. ს. 85, ფურც. 166, 179-181; წმინდა მღვდელმოწამე კირიონ II (სამაგლიშვილი) და აფხაზეთი. კრებული შეადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ჯემალ გამახარიამ. თბ. 2006, გვ. 328.
[19] სცსა. ფ. 94. აღწ. 1. ს. 85, ფურც. 167.

თებერვალს მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა სთხოვა, რომლის ძალითაც მის ადგილსამყოფელად თავრიდის ეპარქიის კორსუნის ღმრთისმშობლის მონასტერი იყო განსაზღვრული. კირიონი კი ქვეყნის სამხრეთით რომელიმე მონასტრის წინამძღვრად დანიშვნას ითხოვდა. 22 მარტს უწმინდესმა სინოდმა ახალი გადაწყვეტილება მიიღო: *„ვადაყვანილ იქნათ თქვენ საცხოვრებლად კორსუნიდან კურიაჟის ფერისცვალების მონასტერში; ხარკოვის ყოვლადუსამღვდელოესს ევალება, გასცეს განკარგულება კურიაჟის მონასტერში თქვენი ყოვლადუსამღვდელოესობის ოთახით, მოახლითა და მგიდით უზრუნველყოფის შესახებ“*.[20] სანამ კურიაჟის მონასტერი ეპისკოპოს კირიონის მისაღებად მოემზადებოდა, ქართველმა მღვდელმთავარმა სამშობლოში გამგზავრება გადაწყვიტა. მხოლოდ იქიდან დაბრუნების შემდეგ, კერძოდ, 1908 წ. 23 აპრილს დაბინავდა ის კურიაჟის მონასტერში. ეს იყო ერთადერთი მიზეზი, რატომ არ იცოდა ხარკოვის ოხრანკამ 1908 წ. აპრილის შუა რიცხვებში კირიონის საქართველოში ყოფნის შესახებ.

1908 წ. სექტემბრის დასაწყისში ა. ერიომინმა ხარკოვის ოხრანკიდან 26 აგვისტოს გამოგზავნილი ახალი ინფორმაცია მიიღო. მასში ვკითხულობთ: *„ძიძდინარე წლის მაისის დასაწყისში ან მის შუა რიცხვებში კირიონი კავკასიაში გაემგზავრა და ორ კვირაში დაბრუნდა. ხუთი დღის შემდეგ მსახურიც კავკასიაში, თითქოს დასასვენებლად ერთი თვით სამშობლოში გაემგზავრა, მაგრამ დღემდე არ დაბრუნებულა, ხოლო თვენახევრის წინ მღვდელმონაზონი ტარასიც გაემგზავრა“*.[21] ეს ახალი ინფორმაცია წინააღმდეგობაში მოდიოდა როგორც ხარკოვიდან ადრე გამოგზავნილ ცნობებთან, ისე თბილისის ოხრანკის ხელში არსებულ სხვა უტყუარ ინფორმაციასთან. კერძოდ, ადგილობრივი ოხრანკის განკარგულებაში იყო მის მიერ ამოღებული (დაპატიმრებული) და ადრესატამდე (იოსებ ჩიჯავაძემდე) ვერმისული კირიონის ორი წერილი ხარკოვიდან[22]. პირველი წერილი დათარიღებულია 1908 წ. 27 აპრილით, ხარკოვიდან გამოგზავნილია 28 აპრილს, თბილისში მიღებულია 4 მაისს; მეორე წერილი იმავე წლის 9 მაისით არის დათარიღებული, ხარკოვიდან გამოგზავნილია 10 მაისს, თბილისში მიღებულია 15 მაისს.[23]

[20] ხეც. კირიონის ფონდი, ს. 16; РГИА. ф. 796. оп. 189. д. 807, л. 125.

[21] სცსა. ფ. 94. აღწ. 1. ს. 85, ფურც. 170.

[22] ორივე წერილი გამოქვეყნებულია. იხ.: ჯ. გამახარია. წმინდა მღვდელმოწამე კირიონ II-ს უცნობი დოკუმენტები თბილისის ოხრანკის მასალების მიხედვით. გორის სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი. №2. თბ. 2011, გვ. 12-26.

[23] სცსა. ფ. 94. აღწ. 1. ს. 85, ფურც. 54-54ა, 58-58ა.

აღნიშნული წერილებიდან ირკვევა, რომ კურიაჟის მონასტერში ეპისკოპოსი კირიონი პირველად 1908 წ. 23 აპრილს საქართველოდან ჩავიდა და ამის შემდეგ მონასტერი არ დაუტოვებია. წერილებში მისი ავტორი სამომავლო სამეცნიერო გეგმებზე, მონასტრულ ცხოვრებაზე, არქიეპისკოპოს ნიკონის კიევის მიტროპოლიტად შესაძლო გადაყვანაზე და სხვა საკითხებზე საუბრობს. ორივე წერილის შინაარსი ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს 1908 წ. 23 აპრილიდან მაისის შუა რიცხვებამდე ეპისკოპოს კირიონის მხოლოდ კურიაჟის მონასტერში ყოფნას, შესაბამისად, სრულიად გამორიცხავს დროის ამ მონაკვეთში თბილისში კიდევ ერთხელ მის ჩამოსვლას. თუ მხედველობაში მივიღებთ აგრეთვე იმ გარემოებასაც, რომ 1908 წ. 18 მაისს კურიაჟში კირიონმა წირვა ჩაატარა და, მონასტრის წინამძღვრის ეპისკოპოს ევგენის (ბერეჟკოვი) თხოვნით, იმავე დღეს მონასტრის ხაზინადარი იღუმენად აკურთხა,[24] ცხადი გახდება ხარკოვის ოხრანკის 1908 წ. 26 აგვისტოს ზემოთმოტანილი ინფორმაციის სრული უსაფუძვლობა. მას აშკარად აპრილი და მაისი ერთმანეთში შეეშალა, რა თქმა უნდა, თუ საქმე არ გვაქვს მოვლენების გამიზნულ დამახინჯებასთან.

თბილისის ოხრანკამ სწრაფად გაარკვია ხარკოვის ოხრანკის 26 აგვისტოს წერილში მოხსენიებული მსახურისა და მღვდელმონაზონ ტარასის ვინაობა. მსახურში იგულისხმებოდა დავით დათუსანი, რომელიც 20 წლის განმავლობაში კირიონის მზარეული იყო. ამგვარი ვაკანსიის უქონლობის გამო კირიონს იგი სამშობლოში გამოუსტუმრებია. დავით დათუსანს ოხრანკამ რაჭაში, სადმელის თემის სოფელ ღვიარში (ამჟამად ამბროლაურის რაიონი) საკუთარ სახლში მიაგნო. მღვდელმონაზონი ტარასი კი არის ცნობილი სასულიერო მოღვაწე ტარას კანდელაკი, რომელიც სხვადასხვა ეპარქიებში, მათ შორის სოხუმში, კირიონის ეკონომოსი გახლდათ. ოხრანკის ცნობით, თბილისში ის 1908 წ. 20-25 ივლისს ჩამოსულა და იმავე წლის აგვისტოს დასაწყისიდან კავთისხევის მონასტერში ცხოვრობდა. გაირკვა, რომ არც ერთსა და არც მეორეს ნიკონის მკვლელობასთან კავშირი არ ჰქონდა, თუმცა ამ ტერორისტულ აქტთან დაკავშირებით მღვდელმონაზონი ტარასი მაინც დაიკითხა[25].

უფრო ზუსტ ცნობას ტარას კანდელაკისა და განსაკუთრებით დავით დათუსანის საქართველოში გამომგზავრების შესახებ შეიცავდა ოხრანკის მიერ „დაპატიმრებული" ეპისკოპოს კირიონის 1908 წ. 9 მაისით დათარიღებუ-

[24] ზეც. კირიონის ფონდი, ს. 350ა.
[25] სცსა. ფ. 94. აღწ. 1. ს. 85, ფურც. 204; ზეც. კირიონის ფონდი, ს. 1389.

ლი ზემოხსენებული წერილი. კირიონი წერდა: *„ამ თვის პირველს დათიკო გავისტუმრე თავის სოფელში ერთი თვით, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ერთ თვესაც წაადებს ეფიქრობ ხერსონის მონასტრის მიმოხილვას და იქ მექცესე საუკუნის ახლადაღმოჩენილის ქართული მონასტრის აღწერას. ამ ხნის განმავლობაში ჩემს სადგურს რემონტს უზამენ და ახლად შეკეთებულ სახლში დავბრუნდები ამ თვის 18-20 ტარასის სევასტოპოლიდან დავაბრუნებ საქართველოში“*:[26] მოტანილი ცნობა კიდევ ერთხელ იმაზე მიუთითებს, რომ ხარკოვის ოხრანკის 1908 წ. 26 აგვისტოს წერილში კირიონისა და აგრეთვე მასთან მოსამსახურე პირების საქართველოში ჩამოსვლის ვადები არასწორადაა მითითებული.

მალე თბილისის ოხრანკამ მოიპოვა დაზუსტებული ინფორმაცია, რომელიც მთლიანად უარყოფდა ხარკოვის ოხრანკის 1908 წ. 26 აგვისტოს ვერსიას. პოლიციელის, ვინმე ავალოვის, მიერ 1908 წ. 9 სექტემბერს შედგენილი მოხსენების საფუძველზე თბილისის ოხრანკამ იმავე წლის 11 სექტემბერს ჟანდარმთა სამმართველოს უფროსს აცნობა, რომ *„ეპისკოპოსი კირიონ საძაგელოვი თბილისში ამა წლის აპრილში აღდგომამდე რამდენიმე დღით ადრე ჩამოვიდა და წმინდა ბარბარეს ეკლესიის წინამძღვართან მამა იოსებ ჩიჭავაძესთან გაჩერდა. მასთან სამი დღე დაჰყო და შემდეგ გორის მაზრის სოფელ ქვემო ნიქოზში გაემგზავრა და მერე თბილისში არ დაბრუნებულა“*:[27] 1908 წელს აღდგომა 13 აპრილზე მოდიოდა. სწორედ ნიქოზიდან გაემგზავრა ეპისკოპოსი კირიონი კურიაჟის მონასტერში და როგორც უკვე ითქვა, 23 აპრილს პირველად ჩავიდა დანიშნულების ადგილამდე. ოხრანკის მასალების მიხედვით გაირკვა, რომ ეპისკოპოსი კირიონი საქართველოში მხოლოდ 1908 წ. 10-18 აპრილს იმყოფებოდა. ეს ინფორმაცია ნ. დურნოვომაც გამოაქვეყნა სახელმწიფო სათათბიროს სკანდალური წევრისა და შავრაზმელის ვ. მ. პურიშკევიჩის წინააღმდეგ დაწერილ წიგნში (როგორც ცნობილია, სათათბიროს ტრიბუნიდან 1908 წ. 10 დეკემბრის გამოსვლაში ვ. პურიშკევიჩმა ეგზარქოს ნიკონის მკვლელობაში ქართული სამღვდელოება და პირადად ეპისკოპოსი კირიონი დაადანაშაულა).[28]

---

[26] ჯ. გამახარია. წმინდა მღვდელმოწამე კირიონ II-ს უცნობი დოკუმენტები თბილისის ოხრანკის მასალების მიხედვით, გვ. 19.

[27] Святой Священномученик Кирион II и Абхазия, გვ. 328-329; სცსა. ფ. 94. აღწ. 1. ს. 85, ფურც. 193.

[28] Н. Н. Дурново. Мутный источник. По поводу речи Пуришкевича. М. 1909, გვ. 5, 8.

1908 წ. სექტემბერში ჟანდარმთა სამმართველო პეტერბურგიდან მოწოდებულ ახალ ვერსიაზეც მუშაობდა. რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტიდან თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოში 10 სექტემბერს ა. ერიომინის სახელზე შემოსული წერილის მიხედვით, 1908 წ. 22 თებერვალს კავკასიაში ავტოკეფალისტთა ფარული სხდომა გაიმართა, სადაც მიღებული იქნა გადაწყვეტილება ეგზარქოს ნიკონის მკვლელობის შესახებ. თითქოს ამ სხდომის ოქმი 50 ეგზემპლიარად დაიბეჭდა კიდევაც. *„კავკასიაში საეკლესიო საკითხის გადაწყვეტის საქმეში ამ დოკუმენტის მნიშვნელობის გათვალისწინებით, – ნათქვამია წერილში, – პოლიციის დეპარტამენტი, მინისტრის ამხანაგის ა. ა. მაკაროვის ბრძანებით, თხოვს თქვენს მაღალკეთილშობილებას მოიპოვოთ ამ ოქმის ეგზემპლიარი და პოლიციის დეპარტამენტის განსაკუთრებულ საქმეთა დეპარტამენტში გამოგზავნოთ“.*[29] ავტოკეფალისტთა კრება 22 თებერვალს ნამდვილად ჩატარდა თბილისში ეპისკოპოს პეტრეს (კონჭოშვილი) თავმჯდომარეობით, არქიმანდრიტ ამბროსის (ხელაია), მღვდლების კალისტრატე ცინცაძის, იოსებ ჩიჯავაძის, პოლიევკტ და ვასილ კარბელაშვილების, ილია შუბლაძის და სხვათა მონაწილეობით, მაგრამ არა იმ დღის წესრიგით და არა ეპისკოპოს კირიონის მონაწილეობით.[30] როგორც გაირკვა, 1908 წ. 15 თებერვლიდან პენსიაზე გასულმა კირიონმა უწმინდესი სინოდის შესაბამისი ბრძანებულება კოვნოში 21 თებერვალს ჩაიბარა.[31] ეს გარემოება კი აბსოლუტურად გამორიცხავდა იმავე წლის 22 თებერვალს ავტოკეფალისტთა თბილისის კრებაზე მის დასწრებას.

მიუხედავად კონკრეტული სამხილის არარსებობისა, ეპისკოპოსი კირიონი ნიკონის საქმეზე უპირველეს ეჭვმიტანილად და, როგორც ავტოკეფალური მოძრაობის ლიდერი, ხელისუფლებისთვის მიუღებელ პიროვნებად რჩებოდა. ამაზე მიუთითებს 1908 წ. 22 ნოემბერს ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის ა. ერიომინის მიერ ავტოკეფალისტების შესახებ ვ. იაცკევიჩისთვის წარდგენილი ცნობაც. მასში ვკითხულობთ: *„ავტოკეფალურ მოძრაობაში არანაკლებ თვალსაჩინო როლს* (ვიდრე ეპისკოპოსი ლეონიდე – **ჯ.ჯ.**) *ასრულებს ეპისკოპოსი კირიონი. იმყოფება რა პენსიაზე და ცხოვრობს რა ხარკოვის გუბერნიაში, კურიაჟის მონასტერში, იმავდროულად აქვს ურთიერთობები კავკასიაში მცხოვრებ წარმომადგენლებთან – ავტოკეფალისტებთან. ძალიან*

[29] სცსა. ფ. 94. აღწ. 1. ს. 85, ფურც. 215.
[30] სცსა. ფ. 94. აღწ. 1. ს. 85, ფურც. 23.
[31] ხეც. კირიონის ფონდი, ს. 350ა.

ახლო ურთიერთობაშია იგი ქალაქ თბილისის წმინდა ბარბარეს ეკლესიის წინამძღვართან მღვდელ იოსებ ჩიჯავაძესთან, რომელთანაც აქვს მიმოწერა, ხოლო კავკასიაში თავისი საიდუმლო მოგზაურობებისას მის ბინაში ჩერდება. ეპისკოპოს კირიონზე არსებობს ცნობები როგორც პირზე, რომელიც ნაკლებად იმსახურებს პატივისცემას. მაშ ასე, ცნობილია, რომ ცხოვრობს რა მონასტერში, ირგვლივ მდებარე საავარაკო დასახლებებში ის ხშირად დაიარება, ლოთობს, სტუდენტებსა და არაკეთილსაიმედო ელემენტებს შორის ტრიალებს".[32] მსგავსი ცილისმწამებლური და შეურაცხმყოფელი ინფორმაცია ხარკოვის ოხრანკიდან იყო მოწოდებული. კურიაჟის მონასტერში კირიონი კი არ ლოთობდა, არამედ აქტიურ მონასტრულ ცხოვრებას და სერიოზულ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას ეწეოდა, აგრძელებდა რა მუშაობას თავის ცნობილ მონოგრაფიაზე „*ივერიის როლი რუსეთის ისტორიაში*".[33]

ჟანდარმთა შეფის ა. ერიომინის ცნობისა და სხვა მასალების საფუძველზე ვ. იაცკევიჩის სარევიზიო კომისიის დასკვნაში ეპისკოპოს კირიონისთვის თავისებური განაჩენი უკვე წინასწარ იყო გამოტანილი: „*საქართველოს ეგზარქოსის არქიეპისკოპოს ნიკონის მკვლელობის საქმეზე თბილისში წარმოებული წინასწარი გამოძიებით გამოვლინდა, რომ ის გახდა საეგზარქოსოში ავტოკეფალური მოძრაობის ლიდერების შეთქმულების მსხვერპლი. აღნიშნული მოძრაობის ინიციატორად აღიარებულია ეპისკოპოსი ლეონიდე* (ოქროპირიძე – ჯ.გ.), *სული და გული, სულისჩამდგმელი არის ეპისკოპოსი კირიონი. ამ მოძრაობისთვის ხელმძღვანელობის გასაწევად დაფუძნებული იყო ორი ბიურო – პირველი თბილისში, მეორე – ქუთაისში. თბილისის ბიუროს სათავეში კირიონი იდგა*".[34] იგულისხმება 1905 წ. 8 აგვისტოს დაფუძნებული ორგანიზაცია – „*ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღმდგენელი საძმო*".

ამრიგად, ეგზარქოსის მკვლელობასთან ეპისკოპოს კირიონის კავშირის დასამტკიცებლად ვ. იაცკევიჩს მოჰყავს ერთადერთი არგუმენტი – ის არის ავტოკეფალური მოძრაობის „სული და გული, სულისჩამდგმელი", მისი ერთერთი პირველი ხელმძღვანელი. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა თავისთვის მშვენივრად იცოდნენ, რომ ამა თუ იმ პირის აქტიური მონაწილეობა ლეგალურ ავტოკეფალურ მოძრაობაში არ წარმოადგენდა საკმარის მტკიცებულებას მისთვის ეგზარქოსის

[32] РГИА. ф. 796. оп. 189. д. 807, л. 28в.
[33] Епископ Кирион. Культурная роль Иверии в истории Руси. Тиф. 1910.
[34] ხეც. კირიონის ფონდი. ს. 350ა, ფურც. 125ა-126.

მკვლელობაში მონაწილეობის ბრალდების წარსადგენად. ასე მაგალითად, თბილისის გუბერნიის მთავარი ჟანდარმი ა. ერიომინი, ჰქონდა რა მხედველობაში განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლის ი. მალინოვსკის წინადადებები ავტოკეფალისტებზე მეთვალყურეობის დაწესებისა და მათი ჩხრეკის ჩატარების შესახებ, 1908. 15 დეკემბერს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტმენტს წერდა, რომ ამის გაკეთება *„საჭიროა იყოს მართებული და სასურველი მხოლოდ ავტოკეფალურ მოძრაობაში სამღვდელოების მონაწილეობის გამო, რომელიც სავსებით ლეგალურად სათანადო სასულიერო და საერო ხელისუფლების ნებართვით მიმდინარეობდა“*.[35]

წინასწარი გამოძიების შედეგების შესახებ ი. მალინოვსკის მიერ მომზადებული და 1908 წ. 19 აგვისტოთი, 10 სექტემბრითა და 14 ოქტომბრით დათარიღებული დოკუმენტების[36] გაცნობისას იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლების მიზანს ეგზარქოსის მკვლელობის ორგანიზატორებისა და შემსრულებლების გამოვლენა-დასჯაზე მეტად თუ არა, არანაკლებად ავტოკეფალური მოძრაობის უკიდურესი დასუსტება და განადგურება წარმოადგენდა. პირველ რიგში, უნდა მომხდარიყო ეპისკოპოს კირიონის ნეიტრალიზაცია. ამ მიზნით, ხარკოვის გუბერნატორმა მ. კ. კატერინინმა 1908 წ. 30 ნოემბერს ობერ-პროკურორ პ. პ. იზვოლსკის წინაშე ეპისკოპოს კირიონის კურიაჟის მონასტრიდან რუსეთის ჩრდილოეთით მდებარე გუბერნიების რომელიმე მონასტერში გადაყვანის საკითხი დააყენა. თავის წერილში ობერ-პროკურორისადმი ხარკოვის გუბერნატორი წერდა:

„ჩემდამი უმაღლესად რწმუნებულ გუბერნიაში ჩამოსვლისთანავე შევიტყვე, რომ კურიაჟის ფერისცვალების მონასტერში, რომელიც ხარკოვიდან სულ რამდენიმე ვერსით არის დაშორებული, ცხოვრობს პენსიაზე გასული ყოფილი სოხუმის ეპისკოპოსი ყოვლადსამღვდელო კირიონი; რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ეპარქიის მართვას ის იმის გამო ჩამოაშორეს, რომ კავკასიაში გამორჩეულ როლს ასრულებდა კავკასიური ეროვნებების ანტისამთავრობო მოძრაობაში. თბილისის გუბერნატორისაგან და თბილისის საოლქო სასამართლო პალატის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლისაგან ჩემს წინამორბედთან შემოსული შეკითხვებიდან ირკვევა, რომ ყოვლადსამღვდელო კირიონი, სავარაუდოდ, ინტელექტუალურ მონაწილეობას ღებულობდა, არქიეპისკოპოს ნიკონის, საქართველოს ეგზარქოსის მკვლელობის ორგანიზებაში.

[35] სცსა. ფ. 94. აღწ. 1. ს. 85, ფურც. 323.
[36] სცსა. ფ. 94. აღწ. 1. ს. 85, ფურც. 126-158ა, 195-203, 324-325.

გამომდინარე აქედან, ჩემს მოვალეობად ვრაცხ თქვენი ზეაღმატებულების ყურადღება მივაქციო იმაზე, რომ ქალაქი ხარკოვი კავკასიელი მოსწავლე ახალგაზრდობის თავმოყრის ცენტრს წარმოადგენს, რადგანაც კავკასიის სასწავლო ოლქში უმაღლესი სასწავლებლების არარსებობის გამო, კავკასიაში კურსდამთავრებულ ახალგაზრდებს ქალაქ ხარკოვის უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ჩარიცხვის უპირატესი უფლება გააჩნიათ. უმეტესად რევოლუციურად განწყობილი კავკასიელი მოსწავლე ახალგაზრდობის ყოვლადსამძღვდელო კირიონთან იმ ურთიერთობის აღკვეთა, რომელიც მას კავკასიურ მოძრაობაში თავისი პოლიტიკური საქმიანობის გაგრძელების საშუალებას აძლევს, არის ძალიან ძნელი, რადგანაც ეპისკოპოს კირიონს ქალაქში სიარულის უფლებას ვერ ჩამოართმევ ხან ავადმყოფობის გამო ექიმთან შეხვედრის, ხან კიდევ რაღაც საყოფლების შეძენის საბაბით და ა. შ. და ბოლოს, ქალაქგარეთ მდებარე კურიაჟის მონასტერი თვითონ წარმოადგენს ქალაქის მცხოვრებთა მუდმივ სასეირნო ადგილს, ხოლო მის შემოგარენში ბევრი საგარაჯო ადგილია, რომელიც ზაფხულობით ქალაქიდან ჩამოსულებითაა სავსე. ამ პირობებში ყოვლადსამღვდელო კირიონის მონასტერში შემდგომი ყოფნა, ჩემი აზრით, სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით ხიფათის შემცველია, რის გამოც ჩემს მოვალეობად მიმაჩნია თქვენს ზეაღმატებულებას მივმართო უმორჩილესი თხოვნით, გამონახოთ შესაძლებლობა, რათა ხელი შეუწყოთ ყოვლადსამღვდელო კირიონის რუსეთის ჩრდილო გუბერნიების რომელიმე სხვა მონასტერში საცხოვრებლად გადაყვანას“.[37]

თავის თანამდებობაზე ახლადდანიშნული გუბერნატორ მ. კატერინინის მიმართვა ობერ-პროკურორ პ. იზვოლსკისადმი, რომელიც სპეციალური დავალებით უნდა იყოს დაწერილი თუ მის მიერ მხოლოდ ხელმოწერილი, ყველა იმ ძირითად ბრალდებას შეიცავს, რასაც ხელისუფლება ამ ეტაპზე ეპისკოპოს კირიონს უყენებდა: გამორჩეული როლი კავკასიელთა (ქართველთა) ანტისამთავრობო მოძრაობაში; ეგზარქოს ნიკონის მკვლელობის ორგანიზებაში ინტელექტუალური მონაწილეობა; ხარკოვში კავკასიელ (ქართველ) მოსწავლე ახალგაზრდობას შორის მავნე პოლიტიკური საქმიანობა; თვით ქალაქ ხარკოვის მკვიდრ მოსახლეობაზე არასასურველი ზეგავლენის მოხდენის საფრთხე. აი, ის ბრალდებები, რომელთა გამო უნდა მომხდარიყო იმპერიის ჩრდილოეთ რეგიონში მდებარე რომელიმე მონასტერში ეპისკოპოს კირიონის გადასახლება.

[37] სცსა. ფ. 94. აღწ. 1. ს. 85, ფურც. 6-7.

ობერ-პროკურორმა გ. იზვოლსკიმ ხარკოვის გუბერნატორის 1908 წ. 30 ნოემბრის მიმართვა იმავე წლის 10 დეკემბერს განსახილველად უწმინდეს სინოდს წარუდგინა.[38] ხარკოვის გუბერნატორის მიმართვის არსებობა, მისი მოკლე და ზოგადი შინაარსი ეპისკოპოს კირიონისთვის მოგვიანებით იოსებ ჩიჯავაძის 1909 წ. 9 ივნისის წერილიდან გახდა ცნობილი. *„მე შევიტყვე, –* ნათქვამია წერილში, *– რომ შენზე კურიაჟში საჩივარი გენერალ-გუბერნატორს შეუტანია, რომ თუ აქაურობას არ მოაშორეთ, მე ვერ ვიტვირთებ სიმშვიდეს ხარკოვისასაო, რადგანაც კირიონთან სტუდენტობა და ბევრი განათლებული პირები დაიარებიანო. ამ გენერალ-გუბერნატორის დასმენის თანახმად, გადაუბრძანებიხართ სანაქსარსა შინა“*.[39]

უაღრესად მნიშვნელოვანია რუსეთის იუსტიციის მინისტრისა და გენერალ-პროკურორის ი. შჩეგლოვიტოვის 1908 წ. 13 დეკემბრის წერილი პ. იზვოლსკისადმი. *„საქართველოს ეგზარქოსის, არქიეპისკოპოს ნიკონის მკვლელობის საქმეზე ხარკოვის სასამართლო პალატის პროკურორის მოხსენებიდან ირკვევა, რომ პენსიაზე გაშვებულ და კურიაჟის მონასტერში მცხოვრებ ყოვლადსამღვდელო კირიონს არცთუ იშვიათად ქართველი სტუდენტები სტუმრობენ, რომელთა რიცხვი ხარკოვის უნივერსიტეტში მნიშვნელოვანია ამ უნივერსიტეტის კავკასიასთან სიახლოვის გამო. თავად ეპისკოპოსი კირიონი ხშირად დაიარება ქალაქ ხარკოვში, საიდანაც მიმდინარეობს კავკასიელთა მუდმივი მოძრაობა იქით და აქეთ რუსეთის ჩრდილოეთში, პეტერბურგსა და მოსკოვში. ასეთი ვითარებიდან გამომდინარე, დასახელებული ეპისკოპოსი, რომლის პოლიტიკური შეხედულებები როგორც კავკასიაში ავტოკეფალური ეკლესიისთვის მებრძოლისა და ზოგადად სეპარატისტისა ცნობილია, არ არის მოკლებული შესაძლებლობას გავლენა იქონიოს ადგილობრივ კავკასიელ სტუდენტთა კონტინგენტზე, ზოგადად კავკასიელებზე და იურთიერთოს კავკასიაში თავის თანამოაზრეებთან. ამიტომ კურიაჟის მონასტერში მისი შემდგომი ყოფნა არასასურველად მეჩვენება“*.[40] (როგორც ვხედავთ, მაღალი რანგის რუსი ჩინოვნიკები ტერმინების *„საქართველო“*, *„ქართველი“*-ს ნაცვლად სავსებით შეგნებულად და გამიზნულად, როგორც წესი, *„კავკასია“*-ს და *„კავკასიელს“* იყენებდნენ).

1908 წ. 20 დეკემბერს უწმინდესი სინოდის სხდომა გაიმართა, რომელმაც ორი საკითხი განიხილა: ვ. იაცკევიჩის თავმჯდომარეობით შექმნილი სა-

[38] სცსა. ფ. 94. აღწ. 1. ს. 85, ფურც. 5.
[39] ხეც. კირიონის ფონდი, ს. 1240.
[40] РГИА. ф. 796. оп. 189. д. 807, л. 8.

რევიზიო კომისიის ანგარიში და ობერ-პროკურორ პ. იზვოლსკის მიერ შემოტანილი ხარკოვის გუბერნატორის მიმართვა ჩრდილოეთით მდებარე ერთერთ რეგიონში კირიონის გადასახლების შესახებ. სინოდმა მიიღო ქართული ეკლესიის სრული განადგურებისკენ მიმართული ექვსპუნქტიანი გადაწყვეტილება №9168.[41] გადაწყვეტილების პირველ პუნქტში ნათქვამია: *„ყოვლადსამღვდელოეპისკოპოსი კირიონი, რომლის ადგილსამყოფელია ხარკოვის ეპარქიის კურიაჟის მონასტერი, გადაყვანილ იქნას ტამბოვის ეპარქიის სანაქსარის მონასტერში ტამბოვის ყოვლადსამღვდელოს განსაკუთრებული ზედამხედველობის ქვეშ“*.[42] ამონაწერი კირიონის მიმართ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ უწმინდესი სინოდის ცალკე ბრძანებულებების სახით 22 დეკემბერს ხარკოვისა და ახტირის მთავარეპისკოპოს არსენს (ბრიანცევი), აგრეთვე ტამბოვისა და შაცკის ეპისკოპოს ინოკენტის (ბელიაევი) – საქართველოს მომავალ ეგზარქოსს, გაეგზავნათ.

ეპისკოპოსი კირიონი 1908 წ. 30 დეკემბერს ნ. დურნოვოს აცნობებდა, რომ მან მიიღო უწმინდესი სინოდის 22 დეკემბრის ბრძანებულება სანაქსარის მონასტერში მისი გადაყვანის შესახებ.[43] 1909 წ. 5 იანვარს კირიონმა პეტერბურგისა და ლადოგის მიტროპოლიტ ანტონს (ვადკოვსკი) შემდეგი შინაარსის დეპეშით მიმართა: *„ჩემი ამყამინდელი ავადმყოფური მდგომარეობისა და მკაცრი კლიმატის გადატანის შეუძლებლობის გამო, უმორჩილესად გთხოვთ, მაისამდე აქ დამტოვოთ და საცხოვრებლად რუსეთის სამხრეთ ზოლში მდებარე მონასტერი დამინიშნოთ“*.[44] საპასუხო დეპეშაში, რომელიც პეტერბურგიდან 10 იანვარს გამოიგზავნა, მიტროპოლიტი ანტონი წერდა: *„უწმინდესმა სინოდმა განიხილა თქვენი 5 იანვრის დეპეშა, გიბრძანებს თქვენთვის დანიშნული ადგილსამყოფელისკენ გაემგზავროთ“*.[45] გაეცნო რა ამ დეპეშას, კურიაჟის მონასტრის წინამძღვარმა ეპისკოპოსმა ევგენიმ (ბერეჟკოვი) 1909 წ. 11 იანვარს კირიონს დაუწერა: *„მე ვგრძნობ თქვეს მწუხარებას, მაგრამ არ ვიცი რით განუგეშო“*.[46]

1909 წ. 10 იანვარს უწმინდესმა სინოდმა მიიღო გადაწყვეტილება ეპისკოპოს კირიონისთვის გზის ხარჯების ანაზღაურების შესახებ, რომელიც ძა-

[41] РГИА. ф. 796. оп. 189. д. 807, л. 9-15а.
[42] РГИА. ф. 796. оп. 189. д. 807, л. 14а.
[43] ხეც. კირიონის ფონდი, ს. 192.
[44] РГИА. ф. 796. оп. 189. д. 807, л. 16.
[45] РГИА. ф. 796. оп. 189. д. 807, л. 17.
[46] ხეც. კირიონის ფონდი, ს. 687.

ლაში 13 იანვარს შევიდა.[47] მოგვიანებით, 1909 წლის ბოლოს, ეპისკოპოსი კირიონი თავად წერდა იმ ძალადობის შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა სანაქსარის მონასტერში მისი გადაყვანის დროს: *„1908 წლის 25 დეკემბერს, ქრისტეშობის დღეს, მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა მიტროპოლიტ ანტონისაგან მივიღე დეპეშა, საცხოვრებლად გავემგზავრო ტამბოვის გუბერნიის ქალაქ ტემნიკოვის ახლოს მდებარე სანაქსარის უდაბნოში. 1909 წლის 14 იანვარს მოსკოვში ჩამოვედი, რათა ნერვული სისტემის ძლიერი აშლილობის გამო ექიმებს მოვთათბირებოდი; მათი რჩევით გოლიცინის საავადმყოფოში დავწექი. არ ვიცი ვისი განკარგულებით, 17 იანვარს დამპატიმრეს და დაცვის ჩინოვნიკის თანხლებით რკინიგზის სადგურიდან 65 ვერსით დაშორებულ სანაქსარის უდაბნოში წამიყვანეს“.*[48] ი. მელნიკოვასა და ვ. ოლევსკაიას მონაცემებით, კირიონი მკურნალობის დამთავრებამდე სანაქსარის მონასტერში ტამბოვის გუბერნატორის განკარგულებით წაიყვანეს.[49] იმჟამად ეს თანამდებობა ნ. პ. მურატოვს ეკავა.

სანაქსარის ღმრთისმშობლის შობის მონასტერში უმძიმეს პირობებში კირიონმა თითქმის ერთი წელი გაატარა. მონასტერი 1659 წელს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის იოსაფ II (1667-1672 წწ.) ლოცვა-კურთხევით დაფუძნდა. სახელწოდება პატარა ტბისაგან – სანაქსარისაგან მიიღო, რომლის ნაპირზეც მონასტერი მდებარეობს. XVIII ს. დასაწყისიდან იგი ახლადდაფუძნებული საროვის ღმრთისმშობლის მიძინების მონასტერზე იყო მიწერილი, 1765 წლიდან კი კვლავ დამოუკიდებელია. სანაქსარის მონასტერი ჭაობიან ადგილას იყო გაშენებული, რის გამოც კირიონის ჯანმრთელობის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. ამის შესახებ დევნილი მღვდელმთავარი 1909 წ. 25 იანვარს ტარას კანდელაკს ატყობინებდა. იმავე წლის 17 მაისს ტარასისადმი გაგზავნილ მორიგ წერილში კირიონი წერდა: *„აქ ციებცხელების ბუდე ყოფილა და ხშირად ქინაქინას ვსვამ. პატარა აფთიაქი გავიჩინე და აქაური ბერებიც სარგებლობენ ჩემი აფთიაქით. მონასტერს ფიჭვის ტყე აკრავს, მაგრამ იმდენი კოღოები სცოდნია, რომ თუ თოფრა არ ჩამოიცვა კაცმა თავზედ, იქ სეირნობა არ შეიძლება“.*[50] კირიონის ყოფას კიდევ უფრო ამძიმებდა სანაქსარის მონასტრის უხეში და გაუნათლებელი წინამძღვარი

[47] РГИА. ф. 796. оп. 189. д. 807, л. 18.

[48] ხეც. კირიონის ფონდი, ს. 19.

[49] И. Е. Мельникова, В. В. Олевская. Из истории пребывания епископа Кириона (Садзаглишвили) на покое в период 1908-1910 гг, გვ. 52.

[50] ხეც. კირიონის ფონდი, ს. 98.

იღუმენი ავგუსტინი (კრივონოგოვი). ეპისკოპოს ინოკენტისაგან მას კირიონზე მკაცრი ზედამხედველობის განხორციელება და მისი ყოველნაირად შევიწროება ჰქონდა დავალებული.

უფლებააყრილი ქართველი მღვდელმთავრის მდგომარეობა არც ადამიანის უფლებათა დაცვის ბელგიის ლიგის თავმჯდომარისა და ბელგიის პარლამენტის წევრის ჟორჟ ლორანის ჩარევის შემდეგ გამოსწორებულა. 1909 წ. 20 მარტს (ახალი სტილით) მესამე მოწვევის რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარეს ნ. ხომიაკოვს მან სთხოვა ქართველი მღვდელმთავრისთვის მართლმსაჯულების გარანტიების უზრუნველყოფა. განმარტებისთვის ნ. ხომიაკოვმა 16 მარტს (ძველი სტილით) შინაგან საქმეთა მინისტრს პ. სტოლიპინს მიმართა. მეორე დღესვე პ. სტოლიპინმა ნ. ხომიაკოვს აცნობა, რომ *„სოხუმის ყოფილი ეპისკოპოსის კირიონის წინააღმდეგ ადმინისტრაციული ზემოქმედების არანაირი ზომები მიღებული არ ყოფილა და არ არსებობს არავითარი გადაწყვეტილება ადმინისტრაციული წესით მისი ოდესმე გადასახლების შესახებ“*:[51] ასეთი ცინიკური პასუხით პ. სტოლიპინი ამაოდ ცდილობდა ეპისკოპოს კირიონის წინააღმდეგ ჩადენილი ძალადობის, „ადმინისტრაციული ზემოქმედების“ უარყოფას. მიუხედავად ჟორჟ ლორანის მიმართვისა, კირიონის მიმართ მართლმსაჯულების გარანტიები დაცული არ ყოფილა. მისთვის ოფიციალურად დანაშაული არავის წარუდგენია, არც არავის დაუკითხავს, თუმცა კირიონმა მშვენივრად იცოდა, რომ იყო ნიკონის მკვლელობასთან კავშირში ეჭვმიტანილი. როგორც 1909 წ. 27 თებერვალს იოსებ ჩიჯავაძეს წერდა, მას „პოლიტიკა ავიწროებდა“.[52]

ხელისუფლებამ ეპისკოპოს კირიონს მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფაქტი დაუმალა. 1909 წ. 10 სექტემბერს კავკასიაში მეფისნაცვლის კანცელარიის უფროსმა ნ. პეტერსონმა ობერ-პროკურორ პ. იზვოლსკის აცნობდა, რომ მან ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვისაგან შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო: *„შეხვდით სინოდის ობერ-პროკურორს, ეპისკოპოს კირიონის ალიბი სასამართლოს მიერ დამტკიცებულია; იშუამდგომლეთ, რათა დაკმაყოფილდეს მისი სურვილი ძველ ათონში დაუბრკოლებლად გამგზავრების შესახებ“*:[53] ალიბის დამტკიცება სასამართლოს მიერ კირიონის უდანაშაულობის დამტკი-

[51] И. Е. Мельникова, В. В. Олевская. Из истории пребывания епископа Кириона (Садзаглишвили) на покое в период 1908-1910 гг, გვ. 53, 56.

[52] ხეც. კირიონის ფონდი, ს. 350ა.

[53] РГИА. ф. 796. оп. 189. д. 807, л. 102.

ცებას ნიშნავდა, მაგრამ ამის შესახებ მისთვის სიცოცხლის ბოლომდე არც უცნობებიათ. ეპისკოპოს კირიონს არც იმის შესახებ შეუტყვია ოღესმე, რომ თბილისის საოლქო სასამართლო პალატის 1909 წ. 7 ოქტომბრის განჩინებით, წინასწარი გამოძიება ეგზარქოს ნიკონის მკვლელობის საქმეზე შეწყდა *„სისხლის სამართლებრივი სამართალწარმოების წესდების“ 277-ე მუხლის (დამნაშავეთა ვერ გამოვლენა) საფუძველზე*“.[54]

ამრიგად, სასამართლო წესით დამტკიცდა ეპისკოპოს კირიონის უდანაშაულობა, ნიკონის მკვლელობის საქმეზე წარმოებული წინასწარი გამოძიებაც შეწყდა. ‘‘ქართველ მღვდელმთავარს არც მისი დაწყების და არც შეწყვეტის შესახებ ოფიციალური შეტყობინება არ მიუღია, სასჯელს კი უმძიმეს პირობებში იხდიდა. 1909 წ. 7 ოქტომბრის შემდეგაც მისი მდგომარეობა არ შემსუბუქებულა. გადასახლებაში კირიონის შემდგომი ყოფნა, თანაც უმძიმეს პირობებში, მხოლოდ იმაზე მიუთითებდა, რომ, უპირველეს ყოვლისა, ის იდევნებოდა როგორც ავტოკეფალური მოძრაობის ლიდერი და სულისჩამდგმელი. ეგზარქოსის გაუხსნელი მკვლელობა კი ამ შემთხვევაში კარგი საბაბი იყო ასეთი დევნისთვის, რომლის საბოლოო მიზანს ავტოკეფალური მოძრაობის დასუსტება და განადგურება წარმოადგენდა.

სანაქსარის მონასტერში შექმნილი აუტანელი მდგომარეობის შესახებ ეპისკოპოსმა კირიონმა 1909 წ. 1 ნოემბერს უწმინდეს სინოდს, მის პირველ თავმჯდომარეს მიტროპოლიტ ანტონს (ვადკოვსკი) ვრცელი ახსნა-განმარტებითი ბარათი მიართვა. მისი დაწერის საბაბი იღუმენი ავგუსტინის მიერ კირიონის წინააღმდეგ შეთითხნილი საჩივარი ყოფილა, რომელიც მას უწმინდესი სინოდისთვის უნდა წარედგინა.[55] *„ჩემი აქ ჩამოსვლის დროიდან,* – ნათქვამია ახსნა-განმარტებაში, – *მონასტრის წინამძღვრის იღუმენ ავგუსტინის მხრიდან ბევრ შეურაცხყოფას ვიტან. არის რა ბუნებით უხეში და უმეცარი ადამიანი, ის ყოველნაირად ცდილობდა ჩემი ცხოვრება აუტანელი გაეხადა“*. როგორც კირიონი წერდა, ის წლების განმავლობაში დაცარიელებულ სენაკებში მოათავსეს, რომლის *„საფანჯრო მინებზე ყინულის იმდენად სქელი ფენა აღმოჩნდა, რომ მონასტრის მორჩილი ლონგინი ყინულს ორი დღე დანით ფხეკდა. იქვე გვერდით კი არის ცარიელი სამღვდელმთავრო სავანეები, სადაც მღვდელმთავრის საცხოვრებლის განსაკუთრებული შეურაცხყოფის გარეშე შეიძლებოდა*

[54] РГИА. ф. 796. оп. 189. д. 807, л. 108.
[55] РГИА. ф. 796. оп. 189. д. 807, л.115-118.

ჩემთვის ორი ოთახის გამოყოფა“. გარდა ამისა, მონასტერში კირიონის ჩამოსვლის პირველი დღიდანვე, ავგუსტინის განკარგულებით, შემოიღეს *„საიდუმლო რეული, სადაც შეჰქონდათ, ვის ვწერდი წერილებს და რომელი ქალაქებიდან ვიღებდი ამანათებს. ორ თვეში ერთხელ ანგარიშს და თავის შენიშვნებს ყოველადსამღვდელო ინოკენტის უგზავნიდა“. 1909 წლის ივლისიდან,* – აგრძელებს ეპისკოპოსი კირიონი, – *როდესაც საროვის მონასტერში სერაფიმე საროველის წმინდა ნაწილების აღმოჩენის დღის (19 ივლისი) აღნიშვნაზე ჩასულმა ავგუსტინმა ეპისკოპოს ინოკენტისაგან სათანადო ინსტრუქციები მიიღო, იგი „კიდევ უფრო მავიწროებდა და შეურაცხყოფას მაყენებდა“.*

ახსნა-განმარტებაში დეტალურად არის ნაჩვენები შევიწროებისა და შეურაცხყოფის სხვადასხვა ფორმები და მეთოდები. კირიონი განსაკუთრებით აღაშფოთა ავგუსტინის დავალებით, მის წინააღმდეგ ზემოხსენებული ცილისწამებური საჩივრის შედგენამ, აგრეთვე მონასტრის წინამძღვრის მიერ ძმებისთვის მასთან ურთიერთობისა და საუბრის აკრძალვამ. *„ჩემთვის ეს მღვდელმსახურების აკრძალვის ტოლფასია,* – წერდა ქართველი მღვდელმთავარი, – *რადგანაც მღვდელმოქმედება შეუძლებელია ღმრთისმსახურებთან, რომლებიც არ მელაპარაკებიან* (?). *ამრიგად, იღუმენმა ღმრთისმსახურების ჩატარების ერთადერთი ნუგეშიც წამართვა“*. ვითარების ასე გამწვავებამდე კი, როგორც თავად კირიონი ახსნა-განმარტებაში აღნიშნავს, სანაქსარის მონასტერში მან ღმრთისმსახურება ორმოცჯერ, ჯვაროსნული მსვლელობა კი სამჯერ შეასრულა.

ახსნა-განმარტებაში დიდი ყურადღება ეთმობა მონასტრის წინამძღვრის მიერ ჩადენილი სერიოზული ფინანსური დარღვევების მხილებას. დასასრულს ეპისკოპოსი კირიონი უწმინდეს სინოდს წერდა: *„ვიმედოვნებ, რომ სანაქსარის მონასტრის ინკვიზიტორ-ჯალათი იღუმენი ავგუსტინი სამუდამოდ დაისჯება ბოროტი დამოკიდებულებისთვის. მე კი უმორჩილესად ვთხოვ თქვენს უწმინდესობას გამანთავისუფლოთ სანაქსარის მონასტრიდან და მომცეთ დედაქალაქის ერთ-ერთ საავადმყოფოში ოპერაციისა და აუცილებელი მკურნალობის ჩატარების უფლება“*. თხოვნის დაუკმაყოფილების შემთხვევაში ეპისკოპოსი კირიონი იმუქრებოდა, რომ ის ყოველივე ამის შესახებ იმპერატორს მოახსენებდა. აქვე შევნიშნავთ, რომ ნ. დურნოვოს რეკომენდაციით, კირიონს უკვე ჰქონდა მომზადებული იმპერატორისთვის გასაგზავნი მოხსენების პროექტი.[56]

1909 წ. 19 ნოემბერს უწმინდესმა სინოდმა განიხილა ეპისკოპოს კირიონის 1 ნოემბრის ახსნა-განმარტება და მიიღო დადგენილება № 9486 შემ-

[56] ზეც. კირიონის ფონდი. ს. 19, 350ა.

დეგი სახელწოდებით: *„სანაქსარის მონასტერში მცხოვრები პენსიონერის ყოვლადსამღვდელო კირიონის ახსნა-განმარტების თაობაზე საჩივრით მონასტერში მისი შეცილების, მოხსენებით მონასტრის წინამძღვრის ბოროტმოქმედებების და თხოვნით, აღნიშნული მონასტრიდან განთავისუფლების შესახებ“*:[57] მასში ნათქვამია, რომ უწმინდესმა სინოდმა ამა წლის 7 ნოემბერს უკვე მიიღო გადაწყვეტილება №8945, რომლის მიხედვითაც მას მიეცა სამკურნალოდ პეტერბურგში ჩამოსვლის უფლება; ამის თაობაზე სინოდს ეპისკოპოს ინოკენტისთვის (ბელიაევი) დეპეშით უცნობებია. სინოდმა ტამბოვის ეპისკოპოსს ასევე დაავალა სანაქსარის მონასტერში იმ საფინანსო დარღვევების გამოძიება, რომლებიც კირიონის ახსნა-განმარტებაში იყო მითითებული. ახსნა-განმარტების სხვა პუნქტების განხილვა კირიონის წინააღმდეგ ავგუსტინის მიერ შეთითხნილი საჩივრის (რომელიც ახსნა-განმარტებაშია მოხსენიებული) შემოსვლამდე გადაიდო. სინოდის 19 ნოემბრის გადაწყვეტილება ძალაში ერთი თვის შემდეგ, 19 დეკემბერს, შევიდა და მხოლოდ 1910 წ. 23 იანვარს შესრულდა.

ამასობაში, სანქასარის მონასტრის წინამძღვრის მიერ ადრე შედგენილი, მაგრამ ახალი ცრუ ცნობებით „გამდიდრებული“ და 18 ნოემბრით დათარიღებული საჩივარი ეპისკოპოს კირიონის წინააღმდეგ ტამბოვის მღვდელმთავარს ინოკენტის (საჩივრის მთავარ ინიციატორს და ავტორს) წარედგინა.[58] ქართველი მღვდელმთავარი თეოლოგიურ „გადაცდომებში“, ყბადაღებულ ლოთობაში, მონასტრის ღვინის წესრიგის დარღვევაში და სხვა „ცოდვებში“ იყო დადანაშაულებული. ამასთან დაკავშირებით, კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს მსგავსი ბრალდებების სრული უსაფუძვლობა. კირიონისთვის მიზანმიმართულად ლოთობის დაბრალება მის დისკრედიტაციას ისახავდა მიზნად. სანაქსარის მონასტერშიც ქართველი მღვდელმთავარი, პირველ რიგში, კვლევითი საქმინობით იყო დაკავებული. სწორედ აქ მისცა მან საბოლოო სახე ძირითადად კურიაჟის მონასტერში დასრულებულ მონოგრაფიას *„ივერიის როლი რუსეთის ისტორიაში“* და ალექსანდრე ყიფშიძის დახმარებით თბილისში მისი დაბეჭდვაც მოასწრო. წიგნის კორექტურაც კირიონმა სანაქსარში დაიწყო და პეტერბურგში დაასრულა.[59] ამ დროს წერაკითხვის უცოდინარი იღუმენი მას ლოთობაში (?!) ადანაშაულებდა.

[57] РГИА. ф. 796. оп. 189. д. 807, л. 119.
[58] РГИА. ф. 796. оп. 189. д. 807, л. 123-124.
[59] ხეც. კირიონის ფონდი. ს. 107, 345, 1136-1138, 1397.

ავგუსტინის საჩივარი ერთადერთ ღირებულ ინფორმაციას შეიცავდა იმის შესახებ, რომ 18 ნოემბრისთვის კირიონს ბარგი უკვე გამზადებული ჰქონდა და პეტერბურგში გასამგზავრებლად ემზადებოდა. შესაბამისი ნებართვაც 25 ნოემბერს მოუვიდა.[60] ამის შემდეგ ეპისკოპოსი კირიონი პეტერბურგში გაემგზავრა და უკან სანაქსარის მონასტერში არ დაბრუნებულა. 1909 წ. 8 დეკემბრიდან 1910 წ. 23 იანვრამდე იგი პეტერბურგის ერთ-ერთ კლინიკაში ექიმ ი. შ. დობრიანსკისთან მკურნალობდა.[61] 1910 წ. 26 იანვარს კირიონს საპენსიო უზრუნველყოფაც აღუდგა, რომელიც 1908 წ. 9 დეკემბრიდან შეჩერებული იყო. რუსეთის მთავრობის შესაბამის გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ *„სასამართლო გამოძიების შეწყვეტის გამო, ეპისკოპოს კირიონის მიმართ არსებული ეჭვები დაუსაბუთებლად უნდა ჩაითვალოს, ამიტომაც მის საპენსიო უზრუნველყოფაზე უარის თქმის მიზეზები ამჟამად უკვე არ არსებობენ“*.[62] ამრიგად, ეგზარქოს ნიკონის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით ეპისკოპოს კირიონის უდანაშაულობა თვით რუსეთის მთავრობამაც აღიარა.

იმყოფებოდა რა პეტერბურგში, ეპისკოპოსი კირიონი ცდილობდა მისი გადასახლებისა და დევნის მიზეზებში გარკვევას. ამის თაობაზე 1910 წ. 13 თებერვალს მან უწმინდეს სინოდს მიმართა. *„იმთავითვე იოლი მისახვედრი იყო, – წერდა კირიონი, – რომ სანაქსარში ჩემი გადასახლება მკაცრად სადამსჯელო ხასიათს ატარებდა. ჩემთვის უცნობია, ჩატარდა თუ არა ჩემი სასამართლო, მაგრამ ნებისმიერ სასამართლოში განსასჯელმა იცის, რაში ადანაშაულებენ და რისთვის ასამართლებენ. ამ თვალსაზრისით ჩემთვის გამონაკლისი იქნა დაშვებული. სასჯელი მოვიხადე, მაგრამ აქამდე არც ის ვიცი, ვინ არიან ჩემი ბრალმდებლები, არც ის, თუ რაში მდგომარეობს ბრალდება. სხვათა შორის, კანონი არავის ასამართლებს, თუ პირველ რიგში მას არ მოუსმინა. ამიტომ უმორჩილესად ვთხოვ თქვენს უწმინდესობას მომცეთ შესაძლებლობა, გავეცნო ჩემს შესახებ არსებულ მიმოწერას და ობერ-პროკურორის კანცელარიის დირექტორის ბატონ იაცკევიჩის მოხსენებას იმ ნაწილში, რომელიც მე მეხება“*.[63]

---

[60] ხეც. კირიონის ფონდი, ს. 19.

[61] ხეც. კირიონის ფონდი, ს. 23.

[62] И. Е. Мельникова. К истории восстановления автокефалии Грузинской церкви, გვ. 403; И. Е. Мельникова, В. В. Олевская. Из истории пребывания епископа Кириона (Садзаглишвили) на покое в период 1908-1910 гг, გვ. 53; Православная Энциклопедия, т. XXXIV, გვ. 727-728.

[63] РГИА. ф. 796. оп. 189. д. 807, л. 120; ხეც. კირიონის ფონდი, ს. 24.

პარალელურად, ეპისკოპოსმა ინოკენტიმ სანაქსარის მონასტრის წინამძღვრის ხელმოწერით კირიონის წინააღმდეგ შედგენილ და 18 ნოემბრით დათარიღებულ ე. წ. მოხსენებას შემდგომი მსვლელობა მისცა. 1909 წ. 1 დეკემბერს იგი უწმინდეს სინოდში მიტროპოლიტ ანტონის (ვადკოვსკი) სახელზე გააგზავნა.[64] მიტროპოლიტმა კი ინოკენტის მიმართვა იმავე წლის 7 დეკემბერს იღუმენ ავგუსტინის *„მოხსენებასთან“* ერთად უწმინდეს სინოდს წარუდგინა.[65] იმავე დღეს, 1909 წ. 7 დეკემბერს, ტამბოვისა და შაცკის ეპისკოპოსი ინოკენტი (ბელიაევი), რომლის განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ ეპისკოპოსი კირიონი სანაქსარის მონასტერში ერთი წლის განმავლობაში იტანჯებოდა, საქართველოს ეგზარქოსად დაინიშნა. მისი ადგილი კი ამავე წლის 30 დეკემბერს რუსეთის ეკლესიის მომავალმა წმინდანმა ეპისკოპოსმა კირილემ (სმირნოვი) დაიკავა, რომელიც მოგვიანებით, 1918 წ. 1 აპრილს, კავკასიის ეგზარქოსად და თბილისი-ბაქოს მიტროპოლიტად დაინიშნა, თუმცა დანიშვნის ადგილზე ჩასვლა ვერ მოახერხა.

ტამბოვისა და შაცკის ახალი მღვდელმთავრის პირობებში უწმინდესმა სინოდმა 1910 წ. 19 თებერვალს მიიღო გადაწყვეტილება № 1362 *„ეპისკოპოს კირიონის ტემნიკოვის მონასტრიდან გადაყვანის შესახებ“*. სინოდის დღის წესრიგში ორი საკითხი იდგა: *„1) ყოვლადსამღვდელო კირიონის, კოენის ყოფილი ეპისკოპოსის 1909 წლის 1 ნოემბრის ახსნა-განმარტება, რომელშიც უჩივის რა ტემნიკოვის სანაქსარის მონასტრის წინამძღვრის იღუმენ ავგუსტინის მისდამი უსამართლო დამოკიდებულებას, სხვათა შორის, ითხოვს ხსენებული მონასტრიდან მის განთავისუფლებას და 2) მისივე ამა წლის 13 თებერვლის მოხსენება თხოვნით, მიეცეს შესაძლებლობა გაეცნოს მის შესახებ არსებულ მიმოწერას და საქართველოს საეგზარქოსოს დაწესებულებათა ყოფილი რევიზიის ანგარიშის იმ ნაწილს, რომელიც მას ეხება და რომლის შედეგადაც მოხდა ხარკოვის კურიაჟის მონასტრიდან სანაქსარის მონასტერში მისი გადაყვანა“*.

განიხილა რა დღის წესრიგის ორივე საკითხი, სინოდმა განაჩინა: *„1) ყოვლადსამღვდელო კირიონი ტამბოვის ეპარქიის ტემნიკოვის სანაქსარის მონასტრიდან საცხოვრებლად გადაყვანილ იქნას თავრიდის ეპარქიის ხერსონის წმინდა ვლადიმირის მონასტერში, ამასთანავე თავრიდის ყოვლადსამღვდელომ გასცეს განკარგულება მონასტერში ოთახით, მაგიდითა და მოსამსახურით*

[64] РГИА. ф. 796. оп. 189. д. 807, л. 122.
[65] РГИА. ф. 796. оп. 189. д. 807, л. 121.

ეპისკოპოს კირიონის უზრუნველყოფის შესახებ და 2) ყოვლადსამღვდელო კირიონის მეორე თხოვნის უსაფუძვლობის გამო, ამ თხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვას“.[66]

მიღებული განჩინება ამჯერად დროულად შეიდა ძალაში და მეორე დღესვე შესრულდა – 20 თებერვალს ობერ-პროკურორსა და სინოდის სამეურნეო სამმართველოს სათანადო შეტყობინებები გაეგზავნათ; შესაბამისი ბრძანებულებები მიიღეს აგრეთვე თავრიდის იმჟამინდელმა ეპისკოპოსმა (1913-1914 წლებში კი საქართველოს ეგზარქოსმა) ალექსიმ (მოლჩანოვი) და ტამბოვის ეპისკოპოსმა კირილემ (სმირნოვი).

ამრიგად, კირიონის მთავარი თხოვნა სანაქსარის მონასტრიდან მისი გადაყვანის შესახებ სინოდმა დააკმაყოფილა არა 1912 წელს, როგორც ცალკეულ ავტორებს მიაჩნიათ,[67] არამედ 1910 წ. 19 თებერვალს. მეორე თხოვნა კი დასჯის მიზეზებში გარკვევის შესახებ, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, უწმინდესმა სინოდმა არ დააკმაყოფილა. ასეთი გადაწყვეტილება იმიტომაც იყო მოსალოდნელი, რომ ერთი თვით ადრე, 1910 წ. 16 იანვარს, არ დაკმაყოფილდა რიაზანის სამების მონასტერში გადასახლებული არქიმანდრიტ ამბროსის (ხელაია) ანალოგიური თხოვნა, რომლითაც იმავე წლის 12 იანვარს მან სინოდს მიმართა.[68] 1910 წ. თებერვლის მეორე ნახევარში, როდესაც მამა ამბროსი პეტერბურგის გავლით სტარაია რუსას მონასტერში (რომლის წინამძღვრადაც იყო დანიშნული) მიემგზავრებოდა, დედაქალაქში მყოფ კირიონს შეხვდა. ორივესთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მათ ზურგს უკან შეთითხნილ ბრალდებებში გარკვევას, რასაც სიცოცხლის ბოლომდე ვერც ერთი ელირსა და ვერც მეორე.

ხერსონის მონასტერში გამგზავრებამდე ეპისკოპოსი კირიონი ამ საკითხზე მიტროპოლიტ ანტონსაც (ვადკოვსკი) ესაუბრა, რომლის შინაარსს თავადვე გადმოგვცემს. *„არავითარი სასამართლო თქვენს მიმართ არ შემდგარა,* – უთქვამს მიტროპოლიტს, – *საერო მთავრობამ მოგვახსენა, რომ თქვენთან ქართველი სტუდენტები დადიან და თქვენ გადაგიყვანეს სანაქსარის მონასტერში. სამწუხაროდ, თქვენ იქ გაიწროებდნენ, მაგრამ იმ დროს სხვა თავი-*

[66] РГИА. ф. 796. оп. 189. д. 807, л. 127.

[67] И. Е. Мельникова, В. В. Олевская. Из истории пребывания епископа Кириона (Садзаглишвили) на покое в период 1908-1910 гг, გვ. 53; Православная Энциклопедия. т. XXXIV, გვ. 728 და სხვ.

[68] РГИА. ф. 796. оп. 189. д. 807, лл. 136-137, 140.

სუფალი მონასტერი არ იყო. ამაზე მე შენიშნე, რომ სანაქსარის უდაბნოში გადამიყვანეს არა წინამძღვრის თანამდებობაზე, არამედ მხოლოდ საცხოვრებლად. საცხოვრებელი ადგილი კი, როგორც მე ვითხოვდი, სამრეთის რომელიმე მონასტერში შეიძლებოდა დანიშნულიყო. მიტროპოლიტმა თქვა, რომ ის მშვიდობის მომხრეა და ამის გამო ბევრი უსიამოვნება გადამხდაო. ამჟამად ქართველები და რუსები ორ მტრულ ბანაკად დაიყვნენო. – და ეს ყველაფერი დეკანოზ ვოსტორგოვის დანაშაულებრივი საქმიანობის ნაყოფია, დავსძინე მე ჩემის მხრიდან“.[69]

კირიონის მიერ სანაქსარის მონასტრის დატოვების შემდეგ ტამბოვის ახალი ეპისკოპოსი კირილე (სმირნოვი) შეუდგა სინოდის 1909 წ. 19 ნოემბრის გადაწყვეტილების შესრულებას იღუმენ ავგუსტინის ფინანსური თუ სხვა სახის დარღვევების გამოძიების შესახებ, რომლებიც ქართველი მღვდელმთავრის 1909 წ. 1 ნოემბრის ახსნა-განმარტებაში იყო მითითებული. ამ საკითხის შესწავლა მან კოზლოვის ეპისკოპოსსა და ტამბოვის ეპარქიის ვიკარს გრიგოლს (იაცკოვსკი) დაავალა. გამოძიების შედეგად მომზადებული მოხსენება ეპისკოპოსმა კირილემ 1910 წლის 11 მაისს უწმინდეს სინოდს წარუდგინა.[70] მასში უარყოფილია კირიონის მიერ ავგუსტინისთვის წაყენებული ძირითადი ბრალდებები. მოხსენების ავტორი უსაფუძვლოდ ამტკიცებდა, რომ ავგუსტინი არა თუ არ ავიწროებდა, პირიქით, ცდილობდა კირიონისთვის მონასტრული ცხოვრების შემსუბუქებას. მსგავს სიცრუესთან ერთად, დოკუმენტი ერთ საინტერესო აღიარებასაც შეიცავს. *„თუ იყო გარკვეული შეზღუდვა თავისუფლების მხრივ (მონასტრიდან ქალაქში ან სხვა მონასტერში წასვლა), ეს დამოკიდებული იყო არა ავგუსტინზე, არამედ მის უფროსზე, რომლის მითითებითაც იგი ამ შემთხვევაში მოქმედებდა“*, – ნათქვამია მოხსენებაში. ავგუსტინი კი ყველა შემთხვევაში ეპისკოპოს ინოკენტის (რომელსაც კირიონზე ზედამხედველობა ევალებოდა) მითითებით მოქმედებდა. ეპისკოპოს გრიგოლის მოხსენების თანახმად, მონასტრის წინამძღვარს არც ფინანსური დარღვევები დაუდასტურდა. მოხსენებაში გაზიარებულია კირიონის მხოლოდ ერთი ბრალდება ავგუსტინის მიმართ – სანაქსარის მონასტერში შემოსული სოლიდური თანხების წლების მანძილზე სპეციალურ წიგნში აღრიცხვის გარეშე გახარჯვა.

[69] ზეც. კირიონის ფონდი, ს. 24.
[70] РГИА. ф. 796. оп. 189. д. 807, лл. 128-130.

1910 წ. 18 სექტემბერს უწმინდესმა სინოდმა მიიღო № 7564 გადაწყვეტილება *„ყოვლადსამღვდელო კირიონის საჩივარზე ტფილისის სანაქსარის მონასტერში წინამძღვრის იღუმენ ავგუსტინის მხრიდან მისი შევიწროებისა და არასწორი ქმედებების თაობაზე“*. სინოდმა მთლიანად გაიზიარა ეპისკოპოს გრიგოლის (იაცკოვსკი) დასკვნები, მიიღო განჩინება აღნიშნული საქმის შეწყვეტის შესახებ, რის თაობაზეც 1910 წ. 7 ოქტომბერს ტამბოვის ეპისკოპოს კირილეს შეატყობინა.[71]

ხერსონის წმინდა ვლადიმირის შედარებით ახალ (ეკურთხა 1891 წლის 17 ოქტომბერს) და ცნობილ მონასტერში კირიონმა ხუთი წელი გაატარა. იმ პერიოდში მონასტრის უცვლელი წინამძღვარი იყო ეპისკოპოსი ინოკენტი (სოლოტჩინი), ეპარქიაში კი რამდენიმე მღვდელმთავარი შეიცვალა. 1910 წ. 5 ნოემბრამდე მას ალექსი (მოლჩანოვი) განაგებდა, იმავე წლის 19 ნოემბრიდან – თეოფანე (ბისტროვი), 1912 წ. 25 ივნისიდან – დიმიტრი (ა-ბაშიძე). შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მოწინააღმდეგის – დიმიტრის დანიშვნა ავტოკეფალისტთა შერისხული ლიდერის „უფროსად“, ისევე როგორც შემთხვევით არ მომხდარა საქართველოს ეგზარქოსებად იმ მღვდელმთავრების დაწინაურება (ინოკენტი /ბელიაევი/, ალექსი /მოლჩანოვი/ და კირილე /სმირნოვი/), რომელთა ეპარქიებშიც კირიონი იყო გადასახლებული.

სანაქსარის მონასტრიდან ხერსონში გადაყვანით კირიონის გადასახლებისა და დევნის ყველაზე მძიმე პერიოდი დასრულდა. მიუხედავად ამისა, იგი კვლავაც დევნილად რჩებოდა, რადგანაც 1915 წ. იანვრამდე ეპარქიის მართვის, ხოლო 1917 წ. თებერვლამდე სამშობლოში დაბრუნების უფლება ჩამორთმეული ჰქონდა.

[71] РГИА. ф. 796. оп. 189. д. 807, лл. 131-132.

Jemal Gamakharia

SAINT MARTYR KIRION III (II) (SADZAGLISHVILI) DURING THE PERIOD OF EXILE IN THE YEARS 1908-1910

Summary

After the murder of exarch of Georgia Nikon (Sofiiski), committed on May 28, 1908, the whole empire became obsessed with the anti-Georgian hysteria. The authorities had only one version of involvement in the matter of the leaders and activists of the movement for the restoration of autocephaly headed by bishop Kirion. The court and investigative organs and a special revision commission of the Holy Synod formed on September 10,1908 worked on that version. On the basis of report of above mentioned commission, on December 20 of the same year the Holy Synod passed the extended six item decision №9168. The first item provisioned moving of Kirion from the Kuriaj Monastery of the Kharkov Eparchy (where he lived as a pensioner from April 23, 1908) to the Sanaksar Monastery of Temnikov in the Tambov Eparchy under the supervision of archiereus of the local eparchy Inokenti (Beljaev).

On January 17, 1909, when Kirion was still at the Moscow Hospital of Golitsin, his treatment was interrupted and he was compulsorily sent into exile to the Sanaksar Monastery. The living conditions were made unbearable for him. On February 13, 1910, Kirion wrote to the Holy Synod, that he did not know, why and by whom he was being punished so cruelly. The authorities did not introduce him to the accusation constituting a ground for his exile. At the beginning of September, 1909 when the court proved an alibi and consequently non-involvement of Kirion in the murder of Exarch, he also was not informed about it. Georgian archiereus did not know that on October 7,1909 Tbilisi Court District dismissed criminal investigation of Nikon murder case, as it was not able to prove the guilt of the autocephalists, as well as did not manage to uncover the solicitator, or the performers of the murder. Those vital for him circumstances did not affect Kirion's condition immediately. His further stay in the exile was the proof of the fact that he first and foremost was persecuted as a leader of the autocephalic movement of the Georgian clergy. The unsolved murder of the exarch was a convenient motive for the persecution aiming to weaken the autocephalic movement.

On November 1, 1909 Kirion appealed to the Holy Synod with the extended explanation. He named the examples of his oppression in the monasteries. The explanation held an appeal on moving him from the Sanaksar Monastery to one of the hospitals of the capital. According to the decision of the Holy Synod made on November 7 and 19, 1909, Kirion arrived at Petersburg at the end of November of the same year, where he proceeded with the treatment till January 23,1910. From January 26 he started to get the pension entitled to him, suspended on December 9, 1909.

On February 19, 1910 the Holy Synod moved bishop Kirion from the Sanaksar Monastery to Saint Vladimir Kherson Monastery of the eparchy of Tavria. It was the end of the hardest period of his exile, which continued till 1917.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება.
შოთა მესხია – 100
თბილისი. 2016

Фархад Джаббаров

ФАКТОР АЗЕРБАЙДЖАНСКОЙ НЕФТИ В ПОЛИТИКЕ РОССИИ ПО УТВЕРЖДЕНИЮ СОВЕТСКОЙ ВЛАСТИ В ГРУЗИИ (1920-1922)

В апреле 1920 г., в результате военной агрессии со стороны Советской России, пала независимая Азербайджанская Республика. Просуществовав 23 месяца, она стала первой жертвой большевистской экспансии на Южном Кавказе. Захват Азербайджана определялся рядом приоритетных факторов военного, политического и экономического характера. Учитывалось геостратегическое положение страны и то значение, которое она имела для распространения советской власти на Южном Кавказе. Азербайджану отводилась особая роль и в политике России на мусульманском Востоке в качестве образцовой советской республики, формально считающейся независимой. Однако определяющим в отношении России к Азербайджану являлся фактор бакинской нефти. Помимо обеспечения внутренних потребностей, нефть была призвана стать козырной картой и во внешней политике Москвы. Свою политику на Южном Кавказе, внешнеторговую деятельность, отношения с западными странами Россия часто вела, используя фактор бакинской нефти.

Захватом Азербайджана большевики положили начало распространению советской власти на Южном Кавказе. Еще в феврале 1919 г. в статье «Взгляд на захват Кавказа» один из лидеров азербайджанских большевиков Н. Нариманов писал: «...одним занятием Баку и укреплением в нём дело нельзя считать законченным... Вслед за Баку встаёт вопрос о Востоке. Некоторые наши русские товарищи надеются только на ружья и штыки. Но мы, истинные мусульманские коммунисты, говорим: до Баку – со штыками, но дальше надо отставить штыки, ибо нельзя двинуть на Кавказ и вообще на Восток огонь революции при помощи штыков. Раз навсегда нужно понять, что только хорошим обхождением, мягкой политикой, вни-

мательным отношением к психике побеждённого населения победившее войско может очистить себе путь и спокойно и безопасно оставаться в занятых местах».[1]

Интересы России на Южном Кавказе исходили из взгляда на регион как на стратегический форпост, открывающий широкие возможности для осуществления политических и экономических планов новой власти. Наиболее полно это видно из интервью с членом Политбюро ЦК РКП(б), народным комиссаром по делам национальностей И. Сталиным, опубликованном в газете «Правда» 30 ноября 1920 г. «Важное значение Кавказа для революции, – отмечал Сталин, – определяется не только тем, что он является источником сырья, топлива и продовольствия, но положением его между Европой и Азией, в частности между Россией и Турцией, и наличием важнейших экономических и стратегических дорог (Батум-Баку, Батум-Тавриз, Батум-Тавриз-Эрзерум). Всё это учитывается Антантой, которая, владея ныне Константинополем, этим ключом Черного моря, хотела бы сохранить прямую дорогу на Восток через Закавказье. Кто утвердится в конце концов на Кавказе, кто будет пользоваться нефтью и наиважнейшими дорогами, ведущими в глубь Азии, революция или Антанта, – в этом весь вопрос».[2]

После апреля 1920 г. Азербайджан был единственной советской республикой на Южном Кавказе, и поэтому ему отводилась особая роль в утверждении советской власти в регионе. С одной стороны, Азербайджан должен был стать плацдармом для распространения большевизма в Грузии и Армении, с другой же, – бакинская нефть призвана была сыграть роль рычага давления на эти республики. Следует подчеркнуть, что внутреннее положение в Грузии и Армении в это время было очень тяжёлым. Расстройство традиционных хозяйственных связей, экономический кризис, внутриполитическая борьба являлись характерными чертами развития этих государств в 1920 г. Чтобы найти выход из экономических трудностей, Грузия и Армения испытывали необходимость в нормальном топливном обеспечении. После апреля 1920 г. Тифлис и Эриван старались наладить отношения с новообразованным правительством Азербайджанской ССР для того, чтобы оно осуществляло поставки нефти.

[1] Нариманов Н. Н. Избранные произведения: в 2-х томах. Т. 2. Баку. 1989. С. 189-190.
[2] А. Ментешашвили. Из истории взаимоотношений Грузинской Демократической Республики с советской Россией и Антантой. 1918-1921 гг. // http://sisauri. tripod. com (дата запроса: 24. 10. 2016).

В случае с Грузией наиболее ярко прослеживается то, как Советская Россия манипулировала фактором бакинской нефти. Сразу после апреля 1920 г. экономические связи между Азербайджанской ССР и Грузинской Республикой были прерваны. Правда, керосинопровод Баку–Батум ещё до апреля 1920 г. был заполнен керосином, и за счёт этого фонда удовлетворялись нужды грузинского правительства. Вскоре, однако, запасы иссякли и стала ощущаться потребность в нефти. Грузия стояла на грани политического кризиса, усугубляемого экономической ситуацией. Характеризуя положение Грузии, И. Сталин в беседе с сотрудником газеты «Правда» 30 ноября 1920 г. отмечал: «Катастрофическое хозяйственное и продовольственное положение Грузии – факт, констатируемый даже заправилами нынешней Грузии. Грузия, запутавшаяся в тенетах Антанты и ввиду того лишившаяся как бакинской нефти, так и кубанского хлеба, Грузия, превратившаяся в основную базу империалистических операций Англии и Франции и потому вступившая во враждебные отношения с Советской Россией, эта Грузия доживает ныне последние дни своей жизни».[3] В таких условиях Россия пошла на дипломатические манёвры. Используя Азербайджан, она добилась подписания в июне 1920 г. соглашения между Баку и Тифлисом, по которому Азербайджан до выработки и подписания торгово-транзитного договора с Грузией отпускал последней 16380 тонн нефти.[4] Договор же предусматривалось заключить не позже одного месяца со дня подписания настоящего соглашения. Но советское правительство всячески старалось задержать подписание торгового договора. Так, на заседании Бюро ЦК АКП(б) от 15 июля 1920 г. был заслушан доклад наркома иностранных дел Азербайджанской ССР М. Д. Гусейнова. Бюро постановило не заключать торговый договор с Грузией и затягивать данный процесс. Обосновывалось это тем, что в Грузии проводятся репрессии против коммунистов. Другим мотивом было то, что у Азербайджана с Россией общая экономическая политика, и, следовательно, вопросы, касающиеся нефти, нужно решать совместно.[5] Наблюдается парадоксальная ситуация: юридически ещё никакой общей политики у Азербайджана с Россией не

[3] А. Ментешашвили. Из истории взаимоотношений Грузинской Демократической Республики с советской Россией и Антантой. 1918-1921 гг.
[4] Государственный архив Азербайджанской Республики (далее: ГААР): ф. 28. оп. 1. д. 55, л. 7.
[5] Архив политических документов Управления Делами Президента Азербайджанской Республики (далее: АПД УДПАР): ф. 1. оп. 1. д. 18, л. 13.

существует, но на неё делается ссылка. Это даёт основание в очередной раз утверждать, что Азербайджан полностью зависел от воли Москвы. Интересы же центра требовали, используя топливный кризис, оказывать постоянный нажим на Грузию и таким способом дестабилизировать там обстановку. Ярким примером может служить письмо Народного Комиссариата иностранных дел РСФСР от 15 сентября 1920 г. Н. Нариманову, в котором говорится о необходимости использовать нефтяной голод в Грузии для политического давления на неё.[6]

В то же время, Россия действовала в отношении Грузии осторожно, ибо опасалась, что чрезмерное давление может иметь отрицательные последствия. В связи с этим И. Сталин писал 5 октября 1920 г. В. Ленину, что Грузия вошла в Лигу Наций и возможна сдача Батума Антанте. «Нужно малыми дозами дать нефть Грузии, чтобы усилить трения внутри грузинского правительства и продлить колебания с целью выигрыша времени», – заключал И. Сталин.[7] Так и было сделано.

В октябре 1920 г. в Москве состоялось секретное совещание, на котором обсуждался вопрос об отпуске нефти Грузии. Здесь было отмечено, что в настоящий момент в Грузии имеется два политических течения: 1) за активный союз с Антантой и 2) за нейтралитет. Чтобы не допустить первого, было решено дать нефть и получить хотя бы нейтральную Грузию. На этом заседании характерным было выступление полномочного представителя РСФСР в Грузинской Республике А. Шейнмана. Он говорил: «…принимая во внимание экономическое положение Грузии, мы должны сказать, что Грузия никогда не сможет полностью на началах товарообмена покрыть отпущенную нефть. Собственно говоря, Советской власти придётся просто-напросто содержать Грузию, отпуская ей буквально даром необходимое ей количество нефти. Нас в этом вопросе должна интересовать только политическая сторона…».[8]

14 ноября 1920 г. было подписано торгово-транзитное соглашение между РСФСР, Азербайджанской ССР и Грузинской Республикой (договор так и не был подписан). Азербайджан должен был отпускать Грузии ежемесячно 12285 тонн нефтепродуктов, постепенно доводя эту цифру до 16380 тонн. Грузия же на сумму стоимости полученных ею нефтепродук-

[6] АПД УПДАР: ф. 609. оп. 1. д. 195, л. 38.
[7] АПД УПДАР: копийный фонд, д. 401.
[8] АПД УПДАР: ф. 609. оп 1. д. 36а, лл. 21-22.

тов должна была поставлять каменный уголь, лес и прочие материалы.[9] Все эти официальные акты были самой обыкновенной завесой, служащей тому, чтобы скрыть истинные намерения России и убедить грузин в отсутствии у Москвы агрессивных целей. Но даже и после соглашения от 14 ноября советское правительство периодически прекращало отправку нефти, мотивируя это преследованиями коммунистов в Грузии. 9 декабря 1920 г. правительство РСФСР известило А. Шейнмана, что отдано распоряжение о приостановке вывоза нефти в Грузию ввиду последних действий тифлисского правительства, не согласуемых с договорными отношениями, установленными между РСФСР и Грузинской Республикой. В ноте были перечислены следующие факты: 1) задержка передачи российских судов, находящихся в портах Грузии, советским властям; 2) правительство Грузии, несмотря на словесные заверения, не предпринимает никаких реальных мер к осуществлению беспрепятственного транзита через РСФСР и Азербайджанскую ССР в Армению, что срывает возможность своевременной продовольственной, топливной и иной помощи трудящимся массам Армении; 3) правительство Грузии возобновило массовые гонения и репрессии против членов Грузинской Компартии и т.д.[10]

В феврале 1921 г., после свержения национального правительства, в Грузии установилась советская власть. После этого Южный Кавказ окончательно оказался в руках России. Чтобы помочь новым властям укрепиться, начал осуществляться вывоз бакинской нефти в Грузию. С 25 февраля по 15 марта 1921 г. по железной дороге было отправлено 2326 тонн нефти и 25,6 тонн керосина.[11] В целом, за 1921 г. в Грузию было отправлено 21355 тонн, а в 1922 году – 9335 тонн бакинской нефти.[12] 14 марта 1921 г. был открыт нефтепровод Баку-Тифлис-Батум. В июне по нему было отпущено для Грузии – 2457 тонн нефтепродуктов.[13] В целом, за два года национализации – с 1920 г. по 1922 г. – в Армению и Грузию по железным дорогам было вывезено 171900 тонн бакинской нефти.[14]

[9] ГААР: ф. 28, оп. 1, д. 55, л. 54.
[10] А. Ментешашвили. Из истории взаимоотношений Грузинской Демократической Республики с советской Россией и Антантой. 1918-1921.
[11] И. К. Гассиев. Братская взаимопомощь народов Закавказья и Дагестана в строительстве социализма. «Азербайджан архиви». 1969. № 1, С. 40.
[12] ГААР: ф. 1610. оп. 13. д. 213, лл. 97-98.
[13] ГААР: ф. 1610. оп. 11. д. 26, лл. 2-4; И. К. Гассиев. Братская взаимопомощь народов Закавказья и Дагестана в строительстве социализма, с. 41.
[14] И. К. Гассиев. Братская взаимопомощь народов Закавказья и Дагестана в строительстве социализма, с. 41.

Нефть была призвана служить целям России по осуществлению всемирной революции. С интересами же Азербайджана никто не считался. Вывоз нефти в Армению и Грузию, так же как и в Россию, осуществлялся без всяких нарядов. Его регулировало Закавказское бюро по перевозкам, которое учитывало транспортные условия, наличие цистерн и другие возможности, кроме одной – расчёты с «Азнефтью» за отпускаемые нефтепродукты. Лишь позднее, в 1922 г., когда «Азнефти» была предоставлена относительная торговая самостоятельность, взаимоотношения треста с республиками стали регулироваться специальными соглашениями. К примеру, 25 января 1922 г. в Тифлисе А. Серебровский подписал с ВСНХ Грузинской ССР договор, по которому «Азнефть» отпускала ВСНХ Грузии нефтепродукты ежемесячно в количестве 2620 тонн нефти, 2375 тонн керосина, 65,52 тонн машинного масла, 32,76 тонн цилиндрического масла, 81,9 тонн бензина и т. д. Грузинская сторона расплачивалась российскими рублями (не менее 50%), а остальное – товарами или деньгами.[15]

Для полного утверждения контроля над республиками Южного Кавказа перед Россией встала задача объединить их под видом добровольного союза. Отметим, что до советизации Армении и Грузии она заключила ряд договоров с Азербайджанской ССР, предусматривающих объединение различных сфер политической и экономической жизни двух государств. В результате Азербайджан терял самостоятельность во многих областях, в том числе, экономической и торговой. Не имея потенциальной возможности помочь Армении и Грузии, ввиду собственной экономической слабости, Москва осуществляла восстановление жизни в этих республиках за счёт природных богатств Азербайджана. Не случайно, выступая на Кавказском совещании комсомола, Г. Орджоникидзе сказал: «Всем известно, что в Тифлисе находятся главные железнодорожные мастерские, в Баку находится…топливо, в отстоящей в стороне Армении нет ни того, ни другого… Основное, что нужно помнить, это то, что тифлисские мастерские не могут существовать без бакинской нефти, Баку не может наладить транспорта без тифлисских мастерских; Армения не может существовать без помощи Азербайджана и Грузии».[16]

9 апреля 1921 г. В. Ленин настоятельно требовал от руководителей республик Южного Кавказа создать единый областной хозяйственный ор-

[15] ГААР: ф. 1610. оп. 16. д. 202, л. 1.
[16] Г. К. Орджоникидзе. Статьи и речи: в 2-х томах. Т. 1. М. 1956. С. 188-189.

ган. Об этом он сообщал в телеграмме на имя Г. Орджоникидзе. Выступая позже, российский лидер указывал, что нефть производит Азербайджан, перекачивается она через Батум, по грузинской территории, соответственно, по словам В. Ленина, «будет единый хозяйственный центр».[17] Г. Орджоникидзе, приехав в Баку и получив телеграмму, сразу созвал Пленум ЦК АКП(б). В своём выступлении он отметил необходимость объединения Южного Кавказа не только политически, но и экономически, так как восстановление экономики в республиках шло, якобы, хаотично. Он был вынужден признать, что внешторги республик конкурировали между собой на внешнем рынке, но валютой служила бакинская нефть, которая бесплатно отпускалась Армении и Грузии. В то же время Г. Орджоникидзе отметил, что Азербайджанской и Грузинской республикам придётся взять на себя снабжение Армении, так как она обладает гораздо меньшими средствами.[18] Позиция Г. Орджоникидзе получила неоднозначную оценку в выступлениях азербайджанских коммунистов А. Караева и Г. Султанова. А. Караев, считая ненормальным тот факт, что Грузия и Армения, получая бакинскую нефть как валюту, конкурируют с Азербайджаном, предлагал оставить самостоятельными республиканские внешторги. Г. Султанов указывал, что объединение приведёт к разрешению экономических проблем одной республики в ущерб другой. Поэтому Г. Орджоникидзе вынужден был признать, «что товарищи азербайджанцы оставляли прикрытым вопрос, который раскрыл Султанов. Если вопрос ставится строго эгоистически, то надо ответить прямо, что в большей степени будет «обижен» Азербайджан и абсолютно не будет «обижена» Армения. Если вопрос ставится по-советски, кто-нибудь из вас осмелится выступить здесь и сказать, что всё, что нам удаётся получить в обмен на бакинскую нефть, которую природа создала здесь вот в Баку, а не в Эривани, наше и отказать армянским товарищам в помощи. Тут вопрос надо ставить так: будем ли мы помогать Советской Армении из своего голодного пайка, уделим ли мы им что-нибудь на правах равных товарищей, или мы скажем, если у тебя нет, то голодай».[19]

[17] П. А. Азизбекова. Руководство В. И. Ленина социалистическим строительством в Азербайджане в 1920-1923 гг. Баку. 1960, С. 179.
[18] С. В. Хармандарян. В. И. Ленин и становление Закавказской федерации. 1921-1923 гг. Ереван. 1969, С. 128-129.
[19] С. В. Хармандарян. В. И. Ленин и становление Закавказской федерации, С. 131.

Анализируя ход этой дискуссии интересно отметить, что наиболее ярым сторонником объединения республик выступила позднее именно Коммунистическая партия Азербайджана. В обращении от 14 декабря 1921 г. ко всем местным партийным организациям ЦК АКП(б) заявлял: «…Нормальное развитие хозяйственной жизни советских республик Закавказья невозможно… до тех пор, пока они представляют собой самовладеющие, замкнутые, обособленные государственные единицы. Развитие хозяйства и развитие всех производительных сил страны… ускоряется при расширении хозяйственной территории, когда различные области, с разнообразием естественных богатств объединяются в единый хозяйственный организм. Такое объединение является основной проблемой восстановления экономической мощи советских республик Закавказья».[20]

Особое место в объединительном процессе южнокавказских республик правительство России уделяло вопросам, связанным с объединением в области внешней торговли. Так, В. Ленин в своих письмах и телеграммах предлагал местным руководящим работникам урегулировать этот вопрос. Урегулирование в понимании В. Ленина предусматривало объединение внешнеторговой деятельности в рамках единого областного органа. В частности, переписываясь с Г. Орджоникидзе по поводу заключения республиками Южного Кавказа торговых договоров с иностранными фирмами, В. Ленин 19 апреля 1921 г. запрашивал его, кто ведает внешней торговлей и «объединены ли в этом отношении Грузия, Армения, Азербайджан...?».[21] 26 апреля 1921 г. состоялось совещание, на котором было принято решение об объединении органов внешней торговли Азербайджана, Грузии и Армении,[22] а 2 июня подписано соответствующее соглашение.[23] Оно фактически превращало последние две республики в обладателей доходов от реализации бакинской нефти на внешних рынках. С другой стороны, передача по соглашению всех экспортно-импортных операций в регионе в руки Областного внешторга впоследствии мешала самостоятельности Азербайджана в продаже нефтяных продуктов за границей.[24] Окончатель-

[20] Коммунистическая партия Азербайджана в резолюциях и решениях съездов, конференций и пленумов ЦК: в 2-х томах. Т. 1. Баку. 1986, С. 72.
[21] П. А. Азизбекова. Руководство В. И. Ленина социалистическим строительством в Азербайджане в 1920-1923 гг., С. 180.
[22] ГААР: ф. 28, оп. 1. д. 125, л. 80.
[23] M. C. Qasımov. Xarici dövlətlər və Azərbaycan (aprel işğalından SSRİ yaradılana qədərki dövrdə diplomatik-siyasi münasibətlər). Bakı. 1998. S. 45.
[24] АПД УДПАР: ф. 1. оп. 2. д. 24, л. 4; АПД УДПАР: ф. 609. оп. 1. д. 32, л. 20.

но внешнеторговую самостоятельность республика утратила после соглашения от 7 августа 1921 г. между РСФСР, Азербайджаном, Грузией и Арменией. По соглашению, республики Южного Кавказа могли заключать торговые договоры с иностранными государствами только с согласия России.[25] В январе 1922 г. Грузинская и Армянская ССР заключили договор с Азербайджанской ССР о снабжении их нефтью и нефтепродуктами. По этому соглашению, Азербайджан ежемесячно отпускал для нужд Грузии 3718 тонн нефтепродуктов и для Армении более 1638 тонн.[26]

Таким образом, неравные в экономических ресурсах республики были искусственно уравнены в распределении природных богатств. Осознавая это и понимая пагубность такого положения для Азербайджана, Н. Нариманов выступил в декабре 1922 г. с письмом – особым мнением о Закавказской Федерации. В нём, в частности, говорилось о необходимости: «а) сохранять самостоятельность за каждой республикой, т. е. не обезличивать высшие государственные органы республик (ЦИК и СНК); б) давать возможность каждой республике развивать самодеятельность в области промышленности; в) не форсировать в тех вопросах, решение которых приносит явный материальный вред одной республике в пользу другой».[27]

Объединение республик Южного Кавказа завершилось созданием в 1922 г. Закавказской Федерации, а затем включением их в состав СССР. Тем самым, они были лишены и формальной независимости.

Таким образом, используя бакинскую нефть, Россия активно претворяла в жизнь политику по утверждению советской власти на Южном Кавказе. Пользуясь внутренней нестабильностью в Грузии, она умело использовала нефтяной фактор, как средство давления на неё. Бакинской нефти суждено было также сыграть одну из важных ролей в деле объединения республик Южного Кавказа в федерацию. Хотя это объединение шло в различных сферах, приоритетным, конечно являлось экономическое направление. И здесь природное богатство Азербайджана должно было стать источником как восстановления экономики Грузии, так и создания новой инфраструктуры Закавказской Федерации.

[25] M. C. Qasımov. Xarici dövlətlər və Azərbaycan, S. 116.
[26] ГААР: ф. 411. оп. 1. д. 24, лл. 2-3.
[27] АПД УДПАР: ф. 609. оп. 1. д. 106, л. 1.

Farhad Jabbarov

FACTOR OF AZERBAIJAN OIL IN THE POLICY OF RUSSIA WHILE ESTABLISHING THE SOVIET POWER IN GEORGIA (1920-1922)

Summary

This article examines the role of Baku oil in the policy of Soviet Russia in the South Caucasus which is less studied issue in historiography. Author shows that Azerbaijan petroleum was used by Russia for putting pressure on the government of Republic of Georgia in 1920-1921. Russia was continuously attempting to use the oil crisis in Georgia in order to manipulate interior political processes and deteriorate situation in the country. Russia initiated projects targeting the export of Baku oil after the establishment of Soviet power in Georgia in order to support the new government to strengthen its position. Article also covers the issues connected with the role of Azerbaijan petroleum in establishment of Federation of the Republics of the South Caucasus in 1922.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება.
შოთა მესხია – 100
თბილისი. 2016

იგორ კეკელია

შოთა მესხიას ეტიმოლოგიური ძიებანი

გამოჩენილი ქართველი მეცნიერის – შოთა მესხიას კალამს ეკუთვნის 100-მდე გამოკვლევა ფეოდალური ხანის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის, ქალაქების ისტორიისა და საქალაქო წყობის, წყაროთმცოდნეობისა და ისტორიოგრაფიის პრობლემურ საკითხებზე. იგი დაინტერესებული იყო საქართველოს გეოგრაფიულ სახელწოდებათა კვლევით. უაღრესად საინტერესოა მეცნიერის არგუმენტირებული მსჯელობანი საქართველოს ისეთ ცნობილ ტოპონიმებზე, როგორებიცაა **„თბილისი“, „ზუგდიდი“** და **„ნავთლული“-„ერეკლეს ციხე“-„ერეკლესი“**.

1952 წელს გამოცემული პოპულარული ნაშრომით ქართველმა მეცნიერებმა მიზნად დაისახეს თბილისის წარსულის გადმოცემა დაარსებიდან XIX ს. დამდეგამდე.[1] აკად. როინ მეტრეველის შეფასებით, ამ და 1958 წელს დაბეჭდილი *„თბილისის ისტორიის“* (ავტორები: **დ. გვრიტიშვილი, მ. დუმბაძე, ა. სურგულაძე, შ. მესხია**) გამოცემა საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა „და შ. მესხიას ღვაწლი, როგორც ამ წიგნის მნიშვნელოვანი მონაკვეთების ავტორისა და რედაქტორისა, დიდად დასაფასებელია“.[2]

1952 წელს გამოქვეყნებული ნაშრომის III თავში *(„ქალაქის წარმოშობა“)* შ. მესხია მსჯელობს ქალაქ თბილისის წარმოშობისა და იმის შესახებ, *„თუ რატომ უნდა დარქმეოდა მას სახელად „თბილისი“.*[3] ავტორი შენიშნავს, რომ ამ საკითხით არაერთი ქართველი და უცხოელი მეცნიერი დაინტერესებულა. ზოგი მეცნიერი ქალაქის სახელს ქართველთა უძველესი წინაპრების,

[1] დ. გვრიტიშვილი, შ. მესხია. თბილისის ისტორია. თბ. 1952.

[2] რ. მეტრეველი. შოთა მესხია. ცხოვრება და მოღვაწეობა. კრებ.: შოთა მესხია – 90. თბ. 2006, გვ. 20.

[3] დ. გვრიტიშვილი, შ. მესხია. თბილისის ისტორია, გვ. 27.

თუბალების სატომო სახელს უკავშირებს. ამგვარი მტკიცების მიხედვით, თუბალების თუ თობლების მთავარი ქალაქი თუბალ-ისად, თობელის-ად იწოდებოდა. ზოგ მკვლევარს კი, ებრაელთა უძველეს საისტორიო წიგნში – *„ბიბლიაში“*, ანუ *„დაბადებაში“* მოხსენიებული *„თობელი“* ქალაქის სახელწოდებად მიაჩნდა და თბილისთან აიგივებდა. მაშასადამე, მეცნიერთა ეს ჯგუფი თბილისს უძველეს ქალაქად მიიჩნევდა. შ. მესხიას დაკვირვებით, ქალაქის სახელწოდების ამგვარი ახსნა ხელოვნური ჩანს: *„უფრო ბუნებრივი იქნებოდა გვეფიქრა, რომ ქალაქს სახელწოდება იმ თბილი წყაროებისაგან მიუღია, რომლითაც ეს ადგილი განთქმული იყო. ძველი თბილისი იმ ადგილას მდებარეობდა, რომელსაც ახლა „აბანოს უბანს“ ეძახიან და სადაც... თბილი და ცხელი გოგირდის წყაროები ამოდის. „თბილისი“ ქალაქს... ამ თბილი წყაროების გამო შეერქვა. ძველად „თბილის“ ნაცვლად „ტფილი“ ითქმოდა. ამიტომაც ამბობდნენ და წერდნენ თბილისის მაგიერ „ტფილისს“*.[4]

შ. მესხია ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზეც, რომ *„დასავლურ-ქართული ტომები – მეგრელები და სვანები ჩვენს დედაქალაქს **თბილისს** კი არ ეძახიან, არამედ **ქართს**. ეს სახელი მას მეტად საინტერესოდ ეჩვენება. „ქართი“, „ქართ-ლი-ს“, ქართ-ველისა და სა-ქართ-ველოს, ე. ი. ქვეყნის, მისი დედაქალაქისა და მცხოვრებთა აღმნიშვნელი სიტყვები „ქართ“ ძირისაგან წარმოდგება. „ქართი“ კი ჩვენ მეცნიერებს ქართველ ტომთა სამშობლოს უძველეს სახელწოდებად მიაჩნიათ. აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ „ქართლი“, ანუ მეგრული გამოთქმით, „ქართი“, ძველი ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით ერქვა ქართველთა უძველეს, მცხეთაზე უფრო ადრინდელ ქალაქს, შემდეგ დროინდელ არმაზ-ციხეს. როგორც ვხედავთ, დასავლელ ქართველებს, მეგრელებსა და სვანებს, ახალი დედაქალაქისათვის, თბილისისათვის, ძველის ძველი ციხე-ქალაქის სახელი უწოდებიათ“*.[5]

წიგნში შ. მესხიას დამოწმებული აქვს თქმულება ქალაქ თბილისის დაარსების შესახებ: ტყით დაფარულ თბილისსა და მის მიდამოებში სანადიროდ წამოსულ მეფე ვახტანგ გორგასალსა და მისი ამალის წევრებს ხოხობი აუფრენიათ. მეფის მიმინო ხოხობს გამოდევნებია, მაგრამ ორივე ფრინველი მალე დაკარგულა ცის სივრცეში. მეფეს და მის მხლებლებს დიდი ხნის ძებნის შემდეგ უნახავთ ცხელ წყაროში ჩავარდნილ-ჩათუთქული მიმინო და

[4] დ. გვრიტიშვილი, შ. მესხია. თბილისის ისტორია, გვ. 28.
[5] დ. გვრიტიშვილი, შ. მესხია. თბილისის ისტორია, გვ. 28.

ხოხობი. მეფეს ეს არემარე კარგად დაუთვალიერებია და მრავალი გრილი, თბილი და ცხელი წყაროც უნახავს. თან მოუხსენებიათ – ამ წყაროებს სამკურნალო თვისებები უნდა ჰქონდესო. ვახტანგს მოსწონებია წყაროები და მათი ადგილმდებარეობაც, დაუწყია ქალაქის აშენება და მისთვის, თბილი წყლების არსებობის გამო, სახელად **თბილისი** უწოდებია.[6] *„ხალხში დარჩენილ თქმულებას მაშინ აქვს მეცნიერული ღირებულება, –* აღნიშნავს შ. მესხია, *– როცა იგი სხვა მასალებითაც დასტურდება. ზოგი რამ ამ თქმულებაშიც არის სწორი, მაგრამ თბილისის გაშენება რომ მხოლოდ ვახტანგ გორგასალის დროს დაიწყო, ეს, რა თქმა უნდა, სწორი არაა. ჩვენ უკვე ვიცით, რომ თბილისის მიდამოებში უხსოვარ დროიდან ხალხი ცხოვრობდა და, რომ IV საუკუნის მეორე ნახევარში (ე. ი. ვახტანგის გამეფებამდე ერთი საუკუნით ადრე), ის უკვე ციხე-ქალაქადაც კი ითვლებოდა“.*[7]

„თბილისის“ ეტიმოლოგიას ეხება ცნობილი გეოგრაფი გრიგოლ ზარდალიშვილი. მისი აზრით, საქართველოს დედაქალაქს სახელი ეწოდა გოგირდის ცხელი წყაროების გამო.[8] გურამ ბედოშვილი, იმოწმებს რა ს. ჯანაშიას, დ. გვრიტიშვილისა და შ. მესხიას ნაშრომებს, შენიშნავს, რომ თბილისის ტერიტორია დასახლებული ყოფილა 5-6 ათასი წლის წინათ. მაშინდელი პატარა სოფელი გაშენებული უნდა ყოფილიყო დღევანდელ **აბანოსუბანში,** რადგან სახელწოდება **ტფილისის** წარმოქმნა დაკავშირებულია აქ გამომდინარე თბილ, გოგირდოვან მინერალურ წყაროებთან. ტფილისის უძველესი ციხე-სიმაგრეც აბანოსუბანთან იყო. ლეონტი მროველის ცნობით, ეს ციხე IV ს. II ნახევარში აუგია მეფე ვარაზ-ბაკურს. სწორედ ამ დროიდან იწყება აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცენტრად ტფილისის დაწინაურება.[9] *„მოქცევა ქართლისაჲს“* ცნობით, ეს ის პერიოდია, როცა *„მცხეთა ათხელდებოდა და ტფილისი ეშენებოდა, არმაზნი შემცირდებოდეს და კალა განდიდნებოდა“*.[10] რადგან ყველა უძველეს წყარო-

[6] დ. გვრიტიშვილი, შ. მესხია. თბილისის ისტორია, გვ. 24.

[7] დ. გვრიტიშვილი, შ. მესხია. თბილისის ისტორია, გვ. 24.

[8] გრ. ზარდალიშვილი. თბილისისა და მისი მიდამოების ტოპონიმია. თბ., 1978, გვ. 32. შდრ.: „საბელწოდება თბილი მიიღო იმის გამო, რომ მისი მიდამოები ცნობილია თბილი გოგირდოვანი წყლებით“. იხ. გეოგრაფიულ სახელწოდებათა ახსნა-განმარტება. მოკლე სიტყვარ-ცნობარი. შედგენილი გ. ნ. გეხტმანის, ნ. ზ. გეხტმანის, გ. ი. ზარდალიშვილის და ე. პ. მესხის მიერ. თბ. 1965, გვ. 65.

[9] გ. ბედოშვილი. ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი. ტ. I. თბ. 2001, გვ. 168-169, იქვე მითითებული ლიტერატურა.

[10] გ. ბედოშვილი. ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი. ტ. I, გვ. 168-169.

ში ჩვენი დედაქალაქი მოიხსენიება **ტფილისად-თიფილისად** და არსად, არცერთხელ – **თობალის-თუბალისად,** ამიტომ ქართველთა შორეული წინაპრების თუბალების თუ თობალების სატომო სახელთან მისი დაკავშირების თვალსაზრისი, გ. ბედოშვილის აზრით, ქართველი ისტორიკოსების (შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი, მ. დუმბაძე, ა. სურგულაძე) მიერ უარყოფილია, როგორც ხელოვნური და სარწმუნო ფაქტებს მოკლებული.[11]

მკვლევარი საბოლოოდ დაასკვნის, რომ *„ტფილისი-თბილისი წარმოქმნილა აქ არსებული ცხელი გოგირდოვანი წყაროების გამო, რაც საფუძვლად დასდებია ულამაზეს ხალხურ ლეგენდას ვახტანგ გორგასლის ნადირობისა და მის მიერ მოკლული ხოხობის შესახებ, რომელშიც ქალაქის სახელდების ოდინდელი ისტორიაა გაცხადებული“.*[12]

XX ს. 70-იანი წლების დამდეგს საქართველოს დედაქალაქში მეტროპოლიტენის ახალი სადგურის მშენებლობამ, შ. მესხიას აზრით, მკვეთრად დააყენა სახელწოდება „ნავთლუღის“ შეცვლის საკითხი. მკვლევარი გაზეთ „მეტრომშენებლის“ ფურცლებზე გამოეხმაურა ჟურნალისტ მ. მამულაშვილის წერილს – *„რა დავარქვათ ნავთლუღის“.* ჟურნალისტის აზრით, სახელწოდება „ნავთლუღი“ ვერ გამოხატავს ადგილის შინაარსს, უცხოა ჩვენი თანამედროვეობისათვის, დარქმეულია დამპყრობელი თურქული ტომების მიერ თავიანთი ენის საამებლად XVI საუკუნეში.[13] მანამდე ეს ადგილი სრულიად მწირი, გადატრუსული, დაუსახლებელი და უსახელო იყო. ნავთლუღის მხოლოდ ერთ დასახლებულ ადგილს რქმევია „მამუკას სოფელი“,[14] რისთვისაც შემდეგ რუსეთის მეფის სატრაპებს „ნავთლუღი“ უწოდებიათ.

ნავთლუღზე ძუნწი ცნობებია მოცემული ვახუშტი ბატონიშვილთან. მანაც არ იცის, ერქვა თუ არა ადრე ნავთლუღს რაიმე სახელი. მეცნიერი ამ

---

[11] გ. ბედოშვილი. ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი. ტ. I, გვ. 170.

[12] გ. ბედოშვილი. ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი. ტ. I, გვ. 170.

[13] „ნავთლუღი“ თურქული ტოპონიმია: Neft („ნავთი“); -ლუქ სუფიქსი თურქულში ერთნაირ საგანთა თავმოყრის ადგილის მაწარმოებელია. გრ. ზარდალიშვილის თქმით, ნავთლუღის ციხეკოშკი ყაფლანიშვილთა საკუთრება ყოფილა. სახელწოდება მიუღია აქ არსებული ნავობის ჭაბურღილების გამო. მეფის მთავრობამ ამ ადგილის კოლონიზაციის მიზნით ნავთლუღში დაასახლა გადამდგარი ჯარისკაცები და რუსი მოხელეები. როგორც თბილისის ნაწილი, აღმოცენდა XIX ს. დამდეგს (გრ. ზარდალიშვილი. თბილისისა და მისი მიდამოების ტოპონიმია, გვ. 51).

[14] მამუკას სოფელი ერქვა დიდ დასახლებულ უბანს წმ. ბარბარეს ეკლესიიდან №31 ქარხნის ტერიტორიის ჩათვლით. მისი ძირითადი ღერძი ბოგდან ხმელნიცკის სახელობის ქუჩაა. წინათ თავადი სუმბათაშვილები ფლობდნენ. იხ. გრ. ზარდალიშვილი. თბილისისა და მისი მიდამოების ტოპონიმია, გვ. 44.

ადგილს **ნათლუხის** ფორმით მოიხსენიებს. *„რადგანაც ზუსტად ნავთლულს წინათ არაფერი რქმევია, ამიტომ მისი სახელწოდება მიმდებარე ან მოსაზღვრე ტერიტორიიდან უნდა ავიღოთ, ანდა გამოვიყენოთ ის, რაც ახლა ჰქვია“*, – წერს მ. მამულაშვილი. ასეთ სახელწოდებად კი მას პირველ რიგში მიაჩნია **ვარკეთილი,** რადგან სახელწოდება ისტორიულია და ფონეტიკურადაც კარგად ჟღერს. ჟურნალისტს დასაშვებად მიაჩნია აგრეთვე მეტროპოლიტენის სადგურ *„ნავთლულისათვის“ „სამგორის“, „ორხევისა“* და *„საცხენისის“* დარქმევა. „მაშინ „ვარკეთილს“ შევინახავთ მეტროს იმ სადგურის სახელწოდებად, რომელიც ხსენებულ მასივში უნდა აშენდეს. შეიძლება პირიქითაც: *„ნავთლულს“ „ვარკეთილი“ დაერქვას, ხოლო ვარკეთილის მასივის მომავალ სადგურს – „სამგორი“*.[15]

ნავთლულის ახალი სახელის ძიების თვალსაზრისით შ. მესხიას საინტერესოდ ესახებოდა XVIII ს. II ნახევარში მოღვაწე ცნობილი გერმანელი მეცნიერისა და მოგზაურის – იოჰან ანტონ გიულდენშტედტის ჩანაწერებში დაცული შემდეგი ცნობა: *„21 თებერვალს* (1772 წელს – **შ. მ.**) *სალამოს 5 საათზე გავიდა მეფე* (ერეკლე II – **შ. მ.**) *თბილისიდან თავისი ამალით, რომელსაც მეც ვეკუთვნოდი... ჩვენ მივდიოდით ქალაქს ქვევით; გავედით მტკვრის ხიდზე... იმ დღესვე მივედით სოფელ **ნათლულში** თბილისიდან 6 ვერსზე. მიდამო წარმოადგენდა ოდნავ ბორცვიან დაბლობს... სოფელი **ნათლული** მდებარეობს მტკვრის მარცხენა ნაპირას, შედგება დაახლოებით 50 სახლისაგან... მოსახლეობა ქართველებია. ახლანდელმა მეფემ* (ერეკლე მეორემ – **შ. მ.**) *შემოარტყა ოთხკუთხა კედელი ადგილს... და დაატანა მრგვალი კოშკი. ამიტომ მას დაარქვეს **ერეკლეს ციხე**“*.[16] ციხე გიულდენშტედტის ნაშრომში მეორედაც იხსენიება: *„...ერთსაათნახევარში დავინახეთ **ნათლულის ციხე** ანუ **ერეკლე-ციხე**...“*.[17]

შ. მესხიას აზრით, ციხის სახელწოდება „ერეკლე-ციხე“ მალე დასახლებულ „ე.წ. ნავთლულის ტერიტორიაზეც გავრცელებულა ისე, რომ ნავ-

---

[15] მ. მამულაშვილი. რა დავარქვათ ნავთლულს. გაზ.: „მეტრომშენებელი“. №3(163). 21.01.1971, გვ. 3; შ. მესხია. „ირაკლისი“ ხომ არ ავკობებს? გაზ.: „მეტრომშენებელი“. №6(166). 11.02.1971, გვ. 4.

[16] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გია გელაშვილმა. ტ. I. თბ. 1962, გვ. 14-17; შ. მესხია. „ირაკლისი“ ხომ არ ავკობებს? გვ. 4.

[17] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I, გვ. 64-65; მსჯელობისათვის იხ. შ. მესხია. „ირაკლისი“ ხომ არ ავკობებს? გვ. 4.

თლულს XVIII საუკუნის დამლევისათვის უკვე *„ერეკლესი“* (რუსულადაც – *«Ираклиси»*) ეწოდებოდა. მკვლევარი თავისი მოსაზრების გასამყარებლად იმოწმებს მოსკოვის ცენტრალურ სამხედრო-ისტორიულ არქივში დაცულ თბილისის მიდამოების 1800 წლის გეგმას (რუკას), სადაც ნავთლუღის ადგილას რუსულად მიწერილია *„ირაკლისი“*, ხოლო ამ ადგილის ადრინდელი სახელწოდება ნავთლუღი რუკაზე საერთოდ არ არის ნახსენები. *„ამრიგად, უეჭველია, –* ასკვნის შ. მესხია, *– რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევრისათვის ნავთლულს ჯერ „ერეკლე-ციხე“, ხოლო შემდეგ „ერეკლესი“ („ირაკლისი“) ეწოდებოდა. ჩანს, უკვე XVIII საუკუნეშივე უფიქრიათ ნავთლულისათვის, იმ დროის ქართული დასახლებისათვის სახელი შეეცვალათ და შეუცვლიათ კიდეც. მაგრამ XIX საუკუნეში, აღმოსავლეთ საქართველოში, და მაშასადამე, თბილისში, ცარისტული მმართველობის დამყარების შემდეგ, როგორც ჩანს გარკვეული მოსაზრებით, ხელი შეეშალა ნავთლუღის ახალი სახელწოდების „ირაკლისის“ დამკვიდრებას“.*[18]

მკვლევარი იმ აზრისა იყო, რომ დასმულიყო საკითხი ნავთლუღისათვის არა ახალი სახელწოდების შერქმევის, არამედ XVIII საუკუნეში უკვე შერქმეული სახელის აღდგენის შესახებ. თითქმის ყოველი გეოგრაფიული სახელი, შ. მესხიას აზრით, ასე თუ ისე, მცირე თუ დიდი ისტორიული მოვლენის ამსახველია და ჩვენი ქვეყნის ისტორიის ნაწილია. ძველი სახელების (მათ შორის არაიშვიათად ქართულისა) ხელაღებით გამოცვლით ხშირ შემთხვევაში იკარგება (და დაიკარგა კიდეც) საინტერესო მასალა ქვეყნის ისტორიისათვის. მაგრამ ამ შემთხვევაში საკითხი ეხება არა ძველის ხელაღებით ამოგდებას და ახლის შერქმევას, არამედ ადრევე შერქმეულის ხელახლა აღდგენას. ამიტომ მკვლევარი მხარს უჭერდა მეტროპოლიტენის ახალი სადგურისათვის ნავთლუღის უბანში იმ სახელის დარქმევას, რასაც ჩვენი წინაპრები ამ უბანს XVIII საუკუნეში უწოდებდნენ. ასეთ სახელწოდებად კი მიიჩნევდა გიულდენშტედტის მიერ დასახელებულ ტოპონიმს – **„ერეკლესი“,** ხოლო უკეთეს ფორმად მიიჩნევდა **„ირაკლისს“.**[19]

---

[18] შ. მესხია. „ირაკლისი“ ხომ არ აჯობებს? გვ. 4.

[19] შ. მესხია. „ირაკლისი“ ხომ არ აჯობებს? გვ. 4. მეტროპოლიტენის მშენებლობასთან დაკავშირებით სახელწოდება „ნავთლულის“ შეცვლის საკითხს გაზეთ „მეტრომშენებლის“ ფურცლებზე გამოეხმაურნენ სხვა ავტორებიც. იხ.: ა. მათიაშვილი, ზ. ცქიტიშვილი. დროული წინადადება. გაზ.: „მეტრომშენებელი“. №4 (164), 28.01.1971, გვ. 3; გ. ობოლაძე, ვ. ზიბზიბაძე, გ. ციმინტია, ჰ. კობიძე. უნდა გავითვალისწინოთ. გაზ.: „მეტრომშენებელი“. №5 (165). 4.02.1971, გვ. 4.

საქართველოს დედაქალაქის ისტორიის საკითხები გაშუქებულია შ. მესხიას სხვა არაერთ პუბლიკაციაში.[20]

შ. მესხია დაინტერესებული იყო დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული ცენტრის, ქალაქ **ზუგდიდის** სახელწოდების წარმომავლობითაც. ტოპონიმის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით მკვლევარი მოხსენებით წარსდგა ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის სამეცნიერო კონფერენციაზე, მოგვიანებით კი ნაშრომის სრული ვერსია გამოქვეყნდა აკაკი შანიძის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილ კრებულსა და მეცნიერის შრომების მესამე ტომში.[21]

ზუგდიდი გაშენებულია ჩხოუშიის ორივე მხარეს, ოდიშის დაბლობზე. მის შესახებ ცნობებს გვაწვდის XVII ს. იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი.[22] მისიონერ კრისტოფორო კასტელის ჩანახატის მიხედვით გვეძლევა შესაძლებლობა, რომ წარმოდგენა ვიქონიოთ ზუგდიდის დადიანისეული სასახლის გარეგნულ იერსახეზე.[23]

ირკვევა, რომ ზუგდიდი ოდიშის მთავართა რეზიდენციად გადაქცეულა XVII საუკუნეში, კერძოდ, ლევან II დადიანის მთავრობის პერიოდში. ამის შესახებ გვაუწყებს ლამბერტის თანამედროვე ჯუდიჩე მილანელი, თავის რელაციაში: *„სამეგრელოს ქალაქი არ გააჩნია. აქაა მხოლოდ ერთი სასახლე, რომელიც დღევანდელი მთავრის ლევან დადიანის მიერაა აშენებული“*.[24] ჯუდიჩე აქ სწორედ ზუგდიდის სასახლეს გულისხმობს.

---

[20] იხ.: შ. მესხია. თბილისი 1500 წლისაა. თბ. 1957; შ. მესხია. რამდენიმე შენიშვნა თბილისის სიძველეთა შესახებ. გაზ.: „ახალგაზრდა კომუნისტი“. №105, 31.08.1957; შ. მესხია. როგორ დაიბადა ჩვენი დედაქალაქი. გაზ.: „ნორჩი ლენინელი“. №10, 07.03.1958; შ. მესხია. დედაქალაქის წარმოშობა. გაზ.: „სახალხო განათლება“. №18. 30.04.1958; შ. მესხია. თბილისის დაბადება. აზ.: „ერევანი“. №206. 1958 (სომხ. ენაზე); შ. მესხია. ჩვენი დედაქალაქის წარსულიდან. გაზ.: „საბჭოთა აფხაზეთი“. №2016. 18.10.1958; შ. მესხია. ჩვენი დედაქალაქის წარმოშობა. გაზ.: „ახალგაზრდა სტალინელი“. №23. 22.10.1958; შ. მესხია. თბილისის წარმოშობა. გაზ.: „სამშობლო“. №1, 08.01.1971 და სხვ...

[21] შ. მესხია. „ზუგდიდი“ თუ „ზუბდიდი“. ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის II სამეცნიერო სესია. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. ზუგდიდი. 1958, გვ. 12-14; შ. მესხია. „ზუგდიდი“ თუ „ზუბდიდი“. ორიონი. მიძღვნილი აკ. შანიძის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი. თბ. 1967, გვ. 249; შ. მესხია. საისტორიო ძიებანი. ტ. III. თბ. 1986, გვ. 263-270.

[22] არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა. თარგმ. იტალ. ალექსანდრე ჭყონია. შემდგ. გიორგი კალანდაძე. წინასიტყვ. და შენიშვნ. ლევან ასათიანი. თბ. 2011, გვ. 55.

[23] დონ კრისტოფორო დე კასტელი. ცნობები და აღბომი საქართველოს შესახებ. ტექსტი თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ. თბ. 1976, გვ. 172, სურ. 445.

[24] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 778.

დიდი ქართველი ისტორიკოსისა და გეოგრაფის ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, ჭანისწყალზე, *„მდინარის ჩრდილოთ კერძოთ დიდს ველსა ზედა არს ზუგდიდი, სასახლე დადიანთა, დიდშენი და პალატებიანი, ზღუდე-გოდლიანი“*:[25] დადიანის რეზიდენციაზე ცნობები დაცულია მოგვიანო ხანის (XIX ს.) წყაროებშიც. ფრანგი მოგზაურისა და ვაჭრის – ჟაკ ფრანსუა გამბას მოგზაურობის ჩანაწერებში (XIX ს. 20-იანი წლები) ვკითხულობთ: *„მთავარი დადიანი ზუგდიდში იმ სასახლეში ცხოვრობს, სადაც შარდენია ნამყოფი“*:[26]

ცნობილ გერმანელ მეცნიერ-მოგზაურს მორიც ვაგნერს მოუნახულებია დადიანის რეზიდენცია ზუგდიდში. იგი გვაუწყებს, რომ ზუგდიდი *„ესაა ქვეყნის ძველი დედაქალაქი ჩეხნიას ნაპირას მდებარე, რომელიც ჯუნისთან შეერთების შემდეგ ენგურში ჩაედინება... ზუგდიდი ძველთაგანვე იყო სამეგრელოს მჭლობელთა მთავარი რეზიდენცია“*:[27] ჩეხნია ჩხოუშიას დამახინჯებული ფორმაა, ხოლო ჯუნი იგივე მდ. ჯუმია[28].

პირველი ქართული წერილობითი დოკუმენტი, სადაც ეს პუნქტი მოიხსენიება, არის 1621 წელს შედგენილი *„აფხაზეთის საკათალიკოზო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთარი“*, სადაც ვკითხულობთ: *„არის ზუგდიდს ივანია, მართებს...“*:[29] ზუგდიდი აღნიშნულია 1654 წელს შედგენილ ლათინურენოვან რუკაზე,[30] კასტელის რუკასა და ჩანახატებზე[31] და ტიმოთე გაბაშვილის მიერ 1737 წელს შედგენილ ლიხთ-იმერეთის რუკაზე („ზუბდიდი“).[32] სახელწოდება ორჯერ გვხვდება იმერეთის მეფის – სოლომონ I-ის 1778-1779 წლების დოკუმენტებში.[33] **ზუბდითის** ფორმით მოიხსენიება რუხის ბრძოლაში

---

[25] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 187-188.

[26] ჟაკ ფრანსუა გამბა. მოგზაურობა ამიერკავკასიაში. ფრანგულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა. თბ. 1987, გვ. 114.

[27] მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ. გერმანული ტექსტი თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა. თბ. 2002, გვ. 140-141.

[28] ი. კეკელია. სამეგრელოსა (ოდიშის) და აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში და თანამედროვე ისტორიოგრაფია. ისტორიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი. ქუთ. 2014, გვ. 152.

[29] აფხაზეთის საკათალიკოზო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთარი (1621 წ.). ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ. თბ. 1970, გვ. 419.

[30] არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა. თანდართული რუკა.

[31] დონ კრისტოფორო დე კასტელი. ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ. თანდართული რუკა.

[32] შ. ბურჯანაძე. ლიხთ-იმერეთის 1737 წლის რუკა როგორც ფეოდალური საქართველოს ისტორიის პირველწყარო. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე. ტ. I. თბ. 1959, გვ. 202.

[33] ი. კეკელია. სამეგრელოსა (ოდიშის) და აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში და თანამედროვე ისტორიოგრაფია, გვ. 153.

ნადავლი ზარბაზნის ლულაზე შესრულებულ წარწერაზე (1780).[34] XVI ს. ოდიშის ამბების აღწერისას ზუგდიდს ახსენებს ვახტანგ VI-ის მიერ შექმნილი *„მეცნიერ კაცთა“* კომისია, რომელმაც ბერი ეგნატაშვილის მეთაურობით XIV-XVIII საუკუნეების საქართველოს ისტორია შეადგინა. მემატიანის თქმით, ქართლის მეფე სიმონთან ოფშკვითში გამართული ბრძოლის დროს ოდიშის მთავარ დადიანს დარჩა ზარბაზანი და *„არს ზუგდიდს, და უდიდეს ზარბაზანი ერთი არს რუხს დღესაცა“*:[35]

ოდიშის მთავარი ლევან II დადიანი 1611 და 1636 წლების ამბების დახასიათებისას ორჯერ მოიხსენიებს ზუგდიდს ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერაში, რომელიც 1651 წელსაა შესრულებული.[36] ტოპონიმ **ზუგდიდის** პარალელურად, XVIII საუკუნიდან, წერილობით წყაროებში მკვიდრდება **„ზუბდიდი“** ფორმა, რაც XIX ს. I ნახევრის შემდეგ აღარ იხსენიება.[37] გერმანელი მოგზაური გიულდენშტედტი ოდიშის სოფლების ჩამონათვალში ასახელებს **ზუბდიდს**.[38] უფრო ადრე რუსი ელჩები – თედორე ელჩინი და პავლე ზახარევი ოდიშში მოგზაურობის აღწერილობაში (1639-1640 წწ.) მონასტრის სახელწოდებად მიუთითებენ **„ზუბდიდს“** და **„ზუკდიტს“**: *«Мая въ 18 де нас Левонтей Сарь Шуаскова (Хомского) монастыря взяль в Зубдиди к себе-334 ст»*.[39]

ტოპონიმის ადგილობრივი არაოფიციალური ვარიანტია **ზუგიდი,** რაც მიღებულია ორი ერთნაირი ბგერიდან (დ-დ) ერთ-ერთის დაკარგვის გზით.[40] აღნიშნული ფორმა დასტურდება მეგრული ხალხური სიტყვიერების მასალებშიც. მაგალითად, *„მისით შარა მერჩამუნი **ზუგიდიშე** ბჟაიოლც“; „ასე მიღუ მა თე აზრი **ზუგიდიშა** მოკო ულა“; „არძა ნინა არჩქილენა – მალადეცი ხობარეფი! **ზუგიდური,** ანარკული, ართიანიში მოხვარეფი“; „ეო, დადია, დადია!*

[34] ი. კეკელია. სამეგრელოსა (ოდიშის) და აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში და თანამედროვე ისტორიოგრაფია, გვ. 153.

[35] ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბ, 1959, გვ. 503.

[36] კ. გრიგოლია. ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერა. აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე (ენიმკი). ტ. XIII. თბ. 1942, გვ. 127. მ. პაჭკორია. ფურცლები კოლხეთის ისტორიიდან. თბ. 1974, გვ. 50

[37] მ. პაჭკორია. ფურცლები კოლხეთის ისტორიიდან, გვ. 49, 51.

[38] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I, გვ. 324.

[39] Посольство дьяка Федота Елчина и священника Павла Захарева в Дадьянскую землю (1639-1640 гг.). Сергей Ал. Белокуров. Материалы для русской истории. М. 1888, გვ. 334.

[40] პ. ცხადაია. სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი. ზუგდიდის რაიონი. თბ. 2007, გვ. 14.

ზუგიც დნაბადია...“; „ზუგიდი დო ხობიშქას ცეიში რე სოფელი“; „შხვა რაიონეფიშ(ი) უძოსო **ზუგიდ(ი)** *მონდომებული რე“...*[41]

„ზუგდიდის“ ეტიმოლოგიით სხვადასხვა დროს არაერთი მკვლევარი დაინტერესებულა (დიუბუა დე მონპერე, ნიკო მარი, კარლ ჰანი, მარი ბროსე, პლ. იოსელიანი, დ. ბაქრაძე, რ. ერისთავი, ლ. ცხაკაია, ც. ქირია, მ. პაჭკორია, შ. მესხია, ა. ტუღუში, თ. მიბჩუანი, პ. ცხადაია, გ. ბედოშვილი, ქ. ლომთათიძე, ზ. ჭუმბურიძე, შ. გოგატიშვილი...). უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სახელწოდება წარმოქმნილია **ზურგ-** სიტყვისაგან, ხოლო **დიდი** საზღვრული ზედსართავია (შდრ. ზენდიდი, ჭყონდიდი, ღალდიდი, სკურდიდი).

სახელწოდება „ზუგდიდის“ წარმოშობის ისტორიას პირველად შეეხო ფრანგი მოგზაური და მეცნიერი დიუბუა დე მონპერე. მან ტოპონიმის ამოსავალ ფორმად **ზუბი** მიიჩნია. ამასთანავე, თავისი მოსაზრების გასამყარებლად ძველ დოკუმენტებში სახელწოდების **ზუბდიდის** სახით მოხსენიება დაასახელა და იქვე დასძინა, რომ ადგილობრივი მოსახლეობაც მას **ზუფუს (ზუბუს)** უწოდებდაო. *„...ნამდვილად უცნაურ სახელს ზუფუს (ძოუპჰოუ) უეჭველად კავშირი აქვს ზუბდიდთან და ზუგდიდთან (Zoubdidi et Zougdidi), დიდი ზუბუ, ზუბი (begrande zoubou, Zoup), სამეგრელოს დადიანების რეზიდენციასთან“.*[42] ეს მოსაზრება მოგვიანებით გაიზიარა და დამატებითი მასალით გაანავრცო შ. მესხიამ. მან განიხილა აგრეთვე მარი ბროსეს, პლ. იოსელიანის, დ. ბაქრაძის, რ. ერისთავის, ნ. მარის, ნ. ხოშტარიასა და სხვათა მოსაზრებანი და ივარაუდა: ტოპონიმ „ზუგდიდის“ ამოსავალი უნდა იყოს „ზუბდიდი“ ფორმა, რადგან ამჟამინდელი ზუგდიდის მახლობლად და მოშორებით, უწინ არაერთი პუნქტი არსებობდა ზუბის სახელწოდებით. მოსახლეობის სიმრავლითა და ტერიტორიის სიდიდით გამორჩეულ ზუბს ეწოდა **ზუბდიდი,** ხოლო გადაადგილების შედეგად XVII საუკუნიდან გაჩნდა სახელწოდება **ზუგდიდი.** მაშასადამე, ზუბდიდი ზუგდიდი.[43]

შ. მესხიასთვის გაურკვეველი იყო **ზუბდიდი** ტოპონიმის პირველი კომპონენტი **ზუბ-**: „ცხადია, ინტერესს იწვევს თვით „ზუბის“ შინაარსისა თუ მნიშვნელობის გარკვევა; დასავლეთ საქართველოში ასე გავრცელებული ზუბ-ი,

[41] კ. სამუშია. ქართული ხალხური პოეზიის მასალები. მეგრული ნიმუშები. თბ. 1971, გვ. 18, 74, 83, 100, 120; კ. სამუშია. ქართული ზეპირსიტყვიერება. მეგრული ნიმუშები. თბ. 1990, გვ. 115; ა. ცანავა. ქართული ფოლკლორის საკითხები (მეგრული მასალების მიხედვით). თბ. 1990, გვ. 248.

[42] F. Dubois de Montpéreux. Voyage autour du Caucase, t. I. Paris, 1839, გვ. 248.

[43] შ. მესხია. „ზუგდიდი“ თუ „ზუბდიდი“. საისტორიო ძიებანი. ტ. III. თბ. 1986, გვ. 263-270.

ზუფ-ი იქნება დასავლურ-ქართული ეთნიკური ტერმინიდან მომდინარე გეოგრაფიული სახელი იყოს, მაგრამ ამ საკითხის გარკვევისათვის დამატებითი საგანგებო კვლევა-ძიებაა საჭირო".[44]

ნიკო მარი ტოპონიმ „ზუგდიდში" **სკუთ//სკვით** ეთნონიმისაგან მომდინარე სატომო სახელის – **სგუს** სახესხვაობას – **სუგ**-ს ვარაუდობდა, საიდანაც უნდა მიგვეღო **სუგ-და, სუგუ-და** ფორმები. **ა**- ელემენტს მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელად მიიჩნევდა. ფუძეში **ს**- თანხმოვნის **ზ**- თანხმოვნად გამჟღერებისა და მეგრული ენისათვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი დისიმილაციის (უ-უ-ს გადასვლა უ-ი-ში) შედეგად სუგუდა ფორმიდან საბოლოოდ უნდა მიგვეღო ზუგიდ(ა)ი ზუგიდი//ზუგდიდი[45].

მკვლევართა შორის პირველმა მარი ბროსემ ქალაქის პირვანდელი მდგომარეობისა და იმის გათვალისწინებით, რომ „მანცხვარკარის" ტერიტორია მართლაც დიდი ბორცვის შთაბეჭდილებას ტოვებს, ტოპონიმ „ზუგდიდის" პირველი ნაწილის „ზუგ"-ის ამოსავალ ფორმად „დაზვინული მიწის", „დიდი ბორცვის" აღმნიშვნელი „ზურგი" მიიჩნია[46]. მ. ბროსეს აღნიშნული მოსაზრება გაიზიარა პლატონ იოსელიანმაც. მისი მსჯელობითაც „სახელწოდება ზუგდიდი წმინდა ქართულია. ის შედგება სიტყვებისაგან „ზურგი" და „დიდი", რაც ნიშნავს დიდ მაღლობს, ანდა აბსოლუტურად მაღალ ზურგს. ასეთივეა ფაქტობრივად ადგილმდებარეობა „ზუგდიდი". ზუგდიდის ადგილმდებარეობა არის ყველაზე მაღალი და აღმოსავლეთით მისი ერთი უძველესი კვარტალი ეკვრის მაცხოვრის კარს... როგორც კედელს, რომელიც სწრაფად მაღლდება ქალაქის ერთი ნაწილიდან.[47]

კარლ განის ვარაუდით **ზუგ** არაბულად იგივე „ბაზარია". აქედან გამომდინარე, ზუგდიდი უნდა გავიაზროთ, როგორც „დიდი ბაზარიო".[48] სხვა პუბ-

---

[44] შ. მესხია. „ზუგდიდი" თუ „ზუბდიდი", გვ. 250.

[45] Н. Я. Марр. Термин и скиф.Избранные работы. Т. V. М.-Л. 1935, გვ. 31, შენიშვნა 2.

[46] M. Brosset. Rapports sur un Voyage archeologigue dans la Georgie. I. 1849. 20. მსჯელობისათვის იხ. შ. მესხია. „ზუგდიდი" თუ „ზუბდიდი", გვ. 264.

[47] ლ. ცხაკაია. ზუგდიდის სახელწოდების შესახებ. გაზ. „მებრძოლი". №117 (5153). ზუგდიდი. 1958, გვ. 4; მსჯელობისათვის იხ. აგრეთვე: ლ. ცხაკაია. ზუგდიდის ისტორიული წარსულიდან. გაზ. „მებრძოლი". №103(5139). 31.08.1958; №105(5141), 05.09.1958; №110(5146), 17.09.1958; ლ. ცხაკაია. მასალები ზუგდიდის ისტორიული წარსულიდან. ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის II სამეცნიერო სესია. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. ზუგდიდი. 1958.

[48] К. Ф. Ган. Экскурсия в Нокалакеви летом 1903. Известия Кавказского отделения Императорского Московского археологического общества. вып. II. М. 1907.

ლიკაციაში კ. განი იძლევა განსხვავებულ ვარაუდსაც. კერძოდ, მისი დაკვირვებით, ზუგდიდი იგივეა, რაც ზურგ-დიდი (большая спина, большой хребет), რასაც მნიშვნელობით მეორე ცნობილ ტოპონიმს – ოზურგეთს უკავშირებდა.[49]

აკად. ქეთევან ლომთათიძის მოსაზრებით, **ზუბდიდ-ზუგდიდის** ფორმების ამოსავალი **ზუგვ-დიდი** ტოპონიმის ტრადიციულ გაგებას – „ბორცვ-დიდს", „ზუგვ-დიდს" მიესადაგება.[50] ეს მოსაზრება მოგვიანებით გაიზიარა გურამ ბედოშვილმაც და აღნიშნა, რომ ტოპონიმის ამოსავალია ქართველური **ზუგ//ზუგვ** – სიტყვა, რაც „ბორცვს", „გორაკს", „შემაღლებულ ადგილს" ნიშნავს. *„როგორც ვხედავთ,* – დაასკვნის მკვლევარი, – *საკმაო საფუძველი არსებობს იმისათვის, რომ ზუგ-დიდი გავიაზროთ როგორც „ბორცვდიდი", „ადგილი, სადაც სხვა ბორცვთაგან განსხვავებული მაღალი ზუგი (ბორცვი იდგა) ან დგას"*:[51]

მ. პაჭკორიამ ანგარიშგასაწევად მიიჩნია ტოპონიმის დაკავშირება სიმაგრის აღმნიშვნელ სიტყვასთან – „ზუგი", აგრეთვე „ზუგია-დიდის" ვარიანტი. მისი აზრით, წყაროები არ ადასტურებს ზუგდიდის მიდამოებში დიდი სიმაგრის არსებობას, მაგრამ შესაძლებელია სახელწოდება დაუკავშირდეს აქ მაცხოვრის ეკლესიის დაარსების ისტორიას. სულხან-საბა „ზუგიას" განმარტავს როგორც „საკმეველს". საფიქრებელია, დაასკვნის ლ. ცხაკაიას მოსაზრების გათვალისწინებით მკვლევარი, ამ ადგილზე ეკლესიის აგებამდე მოწყობილი ყოფილიყო მახლობელ სამლოცველოებს შორის სიდიდით გამორჩეული სამლოცველო, ე. ი. ზუგია დიდი.[52] ტოპონიმ „ზუგდიდის" შესახებ გამოთქმული მოსაზრებების მიმოხილვას ისახავს მიზნად აბესალომ ტუღუშის წერილი, სადაც წარმოდგენილია დამატებითი მასალა იმ თვალსაზრისის გასამყარებლად, რომ „ზუგდიდის" ამოსავალია „ბორცვის" აღმნიშვნელი **ზუგ-//ზურგ-** სიტყვა.[53]

ზუგა, ზუგუ, ზურგა მეგრულში აღნიშნავს „ბორცვს, გორაკს, ქედს, მიწაზვინულს, შემაღლებულ ადგილს". ა. ქობალიას „მეგრული ლექსიკონის"

[49] К. Ф. Ган. Опыт объяснения Кавказских географических названий. Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа (СМОМПК). вып. 40. Тиф. 1909, გვ. 63.

[50] ქ. ლომთათიძე. კომპლექსთაგან მომდინარე ბილაბიალური ხშულები ქართველურ ენებში. თბ. 1984, გვ. 9, შენიშვნა 12.

[51] გ. ბედოშვილი. ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი. ტ. I, გვ. 164.

[52] მ. პაჭკორია. ფურცლები კოლხეთის ისტორიიდან, გვ. 51-52; შდრ. ლ. ცხაკაია. ზუგდიდის სახელწოდების შესახებ. გაზ. „მებრძოლი". №117. 1958, გვ. 4.

[53] ა. ტუღუში. კვლავ ზუგდიდის ეტიმოლოგიისათვის. ონომასტიკა. ტ. I. თბ. 1987, გვ. 158-164.

მიხედვით **ზურგალე, ზურგულე** იგივეა, რაც „ბორცვაკი“; ამასთანავე, ერთერთი მნიშვნელობაა „ციხე-სიმაგრე შემაღლებაზე. იმავე ლექსიკონში მოცემულია შემდეგი განმარტებები: „ზუბი ბორცვი, გორაკი; მთის უღრანი ტყე“; „ზუგი საკმეველი“ და „ზუგია სასაკმეველე“.[54]

ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ ტოპონიმ „ზუგდიდის“ ამოსავალი უნდა იყოს ბორცვის, შემაღლებული ადგილის, მიწაზვინულის აღმნიშვნელი სიტყვა **ზუგა,** რაც ხშირად ფიგურერებს სამეგრელოს ტოპონიმიაში. ზუგდიდი „დიდი ბორცვი“ იმ სერის უწინდელი სახელწოდება უნდა ყოფილიყო, რაც ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს და დღეს „მანცხვარკარად“ იწოდება, მასზე აგებული მაცხოვრის ეკლესიის გამო. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ *„ძველი ზუგდიდი მომაღლო ადგილზე, გორაკზედ იყო გაშენებული, ახალი კი დაბლობზეა“.*[55]

მიკროტოპონიმიაში დასტურდება ორივე ფორმა – „ზუგდიდი“, „ზუგიდი“: **ზუგდიდიშარა** – გზა ინგირიდან ზუგდიდისაკენ; **ზუგიდურკახათი-დიდკახათი** – სოფ. კახათის უწინდელი სახელწოდება; **ზუგდიდი-ზუგიდი** – ბორცვი ინჩხურში (მარტვილის მუნიციპალიტეტი).

წინამდებარე ნაშრომში მიზნად დავისახეთ წარმოგვეჩინა დიდი მეცნიერის – შოთა მესხიას დამსახურება ეტიმოლოგიური ძიების კუთხით. მიუხედავად იმისა, ვეთანხმებით თუ არა მის ყველა დასკვნას, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ შოთა მესხიას მეცნიერული მემკვიდრეობა ახალი ნიუანსებით ავსებს ჩვენ ცოდნას საქართველოს ტოპონიმიის პრობლემურ საკითხებზე.

[54] ა. ქობალია. მეგრული ლექსიკონი. თბ. 2010, გვ. 311.

[55] ე. თაყაიშვილი. არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში. ძველი საქართველო. ტფ. 1913-1914, გვ. 193.

Igor Kekelia

ETIMOLOGICAL RESEARCHES OF SHOTA MESKHIA

Summary

Shota Meskhia, a famous Georgian scientist, was interested in research of the Georgian geographical names. The scientist's argumentative discussions about Georgian well-known toponyms such as "Tbilisi", "Zugdidi", "Navtlugi", "Ereklestsikhe" are very interesting. Shota Meskhia's scientific heritage completes our knowledge about Georgian toponymics.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება.
შოთა მესხია – 100
თბილისი. 2016

ზურაბ პაპასქირი

„დამოუკიდებელი“ აფხაზეთის ქომაგთა ახალი ანტიქართული ინსინუაციების შესახებ

ანდრეი ეპიფანცევის სტატიის: „საქართველოს ეკლესია. ანუ სავლე როგორ იქცა პავლედ. საეკლესიო საკითხი“ («Грузинская церковь. Павел, становящийся Савлом. Церковный вопрос») გამო*

2008 წლის აგვისტოში რუსული „არმადის“ „გმირული ეპოპეისა“ და მის მიერ აფხაზეთისა და ე.წ „სამხრეთ ოსეთის“ კომიკური აღიარების შემდეგ, კრემლი ამაოდ ცდილობს დაარწმუნოს საერთაშორისო საზოგადოება მათ მიერ განხორციელებული ღია და უპრეცედენტო აგრესიის მართლზომიერებაში, თუმცა მიუხედავად ყველა მცდელობისა, ვლადიმერ პუტინმა და მისმა „სახელოვანმა“ გუნდმა, რომელთა სათავეში ე.წ. „პრეზიდენტი“ მედვედევი დგას,[1] ჯერჯერობით ვერ მოახერხეს ამ საკითხთან დაკავშირებით მცირეოდენი მხარდაჭერა, იმ სახელმწიფოებისაც კი, რომლებიც რუსეთის მთლად სატელიტები თუ არა, სტრატეგიული პარტნიორები მაინც არიან. ამის ნათე-

* სტატია თავდაპირველად დაიწერა რუსულ ენაზე და დაიბეჭდა საქართველო-რუსეთის ურთიერთობების ისტორიისადმი მიძღვნილ კრებულში (იხ.: З. Папаскири. О новых антигрузинских инсинуациях радетелей «независимой» Абхазии. По поводу Статьи А. Епифанцева: Грузинская церковь. Павл, становящийся Савлом. Церковный вопрос. – Некоторые вопросы грузино-русских взаимоотношений в современной историографии. Гл. редактор: акад. Давид Мусхелишвили. Тб., 2011, გვ. 25-60 (http://iberiana.wordpress.com/afxazeti/papaskiri-2/). იგივე პუბლიკაცია იხ.: წგნ.: З. Папаскири. Моя Абхазия. Воспоминания и размышления. Тб., 2012. გვ. 294-320 (http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/29851/1/Moia_Abxazia.pdf). 2014 წელს სტატია გამოქვეყნდა ინგლისურ ენაზეც (Z. Papaskiri. On New Anti-Georgian Insinuations of Supporters of "Independent" Abkhazia. – Certain Aspects of Georgia-Russian Relations in Modern Historiography. Caucasus Region Political, Economical, and Security Issues. David Muskhelishvili Editor. NOVA publishers. New York, 2014, გვ. 9-28). ქართულ ენაზე სტატია იბეჭდება პირველად, მცირეოდენი ბიბლიოგრაფიული ხასიათის დაზუსტებებით.

[1] სტატიაში ასახულია 2011 წლის რეალიები.

ლი მაგალითია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ/СНГ) თვით ისეთი ქვეყნების პოზიცია, რომლებიც *„კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის“ («Организация Договора о коллективной безопасности» – ОДКБ)* წევრები. ეს სახელმწიფოები (ბელორუსი, სომხეთი, ტაჯიკეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი) სულაც არ აჰყვნენ ოფიციალური მოსკოვის ავანტიურისტულ პოლიტიკას და მაქსიმალურად გაემიჯნენ მას. უფრო მეტიც ამ ქვეყნების ზოგიერთი ხელმძღვანელი მეტად გამომწვევ ნაბიჯებს დგამს და არ ექვემდებარება წნეხს (ზოგჯერ შანტაჟსაც კი) დიდი ძმის მხრიდან.

ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ რესპუბლიკა ბელორუსის – ყბადაღებული „სამოკავშირეო სახელმწიფოს“ («Союзное государство») „თანასწორუფლებიანი“ სუბიექტის[2] – პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო, რომელიც იქცევა არა როგორც კრემლის ყურმოჭრილი ვასალი, არამედ ისე, როგორც შეშვენის ცივილიზებული, სუვერენული ქვეყნის ღირსეულ ლიდერს. ის ჯიუტად ამბობს უარს მხარი დაუჭიროს რუსეთის გათავხედებულ ხელმძღვანელთა მიერ დანარჩენი მსოფლიოსთვის თავსმოხვეულ საერთაშორისო-სამართლებრივ განუკითხაობას.

არანაკლებ ღირსეულად უჭირავს თავი სომხეთს – რუსეთის მთავარ სტრატეგიულ პარტნიორს კავკასიაში, რისი დემონსტრირება იყო საქართველოს პრეზიდენტის თბილი და მეგობრული მიღება სომხეთში 2009 წ. ივნისში. მიხვილ სააკაშვილი, რომელსაც ოფიციალური მოსკოვი ღიად დებდა ბრალს, არც მეტი არც ნაკლები, კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულში,[3] სომხეთის პრეზიდენტმა ღირსების ორდენით დააჯილდოვა. აღსანიშნავია, რომ, ეს ჯილდო გადაეცემათ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს სომხეთის სახელმწიფო და ეროვნული ინტერესების დაცვისთვის, განსაკუთრებული დამსახურებისათ-

[2] ახლა უკვე არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ კრემლის ახალი იმპერიული პროექტი – რუსეთის ფედერაციასა და რესპუბლიკა ბელორუსს შორის დადებული ხელშეკრულება ე.წ. „სამოკავშირეო სახელმწიფოს“ შექმნის შესახებ, ორივე სახელმწიფოს ლიდერების მიერ ხელმოწერილი 1999 წ. 8 დეკემბერს (Договор о создании Союзного государства. Информационно-аналитический портал Союзного государства. http://www.soyuz.by/about/docs/dogovor5/), იმთავითვე მკვდრადშობილი აღმოჩნდა. შემთხვევითი არაა, რომ მოსკოვსა და მინსკს შორის საკმაოდ სერიოზული კონფლიქტების სერიის შემდეგ ექსპერტები უკვე ალაპარაკდნენ „სამოკავშირეო სახელმწიფოს“ „კომატოზური მდგომარეობისა“ და ამ „გაუგებარი გაერთიანების“ შესაძლო ლეტალურ დასასრულზე (ამის შესახებ იხ.: О. В. Черковец. Союзное государство без союза. Независимая газета. 29.10.2009. http://www.ng.ru/politics/2009-10-29/3_kartblansh.html).

[3] Россия будет настаивать на привлечении М. Саакашвили к уголовной ответственности за совершенное преступление. Заявление председателя Совета Федерации Сергея Миронова. – Информационно-правовой портал Гарант.Ру. 11.08.2008 (См.: http://www.garant.ru/news/14219).

ვის... დემოკრატიის დამყარებაში... და აგრეთვე **მნიშვნელოვანი წვლილისათვის ხალხებს შორის მეგობრობის განმტკიცებაში.**[4] მოსკოვისათვის ასევე გამაღიზიანებელი აღმოჩნდა ისიც, რომ ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ მ. სააკაშვილს საპატიო დოქტორის წოდება მიანიჭა.[5]

არ გაამართლა რუსული დიპლომატიის იმედები ე.წ ჰაიდი ტალიავინის საგამომძიებლო კომისიის დასკვნამ. მიუხედავად ცალკეული შეფასებების გარკვეული წინააღმდეგობრიობისა და არადამაჯერებლობისა ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“ სიტუაციის ესკალაციასთან დაკავშირებით, რუსეთის რეგულარული შენაერთების ყოვლად გაუმართლებელი ფართომასშტაბიანი შემოჭრის წინ, თამამად შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ **ტალიავინის კომისიამ საქართველოში კონფლიქტის გაღვივებაში ბრალი რუსეთს ერთნიშნად რუსეთს დააკისრა.** რუსული დიპლომატია ასევე პირწმინდად აგებს დებატებს ყველა საერთაშორისო ფორუმზე, არის ეს ევროპის საბჭო, ევროპარლამენტი და ა.შ.

მთელი ცივილიზებული სამყარო გმობს მოსკოვის აგრესიულ პოლიტიკას, განსაკუთრებით კი საქართველოს სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობის ცნობას, უყოყმანოდ აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას დაიცვას საერთაშორისო სამართლის ნორმები. ამ ფონზე სასაცილოდაც მოსჩანს ს. ლავროვის უწყების დიპლომატიური მცდელობები, მიაღწიოს აფხაზეთის და ე.წ „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებელ სუბიექტებად ცნობას. სრულიად ნათელია, რომ ამ სეპა-

[4] «Орден Чести вручается за защиту государственных и национальных интересов Республики Армения, за особые заслуги в утверждении независимости, демократии, за установление, укрепление и развитие дружбы с Республикой Армения, а также **за значительный вклад в дело укрепления мира между народами**» (Г. Матевосян. Армения наградила Саакашвили орденом Чести. «РИА Новости». 24.06.2009 (http://ria.ru/politics/20090624/175329848.html, ბაზგასმა ჩვენია – ზ.ა.). სომხეთის პრეზიდენტის სომხეთის პრეზიდენტის ამ მეგობრულმა ჟესტმა თავის ქართველი კოლეგის მიმართ, როგორც მოსალოდნელი იყო, რუსული პოლიტიკური ისტებლიშმენტის აღშფოთება გამოიწვია. სერჟ სარგსიანის ეს ნაბიჯი აღქმულ იქნა როგორც „რუსეთის შეურაცხყოფა“ («оскорбление России»). კერძოდ, სწორედ ასე შეაფასა ეს ფაქტი რუსეთის ფედერალური კრების ფედერაციის საბჭოს ეკონომიკური პოლიტიკის, მეწარმეობისა და საკუთრების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, ივანოვოს ოლქის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა ფედერაციის საბჭოში (წარსულში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ) ვლადიმერ გუსევმა, რომელმაც ამასთან დაამატა, რომ ნამდვილი მეგობრები ასე არ იქცევიან და ღიად დაიმუქრა გარკვეული პრობლემების შექმნით რუსეთ-სომხეთის ურთიერთობებში («поступок со стороны наших соседей может создать непростую атмосферу в российско-армянских отношениях»). იხ.: В. Гусев. Наградив Саакашвили Орденом Чести, Армения оскорбила Россию. Новости федерации. 26.06. 2009 (http://regions.ru/news/2223706/).

[5] Михаил Саакашвили стал почетным доктором Ереванского госуниверситета. «РИА Новости». 25.06.2009 (http://ria.ru/world/20090625/175404739.html).

რატისტული ერთეულების დამოუკიდებლობის აღიარება ვენესუელის, ნიკარაგუის, ნაურუს, პალესტინის ტერორისტული ორგანიზაციის *„ჰამასის“*, ცოტა ხნის წინ კი მთიანი ყარაბაღის მიერ, ამ „დამოუკიდებლობის“ დისკრედიტაცია უფროა, ვიდრე საქართველოს სეპარატისტული ანკლავების რეალური გასვლა საერთაშორისო არენაზე „სუვერენულ სახელმწიფოთა“ სტატუსში.

პოლიტიკურ-დიპლომატიური თვალსაზრისით რუსეთისთვის ამ მეტად სავალალო სიტუაციაში, კრემლის ლიდერები და იმპერიული ძალები სულ უფრო მეტად აკეთებენ აქცენტს საზოგადოების ინფორმაციულ-იდეოლოგიურ დამუშავებაზე საქართველოს ისტორიის ყოველგვარ ზღვარს გადასული უხამსი გაყალბებით. ბოლო დროს ამ „ფრონტზე“ საკმაოდ „წარმატებით“ იღწვის ვინმე ანდრეი ეპიფანცევი, რომელმაც რამდენიმე სტატია გამოაქვეყნა. ამ პუბლიკაციების მთავარი მიზანი უპირველეს ყოვლისა საქართველოსა და ქართველების დისკრედიტაციაა.[6]

ერთი შეხედვით, რუსეთის ისტორიისა[7] და პოლიტიკური აზროვნების ამ ახლად მოვლენილი „გენიოსის“ შემოქმედება ნამდვილად არ ღირს იმად, რომ მასზე სერიოზული რეაგირება მოახდინო. მაგრამ იმის გამო, რომ თანამედროვე რუსული საზოგადოებრივი აზრი სწორედ ამგვარი ცრუპენტელა და იმპერიულად განწყობილი და ანტიქართული ფსიქოზით შეპყრობილი „ეპიფანცევების“ დემაგოგიური პროპაგანდის ტყვეობაშია მოქცეული, ამ ტიპის „შედევრების“ მთლად უყურადღებოდ დატოვებაც არ ივარგებს. ამასთან, ჩვენ შორს ვართ იმ აზრისგან ყოვლისმომცველი პასუხი გავცეთ (ამ სტატიაში მაინც) ჩვენს „კორიფეს“ და შემოვიფარგლებით მხოლოდ გარკვეული შენიშ-

[6] А. Епифанцев. Была ли Грузия союзником России? Политическая модель выживания грузинского государства. Проект Института национальной стратегии. *Агентство политических новостей* (http://www.apn.ru/publications/article21261.htm). (27.01.2009); А. Епифанцев. Грузинская церковь. Павл, становящийся Савлом. Церковный вопрос. *Агентство политических новостей*. 22.09.2009. (http://www.apn.ru/publications/article21981.htm); А. Епифанцев. Национальные окраины Грузии. Условия распада. *Агентство политических новостей*. 26.01.2010 (http://www.apn.ru/publications/article22327.htm) და სხვ.

[7] აქვე მინდა საგანგებოდ აღვნიშნო, მე თვითონ ვარ რუსული საისტორიო-სამეცნიერო სკოლა გამოვლილი (თავის დროზე გავიარე ასპირანტურის სრული კურსი მიხეილ ლომონოსოვის სახ. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე გამოჩენილი რუსი მეცნიერების სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ბორის რიბაკოვისა და ამავე აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ანატოლი ნოვოსელცევის ხელმძღვანელობით და იქვე დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია) და ძალიან ვწუხვარ, რომ ა. ეპიფანცევისთანა დილეტანტები და უეცები თავიანთი ნაბოდვარით არცხვენენ სახელოვანი ტრადიციების მქონე რუსულ ისტორიულ მეცნიერებას.

ვნებით მის სტატიასთან დაკავშირებით, რომელიც ეძღვნება საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლურ ეკლესიას, სადაც ავტორი ცდილობს ჩირქი მოსცხოს მსოფლიო ქრისტიანობის ერთ-ერთ უძველეს ბურჯს და მის ამჟამინდელ წინამძღოლს.[8]

როგორც ირკვევა „ყოვლისმცოდნე" რუსი „ექსპერტის" ამ პასკვილის გაჩენის საბაბი გამხდარა ზოგიერთი ქართველი მღვდელმთავრის მხრიდან გამოთქმული ცალკეული კრიტიკული შენიშვნები სეპარატისტულად განწყობილი საეკლესიო პირების არაკანონიკური ქმედებების მიმართ, რომელიც გამიზნულია ქართული მართლმადიდებლური ეკლესიისგან აფხაზეთის ჩამოშორებისაკენ. ა. ეპიფანცევი უკიდურესად გაუღიზიანებია საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ხელმძღვანელთა, პირველ რიგში, კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის განცხადებებს. „დამოუკიდებელ აფხაზურ ეკლესიაზე" მეოცნებე რუს პოლიტოლოგს განსაკუთრებით გულში მოხვედრია საქართველოს სულიერი ლიდერის სიტყვები: *„არავის არა აქვს უფლება გამოაცხადოს დამოუკიდებლობა დედა-ეკლესიისაგან" («никто не может объявлять независимость от главной церкви»)* და პირდაპირ ადანაშაულებს მას მიკერძოებაში.[9]

ჩვენი „ჭკუის კოლოფის" მტკიცებით, *„პატრიარქს თურმე დავიწყნია, რომ სულ რალაც 90 წლის წინ არსებობდა ეკლესია, რომელმაც* ***თვითნებურად გამოაცხადა დამოუკიდებლობა მთავარი*** (ანუ რუსეთის – **ზ.ჰ.**) ***ეკლესიისაგან. და ეს იყო... თვით საქართველოს ეკლესია"***:[10] უფრო მეტიც, *„1917 წელს, ისარგებლეს რა არეულობითა და განუკითხაობით, საქართველომ გამოაცხადა დამოუკიდებლობა რუსეთის იმპერიისაგან და უმალვე თავს დაესხა რუსეთის ტერიტორიას, მიიტაცა რა აფხაზეთი, რომელიც XV-XVI საუკუნეებიდან არ ეკუთვნოდა მას, და რუსეთის შავიზღვისპირეთის ტერიტორია – ადლერი, სოჩი, ტუაფსე, ბადიგენსკი და ა. შ. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, –* აგრძელებს ა. ეპიფანცევი, *– ქართული მზარე აკეთებს იგივეს – საქართველოს სამღვდელოების წარმომადგენლები თავიანთი ჯარების ხიშტებზე*

[8] А. Епифанцев. Грузинская церковь. Павл, становящийся Савлом...

[9] А. Епифанцев. Грузинская церковь. Павл, становящийся Савлом...

[10] «Патриарх забыл, что всего каких-то 90 лет назад существовала церковь, которая **самовольно объявила о независимости от главной церкви**. **И это была... сама грузинская церковь**!». იხ.: А. Епифанцев. Грузинская церковь. Павл, становящийся Савлом… (ხაზგასმა ჩვენია – ზ.ჰ.).

იჭრებიან აფხაზეთში, აძევებენ იქიდან რუს მღვდლებს და აცხადებენ, რომ ამიერიდან აფხაზეთი იქნება საქართველოს ეკლესიის კანონიკური ტერიტორია“.[11]

ა. ეპიფანცევის ინსინუაციები საქართველოს ისტორიისა და მისი ეკლესიის ირგვლივ ამით არ შემოიფარგლება. ის აშკარად ვერ მალავს თავის აღშფოთებას იმასთან დაკავშირებით, რომ ქართული საისტორიო ტრადიციის თანახმად საქართველოს ეკლესიამ ავტოკეფალია V საუკუნეში მოიპოვა. მას არანაკლებ აღიზიანებს იმ უცილობელი ფაქტის კონსტატაცია, რომ საქართველოს მართმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება იყო XIX ს. დამდეგს რუსეთის იმპერიის მიერ განხორციელებული საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის უშუალო შედეგი. ამასთან, ბ-ნი ა. ეპიფანცევი სულაც არ ცდილობს უფრო დაწვრილებით შევიდეს ავტოკეფალიის გაუქმების პერიპეტიებში, რადგან თურმე ეს უკავშირდება არა უშუალოდ საქართველოსა და კავკასიას, არამედ საკუთრივ რუსეთის ეკლესიის აღნაგობას *(«Не вдаваясь в вопросы отмены автокефалии Грузинской церкви – ибо это предмет самостоятельного и большого исследования, связанного не только и не столько с Грузией и Кавказом, сколько с самой русской церковью, принципом соборности т. д.»)*. ეს მას ოდნავადაც არ უშლის ხელს უპელაციოდ ცალმხრივად გამოაცხადოს აღნიშნული პრობლემის ქართული ხედვა, რომელიც თითქოს საშუალებას აძლევს ქართულ მხარეს ეფექტურად და მოხერხებულად მიასხუროს ხალხს თავისი სიმართლის „ნექტარი“ *(«позволяющая грузинской стороне эффектно и удобно впрыскивать в народ свою сыворотку правды»)*.[12]

იქვე, რუსი ისტორიკოს-პოლიტოლოგი ერთგვარი დაცინვით საუბრობს რა *„საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებაზე V საუკუნეში“ («обретение независимости ГПЦ в V веке»)*, ხმამაღლა აცხადებს, რომ ამ ეკლესიასთან აფხაზეთს არაფერი არ აკავშირებდა, რადგან *„უკვე VII საუკუნიდან აფხაზეთში ფუნქციონირებს კონსტან-*

[11] «В 1917 году, воспользовавшись смутой и неразберихой, Грузия объявила о своей независимости от Российской Империи и тут же напала на территорию России, захватив **не принадлежавшую ей с 15-16 веков Абхазию** и **часть российской причерноморской территории – Адлер, Сочи, Туапсе, Хадыженск** и т. д. Удивительно, но грузинская церковь делает то же самое – представители грузинского духовенства на штыках своих войск входят в Абхазию, выгоняют оттуда русских священников и объявляют, что отныне каноническая территория Абхазии будет принадлежать Грузинской церкви». იხ.: А. Епифанцев. Грузинская церковь… (ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.).

[12] А. Епифанцев. Грузинская церковь. Павл, становящийся Савлом…

ტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციის ქვეშ მყოფი ავტოკეფალური საეპისკოპოსო...“. ა. ეპიფანცევის მტკიცებით, *„ასეთი სიტუაცია გრძელდება მინიმუმ 5 საუკუნის განმავლობაში. **შემდეგ კი, საქართველოს სახელმწიფოს განვითარებისა და გაფართოების ფონზე, აფხაზეთის სამთავროში რელიგიური საკითხები მართლაც მოექცა ქართველი მეფეების გავლენის ქვეშ.** არსებითად,* – აგრძელებს ავტორი, – *მაშინ ხდება ის, რის გამოც ამჟამად* (საქართველო – **ზ.ჰ.**) *კიცხავს რუსეთს... – **ქართველები, ძლიერის უფლებით ახდენენ ავტონომიური აფხაზეთის საეპისკოპოსოს ლიკვიდაციას, ავრცობენ აფხაზეთზე თავიანთ გავლენას... და უკვე ჩვენს დროში თვლიან ამ ფაქტს სამართლიანი ათვლის წერტილად საქართველოსადმი აფხაზეთის ეკლესიის კუთვნილებისა***“.[13]

ა. ეპიფანცევის მიერ აქ გადმოფრქვეულ „სიბრძნეებს“ გააჩნია ერთი სერიოზული ნაკლი – ავტორის არაკომპეტენტურობა შუა საუკუნეების პერიოდი საქართველო-აფხაზეთის ისტორიის საკითხებში. დავიწყოთ იქიდან, რომ მან უბრალოდ არ იცის, რომ მის მიერ VII საუკუნეში დაფიქსირებული ე.წ. „აფხაზეთის ავტოკეფალური საეპისკოპოსო“, არანაირად არ იყო კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მომდევნო 5 საუკუნის მანძილზე იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ X ს. დამდეგიდან მაინც[14] (თუ

---

[13] **«Уже с VII века в Абхазии устанавливается автокефальное епископство, находившееся под юрисдикцией Константинопольской патриархии**... И такая ситуация продолжается на протяжении минимум 5 веков. **После этого при развитии и расширении грузинского государства религиозные вопросы в Абхазском княжестве действительно подпадают под влияние картвельских царей**. По сути, тогда происходит то, за что сейчас Грузия распинает Россию в отношении себя – **грузины фактически по праву сильного ликвидируют автономию абхазского епископства, распространяют на Абхазию свое влияние... и уже в наше время начинают считать именно этот факт справедливой точкой отсчета принадлежности Абхазской церкви!**». იხ.: А. Епифанцев. Грузинская церковь. Павл, становящийся Савлом... (ხაზგასმა ჩვენია – **ზ.ჰ.**).

[14] „დამოუკიდებელი აფხაზური ნაციონალური ეკლესიის“ ახლადმოვლენილი ქომაგის საყურადღებოდ აღვნიშნავთ, რომ „აფხაზთა“ სამეფოს მიერ საეკლესიო დამოუკიდებლობის საკითხთან დაკავშირებით არსებობს საკმაოდ ვრცელი ისტორიოგრაფია (ნ. ბერძენიშვილი. სავაზირო ფეოდალურ საქართველოში. ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი. წგნ.: ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. III. თბ., 1966, გვ. 45; კ. კეკელიძე. კანონიკური წყობილება ძველ საქართველოში. წგნ.: კ. კეკელიძე. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ. IV. თბ. 1957, გვ. 354-355; პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე. ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა. თბ. 1954, გვ. 245; გეორგიკა. ტ. IV. ნაწ. II. ბიზანტიელ მწერალთა ცნობები საქართველოს შესახებ. ბერძნული ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბ. 1952, გვ. 196-201; З. В. Анчабадзе. Из истории средневековой Абхазии. Сухуми. 1959, გვ. 146; მ. ლორთქიფანიძე. ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. II. თბ. 1973, გვ. 424, 427; М. Д. Лордкипанидзе. Возникновение новых феодальных государств. Очерки истории Грузии. II. Тб.

უფრო ადრე არა) ის უკვე შედიოდა კონსტანტინოპოლისაგან დამოუკიდებელი საეკლესიო ორგანიზაციის – „აფხაზეთის“ საკათალიკოსოს სტრუქტურაში. იმ **„აფხაზეთის“ საკათალიკოსოსი,** რომელიც იმთავითვე იყო **დასავლურ-ქართული** (და არა აფხაზურ-აფსუური ნაციონალური) **საეკლესიო ორგანიზაცია, ქართული ღვთისმსახურებით.** საყოველთაოდ ცნობილია, რომ იმ დროისათვის დასავლეთ საქართველოში, მათ შორის საკუთრივ ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე სწორედ ქართული ენა გახდა საეკლესიო ღვთისმსახურებისა და სახელმწიფო საქმის წარმოების ენა ნაცვლად ბერძნულისა.[15]

1988, გვ. 289; М. Д. Лордкипанидзе. Абхазское царство. Разыскания по истории Абхазии/ Грузия. Тб. 1999, გვ. 159; ვ. გოილაძე. ქართული ეკლესიის სათავეებთან. თბ. 1991, გვ. 178; ბ. დიასამიძე. ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში (I-X საუკუნეები). ბათუმი. 2001, გვ. 200-202; ბ. კუდავა. კონსტანტინოპოლის საპატრიარქო და დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრები (IX ს.). ისტორიანი. სამეცნიერო კრებული მიძღვნილი როინ მეტრეველის დაბადების 60 წლისთავისადმი. თბ. 2000, გვ. 47; ბ. კუდავა. აფხაზთა საკათოლიკოსოს ისტორიიდან (IX-XIII სს.). ქართული დიპლომატია. წელიწდეული. ტ. 9. თბ. 2002, გვ. 565; თ. ჟორიძე. აფხაზეთის საკათოლიკოსოს ისტორია (IX-XVIსს.). ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი. თბ. 2003, გვ. 9-10; ჯ. გამსხარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა (I ს. - 1921 წ.). თბ. 2005, გვ. 117-118; ზ. პაპასქირი. „აფხაზთა“ საკათალიკოსოს დაწესების ქრონოლოგიისათვის. შოთა მესხია – 90. საიუბილეო კრებული მიძღვნილი შოთა მესხიას 90 წლისთავისადმი. თბ. 2006, გვ. 201-213; იგივე პუბლიკაცია იხ. აგრეთვე: ზ. პაპასქირი. და აღმოცისკრდა საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე. თბ. 2009, გვ. 171-183 და სხვ.). მიუხედავად გარკვეული აზრთა სხვადასხვაობისა ზემოთჩამოთვლილ მკვლევართა შეხედულებებში, ყველა მათგანი თანხმდება იმაში, რომ დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ორგანიზაცია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციიდან გამოვიდა არა უგვიანეს X ს. დამდეგისა. ჩვენ ყველაზე დამაჯერებლად მიგვაჩნია თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც ეს უნდა მომხდარიყო IX ს. 80-90-იან წლებში (ნ. ბერძენიშვილი. სავაზირო ფეოდალურ საქართველოში.., გვ. 45; ბ. კუდავა. კონსტანტინოპოლის საპატრიარქო და დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრები (IX ს.), გვ. 47; თ. ჟორიძე. აფხაზეთის საკათალიკოსოს ისტორია.., გვ. 9-10; ზ. პაპასქირი. „აფხაზთა“ საკათალიკოსოს.., გვ. 208-210), „თხოვნითა ბერძენთაგანვე“ (ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 746), ანუ კონსტანტინოპოლის დასტურით. სწორედ ამ პერიოდში, მას მერე რაც ქუთაისის ტახტი იმპერიის დიპლომატიური და სამხედრო დახმარებით ბიზანტიაში გახიზნულმა უფლისწულმა ბაგრატმა დაიკავა, „აფხაზთა“ სამეფოსა და ბიზანტიის იმპერიას შორის ურთიერთობა აშკარად კონსტრუქციულ რეჟიმში გადავიდა (ზ. პაპასქირი. „აფხაზთა“ სამეფოს საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის დაზუსტების საკითხისათვის. ქართული დიპლომატია. წელიწდეული. ტ. 6. თბ. 1999, გვ. 329-330).

[15] ამასთან დაკავშირებით საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართული დამწერლობის ყველაზე ადრინდელი – სპეციალისტების (ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი. ტ. II. დასავლეთ საქართველოს წარწერები. ნაკვ. I (IX-XIII სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვალერი სილოგავამ. თბ. 1980, გვ. 31-32; ვ. სილოგავა. აფხაზეთისა და სამეგრელოს ეპიგრაფიკა. თბ. 2004, გვ. 258-259; Л. Ахаладзе. Эпиграфические памятники Абхазии. Разыскания по истории Абхазии/Грузия. Тб. 1999, გვ. 364; ლ. ახალაძე, აფხაზეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო. ტ. I. ლაპიდარული და ფრესკული წარწერები. თბ. 2005, გვ.

ასევე ვერ უძლებს კრიტიკას ა. ეპიფანცევის მტკიცება იმის შესახებ, *„საქართველოს სახელმწიფოს განვითარებისა და გაფართოების ფონზე* (ზემოთ მითითებული ქრონოლოგიური ორიენტირების მიხედვით VII საუკუნიდან 5 საუკუნის შემდეგ – სადღაც XII საუკუნეში), *აფხაზეთის სამთავროში რელიგიური საკითხები... მოექცა ქართველი მეფეების გავლენის ქვეშ“*, რის შედეგადაც თითქოს ქართველებმა, *„ძლიერის უფლებით“* მოახდინეს *„ავტონომიური აფხაზეთის საეპისკოპოსოს ლიკვიდაცია“*. ჯერ ერთი, *„საქართველოს სახელმწიფოს განვითარება და გაფართოება“* დაიწყო სულ ცოტა X ს. ბოლოდან მაინც (რაც არანაირად არ ჯდება ა. ეპიფანცევის ქრონოლოგიურ ორიენტირებში), როდესაც არა სხვა ვინმეს, არამედ **თვით „აფხაზთა“ მეფე ბაგრატ III ბაგრატიონის** (978-1014) თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად (უკვე ამ მონარქის მმართველობის მიწურულისათვის) ძირითადად დასრულდა ქართული მიწების გაერთიანების პროცესი და შეიქმნა ერთიანი ქართული სახელმწიფო. და არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმ ფაქტს, რომ ეს სახელმწიფო XI-XII საუკუნის თითქმის ყველა უცხოენოვან (და ნაწილობრივ ქართულ) წერილობით წყაროში, როგორც წესი იწოდება „აფხაზეთად“,[16] მთავარია, რომ **ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ ქართული სახელმწიფო** და არა აფხაზურ-აფსუური „ნაციონალური“ გაერთიანება, როგორც ეს ცალკეულ აფხაზ და რუს „ინტელექტუალებს“ მიაჩნიათ.[17]

140-146) მიერ IX-X საუკუნეებით დათარიღებული – ძეგლი დასავლეთ საქართველოში (რომელიც, სხვათა შორის, აფხაზმა მკვლევარმა ანატოლი კაციამ გამოავლინა) აღმოჩენილია არა სადმე ქართლის მოსაზღვრე მხარეში – იმერეთში, არამედ მაინც და მაინც თანამდროვე აფხაზეთის შუაგულში – გუდაუთის რაიონის სოფ. მსიგხუაში (А. К. Кация. Памятники архитектуры в долине Цкуара. Материалы по археологии Абхазии. Сухуми. 1967).

[16] ვრცლად იხ.: З. Папаскири. Ещё раз о значении терминов «Абхазия» и «абхазы» в восточных письменных источниках. ქართული-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობების წარსული, დღევანდელობა, მომავალი. სამეცნიერო კონფერენციის მასალები. გორის სასწავლო უნივერსიტეტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბ. 2011, გვ. 97-101; З. Папаскири. Абхазия. История без фальсификации. Издание второе, исправленное и дополненное. Тб. 2010, გვ. 60-63 (http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/29865/1/AbkhaziaIstoriaBezFalsifikacii.pdf).

[17] თავის დროზე სრულიად აბსურდულ იდეას „აფხაზთა“ სამეფოს, როგორც საკუთრივ აფხაზურ-აფსუური სახელმწიფოს არსებობის შესახებ, არა მხოლოდ VIII-X, არამედ საქართველოს გაერთიანების შემდეგაც – XI-XV საუკუნეებში, ავითარებდა XX ს. 20-30-იანი წლების აფხაზეთის სეპარატისტული მოძრაობის ცნობილი წარმომადგენელი სემიონ აშხაცავა. მისი მტკიცებით, „აფხაზეთის სამეფო“ («Абхазское» царство») – იყო აფხაზური ნაციონალური სახელმწიფო, რომელიც არსებობდა XV საუკუნემდე, როდესაც ის დაიშალა სამ სამეფოდ: ქართლის, კახეთის, იმერეთის და 5 სამთავროდ: სამცხე-საათაბაგო, გურია, სამეგრელო, სვანეთი, აფხაზეთი“ («Абхазское» царство – **абхазское национальное государство просуществовало аж до конца XV в.**, когда оно распалось на три царства: Кахетинское, Карталинское и Имеретинское и

ა. ეპიფანცევს ამ კატეგორიას ნამდვილად ვერ მივაკუთვნებთ, თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ის (განსხვავებით აფხაზური სეპარატიზმის იდეოლოგებისა და მათი მოსკოველი „თანამებრძოლებისა“, რომელთაც საბოლოოდ დაკარგეს ლოგიკური აზროვნების უნარი),[18] მაინც აღიარებს, ერთიანი ქართული სახელმწიფოს, საერთო ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის არსებობას და აფხაზეთს ამ ერთიანი სივრცის ნაწილად (XVII საუკუნემდე) მიიჩნევს. მეორე მხრივ არ არის მიზანშეწონილი ვისაუბროთ ე.წ „აფხაზეთის საეპისკოპოსოს ავტონომიის“ გაუქმებაზე, მაშინ, როდესაც დანამდვილებით ცნობილია, რომ ერთიანი ქართული მონარქიის არსებობის პერიოდში – XI-XV საუკუნეებში – ე.წ. „აფხაზეთის“ საკათალიკოსო (და არა „აფხაზეთის ავტოკეფალური საეპისკოპოსო“) სულაც არ გაუქმებულა. არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ აფხაზური ნაციონალური ქრისტიანული ეკლესია საერთოდ არ არსებობდა და ის მიუხედავად სენსაციის მოყვარულთა (ცნობილი რუსი ფაშისტის ვადიმ კოჟინოვისა და მის მსგავსთა),[19] ფანტასტიკური წარმოსახვებისა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წარმოდგენდა დასავლურ ქართულ საეკლესიო ორგანიზაციას.

на пять княжеств: Самцхе-Саатабаго, Гурию, Мингрелию, Сванетию и Абхазию». იხ.: С. М. Ашхацава. Пути развития абхазской истории. Издание Наркомпроса Абхазии, 1925, გვ. 21, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.).

[18] ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ თავისი სეპარატისტული ხედვებით ცნობილი მოსკოვში მოღვაწე აფხაზი მეცნიერი-იურისტი ტარას შამბა და მისი „იდეური თანამოძმე“, მანამდე საზოგადებისათვის სრულიად უცნობი „ეთნოპოლიტოლოგი“ ალექსანდრე ნეპროშინი, რომელთა „გენიალური მიხვედრით“, „მტკიცებებს საქართველოს არსებობის შესახებ 26 საუკუნის განმავლობაში არაფერი არა აქვს საერთო ისტორიულ სინამდვილესთან...“, რადგან თურმე **„1918 წლის მაისამდე სახელმწიფო „საქართველო“, ისევე როგორც მისი ტერიტორია არ არსებობდა!** მხოლოდ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე არსებული ცალკეული დამოუკიდებელი სამთავროების, რომელთაგან არცერთი არ ატარებდა სახელს – „საქართველო“, გაერთიანების შედეგად შექმნილი ერთიანი სახელმწიფოსა და მისთვის ამ სახელწოდების მინიჭების შემდეგაა გამართლებული იურიდიულად ასეთი სახელმწიფოს წარმოქმნა და არა ამაზე ადრე“ («Домыслы о существовании Грузии на протяжении 26 веков не имеют ничего общего с исторической действительностью... **До мая 1918 г. государство «Грузия», как и ее территория, не существовало!** Только с объединением нескольких отдельных независимых княжеств, располагавшихся на территории Закавказья, из которых ни одно не носило самоназвание «Грузия», в единое государство и присвоением этому объединению указанного наименования юридически правомерно возникновение такой страны, с этого момента – и не ранее!». იხ.: Т. М. Шамба, А. Ю. Непрошин. Постсоветское пространство после Беловежья. Абхазия – DeFacto и DeJure. Гражданин. Периодический политический журнал. №2. 2004 (http://www.grazhdanin.com/grazhdanin.phtml?var=Vipuski/2004/2/statya7&number=%B92%A02004%E3), ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.).

[19] В. В. Кожинов. Современная жизнь традиций. Размышления об абхазской литературе. Дружба народов. №4. 1977, გვ. 256.

მიუხედავად ა. ეპიფანცევის არაკომპეტენტურობისა, ზოგადად, მან მაინც რაღაც იცის საქართველო-აფხაზეთის ისტორიიდან. მისი განცხადება იმის შესახებ, რომ *„საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის უზენაესობა მთავრდება მე-16 საუკუნეში, როდესაც ქართული სახელმწიფო მთლიანად მოიშალა, ხოლო თვითონ ქართველობა აფხაზეთში გაქრა როგორც ერი ზოვი გამოდევნეს აფხაზეთიდან, ზოვიც ასიმილირებულ იქნა და მათი შთამომავლები ამჟამად თავს ადიღებსა და აფხაზებს მიაკუთვნებენ, ზოვნი გაფიდეს მონებად“*,[20] ახლოსაა ჭეშმარიტებასთან, თუმცა ის მაინც დაზუსტებას მოითხოვს.

ნამდვილად შეესაბამება სიმართლეს ის ფაქტი, რომ საქართველო როგორც ერთიანი სახელმწიფო აღარ არსებობს XVI საუკუნიდან (უფრო ზუსტად XV საუკუნის ბოლოდან). დაახლოებით ამ პერიოდიდან იწყება ჩრდილოეთ კავკასიიდან ჯიქ-აფხაზთა ახალი ტალღის ჩამოწოლა და მათი ექსპანსია თავდაპირველად აფხაზეთის საერისთავოს (დაახლოებით ანაკოფია-ახალი ათონიდან ნიკოფსიამდე – თანამედროვე ქ. ტუაფსეს ჩრდილოეთით), ხოლო შემდეგ კი თანამედროვე აფხაზეთის დანარჩენ ტერიტორიაზე, რომელსაც მოჰყვა არსებითი ხასიათის სოციალურ-კულტურული ცვლილებები. აფხაზეთი მაღალგანვითარებული ფეოდალური რეგიონიდან, სადაც ყვაოდა ქრისტიანული კულტურა და წიგნიერება, თანდათანობით გადაიქცა ჩამორჩენილ მხარედ, პრიმიტიული პატრიარქალური მეურნეობით და რეანიმირებული წარმართული რწმენა-წარმოდგენებით.

ისტორიოგრაფიაში ეჭვს არ იწვევს, რომ ადიღური გადმოცემები ადიღთა ბელადის ინალისა და მისი თანამებრძოლების – აბაზა მთავრების აშესა და შაშეს – მიერ „აფხაზეთის დაპყრობის“ (XVI ს. I მეოთხედში) შესახებ რეალობის ამსახველია. მკვლევართა დაკვირვებით, მასში იგულისხმება აბაზური ტომების, კერძოდ, აბაზა-აშხარელების ფართომასშტაბიანი გადმოსახლება ჩრდილოეთ კავკასიიდან შაჰი ზღვის აფხაზეთის სანაპიროზე.[21] არა სხვა ვინმე, არამედ თვით ყველაზე ავტორიტეტული აფხაზი სწავლული-ეთნოლოგი შალვა ინალ-იფა ცალსახად აღიარებდა, რომ ისტორიული გადმოცემები *„ბში-*

[20] **«Главенство ГПЦ в Абхазии заканчивается к 16 веку,** когда грузинское государство полностью разваливается, **а сами грузины в Абхазии исчезают как нация**… **кого-то выдавливают из Абхазии, кто-то ассимилируется и его потомки сейчас ощущают себя адыгами и абхазами,** кого-то **абхазами,** кого-то продают в рабство». იხ.: А. Епифанцев. Грузинская церковь. Павл, становящийся Савлом… ხაზგასმა ჩვენია – ზ.ჯ.

[21] Д. Л. Мусхелишвили. Исторический статус Абхазии.., გვ. 133.

რად გვამცნობენ იმის შესახებ, თუ როგორ მოდიოდნენ აფხაზეთში ერთი მეორის მიყოლებით საგვარეულოები, ან ცალკეული პირები საიდანღაც ჩრდილოეთიდან მთებს გადალმიდან“.[22]

შარვაშიძეთა საერისთაო სახლის წარმომადგენლები, რომელთაც ერთიანი ქართული სახელმწიფოს ცენტრალური ხელისუფლებისაგან ჩაბარებული ჰქონდათ აფხაზეთის საერისთავოს მართვა, თავიანთ ბრძოლაში ოდიშის მთავართა წინააღმდეგ სულ უფრო აქტიურად იყენებდნენ ჯიქ-აფხაზებს და თვითონ გამოდიოდნენ მათი აფხაზეთში დაფუძნების მთავარ ინიციატორებად და ორგანიზატორებად.

პირველ ხანებში ოდიშის მმართველები, რომლებიც ჯერ კიდევ აკონტროლებდნენ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიის ნაწილს, დროდადრო ცდილობდნენ პრევენციული დარტყმები მიეყენებინათ ჯიქ-აფხაზებისთვის. 1533 წელს სამეგრელოს მთავარმა მამია III დადიანმა, რომელმაც მისი მმართველობის დროს ბიჭვინთის ღვთისმშობელს შესწირა რამდენიმე სოფელი (რომელებიც ბიჭვინთაში მდებარეობდა), მამია I გურიელთან და იმერეთის მეფე ბაგრატ III ერთად, მოაწყო საზღვაო ექსპედიცია ჯიქეთში, მაგრამ ეს ექსპედიცია კრახით დასრულდა, მამია დადიანი მოკლეს, ხოლო მამია I გურიელი ტყვედ ჩავარდა.[23]

ამ მარცხის მიუხედავად, XVI საუკუნის განმავლობაში, თანამედროვე აფხაზეთის დიდი ნაწილი სოხუმამდე „დადიანის მიწად“ ითვლებოდა. [24] XVII ს. დამდეგს შარვაშიძეებმა ისარგებლეს ოდიშის სამთავროს დასუსტებით და ენერგიულად შეუდგნენ დადიანთა იურისდიქციიდან აფხაზეთის საერისთავოს გამოყოფის გეგმის რეალიზაციას. ისტორიოგრაფიაში მიღებული თვალსაზრისის თანახმად, ითვლება, რომ სწორედ ამ დროს დასრულდა აფხა-

[22] «…часто рассказывается о том, как приходили в Абхазию один за другим целые роды или отдельные лица откуда-то с Севера из-за гор». იხ.: Ш. Д. Инал-ипа. Страницы исторической этнографии абхазов. Сухуми. 1971, გვ. 141; Д. Л. Мусхелишвили. Исторический статус.., გვ. 133.

[23] ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს. თბ. 1996, გვ. 61-62; З. Папаскири. Этнодемографический, политико-государственный и социально-культурный облик современной Абхазии в XVI-XVII вв. საისტორიო ძიებანი. წელიწდეული. ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაცია. ტ. X-XI. გვ. თბ. 2007-2008, გვ. 70-71 (https://sites.google.com/site/saistoriodziebani/dziebani2007-2008).

[24] თურქული წყაროები XVI ს. I ნახევრის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის. თურქული დოკუმენტები ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და შენიშვნებით გამოსცა ც. ბაბულაძემ. თბ. 1983, გვ. 57.

ზეთის საერისთავოს დამოუკიდებელ სამთავროდ ფორმირების პროცესი. იტალიელი მისიონერის ჯოვანი და ლუკას თითქმის დოკუმენტური დამოწმებით, 1630 წლისთვის საზღვარი დადიანისა და შარვაშიძის ტერიტორიებს შორის სოხუმ-სკისორნუმის მიდამოებში, მდინარე აბსეზე (თანამედროვე მდ. ბესლეთი). გადიოდა.[25] ოდიშის ერისთავის ერთ-ერთ რეზიდენციად რჩებოდა მერკულა (თანამედროვე ოჩამჩირის ტერიტორიაზე), სადაც 1615 წელს ლევან II დადიანმა ხელი მოაწერა სამშვიდობო ხელშეკრულებას ოსმალთა იმპერიასთან.[26] მოგვიანებით 1639 წელს მერკულასთან ოდნავ მოშორებით დაიმარხა ლევან დადიანის მეუღლე ნესტან-დარეჯანი, ხოლო მოსახსენიებელი მოეწყო კვიტოულის სასახლეში[27] (ასევე ოჩამჩირის რაიონი). ლევან II დადიანის კიდევ ერთი სასახლე მდებარეობდა მდინარე ღალიძგის ნაპირზე. ეს სასახლე (აფხაზეთის კათალიკოსის მალაქია II გურიელის თხოვნით) გადაეცა ბიჭვინთის ღვთისმშობლის საპატრიარქო კათედრას.[28]

ლევან II დადიანმა XVII ს. 30-იან წლებში მოაწყო სამხედრო ექსპედიცია აფხაზეთში, რომლის დროსაც მან მიაღწია მდინარე კაპოეტისწყალს (ბზიფი), სადაც დაამარცხა ჯიქ-აფხაზთა რაზმები ვინმე მარშანიას მეთაურობით და დროებით დაამყარა სრული კონტროლი შარვაშიძეთა სახლზე.[29] თუმცა მოგვიანებით აფხაზებმა განაახლეს ბრძოლები ოდიშის მიმართულებით, რამაც ლევან II აიძულა აეგო საფორტიფიკაციო სიმაგრე მდინარე კელასურთან – ე.წ კელასურის კედელი.[30] XVII ს. II ნახევრიდან აფხაზებმა მაინც შეძლეს

[25] ი. ტაბაღუა. დომინიკანელი მისიონერის ჯოვანი და ლუკას ცნობები აფხაზეთსა და სამეგრელოზე – საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში: XIII-XX სს-ის პირველი მეოთხედი. ტ. III. თბ. 1987, გვ. 157; ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა.., გვ. 94; 3. Папаскири. Этнодемографический.., გვ. 73.

[26] ი. ტაბაღუა. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში: XIII-XX სს-ის პირველი მეოთხედი. ტ. II. თბ., 1986, გვ. 46; ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა.., გვ. 72; 3. Папаскири. Этнодемографический.., გვ. 72-73.

[27] ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა (1466-1770 წწ.). წ. I. ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა და საძიებლები დაურთო შ. ბურჯანაძემ. თბ., 1958, გვ. 151-152; ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა.., გვ. 149-150; 3. Папаскири. Этнодемографический.., გვ. 73.

[28] ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა.., გვ. 149; 3. Папаскири. Этнодемографический, политико-государственный облик.., გვ. 73.

[29] ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა.., გვ. 77; 3. Папаскири. Этнодемографический, политико-государственный облик.., გვ. 73-74.

[30] მეცნიერებაში საყოველთაოდაა მიღებული, რომ კელასურის კედელი, ანუ არქანჯელო ლამბერტის ცნობით: სამოცი ათასი ნაბიჯის სიგრძის კედელი აფხაზთა შემოსევების შესაჩერებლად, ააგო ლევან II დადიანმა (არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, თარგმანი იტა-

კელასურის კედლის გარღვევა და საზღვრის გადაწევა მდინარე კოდორამდე, ამის შემდეგ კი მდ. კოდორიდან ენგურამდე ტერიტორიის დაპყრობა. ასე მიიღო XVIII ს. დამდეგს აფხაზეთის ტერიტორიამ მიიღო თანამედროვე იერ-სახე.[31]

მას შემდეგ რაც შარვაშიძეებმა განავრცეს თავიანთი სამფლობელოები მდ. ენგურის სანაპირობამდე, ისინი უკვე შეუდგნენ ღალიძგა-ენგურის ორმდინარეთის ეთნიკურ ათვისებას. ერთ-ერთი გადმოცემის მიხედვით, რომელიც რეალობის ამსახველი უნდა იყოს, ყვაპუ შარვაშიძემ, რომელსაც ერგო ტერიტორია ენგურსა და ღალიძგას შორის, ბზიფის აფხაზეთიდან ჩამოასახლა ამ ტერიტორიაზე რამდენიმე თავად-აზნაურული გვარი, მათ შორის: ანჩაბაძე, ემუხვარი, ინალ-იფა-ინალიშვილი, მარღანია, ზვანბაია, ლაკირბაია, აქირთავა და სხვა.[32] ამ წარჩინებულ საგვარეულოებთან ერთად აქ ჩამოასახლეს გლეხებიც. თავად ყვაპუმ ჩაუყარა საფუძველი სამურზაყანოს შარვაშიძეთა საგვარეულოს.

ყოველივე ამან ნამდვილად შეცვალა მნიშვნელოვნად რეგიონის ეთნო--დემოგრაფიული სურათი, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს რომ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველები საერთოდ გაქრნენ „როგორც ერი“. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად ყველაფრისა, მდინარეებს ღალიძგასა და ენგურს შორის მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენდნენ ქართველები. რაც შეეხება თანამედროვე აფხაზეთის სხვა რაიონებს, განსაკუთრებით კი სოხუმსა და ღალიძგას შორის ტერიტორიას, იქიდან ქართული მოსახლეობა მართლაც იძულებული შეიქნა დედა-ბუდიანად აყრილიყო და თავი ოდიშის ცენტრალური რაიონებისათვის შეეფარებინა. ბევრი მათგანი ტყვედ აიყვანეს და მონებად გაყიდეს (ამაში უდავოდ სწორია ა. ეპიფანცევი), სხვები გადაასახლეს ბზიფის აფხაზეთში, სადაც ისინი გაითქვიფნენ აფხაზებ-

---

ლიურიდან ა. ჭყონიასი. მეორე გამოცემა. ლ. ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციით და შენიშვნებით. თბ. 1938, გვ. 192). ამას ადასტურებენ როგორც ქართული (ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 782; ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება. ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები, საძიებლები დაურთო შ. ბურჭულაძემ. თბ. 1962, გვ. 151), ისე უცხოური წყაროები (არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გვ. 192; ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა. თბ. 1975, გვ. 197).

[31] ამ პერიოდში ოდიშ-აფხაზეთის ეთნიკურ-ადმინისტრაციული საზღვრის ცვლილებების შესახებ. იხ.: კ. კვაშილავა. როდის გახდა მდ. ენგური ოდიშ-აფხაზეთის საზღვარი. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი შრომები. ტ. V. ჰუმანიტარული და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია. თბ. 2008, გვ. 461-487 (http://sou.edu.ge/files/samecniero mushaobis koordinacia/ssu_ shromebi_5_(2008).pdf).

[32] ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა.., გვ. 116-117.

ში. ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ გუდაუთის რაიონში მცხოვრები აფხაზების უმეტესობა, რომლებიც ატარებენ ქართულ გვარებს, სწორედ იმ ქართველ-მეგრელთა შთამომავლები არიან, რომლებიც ძალით გადაასახლეს ბზიფის აფხაზეთში.[33]

ახლა იმის შესახებ, თუ რა ბედი ეწია ქრისტიანული ეკლესიას აფხაზეთში ამ პერიოდში. სრულიად უდავოა, რომ, მიუხედავად მკვეთრი პოლიტიკური და ეთნო-დემოგრაფიული რყევებისა, აფხაზეთი კვლავინდებურად რჩებოდა საერთო ქართული ეკლესიის წიაღში, რომელსაც იურიდიულად განასახიერებდა ე.წ. „აფხაზეთის“ (დასავლეთ საქართველოს) საკათალიკოსო. მაგრამ ჯერ კიდევ XV ს. II ნახევრიდან აფხაზთა მენტალობაში შეიმჩნევა ქრისტიანული საწყისების მორყევის ტენდენციები, რომელიც, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, ერთნიშნად უკავშირდებოდა ჩრდილოეთ კავკასიიდან ჯიქ-აფხაზთა ახალი ტალღის გამოჩენას. ამ ფაქტს ადასტურებს *„მცნება სასჯულო“* – იოვაკიმეს „აფხაზეთის“ (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსად კურთხევასთან (1470-1474 წწ.) დაკავშირებით შედგენილი ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც საგანგებოდაა აღნიშნული აფხაზთა ქრისტიანობისაგან განდგომა და *„წარმართად მიქცევა“*: *„აფხაზეთი ქრისტეანობისაგან სრულიად მიდრეკილ იყუნეს, ქრისტეს მცნებათაგან განშორებულ იყუნეს“*.[34]

როგორც ცნობილია, ამ აქტის – იოვაკიმეს „აფხაზეთის“ (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსად კურთხევის – ინიციატორები და სულისჩამდგმელები იყვნენ არა აფხაზეთის ერისთავები-შარავაშიძეები, არამედ ქართლ-იმერეთის მეფე ბაგრატი, დიდი ერისთავთ-ერისთავი შამადავლე დადიან-გურიელი და ანტიოქიის პატრიარქი მიხეილი. სწორედ ამ აქტით გაფორმდა „აფხაზეთის“ საკათალიკოსოს, როგორც დამოუკიდებელი საეკლესიო ორგანიზაციის ჩამოყალიბება. ისტორიოგრაფიაში სამართლიანადაა შენიშნული, რომ XV ს.

[33] ეს, რასაკვირველია, სრულებითაც არ გამორიცხავს ქართველურ ტომთა მოსახლეობას (აფხაზ-აფსუებთან ერთად) გუდაუთა-ბიჭვინთის მხარეში. იგივეს თქმა შეიძლება ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონში მცხოვრები ქართული (ძირითადად მეგრული) გვარების მატარებელ აფხაზებზე, თუმცა მათ შორის საკმაოდ მრავალადაა ისეთებიც, რომლებმაც თავიანთი ქართული ფესვები „დაივიწყეს“ ამ რამდენიმე ათეული წლის წინათ აფხაზეთში ნესტორ ლაკობას ნაციონალისტურ-სეპარატისტული რეჟიმის პარპაშის (XX ს. 20-30-იანი წლების I ნახევარი) პერიოდში, აგრეთვე 60-80-იან წლებში, როდესაც კვლავ იძალა მკვეთრად გამოხატულმა პროაფხაზურმა ნაციონალისტურ-სეპარატისტულმა კონიუნქტურამ.

[34] მცნება სასჯულო – ქართული სამართლის ძეგლები. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. ტ. III. თბ. 1970, გვ. 222.

II ნახევარში „აფხაზეთის“ დამოუკიდებელი საკათალიკოსოს ჩამოყალიბება,[35] ნიშნავდა დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრების სეპარატისტული პოლიტიკის გამარჯვებას, რომლებსაც თავიანთი პოლიტიკური ამბიციების განსამტკიცებლად დასჭირდათ „საკუთარი“ ეკლესია, რომელიც იქნებოდა დამოუკიდებელი საერთო ქართული ეკლესიური ერთობის განმასახირებელი მცხეთის საკათალიკოსოსგან.[36]

„აფხაზეთის“ საკათალიკოსოს ეროვნული-კულტურული კუთვნილების საკითხი არავითარ ეჭვს არ იწვევს. როგორც გამოჩენილი აფხაზი ისტორიკოსი ზ. ანჩაბაძე აღნიშნავდა ეს საეკლესიო ორგანიზაცია მთლიანად ქართული იყო.[37] ამის ნათელი დადასტურებაა ის წერილობითი მემკვიდრეობა – *„მცნება სასჯულო“*, *„აფხაზეთის საკათალიკოსოს დიდი იადგარი“*,[38] *„აფხა-*

---

[35] ეს სულაც არ ნიშნავს იმის უარყოფას, რომ ე.წ „აფხაზეთის“ საკათალიკოსო ფუნქციონირებდა „აფხაზთა“ სამეფოში ჯერ კიდევ „ლეონიდების“ ხანიდან. ამ მხრივ მეტად ნიშანდობლივია ვახუშტი ბატონიშვილის ცნობილი განმარტება, რომლის მიხედვითაც „აფხაზეთის“ საკათოლიკოსოს შექმნა სამეფოს დამმარსებელს ლეონ II-ს უკავშირდება: „ოდეს განდგა ლეონ და იწოდა აფხაზთა მეფედ, მაშინ მოუძლურებულ იყენენ ბერძენნიცა; **და ამ ლეონის მიერ, ანუ შემდგომთა მისთაგან განთავისუფლდა თხოვნითა ბერძენთაგანვე,** ვინა თვან **სახელიცა მისი ესრეთვე წარმოაჩინებს, რამეთუ უწოდებენ კათალიკოზსა აფხაზეთისასა** და არა ეგრისისასა და იმერეთისასა“ (ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 746, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.). XI-XII საუკუნეებში ცოტა რამაა ცნობილი „აფხაზეთის“ საკათალიკოსოზე და მხოლოდ XIII საუკუნიდან (დასავლეთ საქართველოში დავით ნარინის გამეფებიდან) ჩნდებიან ისინი წინა პლანზე (ეპმთააღმწერელი. ქართლის ცხოვრება. ტ. II. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1973, გვ. 180; Абхазия и абхазы средневековых грузинских повествовательных источников. Грузинские тексты на русский язык перевёл, предисловием и примечаниями снабдил Г. А. Амичба. Тб. 1988, გვ. 103).

[36] ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტ. IV. თბ. 1967, გვ. 111-114; З. Папаскири. Территория Абхазии в XI-XV вв. Разыскания по истории Абхазии/ Грузия. Тб. 1999, გვ. 199-200; იგივე პუბლიკაცია აგრეთვე იხ. ზ. პაპასქირი. და აღმოცისკრდა საქართველო ნიკოფსიდან დარუბანდამდე. თბ., 2009, გვ. 24-55 (http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/29982/4/NikopsiidanDarubandamde.pdf).

[37] З. В. Анчабадзе. Из истории средневековой Абхазии.., გვ. 242.

[38] იქმნებოდა XVI-XVIII სს., მის უძველეს ნაწილს, რომელიც შეიქმნა XVI-XVII საუკუნეებში, საფუძვლად დაედო იმერეთის მეფის ბაგრატ III იადგარი, ბოძებული ბიჭვინთის ეკლესიისადმი 1537-1565 წლებში, იადგარის მეორე ნაწილი კი შეადგენს იმერეთის მეფეების, კათოლიკოსებისა და დიდებულების მიერ შეწირულობების წიგნებს. იხ.: ს. კაკაბაძე. აფხაზეთის საკათალიკოსო დიდი იადგარი. საისტორიო მოამბე. საქართველოს ცენტრალური არქივი. ტ. 2. თბ. 1925, გვ. 177-192; ბიჭვინტის იადგარი (1525-1550 წწ.). ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II. საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ. თბ. 1965, გვ. 176-183, 615-617. „ბიჭვინთის იადგარისა“ და მისდამი დართული ისტორიული სპუთების უახლესი კრიტიკული გამოცემა იხ.: გ. არახამია. ბიჭვინთის იადგარი. წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა. თბ. 2009, გვ. 65-91.

ზეთის საკათალიკოსოს გლეხების დიდი იადგარი“ [39] და სხვა დოკუმენტური და ნარატიული წყაროები, რომლებშიც ასახულია ე.წ. „აფხაზეთის“ საკათალიკოსოს საქმიანობა.

ერთადერთი, რაც „აფხაზეთის“ საკათალიკოსოს აკავშირებდა აფხაზეთის ეთნიკურ სამყაროსთან იყო ის, რომ კათალიკოსთა რეზიდენცია მდებარეობდა ბიჭვინთაში, ე.ი აფხაზეთის საერისთავოს ტერიტორიაზე. თუმცა ეს აფხაზები (აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებნი), როგორც *„მცნება სასჯულო“*, უთითებს *„სრულიად მიმდრეკილ იყუნეს, ქრისტეს მცნებათაგან განშორებულ იყუნეს“*; რამაც აიძულა „აფხაზეთის“ კათალიკოსები დაეტოვებინათ ბიჭვინთის რეზიდენცია და გადასულიყვნენ გელათში – ქუთაისის მახლობლად, რომელიც დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ცენტრი – იმერეთის სამეფოს დედაქალაქი იყო.

კათოლიკე მისიონერის არქანჯელო ლამბერტის ცნობით, რომელიც დიდხანს (XVII ს. შუა ხანებში) ცხოვრობდა დასავლეთ საქართველოში აფხაზები როგორც ალანები, ჯიქები, ყაბარდოელები და ჩერქეზები, მხოლოდ სიტყვით არიან ქრისტიანები, მაგრამ რწმენით და ქცევით არა.[40] მისიონერი ჯოვანი და ლუკა აღნიშნავს, რომ აფხაზები თუმცა არიან ქრისტიანები, მაგრამ არ იცავენ წეს-ჩვეულებებს. იგი ხაზს უსვამს რომ აფხაზები ცხოვრობენ მთებში ჩერქეზეთამდე, რომ მათ ქვეყანაში არ არის ქალაქები და მათი ცხოვრების წესი ისეთივეა, როგორც ჩერქეზების.[41] და რომ ისინი მისდევენ მესაქონლეობას. XVIII საუკუნეში იოჰან გიულდენშტედტი ასევე აღნიშნავდა, რომ ცხოვრების წესით აფხაზები სხვებზე მეტად ახლოს დგანან ჩერქეზებთან და ძირითადად მისდევენ მესაქონლეობას.[42] აფხაზების მსგავსებაზე

[39] შექმნილია 1622 წელს კათალიკოს მალაქია გურიელის მიერ, მასში დაფიქსირებულია კათალიკოსისადმი შეწირული გლეხები – იმერეთის, გურიისა და ოდიშის მიდამოებში. იხ.: ს. კაკაბაძე. აფხაზეთის საკათალიკოსოს გლეხების დიდი იადგარი. ტფ. 1914; აფხაზეთის საკათალიკოზო გამოსავალი მოსკრებლობის დავთარი (1621 წ.). ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ. თბ. 1970, გვ. 397-437, 1165.

[40] არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გვ. 116; ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა.., გვ. 83.

[41] ი. ტაბაღუა. დომინიკანელი მისიონერის ჯოვანი და ლუკას ცნობები.., გვ. 170.

[42] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გია გელაშვილმა. ტ. II. თბ. 1966, გვ. 85; ზ. პაპასქირი. აფხაზთა ქრისტიანული მენტალობის საკითხისათვის. თეიმურაზ მიბჩუანი – 70. თბ. 2008-2010, გვ. 318.

ჩრდილო კავკასიურ ტომებთან მიუთითებდნენ არქანჯელო ლამბერტი[43] და ვახუშტი ბაგრატიონი.[44]

ამასთანავე არ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ აფხაზები, განსაკუთრებით პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები სრულიად განუდგნენ საერთო ქართულ ქრისტიანულ სამყაროს. ამაზე მეტყველებენ მინაწერები (ქართულ ენაზე), რომლებიც შარვაშიძეთა საგვარეულოს შეკვეთითაა შესრულებული. უპირველეს ყოვლისა, ესაა ბიჭვინთის სახარებაზე სოლომონ შარვაშიძისა და მისი ძის არზაყანის მინაწერი (XVII), რომელშიც საუბარია იმის შესახებ, თუ როგორ დაეხმარნენ ისინი დაეხმარნენ მეფეს (საუბარია იმერეთის მეფეზე) და დადიანს, ლიპარიტ დადიანისა და გურიელის წინააღმდეგ ბრძოლაში და ამ მოვლენის აღსანიშნავად ამოკვეთეს წარწერა სახარებაზე სოლომონისა და მისი ძის არზაყანის სადიდებლად.[45] ასევე აღსანიშნავია ქართული წარწერაა ლიხნის ტაძარში ნაპოვნი ვერცხლის ფეშხუმზე, რომელიც სოლომონ შარვაშიძემ შესწირა ლიხნის ეკლესიას,[46] აგრეთვე ბიჭვინთის სახარების მინაწერი, რომელიც შესრულებულია სოუსტან (ბაგრატ) შარვაშიძის დაკვეთით.[47] ამ მხრივ არა ნაკლები მნიშვნელოვანია, აგრეთვე ყვაპუ შარვაშიძის და სხვა აფხაზი მმართველის სახლის შარვაშიძეების წარმომადგენლების ე.წ. „ფიცის წიგნები“, რომელთაც ისინი მიართმევდნენ აფხაზეთის კათალიკოსებს გრიგოლ ლორთქიფანიძეს და დავით ნემსაძეს.

ამ დოკუმენტებიდან, რომლებიც, ბუნებრივია ასევე ქართულადაა შედგენილი, ირკვევა, რომ მიუხედავად აფხაზეთში ქრისტიანული ცხოვრების წესის ერთგვარი მორყევისა, შარვაშიძეთა სახლის წარმომადგენლები უწინდებურად რიდითა და პატივისცემით ეპყრობოდნენ „აფხაზეთის“ კათალიკოსებს და თვლიდნენ მათ თავიანთ მწყემსმთავრად.[48] ანალოგიური იყო „აფხაზეთის“ კა-

[43] არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გვ. 8.

[44] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 787.

[45] ზ. პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვ. I. უძველესი დროიდან 1917 წლამდე. თბ. 2004, გვ. 99-100 (http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1-234/29913/1/Narkvevebi_I.pdf). მკვლევრებმა მიაქციეს რა ყურადღება მინაწერში დაფიქსირებულ მეფის მოწიწებით მოხსენიებას, სავსებით დასაბუთებულად მიიჩნიეს ეს ფაქტი იმის მოწმობად, რომ ამ პერიოდში აფხაზეთის მთავარი ერთმნიშვნელოვნად თვლიდა იმერეთის მეფეს „თავის ხელმწიფედ“. იხ.: З. В. Анчабадзе. Из истории.., გვ. 289; ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის.., გვ. 100; ზ. პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე.., გვ. 100.

[46] ზ. პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის.., გვ. 100-101.

[47] ზ. პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის.., გვ. 102.

[48] ზ. პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის.., გვ. 105-108.

თალიკოსების (რომელთა რეზიდენცია უკვე ბიჭვინთიდან გელათში იყო გადმოტანილი) აფხაზური მოსახლეობისადმი. ისინი უყოყმანოდ მიიჩნევდნენ აფხაზეთს საკათალიკოსოს „მრევლად“ და ასრულებდნენ თავიანთ სასულიერო მოვალეობებს. ამის დემონსტრირებასაც ახდენდნენ. კერძოდ, 1704 წელს, როდესაც გარდაიცვალა ყვაპუ შარვაშიძე მის რეზიდენციაში – რუხში, მიცვალებულისათვის წესის ასაგებად გელათიდან საგანგებოდ ჩამოვიდა კათალიკოსი გრიგოლ ლორთქიფანიძე, რომლისთვისაც ჭირისუფლის ოჯახისაგან „ნიშანი“ (ანუ სპეციალური გადასახადი ეკლესიის სასარგებლოდ: გარდაცვლილის პირადი ნივთ-იარაღი, შეკაზმული ცხენი, ყმა-მამული) აიღო.[49]

და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ XVI-XVIII საუკუნეებში აფხაზები *„ქრისტეს მცნებათაგან განშორებულ იყუნეს“* და ხელი მიჰყვეს ქრისტიანული სიწმინდეების ძარცვა-დარბევას (მათი ამგვარი ქმედებების შედეგად, როგორც ცნობილია, სრულიად მოიშალა და ფუნქციონირება შეწყვიტა საერთო ქართული მასშტაბით ქრისტიანული ეკლესიის უმნიშვნელოვანესმა ცენტრებმა – დრანდის, მოქვისა და ბედიის ეპარქიებმა), გულის სიღრმეში მათ მაინც შეინარჩუნეს ქრისტიანული ღვთისმოშიშება[50] და კვლავინდებურად თაყვანს სცემდნენ ილორის (ელირ-ნიხ), ქიაჩის (ქიაჩ-ნიხ), ლიხნის (ლიხ-ნიხ), ბიჭვინთის, ლაშკენდარის ქრისტიანულ სიწმინდეებს.[51]

უფრო მეტიც, ერთი ცნობის თანახმად, XVIII ს. შუა ხანებში ოსმალეთის იმპერიამ აფხაზეთის საბოლოოდ დამორჩილება გადაწყვიტა. სამთავრო ტახტიდან ჩამოაგდეს მანუჩარ შარვაშიძე, რომელიც მის უმცროს ძმებთან – ზურაბთან და შირვანისთან – ერთად წაიყვანეს თურქეთში და იქ ძალით მიაღებინეს ისლამი. თუმცა აფხაზეთში სოხუმის ბეის სტატუსში დაბრუ-

[49] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III. თბ. 1970, გვ. 670; ზ. პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის.., გვ. 110.

[50] ამის ნათელი დასტურებაა თუნდაც ჟან შარდენის მიერ მოყვანილი შემდეგი ფაქტი: „ერთხელ ჩვენს გემზე მოვიდა მაღალი წოდების აფხაზი, შვიდი თუ რვა კაციანი ამალით, ... მრავალნაირ საქონელს შორის იყო ხატის ვერცხლის ჩარჩო. ჩვენს შეკითხვაზე, სად იყო თვით ხატი, მათ გვიპასუხეს, რომ ხატი ეკლესიაში დატოვეს, ვერ გაბედეს მისი წამოღება, რადგან შეეშინდათ, ხატს არ დაეზოცა“ (ამის შესახებ იხ. ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის ქვეყნებში.., გვ. 212; ჯ. გამახარია. აფხაზეთი და ქართული მართლმადიდებლობა (I ს. – 1921 წ.). თბ. 2005, გვ. 260; ზ. პაპასქირი. აფხაზთა ქრისტიანული მენტალობის საკითხისათვის, გვ. 318.

[51] Г. Ф. Чурсин. Материалы по этнографии Абхазии. Сухуми. 1956, გვ. 27-36; Ш. Д. Инаипа. Абхазы (историко-этнографические очерки). Сухуми. 1965, გვ. 527; ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა.., გვ. 158; ზ. პაპასქირი. აფხაზთა ქრისტიანული მენტალობის საკითხისათვის, გვ. 318.

ნებულ ზურაბ შარვაშიძეს აფხაზები დიდი პატივით დახვედრიან, ილორის ტაძარში მოუნათლავთ, რის შემდეგაც საზეიმოდ გამოუცხადებიათ აფხაზეთის მთავრად.[52] როგორც ვხედავთ, მთავრის მიერ ქრისტიანობის მიღება აფხაზებს მიაჩნდათ აფხაზეთის სამთავროს პოლიტიკური სუვერენიტეტის („ბრწყინვალე პორტასაგან“) ერთგვარ დემონსტრაციად.

წარმოდგენილი ფაქტები, ეფიქრობთ, მთლიანად აქარწყლებს ა. ეპიფანცევის მტკიცებას, იმის შესახებ, *რომ* ***„უკვე XVI-ე საუკუნიდან აფხაზეთში მთავარ რელიგიად ითვლება ისლამი,*** *წარმართობის ძლიერი ელემენტებით“ («Уже* ***с 16 века на территории Абхазии основной религией становится ислам*** *с сильными элементами язычества»).* ზურაბ შარვაშიძის დემონსტრაციული მონათვლის ფაქტი ერთნიშნად ადასტურებს, რომ XVIII ს. II ნახევარშიც კი, როდესაც რეგიონის ისლამიზაციის პროცესმა, შეიძლება ითქვას, პიკს მიაღწია, აფხაზები თავიანთ „ოფიციალურ“ რელიგიად არა ისლამს, არამედ ქრისტიანობას აღიარებდნენ. ამ თვალსაზრისით, უდავოდ ნიშანდობლივია თვით ა. ეპიფანცევის მიერ მოყვანილი ფაქტი. თურქი მოგზაურების (რომელთაც აფხაზეთში ყოფნისას შეუმჩნევიათ ნახევრად დანგრეული ეკლესიები და ჯვრები) კითხვაზე *„თქვენ ხომ მუსლიმები ხართ, რატომ არ ანგრევთო“*, აფხაზებს უპასუხნიათ: *„არ დავანგრევთ – ეს ჩვენი მამების რწმენაა“ («Вы же мусульмане, почему вы это не уничтожите?» – «Не будем, – отвечали им абхазы – Это вера отцов наших»).*[53] რაც შეეხება „წარმართობის ძლიერი ელემენტების“ არსებობას გვიან შუა საუკუნეების აფხაზთა რელიგიურ მენტალიტეტში (ეს საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია), ის იყო არა აფხაზეთში ოსმალთა გაბატონების შედეგი, არამედ, როგორც უკვე აღინიშნა, მთლიანად უკავშირდება პირველყოფილი საწყისების მატარებელი ჯიქ-აფხაზთა ახალი ტალღის – დემოგრაფიულ ექსპანსიას ოდესღაც აყვავებული ქრისტიანული მხარის სიღრმეში.

ასეთია ისტორიული სიმართლე აფხაზეთის საეკლესიო ცხოვრებაზე XVI-XVIII საუკუნეებში. როგორც ვხედავთ აფხაზეთი და აფხაზები (ფეოდალური არისტოკრატიის მნიშვნელოვანი ნაწილი მაინც), მიუხედავად ერთგვარი გაუცხოებისა, რჩებოდნენ დანარჩენ საქართველოსთან ერთიან ქრისტიანულ-მართლმადიდებლურ სივრცეში და ორგანიზაციულად „აფხაზეთის“

---

[52] К. Мачавариани. Описательный путеводитель по городу Сухуму и Сухумскому округу с историко-этнографическим очерком Абхазии. Сухуми. 1913, გვ. 361-362; ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა.., გვ. 131.

[53] А. Епифанцев. Грузинская церковь. Павл, становящийся Савлом...

საკათალიკოსოს იურიდიქციის ქვეშ იყვნენ. ყოველივე ეს აიხსნება იმით, რომ შარვაშიძეთა სამთავრო სახლის წარმომადგენელთა მიერ ორგანიზებული ჯიქ-აფხაზეთა ექსპანსია სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით და ოდიშის მთავართა კუთვნილ ტერიტორიებზე მათი დაფუძნება, გარკვეული თავისებურებების მიუხედავად, არ სცილდებოდა ფეოდალური შუღლისა და შინაომის ფარგლებს. შარვაშიძეთა სახლი, აფართოებდა რა თავისი სამფლობელოებს მეზობელი სამეგრელოს სამთავროს ტერიტორიების ხარჯზე, სულაც არ მიისწრაფვოდა რაღაც აფხაზურ-აფსუური ნაციონალური სახელმწიფოებრივი გაერთიანების შექმნისაკენ, რომელსაც არაფერი ექნებოდა საერთო ქართულ სახელმწიფოებრივ და პოლიტიკურ სისტემასთან, არამედ, ყოველმხრივ ცდილობდა (ისევე როგორც დადიანთა სახლი და გურიელები) დაწინაურებულიყო შიდაქართულ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ სამყაროში.[54]

ანუ აფხაზეთის შარვაშიძეთა სამთავრო სახლს ვერ წარმოედგინათ თავისი თავი ქართული სახელმწიფოს პოლიტიკური სივრცის გარეშე და ყოველ მხრივ ცდილობდა დაწინაურებულიყო ოდიშის სამთავრო და თვით, იმერეთის სამეფო ტახტზე. პირველად ეს უცდია სორეხ შარვაშიძეს, რომელსაც XVII ს. 80-იან წლებში თავი (მართალია, უშედეგოდ) ოდიშის მთავრად გამოუცხადებია. აშკარად ამავე მიზნით მდინარე ენგურის მარცხენა მხარეზე გამაგრდა ყვაპუ შარვაშიძეც, რომელმაც დაიკავა რუხი და აქცია ის თავის რეზიდენციად.[55] საერთო-ქართულ კულტურულ სამყაროსთან მჭიდრო კავშირის გამოხატულება იყო ისიც, რომ შარვაშიძეთა საგვარეულოს წარმომადგენელთა უმრავლესობა მათ შორის ისინიც კი, ვინც იძულებით გაამაჰმადიანეს (მაგ. როსტომ, მანუჩარ და ზურაბ შარვაშიძეები – XVIII ს. II ნახევარი), აგრეთვე თავადაზნაურული ელიტის წარმომადგენელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ქართული სამყაროსათვის ტრადიციულ სახელებს ატარებდნენ. უფრო მეტიც, ქართული სახელები გვხვდება საძ-უბიხთა შორისაც. ასე მაგალითად, XIX ს. I ნახევარში აღნიშნულ ტომთა ლიდერები იყვნენ **ლევან ცანუბაია**[56]

---

[54] ზ. პაპასქირი. შარვაშიძეთა სამთავრო სახლის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მენტალიტეტის საკითხისათვის. სპეკალი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რეცენზირებადი ელექტრონული ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალი (http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/1/8).

[55] ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა.., გვ. 114; ზ. პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის.., გვ. 110.

[56] Акты, собранные Кавказскою археографической комиссиею (შემდგომ: АКАК). Под ред. А. Берже. т. IV. Тифлис. 1870, გვ. 426, 429, 953.

(ცანბა) და უბიხების თავადი **ზურაბ** ხამიში.[57]

კიდევ ერთ დადასტურებად იმისა, რომ შარვაშიძეთა სამთავრო სახლის წარმომადგენლები ერთნიშნად მიაკუთვნებდნენ თავიანთ თავს ქართულ კულტურულ-პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ სამყაროს, გარდა ყვაპუ შარვაშიძის ზემოთნახსენები საფიცრის წიგნებისა, შეიძლება მივიჩნიოთ ქელეშ-ბეი შარვაშიძისა და მისი მემკვიდრეების: გიორგი (საფარ-ბეი) შარვაშიძისა და მისი შარვაშიძის ეპისტოლარული მემკვიდრეობა და მათი კანცელარიიდან გამოსული სხვა ოფიციალური დოკუმენტები. დანამდვილებითაა ცნობილი, რომ ეს მთავრები თავიანთ ოფიციალურ და არაოფიციალურ მომოწერას მხოლოდ ქართულ ენაზე აწარმოებდნენ. აღსანიშნავია, რომ ამას ადასტურებენ თვით კავკასიის რუსული ადმინისტრაციის მაღალჩინოსნები. კერძოდ, მისი შარვაშიძის კარზე მყოფი რუსი გენერლის კოცებუს განცხადებით *„მთავარ შარვაშიძეთა გვარში მიღებული წერილობითი ენა ქართულია“*.[58]

შარვაშიძეთა სამთავრო სახლის საერთოქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და კულტურულ-პოლიტიკური მენტალიტეტი ყველაზე მკაფიოდ მაინც გამოვლინდა აფხაზეთის რუსეთის იმპერიის პროტექტორატის ქვეშ შესვლის თაობაზე გიორგი (საფარ-ბეი) შარვაშიძის მიერ თავისი ოფიციალური დოკუმენტის – ე.წ. *„სათხოვარი პუნქტების“* ქართულ ენაზე შედგენაში.[59] სავსებით სწორადაა შენიშნული ისტორიოგრაფიაში, რომ, *„სათხოვარი პუნქტების“* მომზადებისა და წარდგენის პროცედურაში,[60] უდავოდ იდო გარკვეული პოლიტიკური აზრი.[61] ანუ თავისი დოკუმენტის, რომლის თანახმადაც, აფხაზეთი ოფიციალურად ამყარებდა ურთიერთობებს რუსეთის სახელმწიფოსთან, მაინცდამაინც ქართულ ენაზე გაფორმებით, აფხაზეთის მთა-

---

57 АКАК. т. IX. ч. I. Тифлис. 1884, გვ. 505.

58 «В фамилии князей Шарвашидзе употребительный письменный язык грузинский». იხ.: შ. ჩხეტია. აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის. 1853-1855 წწ. საისტორიო მოამბე. №15-16. თბ. 1963, გვ. 154. ფრაგმენტები აფხაზეთის მთავარ შარვაშიძეთა ოფიციალური და არაოფიციალური მიმოწერიდან იხ.: ზ. პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის.., გვ. 105-108, 120, 122, 126-127, 129-130, 166-170, 186.

59 სრული ტექსტი იხ.: გაზ. „სახალხო განათლება“, 1989 წ. 31 მაისი.

60 „სათხოვარი პუნქტების“ ტექსტი თავდაპირველად შეუქმნიათ რუსეთის საგარეო სამინისტროში, შემდეგ ის უთარგმნიათ ქართულად და როგორც ორიგინალი, გიორგი შარვაშიძის ხელმოწერითა და ბეჭდით, ავრეთვე აფხაზეთის თავადთა ხელმოწერებით დამოწმებული რუსული ტექსტის დართვით, წარუდგენიათ რუსეთის ხელისუფლებისათვის. Г. Г. Пайчадзе. Абхазия в составе Российской империи. 1810-1917 гг. Разыскания по истории Абхазии/Грузия. Тб. 1999, გვ. 217.

61 Г. Г. Пайчадзе. Абхазия в составе Российской империи.., გვ. 217.

ვარი რუსულ მხარეს (და მთელ მსოფლიოს) ცალსახად უჩვენებდა, თუ რომელ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ და კულტურულ სამყაროს წარმოადგენდა აფხაზეთის სამთავრო საერთაშორისო ურთიერთობებში XIX ს. დამდეგს.

და ბოლოს, ყველაზე, მნიშვნელოვანი არგუმენტი იმისა, რომ აფხაზეთის სამთავრო სახლი სრულიად გარკვევით მიიჩნევდა თავს საერთო-ქართული ქრისტიანულ-მართლმადიდებლური სამყაროს განუყოფელ ნაწილად არის ის ფაქტი, რომ აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი მიხეილ შარვაშიძე და მისი ვაჟი – გიორგი შარვაშიძე დაკრძალეს მოქვის ტაძარში და მათი საფლავის ეპიტაფია ამოკვეთილია ქართული ასომთავრულით. აღსანიშნავია ისიც, რომ რუსეთის იმპერიის ხელისუფლების მიერ აფხაზეთის სამთავროს გაუქმების (1864 წ.) შემდეგაც შარვაშიძეთა საგვარეულოს წარმომადგენლები გამომწვევად უსვამდნენ ხაზს იმას, რომ ისინი ქართველი თავადები იყვნენ. ამ მხრივ რად ღირს თუნდაც ალექსანდრე შარვაშიძის ცნობილი რეპლიკა: *„მე არა აფხაზი, არამედ **ქართველი** თავადი ვარ“ («Я не абхазский, а **грузинский** князь»)*.[62]

სწორედ ამ რეალობის აღიარება არ სურს ბ-ნ ეპიფანცევს, რომელიც, რასაკვირველია, შემთხვევით არ გაურბის ე.წ. „აფხაზეთის“ საკათალიკოსოზე საუბარს. სრულიად გასაგებია, რომ მას თუნდაც ერთხელ ეხსენებინა „აფხაზეთის“ საკათალიკოსო, მაშინ აუცილებლად მოუწევდა იმის კონსტატირება, თუ როგორ გააუქმა რუსეთის ხელისუფლებამ 1814 წელს „აფხაზეთის“ დამოუკიდებელი ეკლესია. ამ შემთხვევაში განა რაიმე მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ეს ეკლესია რეალურად იყო არა აფხაზური ნაციონალური, არამედ, როგორც არაერთხელ აღინიშნა, ქართული საეკლესიო ორგანიზაცია. მთავარია, რომ რუსეთის იმპერიამ ყოველგვარი კანონების წესების სრული იგნორირებით (ეს მკაფიოდ აჩვენა თავის დროზე – 1919 წელს – საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ლეონიდემ მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის ტიხონისადმი სპეციალურ გაგზავნილ წერილში)[63] გააუქმა დამოუკ-

[62] იხ.: ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ. 1990, გვ. 611, ხაზგასმა ჩვენია – ზ.ჭ.

Помимо изучения истории грузинских родов, в сферу научных интересов Н. Джавахишвили входит и изучение взаимоотношений грузин с разными странами и народами, которую он исследует почти четверть века. В этом отношении можно назвать его исследования *«Грузины под россий-*

ским флагом (грузинские военные и государственные деятели на службе России в 1703-1917 гг.)», (на русском языке, Тбилиси, 2003) и *«Санкт-Петербург – центр русско-грузинских взаимоотношений /1703-2003 гг./»* (на русском языке, Тбилиси, 2003), *«Грузины под флагом Польши (из истории польско-грузинского военно-политического союза)»* (на грузинском и английском языках. Тбилиси, 1998).

Важным вкладом в историческую науку было изучение Н. Джавахишвили взаимоотношение грузин с кавказскими народами *«Очерки из истории взаимоотношений грузинского и адыгских народов»* сначала на грузинском (Тбилиси, 2005), а потом уже на русском языках (Тбилиси, 1998), *«Борьба за свободу Кавказа.* Из истории военно-политического сотрудничества грузин и северокавказцев в первой половине XX века» (на русском языке, Тбилиси, 2005).

Одной из важных сфер научных интересов Н. Джавахишвили является изучение грузино-балтийских взаимоотношений. Он посвятил изучению этих вопросов более 20 публикаций. В 2011 г. издательство Тбилисского государственного университета издало монографию Н. Джавахишвили *«Очерки из истории грузино-балтийских взаимоотношений»* (на грузинском языке). Презентация книги состоялось в 2013 г. в Латвии и труд автора получил высокую оценку. После того, как на грузинском языке вышла эта книга, на повестку дня стало издание книги на иностранных языках. Наконец, при финансовой поддержке Министерства культуры Латвии, на латвийском языке вышла данная книга в Риге в 2015 г. Интенсивно велась и работа над русской версией, которая и вышла под эгидой Латвийской Академии Наук и института истории Латвии Латвийского университета. Сам факт уделения такого внимания со стороны государственных и научных кругов Латвии говорит о значении книги. Неслучайно, что Н. Джавахишвили в 2014 г. был избран почетным доктором Латвийской Академии Наук. Надо отметить, что он является самым молодым почетным доктором Латвийской Академии Наук.

Книга открывается с предисловия тогдашнего ректора Тбилисского государственного университета, академика АН Грузии Владимира Папава, где он тепло отзывается о книге и его авторе. Потом следует введение автора, где он коротко характеризует грузино-балтийские взаимоотношения и выражает благодарность всем, кто способствовал созданию книги. Сама монография состоит из трех глав, прилагается внушительный перечень использованных источников и литературы, а в приложений вошли доку-

менты, свидетельствующие о грузино-балтийских взаимоотношениях, отзывы и рецензии на книгу Н. Джавахишвили, также прилагается указатель имен, что особо важен для такого рода книги.

Книга является первой попыткой монографического изучения истории взаимоотношений Грузии и Балтийских стран – Литвы, Латвии и Эстонии с IX -X вв., когда намечаются первые контакты, доказывающиеся монетными обращениями, и до наших дней. Эти взаимоотношения имели и имеют многогранный характер – торгово-экономический, культурный, военно-политический и др.

В первой главе – *«Грузино-балтийские взаимоотношения с IX до конца XVIII вв.»* рассказывается о начале грузино-балтийских взаимоотношений. Монеты, отчеканенные в Тбилиси в IX-X вв., были найдены в странах Прибалтики, что свидетельствует о торгово-экономических связях Грузии с Прибалтикой. Следующий факт из истории грузино-балтийских взаимоотношений относится к концу XV в. В 1494 году царь Картли Константин II (1478-1505) отправил посла, иеромонаха Кир-Нила в Испанию и Рим. Он сопровождал испанского посла, побывавшего в Картлийском царстве. Послы переплыли Чёрное море, отправились вверх по р. Днепр и через владения Литвы и Польши отправились в Испанию.

Константин II пытался установить военно-политический союз с Испанией против Турции. Путь послов в Испанию лежал через Литву и Польшу. Интересно, что перевод письма Картлийкого царя к королеве Изабелле внесен в *«Литовскую метрику»*. Известно, что в *«Литовской метрике»* хранились тексты документов, содержащих значительные вопросы текущей внутренней и внешней политики Литвы. Как выясняется, письмо грузинского царя к королеве Испании, отражающее общие для христианских стран интересы, грузинский и испанский послы ознакомили правителей Литвы и Польши, и, как важный документ, текст письма был внесен в *«Литовскую метрику»*. Интересно, что полный текст письма прилагается к книге Н. Джавахишвили. Автор своё внимание уделяет тому факту, что в *«Литовской метрике»* документ датирован 1465 годом, что вызывает сомнение. Хорошо известно, что Константин II царствовал в 1478-1505 годах. Он действительно отправил в Испанию посла Кир-Нила в 1494 году, куда посол прибыл в январе 1495 г.

Последующие параграфы посвящены грузино-балтийским взаимоотношениям в первой третьи XVII в. В этот период правители западногрузинских политических единиц – Одиши (Мегрелии) и Гурии имели до-

вольно интенсивные отношения с Польско-Литовским королевством. Об этом свидетельствуют сведения итальянского путешественника Пьетро дела Вале и материалы посольства Федота Ельчина и Павла Захарьева в Одиши в 1639-1640 гг.

В этот период имелись и интенсивные торгово-экономические отношения между Грузией и Польско-Литовским королевством, о чем свидетельствуют обнаруженные в разное время в Грузии клады европейских монет, в том числе и монеты, отчеканенные в Польско-Литовском королевстве. По мнению специалистов, европейские монеты попали в Грузию из Польско-Литовского королевства торговым путем – Чёрное море-Днепр, по которому персидский и ширванский шёлк перевозили в Европу по маршруту Тебриз-Шемаха-Тбилиси-Кутаиси-Анаклия-Кафа-Днепр-Киев-Варшава. Интересно, что днепровский торговый путь прекратил функционирование в результате русско-польской войны 1648-1654 годов. К середине XVII века в Грузии перестали поступать европейские монеты, в том числе и монеты Речи Посполитой. Совершенно прав автор, когда заключает, что исчезновение польских монет в Грузии в большей степени было обусловлено именно этим событием, которые поначалу затормозили, а потом и вовсе прервали торгово-экономические взаимоотношения между Грузией и Речью Посполитой.

В следующих параграфах автор постепенно рассказывает о путешествии грузинского царевича Александра Арчиловича Багратиони в Прибалтику в свите русского царя Петра I в конце XVII века; о сведениях, сохраненных в грузинских источниках XVIII века – в сочинении внука царя Вахтанга VI, царевича Леона Бакаревича Багратиони *«Всемирная история»*, которая в связи со смертью царевича в 35-летнем возрасте, остался незаконченным, и в учебнике географии, переведенном членом свиты царя Вахтанга VI Габриелом Геловани.

Особый интерес вызывает переведенный царевичем Вахушти Багратиони с русского на грузинский язык «Краткая политическая география» вместе с атласом мира, на картах которого нанесены все известные в то время страны, в том числе и страны Балтии. Рукопись сочинения с прилагаемыми к ней картами, выполненными самим Вахушти Багратиони, ныне хранится в Национальном центре рукописей Грузии им. К. Кекелидзе. Недавно, известный грузинский географ, профессор ТГУ Коба Харадзе издал это сочинение.

В следующих параграфах рассказывается о боевом пути царевичей Афанасия Левановича и Гиоргия Вахтанговича Багратиони в Прибалтику

в 40-ые годы XVIII века, о путешествии царевича Пааты Вахтанговича Багратиони в Прибалтику в середине XVIII века, о боевом пути Грузинского гусарского полка в Прибалтику в 50-ые годы XVIII века, о Грузии глазами известного ученого и путешественника Иоганна Антона Гюльденштедта (70-ые годы XVIII века), который родился и вырос в Риге.

Вторая глава *«Грузино-балтийские взаимоотношения с конца XVIII – до 20-ых годов XX вв.»* состоит из 12 параграфов. Автор, в том же духе, интересно знакомит читателя с собранными им материалами, это Прибалтика глазами вышеупомянутого царевича Григория Иоанновича Багратиони. После выселения из Грузии он вступил в русскую армию, в 1813 году участвовал в заграничном походе, впечатление от которого он описал в своих воспоминаниях *«Путешествие из Петербурга в Вильно»*. Прибалтика глазами царевичей Иоанна Гиоргиевича и Теймураза Гиоргиевича Багратиони, известного поэта и генерала Григория Орбелиани, поэта и общественного деятеля Гиоргия Эристави, рассказывается о грузинских генералах, служивших в Прибалтике с конца XVIII века до 20-ых годов XX века и о грузино-балтийских взаимоотношениях с начала XIX века до 20-ых годов XX века.

Третья глава *«Грузино-балтийские взаимоотношения с 20-ых годов XX до середины 10-ых годов XXI вв.»* содержит 8 параграфов, в которых автор привлекательно рассказывает о таких вопросах, как латыши в Грузии в 1921-1945 годах, о грузинах в Латвии, о грузино-эстонских взаимоотношениях, о грузино-балтийских взаимоотношениях в эмиграции, о балтийских странах в мировоззрении грузинских эмигрантов (1921-1991 гг.), о грузино-балтийских взаимоотношениях во время II Мировой войны – грузино-латышских, грузино-литовских, грузино-эстонских в 1945-2015 гг.

Автор рассказывает о взаимоотношениях в культуре, искусстве, спорте, науке, медицине и, конечно же, в политике и экономике. Он не забывает не только важную, но и сравнительно маловажную деталь. Но мы, как выходцы из одного из прекрасных уголков Грузии – Абхазии, должны отметить, что с конца XIX века представители балтийских стран с Абхазией имели тесные взаимоотношения. С 80-ых годов XIX века в Абхазии в нескольких селах – Линдава, Сальме, Сулево, Эстонка проживали эстонцы.

В начале XX века в Абхазии побывали классики эстонской литературы Эдуард Вильде (1865-1933) и Антон Таммсааре (1878-1940), запечатлевшие в своих путевых очерках жизнь края, быт населявших его жителей.

В книге Н. Джавахишвили упоминается известный эстонский учёный, языковед Л. Мазинг. Надо отметить, что профессор Тартусского уни-

верситета Леонхард Карлович Мазинг в начале 90-ых годов заинтересовался языками народов Кавказа, в том числе и абхазским языком. С 1 сентября 1895 г. по 31 марта 1896 г. Л. Мазинг находился в научной командировке на Кавказе. Его больше всего интересовал звуковой строй, фонетика кавказских языков. Много внимания он уделял исследованию картвельских языков, в частности мегрельского. Он побывал и в Абхазии и стал записывать абхазские тексты и отдельные слова. В Тарту Л. Мазинг вернулся с обширными записями абхазских текстов и картотекой абхазского языка. В своих лекциях по фонетике и общему языкознанию, которые он читал в Тартусском университете, Л. Мазинг стал широко вводить примеры из кавказских языков, в том числе и абхазского.

Л. Мазинг был одним из учителей абхазского учёного Семена Ашхацава. В своем очерке *«Пути развития абхазской истории»* он писал, что оригинальный алфавит, выражаюший все звуки абхазского языка, был им составлен в 1906 г. в Юрьеве с помощью профессора Л. Мазинга. После смерти Л. Мазинга его архив перенесли в Научную библиотеку Тартусского университета, где по сей день хранятся материалы мегрельского, собранные Л. Мазингом в Грузии.

Тартусский университет закончил абхазский учёный, историк, археолог и публицист Семен Михайлович Ашхацава (1886-1938). Как уже отмечали, в 1906 г. в Юрьеве, с помощью профессора Л. Мазинга им был составлен оригинальный алфавит, хотя в силу своей сложности никогда не применялся.

В 30-ых годах XX века Лацис Рихард Карлович, по национальности латыш, работал управляющим Абхазской конторой Госбанка в Сухуми. Он родился в 1898 году, был членом коммунистической партии с 1918 г. В сентябре 1938 г. был арестован, но вскоре, в ноябре, он был освобожден и дело было прекращено.

Как известно, в период Первой мировой войны (1914-1918 гг.) в Грузии нашли убежище немало представителей балтийских стран. Об этом в книге упоминает и Н. Джавахишвили. В начале 20-ых годов XX века в грузинской прессе часто публиковались заметки, относящиеся к данной теме. В журнале *«Моамбе»* наркомата ВД (№17, 1921 г.) отмечалось, что из Грузии были высланы 7латышей - в Латвию, 41литовцев – в Литву, 35 эстонцев – в Эстонию.

В журнале *«Моамбе»* имеются и другие интересные сведения. Один из номеров (№ 9, 1921 г.) извещал: по сведениям рижских газет, из Пари-

жа в Ригу приедут К. Чхеидзе и Н. Рамишвили, которые посланы по постановлению ЦК Грузинской соц-демократической рабочей партии. Комитет решил отправить делегацию в разные страны для проведения агитации в пользу Грузинской соц-демократической рабочей партии.

Карло Чхеидзе и Ное Рамишвили являлись лидерами меньшевизма в общероссийсом масштабе. Николай (Карло) Чхеидзе был членом III и IV Государственных Дум России, где он в течение 10 лет возглавлял фракцию социал-демократов, умело направлял ее работу. После свержения царизма Н. Чхеидзе стоял во главе Петербургского Совета рабочих и солдатских депутатов, был первым председателем ЦИК-а России. После большевистского переворота в октябре 1917 года он возвращается на родину и активно участвует в построении независимой демократической Грузии. В 1919-1921 гг. он был председателем высшего законодательного органа Учредительного собрания. Ное Рамишвили был первым председателем правительства Грузинской Демократической Республики в мае-июне 1918 года и министром ВД, потом уже министром ВД в 1918-1921 гг. В марте 1921 г. Карло Чхеидзе и Ное Рамишвили вместе с другими членами правительства Грузии были вынуждены уехать в эмиграцию и проживали в Париже, где вели активную политическую деятельность.

Надо отметить тот факт, что в 1980 г. Абхазский государственный университет в Сухуми посетил ректор Тартуского университета, депутат Верховного Совета СССР, член-корреспондент Академии педагогических наук СССР, доктор исторических наук, профессор Арнольд Викторович Кооп, личный друг ректора Абхазского государственного университета, депутата Верховного Совета СССР, члена-корреспондента Академии наук Грузии, доктора исторических наук, профессора Зураба Вианоровича Анчабадзе. Ректор Тартуского университета выразил поддержку новому университету от 350 летнего Тартуского университета.

После войны 1992-1993 гг. в странах Балтии нашли приют представители интеллигенции Абхазии. Надо отметить, что в Латвии проживает известный врач-уролог, Гига Толордава, родом из Сухуми. Один из авторов данного отзыва (Бежан Хорава) был участником научно-практической конференции *«Академические, Политические Вызовы и Проблемы Развития: Грузия, Абхазия и Южная Осетия»*, проходившей в Вильнюсе в июне 2011 года. В работе конференции принимали участие представители академических кругов Абхазии и Цхинвальского региона. На конференции Б. Хорава представил доклад на тему: *«История и культура: перспективы сотрудничества грузинских и абхазских учёных»*.

Вспоминается также, что латвийский курорт Юрмала и грузинский город Батуми являются городами-побратимами. Представители старшего поколения несомненно помнят Всесоюзный конкурс молодых исполнителей советской эстрадной песни проходившего в Юрмале с 1986 года по 1989 год. В 1989 году обладателем гран-при этого конкурса стал грузинский певец Сосо Павлиашвили, который воспел свободу Грузии в песне *«Свобода»*. С 2002 по 2014 год в Юрмале проводился международный конкурс молодых исполнителей популярной музики *«Новая волна»*. На конкурсе *«Новая волна»* в 2006 г. третье место заняла грузинская певица Софико (Софо Халваши), в 2008 г. победил грузинский дуэт *«Georgia»* (Мака Замбахидзе и Рати Дурглишвили), в 2013 г. второе место заняла грузинская певица Саломе Катамадзе.

И наконец, по всеобщей переписи 2014 г. в Грузии проживают литовцев – 98, латвийцев – 81, эстонцев – 47.

После издания книги Н. Джавахишвили на грузинском языке, он опубликовал также несколько статей в научных сборниках, две из них – *«Латвия, Латыши и их добрые друзья грузины в моем видении»* и *«Лабдиен, Латвия!»* – вошли в рецензируемую книгу как приложения. Опубликованные Н. Джавахишвили научно-популярные статьи на грузинском языке, в популярном историческом журнале *«Историани»*, проникнуты большой любовью к балтийским странам и народам, и вызывает такое же чувство у читателей.

Книга Николая Джавахишвили *«Очерки истории грузино-балтийских взаимоотношений»* выполнена на высоком уровне. Немаловажно и то, что она хорошо оформлена, в нем множество фотографий и написана хорошим языком. Книга важна и тем, что с изложением истории грузино-балтийских взаимоотношений, автор попутно знакомит читателя с историей Грузии и Балтийских стран. Президент Латвийской академии наук академик Оярс Спаритис и другие рецензенты дали высокую оценку научной деятельности Николая Джавахишвили. Нельзя не согласится с господином Оярсом Спаритисом, который в своем письме к тогдашнему ректору ТГУ имени И. А. Джавахишвили, академику Владимиру Папава пишет: *«По оценке лучших представителей академических кругов Латвии вышеупомянутая монография – «настольная книга»*, которая *«представляет собой большую энциклопедическую ценность»*. Со своей стороны академик В. Папава совершенно справедливо назвал автора *«своеобразным мостом между академическими кругами Грузии и стран Балтии – Латвии, Литвы и Эстонии, которое он заслужил долгим и действительно кропотливым трудом»*.

Значение книги Н. Джавахишвили для историков трудно переоценить. Книга дает ясное и емкое представление о динамике развития взаимоотношений Грузии со странами Балтии, позволяет оценить достижения прошлого. Полагаем, что книга Н. Джавахишвили *«Очерки истории грузино-балтийских взаимоотношений»* может послужить основой для дальнейших исследований богатых грузино-балтийских взаимоотношений, а также уверены, что работа Н. Джавахишвили станет настольной книгой для ученых историков и специалистов международных отношений.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება.
შოთა მესხია – 100
თბილისი. 2016

გურამ ყორანაშვილი

მოსაზრებანი აფხაზი ფილოსოფოსის ოლეგ დამენიას წიგნის: *„აფხაზეთი საუკუნეების მიჯნაზე“ («Абхазия на рубеже веков»)* თაობაზე

თავის დროზე აფხაზ ბოლშევიკთა ლიდერებს – ნესტორ ლაკობასა და ეფრემ ეშბას, ქართველი ბოლშევიკების დარად, ცხადია, გარკვეული წარმოდგენები ჰქონდათ ფილოსოფიაზე, კერძოდ, საყველპურო მარქსიზმზე, რუსეთის იმპერიის ფართო მასებში რომ ვრცელდებოდა. რეგიონში საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებიდან მოყოლებული, ჩანს, აფხაზთაგან ცოდნის ამ დარგით სერიოზულად არ დაინტერესებულან. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ კუთხიდან გამოსული ქართველობა ფილოსოფიისადმი ინტერესს უთუოდ იჩენდა და იჩენს (პეტრე შარია, ალექსანდრე ქუთელია, ვენორი ქვაჩახია, ლეონიდე ჯახაია, შოთა მისაბიშვილი, გივი როგავა, კარლო შარია, უფრო ახალგაზრდებიდან – ნაპოლეონ კვარაცხელია). რასაკვირველია, ესენი მნიშვნელოვანწილად ქართული ფილოსოფიური ტრადიციებიდან ამოდიოდნენ და ამოდიან.

ფაქტია, რომ აფხაზთაგან ჯერჯერობით ყველაზე ცნობილი ფილოსოფოსი გახლავთ ოლეგ დამენია (დაბადებულია 1938 წელს), რომელმაც ასე ვთქვათ, ფილოსოფიური წრთობა (ასპირანტურის წლები) მოსკოველ ფილოსოფოსთა და მეცნიერთა წრეებში მიიღო. იგი წლების მანძილზე მუშაობდა სოხუმის მაქსიმ გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში (1979 წლიდან აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი). ვერ ვიტყოდით, რომ იგი გაუნათლებელი, უვიცი (პირველი თაობის ბოლშევიკ „ფილოსოფოსთა“ მსგავსად) პიროვნება იყოს, გარკვეულად სათანადო ნიჭიერებაც გააჩნია.

1981 წელს სოხუმში რუსულ ენაზე ბატონმა ოლეგ დამენიამ დაბეჭდა მოზრდილი ბროშურა სათაურით *„აზროვნების აღზრდა“*;[1] 1984 წელს კი,

[1] О. Н. Домения. Воспитание мышления. Сухуми. 1981.

ასევე ბროშურის ფორმატით *„მებრძოლი მატერიალიზმის ნაწარმოები“*.[2] აღნიშნულ ნაშრომთა გაცნობით იკვეთება ტიპური საბჭოთა ფილოსოფოსის საბჭოური მარქსისტული თუ ე.წ. მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიური მრწამსი. რად ღირს თუნდაც ამ ციტატის მოტანა: *„როგორც ჩანს, ემპირიოკრიტიციზმის, როგორც გაურკვეველი ფილოსოფიური კონცეფციის გამოჩენა, სრულიადაც არ არის შემთხვევითი. როგორც ჯანმრთელ სხეულზე შეიძლება წარმოიშვას მისთვის უცხო ხორცმეტი, ასევე შემეცნების ცხოველმყოფელ ხეზე შეიძლება გამოჩნდეს მისთვის ნაკლულოვანი მიმდინარეობა“*.[3] ან კიდევ მისი განმარტება *„ამგვარი ხორცმეტის გამოჩენის გნოსეოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს შემმეცნებელი სუბიექტის მიერ გადაჭარბების შესაძლებლობა მრავალმხრივი, რთული და წინააღმდეგობრივი შემეცნება ხან ერთი, ხან მეორე მხარისა“*.[4]

ამგვარი არასერიოზული აზრის აფიშირებას თვით ბევრი საბჭოელი ფოლოსოფოსიც კი უთუოდ მოერიდებოდა, თუმცა ცნობილია ის „ფილოსოფიური“ წყარო, საიდანაც იგი მოდის. ეს გახლავთ ვლადიმერ ლენინის აზრი იდეალიზმის თაობაზე: *„იგი გუდაფშუტაა* (რუსულად: пустоцвет – **გ.ყ.**), *უდავოდ, მაგრამ გუდაფშუტაა, რომელიც ცოცხალი, ნაყოფიერი, ჭეშმარიტი, მძლავრი, ყოვლისშემძლე, ობიექტური, აბსოლუტური, ადამიანური შემეცნების ცოცხალ ხეზე იზრდება“*.[5] აღნიშნულის საწინააღმდეგოდ კარლ მარქსი წერდა: *„მოქმედ მხარეს, წინააღმდეგ მატერიალიზმისა, იდეალიზმი ანვითარებდა“*. კერძოდ, ამაშიც თავს იჩენდა დაპირისპირებულობა კ. მარქსსა და ვ.ი. ლენინს შორის.

საბედნიეროდ, ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში გვაქვს ვ. ლენინის „უმაღლესი ფილოსოფიური ნაშრომის“ ასეთი შეფასება: *„ამ ბოლო დროს რუსეთის მარქსიზმის მეორე* (ე.ი. გიორგი პლეხანოვის შემდეგ – **გ.ყ.**) *მებაირახტრემ წიგნი გამოუშვა, რომელიც ემპირიოკრიტიციზმის წინააღმდეგაა*

[2] О. Н. Домения. Произведение воинствующего материализма. Сухуми. 1984.

[3] «Как видно, появление эмпириокритицизма, как неопределенной философской концепции, далеко не случайно. Как на здоровом теле может образоваться чуждый ему нарост, так и на животворном древе познания может появиться ущербное для него течение». იხ.: О. Н. Домения. Произведение воинствующего материализма, გვ. 34.

[4] «Гносеологическим основанием появление такого нароста является возможность преувеличения, абсолютизации познающим субъектом то одной, то другой стороны многостороннего, сложного и противоречивого познания». იხ.: О. Н. Домения. Произведение воинствующего материализма, გვ. 34.

[5] В. И. Ленин. К вопросу о диалектике. – Полное собрание сочинений (ПСС. 5 издание. Т. 29. Москва, 1969, გვ. 322 (http://marxistphilosophy.org/LeninT29.pdf).

მიმართული. იმ რამდენიმე თვეში, რომელიც ლენინს ფილოსოფიის შესასწავლად გადაუდვია, მას არა თუ უშრომია, თავიც-კი უმტვრევია ემპირიოკრიტიციზმზე, მაგრამ საუბედუროდ, მისი წიგნი, რომელშიც ემპირიოკრიტიციზმის რეაქციონური (!) ხასიათი უნდა იყოს დამტკიცებული, ამტკიცებს მხოლოდ იმას, რომ რამდენიმე თვეში ფილოსოფოსად გახდომა თუნდაც ისეთი ნიჭიერი პიროვნებისთვის, როგორიც არის ლენინი, შეუძლებელია. მისი წიგნი თავიდან ბოლომდე საავიტაციო ბროშურის ენითაა დაწერილი, იგი სავსეა საგაზეთო პოლემიკის მარგალიტებით, მხოლოდ ფილოსოფიურ მოსაზრებას-კი, რომელიც ან დიალექტიკურ მატერიალიზმს ასაბუთებდეს, ან ემპირიოკრიტიციზმს ძირს უთხრიდეს, მასში ძალიან ცოტა ადგილი აქვს“.[6] გეტყვით, რომ ამ სტრიქონების ავტორი იყო ცნობილი ქართველი ბოლშევიკი, იენის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული ალექსანდრე სვანიძე (1886-1942), იოსებ სტალინის ცოლისძმა პირველი ქორწინებიდან. სხვათა შორის, იმ ხანებში ასეთივე აზრი ჰქონდა იოსებ სტალინსაც, თუმცა, ბ-ნ ოლეგ დამენიას მიხედვით, *„ვ.ი. ლენინი, როგორც ცნობილია, გაბლდათ კაცობრიობის ისტორიაში სწორუპოვარი რევოლუციონერი და გენიალური მოაზროვნე“.*[7]

ამჯერად, შევეშვებით ო. დამენიასეული შემეცნების თეორიის ავლადიდებას და მოგახსენებთ მის, ყოველ შემთხვევაში, წარსულ სოციალურ-პოლიტიკურ პოზიციას. ლაპარაკობდა რა კულტურის განვითარების პერსპექტივებზე, იგი აღნიშნავდა: *„ამ სიმდიდრის შესანარჩუნებლად და გასავითარებლად საჭიროა საზოგადოების კომუნისტური გარდაქმნა, რადგან მხოლოდ კომუნისტურ საზოგადოებაში იძენს კულტურა არსებობის იმგვარ ფორმას, რომელიც ადექვატურად შეესაბამება მის ობიექტურ შინაარსს“.*[8] სხვაგან კი იგი წერდა: *„დღეს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის მთელი პროგრამის მთავარი საკითხია ყოველმხრივ განვითარებული, მაღალი კულტურული მოთხოვნილებებისა და შემოქმედების უნარის მქონე ადამიანის აღზრდა“.*[9] დავასახელებთ აგრეთვე ავტორის მიერ ლეონიდ ბრეჟნევისეული იმ სიტყვების

[6] ა. სვანიძე. ემპირიოკრიტიციზმი. ტფ. 1911, გვ. V-VI.

[7] «В. И. Ленин, как известно, был непревзойденный в истории человечества революционер и гениальный мыслитель». იხ.: О. Н. Домения. Произведение воинствующего материализма, გვ. 3.

[8] ო. დომენია. კულტურა და მისი ეროვნული ფორმები. საქართველოს კომუნისტი. 10. 1981, გვ. 10.

[9] ო. დომენია. ეთნოკულტურული გარემო როგორც პიროვნების ფორმირების ფაქტორი. საქართველოს კომუნისტი. 1984, გვ. 53.

ციტირებას, სადაც ხაზგასმულია თითქოს ახალი სოციალური და ინტერნაციონალური ერთობის – ერთიანი საბჭოთა ხალხის კულტურის ჩამოყალიბება.[10] სარეცენზიო წიგნში, რომელიც პოსტსაბჭოურ პერიოდშია გამოცემული, ასეთ რამეს ვკითხულობთ: *„აფხაზური სოფელი, თავის საუკეთესო (ვიტყვით, საბჭოურ) დროში...“*![11] ეს ნათქვამია პერიოდზე, როცა საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობრივი წყობა სუფევდა!

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ალბათ, ადვილად დამეთანხმებით, თუ მტკიცედ დავასკვნი აფხაზი ფილოსოფოსის წარსულ ტიპურ საბჭოურ-კომუნისტურ მენტალობას.

საბედიეროდ, მეოთხედ საუკუნეზე მეტია, რაც ისტორიის გონმა მკაცრი სასჯელი გამოუტანა ბოლშევიზმ-კომუნიზმს და მისი განმასახიერებელი ქვეყნების უმეტესობის რეჟიმებს, საბჭოთ კავშირის ჩათვლით. ცხადია, „საბჭოურ სოციალიზმთან“ ერთად იგივე უნდა დამართნოდა შესაბამის იდეოლოგიასაც – ე.წ. მარქსიზმ-ლენინიზმს, უფრო ზუსტად – ლენინიზმს. ამდენად, დადგა დრო, რომ აღნიშნული გარემოებანი სათანადოდ ასახულიყო ფილოსოფიურ ცნობიერებაშიც.

საკითხავია თუ რა მოხდა ამ მიმართულებით ბ-ნ ოლეგ დამენიას მაგალითზე. რამდენადაც ვიცით, ყოველ შემთხვევაში საბჭოთა წესწყობილების გადაგება-გადაშენების შემდეგაც იგი წლების განმავლობაში კვლავაც რჩებოდა კომპარტიის წევრად. ასე რომ, თითქოს დასმულ კითხვაზე პასუხი უნდა გაგვცეს სარეცენზიო ნაშრომმა, რომელიც საკმაოდ სოლიდური ზომისა გახლავთ. ამჯერად ავტორი მკითხველთა წინაშე წარსდგა როგორც ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტთან არსებული სტრატეგიული გამოკვლევების ცენტრის (არსებობს 2006 წლიდან) ხელმძღვანელი.

წიგნში ავტორი შეეცადა რიგ მეცნიერებათა – ისტორიოგრაფიის, ანთროპოლოგიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, კულტუროლოგიის და ა.შ. საფუძველზე გაეაზრებინა აფხაზობის ვინაობა-რაობის, მისი ისტორიის საზრისა და მორალური იერსახის არსი. დიდად სამწუხაროდ, ამგვარი მცდელობა ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით არ ჰქონიათ ქართველ ფილოსოფოსებს. მაგრამ თუ წიგნის არსის მიხედვით ვიმსჯელებთ, ვერ ვიტყვით რომ ავტორის ეს მცდელობა წარმატებული იყოს.

[10] ო. დომენია. ეთნოკულტურული გარემო როგორც პიროვნების ფორმირების ფაქტორი, გვ. 28.
[11] «Абхазское село, в даже в лучшие свои (скажем, советские) времена». იხ.: О. Н. Доменния. Абхазия на рубеже веков. СПб. 2011, გვ. 481.

როგორც მოსალოდნელი იყო, წიგნში საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობა ქართველთა და აფხაზთა მწვავე დაპირისპირებულობას, რამაც, დიდად სამწუხაროდ, ომის ფორმა მიიღო. ავტორი მთლიანად და სავსებით იმეორებს კონფლიქტის აფხაზურ-სეპარატისტულ გაგებას. ავადსახსენებელ 1992-1993 წლების ომში არც აფხაზური მხარე გამოსულა გამარჯვებული. ასეთად კი მოგვევლინა უახლესი რუსული იმპერიალიზმ-ჰეგემონიზმი. თურმე დაპირისპირებული ოდენ ორი მხარე – ქართველობა და აფხაზობა ვყოფილვართ, რუსეთი კი ამ შემთხვევაში არაფერ შუაში იყო. თუმცა, წიგნის რეზიუმეში აღნიშნულია: *„საბელდობრ გლობალური ბრძოლის კონტექსტში ვითარდებოდა ძირითადი პოლიტიკური მოვლენები რეგიონში, მათ შორის აფხაზურ-ქართული ომი, აფხაზური სახელმწიფოს წარმოქმნა, მისი დამოუკიდებლობის აღიარება და ა.შ.“*:[12] მეტიც, რუსეთის ავბედითი როლი ამ საქმეში ბევრად უფრო ადრე პერიოდიდან ჩანს.

გვინდა გვჯეროდეს, რომ ბ-ნი ო. დამენია, მისი მენტალობიდან გამომდინარე, არ მიეკუთვნებოდა ომის, ქორების პარტიას აფხაზეთში და ამდენად ნაკლები წვლილი მიუძღვის ჩვენი ორი ხალხისათვის დიდად ავბედით ომში. მაგრამ ვერც იმას ვიტყოდით, რომ მან რაიმე დადებითი როლი ითამაშა ქართველ-აფხაზთა ურთიერთობაში ომის წინარე ხანაში. რაც შეეხება აფხაზი ფილოსოფოსის მსოფლმხედველობრივ ევოლუციას პოსტსაბჭოურ პერიოდში, სარეცენზიო წიგნი ამის თაობაზე გარკვეულ მინიშნებას იძლევა. მასში, ცხადია, აღარაა საუბარი საბჭოურ მარქსიზმსა თუ ე.წ მარქსიზმ-ლენინიზმზე. საერთოდ აღარაა ნახსენები „უდიდესი მოაზროვნის“ ვლადიმერ ლენინის სახელი. სამაგიეროდ, ციტირებულია პლატონის, კანტის, ჰეგელის, კარლ მარქსის აზრები. ფრიად მისასალმებელია, რომ ავტორს უწინ და ამ წიგნშიც მითითებული აქვს ქართველი ფილოსოფოსების – კიტა მეგრელიძისა და ნიკო ჭავჭავაძის ნაშრომები.

ბ-ნ ოლეგ დამენიას წიგნში უნდა ეჩვენებინა, თუ როგორ იაზრებს იგი საზოგადოების (ზოგადსოციოლოგიურ პლანში), მსოფლიო-ისტორიულ პროცესს. გარდა თავისთავადი მნიშვნელობისა ეს აუცილებელი იყო იმ თვალსაზრისითაც, რომ თანამედროვე აფხაზი ისტორიკოსები და არქეოლოგოსები (სტანისლავ ლაკობა, ოლეგ ბღაჟბა და ა.შ.) ისტორიის თეორიული, მეთოდოლო-

[12] «Именно в контексте глобальной борьбы и развертывались основные политические события в регионе, в том числе и абхазо-грузинская война, образование абхазского государства, признание его независимости и др.». იხ.: О. Н. Домения. Абхазия на рубеже веков, გვ. 511.

გიური გააზრების მხრივ ნულოვან დონეზე დგანან. ასე რომ, აფხაზ ფილოსოფოსს უნდა გამოესწორებინა მათთვის დამახასიათებელი დიდი ხარვეზი.

ავტორი საფუძვლიანად უპირისპირდება მარქსისტულ (სრულიადაც არა მარქსისტულ-ლენინურ) რიგ მოსაზრებებს. მაგალითად, სოციალური ორგანიზაციის აღმოსავლურ მოდელში *„არა ეკონომიკას, არამედ კულტურას ეკავა გაბატონებული მდგომარეობა“*.[13] თითქოს აფხაზეთში *„სხვადასხვა სოციალურ წოდებებს შორის ურთიერთობანი განისაზღვრებოდა არა ქონებრივი მდგომარეობით, როგორც სხვა კლასობრივ საზოგადოებებში“*.[14] ან *„დამოკიდებულება გლეხობისა უმაღლესი წოდებისადმი ნომინალური იყო“*.[15] თუმცა, ამასთანავე სარეცენზიო წიგნში ისიცაა აღნიშნულია, რომ *„გლეხი აფხაზური საზოგადოების სოციალური დაყოფის პირობებში დამოკიდებული იყო თავადებისა და აზნაურებისადმი, რადგან არ გაბლდათ მის მიერ დამუშავებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრე“*.[16] ანდა როგორი შთაბეჭდილება შეიძლება მოახდინოს ამგვარმა განცხადებამ: *„რუსეთისა ანდა დასავლეთევროპულ საზოგადოებათა ისტორიაში გლეხკაცობა ხშირად გამოდიოდა მაღესტაბილიზირებელ ფაქტორად“*[17] და ა.შ.

მსჯელობის უაღრესად აბსტრაქტულ დონეს რომ შევეშვათ, ავტორს შევახსენებთ მისსავე აზრებს: *„ამასთან ეროვნული კულტურის ისტორია არ არის შეზღუდული მოცემული დროის სივრცობრივ-დროითი ჩარჩოებით; ერი, როგორც კულტურის სუბიექტი, იწოვს და გადაამუშავებს იმ კულტური სამყაროს თუ რეგიონის ღირებულებებს, რომელთა ბაზაზედაც იგი წარმოიქმნება ეროვნულ კულტურას შეუძლია სხვა ხალხების კულტურასთან ურთიერქმედებასა და ურთიერთკავშირში შეივსოს, გამდიდრდეს ახალი ელემენტებით“*.[18]

---

[13] «…не экономика, а культура занимает доминирующее положение» იხ.: О. Н. Домения. Абхазия на рубеже веков, გვ. 189.

[14] «Отношения между различными социальными сословиями определялось не имущественным положением, как в других классовых обществах…». იხ.: О. Н. Домения. Абхазия на рубеже веков, გვ. 275.

[15] «Зависимость крестьянства от высших сословий была номинальной». იხ.: О. Н. Домения. Абхазия на рубеже веков, გვ. 259.

[16] «Разумеется, крестьянин в условиях социального расслоения абхазского общества зависел от князей и дворян, так как не являлся собственником обрабатываемого им земельного надела». იხ.: О. Н. Домения. Абхазия на рубеже веков, გვ. 274.

[17] «…в истории российского или западноевропейского обществ крестьянство часто выступало дестабилизирующим фактором». იხ.: О. Н. Домения. Абхазия на рубеже веков, გვ. 275.

[18] ო. დომენია. კულტურა და მისი ეროვნული ფორმები, გვ. 25.

ბოლოს და ბოლოს, აფხაზი ისტორიკოსები, ეთნოლოგოსები, არქეოლოგოსები, ფილოსოფოსები და მისთ. ამდაგვარი მცდელობით, როგორც გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი ნიკო ბერძენიშვილი შენიშნავდა, ძალზე აღარიბებენ თავიანთი ისტორიის შინაარსს. მრავალ კურიოზთაგან მხოლოდ ერთ მომენტზე შევჩერდებით. მაგალითად, თურმე აფხაზობისათვის უწინ დამწერლობა და ლიტერატურა „უცხო ხილი“ იყო და ამდენად, ცივილიზაციის გარეშე მდგარან. სხვათა შორის, ამ მიმართულებით ავტორი ფრიად უცნაურ, გულუბრყვილო კითხვას სვამს: *„და სიტყვამ მოიტანა, აფხაზებმა რატომ არ აითვისეს ქართული დამწერლობა, არამედ დაიწყეს შექმნა საკუთარისა?“*,[19] თუმცა რუსული გრაფიკით.

როდესაც ავტორი ვრცლად საუბრობს აფსუარას მორალურ-ეთიკურ-კოდექსზე და გახაზავს აფხაზთა შორის გამძაფრებულ ღირსების გრძნობას, რატომ ავიწყდება, რომ ამ ნიშან-თვისებას მათში ქართველებიც აღნიშნავდნენ. გავიხსენოთ, თუნდაც, აკაკი წერეთლის *„გამზრდელი“* და ლეო ქიაჩელის *„ჰაკი აძბა“*. რასაკვირველია, არაფერი გვაქვს სადავო მის მიერ ლევ ტოლსტოის *„ჰაჯი მურატის“* მოხმობასთან.

ვიმეორებთ, დასახული მიზნისათვის ბ-ნ ოლეგ დამენიას თავისი შესაბამისი აზროვნება უნდა დაეფუძნებინა რიგ სამეცნიერო დისციპლინათა საფუძვლიან ცოდნაზე, ამ დარგების მოღვაწეთა ნააზრევის გაგება-გაცობიერებაზე, მაგრამ დიდად სამწუხაროდ, წიგნში ამას ვერ ვხედავთ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კარგი იქნებოდა ავტორს საფუძვლიანად სცოდნოდა აფხაზეთში გვაროვნული წესწყობილების, ადრეკლასობრივი, ადრინდელი ფეოდალური საზოგადოებების, შედარებით განვითარებული ფეოდალიზმის, კაპიტალისტური წყობის არსი. რაც ბევრ მხრივ (სიმონ ჯანაშიას, ზურაბ ანჩაბაძის, გიორგი ძიძარიას, ირაკლი ანთელავას და სხვათაგან) გარკვეულია. მაგრამ ამჯერადაც იმედის გაცრუება გველის.

სარეცენზიო წიგნის ავტორიც აგრძელებს თანამედროვე აფხაზ ისტორიკოსთათვის დამახასიათებელ ტენდენციას, რის თანახმადაც აფხაზეთის ისტორიის გაგება-გააზრება მოცემულია დანარჩენი საქართველოსაგან იზოლირებულად. ეს კი, ფილოსოფოსს კარგად უნდა მოეხსენებოდეს, ნიშნავს მთელის, მთლიანობისაგან მოწყვეტით ოდენ ნაწილის გააზრებას. თუმცა, სარე-

[19] «И, кстати, почему абхазы не восприняли грузинскую письменность, а стали создавать свою собственную?». იხ.: О. Н. Домения. Абхазия на рубеже.., გვ. 125.

ცენზიო ნაშრომში საუბარია კავკასიური ტიპის კულტურაზე, რის თაობაზეც კონკრეტული წარმოდგენის შექმნა ძალზე გაძნელებულია. მეორე მხრივ, აფხაზთა კულტურა მთურ (горская) კულტურად არის გამოცხადებული.

რაც შეეხება პოსტსაბჭოური ეპოქის აფხაზეთის, აფხაზთა სოციალური ფსიქოლოგიის გაგება-გააზრებას, ამ მხრივ ბ-ნ ოლეგ დომენიას წიგნი რიგ საინტერესო დაკვირვებას გვთავაზობს. მასში აღნიშნულია დიდი იმედგაცრუება, რამაც ომისშემდგომი ეიფორიის განელებისას მოიცვა აფხაზობა. იგი, ავტორის აღიარებით, *„დღეს განიცდის თავისი ისტორიის არც თუ საუკეთესო ხანას“*.[20] ო. დომენიას მსჯელობით, *„ყველაფერი მეტყველებს იმაზე, რომ აფხაზებს, არამარტო სურთ დღეს იცხოვრონ უკეთ, არამედ უნდათ შეინარჩუნონ თავისთავადობა, მაგრამ არ იციან როგორ მიაღწიონ ამას“*.[21] აღმოჩნდა, რომ ყურადღება ძირითადად კონცენტრირებული ჰქონდათ „ეროვნული დამოუკიდებლობის“ მოპოვებაზე, მაგრამ თითქმის სულ არ ფიქრობდნენ მომავალი საზოგადოების შინაარსზე. მართლაც, რომ აუცილებელი გახლდათ აფხაზთა, ყოველ შემთხვევაში მათი მოწინავე ნაწილის, ძალისხმევა ჯერ კიდევ ქართველებთან გამწვავებულ დაპირისპირებამდე წარმართულიყო ადამიანის უფლებებზე, დემოკრატიაზე, აფხაზური ენასა და განათლებაზე, ეკოლოგიაზე და ა.შ. ზრუნვისათვის. თუკი ასე მოხდებოდა, მაშინ ისინი, აფხაზები ბევრ რამე საერთოს გამონახავდნენ ქართველთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, კერძოდ, მისი ზომიერი ნაწილის (ილია ჭავჭავაძის საზოგადოების, საქართველოს სახალხო ფრონტის შოთა რუსთაველის საზოგადოების) წარმომადგენლებთაგან. განსაკუთრებით ეს ითქმის მერაბ კოსტავას, ზურაბ და ნიკო ჭავჭავაძეების მიმართ. მაგრამ, დიდად საუბედუროდ, ისტორიის მატარებელმა ამ მხრივ უკვე ჩაიარა!

ავტორი დიდი გულისტკივილით აღნიშნავს რიგ უარყოფით მომენტებს, თანამედროვე აფხაზეთის ისტორიას რომ ახასიათებს. იგი პირდაპირ, რაიმე მოიარების გარეშე აღნიშნავს: *„ამასობაში აფხაზური კულტურა დღეს იმყოფება სიტუაციაში, როდესაც მისი ადამიანისწარმომქმნელი პოტენციალი იშრიტება“*;[22] *“აფხაზური კულტურა დღეს იმყოფება ღრმა და სისტემურ კრი-*

[20] «…сегодня переживает не лучшие времена своей истории». იხ.: О. Н. Домения. Абхазия на рубеже веков, გვ. 472.

[21] «Судя по всему, абхазы сегодня хотят не только жить лучше, но и сохранить себя. Но как этого добиться, они не знают». იხ.: О. Н. Домения. Абхазия на рубеже веков, გვ. 473.

[22] «Между тем абхазская культура находится сегодня в ситуации, когда ее человекообразующий потенциал иссякает». იხ.: О. Н. Домения. Абхазия на рубеже веков, გვ.477.

ზისში“:[23] მეტიც, *„შემოქმედებით ვაკუუმს, უკანასკნელ დროში რომ წარმოიქმნა, გაძლიერებულად ავსებს უნიჭობა. „ლიტერატურშჩინამ“ გამოდევნა ნამდვილი მხატვრული ლიტერატურა, რაზედაც ჩვენ სულ ახლახანს ვსწავლობდით და რითაც სამართლიანად ვამაყობდით. იგივეი სურათი შეინიშნება დღეს ხელოვნების, მეცნიერების სხვა დარგებში, მთლიანად საზოგადოების სულიერ ცხოვრებაში. შემოქმედებითი შრომა შეიცვალა ფინანჩობით, ნაღდი სულიერი ფასეულობანი – მათი სუროგატებით, ნამდვილი ლიტერატურა და ხელოვნება ამის და მეორის მსგავსებით“*.[24]

სარეცენზიო წიგნის სხვა ადგილას ვკითხულობთ: *„ჯერჯერობით კი საზოგადოება აგრძელებს მიეჩვიოს ცხოვრების ზნეობრიობის, სულიერი კრიზისისა და შემოქმედებითი ელიტის გარეშე. მისი ადგილი ამჟამად უკავია საშუალობას, რომელსაც უკეთეს შემთხვევაში თუ შეუძლია იმიტირება შემოქმედებითი ელიტისა“*:[25] წიგნში ახსნილია ამგვარ საშუალოობათა არსი: *„საშუალობას, გასაგებია, არ შესწევს ძალა იზრუნოს კულტურის ბედ-იღბალზე, როგორც საკუთარ ბედზე. მას არ გააჩნია ზნეობრივი უმწიკვლობა, არც მყარი ნიჭიერება, არც სულიერი სიდიადე“*.[26] თუმცა, ავტორის თანახმად, აფხაზები, კერძოდ, საკუთარ ენაზე ზრუნავენ სახელმწიფო დონეზე, მაგრამ ამ მხრივაც რეალური დადებითი სახის ძვრები არ ჩანსო.[27]

ბ-ნი ოლეგ დამენია აგრეთვე დიდად შეწუხებულია დღევანდელი აფხაზური სოფლის მდგომარეობით (უპირველესად მორალურ-ფსიქოლოგიური თვალსაზრისით). მაგრამ არც მოსახლეობის გაქალაქელების პრესპექტივა უმაგრებს გულს.

---

[23] «…абхазская культура находится сегодня в глубоком и системном кризисе». იხ.: О. Н. Домения. Абхазия на рубеже веков, გვ. 368.

[24] «… творческий вакуум, образовавшийся за последнее время, стал усиленно заполнять бесталанность. «Литературщина» вытеснила подлинную художественную литературу, по которой мы еще недавно учились и которой по праву гордились. Такая же картина наблюдается сегодня и в других областях искусства, науки, да и в целом в духовной жизни общества. Творческий труд заменился ремесленничеством, подлинно духовные ценности – их суррогатами, подлинная литература и искусство – подобием того и другого». იხ.: О. Н. Домения. Абхазия на рубеже веков, გვ. 506.

[25] «Пока же общество продолжает привыкать жить в условиях дефицита нравственности, духовного кризиса и без творческой элиты. Ее место теперь занимает посредственность, которая в лучшем случае может лишь имитировать творческую элиту». იხ.: О. Н. Домения. Абхазия на рубеже веков, გვ. 509-510.

[26] «Посредственность, разумеется, не способна заботиться о судьбе культуры так, как о своей собственной судьбе. Она не обладает ни нравственной безупречностью, ни твердым даром, ни величием духа». იხ.: О. Н. Домения. Абхазия на рубеже веков, გვ. 510.

[27] О. Н. Домения. Абхазия на рубеже веков, გვ. 367.

ყოველივე აღნიშნული, რასაკვირველია, ჩვენთვის, ქართველთათვისაც საცნაური და ძალზე მტკივნეულია. დაე, ნუ იფიქრებს აფხაზობის მოწინავე, შეგნებული ნაწილი, რომ ქართველობის ასეთსავე ნაწილს აფხაზობის მიმართ უწინ და ახლაც ოდენ ყბადაღებული „მზაკვრული, ასიმილატირული" მოტივები გვამოძრავებს. გარდა აღნიშნულისა, ჩვენი გულისტკივილი იმითაცაა გამოწვეული, რომ მსგავსი პროცესები მიმდინარეობს ჩვენთანაც – დანარჩენ საქართველოში, რომ სახელდობრ *„მეტიც, დღეს უნდა ვილაპარაკოთ ბალხის გამამაბრიობაზე საერთოდ და აფხაზებისა კერძოდ"*.[28]

ამდენად, საერთო სატკივარ-საწუხარი ბევრი გვაქვს და ამან აუცილებლად უნდა გვიბიძგოს დიალოგისაკენ, რაც ჩვენ, ორივე მხარეს, დღემდე ძალიან გვიჭირს. ავტორი უთუოდ სწორია, როდესაც ამბობს: *„აფხაზურ-ქართულ დიალოგს ხელს უშლიდა და უშლის უპირველესად ურთიერთგაგების დეფიციტი"*.[29] ალბათ უბრალოდ მოსმენის უნარიც კი! საჭიროა მზაობა, მზად ყოფნა, დიალოგისათვის, რის წარმართვასაც თავისუფალი, ჭეშმარიტებისა და სამართლიანობაზე ორიენტირებული ადამიანები სჭირდება. დროის გამოწვევებს სათანადო პასუხს მხოლოდ ამით და შესაბამისი საქმეებით თუ გავცემთ!

სარეცენზიო წიგნის ავტორი, ბ-ნი ოლეგ დამენია, ვიმეორებთ, საკმაოდ წიგნიერი კაცი გახლავთ. მაგრამ, სამწუხაროდ, წიგნში აქა-იქ გაპარულია ლაფსუსები. მაგალითად, ჩამოთვლილ ქართველ ისტორიკოსთაგან, რომლებიც აფხაზეთის ისტორიის თემატიკასაც ამუშავებდნენ ვერ ვხედავთ ჩვენი ცნობილი ისტორიკოსის სიმონ ჯანაშიას სახელს.[30] საქართველოს საისტორიო გარემოცვაზე საუბრისას სულთნის თურქეთისა და რუსეთის იმპერიასთან თანადროულად არის მოხსენიებული ... სასანური ირანი!.[31] *«Военное ремесло»*-ს ხმარება *«Военное дело»*-ს მნიშვნელობით მცდარია. არაზუსტი იქნებოდა სოციალური გაერთიანებების ჩამოთვლა ოჯახით დაწყებულიყო.[32] აფხაზეთის მთიანეთში არსებული მეურნეობის ფორმების ჩამონათვალში არ ფიგურირებს მიწათმოქმედება.[33] სიტყვა *«оруженосец»*-ს რუსულში აქვს ერთი მნიშვნელობა: საჭურველმტვირთელისა. თუმცა, ავტორი ამაში გულისხმობს აფხაზ-

[28] «Более того, сегодня следует говорить об омассовлении народа вообще и абхазского в частности». იხ.: О. Н. Домения. Абхазия на рубеже веков, გვ. 365.
[29] იხ.: О. Н. Домения. Абхазия на рубеже веков, გვ. 127.
[30] О. Н. Домения. Абхазия на рубеже веков, გვ. 113.
[31] О. Н. Домения. Абхазия на рубеже веков, გვ. 88, 139.
[32] О. Н. Домения. Абхазия на рубеже веков, გვ. 186, 195.
[33] О. Н. Домения. Абхазия на рубеже веков, გვ. 112.

თა ჩვეულებას იარაღის ტარებისა (თვითონ).[34] თითქოს პლატონს თავისი აზრი „ოქროს ხანის“ წარსულში არსებობაზე აღმოსავლეთიდან ჰქონდა შეთვისებული.[35] სინამდვილეში ეს შეხედულება თვითონ საბერძნეთში, ძველი ბერძენი ეპიკოსი პოეტისაგან – ჰესიოდესაგან (ცხოვრობდა VIII-VII საუკუნეებში) იღებს სათავეს. უსაფუძვლოა აღმოსავლური კულტურების მოხსენიება უკიდურეს ჩრდილოეთსა და ციმბირში, თუნდაც ვოლგისპირეთსა და ურალზე (გვ. 311).[36] ფილოსოფოსს, რომელიც ყოველ შემთხვევაში ერთ დროს მარქსისტობაზე სდებდა თავს, არ ეკადრება დაწეროს: *„საუბარი მიდის ერთი სოციალური წყობიდან (სისტემიდან) მეორეზე გადასვლაზე“*[37] – «уклад»-ს ხომ რუსულ ენაში ვიწრო, სპეციფიკური მნიშვნელობა გააჩნია?

საერთოდ, კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ ბატონი ოლეგ დამენია განათლებული კაცია და მეცნიერი-ანალიტიკოსის ნიშან-თვისებებს ამჟღავნებს. იმედს ვიტოვებთ, რომ ჩვენს შორის დიალოგი შედგება.

[34] О. Н. Домения. Абхазия на рубеже веков, გვ. 215.
[35] О. Н. Домения. Абхазия на рубеже веков, გვ. 309, 408.
[36] О. Н. Домения. Абхазия на рубеже веков, გვ. 311.
[37] «Речь идет о переходе из одного социального уклада (системы) к другому». იხ.: О. Н. Домения. Абхазия на рубеже веков, გვ. 415.